

ქეთევან ქონანიძე

ზემოიბეჩული ლექსიკონი

4 Γ (03)
499. 962. 1. 03
d 777

რედაქტორები: არნ. ჩიქოზავა, შ. ალავეიძე

7—1—5

რეზერვ. — 74

№ — 602

© გამომცემლობა „განათლება“, 1974

„ზემოიმერული ლექსიკონის“ შესახებ

ქეთევან ძოწენიძემ ზემოიმერული კილოკავი სოფელ-სოფელ შეისწავლა. ეს ლექსიკონიც მისი მონოგრაფიის ნაწილია და მუშავდებოდა თითქმის ოცი წლის განმავლობაში. ავტორს დარჩა ის დასრულებული ხელნაწერის სახით (გარდაიცვალა 1969 წელს).

ნაშრომი მიზნად ისახავს აღნუსხოს და დაახასიათოს ზემოიმერული კილოკავის სიტყვობრივი მარაგი. იგი სრულია, მდიდარი და თავისებური აღნაგობაც აქვს. ქეთევან ძოწენიძემ გამოიყენა ლექსიკონის შედგენის ახლებური პრინციპიც. დიალექტური მასალა (ლექსიკური და ფრაზეოლოგიური) შერჩეულია იშვიათი გემოვნებით. ლექსიკონს ახასიათებს ზუსტი განმარტებები, საგანთა და შოვლენათა დეტალური აღწერა.

ქეთევან ძოწენიძე ნათლად ასახავს ზემო იმერეთის როგორც თანამედროვე, ისე წარსული ყოფის სინამდვილეს. ავტორი გამოცდილი ეთნოგრაფიკაა. არათუ სპეციალისტი, არამედ ჩვეულებრივი მკითხველიც კი დაინახავს, როგორი შრომატევადი საქმიანობა უწარმოებია მას, რა უძვირფასესი ხალხური მარგალიტები შეუკრებია, როგორი გულმოდგინეობა და თავდადება გამოუჩენია კვლევა-ძიებისას (მას წესწავლილი აქვს ზემო იმერეთის 82 სოფელი).

ნაშრომი ავლენს საინტერესო ენობრივ ფაქტებს.

სიტყვები აზევა, გოჯილა, ზიზინი, ლაშკინი, ყერო, შეტაბუტა, ძაგარ-ი პირველად მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში გვხვდება (მასზე ადრე არ ჩანს) და ზეპირ-შეტყველებას (კერძოდ, ზემოიმერულ კილოკავს) ახლაც დაუტავს. საბუთდება მოსაზრება: ეს და ამგვარი სხვა მასალა საბას შეეძლო აეღო ხალხური ენიდან.

ძველქართული ნაბიჭევ-ი (იხ. ოთხთავი) და ზემოიმერული ნაბინჰვალ-ი ერთი სიტყვაა და „ნამცეცს“ აღნიშნავს.

„ვისრამიანიდან“ ცნობილი სახელის დაბუნებულის (მოუსვენარი) ძველირანული ძირი ბუნ-ი, როგორც იუსტინე აბულაძე წერს, ძირს, ფუძეს, დასამყარს, საძირკველს გულისხმობს. ეს სიტყვა შემოუნახავს ზემოიმერულ კილოკავს. აქ ბუნ-ი ერთი პაპის შთამომავალზე (ერთი

ოჯახის განაყოფზე) ითქმის; „ვისრამიანში“ დაცული მასკულაჟი (მისი ფონეტიკური ვარიანტია ვარსკვლავი) ზეპირმეტყველებას შემორჩა.

„ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურებათა შესასწავლად საყურადღებოა, რომ შოთასეული მიმღეობა ცნეურ-ი (მეტყობილი, გაგებული) ზემოიპერულში „ნაცნობს“, „ცნობილს“ გამოხატავს; რუსთაველური გამოთქმა ერთ-სახე პირვანდელი ფორმა დასავლური დიალექტიზმისა ერცახე (ერთი ბეწო).

ძველქართული უფამო იგივეა, რაც უ დ რ ო ო. ზემოიპერული უფმურ-ი (უდროო) კი ამტკიცებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში ურედუქციო უფამური პოეტისეულ ნეოლოგიზმად კი არ ჩაითვლება, არამედ ცოცხალი მეტყველებიდანაა აღებული; ზემოიპერულის ჩვენების მიხედვით, ნიკ. ბარათაშვილიაეული სამძღვარი არა მარტო არქაიზმია, არამედ დიალექტიზმიც.

ზემოიპერულ კილოკავში ზანური ენის ფენაც შეიმჩნევა: დარგათხა (დამაკებამდე), ზისხა სისხლი, სინდი იხვი, ჩხამა წვრილი თევზია (ჩხომი), ძაგარო ჭაგარი, ჭენგერო წენგო, ჭვარჭვალა წყლის შხაპუნი, ჭურტი წყურტი (დიბეტი)...

ლექსიკონში შეტანილი სიტყვები და გამოთქმები აღებულია სოფლის მეურნეობის (მიწათმოქმედების), შინამრეწველობა-ხელოსნობისა და საოჯახო საქმიანობის სხვადასხვა დარგიდან.

ნაშრომი 6000-ზე მეტ ლექსიკურ ერთეულს ითვლის. რამდენადაც ეს ლექსიკონი დიალექტურია, იგი, როგორც წესი, მოიცავს ისეთ სიტყვებს, რომლებიც სალიტერატურო ენაში არ გვხვდება (ცვარაბჭუა კუდაბზიკა, კორხალ-ი კომბოსტოს მაგარი ნაწილი, პაპია პაპის მამა, ქლოფანა ღონიერი, ჭინრიკა ქირვეული, ხინწალ-ი ხვინჭკა), ან სალიტერატურო ენაში მოიპოვება, მაგრამ ძველი ქართულის კუთვნილება (იხ. ზემოთ: მასკულაჟი, ნაბინჭვალ-ი, სამძღვარი-ი, უქმურ-ი, ცნეურ-ი...), ან მნიშვნელობა აქვს განსხვავებული სალიტერატურო ენის ჩვენებასთან შედარებით (ბინა საფლაღი, სისხლ-ი საქონლის ავადმყოფობა, ჭერ-ი ბოსლის ძელური იატაკი, ხე საწნახელი, ჩურჩხელა ასხმულა...), ან ბგერითი შემადგენლობა (ბომში ბავშვი, ნაშთ-ი ნავთი, ხინღერა სიმღერა...).

ლექსიკონში ცალკე ერთეულებად შედის: სახელი, ზმნა, ზმნისართი, შორისდებული, კავშირი, ნაწილაკი; აგრეთვე წინდებულიც (მა-, შა-).

ცალკე ერთეულებს ქმნიან ომონიმები: რეულ-ი¹ რვეული... რეულ-ი² არეული... კილ-ი¹ „მცირე რამ წუნი“... კილ-ი² კაკლის ლებნების ტიხარი...

ცალკე ლექსიკურ ერთეულად შეტანილია ზოგი თავისებური

გამოთქმა: არქის რკინა, გუმბათი ტყე, გულის ბიძაშვილი, მარხილის ფეხი, მისაკრავი ძუძუ... პირველ სიტყვაზე მითითებით.

იდიომატური და, საერთოდ, დამახასიათებელი გამოთქმები გაწყობილია ანბანთ რიგზე იმ სახით, როგორც იგი გვხვდება საუბარში, ე. ი. პირველი სიტყვის მიხედვით: „გზა ნახავს ბარაქას“ გ ასოზე შედის, „საქმეში ამოფუა სული“ — ხ ასოზე, „ცას მისცეს სტვირი“ — ც ასოზე...

სახელი მოცემულია მხოლოდობითი რიცხვის სახელობითს ბრუნვამა, ზმნა — აწმყო-მყოფადის მესამე პირში. გახაზულია ფუძე: ალერდ-ი, ამბოხ-ი... ამეიბაგებ-ა, ბურძაყოფ-ს, გააზურავეფ-ს...

შენიშვნა: ა) გამონაკლისს შეადგენენ სახელები და ზმნები, რომლებიც მხოლოდ მრავლობითის ფორმით იხმარება: ბასახებ-ი, ბოკინკლებ-ი, ბუფლებ-ი... დათავთავისდები-ან, ჩახელდახელდები-ან...

ბ) სხვა დროის ფორმითაა წარმოდგენილი ზმნა, რომლის აწმყო-მყოფადი საუბარში არ დასტურდება: აგნებია (გააგებინა), ექკუებია (ქკუა ეხმარა), იხნევა (დიღხანს იცოცხლა)...

პირის ნიშნის -ხ-ს წინ ზემოიძერულში, როგორც წესი, -ებ-, -ობ-სუფიქსისეული მკლერი ბ ყრუდება და ისმის -ეფ-, -ოფ-. პარალელური ფორმებიდან (-ებ-||-ეფ-, -ობ-||-ოფ-) დატოვებულ იქნა სიმარტივისათვის ერთი (-ეფ-, -ოფ-), როგორც ცოცხალი მეტყველებისათვის ნიშანდობლივი, თუმცა სხვა პოზიციაში ისევ ძირითადი სახე (-ებ-, -ობ-) ჩნდება: გაანარბილეფ-ს, მაგრამ: გაანარბილებდა...

ლექსიკონს ერთვის ნაწარმოებ ზმნურ ერთეულთა საყრდენი ფუძეების საძიებელი (იხ.).

ცალ-ცალკე ბუდეში გვხვდება ძირეული და წარმოქმნილი სახელებიც: პათიფილ-ი — მოპათიფილე, შილ-ი — შილებიან-ი...

ძირეულ სიტყვასთან დასახელებულია წარმოქმნილი და — პირუკუ. თუ დერივატი ძირეულს მნიშვნელობით საესებით არ დაშორებია, მას წინ იხ. (იხილე) უზის, თუ მნიშვნელობის თვალსაზრისით საერთო აღარა აქვს რა, — შდრ. (შეადარე):

ყმენდ-ი ჩუმი, ულაპარაკო... იხ. დაყმენდილ-ი, დეიყმენდებ-ა; შდრ. ეყმენდება.

ნათელი სურათი იშლება იმ მხრავაც, თუ როგორია (ფართო, ვიწრო) სიტყვათა მოხმარება. ნაჩვენებია სოფლები, სადაც გავრცელებულია ერთი სინონიმი მეორის ნაცვლად: იხ. დეკეულ-ი და უშობელ-ი, თავისახლ-ი და საყოლ-ი, ლაშკინ-ი და ფრჩხილა...

სიტყვას აქვს განმარტება: კანდელა კრაქი, ააზიქეფ-ს ააწიოკებს... თუ განმარტება სხვა ლექსიკონიდან არის ციტატის სახით ამოწერილი, ბრჭყალებში ჩაისმის და იქვე მითითებულია წყაროც: კრიკინა „ვე-

ლური ყურძენი“ (საბა), ფიფინა ლიფლიფანა, „დაირის საეღარუნე-ბელი“ (კირიონი), ჭანგი „სიმეჟევე, ჭმანხი“ (განმარტებითი ლექსიკონი, ჭანგი ?)...

განმარტება სიტყვის მნიშვნელობას გვაცნობს. ზოგ სიტყვას ერთი მნიშვნელობა აქვს (აბალთულ-ი ალესილი, განუჯრულ-ი ვაჟმენდილი...), ზოგს — რამდენიმე. როცა სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებული, მაშინ თითოეულ მნიშვნელობას ცალ-ცალკე ნომერი უზის: ზირხალა 1. ტოტებიანი საზვინე სარი... 2. ასხმულა.

როცა ერთი მნიშვნელობა მეორისაგან მკვეთრად განსხვავებული არ არის, მაშინ გასაყოფ ნიშნად დაისმის ||:

ყერო კარის ან ჭიშკრის დასაკეტი რიკი || ურდული.

განმარტებაში გვხვდება ი გ ი ვ ე ა, რ ა ც. ეს ნიშნავს, რომ ამ სიტყვათა მნიშვნელობა ერთნაირია და განმეორების ასარიდებლად ახსნა მხოლოდ ერთ მათგანს ახლავს, სახელდობრ, იმ სიტყვას, რომელზეც არის მითითება იხ. (იხილე).

მნიშვნელობის დადგენისას გამოყენებულია, ერთი მხრივ, სინონიმები, ანდა მნიშვნელობით ახლო მდგომი სიტყვები, მეორე მხრივ, საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები. სინონიმები და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები განმარტების შემდეგ იწერება და ფრჩხილებშია ჩასმული, მნიშვნელობით ახლო მდგომი სიტყვები კი მნიშვნელობის განმარტებას მოსდევს და მისგან მძიმითა და ტირეთია გამოყოფილი:

ბუჟუნძლო 1. ყურძნის მტევნის კიმპლებგაცლილი ღერო, უმარცვლო მტევანი, — კლერტი (სინონ. ბონძლი, ბონძღვი, ბონძღალი, ბორძღვი, ბუნძლო, კერენჩხო, ფონცხი, ყლერტო)...

პირად-ი² უხნავ-უთესი... (საპირისპ. დანამბილარებული, ნამბილარი, ნარბილი)...

ფიცხი ადგილი ადგილი, რომელსაც მზე ანათებს ამოსვლიდან ჩასვლამდე (სინონ. მზიგული, სამზიგული; საპირისპ. ყლანჩი მიწა)...

სიტყვის მნიშვნელობა რომ ხელშესახები იყოს, განმარტებას ახლავს ფრაზეოლოგიური მასალა, ზემოიმერული მეტყველებიდან აღებული. მითითებულია სოფელი (ან სოფლები), თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ მნიშვნელობით სიტყვა სხვაგან არ იხმარებოდეს. საილუსტრაციო გამონათქვამები, სხვადასხვა სოფელში ჩაწერილი, ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმითაა გამოყოფილი:

ნაბინჟვალ-ი პურის, მჭადის და მისთ. ნაფხვინი, ნამცეცი.

ისე შექამა ყველიფერი, ნ ა ბ ი ნ ჭ ვ ა ლ ი ც არ დარჩენია (სვერი); ბოფშეფს ჭამის დროს ნ ა ბ ი ნ ჭ ვ ლ ე ბ ი დოუყრიათ (ტაბაკინი)..

ზოგჯერ მხოლოდ საილუსტრაციო მასალის საფუძველზე ხდება

სიტყვის მნიშვნელობის დადგენა და ასეთ შემთხვევაში ავტორის განმარტება სიტყვას აღარ ახლავს:

არქ-ი „წისქვილის ზედა ქვის შუაგულში ჩასმული რკინის პატარა ნაჭერი, რომელიც ჩამოცმულია ბორბლის ყელაზე და მისი საშვალე-ბით ამოძრავებს ზედა ქვას“ (ვაჩანი); ჭიჭმატ-ი „წვრილი პამიდორია“ (ზედუბანი)...

ლექსიკონში შეტანილია ისეთი სიტყვებიც, რომელთა მნიშვნელობა უცნობია. ისინი უმთავრესად შელოცვებში, ანდაზებსა და ზღაპრებში უხმარიათ: ალიათალ-ი-ბალიათალ-ი, ალიყმაყურ-ი, გურგუმალი-ი, ფურცხვი-ი... მათ კითხვის ნიშანი უზის.

რუსულ თუ რუსულის გზით შემოსულ სიტყვებთან ნაჩვენებია წარმომავლობა: ბურსა (ლათ-რუს.), აბელანია (რუს. обеляние), პიტონიკი (რუს. питомник)...

ლექსიკონი რამდენადმე სინონიმურიცაა, რადგან ხშირ შემთხვევაში დაძებნილია ამ თუ იმ სიტყვის სინონიმები სხვა ქართულ დიალექტებში:

ააზიაქეფ-ს ააწიოკებს (იხ. დიალექტ. ჭავახ. დათალენა), ბინბილო ბიბილო (იხ. უღ. დუდი, ქეშიკ. ჩინჩლო), მერდევან-ი ოღრო-ჩოღრო ადგილი გზაზე (იხ. მენთ. ყოლფუნი), მოძვი-ი მოცვი (იხ. ქეშიკ. ბალშავი), უმაკურ-ი დაუმაკებელი (იხ. საბა უზვი, ურწანი), ჭინჭყილა წვრილი თევზი, — ჭიჭყინა (იხ. შარაშ. ქარფალი), ჭორდ-ი კორძიანი (იხ. კინკ. ჭიჩკლიანი)...

ზემოიშვებულ ლექსიკონში შედის ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც:

ა) აქამდე არც ერთ სხვა ლექსიკონში არ ყოფილა შეტანილი (დოცკიმაკი-ი, კორიო, კოსორ-ი, ნარდიშ-ი...).

ბ) ლექსიკონებში (განსაკუთრებით ქართული ენის განმარტებითა და იმერულ ლექსიკონებში) მოცემულ განმარტებებს ავსებენ დამატებითი მნიშვნელობით ანდა აზუსტებენ.

მაგალითად: განმარტებითს ლექსიკონში ჩქოლა ასე არის ახსნილი: „1. ქორფა, ნორჩი — ჩქოლა ბალახი. — ჩქოლა ბურგაკი... 2. ახალმზარდი ხე“. ზემოიშვებულში ჩქოლა ითქმის ადამიანზეც:

„ნეფე ჩქოლა იყო, ქალიც ჩქოლა იყო“.

განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, შარბათი არის „შაქრითა და ხილის წვნით დამზადებული ტკბილი სასმელი“. ზემო იმერეთში შარბათ-ი ტკბილში მოხარშულ ტყლაპს ეწოდება.

ამ მოცემული ზოგი განმარტება ცვლის წარმოდგენას სიტყვის გავრცელების არეზე. განმარტებითს ლექსიკონში წერია: „ამბარ-ი 2 ყუთის მსგავსი დიდი (რამდენიმე ათეული ფუთის) ტევადობის სათავ-

სი ხორბლეულის ან ფქვილის შესანახად (ქართლ-კახეთში)“. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით გვხვდება ზემო იმერეთშიც.

გასათვალისწინებელია დიალექტური ჩვენებაც. სიტყვაკაზმულ მწერლობაში დაცული ამა თუ იმ ფორმის სასახსნელად. განმარტებითს ლექსიკონში ვკითხულობთ: აზეულ-ი ხელოვნ. აწეული, ამალღებული (ფრაზა ვ. ბარნოვისა); ცაიერად-ი პოეტ. კოკისპირული წვიმა (ფრაზა გ. ტაბიძისა).

მასდარი აზევა (აწევა) და მიმღობა აზეულ-ი (აწეული) ზემოიმერულში დასტურდება. საბას აქვს მხოლოდ აზევა (აწევა) და ჩანს, რომ მან ეს ფორმა ქართლური მეტყველებიდან აიღო; იმერული კომპოზიტური ზმნისართი ცაერათ (ცა ერთად; ცა ერთად წვიმს) გამოუყენებია გალაკტიონს. მაშასადამე, აზეულ-ი არის კუთხური (ქართლურ-იმერული), ცაიერად-ი კი — ხალხური კომპოზიტისაგან ნაწარმოები, მაგრამ მაინც პოეტური ფორმა.

ზემოიმერულ ლექსიკონში შეტანილია ისეთი სიტყვებიც, რაც განმარტებითს ლექსიკონშიც არის, მაგრამ მნიშვნელობის რაოდენობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, კაკალ-ი¹ განმარტებითს ლექსიკონში წარმოდგენილია ხუთი მნიშვნელობით, ზემოიმერულში ამათგან მხოლოდ ორი მნიშვნელობა დასტურდება;

ლოჯ-ი განმარტებითს ლექსიკონში ექვსი მნიშვნელობის მქონეა, ზემოიმერულში მხოლოდ ერთისა და ა. შ.

განმარტებითს ლექსიკონში ზოგიერთ ზემოიმერულ სიტყვასა თუ გამოთქმასთან არ არის საილუსტრაციო მასალა. ზემოიმერულ ლექსიკონში კი ამ სიტყვებს სათანადო დამოწმება ახლავს ცოცხალი მეტყველებიდან (იხ. უხად-ი, ფეტველა, შარი-ი²...).

განმარტებითს ლექსიკონს შეემატება არა მარტო ზემო იმერეთში, არამედ დასავლურ დიალექტებში გავრცელებული, ლექსიკოგრაფიული და მხატვრული ლიტერატურიდან ცნობილი ზოგიერთი სიტყვაც:

ართვალ-ი არათვალადი (ულამაზო) ადამიანი (იხ. ილ. ჭყონია, სიტყვის-კონა, 1910; აკ. ბელიაშვილის „ოქროს ჩარდახი“, ლადო ასათიანის „ფიროსმანის მეგობრებთან“), თავისახლ-ი გათხოვილი ქალის მშობლიური ოჯახი (იხ. ვუკ. ბერიძე, სიტყვის-კონა, 1912; ხ. უდენტი ურული კილო, 1936; ნ. ლორთქიფანიძის „კერიისათვის“, ბანოვანის „შორეული ლანდები“...).

ბავშვთა სათამაშო სახლს ხუხულა ეწოდება (იხ. განმარტებითს ლექსიკონი), მაგრამ საკუროთა მისი სინონიმიც — საბასეული გოჭილა, რაც იმერულსა და რაჭულ-ლეჩხუმურს შემოუნახავს გოჭილა-ს სახით (იხ. მ. ალავეძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, 1938) და გამოყენებულია მწერლობაში (გოჭილა — კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“;

გოჭიალა — ნ. ლორთქიფანიძის „დანგრეული ბუდეები“, რ. გვეტაძის „ქიაკოკონა“...).

მოკლედ: ზემოიმერული ლექსიკონის ნიმუშებიც (ართვალ-ი, თავი-სახლ-ი, გოჭიალა...) სამწერლო ენის სარეზერვო მარაგს განეკუთვნება.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ზემოიმერულ მასალასთან შედარებით (იხ. „შემოკლებათა განმარტებაში“: განმარტებითი ლექსიკონი, ილ. ჭყონიას, ვუკ. ბერიძის, ივ. ჯავახიშვილის, ბ. წერეთლის, ალ. მაყაშვილის, ზ. ჭუმბურიძის, ლ. ლეჟავას, პ. ჯაჭანიძის, ივ. ქავთარაძის, მ. ალავეძის ნაშრომები) ამა თუ იმ სიტყვას ავტორი დეტალურად ხსნის, ფრაზებს ურთავს, უთითებს ახალ წყაროებზე, უჩვენებს სიტყვის ჩაწერის ადგილს. სიტყვასთან წყარო აღნიშნულია ამგვარად:

ოწგარო (შდრ. ბერ.), ბოჭინჯგალ-ი (შდრ. წერ.), ბლუღუნა (შდრ. ქავთ.), ურწყავ-ი (შდრ. განმარტ. ლექს. იმერ.). პომპორ-ი (შდრ. დიალექტ. იმერ.)...

აქ უხვადაა წარმოდგენილი უცნობი ფონეტიკური ვარიანტებიც: ჩოკორ-ი ჩოჩორი (იხ. ჭყ. ჩოკი), გულჩინჩახვა გულფიცხი (იხ. ბერ. ჩინჩახვა), ქველაურ-ი შავყურძინიანი ვაზის ჯიში (იხ. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. ქველოური), დოდიალა ბუნჩულა, მსუქანი (იხ. წერ. დონ-დოლა), დაგვიტნი-ს გაღვრეკს (იხ. ქავთ. დაგვიტნი), ქვინთიში-ი კუნტრუში (იხ. განმარტ. ლექს. კვინტრიში)...

ქეთევან ძოწენიძე ხშირად განმარტებაში იყენებს ბოტანიკურ ტერმინს, რომელიც ალ. მაყაშვილმა დაადგინა. აუცილებელი არ იყო, რომ მას მოეცა მცენარის აღწერილობა, მაგრამ ის აქ უმთავრესად ფრაზეოლოგიური სახითა გვაქვს და ძვირფასია დიალექტოლოგიისათვის. უფრო მნიშვნელოვანია (ალ. მაყაშვილის ლექსიკონით ცნობილი ზემოიმერული სიტყვის) ქეთევან ძოწენიძისეულ განმარტებაში მოცემული მასალა ხალხური მკურნალობის შესახებ (იხ. ოშოშა, ტყიურ-ი, ქორჩიოტა, ხობზის-საკენკელა...). ალ. მაყაშვილის ლექსიკონში არ მოიპოვება სამკურნალო თუ სხვა მცენარეთა ზემოიმერული სინონიმები: ბრავალძარღვა, გვივრა, ფურღვალა (ფურღვენა), ხობზის-საწეწკელა, ჯორიფოლა...

სიტყვები შედარებულია ქართული სალიტერატურო ენისა და ქართულ დიალექტთა ლექსიკოგრაფიულ წყაროებთან (იხ. სია). თუ განმარტება ემთხვევა ლექსიკონში მოცემულს, მაშინ მას იხ. (იხილვ) უწერია, თუ დაშორებულია — შდრ. (შეადარე).

დარგობლივი ლექსიკიდან ავტორს დამთავრებული დარჩა „ზემოიმერული კერამიკა“, რაც, როგორც დამოუკიდებელი ნაწილი, ერთვის ლექსიკონს.

მას მოჰყვება ტრონიმები და ბოლოს — ონომასტიკა.

წიგნს დამატებად ახლავს „მასალები ოკრიბული ლექსიკონისათვის“, რაც ტყიბულის რაიონის რამდენიმე სოფელში ჩაწერილ ნიმუშებს შერჩევით წარმოგვიდგენს. რამდენადაც ოკრიბული ლექსიკური მასალა ხშირად არის დამოწმებული ზემოიმერულ ლექსიკონში, ამიტომ საჭიროდ ვცანით მისი დაბეჭდვა.

ქეთევან ძოწენიძის მიერ მოპოვებული უცნობი დიდძალი ზემოიმერული მასალა ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ სარეზერვო ფონდს გაამდიდრებს, იგი საჭირო და ფასეულია ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის.

მიხეილ ალაფიძე

უემოკლებათა განმარტება

- ალავ. ლეჩხ. — მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.
- ალავ. ლეჩხ. XIII — მ. ალავიძე, მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის: ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, ქუთაისი, 1955.
- ალავ. ლეჩხ. ეთნ. — მ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა (ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი, 1951.
- ალავ. ოკრ. — მ. ალავიძე, ოკრიბული ლექსიკონი: ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, ქუთაისი, 1950-1951.
- ალავ. XXIV — მ. ალავიძე, ქართული დიალექტური ლექსიკიდან (გურულ-იმერული და რაჭულ-ლეჩხუმური მასალები): ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXIV, ქუთაისი, 1962.
- ანდრ. — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966.
- ბაბუნ. — ელ. ბაბუნაშვილი, გ. მაკავარიანი, ზ. კუშმეურიძე. მასალები პურეულის ლექსიკონისათვის ქართლში, გარეკახეთსა და ქვემოიმერეთში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეათე სამეცნიერო კონფერენცია, 1948.
- ნ. ბარათ. — ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1945. დართული აქვს ვ. ბერიძისა და ს. იორდანიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი.
- ბერ. — ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, C-III, 1912.
- ბესიკი — ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, ტფილისი, 1932. დართული აქვს ვ. თოფურიას მიერ შედგენილი ლექსიკონი.
- ბოქორ. მასალ. საქ. ეთნ. VIII — ლ. ბოქორიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, თბილისი, 1956.
- გაბ. — ბესარიონ გაბუური, ქვესურული მასალები, პროფ. ა. შანიძის რედაქციით. გამოყენებულია ამ მასალებს დართული ლექსიკონი, შედგენილი ა. შანიძის მიერ: „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული“, I—II, ტფილისი, 1923—1924.
- განმარტ. ლექს. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, I-VIII, 1950-1964.
- გრიშ. — ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოქემა, ლექსიკონი, თბილისი, 1927.
- გურამ. — დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბილისი, 1955. დართული აქვს ი. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი.
- დიალექტ. — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I. ქართული ენის კილოზა მოკლე განხილვა.

ტექსტები. ლექსიკონი. თბილისი, 1961. გამოყენებულია ყველა კილოს ლექსიკონი. სათანადო დიალექტიც მითითებულია, მაგ.: დიალექტ. ხევს., დიალექტ. ქართლ. და ა. შ.

ერისთ. — რაფ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, ტფილისი, 1884.

ვაჟა — ვაჟა-ფშაველა, ლექსები, I, 1946; II, 1950; პოემები, III, 1930; IV, 1932. დართული აქვს ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

ვისრ. — ვისრამიანი, თბილისი, 1938. დართული აქვს იუსტინე აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

თუშ. ძვ. საქ. II — დ. კარიკაშვილი და ივ. ბუქურაული, თუშურს-ლექსებში ნახარის სიტყვების განმარტება: „ძველი საქართველო“, II, ტფილისი, 1911-1913.

ი. იმნ. სიმფ. — ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1948-1949.

ი. იმნ. ქრესტ. — ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, ლექსიკონი, თბილისი, 1953.

კახ. — არ. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, თბილისი, 1956.

-კ. კახ. — კ. კახიანი, გლეხის კარმიდამო იმერეთში, თბილისი, 1964.

კირ. — ეპისკოპოსი კირიონი, სალექსიკონო მასალა: „ძველი საქართველო“, II, ტფილისი, 1911-1913.

კლდ. — დ. კლდიაშვილი, თხზულებანი ორ ტომად, თბილისი, 1952. დართული აქვს მ. ალავიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

კოკოჩ. — გ. კოკოჩაშვილი, ტერმინოლოგიური ეტიუდები: ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXIV, ქუთაისი, 1962.

ლევ. — ლევ ავალი, შევენახეობის ტერმინები კიათურაში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, III, 1948.

მაის. — ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან: რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, ბათუმი, 1954.

მაკალ. თუშ. — ს. მაკალათია, თუშეთი, ტფილისი, 1933.

მაკალ. მთიულ. — ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფილისი, 1930.

ბ. მარი Грамм. чан. яз. — Марр Н. Я., Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, С-Птб., 1910.

ბ. მარი Т. Р. VII — Георгий Мерчул, Жизнь св. Григория Хандзтийского: «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», кн. VII, С-Птб., 1911.

მაყაშ. — ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1949.

მაკავ. — გ. მაკავარიანი, პურეულის ლექსიკა გარეკახეთში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეათე სამეცნიერო კონფერენცია, 1948.

მენტ. — სტეფანე მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი, 1943.

ნემშ. — ალ. ნემიანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1961.

ნინოშ. — ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, I-II, თბილისი, 1932. დართული აქვს თ. კიკვაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

ნიქ. — შ. ნიქარაძე, ქართული ენის ზემოაპარული დიალექტი (ლექსიკონი), ბათუმი, 1961.

ოკრ. — ქ. ძოწენიძე, მასალები ოკრიბული ლექსიკონისათვის. მოთავსებულია აქვე, გვ. 635—639.

- ჟღ. — ს. ქლენტი, გურული კილო, თბილისი, 1936.
- რუსთ. — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1957. პოემას დართული აქვს ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.
- არცხილ. — ი. რცხილაძე, საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა, თბილისი, 1956.
- საბა — სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, I, 1966; II, 1967.
- საქ. აპელ. — ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, საქართველოს აპელოგრაფია, თბილისი, 1960.
- სახ. — თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი, I, 1950; II, 1954.
- ს. მ. ტერმ. — სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, თბილისი, 1959.
- ტაბ. — დ. ტაბიძე, საქართველოს ეაზის ჭიშები, II, თბილისი, 1954.
- უთურ. — თ. უთურგაიძე, თუშური კილო, ლექსიკონი, თბილისი, 1961.
- ქეთ. — ივ. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
- ქეშიკ. — ივ. ქეშიკაშვილი, თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, თბილისი, 1969.
- ქ. ცხ. — ქართლის ცხოვრება, თბილისი, I, 1955; II, 1959. გამოყენებულია დართული ლექსიკონი, შედგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ.
- ლ. — ალ. ლლონტი, ქართული ზღაპრები და ლეგენდები, ლექსიკონი, თბილისი, 1948.
- ყაზბ. — ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, I, II, 1948; III, 1949; IV, 1950. დართული აქვს შ. ძიძიგურის მიერ შედგენილი ლექსიკონი.
- ყიფშ. — И. Кипшндзе, Грамматика мингрельского (шверского) языка с хрестоматией и словарем, С-Птб., 1914.
- ყუბ. — ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946. დართული აქვს მ. კაბაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი; II, 1949. დართული აქვს ივ. ქავთარაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.
- ა. შან. — ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები. ნათესაობის აღმნიშვნელი ერთი ტერმინი ქართულში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 20, № 2, 1958.
- ა. შან. გ. მთ. ენა — ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრების მიხედვით, თბილისი, 1964.
- შარაშ. — გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1933.
- შანშ — შაქ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, თბილისი, 1916. აბულყასიმ ფირდოუსი. შაქ-ნამე, ქართული ვერსიები, II, ტფილისი, 1934. დართული აქვს იუსტინე აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.
- ჩიტ. — გ. ჩიტაია, რაჭული სახენელი: ენიკის მოამბე, I, თბილისი, 1937.
- ა. ჩიქ. ფერ. — არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფილისი, 1927.
- ა. ჩიქ. შედ. ლექს. — არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.
- მ. ჩიქ. — მ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი: ალ. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1941.
- დ. ჩუბ. — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887.

- ნ. ჩუბ. — ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბილისი, 1961
- ძიძიგ. ძიგბ. — შ. ძიძიგური, ჰიბანა ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954.
- ბ. წერ. — ბ. წერეთელი, ზემოიშორული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.
- კინკ. — ალ. კინკარაული, ხვესურულის თავისებურებანი, პროფ. არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბილისი, 1960.
- კუმბ. — ზ. კუმბურიძე, მევენახეობის ტერმინოლოგია ქვედა სიმონეთში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, III, 1948.
- კუ. — ილია კუონია, სიტყვის-კონა, С-Птн., 1910.
- ო. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. — ივანე ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთა-მკოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, ტფილისი, 1925.
- ო. ჯავახ. ქართ. სამართ. ისტ.—ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ტფილისი, 1928.
- ო. ჯავახ. ქართ. და კავკ. ენ. — ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937.
- მ. ჯან. — მ. ჯანაშვილი, საინგილო (გამოყვევას დართული აქვს ლექსიკონი): „ძეული საქართველო“, II, ტფილისი, 1911-1913.
- ჯაჯ. გურ. — პ. ჯაჯანიძე, მასალები გურული ლექსიკონისათვის: ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVII, ქუთაისი, 1957.
- ჯაჯ. IX — პ. ჯაჯანიძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის: ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, 1949.
- ჯაჯ. X — პ. ჯაჯანიძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის: ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, ქუთაისი, 1950-1951.
- ჯოხ. — ნ. ჯოხაძე, მევენახეობის ტერმინები შიგნიკახეთში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, III, 1948.
- ნ. ჯოხ., ლ. ლეჟ., ზ. კუმბ. — ნ. ჯოხაძე, ლ. ლეჟავა და ზ. კუმბურიძე, მევენახეობის ძირითადი ტერმინები კახეთსა და იმერეთის ზოგიერთ კუთხეში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, III, 1948.

ბოტ. — ბოტანიკა

გადატ. — გადატანით, გადატანითი

ეთნ. — ეთნოგრაფია

ზოოლ. — ზოოლოგია

იხ. — იხილე

მნიშვნ. — მნიშვნელობა

პოეტ. — პოეტური

საპირისპ. — საპირისპირო

სე. — სვანური

სინონ. — სინონიმი

ტექ. — ტექნიკური

ფიგ. — ფიგურალური

შდრ. — შეადარე

შნშ. — შენიშვნა

კრუმორწმ. — კრუმორწმუნეობით

ძვ. — ძველი, მოძველებული

ააზიაქეფ-ს ააწიოკებს. შუა სოფელში ვართ და, რო ავ აზ ი ა ქ ო თ, თელი სოფელი გამოგვეკიდება (მოხვა). (იხ. დიალექტ. ჯავახ. და-თალენა).

აკალიფეფ-ს შეინახავს. ავაკალიფეთ სიმიდი (სვერი). (შდრ. ქავთ. აკალიფება). იხ. ეიკალიფეფს.

ანკრებულ-ი აკლებული, აწიოკებული. მოდის გოგია და აანკრებული ვართ (უჩამეთი). (შდრ. ქეშიკ. აბოჟირებული).

აფორჯილფ-ს ჯახირით ამუშავენს. იმდენი შეაწუხა ი ნეფსნა, რო ააფორჯილა გული (ბაჯითი).

ააჯენჯეხეფ-ს აატალახებს. ძროხა ქ'არ გადააბრუნეფს ნალიასა? სულ ააჯენჯეხეფს (ტაბაკინი).

აბალთულ-ი ალესილი, მკრელი. აბალთული სასხლები მიკავია ხელში (უჩამეთი). (იხ. განძარტ. ლექს. კახ. ფშ. ბალთავს).

აბარბუცდებ-ა აბარბაცდება. ავბარბუცდებოდი და ვაკეთებდი საქმეს (შომახეთი).

აბარდავ-ს ბარდიანად, ძირიანად მოთხრის. დღეს ლობიო ავბარდეთ და დვევილავ (შომახეთი).

აბელანია (რუს. об'явление) განცხადება. დამამწყვრიეს ჟანდრის კანცელარიაში, ნავხე, აბელანია არი გაკრული (ლიჩი).

აბზილაკ-ი კუდაბზიკა, მეტიჩარა. არაფერი აქთ და აბზილაკები ქე არიან (ხილარი). (იხ. ქავთ.).

აბილაურ-ი საზამთრო ვაშლი. აბილაურსა ცალი გვერდი წითელი აქ, ცალი -- ყვითელი (ლიჩი). (იხ. ჭყ., ალავ. ლეჩხ., განმარტ ლექს.).

აბილბითეფ-ს უსაქმოდ ატარებს, ახეტიალებს. ის მოისპო, მაბილბითა თავის ჭკუაზე (დოდორა). (შდრ. ქავთ. დაბილბითება).

აბილიკება გაგდება. აბილიკება უნდა მაგას! კაცმა ეიბილიკა სიკვდილი (ვახანი). იხ. ეიბილიკეფს.

აბიწნი-ს არეკავს, ააგდებს. სამსონმა თქვა: ყველას ავბიწნი მაგათო. მართლა არეკა ხალხი სულე (ზრეთი).

აბიშო, აბიშო! ცხვრის მოსახმობი შეძახილი (ბოსღვევი).

აბლიწკნავ-ს იგივეა. რაც მობაწნის (იხ.). იმ ძროხას ოუბლი-
წკენია ბალახი (სანახშირე).

აბოთებულ-ი სულელური. დეიწყო აბოთებული ლაპარაკი, თურ-
მე ნერვები ეეშალა (წირჭვალი).

აბორბოშებულ-ი აბიბინებული, ამწვანებული, აყვავებული. აბორ-
ბოშებულია ყოლიფერი, ნახვას არაფერი ჯობია (ბოსლევი).
(შღრ. ქავთ. ვადაბორბოშებული).

აბორშოშდებ-ა აბიბინდება, ამწვანდება, აყვავილდება. აბორშოშ-
დება წვანილი (ბოსლევი); აბორშოშდა ქვეყანა (სანახშირე).
აბორჩაღეფ-ს აღოღიალებს, ძალაუნებურად ამუშავებს. შაქრიანია
ღვინო თუ რაცხა, ეს გვაბორჩაღეფს, თვარა გავწყტებით
(ტაბაკინი).

აბოჩელიკეფ-ს მოუხერხებლად აკეთებს. რავა აბოჩელიკეფ ხელ-
ში საქმეს (რგანი).

აბრა გამაწონასწორებელი საწონი. ბრუდი რო მოვა სასტორი, დოუ-
დებენ კვერცხს, ქვას გასასტორებლად. აბრა არი ისი. ქალი რო არ
ივარგეფს, მუღმატებენ მზითეფს. კაცი ამბოფს: ქალი ნაკლებია და მა-
მეცი ბარგიო. აბრა არი ესეც (ხიდარი).

(იხ. საბა, გურამ., დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს; შღრ. კყ.,
ქღ.).

აბრალი-ს აბრალებს, ბრალს სდებს. ქეთო გეტყოდა: მარუსას აბრა-
ლიენაო (ტაბაკინი); მე რას მაბრალის? (განთიადი).

აბრეშუნი-ი გადატ. აბრეშუმის ჭია. ხან ვარ წველავათ, ხან მამეღელათ,
ხან აბრეშუნი მამყავს ხოლმე (ხადვინე); აბრეშუნი დავა-
ჯინე (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს.; შღრ. მ. ჯან. აბრაშუმ, ვაჟა
II აბრაშუმი).

აბრეშუნის წასვლა აბრეშუმის ჭიის პარკად ქცევა. ცახში გეიკეთებენ
ჭიები პარკეფს და ვიტყვი: „წევიდა აბრეშუნი“ (სანახშირე).

აბროგინდება-ა ახმაურდება. ხალხი აბროგინდა უკვე (დილიკაუ-
რი).

აბროლავეფ-ს ანიავებს, ბრესაგან — ბრელოსაგან წმენდს. მანქანები
ქეც მვის, ქეც აბროლავეფს, აქაც შემოიღებენ მაგას (ღარიხე-
ვი). (იხ. ქუმბ. ააბრელოვებენ).

აბროსიაღეფ-ს ატრიალებს, თავბრუს ახვევს. თვეში ერთხელ გამა-
ბროსიაღეფს (ბორითი). იხ. ბრუსიალი.

აბუება ათვალწუნება. ნუ იცი აღამიანის ასე აბუება (ზარანი). (იხ.
განმარტ. ლექს.).

აბუებულ-ი ათვალწუნებული, აძულებული. ოჯახში ეგოგო აბუე-
ბულივით ყავდათ (ღარიხევი). (იხ. განმარტ. ლექს., ჯაჯ. IX).

აბურჭაღეფ-ს ათამაშებს. დააჯინეთ და აბურჭაღეთ ბოვში (გან-

თიადი); აგერა აბურქალეფსე გელი მონადირის შვილს (პერევი). იხ. ბურქალი.

აბუშტოობა დროის მონაკვეთი 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე. აბუშტოობას უძახიან დროს 15 კვირიკობისთვიდან 15 მარიაობისთვემდე, როცა იამანი (იხ.) ჩთება (პერევი).

აბუჩალიკათ აბუჩად. ქმარი ქე ქირდებათ, შვილები ქე ქირდებათ და დედამთილს ასე აბუჩალიკათ იგდებენ (განთიადი). (იხ. საბა აბუჩალიკი; შდრ. დ. ნ. ჩუბ.).

აბუცავება იგივეა, რაც აქირჩიმალეზა (იხ.). ძროხამ იცის თავის აბუცავება (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. რაჭ. ბუცაობა).

აგაგაგაში ყოფნა წვალებაში, საყვედურსა და ჭაგლაგში ყოფნა. მიტოვიწვალე, რომ ბოვშებმა აგაგაგაში არ იყონ (ჩიხა).

აგალავს ააქმევს, გალას (იხ.) გააკეთებს. თუთუნი აგალა (ხიდარი). აგალვა სახელი აგალავს (იხ.) ზმნის მოქმედებისა. ჩვენ ვიცით თუთუნის ფოთლების აგალვა (ხიდარი).

აგერას აგერ (იხმარება მთელს ზემო იმერეთში). თელი დღე თავდება აგერას (უჩამეთი).

აგლინება სისველეზე ფეხის დასხლტომა, დასრიალება. სისველეზე ატება ფეხი, ამას აგლინება ქვია (ხიდარი).

აგლუწინდება-ი იგვეა, რაც გლინავს. იხ. გლინავს. ოუგლინდება.

აგლუწინებულ-ი ასრიალებული. აგლუწინებულია ჩემი ყველი (ხიდარი).

აგნები-ა გააგებინა. ვაგნებიე, რომ მომეწონა (ხევი).

აგრანო-ი აგრონომი. აგრანოი მეუბნებოდა, ვენახს რომ ვამუშავებდით, რომ მოტყეპნე ეგე ძან მაგრათ, სიო არ ჩაე და გვალვის წელიწადში კაი იქნებო (შომახეთი); აგრანოი არ მინახავს (დორეშა).

აგუნგრავეფს-ი შეაგროვებს. თავს მოუყრის. წიწილეფს საკენეს უყრის და აგუნგრავეფსა (ხიდარი); საქონელი და აგუნგრავა: კაკალი. შევაგუნგრავე (ვანი).

აგუფთავს-ი ნაჭერ-ნაჭერ, ნაწილებად, წვრილად დაჭრის. რავარც მიიყვანა ე ხარი, იმინუჩი დაჭრეს, აგუფთავს (პირველი სვირი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. გუფთა, ყაზბ.; შდრ. ალავ. ლეჩხ. გუფთა).

ადამტიტველ-ი სრულიად შიშველი, ბიბლიის ადამივით ტიტველი. ადამტიტველი იყო ქალი (ხიდარი).

ადგილოფ ადგილობრივ. თუ მივა კაცი ადგილოფ. ნახავს, რა ყოფილა ციხე (ბაჯითი).

ადესა ვაზის ჭიში, თეთრყურძნიანიცა და შავყურძნიანიც; იგივეა. რაც

აზაბელა (იხ.). ადესა თეთრიც არი და შავიც (მანდაეთი); იზაბელას უძახიან ადესას ჩვენში (ტაბაკიხი). (იხ. ელ., განმარტ. ლექს.).

ადესა სიმილი დიდტაროიანი და ფართომარცვლიანი სიპინდის ჯიში. ადესა სიმილი დიდი არ იზდება და ტარო კარგი აქვს (ზედუბანი). (იხ. დიალექტ. ლექს.).

ადესტატი-ატესტატი. ადესტატი აგერ მაქ (განთიადი).

ადლი-სიგრძის საზომი ერთეული. ადლი სამი არშინია (მანდაეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ადორგიზეფ-ა უაზროდ, უთავბოლოდ ატარებს. სწორათ წავიყვან, აზა ხლა აქ ვადორგიზეფ? (შომახეთი).

ადოყდებ-ა ერთბაშად აიზრდება, აბიბინდება. ადოყდა ტალსუნა (ბოსლევო). (იხ. ქავთ.).

ადოყებულ-ი აბიბინებული, აყვავებული, ერთბაშად აზრდილი. ადოყებული რო იქნება ყოლიფერი, იტყვი: აქედან არ წავალო (სავანე). (შდრ. ქეშიკ. აყვირებული).

ადლამუზებულ-ი ატალახებული. ადლამუზებული არი სყოლიფერი წვიმებისაგან (სვერი). (იხ. ქავთ.).

აესუნტრებ-ა აეკვრება, აეწებება; ამოუღდება. ამდგარა ზეზე, კუდზე დამდგარა და ასუნტვრია ი წყეული ზურგში (ფარცხნალი). (შდრ. ალავ. ოკრ. სვინტრი, ჯაჯ. X ასვინტრული).

ავანტყოფობა ავადყოფობა. ჩემ ბიქს შეხვდა მოურჩენელი ავანტყოფობა (ფარცხნალი).

ავართ არონია მოუვლელად, კარდაკარ ატარა. შენ რო კარები გამეიკეტო და ავართ არონიო შეილები, მოვლა არ უნდათ? (ლორეშა).

ავგლახათ ვაგლახად. მაგათ ავგლახათ ბოვში არ შეეწონებათ (დილიკაური).

ავლახა იგივეა, ჩაც ალახა (იხ.). ავლახა დაგრეხილი წენელი, რომელსაც უყეთებენ ქალეთს (იხ.), რომ არ გადატყდეს (სვერი); ავლახა აქ გაყეთებული ქალეთს (ზედუბანი).

ავლისხე || ავლისხე ალვის ხე. ხეწიფეს ქონდა ერთი ავლისხე ი წირქვალი); დედ-მამა ტიროდა, ავლისხე წვალობდა (ზედუბანი). (იხ. დიალექტ. ქართლ. ავლისხე).

ავცელეფ-ს ავრცელებს. სერგო სოფელ ღორეშაში ავცელებდა თავრობის საწინააღმდეგო პრაკლამაციეთს (ლორეშა).

ავხელობა ქურლობა. უნცროსმა ბიჭმა ავხელობა დეიწყო (პერევი.).

ავხი ძაღლის მოსახსობი შეძახილი. ახი გამო (წაქვა).

ავთიანდება-ა წაქეზდება, ჩემით არც შეიშლიან საქმეს და არც აზა... იანდებიან (წირქვალი).

აზანბარი || აზანბარში მოხვლა შემოსწრებულის გათანასწორება დამხედურებთან ღვინის სმაში. აზანბარი დაალევიეთ მაგას, გვიან მოსულს (ტაბაკინი); ღვინო თქვენ დალეული გაქო, ჩვენც დავლევთ 1-2 კიქას და აზანბარში მოვალთ (შროშა). (იხ. ბერ., განმარტ. ლექს., ნეიმ).

აზანთის ლობიო კრემისფერია, მოყავისფრო ფხაკები აქვს (მოხვა).

აზევა აწევა. მალლა ხელის აზევა მიქირს (ლეღვანი). (იხ.: საბა).
იხ. აზეული, დეიხევეს, აუხევეს.

აზეულ-ი აწეული, ამალღებული. (იხ. განმარტ. ლექს.). აზეული სიტყვა ხოთ აწევით ნათქვამი სიტყვა. ერთი აზეული სიტყვა რო ეთქვა, დეიმაღებოდა ვენახში (ხიღარი); აზეულ სიტყვას ვერ ეტყვა. გული მოუვა (ფარცხნალი).

აზეულ-ი აწეული, ამალღებული. (იხ. განმარტ. ლექს.).

აზიაზღებ-ა აირევე-დაირევა; ახმაურღება. აზიაზღება ფრინველები (ზარანი).

აზიაზებულ-ი არეულ-ღარეული. აზიაზებულა ეხო სიმიღოთ (სვერი).

აზიზინღებ-ა ატირღება; ახმაურღება. ებოვეები აზიზინღენ: დედა გვინღო (ჯალაურთა). (მღრ. საბა ზიზინი, ყიფშ. ზირზინი, ალავე. ლეჩხ. XIII ზიზინი).

აზნევეფ-ს აზიანება, აწყენს, ავენებს. კაკლიანი ხორცი ადამიანს აზნევეფა (პირველი სვირი). (იხ. განმარტ. ლექს. კახ. ახნევეს).

აზრდი-ს აღზრდის. ორი შვილი ვერ უნდა ავზარდო? (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

აზრი-კვალში ფიქრად. ივანეს აზრი-კვალშიც არ მოხვლია, რო პოლონიკი ცხენეფს ეძებდა (ხრეითი); აზრი-კვალათ არ მომხვლია, რომ აქ მევიღოდი დღეს (იქვე).

აზროვნათ იყო აზრზე იყო. საძახა ჩვენთან თქვა ისი, -- კაცი აზროვნათ იყო (სვერი).

აზურავღებ-ა უსაქმოდ ანეტიალღება, აყიალღება. აზურავღებოან ხომე ბიქები. შენც დაზურაოფ? (მორძგვეთი). (მღრ. მეწთ. დაღერღეტება). იხ. დაზურაოფს.

აზურავებულ-ი უქმად ანეტიალღებული, აყიალღებული. გუშინწინ ექესი ბიქი აზურავებული მევიდა (მორძგვეთი).

ათავსცემეფ-ს წვალებით გაზრდის. მისთვის აწვალა და ათავსცემა, რო გეღლახა? (ჯალაურთა).

ათერძავ-ს ნაშემოდგომებს დაუმეშავებელ, ბალახიან მიწის ნაკვეთს, კორდს, უყს (იხ.) პირველად ღრმად დახნავს, რომ გაზაფხულზე ხელახლა გადახნას და შემდეგ დათესოს. გლეხი ნაშემოდგომეფს მიწას ათერძავს (უჩამეთი); ათერძებს უყი ჩვენმა კოლმეურნეებმა (განთიადი). (იხ. განმარტ. ლექს. გათერძავს, მაის. თერძვა).¹

ათეძაგ-ს-ჩგვიგვი, რაც ათეძავს (იხ.). საქართველოაქენა ხნევენ გუთნითა. გუთნით რო ხხევენ, ათეძვენ კორდსა, — ღრმათ მოხნევენ და 2-3 კვირეს იქნება, კავით მოხნევენ მერე (ქვები).

ათეძვა სახელბ! ათეძავს (იხ.) ზმნის მოქმედებისა. ათეძვაა, მარგალითათა, ამითანა კორდი რო იქნება, იმას რო დაეხნამთ ღრმათ, მერე კავითა დათესვენ სიმიდსა (ქვები). (იხ. განმარტ. ლექს. გათერძვა). იხ. ათეძვა.

ათისთავი-ი სამაშვლო ფული, 100 თუმანზე 10 თუმანი, — მეთადი (იხ. განმარტ. ლექს.). მე უთხარი: „სამაშვალო უნდა მამცე 100 თუმანზე ათისთავი იქნას უკან ქე არი ი ბიჭი აქა. არც ათისთავი მოუციათ და არც არაფერი (შომახეთი).

ათისწილათ ათასჯერ, ათწილად. მეთოხურს ათისწილათ ჯობია მუშა (ზედა საქარა); ათისწილათ ჯობია ქალაქი სოფელს (ქვედა საქარა).

ათლახ-ი გამრჯე, მარჯვე. ეგე ათლახი ქალია, ბევრს მუშაობდა და თელი თჯახი ეგ იყო (შომახეთი).

ათხაჯანა თავისნება; თამამი, მოურიდებელი. ეს გოგო ნამდვილი ათხაჯანაა (ბერეთისა); (იხ. განმარტ. ლექს. ახტაჯანა, ახტაჯინა, შარაშ. ახტაჯი, ბერ. ათხაჯელა, ალავ. ლეჩხ. ათხაჯი, ქეჩალი, ნიქ. ახტაჯი). იხ. ათხაჯენაოფს.

ათხაჯენაოფ-ს მოურიდებლად, თამამად იქცევა, თავისნებაზე დადის. ვარიგებდი და ჩემი. რიგება წვევიდა, ათხაჯენაოფს (ბერეთისა). აანტრეფ-ს აყრის, აიკლებს. რო გამოვა საირხე, აგვიანტრეფს (ზედუბანი); აგვიანტრა ამ ბოვშმა (ხრეთი).

აიბ-ი ნაკლი. აიბი არ დაყვეს ბოვშს, ენა აქ დაბმული (ხიდარი); იმ აღამიანს დიდი აიბი აქ (განთიადი). (იხ. ქავთ.; შდრ. შარაშ., ქყ.).

აილო! ძროხის მოსახმობი შეძახილი (სანახშირე).

აის-ი გათენებბის ხანი, რიურაჟი, აისს ავდექი (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს.).

აქაპკაპეფ-ს აქაქალეფს. სიცივემ ამ აქაპკაპა (ზარანი).

აქაპამ-ს 1. ნაჭერ-ნაჭერ, ასო-ასო დაჭრის. ძროხა დავკალით და ავკასპეთ (ხიდარი). (იხ. ქავთ.). 2. გადატ. დაწვრილებით დაჭკითხავს; გამრძევეს როგორც კურდღელი ოუკასპით მონადირეფს, ისე ავკასპეს სასამართლოში (იქვე). (იხ. დილექ. გურ. აჩარიქება).

აკიდებული თუთუნი თამბაქოს ფოთლები, თოჯნე ან მცენარის კანზე გასახმობად აცმული. თუთუნის ფოთლები უნდა აკიდო გასახმობათ. კატაბარდას უძახით ცენარეს, შევიტანთ მის კანს და 2-2, 3-3 ფოთელს ვაწყობთ, შერე გადავგრიხამთ და კიდე და კიდე დავადებთ და რამდენ-

ნიმე 'იქნება' გძლათ, რაც გეიმართება სიგძეზე. ხან თოკზეც ავკიდეთ. ამას ქვია აკიდებულ თუთუნის (შომახეთი).

აკონვა ვაზის ყლორტების მიკვრა სარზე. აკონვაა ამოყრილი ყლორტების მიკონვა სარზე (განთიადი). (იხ. მენთ. ახვევა, დიალექტ. ქართლ. დაკაეება, კუმბ. აკრა; შდრ. კირ.) ქყ.; განმარტ. ლექს., ჯაჯ. გურ.).

ალა საფქვილე, სადაც გროვდება წისქვილში ჩამოფქული ფქვილი (იხ. განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ.).

ალა-ალა ადვილად. მე ვერ გავზარდე შვილები ენგრე ალა-ალა (მერჯევი). (იხ. ბერ., განმარტ. ლექს.).

ალა-ბალა უთავბოლოდ. რავა ალა-ბალა დადიენ (შროშა). (იხ. ბერ. ალა-ბალა, ალაჯუნი, განმარტ. ლექს.; შდრ. ქეშიკ., ქყ.).

ალაბულულ-ი უგულო, უხეირო. ზოგმა ალაბულული მუშაობა იცის, არაქელათ (იხ.) ეკიდება საქმეს, არ აკეთებს გულიანათ (ღარიხევი).

ალაგ-მამულ-ი ადგილ-მამული. მე იქოური ქალი ვარ, მარა ჩვენი ალაგ-მამული ჯობია, ჩვენი ალაგ-მამული გაშლილია (ქვები).

ალაგოფ ადგილობრივ. ალაგოფ უნდა ქქონდეს ნამუშევარი (უჩაშეთი).

ალაზანია იგივეა, რაც ანაზარია (იხ.). ალაზანია მოყვრეფში არ მომივიდოს! (ბოსღევი).

ალამფეულობა კურკლეულობა. თავისი ალამფეულობა გეიყქეს ფუქეობის (იხ.) მიხედვით (ბერეთისა). (იხ. საბა ალაფი).

ალან-ი ალალი. ალანი იქნება იმაზე, რაც ამან იწვალა (ზედა ხაქარა); პაპიაჩემი ალანი კაცი იყო (ბერევი); რაც ალანი იყო, ქველარჩა (ზარანი). (იხ. ჯაჯ. IX).

ალან-მართალ-ი ალალ-მართალი. ალან-მართალი ხალხი ვართ (ხევი).

ალანხეთიურ-ი ღვთისნაერი, მართალი. ეს ქალი ალანხეთიური იაო, — იმას უთხრა, — შენე ტყუანი ხარო (წაქვა); ალანხეთიური ქალია, რას ერჩი ამ ქალაჲ?! (ხევი).

ალაფარდა აცობაცა. ალაფარდა სიარული ნუ იცი შენე (ხიდარი). იხ. მოალაფარდოფს.

ალაღანდარავეფ-ს (— ლაღანდარა) ალაზღანდარავეფს: ბიჭი ამათმა გამისულელეს. როგორც უნცროსს, ალაღანდარავეფდენ (ზარანი).

ალახა 1. ურმის სოლებში ამოკრული ლატანი ურმის დასამუხრუქებლად. ალახათ გვაქ დაგრეხილი წკნელი, მავთული ამ ბაწარი, რო ქალებმა (იხ.) აღარ გააწიოს აქეთ-იქით და ტვირთი არ გადმოყაროს (ბერეთისა); მოქანჩული ღვლენკია ალახა, რო ქალაები არ გადი-

შალოს (ქვაციხე); კოჭები რო აქეთ-იქით არ წევიდეს, ალახას ეხმაროდთ (ხვაშითი); ალახა ხია ქალებზე აქ ურეის, ან წინა და უკანა ქალებზე (ხრეთი). 2. თავდაღმართში რო წევიყვანთ ურემს, ერთ თვალზე ამოვაკრამთ სოლეფში ხეს, რომელსაც ქვია ალახა (ხიდარი). (იხ. ჭყ. ავლახა, ჯაჯ. IX, ალავ. ოკრ. ალენი; შდრ. ჭყ. ალახა, განმარტ. ლექს.).

ალაჯა იგივეა, რაც ალახა (იხ.). კოჭეფში გაყრილია ღვლენჭი — ალაჯა, რო ურემზე დწყობილი შეშა არ გადიყაროს (მოხვა).

ალეზ-ი ალიზი. ალეზია ყვითელი ფერის სილანარევი მიწა. რომ მოიზილებდა, წებოვნება აქვს, იხმარება ბუხრებისა და ქურების აშენების დროს კირისა და სილის მაგიერათ (ტაბაკინი); საშენებელი ალეზია ესე (ხიდარი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ. ალიზი, შარაშ. ალიზა მიწა).

ალერდ-ი იგივეა, რაც ბიქა-ბიქა (იხ.). ზოგ ვენახსა ბევრი ალერდ-ი ქონდა და აგვიანებდა ადამიანსა, ვენახს რო ვმორჩამდით (წირქვალ). (შდრ. საბა, ბ. წერ., განმარტ. ლექს.).

ალექსანდროულ-ი რაჭის მთავარი საწარმოო ჯიშის ვაზი, საშუალო სიმკვრივის ან თხელმტენიანი, მარცვალად საშუალო ზომისა ან პატარა, მუქი წითელი ან შავი ფერისა; შედარებით მცირემოსავლიანი ჯიშია. გამოიყენება როგორც სუფრის ღვინის, ისე ნახევრად ტკბილი ღვინის დასაყენებლად (იხ. რცხილ. 102—103, საქ. ამპელ. 94—98, განმარტ. ლექს.).

ალეშ-მალეშ-ი უსუფთაოდ მკეთებელი. ბევრი ალეშ-მალეში ქლია იქა და, რო გამოგვიგზავნონ რამე, არ ვქამთ (შუქრუთი). (შდრ. გირ., ჭყ. ალეში).

ალიათალი-ბალიათალი-ი ? ზღაპრის ბოლოს სათქმელი. ალიათალი-ბალიათალი, 100 ტყული და 1 მართალი (ქვები).

ალიამპარე (←ალილამპარი?) დიდი ალი. ალიოდა ალიამპარი (ღორეშა).

ალიგოტე || ალიკოტე ფრანგული ჯიშის ადრეული მწიფობის თეთრ-ყურძინიანი, დიდმოსავლიანი ვაზი. მისგან მზადდება მაღალი ხარისხის სუფრის ღვინო და კარგ მასალას წარმოადგენს შამპანურისათვის. ზემო იმერეთის ზოგიერთ სოფელში იგი ცნობილია შამპანის (იხ.) სახელწოდებით. ალიგოტეს საშუალო ან საშუალოზე მცირე სიდიდის მტევანი და ასეთივე თეთრი-მომწვანო მარცვალი აქვს (იხ. დიალექტ. ქართლ. ალიკოტე, საქ. ამპელ. 95-100). არი ალიგოტე თეთრი და ალიგოტე შავი, იხმარება შამპანიურის დასამზადებლათ (საბე, დილიკაური, ბაჯითი). (იხ. ალავ. ეთნ.).

ალიკარტი || ალიკარტე || ალიკარტა იგივეა, რაც გიბრიტა (იხ.) (სინონ. ორჯონიკიძე, ფრანგულა, ღორეშულა). ორჯონიკიძეს ალი-

კარტი ქვია, იმას კ'არ რწყევენ (დოდორა); ესე შავი ალიკარტე რო არი, იმან გაწყინა, თვარამ ნამყენი კ'არ გიხამს (ლიჩი). ალიკარტას შავი, წვრილი კაკალი აქ, საფერავივით, მელანივით მოგეცნება ხელზე. ადრე მწიფდება, უწინ საფერავათ ღმარობდენ (ტაბაკინი).

ალიუმპურ-ი? შელოცვის დროს ნახმარი სიტყვა.

ალიხულ-ი უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი. ალიხულია სახლი (განთიადი). (შდრ. ქეშიკ. ახნამტული).

ალნათ ალალად, პატიოსნად, სიმართლით. ის ერთი სვეტი იყო ალნათ ნაკეთებო (პერევი).

ალო შესაფერისი დრო. სეზონი. როცა მოგიწევს შენი ალო, თავად გამოგიძახებო (ბოსლევი); საქმე მუდამ არი, მარა თავ-თავისი ალო აქ (ლარხევი); ამ ალოში ქალებიც ზიდავენ საფქვავს (ზედუბანი). დიდარე სოფელია, მარა თავის ალოზე ველარ მუშაოფს ადამიანი (ზარანი). აზაფხულზე ალო არი და ხენას ვიჩქარით (ქორეთი). (იხ. ქყ.; ქეშიკ. განმარტ. ლექს., დიალექტ. იმერ., ჯაჯ. IX; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., გურამ., მენტო., დიალექტ. ქართლ.).

ალო-ალოს თაფზე თავ-თავის დროზე. დედაი ალო-ალოს თავზე საათობით მაჭმევს (ბოსლევი).

ალომეფ-ს ახელებს. იმას ალომებდა ისევერას ბიჭი (შომახეთი).

ალოპავება იგივეა, რაც ლოპავობა || ლუპავობა (იხ.). დაწყებულია ხის ალოპავება (ტაბაკინი).

ალოპავებულ-ი ასრიალებული, ლორწოიანი. ალოპავებულია ყველი და გვაძალის: ჭამე, ჭამეო (დოდორა).

ალოღლეთია ზარმაცი, უქნარა, დროის მფლანგველი. ყოველთვის იყო ალოღლეთია კაცი (მორღვეთი). (შდრ. მენტო., ქეშიკ. დროსელი, განმარტ. ლექს. ქიზ.).

ალოშბალ-ი ალუბალი. ალუმბლით მოუსვრია პირი (ხვაშით).

ალოუნჩა ალუნჩა... ალუნჩამ კბილები მამკვეთა (შომახეთი). (იხ. ქავთ.).

ალოუაზ-ი ალევანზი, გადატ. არეულ-დარეული საკმელი. ნალიეფში აქთ გარჩეული და გოურჩეველი სიმიდი ალუხაზივიით (ფარცხნალი).

ამავო ამაო. გეძებდით, მარა ამავო იყო (ხრეთი).

ამარ იხ. იამარეფს.

ამაშმაშებულ-ი ასადულებლად გამზადებულ. ამაშმაშებული ქე იქნება ტკპილიო, — ასე ვამბოფთ, დუღილს რო ეპირება (ტაბაკინი).

ამბარ-ი 1. ბელლის თვალი. შეიძლება ბელელი დაიყოს თვალებათ და ამასა ამბარი ქვია (მოლითი). (იხ. ალავ. ლეჩხ. ბელლითვალი: შდრ. დიალექტ. მესხ., ძიძიგ. ქრესტ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, მ. ჯან. საკან., ქ. ცხ., ვისრ., შჰნშ, ქყ. აკო). 2. დაბალი, გრძელი.

განიერი ხის სათავსი, რომელიც შეიძლება მთლიანი იყოს, შეიძლება გატიხრული და თვლებისაგან შედგებოდეს, სხვადასხვა სახის მარცვლეულის ჩასაყრელად. ამ ბარში ვინახავთ ნიგოზს, ლობიოს, პურის მარცვალს, დაფშენილ სიმიდს... 10 კოდი ჩადის ამ ბარში (ღვეფანი); ამ ბარი თვლებათ გვაქ დაყოფილი (ხევი, უჩამეთი); ამ ბარი შედგება 2-3 თვლისაგან და იქ ვინახავთ ქირნახულს (ქვები); ამ ბარში სიმიდს ვყრიან (ლორეშა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, დიალექტ. თიან., მენტ., ქეშიკ. აკო).

ამბოხ-ი „დაუმჯავებელი მაქარი“ (საბა). ამბოხია ღვინო, რომელიც დულს (განთიადი); ჭერ კიდევ ამბოხს ამბობენ, როცა აქლია დაღუღება (წიფა); ამბოხი არ არის ჭერ, ფხაჭი არა აქ (საბე); მიყვარს ამბოხი, შუშხუნა და კბენს ენას (ზედუბანი). (იხ. დ. ნ. ჩუბ., ჭყ., განმარტ. ლექს. მნიშ. 2, დიალექტ. იმერ., ალავე. ლეჩხ. ეთნ. ამბოხი, ჩქეფი, ქავთ. ქამბოხი, ლეყ. 71; შდრ. ა. შან. გ. მთ. ენა, ანდრ. 223 მნიშვნ. 2, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1). ამბოხათ იქნება შემეკედება. მიყვარს ახალ-ახალი კუპუსტო, ამბოხათ რო იქნება (ლიჩი).

ამდარი-ი ავდარი. დართთ თუ ჩამევიდა ქინკა, ამდართ. წავა (შომახეთი); გლახა ამდარია (შოხვა, წაქვა, წირქვალი).

ამდელი-ი ამდენი. ამდელი სტუმარი ბოკიყვანი, ამდელი (ვახანი). (იხ. დიალექტ. ქართლ. ამთვენი).

ამდონ-ი ამდენი. ამდონ კაცს მაინც ვერ მევერიე (ხიდარი).

ამეიბაგებ-ა ამოიბუგება, მოისპობა. ვაი, ამეიბაგა ისი! (განთიადი). იხ. ამობაგამს.

ამეიზენაქრეფ-ს ზენა ქარი ჩადგება. ამეიზენაქრეფს და ამილი შეიცვლება (ზარანი, მანდაეთი).

ამეიკარწახეფ-ს ამოიწევს, ამოიკეცავს (შარვლის ტოტებს, კაბას, სახელოებს). ამოუქარწახებია შარვალი და ფეხშველა ქე ჩამოსულა სახში (ზარანი). (შდრ. ჭყ. აკაპიწება, განმარტ. ლექს. აკარწახებული).

ამეინიავეფ-ს იგივეა, რაც ამეიქვენაქრეფს (იხ.). რა ამეინიავეფს, აღარ გაწვიმდება, ამილი გაწოვა (ტაბაყინი); ამეინიავეფს ახლა და კაი ამილი დადგება (სანახშირი).

ამეისუნთქმღეფ-ს ამოისუნთქავს. ასე ამევისუნთქმღეფ (ხიდარი). (იხ. ქავთ. სულთქვამს).

ამეიქვენაქრეფ-ს დასავლეთის (ქვენა) ქარი ჩადგება. ამეიქვენაქრეფს და კაი ამილი დადგება (ზარანი); ამეიქვენაქრეფს და იქნება ამილი იყოს (შომახეთი); მადლობა ღმერთს, ამეიქვენაქრეფს და დარი იქნება (ჭალაურთა, ზვარე).

ამეიქვეირებ-ა გამოიქვიტება. ზამთარში მზე რო გამოვა, იტყვიან:
ამეიქვიტება მზეო (შომახეთი).

ამესრავ-ს აღნიშნავენ, აგეგმავს. სახლი ამესრე (ტაბაკინი).

ამესრვა სახელი აშესრავს (იხ.) ზმნის მოქმედებისა. სახლს ჯერ
ამესრვა უნდა, მერე გავეთება (ტაბაკინი).

ამზადი-ს ამზადებს. შამისთვინ ვახშამს ამზადიდა (შუქრუთი).

ამთქვირებულ-ი ათქვირებული, სიმწიფეში შესვლის გამო ავსებულ.
ამთქვირებულ ტყემალს გავაკეთეთ (მოხვა).

ამიდი წივილის კარგი ამიდი დადგება, დარი იქნება. დიდ თებზე რო
გადმოთომს, მერე ამიდები წივილის (ბერეთისა); „ამიდი
წივილის?“ — „წავლილა და ესაა, დარი დგება“ (ფუთი).

ამიერში აღარ არი საამქვეყნო აღარ არის. ძირს კენესის ღვდელი, ამი-
ერში აღარ არი (ტაბაკინი).

ამირიკან-ი ნარმა. აქა ამირიკანია გაფენილი (ბერეთისა). (შდრ.
პერ. ამერიკა | ე-მ, ალავ. ლეჩხ. ამირი-ა).

ამლაკ-ი აზიზი. ე გოგო ცოტა ამლაკი მქამელია (ზარანი). (იხ.
ქავთ.; შდრ. ქეშიკ. აზიზ-მანიზი).

ამოასამწვერფ-ს სამ წვერს შეაერთებს ძაფისას. ძაფი უნდა ამო-
ასამწვერო და მერე დაძახო (ღარიხვეი).

ამოაწმინდაწყლეფ-ს რეცხვის დამთავრებისას ჭურში წმინდა
წყალს ამოავლებს. ქვევრებისა და ჭურების რეცხვის დროს, როცა
წმინდა წყალი ამოდის და აღარ უნდა რეცხვაი მეტი, ბოლოს საწმინ-
დაოთ ამოვავლეთ წმინდა წყალს — ამოვაწმინდაწყლეფთ
(ქორეთი); ჭურის ამორეცხვა თავდება მაშინ. როცა იგი ოფიჰოს (სარ-
ცხლის) სუნს უშვეფს ჭურში. მერე წმინდა წყალს გამოვავლეთ. ე. ი.
ამოვაწმინდაწყლეფთ და მერე ღვინო ჩეისქმება (ჩიხა).

ამობაგამ-ს 1. მოსპობს, ამობუგავს. „ვაი, ავიბაგა ისი!“ — „იმას რა
ამობაგამს, გამსილი აქ სახ-კარი“ (განთიადი). 2. ძირფესვიანად
ამოიღებს. ტყე ამობაგებს (ზვარე). (შდრ. განმარტ. ლექს. ქართლ.).
ამობიენდებ-ა ბაკუნით ამოვა. ის ნელ-ნელა ამობიენდება აქა
(ზედუბანი).

ამობორცვილ-ი ამობურცული. საფლავი არი ამობორცვილი
(ტაბაკინი).

ამოგლაგინ-ს ამოსვრის. ტანისამოხი ასე სა ამოგლაგინე?

(დილიკაური). (შდრ. ჰყ. ამოლანგვა. კლდ. ამოგლიგნილი.
ალავ. ლეჩხ. XIII).

ამოგულდულათ ხშირად. შეხუთულად. ვენახი რაც ქარვლათ (იხ.) არი.
ის ჯობია, როცა ამოგულდულათ არი, ის არ ვარგა (ღარიხვეი).

ამოგულავ-ს შიგთავსს. გულს ამოიღებს. კვახი ამოგულა და ხაპი
სახში გაატანა (სვერი). (შდრ. ბ. წერ. ამოგულვა).

ამოდონდორებულ-ი (←დონდორა) დიდად გამსხვილებული. ჩვენ კოზინაყები ფელამუშით არი გამსხვილებული, ამოდონდორებულ-ია (ტაბაქინი).

ამოზიგვა-ამოზიდვა. ზიგემდა ბაგრატი შეშას, მარა ვერ გაათავა ამოზიგვა (მოხვა). იხ. ზიგამს, ამოზიგული.

ამოზიგულ-ი ამოზიდული. შეშა არ არი ამოზიგული (მოხვა).

ამოთენგავ-ს | ამ-ს გახვრეტს. ხეს ამოთენგავენ და ხელნის თავში გამოუყრიან ლუსმანივით კინას, — ესაა თავტაპიკი (ბოსლევვი). (იხ. განმარტ. ლექს. თეგი მნიშვნ. 2, შარაშ, ჭყ. თენგი).

ამოკოპავ-ს იგივეა, რაც დაკოპავს (იხ.). ღერეულებს (იხ.) ამოკოპავენ (ჩიხა).

ამონაქრამ-ს ნამქრისაგან გაწმენდს. ამონაქრა თავის სახლი და ვანოსთან წვივიდა მერე დასახმარებლათ (ჭალაურთა).

ამორადეფ-ს სიმიდს მეორედ თოხნის. „როდის ამორადეფთ ყანას?“ (ხევი) სიმიდს ვამორადებთ ივლიში (ტაბაქინი). იხ. მორადი.

ამოსაბავ-ი ამოსაბუგავი. ამილახვარი იყო კიდე აქა, ამოსაბავი იყო (ვახანი). (შდრ. ნ. ჩუბ. ამოსავარდნელი).

ამოსირხვლამ-ს ამოულესავად შეკაზმავს. ლობიო ან უნდა ამოლესო, ან უნდა ამოსირხვლო (ხვერი).

ამოსრეხილ-ი ამოლესილი ლობიო. კირკაე ლობიოს ამოსრესილი ჯობია (ქორეთი, ხვერი).

ამოქარებულ-ი სუნგასული, სიმაგრედაკარგული. თავი არ ხურებია ბოთლს, ამოქარებულ-ია და სპირტი კი არა, ახლა აღარც არაყია (შროშა).

ამოქნილ-ი ამოზელილი, ამოლესილი. ამოქნილი ლობიო არ მიყვარს (დილიკაური). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

ამოჩუგნულ-ი გულამოდებული, ამოღრმავებული. მამას მუუტანდენ ხის ჯამს, უბრალოთ ამოჩუგნულს (მანდაეთი). (იხ. დიალექტ. ქართლ. ამოღრუნტული). იხ. ჩუგნის.

ამოწვერება „სამი თირისტრის ძაფს რო ამოახვევენ სამწვერათ, ესაა ამოწვერება“ (ღარიხევი).

ამოწიკამ-ს ამოზიდავს. მოუჭრია ი ჩემ შეილიწვილს შეშა და მერე მე ამოვწიკე (ღორეშა). (იხ. კლდ. უწიკავს).

ამოწმინდაწყლება სახელი ამოაწმინდაწყლევს (იხ.) ზმნის მოქმედებისა.

ამოწყება მოისპობა, გადაშენდება. ყოლიფერი ქონდა, ამოწყვა ალა (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. წყება). იხ. გადააწყავს. ამოხოშრამ-ს თვალეში ჩააყრის მომსხო რასმე. ქარი ამოგიხოშრამდა თვალეფს (შროშა). (იხ. საბახოშარი, განმარტ. ლექს.).

ამობრუქნულ-ი ამოღრმავებული. ამობრუქნული არი მიწა, იქ არი წყალი, ღარია გადებული ზედ (ხიდარი). (იხ. დიალექტ. ლეჩხ. ამოლუქული, ქავთ. ამოლრუქნული).

ამტელ-ი ამდენი. ამტელი სიარული აღარ შემიძლია (ზედღუბანი). (იხ. დიალექტ. გუდამაყ. ამტვენა, ჟაჯ. IX).

ამტელა ამოღენა. უწინ არც ქარი იყო ამტელა (ზვარე).

ამუნათეფ-ს. ამტყუნებს, უსაყვედურებს. რა შეიძინე. რო გათხოვდიო, — ის ცალკე მამუნათეფს, შენ ცალკე მამუნათეფ (უჩამეთი). (იხ. მაის. დამინათება; შდრ. განმარტ. ლექს., ნ. ბარათ).

ამფერი-ი ამგვარი, ამისთანა. ამფერი ქალის ნამხველი მე არა ვარ (სანახშირე). (იხ. განმარტ. ლექს. გურ.).

ამცნეფ-ს ამავრებს, აკერებს, აბნევს. ფოლაქი მომწყტა და დავამცნიე (ტაბაკინი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ამძრახეფ-ს ზრახვას ანდობს. ვასასის ქმრისთვინ კორბოულელ კაცს უნდა მიეცა სარგებელი. არ მიცა. გაამძრახა მიხეილი. დახვთა მიხეილი კორბოულელ კაცსა და წართვა ნასესხები ფული (ჭალაურთა). (შდრ. ქეშიკ. ამძრახება, განმარტ. ლექს. აზრახებს).

ამწარი-ს ამწარებს. ორი დღის სიცოცხლეს გვამწარის (ბოსლევი).

ამჭახეფ-ს ამქავეებს. კასრულში ჩავამჭახე ქაქაი (ტაბაკინი).

ანაგეფ ბუნებით. ანაგეფ ვარ ცივი (უჩამეთი). (იხ. ჭყ.; შდრ. ქავთ.).

ანაგნოტი-ი ანეგლოტი. მოდი ახლა, ერთი ანაგნოტი მოყევი (გეზრული). იხ. ანერდოტი.

ანაზარია ანაზღად; ერთბაშად, ერთობ. ანაზარია ცხოვრება არ ამიწერონ! ანაზარია ჭურეფში არაფელი ამომიღონ! (ტაბაკინი); ანაზარია ვანიჩკას ამბავი არ მამიტანოს! (ღარხევი).

ანამყო იგივეა, რაც ანაწყოლ (იხ.). ანამყო დევინახე (მოხვა).

ანაწყოლ ცოტა, ოდნავ. ცოტა რო იქნება, ვიტყვი: ანაწყოლ ტყივა ფეხი; ანაწყოლ წვიმა არი (მოხვა). (იხ. ალავ. ლეჩხ., ჟაჯ. X).

ანბარი-ი იგივეა, რაც ამბარი (იხ.). სკივრი ახლა იმტელათ აღაიავინ იცის, ჭირნახულის შესანახათ ანბარსა ვხმაროფთ (ზვარე).

ანგალ-მანგალი-ი მოქეიფე; ანგალი. აქანა ანგალ-მანგალი ხალხი მოდის (გეზრული).

ანგარი-ი ამაღა; მხედრობა. სოლომან ბძენი მოდიოდა თავის ანგარით (სანახშირე). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ.).

ანგეულობა იგივეა, რაც ანკეულობა (იხ.). სტოლის ანგეულობაა: თეფშები, ჭიქები, დანა-ჩანგალი... (საბე).

ანგრე აგრე. ანგრე თქვი, ანგრე (ლექვანი). (იხ. დიალექტ-ქართლ., ბ. წერ.)

ანგურ-ი აგური. ანგურის სახლები არ იციან აქა (ტაბაკინი). (იხ. ყბფშ. ანგურა).

ანდერძა ძველი ამბავი, გადმოცემა, თქმულება, ანდაზა. ეს ძველი ანდერძა არი (ხევი, ზედუბანი); ხალხმა იცოდა ეს ძველი ანდერძაი (ჩიხა). (იხ. დიალექტ. ხევის. ფშ. ანდრეზი).

ანე შატალკ. კავშ. ან. ან შენ მოდი, ანე მე ამოვალ (შროშა).

ანერლოტ-ი იგივეა, რაც ანაგნოტი (იხ.). ამან ანერლოტო იცის (ზვარე).

ანთავრეფ-ს ამთავრებს. შარშან დაანთავრა უმაღლესი (ვახანი); ანკეულობა აგებულება; მოწყობილობა. ყოლიფერი გითხარი ღორის ანკეულობაი (მოხვა); ესაა ურმის ანკეულობა (ხვაშითი); ოჯახის ანკეულობა ქემაქ (ბაჯითი).

ანლათ ადვილად. ანლათ თუ შეხვთა თურქული (იხ.) საქონელს. ფოლი (იხ.) აღარ აძვრება, ანლათ მეიხთის უმფრო (პირველი სვირი).

ანქრათ ოდნავ, ზერელედ, მსუბუქად. ანქრათ ვკამე და ისევე მშია (ზვარე).

ანლოლინეფ-ს აკიანურებს. მეფე არ დოუჯერეფს ვეზირს და ანლოლინეფს საქმეს (ხრეთი).

ანყირო სხალი „სხვილია, ადრე მოდის“ (ჭალაურთა). იხ. აყირო მსხალი.

ანჩიბანი-ი დამოკიდებულება, ურთიერთობა; დავიდარაბა. დომენტის რძლებს ვერ უგუებიათ, ისი და ახლა ცოტა სხვანაირი ანჩიბანი აქთ (ზედუბანი).

ანჩხლ-ი ბოტ. ანჩხლა (სინონ. იმერ. ჩინჩხორი). ანჩხლი ფხალია, კეთება მარტო გაზაფხულზე. თოვლს ეიღეფს თუ არა, იმ წუთშიდავე ამოვა ხუნურათ (იხ.), როგორც ვარდის კუკური, ისეთნაირად ამოდის. გშლის თუ არა ყვავილს, აღარ ვარგია. იცის უმფრო მთიან ადგილზე (ზედუბანი); ანჩხლსა ფართო ფოთოლი აქ, მოაღისფერო ყვავილი იცის, ნიგვზით კეთდება (ჩიხა). (იხ. მაყაშ.).

ანცქვეტილ-ი აცქვეტილი. ულვაშები აქ ანცქვეტილი (ტაბაკინი). ანძლა ბოტ. თეთრი ნარი. ანძლა სარეველა ბალახია, რომელსაც არა აქვს ქაცვი. თეთრი ნამყოფი აქ. მურთაქების გაკეთება ვიცით მისგან (შომახეთი); ანძლა მალლა იზდება და ბუმბულისებურ ყვავილს იკეთეფს (ზედუბანი, პერევი, წირქვალი, უჩამეთი, ქვები, ზვარი. არგვეთი). (მდრ. ქავთ. ანძლა-ანძლა).

ანწყო იგივეა, რაც ანაწყოლ (იხ.). ანწყო მტკივა მუხლი (მოხვა).

ანჯაგ-ი იგივეა, რაც არჯანი (იხ.). ნეტა მავას, ანჯაგ ი კაცია! (განთიადი).

აოშავ-ს | აშ-ს 1. ნახნავ მიწას ხელმეორედ არაღრმად გადახნავს გასაფხვიერებლად. ჭერ ავოშავთ ცარიელ მიწას (ბაჭითი). (იხ. კუ მბ. დაოშვა; შღრ. ბ ა ბ უ ნ. ნაოში). 2. ბალახებისგან გაწმენდს მიწას თოხით. ნაპურვალი თუ არი, ანდა უყია (იხ.) დასამზადებელი, შემოდგომაზე ავოშავთ — მოვთოხნით თოხით, გაზაფხულზე ქვედავთესამთ. რომელიც დეიხვნება, ხარით დავხნამთ, გვერდოები რომელიც არი, თოხით დავთოხნით (ხვაშითი).

აოშვა 1. დახნული მიწის ხელმეორედ, არაღრმად გადახვნა ნიადაგის გასაფხვიერებლად. ჩვენთან აოშვა ხდება გაზაფხულზე. პურს ეთესამთ ნასიმიდვარში. იმას აოშვა კ'არ უნდა, ნამბილარს (იხ.) ვეტყვი (ბაჭითი). (იხ. დიალექტ. აქარ. გაოშვა; შღრ. მ ე ნ თ. განაოშრება, აშლა). 2. ნიადაგის გაწმენდა ბალახისაგან თოხით. პირველათ კიციტ მიწის აოშვა — თოხით გაწმენდა ბალახებისაგან (ხვაშითი). იხ. აოშავს.

აოშვილ-ი, ხელმეორედ, არაღრმად გადახნული. ჩვენთან აოშვა (იხ.) ხთებოდა გაზაფხულზე. შემოდგომაზე აოშვილი არ ვარგა, ლავაზუღება (იხ.) მიწა (ბაჭითი).

აპა აბა. მევიდა აპა, წყაროსთან შემხვება (შომახეთი). ხან ვთოხნით. ხან ვმკიდით, აპა არა? (მოხვა). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. მნიშვნ. I; შღრ. მ ე ნ თ.).

აპალე აბა. უნდა მიცონ, აპალე! (ზვარე); რა გამაჩერებდა, აპალე! (ქვები); გრიგალაურს ქალის გვარზე იტყვიან, აპალე! (წაქვა). (იხ. კ ი რ., დიალექტ. ხევს. აბალე).

აპელაცია ოპერაცია. აპელაციას გამიკეთებდეს ექიმი (ღარიხვეი). აპეურ-ი იგივეა, რაც აპოურ-ი (იხ.). აპეურ-ი აერთიანებდეს კანდრიკის (იხ.) ბოლოებებს (ბაჭითი). (იხ. ყ ა ზ ბ.).

აპირადეფ-ს პირველად თოხნის. აპირადებენ, ე. ი. პირველად თოხნაან. აქ პირად თოხნასაც ვეტყვი (ხვეი). (იხ. კ ყ.).

აპკ-ი ნიგვზის უღელი (სინონ. ფჩხილი). ნებალსა და ნებალს შორის არი აპკი (ზედა ქალოვანი); კაკალი დაარჩიე, აპკი მოაცილე ნებლევს (ბორითი).

აპოვარ-ი იგივეა, რაც აპოურ-ი (იხ.). კანდრიკზე (იხ.) შემბმულია აპოვარი (ზედუბანი).

აპოპჩეფ-ს ათამამებს. დედა აპოპოჩეფს იმას (უჩაშეთი).

აპორკყინდებ-ა აბობლდება, აცოცდება. ბიჭი აპორკყინდებ ახედვ და გადმოყრის სიმიდს (ხვერი).

აპოურ-ი იგივეა, რაც ზედაგარდა (იხ.). ხარეფს ტაბიკები ჩამეცემება და გოლუბამ აპოურს (უჩაშეთი); კანდრიბი (იხ.) ზევიდან

შეისკვნება ბაწრით — აპოურით (ხვაშითი); კანდრიბი მოხრილ-ხეა, ჩამეცმება საქონელს ძირიდან, მალლიდან ექნება აპოური (ვანი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ. აპაური, ყიფშ. ამპოური, ამპურა, ელ. ამპოური, ალავ. ლეჩხ. აპოური, დიალექტ. რაქ. აპუარი, ჯაჯ. IX აპოური || აპოური, კინკ. აპაური || აპეური, ქუმბ.).

აპოხტი-ი შესანახავად დამარილებული და გამხმარი აუქნელი ფრინველის (ბატის, მამლის, ინდაურის...) ხორცი. ერთ ებრაელს სამი წლის აპოხტი უდგია ქვაფში (პერევი); აპოხტი ქვეკონდა დაკიდული (მერჯევი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს., ნიჟ., მაის.). აპჟყრეგვ-ს აჟყეტს, ანათებს. გამოაპჟყვრია ფარანი ვინძანან (დილიკაური).

არაბაულ-ი ყურძნის ჯიში. შავი. მსხვილი მარცვალი აქვს, საშუალო სიდიდის მტევანი (სავანე). (იხ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 432-441). არადიათ (← არადი(დ)ათ) იშვიათად, მეჩხრად. დედ-მამამ ძალათი გამათხოვა, მაშინ მოწონებაი არადიათ იცოდენ (წაქვა); ვენახი მაშინ არადიათ ქვეკონდა (იქვე); არადიათ იყო რთველი (ბერეთისა); ყურძენს არადიათ ასხია (ხევი); წაბლი წროულ არადიათ იყო (იქვე). (იხ. მენთ. არიელად).

არამ-ი უწესო, ურიგო, ცუდი. „ესი, შეილო. არამი ადამიანის ბოქვა არი. ემაში დულს მისი სული და იტანჯება, ესი კი — კაის მქნელისა არი“ (სვერი). (იხ. რუსთ., შჰნმ არამი; შდრ. ყიფშ., განმარტ. ლექს.).

არაფერი-ი არაფერი. მუშაობდა და არასფერი ქონდა (ტაბაკინი). არაფრის დიდებით არასგზით. დედ-მამა არატანს გოგოს არაფრის დიდებით (ბოსლვეი).

არაქელა ზარმაცი, დაუდევარი, უზრუნველი. დედა მომკინე იყო და მაკეთებელი. ესენი როგორც ახლა არიან არაქელეები, ისე იქნებიან პერეც (პერევი); რას უგავს სახლი, არაქელა ქალია (ბოსლვეი). (იხ. დიალექტ. იმერ.; შდრ. შჰნმ ლაფალი).

არაქელა მოფუცფუცებული, უხარისხო. ოლიამ არაქველა საქმე იცის (ტაბაკინი).

არაქველათ ზარმაცად. არაქველათ მუშაოფს ხელები (ტაბაკინი). არაყის სტოლი სტუმრისთვის მიერთმეული არაყი ტკბილეულითა და ხილეულით. გავაკეთეფ არაყის სტოლს, იქნება ხილი, გოზინაყი... (მოხვა); თუ იქნება საქმე მოსაწონი, პურ-მარილი გეიმართება, თვარა არაყის სტოლზე დავრჩები (იქვე).

არდიგარდა გარდიგარდმო. არდიგარდა მეიკიდეს უბედური (სვერი). (იხ. ბ. წერ. არდიგარდის, განმარტ. ლექს. იმერ.).

ართვალ-ი ულამაზო, შეუხედავი. ნინა ართვალი ქალია. (წედა საქარა); ცოტა ართვალი ჯობია ქალი (ბორითი). (იხ. ჯყ.).

ართვალად-ი იგივეა, რაც ართვალი (იხ.). ართვალადი ქალია. ესე (შომახეთი). (იხ. ალავ. ლეჩხ. ეთნ.).

არიაფად არიფად, გამოუცდელად. არიაფათ ხ'ვარ მიგდეთ? (წიფა).

არიყავ-ს სიცხე დაწვეავს, აანზობს. სიცხემ აშიმიდი და ბოსტანი ამიჩალა. ვენახი ამირიყა (უჩამეთი); ტალხუნა არიყა წელს (ზედასაქარა).

არმულ-ი აღმური. არმული გაჩთებოდა თონეში (ბერეთისა). (იხ. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2; შდრ. ქეშიკ. აღმული). არნად-ი კალოზე ხორბლისა და ბზის შესახვეტი გრძელტარიანი ფიცარი. არნადი ხის გრძელი ფიცარია, ტარი აქ დაგებული. ტარს მივაწვევებით და შევხვეტავთ, შევაგროვეფთ პურსა და ბზეს. რაც დარჩება არნადს, უნდა შეიგავოს ცოცხით. დავადგებით მერე ფიწლებით და გავანიავებთ (ლიჩი); პურს კევრით გავლენაშთ, შევაგროვეფთ არნადით. არნადი ფიცარია, ნიჩაფივით არი, მარა განიერია, აქ ერთი მეტრი სიგრძეი, სიგანე ასე 30 სმ. ტარი აქ და მივახვეტაშთ, შევაგროვეფთ, მერე ფიწლით ვანიავებთ (ზევარე); არნადი ფიცარია. რომელსაც შუაში გაკეთებული აქვს ხის ტარი, რომლითაც მიაწვევიან გალენილ პურს და შევაგროვებენ (ხვაშითი, შომახეთი, მოხვა, ზედუბანი, ქვაცხე). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. არნაბი, არნადი, დიალექტ. კახ-ქიზ. ქართლ., ბაბუნ. 275, მაკავ. 290; შდრ. ქყ. არნაბი, განმარტ. ლექს. ლეჩხ. არნავი. ჰინჯ. არნავი).

არნამ-ი იგივეა. რაც არნადი (იხ.).

არსოფ-ს არკობს. დგემლი ერთ კუთხეზე წამახვილებულია და მითხეზე არსობენ, მოპირდაპირე ხარეზე სწორია (ვახანი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. ასობს მნიშვნ. 1).

არტაკუტა კუდაბზიკა, პრანკია. ე გოგო არტაკუტა არი ცოტა. საბარცხალი სულ ჯიბეში აქ (ჩიხა); არტაკუტა ქალი არ მინდა (მერჯევი). (იხ. ქავთ. არტაკუტა; შდრ. შარაშ. ატაკუტაი).

არტაჟა (რუს. зтаж) სართული. ერთი არტაჟა ქვა გავაკეთე, მერე სახლი ვიყიდე და დავდგი ზედე (ზედუბანი).

არქ-ი წისქვილის ზედა ქვის შუაგულში ჩასმული რკინის პატარა ნაჭერი, რომელიც ჩამოცმულია ბორბლის ყელაზე და მისი საშუალებით ამოძრავებს ზედა ქვას (ხევი, ვერტყვიქალა, ლედვანი, ვახანი, შომახეთი, მოხვა, ხვერი); წისქვილის ის ნაწილი. რომელიც უკავშირდება ერთი მხრით ყელას, მეორე მხრით ქვას, არი არქი (მანდაეთი); არქი რკინისა არი, გრძელია, შუაში ამოჭრილია და ჩამოცმულია ბორბლის ყელაზე (ხვაშითი). (იხ. ბ. წერ. არქე, არქი, განმარტ. ლექს. ნიჟ., ელ. აღქე. ალავ. ოკრ. გულა, ლეჩხ. ეთნ. ცულა, ჰინჯ. თოხი).

არქის რკინა არქის ქვედა ნაწილი, ბრტყლად ჩაშვებული ბორბლის ხეში, რომელსაც შემოკირებული აქვს სალტე არქის რკინის დასაკავებლად. არქის რკინას ზედა ქვაში აქვს ოთხკუთხედი თავი, რომელზედაც დამაგრებულია არქი (ქვაციხე).

არძა: არზა. გლეხკაცი შამოეყარა, ხელში ეჭირა არძები (მანდაეთი).

არწყულეფ-ს აწყალეფს. ღვინო შუა ზაფხულში მეორეთ გადაღებას სამკინოფს, პეე რომ არ გეიჩინოს. ის ღვინოს არწყულეფს, სპირტიანობას უქვამს (ჩიხა).

არჯალ-ი 1. იგივეა, რაც არჯანი (იხ.). არჯალი კაცი ვარ (ქორეთი); არჯალი კაცია ბაბუა (შომახეთი). (შდრ. ვისრ., საბა, დ. ჩუბ. არჯალა პირი, ქყ., მენთ., განმარტ. ლექს.). 2. გალანძლული. რა მინდა მაგასთან, არჯალი ქალია, შერცხევილი (შომახეთი). (შდრ. საბა).

არჯან-ი მაგარი, გამძლე, ჯანმრთელი. არჯანი ყოფილა ადამიანის გული, რას არ უძლეფს (განთიადი); დედაშენი არჯანია და მიტო უძლეფს ამდენ სიცხეს (ზედუბანი).

ასაგალავ-ი ასაცმელი. თუთუნი მაქ ასაგალავი (ხიდარი).

ასაზეველა იგივეა, რაც ასაწეველა (იხ.). სხვილათ გინდა რო დაფქვა თუ წმინდათ, — ასაზეველათი ოუწევექვას ფეხს. მალლა რო ოუწევე, დაღერლამს, ჩამოწევე — წმინდათ დაფქვავს (პირველი სვირი, ხევი, მანდაეთი, ზოვრეთი...). (იხ. დიალექტ. იმერ.).

ასასრული-ი აღსასრული. მოვიდა ასასრული და მოვიდა სიკვდილიცა (ვახანი).

ასაწევი-ი იგივეა, რაც ასაწეველა (იხ.). ასაწევის აწევის დროს რომი იფქვება, დაწევისას წმინდათ იფქვება (ვახანი).

ასაწევე-დასაწევი-ი იგივეა, რაც ასაწეველა (იხ.). ასაწევე-დასაწევის გინდა დააფქვევიეფ წმინდათ, გინდა ნალერლათ (ჯუთი, პერევი).

ასაწეველა ქვის ასაწევე-დასაწევი ბერკეტი წისქვილში მარცვლეულის წმინდად თუ მსხვილად დასაფქვავად. ასაწეველა ზევიდან ალანე (იხ.) მიშაგრებული ხეა, რომლის ბოლო უერთთება ფარცხს. ასაწეველა ქვას აყენეფს იმ მდგომარეობაში, რომელიც საჭიროა მარცვლის დასაფქვავათ (ჩიხა). ფანთხაში (იხ.) ჯოხია გაყრილი, ეს ჯოხი ამოდის ალას წინ. ავწევთ — ქვაც ეიწეფს და სხვილათ ფქვამს, ღერლამს; დაწევთ — ქვაც დეიწეფს და წვრილათ ფქვამს. წმინდა დაფქული რო გინდა, დოუწევე (მორძვეთე); ასაწეველა ხეა, რომელიც უერთთება ბორბალს, წისქვილში ამოსულია იატაკში და სოლები აქ გაკეთებული, შიგ ჯოხია გაყრილი. ამოწევე და სხვილათ მოფქვამს, დოუწევე — წმინდათ (ხვაშითი); ასაწეველას ფეხი კიბორჩხა-

ლას (იხ.) ხეზეა დამაგრებული, მაღლა თავი ამოშვერილია იქვე, სადაც
ონჯაროა (იხ.) (ტაბაკინი); თუ უნდათ წმინდათ დაფქვან, დაუშვებენ
ასაწვეველას, თუ უნდათ დაროშვა, აწვეენ და ამის გამო ეძახიან
ასაწვეველას (ქვაციხე). (იხ. ბ. წერ., დ. ნ. ჩუბ., განმარტ.
ლექს., დიალექტ. იმერ., ალავე. ოკრ. ასამჩატებელა, ლეჩხ. ლაბა-
ქანი, ჰუმბ. ასაწვევი || ასაწვეელი; შდრ. კახ. ლაბაქანი). ასაწვეველას
საწენური ასაწვეელას (იხ.) დასაყრდნობი ხის ნაჭერია (რგანი).

ასაწვეველ-დასაწვეველა იგივეა, რაც ასაწვეველა (იხ.).

ასეთებური-ი ასეთი. ასეთებურია და შენ რას უზამ (წიფა).

ასვინტრამ-ს ააყუდებს, დააყენებს. ქეფხოში (იხ.) აქსვინტრამ
(ზევარე). (შდრ. ჯაჯ. X ასვინტრული, ალავე. ოკრ. სვინტრი).

ასთე ასე. ასთე დადიხარ სოფელში? (შროშა). (იხ. დიალექტ.
იმერ. ლეჩხ.; შდრ. ჰინჭ.).

ასთრე || ასტრე იგივეა, რაც ასთე (იხ.). ამას ასთრე გოუყრი-
დენ ჯონს (ტაბაკინი); ასთრე გამისივდა ფეხი (განთიადი); ასთ-
რე იყო საქმე (შროშახეთი); ასტრე ქენი, ასტრე (ვანი).

ასიასეფ-ს ასეირნებს. თავის სტუმრები ძან გადეიყვან-გადმეიყვანა და
ასიასა (ტაბაკინი).

ასტამ-ი რკინის პატარა ნიჩაბი ცომის ასაფხეკად და თონიდან პურის
ამოსაღებად. ასტამი დოუჩიჩხინეთ პურს, რო წამოხტეს (წიფა);
ასტამი დანასაფე არი, ჩააფხეკამ პურსა თონეზე (ქვები). (იხ. ს-
ბა, დ. ნ. ჩუბ., მენთ., განმარტ. ლექს., ძიძიგ. ქრესტ., დია-
ლექტ. ინგილ. კახ. ქიზ. ატამი, მ. ჯან.. ს. მ. ტერმ., ჰინჭ.: შდრ.
დიალექტ. რაჭ. ატამი, ვაჟა II).

ატანილი-ი აყვანილი. ჯირითში ვინც მიდიან, აღრიცხვაზე არი ატანი-
ლი (ქვები).

ატატული-ი ატატებული. ბოვში მყამს გულზე ატატული (გეზრუ-
ლი); წევიყვანე ატატული ბოვში ზესტაფონში (ზედა საქარა).

ათილოფ-ს ტილოთი ამშრალებს. დედაჩემი თეფშეთს ქერეცხამდა.
მე ვატილოებდი (ბოსლევო).

ატლა მოუქნელი ზედმეტი სიმსუქნისაგან. კიათურაში ბევრი ატლა
კაცია (მორძვევით).

ატოვიფ-ს ატოვებინებს. მაგაზე უკეთესი შეყვარებული დავატო-
ვიე ჩემ შვილს (პირველი სვირი); ის ქე წოულია. ეს ქე დოუტო-
ვია (საქარა).

აუზევ-ს აუწვევს. ჩემ რაშს აუზიე ფეხი მაღლა (ლეღვანი).

აურზეური-ი აურზაური. ერთი აურზეური ატეხა (მანდაეთი).

აურმეულეფ-ს ჩალის ქუბებს (იხ.) აწყობს იმდენ-იმდენს, რაც თითო
ურმეზე მოთავსდება. ჩალას ვმკით, ვქუბავთ (იხ.), მერე ვაურმე-
ულეფთ, თითო ურმათ დავაწყოფთ, მერე მიგვაქ ფერმის ბოსელში

და იქ ვდგავთ ზვინათ (ფუთი); და ა უ რ მ ე უ ლ ე, ბიჭო! (ტაბაკი-
ნი). შდრ. უ რ მ ე უ ლ ი.

აფანფალდებ-ა ფანფალით ადგება; აღონლილდება. შიშებზე მიმეჭრა
ზედე ყველიფერი ავანტყოფობა და ახლა ა ვ ფ ა ნ ფ ა ლ დ ი ზ ე ზ ე
(ზოვრეთი).

აფერდებ-ა ფერს შეიცვლის, შეყვითლდება. „პური აფერდაო“ ვიტყ-
ვით, მარცვალს რო დეეპირება (მოხვა).

აფერებულ-ი ფერშეცვლილი, გაყვითლებული. გვეხედე, პური ა ფ ე-
რ ე ბ უ ლ ი ა, ორ კვირეში მეიცელება (ჭალაურთა).

აფესტაკეფ-ს სანსლაეს. ერთი ქათამი გა ა ა ფ ე ს ტ ა კ ა (ტაბაკინი).

აფირცხეფ-ს აფიცხებს. პური და ა ფ ი რ ც ხ ა (განთიადი).

აფორუაღეფ-ს ძლივს ფეხზე ატარებს, ამოძრავებს, აცოცხლებს. იმ-
დენს ქამს, რო სულს ა ფ ო რ უ ა ლ ე ფ ს (უჩამეთი). (იხ. ჯ ა ჯ. X
ფორუიალი).

აფორჩაღეფ-ს აწვალებს; აჯახირებს. მერე ი ვ ე ნ ა ხ მ ა რო ი ვ ა რ გ ა, პა-
წია ხანს ა ფ ო რ ჩ ა ლ ე ს (ხევი).

აფრა 1. ორივე მხრივ ამოღარული ვერტიკალურად დაყენებული სქე-
ლი ფიცარი ჰორიზონტალურად გადებული კედლის ფიცრების დასაკა-
ვებლად (ხიდარი, ღორეშა). (იხ. განმარტ. ლექს., ბერ., ალავე-
ოკრ.). 2. კარების აქეთ-იქით ასაბმელი ფიცარი (ვახანი).

აფრაკათ არის მოისულელებს. უმცროსი ჰეკიანი გამოდგა, უმფროსი
ა ფ რ ა კ ა თ ი ყ ო (შროშა). (იხ. დიალექტ. კახ. ქიზ., განმარტ. ლექს.,
შარაშ. აფრაქათ).

აფუმფლულ-ი დაუტენავად ჩაყრილი. საწნახელში თუ ყურძენს დავბა-
გავთ (იხ.), ჩაუა ორი იმდენი, ვიდრე ა ფ უ მ ფ ლ უ ლ ი, — უბრალოთ
ჩაყრილი (ჩიხა). (იხ. მ ა ი ს. აფორფვლა, აფორფლილი).

აფუნდრუკებულ-ი აყრილი, არეულ-დარეული. ა ფ უ ნ დ რ უ კ ე-
ბ უ ლ კ ე რ ი ა შ ი უ ნ და შევსულიყავ და გავგიჟდი ღარმე (ზვარე).

აფცქვენევ-ს სულს ლევს. სულს ა ფ ც ქ ვ ე ე ვ და მისთვინ; ის მაინც
არ უმაღლიდა (შომახეთი).

აფშარა ულაგამო აღვირი, — აფშარა. ა ფ შ ა რ ა ც ხ ე ნ ის ღვედია.
რომელიც ცხვირზე აქ მობმული, რომ არ წაძვრეს, ყურებზე აქ გადა-
დებული და კისერზე ამოკრული. აღვირისაგან განსხვავდება იმით, რო
ლაგამი არ აქ (ბაჯითი). (იხ. ს ა ბ ა, დ. ნ. ჩ უ ბ., განმარტ. ლექს.,
ქ ლ.; შდრ. დიალექტ. ლეჩხ.).

აფხანაკი-ი ამხანაგი. დიდი მონადირე ყავდა ა ფ ხ ა ნ ი კ ი (ხიდარი).
(იხ. ყ ი ფ შ. აფხანაკი, სვ. აფხნეგ, აფხნიკ, აფხანიკ).

აფხუკათ მოქცევით, გვერდულად. ვერ მოდის ე ზ ვ ი ნ ი ს ტ ო რ ა, ა ფ-
ხ უ კ ა თ ა ა დაწყილი (ტაბაკინი).

აქანა || აქა აქ. ა ქ ა ნ ა ე გ ღ ო ს ა ძ ა ხ ა (ღორეშა); მე ა ქ ა მ ა ზ-

ლისწულები მყამს (ქვეები). (იხ. დიალექტ. რაქ. გურ. აქანაი, აქანე, ლეჩხ. აქანე).

აქაურელი აქაური. ე ქალი აქაურელია (ლორეშა); აქაურლები ვართ ჩვენე (წვარე).

აქეზიანეფ-ს აქეზებს, აგულიანებს. ბოვშები გავაქეზიანე და მამეხმარენ (სვერი).

აქეთებური-ი || აქეთებური და იქეთებური აქეთური და იქითური. აქეთებურია საქმე თუ იქითებური, აღარ ვიცო (შროშა); შეეციოთხენ აქეთებური; იქეთებურა და დოუწერეს ზეპირ-ში სამიანები (იქვე).

აქიანეფ-ს აღიზიანებს, აჩემებს. რას ააქიანე ე ბოვში? (ზედუბანი).

აქიმობა ვენახის შეწამვლა შაბიამნის ხსნარით. ვენახის პირველი აქიმობა იწყება 15 მაისიდან ახლით (ფუთი).

აქიმოფ-ს ვენახის შეწამვლას ახდენს შაბიამნის ხსნარით. დღეს ვენახს ვაქიმოფ და ვერ წამოვალ (ტაბაკინი).

აქირჩიმალება თავის წამოწევა სარქენად (სინონ. აბუცავება). მეერი-დე, აქირჩიმალება იცის ჩვენმა ძროხამ. ძროხამ თავი ოუქირჩიმალა, ლევანა რო მოდენიდა (ტაბაკინი).

აქიქინეფ-ს აქროლებს, ასეირნებს. ის რო სოფლათ ცხენეფს მამგვრი-და და მაქიქინებდა, სოფლის ქალი ამას ველარ მეესწრება (ზედუბანი).

აქობამდი აქამდი. აქობამდი უნდა მოსულიყავი, ახლა რალა დროსაა (ხიდარი).

აქოჩავ-ს ვაზის ყლორტებს მიაკრავს სარზე. ვენაზს ჭერ ავქოჩავთ, მერე უაქიმეფთ (წოვრეთი). იხ. აკონვა.

აქტო ავტო. კაცები აქტოზე მიდიოდენ (უჩამეთი).

აქუბამ-ს თავმიდებით დააყუდებს ჩალის რამდენიმე კონას და თავში წნელით შეკრავს. დავაყუდეფთ ჩალას 5-6 კონას და თავში წკნელს შამოუქერთ, თავს შეუკონით, ე. ი. ავქუბამო (ჭალაურთა); სიმითს ავქუბამთ, წვიმას თუ მეველით (საბე). იხ. ქუბი.

აქუბვა რამდენიმე კონა ჩალის დაყუდება თავმიდებით და თავების წნელით შეკვრა. უმალ აქუბვა არ იცოდენ, მეიტანდენ ჩალას გიორგობისთვეში, დაზვინამდენ (ზარანი). იხ. აქუბამს.

აქყე აქვთ. ძაძა აქყე (ზედუბანი). იხ. ყე

აღაპ-ი ქელეხი. მიცვალებულის წლისთავის აღსანიშნავად გამართავენ წვეულებას, მოიპატიჟებენ ნათესავეებს, მეზობლებს. მღვდელმა უნდა უწიროს მიცვალებულის სულის მოსახსენებლად და აკურთხოს ყველაფერი, რაც არის მომზადებული. აღაპიდან ღვდელს გაატანდენ

სათფილოს (იხ.) და ბექს (ბაჭითი). (იხ. საბა, გურამი, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, დიალექტ. გურ).

აღარევი ადარავინ. აწი აღარევი შეგაწუხებეს (ღარხევი).

აღგაღავს აკრძალავს. ახლა აღგაღავს: ზფოი არ გოუშვათაო (პირველი სვირი).

აღიადებულ-ი ანეტილებული, აღოლებული. იმ გოგოს დედას უთხარით: მაგი არ გამოგადგება შენე, აღიადებული ბიჭი იყოო (მეორე სვირი). (იხ. ბერ. ლოლიალი, ლოწიალი).

აღლიში-ი თაღლითი, ცუღლუტი; ცუღდი. ჰური არ უნდა მოგივიდეს აღლიში გარეცილი, თვარა ღვინოს წაახთენს (ხიღარი). (იხ. ¹ წერ., ბერ. არაჰამა, აღავ. ლეჩხ. XIII იაღლიში).

აღლიშოფ-ს ცუღლუტობს; თაღლითობს. უნცროსი აღლიშოფს მუშაობაში (ხაღვინე); აღლიშოფს ეკაცი (ხიღარი).

აღონჭიაღეფ-ს ზონინით ამუშავენს; დროის გასვლის მიზნით ერთ აღგილზე ატრიალებს. აღონჭიაღეფს ეს ეკაცი ხარეფს, ფიქროფს: — აღრე არ გამოეხნაო. — დრო გაყავს (ზეღუბანი). (იხ. ბერ. ლოქიალი).

აღორიეფ-ს ატყუებს. აღორიეფს, რო იანვრამდე მივიღონ (ქორეთი) (იხ. ვისრ. მოლორება, მალორებელი, რუსთ.; შდრ. განმარტ. ლექს. აღორებს).

აჟალო || აჟალო მიწა თიხამიწა, ქვევრების თავის საგლესად იხმარება. (იხ. განმარტ. ლექს., დიალექტ. იმერ. კახ. ქიზ. ლეჩხ., ს. მ. ტერმ., კუმბ. ჰურის მიწა).

აჟაღუღ-ი ყალყზე მდგომი, აღმაცრად მდგომი. აყალყული იყო ურემი, ცალ გოგორაზე იღვა (ტაბაქინი).

აჟასპამ-ს აქნის ნაჭერ-ნაჭერ, ასო-ასო დაჭრის. მოკლა ირემი, გაატყავა, აყასპა და დაამთო ცეცხლი (ხიღარი). იხ. აყასპამს (მნიშვნ. 1).

აჟაფრულ-ი გადაზნეჭილი, ძლიერ გადაქანებული. აქეთ არ უნდა გადმოსწევა, ისეც აჟაფრულია (უჩამეთი). იხ. ყაფარი.

აჟვერღებ-ს სათესლედ იყრის თავს, გადაბერდება. პრასი აჟვერღა და საკმელათ აღარ ვარგა (განთიღი).

აყირო სხალი მსხლის ადგილობრივი ჯიშია, წერილი თავი აქვს და ბოლო განიერი. აყირო სხალი წიფდება ზაფხულში, სხვილია. ორშიმოს ფორმის (მანდაეთი); აყირო მსხვილი სხალია, მოღის აგვისტოში (ლიჩი). (იხ. ჰყ.; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ. აყირო, მაის. აყირო).

აყოლიღ-ი იგივეა, რაც მოყოლილი (იხ.) (იხმარება მთელს ზემო იმერეთში მეტწილად ლოცვის დროს). დილას აყოლილი იყო... (ხიღარი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3).

აყრი-ს [ყანას, მიწას...] გაზაფხულზე ან შემოდგომაზე პირველად დახ-
ნავს ნიადაგის გასაფხვიერებლად. გაზაფხულზე ა ვ ყ რ ი თ ყანას უმარ-
ცვლოთ, მერე მოვხნავთ კიდეც და მარცვალქვეშ მოვთესავთ (ზოვრე-
თი); გვიან შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე (უკეთესია შემოდგო-
მაზე) ა ვ ყ რ ი თ მიწას, გაზაფხულზე კიდეც უნდა გედინხას მიწა და
მერე მოითესება (ქორეთი); როცა კორდს (იხ.) დახნავენ, ამბობენ: კორ-
დი ა ვ ყ ა რ ე თ ო (ვახანი). (იხ. ჰ უ მ ბ. 278 პირადი ხენა, ყანის
აყრა).

აყრა მიწისა პირველადი დახენა მიწისა ადრე გაზაფხულზე ან შემოდ-
გომაზე ნიადაგის გასაფხვიერებლად. თოვლს რო ეიღებდა, დავხნამ-
დით მიწასა და აპრილში დავთესამდით სიმიდსა. სიმიდისთვინ უნდოდა
ა ყ რ ა ი (ზვარე); დაუმუშავებელ მიწას პირველათ დახნავენ კავით,
ესაა ა ყ რ ა ი (ქვედა ხაქარა). (იხ. ქ ა ვ თ.). იხ. ა ყ რ ი ს.

აყუყული-ი ფეხზე მდგარი, ატუზული. ვიეზდის ნაჩალნიკი ამას სკამზე
დეიჯენდა, სხვები იყო ა ყ უ ყ უ ლ ი (მეორე ხვირი). (შდრ. ბ ე რ.
ყუყუა).

აშაპ-ი მოურიდებელი. ა შ ა პ ი ლაპარაკი იცის (ლოდორა).

აშუადღეფ-ს შუადღისას ასვენებს. ჩვენ არ ვაშუადღეფთ სა-
ქონელს, — არ ვასვენებთ შუადღეზე, დილიდან საღამომდე ვაბალა-
ხეფთ (მოხვა).

აშხმარუნეფ-ს უშნოდ ამოძრავებს. ნუ ა შ ხ მ ა რ თ უ ნ ე ფ ხელს,
წუნწკლი ქცვივა (განთიადი). იხ. შ ხ მ ა რ უ ნ ი.

აჩალავ-ს ტაროს გამოუღებლად წაახდენს, გააყვითლებს, გაახმობს.
კრაქი (იხ.) გვალვის ან წვიმის დროს წაახდენს სიმიდს, ტაროს არ გა-
მოაღებებებს და ფოთოლს გაუხმობს. წვიმიანში რო დაკრამს კრაქი,
ა ჩ ა ლ ა მ ს სიმიდს, ჩალა რჩება და ტარო აღარ ექნება (შომახეთი);
ტაროს რო არ გეიკეთეფს სიცხისაგან და ფოთელი გაუხმება, ვიტყვით:
„აჩალა სიმიდი“ (ქორეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

აჩალულ-ი ტაროგამოუღებლად გამხმარი, გაყვითლებული. ა ჩ ა ლ უ-
ლი ის არი, რო ტაროს ველარ გამეიტანს სიმიდი, ისე გახმება ფოთე-
ლი (ქორეთი); უტაროო რო არი სიმიდი და გვალვისაგან გაყვითლება
ჩალა, ამბობენ: „აჩალულია სიმიდი“ (ქვაციხე, რგანი).

აჩაჩა || აჩაჩა ურემი ფიცრული ან სოლებიანი დაბალგოგორებიანი
ურემია, რომლის გვერდითს ძელებში (ზესადგრებში) ამოყრილი კავე-
ბის (ფრჩხილების || ლაშკინების) ქვედა ნაწილი მიწაზე მიჩოჩავს, ზე-
და კი სამატის საშუალებით უკავშირდება უღელს. აჩაჩა ურემი იხმა-
რება ზემო იმერეთის მთაგორიან ადგილებში. ა ჩ ა ჩ ა ურემი პატარა
ურემია. ა ჩ ა ჩ ა ს მიტო უძახიან, პატარა რომაა, ფრჩხილები რო და-
ცოცამს ძირსა (ხვაშითი). ხელნა ურემს (იხ.) ფრჩხილაები (იხ.) არა აქ.
ა ჩ ა ჩ ა ურემი ფრჩხილაებზე დაჩოჩილოფს (ქვაციხე); ა ჩ ა ჩ ა

უ რ ე მ ი ხელნასაგან იმით გამსხვავდება, რო დაბალი გოგრები აქ. წინ შესადგარში ამოყრილია ფჩხილაები. სამატი, აქ ზედე (ზოგრეთი). (იხ. განმარტ. ლექს. აჩაჩა, აჩეჩი მნიშვნ. 2, დიალექტ. ქართლ. ბოლო-თრია, ჯ ა ჯ. IX, კ უ მ ბ. ჩოჩიალა ურემი; შდრ. ს ა ბ ა, დ. ნ. ჩ უ ბ., ი. ჯ ა ვ ა ხ. საქ. ეტ. ისტ. I, 159).

აჩუმპულ-ი ხალისდაკარგული, დანალვლიანებული. გული იყო ა ჩ უ მ-პ უ ლ ი სიყვარულისგან (წყალშავი).

აჩხაბაჩხა უსწორმასწორო. „უდგიმოთ და უსაბარცხლოთ აჩხაბაჩხა მოქსოვილა“ [გამოცანა—ჯაჭვი] (ზედუბანი). (იხ. ქ ა ვ თ.; შდრ. გან-განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

აცთოფ-ს აწრობს; აციეებს. რო გააკეთეფ იარაღს, უნდა ა ც თ ო საცთობ გოფში (წაჭვა).

აცილვეფ-ს აცილებს. ქვეც გაატანა და ქვეც გ ა მ ო ა ც ი ლ ვ ა . თავი-სი გოგო; იმან და ა ც ი ლ ვ ა ცოლ-ქმარი (მანდაეთი).

აძალავეფ-ს ძალას ატანს, აძალებს. ვერც ქალეფს და ა ძ ა ლ ა ვ ე-ბ ე ნ, გამოდიო (მოხვა); არავინ გ ვ ა ძ ა ლ ა ვ ე ბ და და ასე მოვ-ფოხნეთ ქონი (ბოსლევი).

აძალი-ს იგივეა, რაც ა ძ ა ლ ა ვ ე ფ ს (იხ.). მე შენ არაფერს არ მ ა-ძ ა ლ ი.. (ბოსლევი).

აწაკურტა კულაბზიკა. პრანქია. ნუ ხარ, გო, ა წ ა კ უ რ ტ ა (ზედ-უბანი).

აწვალი-ს აწვალებს. წინას გოგოები ანგრე კ'არ ა წ ვ ა ლ ი დ ე ნ (სა-ნახშირე); ძან ა წ ვ ა ლ ი ს, არ დაოტდება (იხ.) (ზედუბანი).

აწი ამიერიდან, ამის შემდეგ, მომავალში (გავრცელებულია მთელს ზემო იმერეთში). ა წ ი მეველი მე სიკეთეს (შომახეთი). (იხ. შ ა-რ ა შ., განმარტ. ლექს. გურ. იმერ., დიალექტ. იმერ. აქარ. აწე-ყ ი ფ შ. აწწი).

აწიოქება აწიოქება. ველარ შევიძელი ამდენი ა წ ი ო ქ ე ბ ა და აქი-დან გადავსახთი (ვანი).

აწიწილაქთება-ა იფუთქება. რავო ვქნა, ერმონია, ე ქადი ასე რო ა წ ი-წ ი ლ ა ქ თ ა (ჯალაურთა).

აწკუპულათ მორცხვად. ჩემი სიძე რო მოკცტა, მაშინ ახთაყე ეს სატი-რალში, იყო ა წ კ უ პ უ ლ ა თ (პირველი სვირი).

აწუნწუხებულ-ი შარდში შერეული ნაკელით გასვრალი. ა წ უ ნ წ უ-ხ ე ბ უ ლ ი ა ბოსელი (ზარანი).

აწყოფ-ს სპობს, ანადგურებს. ყანეფს აფუქებს და ამიტო ვ ა წ ყ ო ფ თ თხას (ზარანი).

აქველამ-ს ქველებს (იხ.) შეაგროვებს. ეს ცელემდა, ჩვენ ცქველემდით, მოჭრილ პურს მოვანგროვებდით. ერთი ა ქ ე ვ ლ ა მ ს (მერჯევი),

ჯერ აქვევლამ, შეაგროვეფ პურს ერთათ და მერე შეკონამ. წკნელ-
ში რაც ჩავა, ის ძნა არი (ჩიხა).

აქენჭებულ-ი ატალახებულ-ი. აქენჭეხებულ-ი ეზო (სვერი).
იხ. ქენჭეხი.

აქიკინეფ-ს ალაპარაკებს. რა გაქიკინეფთ? (ზედუბანი). (მდრ.
დიალექტ. რაჟ. ამოქიკინობს).

აქიკილაქეფ-ს (—ქიკილაქი) აკავენს, აქიანურებს.

აქიკილაქეფს ფეხეფს აქიანურებს წასვლას. ველარც დალია ღვინოი,
გააქიკილაქაფეხები გათენებაში (ტაბაკინი).

აქრომობებულ-ი აქრელებული, კრელი. უნასი (იხ.) აქრომობე-
ბულ-ია (ტაბაკინი). იხ. კრომახა.

აქუმ-ს აქმევეს. ბოვს ვერ აქუმს, რა ქალია! (განთიადი); მე თუ
ვაქუმ, რა ეტყობა (პირველი სვირი). (იხ. დიალექტ. გურ. აქარ.).

აქულიპურტავეფ-ს აფუქებს. კურს არ რეცხავენ, აქულიპურტა-
ვებენ. ღვინოს (ტაბაკინი). იხ. ქულიპურტა².

ახალპირ-ი ახლად (ერთი წლის განმავლობაში) დამუშავებული ყამირი.
მიდორი ან ჩიგენარი რო იქნება ზედ და დაამუშავებენ ადგილს, ახალ-
პირ-ია (განთიადი); ახალპირს უძახით ჩვენ, ყამირი რო და-
მუშავდება პირველ წელიწადს. ერთი წლის მერე აღარ არი ახალ-
პირი. ახალპირზე სიმიტს ვთესავთ, ლობიოს, სოიოს, კვახი
იციის კაი კიდე ზედე. პიტონიკისათვის (იხ.) ახალპირი არ ვარგა:
მიწა არ არი კაი დამუშავებული, როგორც პიტონიკს უნდა, ბალახებია
დახენის ან დაბარვის დროს ჩაყოლილი (ტაბაკინი).

ახალსულ-ი ახალგაზრდა (იტყვიან საქონელზე). ხარები გაყვიდე
ახალსულები. ერთი უღელი გაყვიდე, ერთი უღელი დავიტოვე
(მანდაეთი). (იხ. ქავთ., ქეშიკ. ახლები, დიალექტ. გუდამაყ.).

ახართოხეფ-ს ხარით დახნულს თოხით აქუშავენს, ბელტებს აფხვიე-
რებს. ქალები ახართოხებენ ხნულსა (წაქვა). იხ. ჩართოხ-
ნის.

ახვევ-ს | ემ-ს ვაზის ლერწმს აკრავს ქიგოზე. ვაცლით ვენახს ნამხრე-
ვეფს და ვახვევთ სარზე (ჩიხა); ვენახს ფოთლები და ნაყრები
უნდა შევაცალოთ, თან ავახვევთ სარზე (სავანე). (იხ. განმარტ.
ლექს. მნიშვნ. 1).

ახვევა ვაზის რქის (ლერწმის) აკვრა სარზე. ვენახს უნდა სარზე ახვე-
ვა, რო ლერწმი სწორათ გეიზარდოს (მოხვა). (იხ. ბ. წერ., გეხთ..
განმარტ. ლექს., ლეე. 67, დიალექტ. იმერ. ქართლ.; ს. მ. ტერპ..
ჯოხ. 59).

ახვირ-ი ცხენის ბაგა, — ახორი. მაგისტანა იაშიკები ცხენის ახვი-
რათ მქონიაო (მერჯვეი). (იხ. ვისრ.. საბა, დ. ნ. ჩუბ., გან-
მარტ. ლექს. ახორი მნიშვნ. 1, მენთ., მ. ჯან. ახური, ბ. წერ.

ახვირი, ს. მ. ტერმ. ახორი, მაის. ახორი, ბერ. ქილახორი, ალავე. ლეჩხ. ქილახვარი).

ახიახეფ-ს ახმაურებს. იმას არ უნდა გეეხიახეზია ეს ამბავი (შროშა).

ახივლეფ-ს (—ხივილი) ტყუილუბრალოდ ახმაურებს. სიმილი თუ არ მიეცი, ახივლეფ წისქვილს (ქვაციხე).

ახინკლიავეფ-ს აცოდვილებს, აჯახირებს; ნამუსრევით გაძოკეებავს.

„არი რამე ბალახი შიდა?“ — „ხვალ იქნება ვახინკლიაო კიდე ძროხა“ (ხვერი). (იხ. განმარტ. ლექს. ხონკალი მნიშვნ. 2)

ახინტილდებ-ა ახუნტრუცდება, აცუნდრუცდება. აგრე რო ახინტილდება ახალგაზრდაი, დიდხანს არ დააგვიანდება გაქცევა (ლორეშა). (იხ. ბ. წერ. ახინკილება).

ახინჩეფ-ს ამახინჩებს, ხინჯიანს ხდის. ღორთელი (იხ.) ახინჩეფს ბოვშს (ლორეშა). იხ. ხინჩი.

ახირება უკმაყოფილება, დავა. „ერთ დროს მე და ღვდელს მოგვივიდა ახირებაი. ვემსახურები ეკლესიას... არაფრათ არ ჩააგდო... ბოლოს დღესასწაულის დღე არი, საკურთხობა იციან აქა. მოგროვდა ბეჭი, სათფილო (იხ.) კაა ბევრი. გაეყავი ოთხათ, ნახევარი ღვდელს და ნახევარი მე და დიაკონს, იხუა (იხ.) ღვდელმა: შენ არა ხარ ჩემი მონაწილეო მიჩივლა ეპისკოპოსთან“ (შომახეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ახლოში ახლოს. ეგერაა ნიკოს სახლი ახლოში (ტაბაყინი). (იხ. დიალექტ. ფშ. ახლუაში).

ახო 1. საყანედ გაკაფული ტყე. სოფლის განაპირას გლეხი გაჩეხავდა ტყეს, ბუჩქნარს, დაწვავდა ძირეფს და ამ ადგილს ახოს უწოდებდა. ასეთ ადგილზე თესავდა (ვახანი, ზვარე). 2. საყანედ გაკაფული ტყე ერთი წლის განმავლობაში. ტყეს კრიან საყანედ. ერთ წელიწადს ამ ადგილს ქვია ახო (ხილარი). 3. ხამი მიწა, ყამირი. ხამ მიწას ახო ქვია (გეზრული). (იხ. გურამ., ქავთ., კუმბ.).

ახოვა იგივეა, რაც ახვევა (იხ.). ახოვაი ვენახს ოთხჯერ დაქირდება (სავანე). (იხ. დიალექტ. ლეჩხ.).

ახურდულავეფ-ს იგივეა, რაც გაქუბავს, დაქუბავს (იხ.). ლამა უკავია ხელში და ახურდულავეფს ჩალას (ხვერი).

ახურდუმეფ-ს იგივეა, რაც გაქუბავს, ქუბავს (იხ.). ჩალეფს ვახურდუმეფთ ყანეფში, სანამ ადგილზე მივიტანდეთ, რო წყალი არ ჩევიდეს შიდ, არ დალპეს. 10-10 კონას მივაყუდეთ ერთი-მეორეზე და წოუკრავთ თავს. ქუტუროები (იხ.) მალლა ექნება (ტაბაყინი). იხ. ხურდუმი.

აჯაგლაგეფ-ს დაუზოგავად არბენინებს. მიმიყვანა სახში და მაჯაგლაგა საქმეზე (ხვაშითი). (შდრ. საბა ჯაგლაგი, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2. ს. მ. ტერმ.).

აჭამეთის თეთრი იგივეა, რაც გრანიციის სიმიდი (იხ.). აჭამეთის თეთრს აქ წვრილი ნაქურჩელი, თეთრი გრძელი მარცვალი, გარედან ჩაქიკნილი, ანუ ჩაქბილული. დიდმოსავლიანია სხვა ჯიშებთან შედარებით (ქვედა საქარა).

აჭამეთის ყვითელი ყვითელმარცვლიანი სიმიდის ჯიშია (მოხვა).

აჭენჭებულ-ი ატლახებულ-ი არც იხვნება, არც ითესება, აჭენჭებულ-ი მინა (წვარე). იხ. ჯენჭეხი.

აჭილაფ-ს კალაპოტიდან გადმოსული წყალი დაფარავს რასმე. ბოგირი აჭილა წყალმა (უჩამეთი).

აჭინჭალეფ-ს ანჯღრევს. ნუ აჭინჭალეფთ ავანტყოფს (პერევი).

აჭლამურდებ-ა ალაქლაქდება. მერე აჭლამურდებიან ორივეი (ზედუბანი).

ბ

ბააბანი-ი ხელისგულივით გაშლილი ადგილი, ვაკე. უღვეით რო წასულიყავი, ათასჯერ ჯობდა, ვაკეა, ბააბანი (განთიადი). (იხ. ჭყ. ბი-აბანი, ჯაჯ. IX ბეებანი, X ბააბანი; შდრ. კირ. ბაიბანი, დიალექტ. ფერ. ბიაბანი).

ბაბილო ვარყის მსგავსი სოკო. ბაბილო სოკო არყას გავს, მაგრამ მეტი იზდება (პერევი); ბაბილო გემრიელი სოკოა (ტაბაკინი). (შდრ. მაყაშ., განმარტ. ლექს., ს. შ. ტერმ.).

ბაბო მამის ან დედის დედა, — დიდედა, ბებია. ბებიას ჩვენე ბაბოს უძახით, დიდედა მძიმე ქართული სახელია (გოლათუბანი); დამაბარეს: სონა ბაბოს მოკითხვა უთხარიო (წვარე). (იხ. დლ., ყიფშ. ბაბუ, დიალექტ. ჯაეახ. ბებე, ბებერა, მესხ. ბებერა, ბებია, ქართლ. ბაბუა, აქარ. დედე, მაის. ბებერა; შდრ. უთურ., დიალექტ. თუშ. ნიჟ. ბაბო).

ბაბუა 1. მამისა და დედის მამა, — პაპა (სინონ. პაპია). დედის ან მამის მამას აქა ბაბუასაც უძახიან და პაპიასაც (ლოდორა); აქ ბაბუა ვიციით, სურამში დისწულეები მყავრან და მათი შვილები პაპიას (იხ.) მიძახობდნენ (მანდაეთი). (იხ. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, დიალექტ. იმერ. რაჯ. თუშ., უთურ., ნიჟ. ბაბო; შდრ. დიალექტ. ქართლ. აქარ., ძიძიგ. ქრესტ. დედე II დედეა). 2. პაპის (ბაბუის) მამა. ბაბუას უძახობდით პაპიას მამას, პაპიას — მამაჩემის მამას, მამაჩემის პაპიას უძახობდით ბაბუას (პერევი).

ბაბუსაგზალა იგივეა, რაც ბაბუსაგძალა (იხ.). ბაბუსაგზალა ბუჩქოვანი მცენარეა, წითელი მრგვალი ნაყოფი აქვს, ასკილზე პატარა (ლორეშა); წვრილი ნაყოფი იცის ბაბუსაგზალამ, წითელი ფერი აქ, როგორც რო შინდს, ისეთი, არ იკმება (მანდაეთი).

ბაბუსაგძალა ბოტ. წითელი კუნელი. ბ ა ბ უ ს ა გ ძ ა ლ ა ბუჩქოვანი მცენარეა, ასკილის მსგავსი, მაგრამ უფრო პატარა ნაყოფი აქ, ყუნწალზე სამი-ოთხი ან მეტი მარცვალა (შომახეთი, ჩიხა, ხვაშითი, პერევი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. იმერ. ბაბუსაგძალა).

ბაბუაწვერია ბოტ. ბურბუშელა. ბ ა ბ უ ა წ ვ ე რ ი ა ს ასკილის მსგავსი, მაგრამ უფრო პატარა ნაყოფი აქვს (უჩაშეთი). (იხ. დ. ჩუბ. ბაბუაწვერა (ბაბუა), განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ. ბაბუაწვერა).

ბაგა ბოსელში წნულთ ან ფიცრით გამოყოფილი ნაწილი, რომელშიაც დაბმულ საქონელს უყრიან საკვებს (ამ მნიშვნელობით იხმარება ბაგა მთელს ზემო იმერეთში. ოკრიბაში და, საერთოდ, ქვემო იმერეთში მისი სინონიმია ს ა პ ი რ ე, ხოლო ბაგა აქ არის ბოსლის ძელური იატაკი — ზემოიშერული ქერი). ბ ა გ ა შ ი ჩოუყარე ჩალა ხარეფს (განთადი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ.; ი. ჯაფახ. ქართ. სამართ. ისტ. II, 312, ელ., მენთ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. I, ს. მ. ტერმ.. დიალექტ. ფშ. ქართლ., უთურ., კინკ., გურამ., ნიუ.; შდრ. ვისრ., კახ., მაჭავ. 289). იხ. ა მ ო ბ ა გ ა მ ს, დ ა ბ ა გ ა მ ს, ჩ ო უ ბ ა გ ა მ ს.

ბადაგ-ი ზამთრისთვის შესანახავი საფელამუზე ტკბილი, დიდხანს დუღებისაგან შესქელებული. ზამთრისთვინ ყოველთვინ ვინახავ ბ ა დ ა გ ს და ფელამუშს ხშირათ ვაკეთებთ (ტაბაყინი); ბ ა დ ა გ ს ახლა აღარ ვაკეთებთ. სალიცინით ვინახამთ ტკბილს (პირველი სვირი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. I; შდრ. ჯოხ. ბადაჯი, იქვე ბაქმაზი).

ბადალი — ჩარში გაწვევისას ვინმეს სანაცვლოდ, მაგივრად წამსვლელი. „ბ ა დ ა ლ ი რო გეეგზავნა მამაჩემს, მაქსიმე იყო თუ მამაშენი?“ — „ისი არსენას ბ ა დ ლ ა თ ყოფილიყო თათრების ომში“ (პერევი). ვიყავი ჩარში გაწვეული ბ ა დ ლ ა თ, თუ გამოაკდებოდა იქა ვინმე, უნდა წავსულიყავი მის მაგივრათ (ლეღვანი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, დიალექტ. თუშ., უთურ.; შდრ. მენთ. ნუქთი).

ბადეობა თევზის დაჭერა ბადით. ბ ა დ ე ო ბ ა არ ვიცოდი და ისე თუ დაშქერამდენ (იხ.) წყალს, მაშინ ვერავენ ვერ მაჯობებდა (პერევი); აქ ხელობით (იხ.) და ბ ა დ ე ო ბ ი თ ვიქვრთ თევზს, მე ბ ა დ ე ო ბ ა ი უფრო მიყვარს (ზვარე).

ბადია ბადექონი. ღორს შიგნი აქ ღვირძლი, წელები, ფიფვი, გული, კაქები, თათბურა, ბ ა დ ი ა (ხვაშითი). (იხ. შარაშ. ბადექონი ქავთ.. გურამ.: შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს.. კახ.).

ბადიშ-ი კურებისა და ქვევრების სარქველი ხისა, იშვიათად ბლის, ცაცხვის თუ წაბლის ტყავისა. შეიძლება მთლიანი იყოს, შეიძლება შედგებოდეს ორი ნახევარსფეროსაგან (ნახევარწრისაგან). (სინონ. ქვ. იმერ.

ორგო — ზედა დიმი, უხუთი). დიდ ქურებს ეხურება უპირატესად ორი ნახევარსფეროიანი ბადიმი, რომელიც შუაში ამოჭრილია ორში-მოსათვის და ახურავს ხის მრგვალი ფირფიტა, — სარქველი (ზოგიერთ სოფელში სწორედ ამას ეძახიან ბადიმს, ხოლო ბადიმს — სარქველს, რომელიც აიხდება ღვინის ამოღების დროს, ღვინის გადაღებისას კი ზდიან ბადიმსაც). ქვევრებს ბადიმები არ უნდა, ახურავენ მხოლოდ სარქველებს (ღვინი, ღორეშა, ხიდარი, ზვარე, მორძგვითი, ვახანი). (იხ. ჯაჯ. IX; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ლეჟ. 69).

საჩხერის რაიონსა და კიათურის რაიონის მეტწილ სოფლებში იხმარება მხოლოდ ბადიმი. ქვევრსაც და ქურსაც ბადიმები ეხურება და არა სარქველი.

დიდ ბადიმს შუაში აქ ამოჭრილი და იმაზე კიდევ მეორე ბადიმი ეფარება (არგვითი); თუ ქური დილია, უნდა დიდი ბადიმი, რომელსაც შუაში ამოჭრილი აქვს და ეხურება ერთიანი ან ორად გაყოფილი ბადიმი. სარქველი აქ არ იხმარება, სარქველი ქოთნის თავსახურავია. აქ მხოლოდ ბადიმები ვიცი (წყალშავი).

ხევში, ლიხსა და ღოდორაში სარქველი ხისაა, ხოლო ბადიმი კეთდება წაბლის, ცაცხვის ან ბლის კანისაგან. რომელიმე ამ მცენარის კანს დააღობოვენ წყალში, შემოჭრიან ქურის ზომაზე და ახურავენ ქურს, ზევიდან აფარებენ ხის სარქველს, რომელიც ან მთლიანია, ან ორად გაყოფილი.

ზესტაფონის რაიონის ზოგ სოფელში ბადიმი არ იხმარება: „ბადიმი სულ არ გამოგონია, ჩვენ სარქველს უძახით“ (პირველი სვირი). ბადლის ჩითი ჭრელი ჩითი. ბადლის ჩითის კაბა შევიკერე (ბაჩითი). (იხ. ბ. წერ. ბადლის ჩითი, ბარდლის ხამი).

ბადრი ჩითი იგივეა, რაც ბადლის ჩითი (იხ.). რავე დაქტუცვია კანქები ბადრი ჩითივით (შომახეთი).

ბადურა ობობას ქსელი. ჩამოწმინდე ბადურა (წიფა). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ბაზალეთური ცოლიკაური თეთრყურძნიანი ვაზის უძველესი ჯიში, რომელიც გავრცელებულია ბაზალეთში და მის მახლობლად მდებარე ხარაგოულის რაიონის სხვა სოფლებშიც. სახელწოდება სოფელ ბაზალეთიდან მომდინარეობს. ობჩურასაგან განსხვავებით. აქვს მდებარობითი ტიპის ყვავილი, უფრო მეჩხერი მტევანი და წვრილი მარცვალი. მისგან დგება კარგი სუფრის ღვინო. ცოლიკაური არის ბაზალეთური და ოფჩურა (უჩამეთი); ბაზალეთური ცოლიკაური ყვითლად მწიფდება, უფრო წვრილმარცვლიანია, მაგრამ მეტი შაქრიანობა აქვს და მაგარი ღვინოც დგება, ოფჩური უფრო მსხვილმარცვლიანია. მომწვანო ფერზე მწიფდება (ტაბაკინი). (იხ. ი. ჯაჯახ. საქ. ეკ. ისტ. II. 436, 499, განმარტ. ლექს., დიალექტ. ლექს. იმერ.).

ბაზრიელ-ი ქალაქელი. ბ ა ზ რ ი ე ლ ი ხალხი ამოდინ ამ გზაზე (წაქვა).

ბათუმის ლობიო ლობიოს ჩიშია, ბრტყელპარკიანი, უბეწვო, კრელი, მოგრძო მარცვალი აქვს (ზედა საქარა); ბ ა თ უ მ ი ს ლ ო ბ ი ო თეთრია და შავი ზოლი აქ (ხიდარი).

ბათფანი 10-12 კგ ტევადობის საწყაო კურკელი. ბ ა თ ფ ა ნ ი 10 კილოიანი საწყაო (ქალაურთა); ბ ა თ ფ ა ნ ი 12 კილოიანი სარწყავი კურკელია ხისა, ლელვანში ფოხალი (იხ.) იციან (ხიდარი).

ბაკ-ი იგივეა, რაც ს ა ჩ ე ბ ი (იხ.). ბ ა კ ი ა საქონლისთვის გადაუხურავად მოწნილი სადგომი. შამოვრაგვამთ საქონლისთვის და ბ ა კ ი ქვია იმასა (ვახანი). (იხ. დ. ნ. ჩუბ., მენთ. მნიშვნ. 2, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, ს. მ. ტერმ., ყ ა ზ ბ., ნ ი ე. ბერა: შდრ. ს ა ბ ა, დიალექტ. თუშ., უ თ უ რ.).

ბაკე ეზო. ოთხი ცხენი მეიყვანეს ბ ა კ ე შ ი ვარინკას წასაყვანათ (პერევი); მალლარი მაქ ბ ა კ ე შ ი, ჩამოკრიფე და წეიღე (მახათაური); ბ ა კ ე ე ფ შ ი გვაქ კარქი წყლები, მოტანა არ ქვკირდება წყლისი (სავანე); ნახევარი წლის ძალლი თუ არ იქნება დაგერშილი, მერე გოუშვი ბ ა კ ი ს ძალლათ (შომახეთი), ბიკი აქ იდგა და ჩემი ბ ა კ ი დ ა ნ გადაჩერებოდა (ჩიხა.); ბ ა კ ე ე ზოა, სხვაგან საქონლის ფარებს უძახიან ბ ა კ ე ს (ხევი). (იხ. კ. კახ. 85, შნშ. 1.).

ბაკულა იგივეა, რაც ბ ო კ ო ნ ა (იხ.) (სინონ. ბაჩია სკამი, ბოკია, ბოკომი, ბოკონი, ბოკონა, კოლიფა). ბ ა კ უ ლ ა ზ ე ვერ დაეჭდები, დაბალია (ზარანი).

ბალაზინის ზეთი საკურნებელი ზეთი, ბალზამი. ბ ა ლ ა ზ ი ნ ი ს ზ ე თ ი ა, ძან ეკონომიურათ რო იხმარება (ზედუბანი). (იხ. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. ბალზამი, ს. მ. ტერმ. ბალასინი, ბალზამი, ქ ა ე თ.).

ბალდიმ-ი იგივეა, რაც ბ ა დ ი მ ი (იხ.). კურს დაფარებული აქ სარქველი, შუაზე ამოჭრილი აქ რვეალათ, რო მთლიანი მოხთა არ დაჭირდეს და ჩავიდეს შიგ პატარა ორშიმო. ამას ქვია ბ ა ლ დ ი მ ი (ქვედა საქარა); ახლა ბ ა ლ დ ი მ ე ფ ს გადავეჩვიეთ და ერთიან სარქველს უკეთეთ (იქვე).

ბალთავ-ს ძირიანად კრის. ეს ბიკი ბ ა ლ თ ა ვ ს ბალახს (სვერი). (იხ. ს ა ბ ა, დ. ნ. ჩუბ., მენთ. ბალთვა, განმარტ. ლექს. კახ. ფშ.).

ბალიკარტ-ი ქათმის ფეხზე წამონაზარდი. ბებერი იქნება ეს ქათამი, ბ ა ლ ი კ ა რ ტ ი აქ ფეხზე (სვერი).

ბალიშ-ი იგივეა, რაც ბ ე ლ ი შ ი (იხ.). ტორმუზის ღერძს აქ ხის ნაქერი, რო ტორმუზის ღერძს არ შეეხოს ბორბალი, და იმას ქვია ბ ა ლ ი შ ი (სხვიტორი). (შდრ. დ. ნ. ჩუბ., მენთ., დიალექტ. ქართლ.). ბალუქ-ი კუჭყიანი, უსუფთაო. მეზარება ბ ა ლ უ ქ ი ქალი (სვერი). (იხ. ბ ე რ. ბელენძუხა, შ ა რ ა შ. ბალანგარაი).

ბალლოჯი ბოტ. ველური ბლის ერთ-ერთი სახეობა, — თამელი.

ბალლოჯი მთის ხილია, სხმარტლზე წვრილი, ყურძნის მარცვლის-ოდენა მარცვლები აქ (ჩიხა); **ბალლოჯის** შინდივით გრძელი წაბლისფერი ნაყოფი აქ, მწიფდება ნოემბერში (შომახეთი); **ბალლოჯის** სხმარტლისფერი ნაყოფი აქ, მისი მსგავსია, მარა უფრო პატარა და უფრო მოგძოა (ლორეშა). (იხ. მაყაშ., მენთ., განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ.).

ბამბამაყვალა ბოტ. ძალღმაყვალა. **ბამბამაყვალით** გავსებულა ეზო (ხიდარი). (იხ. მაყაშ., ქავთ., ალაგ. ლეჩხ.).

ბამბიეკალა სარეველა ბალახი ეკლის მსგავსი ფოთლებითა და ეკლებით, — ცეცხლეკალა. იხმარება ჭურჭლის ძერწვის დროს ნელი ჭურჭლისა და მისი ნაწილების დასაფარავად, რომ არ გახმეს. ჭურჭელს გავაკეთებთ ერთ ტკველს და გამოვალამაზებთ ჭერ სველი ბანდით (იხ.), მერე მოვფოთლამთ **ბამბიეკალას** ნოშოთი, რომ არ გახმეს და მოქნის დროს იყოს ბილი (ბოსლევი). (იხ. ალაგ. ოკრ. ბამბიეკალა. ბ. წერ. ბამბიეკალა).

ბამში ბავშვი. პატარა **ბამში**, სახელათ გოგია ერქვა, მოიწვინეს გვერდზე (ზვარე); მოიყვანეს **ბამშის** ექიმი (წიფა).

ბამშიანი ბავშვიანი. **ბამშიანი** ცოლი ყამს (ზვარე).

ბანათ დახურული სახლი სახლი ბრტყელი. ოდნავ დაქანებული სახურავით. **ბანათ დახურული სახლი** უფრო გაშლილათ, ცოტა დაქანებულათ არი, ვიდრე ყაფრათ (იხ.) დახურული (ზედუბანი). (იხ. მენთ., განმარტ. ლექს., დიალექტ. მთიულ. ბანიანი სახლი, ჭავახ. ბანი).

ბანგი ბანკი. იმ სახელმწიფოში იყო ერთი **ბანგი**. სუყოველდამე ტყდებოდა **ბანგი** (ხიდარი).

ბანდი 1. „უხმარი ძონძი“ (საბა, დ. ნ. ჩუბ.). **ბანდი** ჩვარია, რომელიც იხმარება თიხის ჭურჭლის კეთების დროს ჭურჭლის გასაწმენდათ და გასალამაზებლათ. **ბანდით** შამოვალამაზებთ ჭურჭელს (ბოსლევი). სველი **ბანდით** წინასწარ შამოვწმინდავთ ჭურჭლის პირს (იჭვე). 2. იგივეა, რაც **ბუწუწი** (იხ.). **ბოჭოჭიამ** (იხ.) იცის **ბანდი** (ლორეშა). (იხ. ბერ., განმარტ. ლექს. ბანდი).

ბანდლი ვაზის ზედმეტად ამონაყარი ყლორტები, — ნამხარი (სინონ. ბიჭა-ბიჭა, ფუთქი). ვენახს სანამ მოვრწყამდე, გავმორჩნი, ზედმეტი **ბანდლი** რომ აქ, იქას შევაცლი (მოხვა). (იხ. დიალექტ. ქართლ. ბარდლი).

ბანცალოფს ტორტმანობს, ბარბაცებს. დამთვრალა და **ბანცალოფს** (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ.).

ბაჟიანი დაუშწიფებლად, დაუვარგებლად. სულ **ბაჟიანი** ვკამეთ ლელვი (განთიადი). (იხ. განმარტ. ლექს. ბაჟე მნიშვნ. 1.).

ბარა || ბარობა. ჩემ ბარაზე ჩემს წილად: ჩემ ბარაზე არაფერ არ ყოფილა (ტაბაკინი). (იხ. დიალექტ. მესხ.).

ბარბუც-ი იხ. აბარბუცდება, ბარბუცოფს, წააბარბუცეფს.

ბარბუცოფ-ს ბარბაცებს. ღიღი კაცები ბარბუცოფს, ვითომ თერალა (ბოსლევო).

ბარგ-ი ქვეშაგები. აი მისი ლოგინი, ბარგიც აგერ მაქ ექვსი ღუქინი (ბერეთისა); ბარქში კაათ ვიწუქი და გამიარა წენია ტყვილმა (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, გუჩამ. ბარგა, ძიძიგ. ქრესტ., კინკ.; შდრ. გაბ.).

ბარდ-ი გოგრის, ლობიოსა და მისთ. ღეროები და ფოთლები (იხ. ბერ., დიალექტ. რაქ.; შდრ. კირ., ყიფშ., განმარტ. ლექს.). იხ. აბარდაეს.

ბარდალა ბოტ. მინდვრის ბარდა. ბარდალა გაბარდული ბალახია, გვარგვალა (იხ.) მისი მარცვალა (ვახანი).

ბარდიანი ლობიო იგივეა, რაც წითელპარკა (იხ.). ბარდიანი ლობიო წითელი ლობიოა (გეზრული).

ბარდიმ-ი იგივეა, რაც ბადიმი (იხ.). ბარდიმი დაახურე ქურს (ლარინხვი).

ბარემას ბარემ. მოდი, წვილე ბარემას (ტაბაკინი); დავდგამ ზედ ბარემას (ზედა საქარა); ამას ამევიყვანთ ბარემას (ზარანი). (იხ. ა. შან. გ. მთ. ენა ბარე; შდრ. ქეშიკ. ბარე, ბარევალ).

ბარელაცა ბარემლაც. ბარელაცა მაგ საქმეს ჩვენ გავაკეთეთ (წირქვალი).

ბართმანი ბათმანი. 100 ბართმანი კაკალი მევიდა (უჩამეთი). ბარობაზე || ბარობით [ვისიმე ან რისიმე] გამო, მიზეზით. ცოტა ახლაც ტყივა ფეხი ამის ქმარს. ფეხის ბარობაზე დაანება რკინიგზაში მუშაობას თავი (შომახეთი); ჩვენი ბარობით მევიდა სახში (მანდაეთი); „ნასწავლო ვარო“, მისი ბარობით აქ არ გაჩერებულა (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს.; შდრ. დ. ჩუბ.).

ბარულა იგივეა, რაც ძელ-ბარი. (იხ.). აქ ძელ-ბარი არ იხმარება, აქ ხმარობენ ბარულას. დავგლისამთ აყალოს, სილას დაეყრით, ბარულათი ამოვიღეთ, მოვჭრით, მერე მოვტყეპნით აყალოს ფეხით და დაეყრით სილას (ხევი); ბარულა, როგორც ხეი, ქურისთვინ იხმარება, ბარი რკინისაა (ვახანი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ.. განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ. ბარულა, ბერ. ბარჯუკი; შდრ. კახ.).

ბარულოფ-ს იბარებს. კვერცხს კ'ალარ ბარულოზენ (პერევი).

ბარძიმ-ი ძვ. ეკლესიაში სახმარებელი ოქროთი მოვარაყებულ, მაღალ-ფეხიანი, ვერცხლიან ღრმა სასმისი. ბარძიმში ზედაში იყო (შომახეთი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ა. შან. გ. მთ. ენა, განმარტ. ლექს.,

იმნ. ქრესტ., კახ., ანდრ. 298; შდრ. ჯაჯ. IX, დიალექტ-
მოს.).

ბარძიმ-ფეშხუმი-ი ბარძიმი და ზიარების დროს მასთან ერთად სახმარი
ლითონის თეფში, — ფეშხუმი. გამეიტანა ბარძიმ-ფეშხუმი. და
დეიდგა თავზე (ვახანი). (იხ. განმარტ. ლექს.).

ბასასხები-ი (იხმარება მხოლოდ მრ. რიცხვში) პატარა ბავშვები. ცილამ
წეიყუანა ბასასხები და მეიტანა ჩალა (ხვერი); ესენი ჯერ ბა-
სასხები არიან (ტაბაკინი). (იხ. ჰყ., განმარტ. ლექს. ბასარსხლები,
ბერ. ბახარხალი, ჯაჯ. X).

ბასკ-ი || ბასკა იგივეა, რაც ყერო (იხ.). ბასკა ხის ნაჭერია,
რომელსაც ფიცრის გატეხილ ნაწილზე აკრავენ. ურემი გატეხილი იყო
და ბასკა დავაკარი (ხიდარი); კარებზე ბასკი მაქ გასაკეთებე-
ლი (შუქრუთი). (იხ. ბერ., ელ.; შდრ. ყიფშ., განმარტ. ლექს.).

ბასრ-ი ქათმის ავადმყოფობაა, უეცრად კლავს. შარშან ჩვენ ქათმეფს
ბასრი დეერია. ქათამა იცის ბასრი, ინდოურმა — კირი (შომა-
ხეთი). (შდრ. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს., გაბ.).

ბატყუცა პატარა და სიმსუქნისაგან გამრგვალებული. ეს გითხრა იმან,
ლილიუტი რო არი და ბატყუცა? (ტაბაკინი).

ბადის ლობიო ლობიოს ერთ-ერთი სახეობა, დიდი ჭრელი მარცვალი
აქვს. ბადის ლობიო კრომახაა (იხ.), დიდი მარცვალიც აქ
(გეზრული).

ბაყანათ აჯაბაჯა, გვერდელად. ერთი მეზობელი ქყავდა, ბაყანათ
სიარული იცოდა (ზედუბანი).

ბაყაყლაპია ბაყაყიჰამია, — ყანია. ბაყაყლაპია გძელკისრიანი
ფრინველია, ინდოულივით დიდია, მოლღანჭული კისერი აქ (შომახე-
თი). (იხ. განმარტ. ლექს. ბაყაყიჰამია).

ბაჩა დაბალი, ტანმორჩილი. მე ბაჩა კაცი ვიყავ, მორჩილა (წაქვა);
ბაჩა ხე იყო, დაბალი (შომახეთი). (იხ. ჰყ., განმარტ. ლექს. ბაჩა
მნიშვნ. 1, იქვე გუდამაყ. უზღელა, ს. მ. ტერპ. საქონელი ბაჩა, ალაგ-
ლერხ. ბაჩაი ძროხა; შდრ. კირ. ბაჩაჩა, ბაჩუა, განმარტ. ლექს.
ხეეს. ფშ. ბაჩანა მნიშვნ. 1).

ბაჩია სკამი იგივეა, რაც ბოკომი. ბოკონა (იხ.). ბაჩია
სკამზე ნუ დაბძანდებით (ჯალაურთა).

ბაძაძგნარ-ი გაბურღული, ერთმანეთში გადახლართული ეკალ-ბარდით
დაფარული ადგილი. ბაძაძგნარი იყო და ვერ გევედით (ლორე-
შა). ბაძაძგნარია, გაცმულ-გამოცმული ცკლები როა ტყეში,
რო ვერ შედიხარ (გეზრული). (იხ. საბა, განმარტ., ლექს. ბაძგარი
მნიშვნ. 1, ქაეთ.).

ბაძვი კარის გულფიცრის ჩარჩო, — ბაზო. ბაძვი უნდა კარს (გან-
თიადი); პირთხელი (იხ.) იხმარება კარების ბაძვიების ჩაჭრის შემ-

დეგ ჩასაწმენდათ (იქვე). (იხ. ბ. წერ. ბადო, ბერ., განმარტ. ლექს. ბაზო მნიშვნ. 2).

ბაწარ-ი 1. საერთოდ, თოკი. ბაწარი თ საქონელს აბამენ, სარეცხსაც კილებენ (დილიკაური, ვანთიადი, ტაბაკინი). (შდრ. საბა., დ. ნ. ჩუბ., მენთ., შარაშ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, 2, 3, 4, 5 დ., დილექტ. რაქ. კახ.-ქიზ. ფშ. გულამაყ., უთურ., ვაჟა I). 2. მხოლოდ საქონლის დასაბამელი მსხვილი თოკი. ჩვენ თოკს სარეცხისას უძახით, ბაწარს — საქონლის დასაბამელსა (უჩამეთი); ბაწარი ამიხსენი, მამიტანეი, ჩემი ხარები რო ებენ (წიფა).

ბაწარა 1. იგივეა, რაც ბაწარ-სოკო (იხ.). ბაწარამ ჩოჩხორათ (იხ.) იცის ამოსვლა (ლორეშა); ბაწარა ბუსუსხოიანი (იხ.) სოკოა (ლეღვანი). (იხ. საბა ბაწარა, ირმის-ბაწარა, ნ. ჩუბ. ირმის-ბაწარა, დ. ჩუბ. ირემი, ბ. წერ.). 2. გაღატ. ნიგვზის ხის ყვავილი. ბაწარაა ნიგვზის ბუწუწები (იხ.), მუხლუხივით რომაა (ხვაშითი); ბაწარას უძახით ნიგვზის ყვავილს (პერევი). (იხ. ბერ. ბიმბილი, ალაფ. ლეჩხ. ბაწარი).

ბაწარ-სოკო იგივეა, რაც ირმის-ტუჩა (იხ.). ბაწარ-სოკო მოყვითალოა, ერთიერთმანეთზე ამოდის, ბაწარივით გაბმულია და წვრილ-წვრილი (მანდაეთი).

ბაჭაჭუა ობობა. თქვენ სახში იყო სულ ბაჭაჭუაი გაბმული (წაჭვა). ბაჭაჭუას ქსელი ჩამოვწმინდე (ლეღვანი). (იხ. საბა. დ. ნ. ჩუბ., ა. ჩიქ. შედ. ლექს., მენთ. ბებერა მწმე. 2, ბერ. ბობორიკა, განმარტ. ლექს. ბაბაჭუა, ინგილ. ბურველა; შდრ. ალაფ. ლეჩხ. ბოჭოქიე, მაის. ბოჭოჭუა).

ბაჭაჭუას ბუდე ობობას ქსელი. ბაჭაჭუას ბუდე მოაცილე (ხევი). (იხ. მენთ. ბებერა ბუდე).

ბახაკ-ი ხაბაკი. ბახაკს ხოვერ შეიტან? (ლორეშა).

ბღგული-ი ფრთხიალი. ბღგული დღეიწყო ჩიტებმა ჩვენ დანახვაზე (ბოსლევი).

ბებერა მოყავისფრო-ნარინჯისფერი სოკო, მეტწილად არ ჰამენ. ბებერა ყავისფერი სოკოა, არ იკმება, მარუა ჰამს მარტვა. ზოგი ქე ჰამა მაინც. ვინც ჰამა, გასკდა ღარმე (ხვაშითი); ბებერა სოკოი არ იკმება (ზვარე). (შდრ. მაის. ბებერა).

ბებრიკონკა ბოტ. ბებრიკონკა. ერთწლოვანი მცენარეა, გვხვდება ბოსტნებში. გაზაფხულზე, როცა თოთოა, ფხალშიაც ურევენ, ჰგავს კინკარს, ოღონდ უფრო პატარა ფოთოლი აქვს. შემოდგომაზე, როცა სიბერეში წავა, იცის თეთრი ყვავილები (ზარანი).

ბეკ-ი || ბრეკი ბეგი, გორაკი. მონადირე ბეკზე ჯდება (სვერა); ბრეკზე ნუ აღიხარ (უჩამეთი). (იხ. განმარტ. ლექს. ბეგი მნიშვნ. 1). ბელა, ბელა! ცხვრის მოსახმობი შეძახილი (ჯოდი).

ბელეში-ი ბურთი. ბ ე ლ ე შ ი ე ი თ ვეცემოდი (ტაბაკინი).

ბელიში-ი 1. ხის ნაქერი, რომელიც ეკერის სამუხრუჭე ხეს და იკერს გოგორას თავდაღმართში (ვანი); ტორმუხის ხესა და გოგორას შუა მო-თავსებული ხის ნაქერია ბ ე ლ ი შ ი (ხვაშითი). 2. დიდი ხე, რომე-ლიც დაედება ყურძნით გავსებულ საქაჩაზე მოთავსებულ ფიცარს (სვერი). (შდრ. ჭყ.).

ბელკვა იგივეა, რაც ს ა გ ო გ ა ე ი (იხ.). ურმის ხუნდსა და ზესად-გარს შუა არის დარჩენილი თავისუფალი მანძილი, რო ზესადგარმა იმოდროს. აქ ჩაკრულია ბ ე ლ კ ვ ა, ანუ საგოგავი, რომ არ გაიხეხოს ზესადგარი (იხ.) და ხუნდი არ გაფუქდეს (ჭალაურთა).

ბელყეიში-ი დიდი (ითქმის მხოლოდ მქალზე). არ გაათავა სიმონიკამ ერთი ბ ე ლ ყ ე ი შ ი ჭ ა დ ი! (ტაბაკინი). (შდრ. ნინოშ.. 1 ლ. ბელყაიში, ბ ე რ. ბელაზანი, ბელეზანი).

ბელძინ-ი ბენზინი. ბ ე ლ ძ ი ნ ი ს სუნს ვერ ვიტან (წირქვალი).

ბელწი-ი წველის შემდეგ დაუმაკებლად დარჩენილი საქონელი (და არა საერთოდ დაუმაკებელი), -- ბერწი (ამ მნიშვნელობით იხმარება მთელს ზემო იმერეთში). რო იწველის და მამავალ წელს უმაკური დარჩება, ბ ე ლ წ ი ა ი სი (ზარანი): ხზოი რო ყამს, მერე რო აღარ იმაკინედს, ბ ე ლ წ ა თ დარჩება. მერე გვიან დამაკდება (ვახანი); ერთი წელიწადი ან მეტი დოუმაკებელი რო დარჩება ძროხა, თავს რო არ დეიცავს (იხ.). ბ ე ლ წ ი ქ ე ი ა ი მ ა ს (ტაბაკინი).

ბექან-ი გორაკი, ბექი, ბექობი. გამევედი ბ ე ქ ა ნ ზ ე და მოვკალი კურდღელი, მოდიოდა დაბლობიდან (ზარანი). (იხ. მე ნ თ. ბექური, დიალექტ. ფშ. ბექი, ლ ლ. ბექური ალაგი: შდრ. კ ი რ. ბექი).

ბელჯ-ოთახ-ი ბელელი და ოთახი. -- ნაგებობა. რომლის ერთი ოთახი ბელლად არის გამოყენებული, მეორე — საცხოვრებლად. ბ ე ლ ე ლ - ო თ ა ხ ი ა ბ ე ლ ე ლ ი ც რო არის და ოთახიც. ოთახში შეიძლება იცხოვე-როს კაცმა (განთიადი).

ბელლის მალლა პოლი ქერი. ბ ე ლ ლ ი ს მ ა ლ ლ ა პ ო ლ ი ფ ი ც რ ი - ს ა ა (ზედუბანი).

ბელლის ძირს პოლი იატაკი. ბ ე ლ ე ლ ს ა ქ მ ა ლ ლ ა პ ო ლ ი და ძ ი რ ს პ ო - ლ ი (ზედუბანი).

ბელლიწინ-ი ბელლის წინ პატარა ბალკონია (ქვედა საქარა).

ბეწველა იგივეა, რაც ს ა ბ ე წ ვ ე ლ ა (იხ.). ბ ე წ ვ ე ლ ა ბეწვივით არი, კალიასაგან ჩთება (საბე).

ბექამ-ს ერთმანეთთან მიტანით აერთიანებს; აკრავს. ბექავს. საბარცხ-ლის კბილში იყო გაყრილი ძაფები, რო გაატარებდენ მაქოხ, იმაში მას-რა იყო დახვეული, ლაფათინს (იხ.) მიარტყემდენ და ბ ე ქ ე მ დ ა ძაფს: ლაფათინი ჩაქსოვილ ძაფს: ბ ე ქ ა მ ს (ბერეთისა). (იხ. მე ნ თ., განმარტ. ლექს.).

ბეჭვა ერთმანეთზე მიკვრა, მიტანა. ბეჭვა იმას ქვია, რო ნაქსოვ ძაფს ლაფათინით ერთმანეთზე მიიტანდნენ (ბერეთისა). (იხ. მე ნთ., განმარტ. ლექს.).

ბზე მზე. ჩვეილა ბზეი (ხილარი). (იხ. ნინო შ.). იხ. მოაბზევეფს, მოაბზევენეფს.

ბზნილოფ-ს ცრუმორწმუნეობის ნიადაგზე გარკვეული მოქმედების შესრულებას შიშობს, კრძალავს. მიცვალებულის გასვენების მესამე დღემდე არ უნდა დეიბრუნო შენგან ნათხოვარი რამე მიცვალებულის ოჯახიდან. თუ წეილდე, მე არ მეშინია, თუ თქვენ არ ბზნილოფთ (განთიადი); მე არ ვბზნილოფ და, თუ ის ბზნილოფს, მიტოვერ წამევილდე (უჩამეთი); მეზობლები ბზნილობენ სკამებია წალებას გასვენების მესამე დღემდე (განთიადი). (იხ. ბ. წერ. მზნილობა, ბზნილობა, დაბზნა, შარაშ. ბრძნა, ბერ. ბზნილობა).

ბიბო მეტად თეთრი; თეთრთმიანი. ბიბო ქალი ყამს (ზედუბანი); სულ ბიბო თეთრი არი ესე (ლორეშა); ე ქალი ბიბო თეთრია (ტაბაკინი). (იხ. ჰყ., განმარტ. ლექს. ბიბა; შდრ. ალაგ. ოკრ., ლეჩხ. ბობოლია, ყლ., ქავთ. ბობრი).

ბიგა ორკაპა ჯოხი (სინონ. ბარზი, ბოჯინჯგალი, ბოჯიჯგი). ხეხილს რო ბევრი ასხია, ტოტი რო არ მოტყტეს ნაყოფის სიმძიმისაგან, გოუქეთეფთ ბიგეფს (ტაბაკინი).

ბიზლაო ბოტ. ოსერო (მაყაშ.). ბიზლაო სარეველა ბალახია (პერევეი); ბუერა (ფურღვენა) დაბალია, ეკლიანი ნაყოფი აქ და ფართო ფოთელი, მაღლა ბიზლაო იცის, ეწებება ტანისამოსს (შომახეთი). ბითავო მსუქანი. დაკლეს ე ძროხაი, სულ წმინდა ბითავო ხორცია (ბორითი). (იხ. ქავთ. ბითაო.; შდრ. ჰყ., შარაშ. ბათურაი, განმარტ. ლექს., დიალექტ. ინგილ. ბითავ-ბითოვ).

ბიკვი-ი ჭირკის, ხის ძირკვების ჩამონამტვრევი; გამხმარი ხის ნაჭრები; პატარა ჭირკი. ბიკვები არაფერი ყრია მადანა? (ბერეთისა); მომიტანე ნაჯახი, ავერ კაი ბიკვია და დავკრავ ამას (განთიადი); (იხ. ქავთ.; შდრ. ბერ. ბიკვი, ბუკუნტალა).

ბილა გააკეთა დაეცა. „ბილა ქე გააკეთე ამ დილაზე?“ — „დევეცი და ბილა ციყო და ყორიფელიც“ (ბოსლევო).

ბილბანდი-ი ბინდი, ბინდბუნდი. სალამოს ბილბანდი, გათენების ბილბანდი. ბილბანდია, შალე დალამდება (შომახეთი); სინათლე აანთეს, როგორც ბილბანდი იქნება, ისე არი (ხილარი); გათენების ბილბანდი იყო, რო ავდექი (ფარცხნალი). (იხ. გურამ. ბინდებული).

ბილბით-ი უსაქმურად ხეტიალი. ის მოისპო, მაბილბითა თავის ჰკუაზე! ბილბითი არ ღლის მავას (ლოდორა) იხ. აბილბითეფს.

ბილბუნდ-ი იგივეა, რაც ბილბანდი (იხ.). ბილბუნდი იყო, სახში რო მოვედი (ხევი).

ბილიკ იხ. აბილიკება, გადააბილიკეფს, ეიბილიკეფს, წოუბილიკეფს, ჩოუბილიკეფს.

ბილიკ-ი 1. საცალფეხო გზა. ამ ბილიკს გაყევი (სვერი); (იხ. განმარტ. ლექს.). 2. ამობურცული, ამალღებული ადგილი. გორასავითაა ბილიკი (ხიდარი); ბილიკი, პატარა გორა რო არი, იმას ქვია (ზარანი); ბილიკია ამობურცული ადგილი, ბრეკი (იხ.) რო იქნება (უჩამეთი); ბილიკი აზურგებული ადგილია, გვერდოიანი, დაბლა ჩაღრმავებული (საბე).

ბილიკა 1. იგივეა, რაც ბილიკი (იხ. მნიშვნ. 1). აგერ რო ბილიკა მოჩანს, იქ უნდა მოგეხვია (წაქვა); ბილიკას გაყევი (მოხვა). 2. იგივეა, რაც ბილიკი (იხ. მნიშვნ. 2). ბილიკა მომადლო ადგილია... ადი მაგ ბილიკაზე (შომახეთი); ვნახე მესამე კურდღელი, ბილიკაზე — სერ ადგილზე უდგივარ (ლელვანი); ბილიკა სერიანი ადგილია (ქვები).

ბილმანდი-ი იგივეა, რაც ბილბანდი (იხ.). ბილმანდია, რაღას გააკეთეფ? (ზარანი).

ბიმბილო 1. ბიბილო. ბიმბილო რო აქ ქათამს, მეზარება მისი ქამაი (ხიდარი). (იხ. ალავე. ოკრ. ბიმბილი მნიშვნ. 2., ფოცოცი, განმარტ. ლექს. ბიბილო მნიშვნ. 1, ს. მ. ტერმ.: შდრ. ალავე ლეჩხ.; ბერ. ბიმბილი, დიალექტ. ლეჩხ.). 2. ადამიანის ყურის უხრტილო, ცხიმოვანი, ბრტყელი ჩამონაზარდი. მარჯვენა ყურის ბიმბილოები წეიქერითო (ლორეშა). (იხ. განმარტ. ლექს. ბიმბილო მნიშვნ. 2). ბინა საფლავი. ჩემი ქმრის ბინას პომიატნიკი გოუკეთე (პერევი). (შდრ. კინქ., უთურ., დიალექტ. ხევს., ყაზბ.).

ბინბილო იგივეა, რაც ბიმბილო (იხ. მნიშვნ. 1). მოაქერი ქათამს ბინბილო (ტაბაკინი, უჩამეთი). (იხ. ყლ. დუდი, ქე შიკ. ჩინჩლო).

ბინიკ-ი იგივეა, რაც ბილიკი (იხ. მნიშვნ. 2.). ბინიკი, ბრეკო (იხ.) თუ არი, იმას ქვია (ზოვრეთი).

ბინწყვალ-ი სულ პატარა, ერთი ბეწო. იქნება ერთი ბინწყვალის ოთახი, შიგ ვერ მოტრიალდები (დილიკაური). (იხ. ქავთ.; შდრ. კყ. ერცახე).

ბინჰველ-ი კიანჰველა. თაფს ბინჰველი დასეოდა (ბოსლევი). (იხ. ბერ. ბუნჰყველა, ბურჰყველა). იხ. ჯინჰველი.

ბიშ-ბიშ! ცხვრის მოსახმობი შეძახილი (ხრეთი).

ბიჰა-ბიჰა ვაზის მუხლთა ძირში გამოსული ზედმეტი ყლორტები. ბიჰა-ბიჰა ქვია, ფოთლფთან რო ამეიღეფს კვირტს; ის რო არ გააცალო, ერთი კიმპალიც (იხ.) არ მოვა. გავკიწოთ (იხ.) ამას, ფოთლები დარჩება და ყურძნის ტევანი (უჩამეთი, განთიადი); საცა ფოთელი აქ

ვაზს. იქნა იცის ბიკა-ბიკამ ამოღებაი, ლერწს აზიანეთს. მორეთ
რო უნდა მოვწამლოთ, მაშინ ვწყვიტამთ ბიკა-ბიკას (სანახშირე);
ბიკა-ბიკა ვენახის კვირტან გვიან გამოსული ყლორტია, რომელიც
საჭირო აღარ არი ვენახისთენ და გამორჩენის დროს აცლიან (დილი-
კაური). (იხ. ბ. წერ., ქავთ., განმარტ. ლექს., ბერ., კუმბ.
83, კახ. ნამქვრევი).

ბიჯგ-ი რისამე გასამაგრებლად შესადგმელი ძელი. სახლი წაქცევას ეპი-
რებოდა და ბიჯგებ ბი შეუყუდეს (ზარანი). (იხ. ყიფშ., გან-
მარტ. ლექს. გურ. იმერ. მნიშვნ. 2, ჯაჯ. IX ბიგა, ბარჯგი; შდრ. შა-
რაშ., ბერ. ბიჯგ, დაბიჯგება, საბიჯგარა I ე-მ). იხ. დეიბიჯ-
გეფს.

ბლანცა-ბლუნცი გოუდის იგივეა, რაც ბანცალოფს (იხ.). დათვრა,
მარა რა დათვრა, ბლანცა-ბლუნცი გოუდის (ტაბაკინი).

ბლიგვი-ბლაგვი, უხეში. ბლიგვია ეჭინი (იხ.), სხვილი წკნელით
არი მოქსოვილი (შროშა). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ბლიტიანი-ი გამოცანაში ნახმარი სიტყვა. „ჩლიჩიანი, ბლიტიანი
ტყეში გამეიმზირება“ (სხპარტლი) (ზედუბანი).

ბლუდუნა უთავბოლოდ მოსიარულე. ბლუდუნა ხარ შენე (ხევი).
(იხ. შაის. ბლადუნი მნიშვნ. 1; შდრ. ქავთ. ბლადუნი).

ბლუკ-ი ზანტი, დონდლო, მოუხერხებელი (იხ. ქავთ.). იხ. ბლუ-
კამს.

ბლუკამ-ს მოუხერხებლად, ზანტად. დონდლოდ აკეთებს (რამეს). არ
იცის კაი ბარვაი, ბლუკამს (ხვერი). (შდრ. ქავთ. ბლუკი).

ბლუჩ-ი იგივეა, რაც ბლუჩუნა (იხ.). მეზარება ბლუჩი ბოვ-
ში (პერევი).

ბლუჩუნა ზანტი, მოუხერხებელი: ნეუსმენელი. მე ბლუჩუნა ბიჭი
ქარ ვიყავი. ზოგირა მოუხერხებელი, ბლუჩუნაი (ხრეთი). (იხ.
ბ. წერ. ბლუჩუნა, ლუჩუნა, ქყ. ბლაჩუა. შარაშ. ბლაცუჩაი.
ბერ. ბლარტი).

ბლუწუნა მოუხერხებელი, უუნარო. ბლუწუნა თავჯდომარე
ქვეამს (შორძგვეთი). (იხ. ქავთ.). შდრ ბლუჩუნა.

ბობინ-ი ბიბინი. ბობინი გააქ ბალახს (განთიადი).

ბობნიკ-ი ნელ-ნელა, აუჩქარებლად მოქმედება, ზოზინი. რანაირი
ბობნიკი იცის, რამდენ ხანს უნდება საქმეს (წიფა). (შდრ. შა-
რაშ. ბაბნიკი, ალავ. ოკრ. ბობნიკა ადამიანი).

ბობნიკოფ-ს ნელ-ნელა, აუჩქარებლად მოქმედებს, ზოზინობს. ბობ-
ნიკოფს, რო არ გეისწია, ჩქარა რო არ გაყვა! (წიფა).

ბოთე უკუყო, ჩერჩეტი: რა ბოთე ხარ, ვერაფერს შენ ვერ ხვთე-
ბი! (ტაბაკინი). (იხ. ქყ., მენტ. ბეტლუმი, ჯაჯ. IX. განმარტ.
ლექს.; შდრ. საბა. ნიჟ. ბეჩი). იხ. აბოთე ბულა.

ბოთლა ბოთლი. მამე ბოთლა, მჭირდება წამლისთინ (მორძგვეთი). (იხ. ჟაჟ. IX).

ბოკინკლები- (იხმარება მხოლოდ მრავლობით რიცხვში) პატარები და გლახები (ითქმის პირუტყვზე). ნუცა საქონელს მოდენიდა... რა ბოკინკლები ყოლია! რათ მინდა მაგისთანა ბოკინკლები (ტაბაკინი). (შდრ. დიალექტ. ხევს. ბეწეწიკურები).

ბოკომ-ი იგივეა, რაც ბოკონი (იხ.). ბოკომზე ვერ დაჭლებით (ღიჩი); ემას სკამს უძახით. პატარა, დაბალი სკამი როა, ბოკომს იმას ვეძახით (ზოდო).

ბოკონ-ი || **ბოკონა** ფიცრის პატარა, დაბალი სკამი, რომელსაც მთლიანი ფიცრისვე ფეხები აქვს (სინონ. ბაკულა, ბაჩია სკამი, ბოკომი). (იხ. ბ. წერ. ქავთ. ფიტონა მნიშვნ. 2; შდრ. ყიფშ. ბოკონი, ბერ., ელ., განმარტ. ლექს., დიალექტ. ლეჩხ. იმერ. ბოკონი). ბოკონაზე დააჩინე სტუმარი? (ბორითი, ფარცხნალო, შომახეთი, მოხვა...).

ბოკონა სკამი იგივეა, რაც ბოკონა (იხ.). ბოკონა სკამი შეიტანე ახლოს და დაჭექი (ბოსლევი).

ბოლი-ბოლი || **ბოლა-ბოლა!** ბატების მოსახმობი. ბოლი-ბოლი! აქეთ, აქეთ! (შომახეთი); ბოლა-ბოლა! სამიდიან ე დასალუპავები! (დილიკაური). (იხ. საბა., ბერ. ბოლი-ბოლა. მენთ. ბული-ბული).

ბოლო-ბოლო ბოლოს და ბოლოს. ბოლო-ბოლო 2 კილომეტრია იქამდე (ბოსლევი); ბოლო-ბოლო მივედით (განთიადი).

ბოლტი-ი (რუს. БОЛТ) ხის ან რკინის რიკი, რომელიც გაყრილია ურმის ფრჩხილებში (იხ.) და ამაგრებს ფრჩხილას თავებს, რომ არ გაიხსნას (სვერი); ფრჩხილები წინ ვიწროვდება და შეკრულია რკინის ბოლტით (ქვაციხე). (იხ. განმარტ. ლექს., ძიძიგ. ძიებ.; შდრ. დიალექტ. მოხ.).

ბომბორი ტყე იგივეა, რაც ბრმა ტყე (იხ.). რა გინდოდა, ამ ბომბორ ტყეში რო მიგიცია თავიო? (პერევი).

ბომში-ი ბავშვი. პატარა ბომში ვიყაი (წიფა); ბომში გედემკვალა (იქვე).

ბონძლი || **ბონძღვი** || **ბორძღვი** კლერტი, ყურძნის მტევნის კიმპლებდაცლილი ღერო. კალაუში ბონძღები დოუტოვებით მარტვა (ტაბაკინი); ყურძენი შეგიქამიათ და ბონძღვი რათ მინდა? (ქვედა საქარა); შოუქამია მარცვლები და მარტო ბორძღვები დოუტოვებია (სანახშირე). (იხ. ქავთ. ბონძლი).

ბონძღალი-ი იგივეა, რაც ბონძლი (იხ.). ცარიელი ბონძღალი რათ მინდა? (პირველი სვირი). (იხ. ბ. წერ., ჭუმბ.).

ბორბალა ბოტ. ხარისთვალა (იხ. მაყაშ.). ბორბალა მარადმწვანე ჩირგოვანი მცენარეა, ბტყელი ფოთოლი აქვს, გაზაფხულზე ალისფერ ყვავილს იძლევა (ჩიხა). (შდრ. ელ., განმარტ. ლექს.).

ბორბალის ღობე ბორბალას (იხ.) წნელისაგან მოწნული ღობე. ბორბალა მცენარეა და მისი წყნელით გაკეთებული ღობე ბორბალის ღობეა (ჭალაურთა).

ბორდოხ-ი მსუქანი, ფერხორციანი. ბორდოხი ქალი იყო, სილამაზე არ ქონდა იმდენი (ზედა საქარა). (შდრ. შარაშ., ძიძიგ. ძიბე., განმარტ. ლექს. დაბორდოხებული).

ბორიაყ-ი „ბორი — კმელი ნისლი, მტერის მგავსი“ (საბა); სიცხის დროს ჰაერში დამდგარი მტერის ბუქი. ბორიაყია და ბენზინის სუნი (სვერი); მტერის ბორიაყი იდგა (ზედუბანი). (იხ. დ. ჩუბ. ბორაყი, ნ. ჩუბ. ბორი, ბური, ბურუსი, განმარტ. ლექს. ბური, ბორაყი: შდრ. ქეშიკ. კოწოლი, ქავთ. ბორიაყი).

ბორხ-ი კაპიანი ხე, — ბარჯი. ბორხია საჭიროა, უბორხოთ ხის დაკავება არ შეიძლება (ფარცხნალი). (იხ. საბა, ნ. ჩუბ. ბორჯღლი, დ. ჩუბ. ბორჯღლელი ხე, ვაჟა II, ბერ. ბოჯგი, ალავე. ოკრ. ბორძღლო, განმარტ. ლექს. ბარჯი, ბორხია).

ბორჯომა ღობიო ღობიოს ერთ-ერთი სახეობაა, მრგვალმარცვლიანია. კრელ, მუქ ბორდოსფერ კანზე მოთეთრო-მოვარდისფრო წინწყლებივით აქვს, ბეწვი არა აქვს (ღორეშა). იხ. ბორჯომელა ღობიო.

ბორჯომელა ღობიო || ბორჯომულა ღობიო იგივეა, რაც ბორჯომა ღობიო (იხ.). ბორჯომელა წითელი ღობიოა თეთრი ზოლებით (ხიდარი); ბორჯომელას რგვალი წითელი ფერის მარცვალი აქ (დილიკაური); ბორჯომულა ღობიოს რგვალი წითელი მარცვალი აქ, მოკლე პარკი, ბეწვი არა აქ (გეზრული).

ბოტოფ-ს ნერბობს. ყვირალობა აქ ირემს ეკენისთვეში და, რო ბოტოფს, უძახის ერთმანეთს დედალი ირემი და მამალი ირემი. (ფარცხნალი, ლედვანი). (შდრ. ჭინჭ. ბოტობა, ს. მ. ტერმ. ბოტი). ბოქშოტ-ი კქუნაკლები, დაულაგებელი აზრების მქონე. ბოქშოტ-ი რამე ხარ, გოგო, შენე (სანახშირე).

ბოლო ფულურო. იცხოვრა რაოდენიმე ხანი ბოლოში (ღორეშა); წიფელამ მეტი იცის ბოლო, თხმელამაც (ხევი). (იხ. ქავთ., ბერ., შარაშ. ბლორო, ბლოქი, განმარტ. ლექს. იმერ. ბოლო).

ბოლოზა საშემოდგომო მომწვანო ფერის მომჟავო ვაშლი (მანდაეთი). ბოლოიანი ხე ფულუროიანი ხე. ხეს რო გული გამეცლება, ბოლოიანია (ვერტყვიქალა); ბოლოიანი ხე დამიზეზებულია, გული აღარ უეარგა, შიგნივ ცარიელია. ფოლოიან ხესაც ვუძახით (ლედვანი). იხ. ბოლო.

ბოყვი-ი || ბაყვი 1. ბარდაყის შიგნითა მხარე, — ბაყვი. მოკიდა ხელი საქონელს, გამოქრა ყელი, ააქრა ბოყვები (ბოსლევი); მახათი ბოყვიში შეესო (ფუთი); ბოყვიში შეესო სარი (განთიადი); 2.

ხის (ცაცხვის ან ბლის) ქერქისაგან მოწნული ჭურჭელი, რომელსაც ტყეჩის ძირი აქვს. ხის კანს გადმოაბრუნებდენ, გამოაყვრებდენ ტყეჩის ძირსა და ხმარობდენ კასრის მაგივრათ ბოყვისა (ვახანი); ბოყვი რგვალი და დაბალია, საცრის რკალივითაა, მარა უფრო მაღალი (უჩამეთი); ბოყვია ბლის კანისაგან მოწნული. ბოყვში თითისტრეფს ვინახავთ (ზედუბანი); ბოყვი ცაცხვის კანისაგან გაკეთებული ჭურჭელია (მოხვა); მატყლი ედგათ ბოყვით (ბაჭით). (იხ. საბა, განმარტ. ლექს. ბოყვი მნიშვნ. 1; შდრ. დ. ნ. ჩუბ., ყიფშ., ბერ., ელ., ჯაჯ. IX, ალავ. ლეჩხ., კახ., დიალექტ. იმერ., მენტ., ბ. წერ.).

ბოყვა ჭლაკვი ჭლაკვი, რომელიც უთავოა და მწარე არ არის (ბოსლევ); ფოთლები ბოყვა ჭლაკვს აქმსხვილი (განთიადი).

ბოყოლა ჭიქა დიდი, ფართო ჭიქა. ბოყოლა ჭიქები გამეილე სტუმრებისთვის (დილიკაური). (შდრ. ალავ. ოკრ.).

ბოშო შინაურებისადმი მიმართვის ფორმა. მად რა უნდა, ბოშო, შკაფში შეინახემდენ (სვერი); გოდრები არ არი, ბოშო? (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს., ნინოშ., ელ.).

ბოჩოჩი იგივეა, რაც ბუჩუჩი (იხ.). ჩვენ ქათამს ბოჩოჩი აქ (ტაბაკინი).

ბოცა ფართომუცლიანი, ვიწროყელიანი, სხვადასხვა ტევადობის, წნულით გარშემოვლებული (ან წნელის ბუდის გარეშე) მინის ჭურჭელი. ბოცეფში ღვინო მაქ და ველარ გადმევილე (ტაბაკინი). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს.).

ბოწოწია ბოტ. ეუნერუკი (მაცაშ.). ბოწოწია ფხალია, პაწია, ხშირი ფოთლები აქ, ბაწარივით აქ შიგნი, ძაფივით აქ ლერო (გეწარული).

ბოჭოჭია იგივეა, რაც ბაკაკუა (იხ.). ობობიას უძახით ბოჭოჭიას (ღორეშა); ბოჭოჭია ღამე დაბოჭიალოფს (იქვე). (იხ. კირ. ფეიქარა, ბესიკი ფსვენის).

ბოჭნიერ-ი მომჭირნე. ბოჭნიერი ქალი არი ნინა (შომახეთი). (იხ. ალავ. XXIV.).

ბოჭნიერთ მომჭირნედ. ბოჭნიერთ მეეკიდეთ საქმეს (ზედუბანი); ქე არი ბოჭნიერთ. ავა ბევრი არა აქ და რა ქნას (შომახეთი). ბოჭნიერობა მომჭირნეობა. ცოლმა ბოჭნიერობა გამეიჩინა ოჯახში (ხიდარი). იხ. ბოჭნიერი.

ბოხრიკოფ-ს წვალობს, ჯახირობს. ავთ ვარ და ვბოხრიკოფ (ქალატუე).

ბოჯ-ი ბოძი. სახლს დაედგამთ ბოჯგებზე. სასიმიდესაც ბოჯგებზე ვდგამთ (ტაბაკინი). (იხ. კირ., ყიფშ. ბარჯგი, ბერ.). იხ. ბოჯგინება.

ბოჭგინება ორკაპა ჯონზე — ბარჯზე (ბოჯგზე) დაყრდნობა. ნელ-ნელა ბოჯგინებით გევიელიდი (პირველი სვირი).

ბოჭინჯგალ-ი იგივეა, რაც ბორხი (იხ.). ხეხილს რო ძან ასხია, შეუყენებენ ორკაპ ხეს. ბოჭინჯგალს უძახიან (მერჯევი). (შდრ. ბ. წერ., განმარტ. ლექს.).

ბოჭიჯგ-ი იგივეა, რაც ბოჭინჯგალი (იხ.) (სინონ. ბორხი). იმდენი ასხია ვაშლი, ბოჭიჯგები აქ შეყენებული (მანდაეთი).

ბოჯღალო განტოტება, კაპი; ხაფანგის ჩანგლის კბილი. დათვის დასაქერად კინას დააგებდენ. იმ კინას ქონდა 3 ბოჯღალო (საბე). (შდრ. საბა, ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. ბორჯლი, დ. ჩუბ. ბორჯლი).

ბუირ-ი წვრილი. სასროლი ბადის ღონეს (იხ.) აქვს ბუირი თვლები, რომ თევზი არ გამოძერეს. რაც ღონეს ვცილდებით, თვლები დიდდება (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს. ბუირი მარცვალი, ს. მ. ტერმ. ბუირობა მარცვლისა; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., მენტ.).

ბრავალ-ი მრავალი. ბრავალი მევიდოს ჩემ სახში (ღორეშა); ბრავალ დღეს ასე იყვენ (ვერტევიჭაღა). (იხ. დიალექტ. რაჭ.).

ბრავალძარღვა მრავალძარღვა. ბრავალძარღვა ბალახია, წინან. ახმობენ და მერე, როცა კუჭი ეშლებათ, წამალია პირდაპირ (უჩამეთი); ბრავალძარღვა იხმარება ფუცუქის გამოსარწყავათ (პერევი).

ბრავლისხვან უბრავლესი ბევრად ბევრი. ბრავლისგან უბრავლესი გაამბრავლა (წაქვა).

ბრალიცა და უბრალესიც ბრალიანიც და უბრალოც. სუყოლიფერი ყვარდა. ბრალიცა და უბრალესიც (წაქვა).

ბრაწ იხ. გადაბრაწვა.

ბრაწეულ-ი || ბრაწოულ-ი || ბროწაულ-ი || ბრეწოულ-ი ბროწეული. ექანა ება ერთი ოთხი ბრაწეული (ფარცხნალი); აქ ბრაწოულის ტყე არი (იქვე); მოუკრეფელი დამჩა ბროწაული (ხვაშითი); ბრეწოული დავრგევი ეზოს გარშემო (ტაბაკინი). (იხ. დიალექტ. გურ. ბრეწოული; შდრ. იქვე ფერ. ბრეწევი, აჭარ. ბრუწე-მალი, მენტ. ბროწოლი, ა. ჩიქ. შედ. ლექს. ქან. ბერწეული, მეგრ. ბერწული, ყიფშ. ბერწული, ბრეწული).

ბრეკო იგივეა, რაც ბეკი (იხ.). ბრეკო ამალღებული ადგილია, პატარა გორაკი (დილიკაური). (იხ. ჰყ. ბრეგი, ალაფ. ლეჩხ. ბრეკი). ბრეკოიანი გორაკიანი, ამალღებული. ჩვენი ეზო ბრეკოიანია (დილიკაური).

ბრელო მარცვლეულის გარსის ნაფცქვენი, რომელიც ცვივა განიაგების შედეგად. ბრელო სიმიდის წანაფეთხია (წირქვალი); კალოზე პურს ფიწლით ვანიავფეთ, ბრელო ქარსა მიაქ. ბრელოს იმას უძახით, პურს რო აქ ნაფენთხი, პტვერი (ზვარე); ლობიოს პარკში თი-

თეულ მარცვალს აქ ბუდე თხელი აკვივით. რო გამოვფშენი ლობიოს. გამოყვება ისი და გაბრელოების დროს გეიკაშრება ლობიო — მოცილდება ბრელო (განთიადი). (იხ. ქყ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3, ს. მ. ტერმ.: შდრ. ს ა ბ ა, დ. ნ. ჩ უ ბ., კ ი რ., ა ლ ა ვ. ლეჩხ. მე ნ თ. ბ რ ე. ნ ი ნ ო შ. ბ რ ე). იხ. გა ა ა ბ რ ე ლ ო ე ფ ს, გ ა ბ რ ე ლ ო ე ბ ა.

ბრილი-ი უშვო ადგილი, ჩრდილიანი. ბ რ ი ლ ს უ ძ ა ხ ი თ ა ქ ე თ, ჩ ე რ ო რო ი ქ ნ ე ბ ა, ა რ ც ს ი მ ი დ ი მ ო დ ს, ა რ ც უ რ ი ბ რ ი ლ შ ი (მ ა ხ ა თ ა უ რ ი); ბ რ ი ლ შ ი გ ე ი ა ნ წ ი ფ თ ე ბ ა ყ ვ ე ლ ი ფ ე რ ი. ბ რ ი ლ ი ა დ გ ი ლ ი ა, ს ა დ ა ც შ ე არ ა ნ ა თ ე ფ ს, ჩ ე რ ო ა (მ ე რ ჭ ე ვ ე ი). (შდრ. ქ ყ. ბ რ ი ლ ვ ა — მ ს ხ ვ ი ლ ა დ თ ო ვ ა).

ბრიქ-ი გაქიმული. „დღე ბ რ ი ქ ი და ღამე ჩ ლ უ ჩ ი“ (გამოცანა—წინდა) (ტაბაკინი). (იხ. ბ ე რ. ბ რ ე ქ, ბ რ ი ქ, ე ლ. ბ რ ე ქ ა; შდრ. ა ლ ა ვ. ო კ რ. შ ე შ ა ბ რ ე ქ ა).

ბრმა ტყე გადატ. ხეების სიხშირისა და სიმადლის გამო ბნელი ტყე. უ რ თ ხ ლ ს ბ ო ლ ო ს უ ძ ა ხ ი ა ნ ბ რ მ ა ტ ყ ე ს, რ ა დ გ ა ნ გ ო უ ვ ა ლ ი ა, მ ზ ე ს ვ ე რ ც კ ი დ ე ი ნ ა ხ ა მ (პ ე რ ვ ე ი).

ბრმა დღე დღე, რომელსაც შხის შუქი არ ხვდება და მის გარშემო სიბნელეა. ბ რ მ ა დ ე ლ ე გ ლ ა ხ ა დ ე ლ ე ა, ღ ჭ უ დ ე ლ ე. ღ რ მ ა ტ ყ ე და ჩ რ ე ბ ი ა, ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ნ ღ ა მ ე ა, ზ ი ს შ უ ქ ს ვ ე რ ხ ა ხ ა მ (წ ა ქ ვ ა).

ბროგვა ბორგვა. ბ რ ო გ ვ ა ს დ ე ი წ ყ ე ფ ს ა მ ა ღ ა მ (მ ო ხ ვ ა ჯ). (იხ. ა ლ ა ვ. ლ ე ჩ ხ. XIII).

ბროსიალი-ი თავბრუ (იხ. ქ ა ვ თ., ჭ ა ჭ. IX ბ რ უ ს ი ა ლ ი). იხ. ა ბ რ ო ს ი ა ლ ე ფ ს, და ბ რ ო ს ი ა ლ ო ფ ს.

ბრულა ბრუ. რაი ჩემი უფროსი ქალიშვილი მოკვდა. სულ თავი მტკივა, ბ რ უ ა ლ ა მ ა ქ (ღ ო რ ე შ ა). (იხ. ბ ე რ., ვ ა ნ მ ა რ ტ. ლ ე ქ ს. ბ რ უ ა ლ ი; შდრ. განმარტ. ლექს. ბ რ უ ა ლ ა).

ბრუნდ-ი მრული. თუ ვიყო იმასთან ბ რ უ ნ დ ი, მე დამსაჯოს ღმერთმა (ღარხევი); „ხე ბ რ უ ნ დ ი, ხე მ არ თ ა ლ ი, წ ვ ე რ ო შ ი ხ უ თ ი მ ა რ ც ვ ა ლ ი“ (გამოცანა — ხელი) (შროშა).

ბრუსილა თავბრუს დახვევა. ბ რ უ ს ი ა ლ ა და მ ე ს ხ ა თ ა ვ ზ ე (ფ უ თ ი); დღეს იმდენი ვიმუშავე, ბ რ უ ს ი ა ლ ა და მ ე ს ხ ა (ტ ა ბ ა კ ი ნ ი). (იხ. ქ ა ვ თ., ჭ ა ჭ. IX).

ბრუხუნ-ი გრგვინვა. შავი ღრუბლები გედევკრა თეთო ცას და დეიწუო ბ რ უ ხ უ ნ ი (ზ ე დ უ ბ ა ნ ი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ბუბკა წისქვილის უძრავი ქვედა ქვის შუაგულში მკიდროდ ჩასმული მრგვალი ხე, რომელიც იცავს დასაფქვევ მარცვლეულს დაბნევისაგან. წისქვილის ქვედა უძრავი ქვის შუაში არი რგვალი ხე — ბ უ ბ კ ა, რომელშიც ჩადებულია რკინის ღერძი, ყელა (იხ.), რომელსაც ეყრდნობა არქი (მოხვა). (იხ. ბ. წ ე რ., განმარტ. ლექს., ა ლ ა ვ. ლ ე ჩ ხ. ე თ ნ.

ბულთვა, კახ. წისქვილის გული, კინკ. გულნი; შდრ. დ. ნ. ჩუბ.,
ქუმბ. 283). იხ. ქულბაკი.

ბულდარი იგივეა, რაც ბუჯარი (იხ.). ნუ გიყვარს უჯრეფში ბუ-
დარი (ტაბაკინი). (შდრ. ელ., განმარტ. ლექს. ბუდარაობა, ქე-
შიკ. ბუდარობა). იხ. ბუდაროფს.

ბუდაროფს იგივეა, რაც ბუჯაროფს (იხ.). რას ბუდაროფ
ამ უჯრეფში? (ტაბაკინი). (შდრ. განმარტ. ლექს. ბუდარაოფს, ფშ. ბუ-
დარობს).

ბულდუშური ვაზის „ნაკლებად გაგრძელებული, მაგრამ პერსპექტიული
ჩიშია. იძლევა მაღალი ღირსების სასუფრე ყურძენს... ადრე მწიფდე-
ბა... საშუალოზე უხვმოსავლიანია, მტევნები და მარცვლები ლამაზი
შეხედულებიან და ნაზი, სასიამოვნო გემო აქვს“ (საქ. ამპელ. 123).
ბულდუშური ადრე მწიფდება, ოდნავ მოგრძო მარცვალი აქ, მარცვ-
ლის კანი თხელია და რბილობს ადვილათ არ ცილდება (პერევი). (იხ.
საბა, ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. 11, 307, განმარტ. ლექს., დ. ნ.
ჩუბ. ბულდუშური).

ბულდნი-ს ბულდნა-ბულდნა თესავს. ლობიოს ბულდნის დასაწამოვა?!
(ტაბაკინი); ქალებო, დღეს ბულდნით ლობიოს? (განთიადი). (იხ.
განმარტ. ლექს. ზ. იმერ., კყ., ჯაჯ. IX ბულდნა, კირ. ბულდნა-
ბულდნა).

ბულულ-ი სათიბში დროებით დადგმული თივის პატარა ზვინი; ერთად
მოგროვილი ჩალის ფოთლები. თივის ბულულები დავდგით
(ვახანი); ბულულია ჩალის ფოთოლი მოგროვილი (უჩამეთი). (იხ.
კყ.. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, ს. მ. ტერმ., დიალექტ. რაქ. გულდაბაჟ.
შდრ. ბაბუნ. ბულულა).

ბულქვი რამდენიმე თხილი ჯგუფად. ორი ბულქვი მოვწყვიტე.
ბულქვი, 4-5 თხილი ერთათრო იქნება (ფუთი).

ბუნ-ი ერთი პაპის შთამომავალი, ერთი ოჯახის განაყოფი. 10 მოსახლე
ვართ განაყოფი, გვიძახიან ერთ ბუნს, ერთი ბაბუის ნაშიერს (ხი-
დარი); ერთ ბუნს მალრამეებისას ბაბუა ყოლებოდა მორჩილი კაცი
და აქედან დეერქვათ კუკური (ლეღვანი). (იხ. ვისრ. დაუბუნებელი —
ბუნ, ანდრ. 187; შდრ. იქვე 198, 209, საბა, დ. ნ. ჩუბ.. გან-
მარტ. ლექს., ვაჟა I, ჯაჯ. IX, კინკ.).

ბუნდრა ჩუმი, გამოუმჟღავნებელი ეშმაკი. ზალია ბუნდრა არი.
ჩუმალა ეშმაკი (ხვერი). იხ. გეიბუნდრება.

ბუნე იგივეა, რაც ბუნი (იხ.). თქვენი ბუნეს გარდა არიან ხა-
რატიშვილები? (ხიდარი); ერთი ბაბუის განაყოფი ერთი ბუნეა
(ტაბაკინი); რაც იქ ვიცოით, ის ვიცით ამ ჩემ ბუნეშიც (ფუთი).
ბუნობით გვარის შიგნით ერთი პაპიდან წარმოშობის, — ბუნის (იხ.)

მიხედვით. ჩვენ ბუნობით მახარობლიშვილეთს გვიძახოდენ (ლეღვანი).

ბუნტყლი-ი გინგლი, ბუსუსი. ატამს აქ ბუნტყლი (ხიღარი). (შდრ. განმარტ. ლექს. ბურტყლი, ბერ. ბუნდლა).

ბუნტყლიანი ამინდი გადატ. ნისლიანი ამინდი. უწვიმარი, მარა ბურიანი რო იქნება, ისაა ბუნტყლიანი ამინდი (წაქვა).

ბუნულ-ი იგივეა, რაც ბულული (იხ.). თივის ბუნულეთს აკეთებენ, ჩალის ბუნულებიც არი (წვარე).

ბუნჩო ლობიოსა და ძაძის გამოფშვნის შედეგად დარჩენილი ცარიელი პარკები. ცარიელი პარკი რო დაცვივა ლობიოს, იმას ბუნჩოს უძახით (წიჩქვალი); რაც ცარიელი პარკები დარჩება ძაძის გამოფშვნის მერე, ბუნჩოა (ღორეშა). (შდრ. ჰყ. განმარტ. ლექს. ბუჩი. ბუნჩო). იხ. მოაბუნჩოეთს.

ბუნძლო 1. გოგრის შიგთავსი, — გული, რომელშიც თესლია მოთავსებული. ბუნძლო ამოატალე კვახს (ღარიხვეი). (იხ. განმარტ. ლექს. გურ. ქურთლა, ჯაჯ. X ბუღარა, ქუნთელა, ყარტლი). 2. კლერტი. ყურძნისა და კვახის ბუნძლოც ვიცით და ბუძუნძლოც. ორივეს უძახით ჩვენ (ღარიხვეი).

ბუნჭველ-ი იგივეა, რაც ბუნჭყველი (იხ.). ბუნჭველი არ იქნება იმდენი, ხალხი რო ირეოდა (ბორითი). (იხ. ალავე. ლეჩხ. ბოკოჭი, ბუნჭველი, ბუჭუნჭველა, განმარტ. ლექს. ლეჩხ. ბუნჭველი. ქავთ. ბუჭუნჭველა).

ბუნჭყველ-ი ჰიანჭველა. „წეიქცა ჰირკვი. მიესია ბუნჭყველი“ (გამოცანა — ლორი და გოკები) (წედუბანი); მტყუანი როცა ვარ, ბუნჭყველისიც მეშინია (ხრეთი); ბუნჭყველს ღმერთი რო გოუწყრება, ფთები გამოესხმება (მაჯითი). (იხ. დიალექტ. იმერ., ბერ. ბუნჭყველა, ბურჭყველა).

ბუღღეზ-ი (იხმარება მხოლოდ მრავლობით რიცხვში) დუღილის დროს წარმოქმნილი მძივების მსგავსი ბუღღეზები. ფელაქუში ბუღღეთს რო გეიკეთეთეს, მეტი დუღება აღარ უნდა (ღორეშა); მურაბას თუ ბუღღეზი აქ თავზე, მეტი არ უნდა აღულო. მოხარშულია (განთიადი). (შდრ. ქავთ., ბერ. ბუღუეი).

ბურ-ი¹ ნისლი. დილას ისეთი ბური იყო, კაცს ვერ დეინახთი (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს.; შდრ. ქეშიკ. ლამადე).

ბურ-ი² ნაღმის ასაფეთქებელი იარაღი, ქვის საკრელი. ბურია. ქვას რო კრიან, ფოლადია გამოპირული (ვახანი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს.).

ბურავო მიწის საბურღავია (წედუბანი).

ბურათ ბუნდოვნად. ბურათ იხედება ახლა, მერე სულ დაბრმავ-

ღება (ჩიხა); ცალ თვალში ბურათ ვიხედები (ბაჭითი). (იხ. განმარტ. ლექს. ბუნდალ).

ბურაკი-ი || ბურვაკი-ი ღორი ორი თვიდან წლამდე. ბურაკი მორჩილი ღორია, გინდა ნეზვი, გინდა ტახი (ხევი). (იხ. განმარტ. ლექს., დიალექტ. ქართლ. ბურვაკი, მენთ.; შდრ. ოკრ. ბურაში).

ბურანი-ი თითქმის უგონო მდგომარეობა (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2). იხ. გაბურანებული.

ბურბულ-ი ქარისაგან ჰაერში ატანილი თოვლის ტრიალი (იხ. განმარტ. ლექს., დიალექტ. რაჭ. თოვლის ბურბული; შდრ. ჰყ. ბურბური). იხ. უბურბული.

ბურბური-ი ბულბული. ბურბური გეიძახოდა: ეგ ბალი დამიცალეო (ბორითი); იადონმა და ბურბურმა დევს დოუწყეს ღვინძება (ზედუბანი). (იხ. ალავ. XXIV.; შდრ. ჰყ., განმარტ. ლექს.).

ბურგალა ჩაბსკენილი. ვარლამის ბიჭი კაი ბურგალა. ბიჭია (ხიდარი). (შდრ. შარაშ., განმარტ. ლექს. ბურგალი, ჯაჯ. X, ალავ. ლეჩხ. ბურგალი).

ბურდ-ი ჩირგვი (იხ. ქავთ.). იხ. ბურდნალი.

ბურდნალ-ი ჩირგვნარი. სტე (იხ.) არი, ბურდნალი რო ექნება გარშემო (საღვინე). (იხ. საბა, დ. ჩუბ., მენთ., ქავთ. ბურდი, ბუწქნარი).

ბურთვი-ი ბურთი. სანამ ბურთვი არ უყიდე, არ მამცა მოსვენებაი (ტაბაკინი).

ბურკალოფ-ს ბორიალობს, უთავბოლოდ ტრიალებს. რახანია შინ ბურკალოფ, ტყეში ვერ წადი? (სვერი).

ბურნა მწერი, რომელიც მოძველებულ სიმიდს, ლობიოსა და ხორბლეულს უჩნდება გულში და ხრავს. ამ სიმიდს ბურნა დევსევა (ხიდარი); ბურნა აქ სიმიდს გაჩენილი (უჩამეთი); ბურნა შავი მწერია, უჩთება სიმიდსა, ლობიოსა და ხორბლეულს და ხრავს მას (ზარანი). (იხ. ქავთ.; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს.).

ბურნაიანი ბურნით დახრული. პელაგრა იცის ბურნაიანმა სიმიდმა (ზარანი).

ბურნაო იგივეა, რაც ბურნა (იხ.). ბურნაო ლობიოს, სიმიდს და ხორბლეულს ხრავს (ტაბაკინი).

ბურსა (ლაა.-რუს.) სახელმწიფო ხარჯი მოსწავლეთა აღსაზრდელად სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში. ქუთაისის ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელს ქონდა ბურსა. სახელმწიფო ხარჯზე ზდიდენ მოწაფეებს, ობოლი ვინც იყო და შეუძლებელი ოჯახიდან (ბაჭითი). (შდრ. კირ.).

ბურსეულ-ი თხელი ქსოვილის ცხვირსაჲოცი. პლატუქს ეძახოდენ

ბ უ რ ს ე უ ლ ს (პერევი). (შდრ. საბა., გრიშ., განმარტ. ლექს., დიალექტ. რაქ., მენთ. ბურსო).

ბურსუკი-ი ავაღმყოფობაა, სისხლის დაგროვება (წირქვალი).

ბურსულ-ი ნაგებობა, რაც დახურულია, დაბურულია (სინონ. ნამშრალი). ამ გლესსა ბევრი ბურსულეები აქ (ტაბაკინი); იმ კაცსა ბურსულეები უდგია. ნამშრალიც იხმარება, მარა უფრო ბურსულეებს ვიტყვით (ფუთი). (იხ. დიალექტ. ლეჩხ.; შდრ. ბერ., შარაშ., ძიძიგ. ქრესტ., განმარტ. ლექს.).

ბურჭვი-ი კუკური (სინონ. ხუხური). როცა რო გაშლილი არ არი სოკო, ბურჭვი ქვია იმა, მანქულას არა აქ ბურჭვი (ქორეთი); ახალი ამოსული როა სოკო, კუკური როა ამოსული, ბურჭვია (იქვე). (შდრ. საბა. დ. ნ. ჩუბ., ბ. წერ., ალავე. ლეჩხ. XIII ბულქვი).

ბურღვალა ბოტ. ბუერა. დიდი ფართო ფოთოლი აქვს. ღერო მაღალი, ყვავილი მოლურჯო, წვეროებში მოწითალო. ღერო სულ ყვავილებით არის შეჭვიდილი. თოვლი აიღება თუ არა, მაშინვე ამოდის, უპირატესათ ლეღებში იცის (სანახშირე). (იხ. ყიფშ. ბურღა, ბ. წერ. ფურღვენა, შარაშ. ბურღავაი; შდრ. ქავეთ.).

ბურძაყ-ი ხუმრობით კიდაობა, ბლღაძენი. თავი დაანებე ბურძაყს. არაფერი იტყინო მართლა (ვანი). (იხ. ქავეთ.: შდრ. შარაშ. ბურგალი, მენთ., განმარტ. ლექს. ბლანძალი, ჭყ. ბურხალი, კოწიაწი, ალავე. ლეჩხ. ბერძღალი).

ბურძაყოფ-ს ხუმრობით კიდაობა. ბლღაძენობა. საბურძაყობდენ ებიკები? (ვანი). (იხ. განმარტ. ლექს. ბლღაძენობს).

ბურძგალი-ი წაბლის გარეთა ეკლიანი საფარი. — ბუძგი. ბურძგალხე არ იტყინო ფეხი (ფარცხნალი); ბურძგალით წაბლი დიღხანს ინახებოდა (ქვები). (იხ. ელ. ბურძგალა. ბუძგვი, ალავე. ლეჩხ. XIII; შდრ. ჭყ., განმარტ. ლექს. ბურძგალი, ბურძგალა).

ბურჭვალ-ი თამაში. ბავშვის თავის შექცევა. ჩემი გოგო სხვასთან არ მიდის, ბურჭვალს უყვარს სახში ძალიანა (ქორეთი). (იხ. ჭყ., განმარტ. ლექს.; შდრ. ჭაჭ. IX). იხ. აბურჭვალეფს.

ბურჭვალა სათამაშო (სინონ. საბურჭვალო). ბურჭვალაები გინდა? აქა აქ ბურჭვალაები (ზედა ჭალოვანი).

ბურჭვალობა თამაში, თავის შექცევა (ბავშვისა). რამ დაგღალა, ბიჭო, ბურჭვალობამ დაგღალა? (უჩამეთი); ვერ წავალ ბოსტანში. ბურჭვალობა მინდა ახლა მე (ბოსლევვი); ბურჭვალობა ხ'ვარ არი ეგე?! (ხიღარი); ამ ომთან პირველი ომი იყო ბურჭვალობაი (ხევი). (იხ. განმარტ. ლექს.).

ბურჭვალოფ-ს თამაშობს. თავს იქცევს. დეიცადე, აქეთ იბურჭვალე (ჭალაურთა). კლაში ყველა ვარონიე. მარა ისინი თურმე ბურჭვა-

ლობდენ (ბორითი); კარპუზა ბურქალოფს კალოზე (ზედ-უზანი). (იხ. განმარტ. ლექს.).

ბურჯღღებიანი-ი (|| შვილებიანი) ბორჯღღიანი. ერთ დიდ ტაროზე რამდენიმე პატარა ტარო როა გამოსული, ბურჯღღებიანი სიმილია (ზედუზანი).

ბუსუნ-ი ჩამიჩუმი (იხ. განმარტ. ლექს. ბუსუნი მნიშვნ. 1). იხ. გაბუსუნდება, გაბუსუნებული, ჩაბუსუნდება.

ბუსუნსხო || ბუსუნსხო ბუსუსი, გინგლი. ბუსუნსხო მანჭკუალას (იხ.) აქ ფეხებში (ფარცხნალი); ბირკა-ბირკას აქ ბუსუნსხოება (ზარანი).

ბუტი-ი „ბუშტი“ (საბა), — ღვინის ჩასასხმელი დიდი კასრი. გასკტა ბუტი და დეიქა ამდენი ღვინოი (მერჯვეი).

ბუტიკ-ი პატარა და მსუქანი. ჩვენმა მეზობელმა — კოსტანტილემ ითხოვა ბუტიკი ქალი (შროშა); ბუტიკი ქალი აკიდეს ზურგზე ამ ბიჭს (იქვე). (შდრ. დ. ნ. ჩუბ. ბუტიკი).

ბულანტერი-ი ბუხპალტერი. ბულანტერი არ მოსულა ჯერ (ზარანი).

ბულუთური-ი კირი, სნეულება; უბედურება. კირი და ბულუთური იქა, ლხინი აქა. ბულუთურიც კირია (ზვარე); ამ კაცს სულ ბულუთური ქონებია სახშიდა (იქვე). (შდრ. ჭყ. ბელასინი).

ბულუთურიანი-ი კირიანი, სნეული. ბულუთურიანია ექალი, სულ წვეს (ზვარე).

ბურჩუ-ი 1. ქოჩორი (სინონ. ქოჩერი). ჩხიკვს აქ თავზე ბურჩუჩი, ქათამსაც ბურჩუჩი აქ (გეზრული). 2. თხილის გარე საფარი, — ბუდე. თხილის ჩენჩი. ეს თხილის ბურჩუჩია. თხილს ბურჩუჩი დავაყალეთ (იქვე). (იხ. შარაშ., განმარტ. ლექს. ბურჩხი, ჯაჯ-X პურჭყი).

ბუძგ-ი „პატარა ზღარბი“ (საბა). ბუძგს უძახით ზღარბს (ზვარე, ზევი). (იხ. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს., ნეიმ.).

ბუძგვი 1. იგივეა, რაც ბურძგალი (იხ.). ბუძგვმა მატკინა ხელები (ზარანი). (იხ. ალავე. ლეჩხ.). 2. იგივეა, რაც ბუძგი (იხ.). ბუძგვი დევიპირე ტყეში, ჯოხეფში გავაკეთე, გამომძვრა-ლიყო და წასულიყო (იქვე). (იხ. მ. ჯან. ბაყაშაძე, ნეიმ.).

ბუძმძლო 1. ყურძნის მტევნის კიმპლებდაცლილი ღერო, უმარცვლო მტევანი, — კლერტი (სინონ. ბონძლი, ბონძღვი, ბონძღალი, ბორძღვი; ბუნძლო, კერენჩხო, ფონცხი, ყლერტო). მარტო ბუძმძლოები და რჩენილი ვენახში (ვახანი); ბუძმძლოები შენ ქქონდეს (პირველი სვირი). (იხ. საბა, განმარტ. ლექს. ბურძღენი, ბურძღალა, ჭყ. ბუზუნვლო, ბ. წერ. ბონძღალი, ბონძღლი, ბოდონძლი, შარაშ. ბურძღალაი, ალავე. ოკრ. ბორძღანა, ბორძღი.

ბურძღალი, ჯაჯ. IX ბუძუნდლო, ნაბურძღანა). 2. კვახის შიგთავ-
სი, — გული, რომელშიაც თესლია მოთავსებული. ბუძუნდლო
გამოაცალე კვახის მარცვალს (შოხვა); ბუძუნდლო იპას ქვია, კვა-
ხის გულში მარცვალთან რო არი (ქვევი); კვახის ბუნდლო ან კვახის
ბუძუნდლო, ორივე ითქმის (ღარხევი); კვახისაზე ბუძუნდლო
და ყურძნისაზე კლერტი ითქმის (შომახეთი). 3. ქათმის თუ სხვა ფრინ-
ველის ზურგის ძვლიანი, ნეკნებიანი ნაწილი (სინონ. რუსაბძელი,
ფაცხა?). კურტუმის შემდეგ რაცაა ქათმის უკანა ნაწილი, ბუძუნ-
დლოა. ბუძუნდლოს მე ვკამ ხომე (ზარანი); ბოვშს არ მიცე
ბუძუნდლო, ძვალი არ გადაცეთს (სვერი). (იხ. ბ. წერ., შარაშ.
გუძუნდლო; შდრ. ქყ. გუძუნდლო). 4. ნაგავი. - ბუძუნდლოს
უძახით კვახის გულს და ეზოში მონგრეობულ რამე-რუმეს — ფესოე-
ბი, ჭინჭები, ნაფოტები და სხვა (ჩიხა).

ბუწუწი-ი „ცული თმა“ (საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს); წვრი-
ლი ბეწვი. ბოკოქიას აქ ბუწუწები (ლორეშა). (იხ. მენთ. ბუ-
წუწი; შდრ. ბერ. ბოწოწო, ქავთ. ბოწოწკო, ქეშიკ., დია-
ლექტ. თიან.).

ბუხრის გული ბუხრის ნაწილებს შორის არსებული სივრცე, საიდანაც
კვამლი ადის (შომახეთი).

ბუხრის ზურგი ბუხრის შიგნითა — უკანა კედელი (შომახეთი).

ბუხრის თავი ბუხრის წინ წამოწეული ნაწილის სწორი ზედაპირი (შო-
მახეთი). (იხ. განმარტ. ლექს., მენთ. ბუხრი თავი). იხ. საშანდ-
ლე.

ბუხრის თაღი იგივეა, რაც ბუხრის კამარა (იხ.).

ბუხრის კამარა || ბუხრის კამერა ბუხრის ფეხების თავზე გადავლებუ-
ლი რკალისებური ნაგებობა, რომელიც იკავებს ბუხრის თავს (ღეისი,
ლეღვანი, უჩამეთი, ხვაშითი, ქორეთი).

ბუხრის ფეხები წინ წამოწეული ბუხრის გვერდები (შომახეთი, მანდა-
ეთი).

ბუხრის ყელი საკვამლე მილი (სვერი, მანდაეთი).

ბუჯარ-ი ქექვა, ძებნა; წაღმა-უკულმა ტრიალი. ნუ იცი ბუჯარი
(ტაბაკინი). (იხ. ბერ. ბუჯგური, ბუჯუოი, შარაშ. ბურჯგ-
ენა, ჯაჯ. X ბუჯარობა).

ბუჯაროფ-ს იქექება, ეძებს რასმე; წაღმა-უკულმა ტრიალებს. ე ქალი
სულ სახში ბუჯაროფს (ფარცხნალი).

ბუჯერ-ი სამზარეულოში ქურჭლეულისა და ნამზადის შესანახავი: 1.
დაბალი ან მაღალი ორნაწილიანი კარადა. ბუჯერი კუხნის შკა-
ფია, სადაც დამზადებულ საჭმელს და კუხნის ქურჭელს ვინახავთ
(ქვაცხე, რგანი); მოვაქმარი, ბუჯერში რო ვერაფერი ნახოს, და-
ყვირებულს ვერ დეინახამ (ხვაშითი); ეგერ რო დაბალი შკაფია. ისაა

ბუჯერი (პირველი სვირი); მაჩაიძეებს ნამდვილი უწინდელი ბუჯერი აქ: შკაფის ზევითა ნაწილი სამი განყოფილებებისაგან შედგება, ქვევით უჯრები აქ, სამზადისს ინახავენ და საოჯახო ჭურჭელს. აქ ბუჯერიც ინმარება და თაროც (მოხვა). 2. სამზარეულოს კედელში ჩატანებული ან ჩამოკიდებული თარო. თარო რო არი ეგერა, ისაა ბუჯერი (ზოვრეთი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ალავ. ლეჩხ., გახმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, დიალექტ. იმერ.). 3. მაგიდა, რომელსედაც აწყვიტა სამზარეულო ჭურჭელი და ამზადებენ საქმელს. ნამზად რო ვაკეთებთ სტოლზე. ისაა ბუჯერი (სავანე); რო მევიდა სტუმარი, მე ბუჯერს მივადექი (ზედუბანი). ბუჯერი აქ არ ინმარება, გაფრინდაშვილები ხმარობენ, იმიტო რო ჭიათურიდან არიან (მახათაური).

ბლავან-ი პატარა ბავშვი. ბლავანიც არ დარჩებოდა გასვენებაში წოუსვლელი, დიდსა და პატარას პატიებდენ (ბერეთისა). (შდრ. მენტ.).

ბლარ-ი ბავშვი (ინმარება მთელს ზემო იმერეთში). ერთი პატარა ბლარი მყამს შვილიშვილი, იმ ბლარზეა ჩემი ცხოვრება (ქვები); ბლარი ქვეც მიყვარს, ქვეც მეცოდება (ბორითი); ისე ხეცათ რავა გავზღი ბლარს (ქვები); ხშირათ სერგო თავის პერანგს ჩააცმევდა გლეხის ბლარეფს (დორეშა). (იხ. დ. ჩუბ., მენტ., ძიძიგ. ქრესტ., განმარტ. ლექს., ქავთ., კახ. ბალლაუჭი).

ბლაჭურიხ. ჩამობლაჭურდება (შდრ. განმარტ. ლექს. ბლაუჭი).

ბლინკ-ი ჩია, გამხდარი, დაგლახაკებული. ჩვენი ვოკი ვერ გავასუქე. ბლინკია ძიელ (უჩამეთი). (იხ. ბერ... განმარტ. ლექს., ალავ. ლეჩხ. XIII ბლინკი, ბლინტი).

ბლუნქველ-ი იგივეა, რაც ბუნქყველი (იხ.). ბლუნქველებით სამსეა ყველიფერი (მანდაეთი).

ბწყარი მწყარივი, რომელშიც ვენახია დარგული. ბწყარეფს გაყევით (სანახშირე).

ბკორ-ი 1. კორი. ბკორს არ უნდა გაყვე შენე, მიდღემჩია ბკორი (სანახშირე); აქა ბკორი იციან (ხიდარი). 2. ბკობა, თათბირი. ბკორი ქონდათ (ხვაშითი). იხ. იბკორეფს. მებკორია.

ბკორიკანაოფ-ს კორიკანობს (უჩამეთი).

ბყალ-ი (|| კვანგი) მუხლთან, მტევნის ადგილას, გამოღებული უნაყოფო წამონაზარდი, რომელიც ძაფივითაა და ეხვევა სარს (სანახშირე). ბყორ-ი ბოტ. ბაძგი, ჭყორი. ბყორი მარადმწვანე ჩირგოვანი მცენარეა, კბილებიანი ფოთოლი აქ, ეკლიანი (ხვაშითი). (იხ. ჭყ. ბაძგი, ჭყორი, განმარტ. ლექს. ბაძგი).

გააბრელოფ-ს ბრელოსაგან (იხ.) გაწმენდს. გაანიავებს. გ ა ვ ა ბ რ ე-
ლო ე თ პური (უჩამეთი).

გააზოდფ-ს ზოდვიით გადებს, გამოტავს. ერთხელ კვტარი გველი გ ა-
ვ ა ზ ო დ ე რეიცაზე (ბოსლევი).

გააზურავეფ-ს გაასუქებს. დიდვაკეში თაფლი ვკამე, იმან გ ა მ ა ზ უ-
რ ა ე ა (ლეღვანი).

გააკარეფ-ს გაცლის, მოსპობს. ვირთხა მომეჩვია და სულ გამაკა-
რა (ზოდი); სინდიოფალა კ'არ შექამს ხორცს, სისხს გამოწომს მარ-
ტო, სულ გააკარეფს სისხლისაგან (იქვე). (შღრ. განმარტ. ლექს.).
გააკარქულეფ-ს კარგად, თანაბრად გაანაწილებს. ოთხ ჯამზე გ ა ვ ა-
კ ა რ ქ უ ლ ე ეს ქათამი (ბოსლევი); მიწა გ ა ვ ა კ ა რ ქ უ ლ ე 4 ქვევ-
რაზე (იქვე).

გამგუნეფ-ს გააცულებს, წაახდენს, გააფუჭებს. გ ა ა მ გ უ ნ ე ფ ს
კვერცხს ინკუბატორი (ზოდი). (იხ. ქ ა ე თ. გამგუნება).

გამოზადეფ-ს || გამოზრდეფ-ს მეორედ გათოხნის. პირველ გათოხნას
პირადი ქვია, მორეთ გ ა ვ ა მ ო რ ა დ ე ბ თ (ლეღვანი); აგვისტოს
შუა რიცხვეფში გ ა ვ ა მ ო რ ა დ ე ფ თ ს ი მი დ ს (დილიკაური); გ ა-
ვ ა მ ო რ ე დ ე ს ი მი დ ი (ხევი). (იხ. განმარტ. ლექს, გაამოზადებს). იხ.
მ ო რ ა დ ი.

გაანარბილეფ-ს იგივეა, რაც აყრის, დაანარბილეფს (იხ.).
რო მოიძებოდა პური, გ ა ვ ა ნ ა რ ბ ი ლ ე ბ დ ი თ მიწას, დავამუშა-
ვებდით, დაითესებოდა მერე (ზვარი).

გაანახმელარეფ-ს ნახმელრის, სიმყრალის სუნს მისცემს. ახალი ჭური
ღვინოს არ გ ა ა ნ ა ხ მ ე ლ ა რ ე ფ ს (შროშა).

გაანელეფ-ს მოინელებს, მოსპობს. ბევრი გლეხები გ ა ა ნ ე ლ ა ა მ
ომა, აღარ მევიდენ რამოდენიმიე (ზეღუბანი).

გაანსეფ-ს გაავსებს. გ ა ა ნ ს ო ნ კურკლები (ვახანი).

გაანხელ-ს გაამხელს. გააცხადებს, გააშქლავნებს. სიყვარულს გ ა ა ნ-
ხ ე ლ დ ი მაშინა?! (ქვები).

გააპირადეფ-ს პირველად გათოხნის ყანას. ყანა გაიპარგლაო, აქ არ
იტყვიან, ამბობენ: გ ა ვ ა პ ი რ ა დ ე ან გავამორედეო (იხ.) (ხევი).
იხ. პ ი რ ა დ ი !.

გაარიკავეფ-ს (—რიკი) მოხსნის, გადაადებს. მერე თავჯდომარე გ ა-
ა რ ი კ ა ვ ე ს და მე ქვე ვარ (მახათაური).

გაასევიეფ-ს გააწვევინებს. გ ა ვ ა ს ე ვ ი ე ფ ხარსა. თუ გ ა ა ს ე-
ვ ი ე ფ შენა, თუ გინდა 30 ფუთი გაატანე (ვახანი).

გაასინათლეფ-ს აანთებს რასმე, გაანათებს. მივიდენ, მევიდენ, ვერ ნა-
ხეს, გ ა ა ს ი ნ ა თ ლ ე ს,—აგერ არი (ლეღვანი).

გაუმხრულეფ-ს უმტყუნებს, გადაუხვევს. თამარას სიტყვას არ გაეა-
უმხრულეფ (ჭალაურთა).

გააქილიყეთ-ს გაამასხრებს, აბუჩად აიგდებს, დასცინებს. რატო გაა-
ქილიყეთ ეს ბიკი? (შომახეთი); „ყე“ თუ წამოცდა ვისმე, გაეა-
ქილიყეთ (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს. ქილიკი!). იხ. გაქილი-
კება.

გააქულავეფ-ს იგივეა, რაც გაქუბავს (იხ.). დღეს ჩალა გავა-
ქუბულავეთ და დევიდალე (ტაბაკინი).

გააღლიშთებ-ა გაცუღლუტდება. მუშაობას რო არ მოკიდა ხელი, გა-
აღლიშთა (ხიდარი); იმ ბიკს ყურადღება მიაქციე, თვარა გააღ-
ლიშთება (იქვე). იხ. აღლიში.

გააცუცურაკეფ-ს მოატყუებს, გააცურებს, გაასულელებს. შე უსინდი-
სო, შე ასეთო, შე ისეთო, უნდა გამაცუცურაკოო? (ჩიხა).
(იხ. განმარტ. ლექს. გააცურებს მნიშვნ. 2, იმერ. გააცუცურაკებს).

გააძოძინეფ-ს ზიზლით გააქრეოლებს. გამაძოძინეფს ხოლ-
მე, იმ ოხერს რო დეგინახავ (წედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს. ძოძინი).

გააწმინდავეფ-ს გაწმენდს. ქურს გააწმინდავეფს (პირველი
სვირი). (იხ. განმარტ. ლექს. დაწმინდავებს).

გააწყალეფ-ს მოსპობს, ამოწყვეტს. ტურამ გაგვაწყალე რაც
ქათმები ქვეყავდა, წეიყვანა (ბოსლევი). (იხ. განმარტ. ლექს. გააწყობს).
გააჭიჟინეფ-ს პირამდე აავსებს. კაი ორ სასიმიდეს გაეაჭიჟინებ-
დი სიმიდით (ბერეთისა). (შდრ. კირ., განმარტ. ლექს. ჰიჟინი, ჰიჟინა).
გაახალისეფ-ს გადატ. ხელახლა გააწყობს, შემატებს რასმე სუფრას.
გაახალისეთ სტოლი (ტაბაკინი).

გაახანინეფ-ს დააყოვნებს, დაახანებს. რატო გაახანინა ამდენი
ხანი? (მანდაეთი). (იხ. განმარტ. ლექს. გაახანებს).

გააჯავახეფ-ს გალანძღავს. ისინი რო დაწოწებდენ იქა, რატო დაწოწებ-
დენ? მე გაეაჯავახე ისინი (წაქვა). (შდრ. ქავთ. გაჯავახება).
გაბაბანიკებულ-ი ნაპატივები, მოვლილი; ფეხმძიმობით გავსებული.
ანდროს ცოლი გაბაბანიკებული ყავს (განთიადი); ჩემი ძრო-
ხა გაბაბანიკებულია (ბოსლევი). (შდრ. შარაშ. გაბაბანი-
კებული).

გაბზნილ-ი გაბზარული. გაბზნილია საინი (შომახეთი). (იხ.
ქავთ. გაბზნა).

გაბიღნილ-ი გავსილი, გატენილი. გაბიღნილია მაშინის ნახვრე-
ტები ნიგვზითი (ტაბაკინი). (შდრ. ბ. წერ. გაბისკნილი).

გაბლიკდება-ი იგივეა, რაც გაბლიკვდება (იხ.). გაბლიკდე-
ბა იმ სიცივეში (ტაბაკინი). (იხ. ბ. წერ. გაბლიკება, ქავთ. დაბ-
ლიკება, დაბლუკება).

გაბლიკებულ-ი იგივეა, რაც გაბლიხებული (იხ.). ხელები გაბლიკებული მაქ. (ღარიხვეი). (იხ. ქავთ.).

გაბლიკვდებ-ა გაცივდება, განმება. ექადი გაბლიკვდება ვახშ-მობამდი (უჩამეთი). (იხ. ალავ. ლეჩხ. გალიგვება; შდრ. ჯაჯ. IX გაბლიკვება).

გაბლიხებულ-ი გაცივებული, სიცივისაგან განხევებული. გაბლიხებული მაქ ხელები (ლიჩი). (შდრ. ქეშიკ. გაკრიახებული).

გაბლიხთებ-ა იგივეა, რაც გაბლიკდება, გაბლიკვდება (იხ.). იტოს გარეთ ამ სიცივეში და გაბლიხთება, აპარა მოუვა (ლიჩი).

გაბობორაჭებულ-ი სულ გამდგარი რო არი კვამლი, ვიტყვით: „გაბობორაჭებულია კვამლი“ (შომახეთი).

გაბობირდებ-ა გაიჭედება, გაეხირება, გაეჩხირება. იკდვზე შესულა და გაბობირებულა (ტაბაკინი). (იხ. ქავთ. გაბობირება, შარაშ. გაბოგირებული, ალავ. ლეჩხ. გაბობება).

გაბრელოება სიმინდის, ლობიოს, ხორბლეულის გაწმენდა-განიავება და ბრელოს (იხ.) მოცილება. როცა რო ილეწება, ნიფით ბზეს ისერიან მაღლა, პური პირდაპირ იყრება და ბზეი, ბრელო გადააქთ. ესაა გაბრელოება (ქვები). (იხ. ქავთ.).

გაბუჟუნებული-ი შეშუპებული. გაბუჟუნებულნი აქ სახეი (წიფა). (შდრ. ქავთ. გაბიჟვინებული).

გაბურანებული-ი გაბრუებული. თავი რო მქონდა გაბურანებული, ვიფიქრე, ნერვებზე არ გედევდიდე-მეთქი (ჯალაურთა).

გაბურღულ-ი გადატ. დახვეული, ხუჭუჭი. ასულა ხეზე და გადმოუყრია გაბურღული ქოჩორი (სხვიტორი). (იხ. ალავ. ლეჩხ. დაღურღნული).

გაბურჩქნი-ს ვაზს ზედმეტი ყლორტებისაგან გაწმენდს. ყლორტები რო გეეზდება ვენახს, გაბურჩქნიან (ზვარე).

გაბუსუნდება-ა ხმას გაიკმენდს, გაყურდება, გაიტრუნება. გაბუსუნდა და თურმე ებიჭი, რო უთხრეს, სპეციალისტი არ ყოფილხარ შენო. (სახე). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. გაბუსუნდება, ფშ. გაიმელუნებს, საუბ. გაისნატება, გაისურება).

გაბუსუნებული-ი გაყურებული, ხმაგაკმენდილი. ვარ მე გაბუსუნებულნი, ხმას ვერ ვიღეფ (ხიდარი). (იხ. განმარტ. ლექს., ქავთ.).

გაბულავებული-ი ბუღასავით გასუქებული. ამას რა ეტკინება, გაბულავებული არი. თელი ოჯახი იმას ჩავაბარე და გაბულავებული იქნება, აპარა იქნება (ბორითი). (შდრ. შარაშ. გაბგია-ლებული).

გაბჭობილ-ი გაყლენთილი, ავსილი. შიშით ვარ გაბჭობილი (ზედუბანი). (შდრ. განმარტ. ლექს. გაბჭობა).

გაგალია ცარიელი ადგილი. არაფერი არ ქვეყნდა, გაგალიაზე დევანთე ცეცხლი (ხიდარი).

გაგანია 1. პაპანაქება. ვიწვი ამ გაგანია სიცხეში (ზედღუბანი); სასუქი გაგანია სიცხეში მიაყარეს (უჩამეთი). 2. გახურებული. რო იყო გაგანია მუშობაი, რეზიკოდან მევიდა დეპეშა (სანახშირე); ესვათ ე გაგანია მიკარი (ტაბაკინი). 3. გადატ. დიდი. ღორები ჩამოსულა და სულ ოუდიით ყანა. ნავხეთ, გაგანია კვალა (ტაბაკინი); ცეცხლი გაგანია ანთია (ვაზანი).

გაგერმი-ს ღინღლს, გერმას გააცლის. ბატს გაგერმიან (ზედღუბანი).

გაგვრიტნილ-ი იგივეა, რაც გაგვრიტული (იხ.). პირი რო დოუბანია, რა გაგვრიტნილია! (ფარცხნალი).

გაგვრიტული-ი გაწმენდილი, გასუფთავებული, გალამაზებული. მოკიდა ხელი ჩემ გაგვრიტულ თორნეს და მიაქ (ბოსლევო).

გაგვრიშნი-ს ლამაზად გაპარსავს; დაბანს, გაასუფთავებს. გოუგვრიშნია თავი (შომახეთი). (იხ. ქავთ. დაგვრიტნი).

გაგიჩთა მელა ქათმის დაწყევლაა. არ მამკლეს?! თქვენ გაგიჩთათ მელა! (ზედღუბანი).

გაგლუხვა წასვლა, მიღევა, ამ დღეების გაგლუხვას ველარ მევესწარი (უჩამეთი).

გადააბილიკეთ-ს გადააფუჩიჩებს. ნუ გადააბილიკეთ, თქვი (მახათაური).

გადააბიწყეთ-ს დაფარავს. კარებში კვერ გამოდიოდენ, მიაყარა ნაქარი და სახლი გადააბიწყა (ჯალაურთა).

გადაათარგული-ს გადააწვენს, გადაწინდნავს (სინონ. გადაწინდრავს). დავრგევი ვენახი და გადავთარგულე: ლერწი გადავწვინე და გადაწვინილ ლერწზე მიწა დავაყარე და ერთი ძირი ვენახიდან. რომელსაც 4-5 ლერწი აქვს, ამოვიყვანე 4-5 ძირი ვენახი (უჩამეთი).

გადააჩქვიანეთ-ს გადათქვამს. ჩქარა გადავარქვიანე ისევ-ისევ (შომახეთი). (მდრ. შარაშ. გადაქარაფუჩება, ალავ. ლერხ. XII) ჩარქვიანება).

გადააქოჩეთ-ს დააკრავს რამეზე. გადაამაქოჩეს კრაოტზე და აფხიკეს ეთითი სულ ძვალზე (ბოსლევო). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. ქოჩი).

გადააქუხეთ-ს გადაიყვანს ძალით, ნება-სურვილის გარეშე გადაკარგავს, გადახვეწს. "კაპანიონი იყო ექიმში, მერე ქუთაიში გადააქუხეს (ზედღუბანი). იხ. გადაამქუხებელი, გადაქუხდება, გადაქუხებული.

გადაწმინდავთ-ს იგივეა, რაც გააწმინდავთ (იხ.). მე გადავწმინდავთ, ამოვწვავ ბოჭკაში გოგილდს (ზედა საქარა).

გადაწყვეტ-ს | ომ-ს მოსპობა, გადაშენებს. უნდა გადავაწყყო
ქათმები (ტაბაკინი); ცოლის თხოვნის ნება არ მიცა, გადააწყყო
კაცი (შომახეთი); გადავაწყვე ბატები (ჭალატყე). (იხ. ჯაჯ. IX;
შდრ. განმარტ. ლექს.).

გადაახვილიფეფ-ს გადაბლავს, შეირჩენს. გადაახვილიფესი
სტაქანი (ხიდარი). (შდრ. განმარტ. ლექს. ხელიფეფი).

გადაბაჩქული ხე ტოტებგაშლილი ხე. გადაბაჩქული ხე უნდა
იყოს და შუაში დაასობენ მარგილს, რომელსაც ქვია საზვინე ხე, იქნე-
ბა 5-6 მეტრი (შომახეთი).

გადაბირული-ი გადაბირებული. გადაბირული ყაშს ქმარი (შომა-
ხეთი).

გადაბმული-ი გადატ. ძალიან მაღალი. ეს მიქნა ვანო გადაბმულმა
(მანდაეთი).

გადაბორბაშებული-ი აბიბინებული. მაკიდონელი მიტოა ისე გადა-
ბორბაშებული, რო წვიმის მერე დათესა (ზედა საქარა). (იხ.
ქავთ. გადაბარბაშებული).

გადაბუინდება-ი იგივეა, რაც გადაბუინდება (იხ.). მიეცემ დე-
დას, ჩემთან არ გადაბუინდეს ბოვში (ხვერი).

გადაბუირდება-ი შეწუხდება, გადაფიჩინდება, ტირილით დაოსდება.
თავი ძირს დაკრა და გადაბუირდა ბოვში (ზარანი).

გადაბრაწვა-ი გადაწითლება. ლაფშეფს რათ უნდა გადაბრაწვაი
(განთიადი).

გადაგვი-ს „დაგვის ნაგვის ზევიდან გადმოყრით“ (განმარტ. ლექს.);
გადავგავეთ კალო (ბერეთისა).

გადაგოხილი-ი ურწყავი, მწირი. იქა გადაგოხილი ადგილები
იყო და მოსაველიც არ ვარგოდა (წაქვა). (შდრ. განმარტ. ლექს. ქართლ.
გადაგოხავს). იხ. გოხი.

გადაგრიგლული-ი [ლობისთავეები] მსხვილი წნელით გადაწნილი, გადაქ-
სოვილი, გრივალგაყეთებული. სარებია ახლომანლო ჩასობილი და ზე-
ვიდან აქვს 3-4 წნელი გადაქსოვლი, გადაგრიგლულულია
ზედე (ტაბაკინი). (იხ. ქავთ. გადაჯრიგვლა; შდრ. ბერ. ვირგვლა;
ბ. წერ. გადაგირგული).

გადაზევ-ს გადაწევს. ამ იაშიკს გაღუზია თავი (გეზრული).

გადაზოდლი-ი ზოდვიით გადებული, გადაწოლილი. დევიანხე ზედე
გველი, გადაზოდლი იყო ხეზე და მზეს იყო გადმოფიცხებული
(ბოსლევვი). (იხ. ბ. წერ. გადაზოდლი, განმარტ. ლექს. გაზოდ(ე)-
ლი).

გადათარგულება-ი ვაზის გაშენება ლერწის მიწაში ჩაფვლით, — გადაწ-
ვენა, გადაწოდება. ვაზის ვიციით გადათარგულება (უჩამეთი).
(იხ. განმარტ. ლექს. გადაწოდება). იხ. გადათარგულეფს.

გადათორკილება-ა ღრძობა, ფეხის გადაბრუნება. ხშირათ ვიცი ფეხის გადათორკილება (ზარანა). იხ. გადაუთორკილდება. გადაკანავს თავს კატეგორიულ უარს იტყვის, არასგზით არ დათანხმდება, პირს აიკრავს. რამდენი არ ჩაეკითხე, მარა გადაკანავთავი (ლეღვანი). (იხ. ბ. წერ. გაასკვა თავი).

გადაკარება გადალება. მოუცადე წვიმის გადაკარებას (ზარანი). (იხ. ბერ. კარ, კარება, განმარტ. ლექს. გადაიკარებს).

გადაკვალავს-კვალს გაავლებს (სინონ. ხტულამს). გადის ხარი სახხავათ, ჯერ გადაკვალავენ, მოითესება და მერე იხვნება (ქორეთი). გადაკლარტამს-გადააჯვარედინებს, გადახლართავს. ესენი უნდა გადაკლარტო ერთიერთმანეთზე (მანდაეთი). (იხ. განმარტ. ლექს. კლარჯავს).

გადაკლერტამს-კლერტებისაგან გაწმენდს, კლერტებს გამოაცლის. ყურძენს დაწვურამთ, მერე გადაკლერტამთ, — გამოვაცლით კლერტს (მოხვა).

გადაკლერტილი-ი კლერტებგაცლილი. ჭურისთვის ამევიღეფთ გადაკლერტილ ქაქას (მოხვა).

გადაკლიბული-ერთმანეთზე მიკრული, გადახვეული. დაწვინეს ურემზე ორივე გადაკლიბული, მიდიენ, რა ქნან (ტაბაყინი); გადაკლიბულია ორივე და მარგალიტა უსკვამს (იხ.) (ზარანი). (შდრ. საბა მაკინტლობა, დ. ნ. ჩუბ. მაკინტალობა, ქე შიკ. გადახვლანქული, ალავ. ლეჩხ. გადაკიმარტლება).

გადაკოტრილი-გადატიტვლებული. აქ გადაკოტრილი თავი (განთიადი).

გადაკუქული-გადაკრილი. ისე აქ ხელი გადაკუქული, სისხლის დენა ვერ შევაჩერეთ (სავანე).

გადალახრამს-გადალახავს; გადააჭარბებს, გადაამეტებს; აჯობებს. გადალახრა თავისი მეზობლები სიმდიდრითი (უჩამეთი).

გადაღეშვა წყლის გადავლისაგან დასიღვა. შევიდოდა ვენახში წყალი და გადაღეშვას იმას ევძახით (ზეღუბანი). იხ. დაღეშტრავს. დაღეშტრილი.

გადაღეშილი-იგივეა, რაც დაღეშტრილი (იხ.). ვენახი გადაღეშილი იქნებოდა წყლის გავლისაგან (ზეღუბანი).

გადალოპრილი-გადატიტვლებული, გამელოტებული. გადალოპრილი აქ თავი (წაქვა).

გადამაშნი-ს გადამალავს. გადამაშნის ყველიფერს (ტაბაყინი). გადამაშნილი-დამალული. ჩემი დასალევი ღვინო გადამაშნილი მქონდა (შომახეთი). შდრ. სამაშნავეი, სამაშნი.

გადამქუხებელი-ვინც გადააქუხა; ძალით გადამყვანი, გადამკარგავი. კაპანიონი იყო ექიმი, მერე ქუთაისში გადააქუხეს. მეისპო იმის გადაამქუხებელი (ზედა ხაქარა). იხ. გადაამქუხეფს.

გადაუთმინებულ-ი ავსებული. ჩემი სახლი გადაუთმინებულ-ია წვრილფეხით, შვილით და მომავლით (ხიდარი).

გადართქმევა იგივეა, რაც გადართქვიანება (იხ.). დაქპირდება, მარა მერე გადართქმევა იცის (მაჯითი).

გადართქვიანება გადათქმა. ნუ იცი გადართქვიანება (შომახეთი). იხ. გადაართქვიანება.

გადასაგდებელა წისკვილის ღარის თავში ჩასადები ხის ტარიანი ფიცარი (ღარის სიგანისა), რომლითაც წისკვილის გასაჩერებლად წყალს აგდებენ ღარის გარეთ ან, როცა რამდენიმეთვიან წისკვილში ყველა თვლის ასამუშავებლად წყალი არ კმარა, ამა თუ იმ ღარში წყალს კეტავენ. გადასაგდებელა ფიცარია, რომელსაც აქვს ხის ტარი. ტარს მოვიკიდებთ ხელს და ჩავდებთ ღარში და წყალს გავაჩერებთ (ვერტყვიკალა); გადასაგდებელაა ფიცარი, რომელსაც ღარის თავზე დააყენებენ, რო წყალი არ გადევიდეს ღარში და გაჩერდეს წისკვილი მერე (ხვაშითი); წისკვილი ერთღარიანი თუა, ერთი ბორბალი უნდა, თუ ორღარიანია, — ორი ბორბალი. ღარიდან მიეშობა წყალი ბორბალს. თუ წყალი საკმარისი არ არი, რო ორი ბორბალი ამუშავოს, ღარში ჩადებენ ფიცარს, რომელსაც გადასაგდებელას უძახიან (ქვაციხე). (იხ. ბერ., განმარტ. ლექს., ალავ. ლეჩხ. ეთნ. საგდოლა, შარაშ. გადასაგდავი, საგდულია).

გადასავალ-ი თავგადასავალი. ჩემ გადასავალს რო მოვყვე, რა მელანი გეყოფა (ტაბაკინი); დეიწყო მეფემ თავის გადასავალი (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2)

გადასაკიდ-ი სახურავის ძელი, რომელზედაც მაგრდება ლარტყები, — ნივნიები. გადასაკიდის მასალა მაქ საყიდელი (მანდაეთი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. ნივნივი, ჭყ. ლარტყინი, ჭაჭ. IX გადასაკიდებელი, გადასაკიდელი, გადასაკიდი, გარასაკიდელი).

გადასაკიდელ-ი იგივეა, რაც გადასაკიდი (იხ.). რამდენი ქირი-შიცაა (იხ.), იმდენივეა გადასაკიდელი (ტაბაკინი).

გადასახელავ-ი შესაკეთებელი, მოსავლელი. სახლი მქონდა გადასახელავი (ფარცხნალი). იხ. მოხელვა, მოხელილი, მოსახელი, ზელავს.

გადასახურავ-ი ეთნ. „დახმარება მიცვალებულის ქირისუფალთათვის გასვენების დროს“ (განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3). აქ ხარჯის მიტანა იციან სოფლიდან, მოკეთებები გადასახურავით მიდიან, 100 მანეთიდან 40 თუმნამდი იქნება (ბერეთისა).

გადაუგნურდება-ა შეიშლება, აირევა, გონებას დაკარგავს. ზოგი გადაუგნურდება და არ იცის, რას აკეთებს (სხვიტორი).

გადაფაქულ-ი გადაფარებული. არი გადაფაქული ცეცხზე (ღარიხევი). იხ. ეფაქვება.

გადაფერჩხავ-ს გადარეკს, გადაკარგავს, გადაჩენავს (სიმბალიდან).
კინკა აედრით მოვიდა და, აღბათ, აედრით წავა, გადაფერჩხე-
ვენ გიორგობა საღამოთი (მახათაური); შეკონიან კინკასა და გადა-
ფერჩხენ მერე (შომახეთი).

გადაქოჩილ-ი გადაკრული, გადაჭიმული. ქურა ზევიდან დახურულია
კრამიტით ან თუნუქით და გადაქოჩილია რკინის მსხვილი მარ-
თულით, რომელიც კიშავს ორ რკინის ბოძს, რომლებიც ამაგრებს ქუ-
რას, რო არ ჩამეინგრეს (ბოსლევვი). იხ. გადააქოჩეფს.

გადაქუხებულ-ი დაკარგული, გადახვეწილი. ჩემი შვილი შორსაა გა-
დაქუხებულნი (ზედუბანი). (შდრ. ქეშიკ. გადმოგანძული).

გადაქუხთბა-ა გადავა ნება-სურვილის გარეშე, ძალით გადიკარგება.
კაპანიონი იყო ექიმში, იმან გამოიკეთა აპელაცია, მამარჩინა, მარა მერე
გადაქუხთა (ზედუბანი).

გადაღანწულ-ი მეტისმეტად დაქანცული, დაღლილობისაგან გადაქცე-
ული. სამი დღე და ღამე გადაღანწული მოვდივარ, შიერი ვარ
(ტაბაკინი).

გადაღმეილ-ი გადატ. უცხო მხრისა. გადაღმეილი ხარ, რო არა-
ფერი იცოდე? (ქვები). (იხ. განმარტ. ლექს. გაღამელი მნიშვნ. 2.
ჯაჯ. IX).

გადაყვინცალღებ-ა გადაიქცევა. რო გაბუყარდა ნემსი ძვალში, გადა-
ყვინცალდა ბოვში (სვერს).

გადაყირყაუება-ა გაჭირვებულება. აქ იციენ გადაყირყაუება ღი-
ნოში (ტაბაკინი).

გადაყოლიღებულ-ი გადაყოლილი. იმას ყავს გადაყოლიღებუ-
ლი დაი (განთიადი).

გადაყურულ-ი გადატ. გადახრილი, ტოტებდაწეული. ხე იქით არი გა-
დაყურული, დინარისაკენ და ვაშლი წყალში ჩაეარდა (ბერეთისა).
გადაწაფულ-ი გადაკნავებული, შეწუხებულნი. ბოვში არი გადაწა-
ფული აკენაში, ვეღარც ტირის, ვეღარც იცინის (შუქრუთი).

გადაწვენამ-ს წვენს გადაღვრის. გადაწვენე ნადული (მანდაეთი).
გადაწინდრაფ-ს იგივეა, რაც გადაწინდრის (იხ.). ძველ ვენახს
აქ ძირზე ამოსული ლორდი (იხ.) და გადაწინდრავენ გასამ-
რავლებლათ (არგვეთი). (იხ. ბ. წერ., ლექს. გადაწინდრაფ).

გადაწინდრი-ს ეაზის რქას მიწაში გადააწვენს გასამრავლებლად, — გა-
დაწინდავს. ვენახს გადაწინდრის, თუ ვენახი არი მეჩხერი-
ხშირს გახდის (ლორეშა). (იხ. საბა წიღნა, დ. ნ. ჩუბ. წიღნა.
წიღნა, განმარტ. ლექს. იმერ. გადაწინდრა, წინდრაფს, ი. ჯავახ.
საქ. ეკ. ისტ. II, 313 ვენახის გადაწინდრა, დიალექტ. იმერ. დაფშანვა.
აქარ. დამაგინება, ალაფ. ლეჩხ. XIII დაწიგვრა, ბერ. დამაგინე-
ბა, ჯაჯ. გურ. დამაგინება, ჯოხ. გადაწვენა).

გადაწუხებულ-ი შეწუხებული. გადაწუხებული იყო ოჯახი (ხვაშითი).

გადაწყვებ-ა მოისპობა, გადაშენდება. წითელ სიმიტს ვთესამდით, მარა გადაწყვა. გადააწყვეს აპა! (ხვაშითი). იხ. გადააწყვოფს.

გადაჭერია ძლიერ კარგი. დიდი გადაჭერია არც ის გოგო იყო (ბოსლევო); დიდი გადაჭერია არ მყავს მე ისი, ცხვირს რო წვეს მალლა (იქვე).

გადაქმული მიწა გამოფიტული მიწა. ჩემი ვენახის მიწა გადაქმულია, სასუქი მინდა (ხრეთით).

გადახლიფავ-ს გადახლაროავს. ისე ჩამოკიდე გოზინაყი, რო ძაფები არ გადახლიფო (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. ხვანჯავს, ხვლანჯავს).

გადახელავ-ს შეაკეთებს. ეს სიძე რალაი მევიდა, სახლიც გადახელა (წირქვალი); ამ კვირეში უნდა გადახელო სახლი (ზედუბანი). (იხ. ბ. წერ. გადახელვა, განმარტ. ლექს. ხელავს³; შდრ. დი-ალექტ. იმერ. ხელვა).

გადაჯაჭვული ხე ტოტებგაშლილი ხე. იქვე იდგა გადაჯაჭვული ხე (ხევი). (იხ. განმარტ. ლექს. ფშ. გაიბარჯლება).

გადეიჩლატებ-ა უშნოდ ჩამოეცმება, ჩამოეფხატება. გადაჩლატია ქული (შომახეთი).

გადეიამიდეფ-ს გამოიღარებს. ცას ეტყობა, გადეიამიდეფს (ტაბაკინი). იხ. გადეიამიდეფს.

გადენი-ს გაეყრება, გასცილდება, გაშორდება. ჯერ ერთხელა გადენა ქალი, მერე ძალათი შეიყვანა (ლედვანი); გადენა ქმარი და წაყუა სხვასა (ჭალაურთა).

გადენილ-ი გაცილებული, გაყრილი. მაგას სამი ქალი ყოლია გადენილი (ჭალაურთა); ჩემ ბიძაშვილს ოთხი ყამს გადენილი, მარა მეხუთეს ცივ ნიავს არ აკარეფს (იქვე). (შდრ. განმარტ. ლექს.). იხ. ქმარგადენილი.

გადეიამიდეფ-ს იგივეა, რაც გადეიამიდეფს (იხ.). ეტყობა, გადეიამიდეფს (ზარანი).

გადიდრაჯდებ-ა ქონებისაგან გაიპრანქება, გამეტიჩრდება, გაუკადრისდება, გადიდკადება. ყავადახიანი (იხ.) კაცი ვარ, გავდიდრაჯდი (ზარანი, ფარცხნალი). (იხ. განმარტ. ლექს. დიდრაჯობა).

გადიდრაჯება ქონებისაგან გაპრანქვა, გამეტიჩრება, გაუკადრისება. გადიდკადება. ზოგმა იცის გადიდრაჯება, მერე არავის კადრულოფს (დილიკაური). (იხ. კირ. დიდრაჯობა).

გადიდრაჯებულ-ი ქონებისაგან გამეტიჩრებული, გაუკადრისებული. გადიდკადებული. გადიდრაჯებულია იასონა და აღარავინ კადრულოფს (ზოვრეთი).

გადიკანის თავს იგივეა, რაც გადაკანავს თავს (იხ.). გადიკანის თავს — აღარ დავლევო (ტაბაკინი).

გადიკარეფ-ს წვიმა გადაიღებს. წვიმამ გადიკარა. გადიკარეფს, ხან ითოვეფს (ღელვანი).

გადინიჭება გადაირევა, მოსაზრების უნარს დაკარგავს. ის გადინიჭება ახლა, რო გეიგეფს, რო ბოვშს ოპერაცია გოუკეთეს (ხრეთი); მოდის სამი აფხანიკი. რო გადმოსულენ, ერთი ვაქე ადგილია, დახვთერიენ, დოუხთითათ ყველიფერი, — გადვინიჭეთ პირდაპირო (დილიკაური). (მღრ. ალაფ. ოკრ. გამონიჭებული).

გადირთვიანეფ-ს იგივეა, რაც გადვირქვიანეფს (იხ.). კაი სიტყვა უთხარი და გადირთვიანა (დილიკაური); დამიარებოდა შკოლაში და მერე ქე გადირთვიანა (იქვე).

გადისანსლება გადასწორდება. იმტელაზე რო წამოვალთ, რო წყალი აღარ შეგვაწუხეფს, მერე შოუყრამთ ან გარეშამო უვლით ქვას, გადუსვამთ ცემენტსა, მერე გადისანსლება (წვარე).

გადიფირჩხება გადაირეკება, გადაიკარგება. ახლა ჩამოვა ქინკა, ღვინობისთეეში, და გიორგობას გადიფირჩხებიან (სხვიტორი).

გადმეეწოკინება-ა გადმოიხრება და მისწვდება. გადმეეეწოკინეცხენიდან და მოვსვი ეს ღვინოი (ხიდარი).

გადმეიყანთრება-ა (—ყანთარი) გადმოიზნიქება, გადმოიწევა. კედელი მაღალი იყო და კაცი გადმეიყანთრა (ტაბაკინი).

გადმოფაქვეფ-ს გადმოფარებს. ახლა რაღას ვგავარ, ჩემო დედუა, თვალები ჩამომეჩანთა, ეს რო გადმომაფაქვა (უჩამეთი).

გადმოუხაწამ-ს დასვრის. ბიძამ გურგენს დაუძახა: „შიშით წამხთარსარ, მანდიდან გადმოგიხაწამს, ძირს ჩამომსვლელი არა ხარ?“ (წედუბანი).

გადმოფაქვებულ-ი || გადმოფაქულ-ი გადმოფარებული: გადმოზნიქილი. ამხელა კტე არი გადმოფაქვებული (ღარიხევი); არ მიყვარს, ცალი ყური რო გადმოფაქვებული იქნება და ცალი მიტყებებული (სვერი).

გადმოწეკ-ს გადმოსწევს. გადმოწეკეთ ბაწარს (მანდაეთი).

გადუთორკილდება-ა გადაუბრუნდება, ელძობა. ფეხი გადუთორკილდა (ფარცხალი); ამ კაცს გადუთორკილდა ფეხი. — ვაი დედაო! — დეიძახა (წარანი).

გადუწმაწინ-ს გადაუგრებს. გავჯავრდი და გადუწმაწინე ყური (ჭალაურთა). (იხ. განმარტ. ლექს. წმაწინა.)

გადლაშულ-ი უწესრიგოდ მიგდებული. ხე არი გზაზე გადლაშული (წარანი). (იხ. ქაეთ.).

გადღვენილ-ი უშნოდ გამსხვილებული, გაჩაჩხული. გოგონე ორსულობის დროს არ იყო გადღვენილი? (სვერი).

გაღლუვდებ-ა გაფუცდება, გაღვივდება. გაღლუვდა ექალი (ხვა-
შითი).

გაველაკდებ-ა გაჩანაგდება, გატილდება, გაპარტახდება, წახდება.
თ'ვარ მოუელი, გაველაკდება ყოლიფერი (წყალშავი).

გაველაკებულ-ი გატილებული, გავერანებული, წამხდარი. ძალიან
გაველაკებულ-ია ყველიფერი, ხის ძირი აღარ იხედება (იხ.) და
მოსავალი არ არი, მანემდი რო მოდიოდა (წყალშავი); არი ყოლიფერი
გაფოლორცებული და გაველაკებულ-ი (პერევი).

გაზდობაში სიცოცხლეში. ჩემ გაზდობაში ეს სიტყვა არ გამი-
გონია (მერჯევი).

გაზენტილ-ი გაქლენთილი. გაზენტილია ეჩალი, რავარი თბი-
ლია! (სვერი).

გაზიზინებულ-ი ძალიან გავსებული. ქე მოკეტა ე გაზიზინებულ-
ლი ძროხაი (უჩამეთი). (იხ. განმარტ. ლექს. ლეჩხ. იმერ., შარაშ.
გასისინებული, ალავ. ლეჩხ., ბერ. ბეზ, ბიზინ, გაბიზინება, გა-
მობეზვა, გაზიზინება).

გაზ-კვერ-ი გაზი და ჩაქუჩი („ჩაქუჩი“ ზემო იმერეთში არ იხმარება).
ლურსმნის გამოსაქედად გვინდა გაზ-კვერი. კვერს დაკრამ,
ქვეიდან გიკაეია გაზი, რო, ზევიდან რო ურტყამ, თავი დაიხვიოს
(შომახეთი). (იხ. საბა კუერი, განმარტ. ლექს., კინკ. 245 გაზ-
კვერი).

გათარანებულ-ი მაღალი ტემპერატურით გავარვარებული. ისე ავათ გა-
მიხთა ე ბოვში, გათარანებულ-ია სულ (უჩამეთი). (იხ. ჭყ.;
შდრ. განმარტ. ლექს.).

გათვისთებ-ა განცალკევდება, გაშორდება, გასცილდება. რო გათ-
ვისთონ ძმები, ჯობია (ღარიხევი). (იხ. განმარტ. ლექს., ჯაჯ. IX
გათავთავისება).

გათლანგავს შეხეთქს, შექამს. მამამ ერთი პური ნეიტანა. სულ არ
გათლანგავი ბიქმა! (ტაბაყინი); გათლანგავს, თუ რამე ნახა
(იქვე). (შდრ. ჯაჯ. IX თლანქვა).

გათქვაფულ-ი გათქვეფილი, წყალნარევი. თოვლი რო წყალშია ათქვე-
ფილი, ვამბოფთ: „გათქვაფულია გზები“ (სვერი). (იხ. ქე-
შიკ. ვალოპორწყლებული).

გათხოვებულ-ი გათხოვილი. ქუქუხნაი გათხოვებულ-ია (მანდა-
ჭი); სამი გოგო დარჩა, ორი გოგო გათხოვებულ-ია (შროშა);
გათხოვებულ-ი ყავს შვილი (დილიკაური). (იხ. განმარტ.
ლექს.).

გაიჩინდლებ-ა გახდება, დასუსტდება, დაგლახდება. იამანისაგან (იხ.)
გაიჩინდლება საქონელი (ხევი). (შდრ. განმარტ. ლექს. ჩინდალი).
გაკანკლამ-ს გაწმენდს, გაასუფთაებს, გაალამაზებს. ჰოსხურება გა-

ვათავეთ და გავკანკლეთ ვენახი (უჩაშეთი). (იხ. განმარტ. ლექს. გამოკანკლავს; შდრ. ქეშიკ. გამოკანკვლა).

გაკანკლულ-ი კობტად მოწყობილი, დასუფთავებული, მოკაზმული. სახში რო მოდის, გაკანკლული ხეთება ყორიფელი (ხიღარი). (იხ. განმარტ. ლექს. გამოკანკლული):

გაკეთებული გლეხი მდიდარი, შეძლებული გლეხი. მივიდენ ერთ გაკეთებულ გლეხთან (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).
გაკვიტნულ-ი პატარა. გაკვიტნული ბიჭი ვიყავი, პაწია ვიყავი, მარჯვე ქვე ვიყავი (მახათაური).

გაკირვა აბრეშუმის ქიის ავადმყოფობაა, იწვევს ქიის გამაგრებას. ნეტა გაკირვა არ მოუვიდეს ჩემ ქიას! (ხიღარი).

გაკირკაუებული-ი გამაგრებული. ლელვი გაკირკაუებულია (ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს.).

გაკირჩხალებულ-ი გამხმარი. სიმიდი გაკირჩხალებულია სულ (ტაბაქინი).

გაკირცხლავ-ს || გაკირცხამ-ს გაკიცხავს. 'სახში გაკირცხლავდენ (ზეღუბანი); გაკირცხლა ოჯახი (ხვაშითი); ღვდლები გაკირცხეს მაშინ (ქვეები). (შდრ. ყაზბ. გაუკირცხლა).

გაკიწნი-ს ერთიანად გაწმენდს ზედმეტი ნამხრევეებისაგან. ბიჭა-ბიჭა რო არ გააცალო, ერთი კომპალიც (იხ.) არ იქნება, გავკიწნით იმას და ფოთლები დარჩება და ყურძნის ტევენი (უჩაშეთი).

გაკენბ-ს შექამს, ძვლებიანად დახრავს. დევმა დაუძახა: თუ შოგისწარი ამ ფარგლფს შიგნით, უნდა გაქკნებოო (ზვარე). (იხ. დ. ჩუბ. გაკანპვა; შდრ. განმარტ. ლექს. ფშ. გაკანაპავს).

გაკორდებულ-ი რაც გაკორდა; მინდვრად ქცეული. გადაიჭამა მიწა, სიმიდი აღარ მოსდემს, დავასვენეთ და გაკორდებულნი არი (ვახანი). (იხ. განმარტ. ლექს.). იხ. კორდი.

გაკუჭავ-ს | ამ-ს 1. გამოშიგნავს. გაკუჭეს ამდები ქათმები (ტაბაქინი). (იხ. ბ. წერ., შარაშ. გამოკუჭვა, განმარტ. ლექს. გამოკუჭავს მნიშვნ. 1). 2. გაჭრის. კვახფს ხაპემდენ (იხ.) ბოვშები და გოუკუჭია ხელი (სავანე).

გალაბიანდებ-ა დატკეპნილი მიწა გაფხვიერდება და სტრუქტურას აღიდგენს. ვთოხნი ვენახს ოთხჯელ, მიწა რო გასუქეთეს და გალაბიანდეს (ჩიხა). შდრ. ლაბი.

გალაგაზდებ-ა შეიწებება, შეიკვრება, დაიტკეპნება. შემოდგომაზე რო გადახნა მიწა, გაზაფხულზე გალაგაზდება (მაჭითი). (შდრ. საბა, განმარტ. ლექს. ლაგაზი მნიშვნ. 1).

გალაგაზებულ-ი შეწებებული, დატკეპნილი. წვიმისაგან მიეკვრება მიწა ერთმანეთს, შეწებდება, ესაა გალაგაზებული (წყალშავი); როცა წვიმა არი, მიწა გალაგაზებულია (ქვეები).

გალანჯავ-ს (—ლანჯი) გამურავს, გააშავებს, გაქვარტლავს. არ გაველანჯე ხორცი (ტაბაკინი). (იხ. ალავ. ლეჩხ. გალანჯვრა; შდრ. ბერ. ლანჯვა).

გალანჯული— გამურული, გაშავებული, გაქვარტლული. გალანჯულია ხეები (საბე). იხ. დალანჯული.

გალადღება— გაწყალდება, სიმაგრეს დაკარგავს. გალადღაოტკა, აღარ ვარგა (ზარანი). (იხ. ქავთ. გალადღება ღვინისა; შდრ. განმარტ. ლექს., შარაშ.).

გალეშებულ-ი გალეშილი. აღარც ენახსოვრება, თვრალი ყოფილიყო, გალეშებული (ჯალაურთა).

გალია გასახმობად და შესანახავად ძაფზე აცმული ან დაწნული ხახვი, ნიორი თუ სხვა ბოსტნეული,—გალა. წადი. ნივრის გალია რო არი იქ, შეაწყვიტე ნიორი და წაპვილე (მანდაეთი); ნიორის გალია კი-ღია (წყალშავი). (იხ. ს. მ. ტერმ., განმარტ. ლექს. გალია; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ.).

გალიკდება— იგივეა, რაც გაბლიკდება, გაბლიხდება (იხ.). რო შემცივა, სულ გავლიკდები (მერჯევი). (იხ. ალავ. ლეჩხ. გალიაკება).

გალიშკინებულ-ი გამხმარი. ოფუნებელი პური არ ვარგია, ისე გალიშკინებულ იყო, ვერ ქამდა კაცი (შუქრეთი).

გალოპობულ-ი ლორწოვანი. მაგის ხორცი ქარ იქმება, გალოპობულია (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. ლაპრიანი მნიშვნ. 2).

გალორთვილ-ი სიმაძღრით მოთენთილი. ღორი გალორთვილი წევს (განთიადი). (შდრ. ქავთ. გალორთვილი).

გალუგებულ-ი იგივეა, რაც გაბლიკებულ-ი, გაბლიხებულ-ი (იხ.). ცივი ყოფილა, გალუგებულ-ი, ამას რა შექამს (ჩიხა); ფეხები სულ გალუგებულ-ი მქონდა, რო ავდექი (ხვერი).

გალუყურტდება— გემოს დაკარგავს. სულ გალუყურტდა წვიმისგან ყურძენი (წირქვალი). (იხ. განმარტ. ლექს. ლუყურტი მნიშვნ. 1; შდრ. ბერ.).

გამამავლობა განმავლობა. [რაიმე დროის] გამამავლობაში. ექვსი თვის გამამავლობაში გავიყვანეს ფრონტზე (ქვები); ექვსი თვის გამამავლობაში მორჩა (ლეღვანი); სამი თვის გამამავლობაში ამ ვაჟმა ენაც ისწავლა და ფეხიც (ლეღვანი). (იხ. დიალექტ. ქართლ.).

ლი (სინონ. გეჯა, ონჯარო). გობში მილი წყლით ცივდება (ბერე-

თისა). 3. გრძელი ხის მორი, რომელსაც გული ამოჭრილი აქვს და იხმარება საქონლისა და ღორისათვის საკმლისა და წყლის მისაწოდებლად. ღორის საკმელი ჩაასხი გობში (ღოდორა). (იხ. დ. ჩუბ.). იხ. გეჯა, როფი. 4. ხის ქურჭელი, რომელშიაც ფქვილს ყრიან წისქვილში, — საფქვილე, ალა (სინონ. ონჯარო). გობი სამსეა ფქვილით. (შუქრუთი). 5. საწნახლიდან გადმოსული ტყბილის ჩასასხმელი ქურჭელი, — სატყბილე (სინონ. გეჯა, თაღარი, ისარნა, სარნა). ინდურს დოუდგამ გობსა (ზვარე).

გობური ლაფათჟა გობივით ჩაღრმავებული ნიჩაბი, — ხის დიდი კოვზი, რომელიც იხმარება თხლის ამოსაღებად. გობური ლაფათჟით თხლეს ვიღვთ (ხევი).

გოგილდი-ი გოგირდი. შეუდგებით გოგილდის კეთებას (ლეღვანი). (იხ. მ. ჯან. ქუქურდ). იხ. შეაგოგილდეფს.

გოგობა არ შედგამს დაქალბუღია. დაქალბუღი ქალი იყო, გოგობა არ შედგამდა (შომახეთი).

გოგრა კვახი ერთ-ერთი ჭიშის გოგრა. გოგრა კვახი პაწუაჟ, ყვითელი (ხვაშითი).

გოდორ-მარწყვი ბალის მარწყვი, — ხენდრო. ჩვენ ბახში გოდორ-მარწყვი გეაქ (ღოდორა); გოდორ-მარწყვი ქვია, მომსახორო არი (მახათაური). (იხ. მაყაშ. ბალის მარწყვი).

გოზინაყი ჩურჩხელა (ამ მნიშვნელობით იხმარება მთელს ზემო იმერეთში). გოზინაყი ავაკვი 30 წყვილი (შროშა); ჩვენ გოზინაყს უძახით, ქვეითკენ ჯანჯუხს უძახიენ (მეორე სვირი).

გოზინაყის ნაცურცლი ფელამუშში ახლად ამოვლებული ჩურჩხელის (გოზინაყის) ჩამონაწვეთი. გოზინაყის ნაცურცლებით მოსვრილია პოლი (შროშა).

გოლხელი-ი რგოლის ხელმძღვანელი. გოლხელიც და ბრიგადირიც შესაფერი შეარჩიეს, საზაფხულო გეგმა მიცეს (ხრეთი).

გომიჯი-ი საფუარის გარეშე მაგარად მოხელილი ცომისაგან ცხელ ნაცარში გამომცხვარი მოხარატებული პური. გომიჯი ასე კეთდება: მოცომენ საფუნებელის გარეშე მაგარ პურის ცომს, უზამენ მარილს, მოწყვეტენ ნაწილს, მოამრგვალებენ და დააცხობენ ცხელ კეცზე, რომელსაც ნელთბილო ნაცარი ექნება მოყრილი, მერე დაადებენ ხარატულს (იხ.) და დააწვებიან, ასე მოაქრელებენ, მერე მოაყრიან ღველფს, თავს არ დაახურავენ, ღველფში უნდა გამოშუშოეს (მანდაეთი). (იხ. განმარტ. ლექს., ძიძიგ. ძიებ.; შდრ. დიალექტ. ქართლ. ლეჩხ.).

გომფაშო გომბეშო. გომფაშომ გააწყო (იხ.) ბოსელში ჭიები (ზვარე). (იხ. დიალექტ. ქართლ. იმერ. გოფაშო; შდრ. ჯაჯ. X).

გონგი-ი 1. ფიცრის პატარა ნაჭერი, ხელში დასაჭერი. იხმარება თიხის ქურჭლის მუცლის გასაკეთებლად (გამოსაგვამავად). ყელის გამოსაყვა

ნად, გასაწმენდად და ასაქრელებლად. გონგი რამდენიმე სახისაა. მოგვამული გონგი, გარედან ამოზნექილი, შიგნიდან შეზნექილი, იხმარება ქურჭლის გვამის გასაქეთებლად; გასასწორებელი გონგი ნახევარმთვარესავითაა, ზევიდან ამოზნექილი, შიგნიდან სწორი, იხმარება ქურჭლის თავის გასასწორებლათ; ასაქრელებელი გონგი რომბის მოყვანილობისაა, ნაპირი დაკბილული აქვს. არი გასაწმენდი ანუ შემოსასმელი გონგიც ზედმეტი, მიკოსებული მიწის მოსაცილებლათ (ბოსლევი). (იხ. ბერ. განმარტ. ლექს., ბოჭორ. მასალ. საქ. ეთნ. VIII, 40). 2. ბოძი, რომელსაც ეყრდნობა ლარძაყინი და იცავს მას გალუნვისაგან. გადასაკიდსა და სტრაფილის თავებს უკეთებენ ხეს, რომ არ ჩამოიღვეროს ძირს. გონგი კოკზე დამაგრებულია, უკავშირდება სტრაფილს (იხ.) შუა წენზე, რო სტრაფილი არ გვიღვეროს (იხ.) (ჭალაურთა). (შდრ. ბერ. გოგა, ბ. წერ. გოგი, გონგი, იგოგი).

გორგოთ-ი გაუვალი, დაბურული, უღრანი. იმისანა ტყეში შევედი, გორგოთში, სინათლე არ ატანდა (წიფა). (იხ. განმარტ. ლექს. ღურღუთი, ღურღუთი ტყე; შდრ. ყიფშ.).

გორდია || გორდა ძალზე მსხვილი. პელო გორდიაა, სიარული აო შეუძლია (გეზრული). (იხ. საბა, კირ., ყიფშ., ალაგ. ლეჩხ., განმარტ. ლექს. გორდა, ბერ. გორდია; შდრ. ყაზბ.).

გორვალა იგივეა, რაც გვარვალა (იხ.). გორვალა და ღვარძლა ურევია პურს (ზედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს.). იხ. წააგორვალეფს, წაგორვალდება.

გოროხ-ი ბელტი. გოროხი მამხეთა მე (ჭალაურთა). (იხ. საბა. განმარტ. ლექს. გორახი, გოროხი, ნიჟ., დიალექტ. ქართლ., მაის.). გოროხათ ბელტ-ბელტად. გოროხათ კარ იყო მიწა, ჩეიფხვნებოდა (შომახეთი).

გორული მწვანე იგივეა, რაც ქვიშხური (იხ.). ჩვენში შემოვიდა ქართლის ძირითადი საწარმოო ჯიში — გორული მწვანე (ტაბაკინი). (იხ. ი. ჭავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 422-508. განმარტ. ლექს. რცხილ. 97, საქ. ამჟელ. 138-144).

გოსიო უმწიფარი, საჭმელად უვარგისი, მკვანე (ყურძენი). გოსიო იყო სულ. გადაკრიფეს აპა! (ზვარე).

გოუგებელ-ი გაუგებარი, მიუხვედრელი, შეუსმენელი. არქიფო გოუგებელი მუშა იყო, უთავოთ თოხნიდა (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. გაუგებარი მნიშვნ. 2).

გოულანძღელ-ი გაულანძღავი. გოულანძღელი არავინ არ გოულშეეს (ხვაშითი).

გოურგეშელ-ი გაუგებარი, კვალმიუნიშნებელი. გოურგეშელ საქმეზე წეველი (ხიდარი). (შდრ. განმარტ. ლექს. დაუგეშელი). იხ. გერში.

გოუროკნელი-ი გადატ. გაუთლელი. გოუროკნელი ხალხი არიან (ლორეშა).

გოუპრელი კაცი გადატ. გადაუწყვეტელი, უინიციატივო. შეხედულება კაი აქ, მარა გოუპრელი კაცია (შომახეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

გოუხალმაზდებ-ა გაეწმინდება. ახლა გამიხალმაზდება ყელი (ზოვრეთი).

გოუხიახთებ-ა გამოაშკარავდება, საქვეყნოდ გამოიტანება, გავრცელდება. ეს საქმე გამიხიახთება ახლა მე, რაღა ვქნა! (ხრეთი). (იხ. განმარტ. ლექს. გახიახთება; შდრ. იმნ. ქრესტ. განქიქება).

გოჭიწელა ბოტ. ხვართქლა. ტყუპათ ამოდის ნესტიან ადგილზე, პატარა ფოთოლი აქვს, წვრილი ბარდი, რომელიც შედის მცენარეზე (სანახშირე). (იხ. მაყაშ.).

გოხ-ი || **გოხიკო** უბალახო, მოტიტვლებული ადგილი, მცენარე რომ არ ხარობს. გოხი, გოხიკო მოტიტვლებული. გორიანი ადგილია, ბალახიც არ ხაროფს (საბე). (იხ. საბა. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. გოხი, გოხა მნიშვნ. 2; შდრ. მენთ., ჯაჯ. IX ბოსორი). იხ. გადაგოხილი.

გრანიცა სიმიდი (რუს граница) სიმინდის გავრცელებული ჯიშია, მაღალი იზრდება, დიდი ტარო აქვს და ფართო მარცვალი, თეთრიცაა და ყვითელიც. ჩვენ გრანიცას ვთესამთ (ხვერი); გრანიცა სიმიდი შემოტანილია, მაღალი იზდება, დიდი მარცვალი აქ (შომახეთი).

გრიგალ-ი 1. ღობის თავზე ტალღიანებურად გადაქაოვილი მსხვილი წნელი. რომ მოღობავ ღობეს, მერე გრიგალი უკეთდება, სხვილი წყნელით გოდუელი (ბოსლევვი); წყნელ რო ერთხელ შამოავლებენ ღობის თავზე, ერთი გრიგალი ქვია (სავანე). (შდრ. საბა, ბ. წერ., ბერ. გირგულა, გირგალი). იხ. გადაგრიგლული. 2. მქადის ნაპირებზე საგანგებოდ დატოვებული კვალი. გრიგალი გოუკეთა ქადს (მანდაეთი). 3. გრიგალი ქარი, ქარშიშხალი. გრიგალი ამოვარდა (მანდაეთი); გრიგალი ქარება იცის (იქვე). (იხ. ალაგ. XXIV გირგალი)

გრიგალიანი ჭადი მქადი, რომელსაც ნაპირებზე გრიგალი (იხ. მნიშვნ. 2) აქვს გაკეთებული. დედამ გრიგალიანი ჭადი დააცხო (მანდაეთი).

გრძელურ-ი იგივეა, რაც ძელური (იხ.). გრძელური კედლა გააკეთა (ლოდორა). (იხ. ბ. წერ. გრძელური, გძელური სახლი).

გუბელა იგივეა, რაც გუბილა (იხ.). გუბელა ბუგეზე (იხ.) პატარაა (ზვარე); მალე, თვარა ხფო გუბელას სვამს (წირქვალი).

გუბილა დაგუბებული წყალი, გუბე. გ უ ბ ი ლ ე ე ბ ი არი აქა (მოხვა). (შდრ. დიალექტ. იმერს. ფერ. გოლი, მესხ. გოლა, ა ლ ა ე. ლეჩხ. გუბია).

გუგულა იგივეა, რაც ბ უ ბ კ ა (იხ.). გ უ გ უ ლ ა წისკვილის ქვედა ქვაში ჩასმული ხეა, რომლის შუაზე ამოყვანილია ყელა (იხ.), რომელიც გადის არქში (იხ.). გ უ გ უ ლ ა იმისთვისაა, რო მარცვალი არ ჩაცვივდეს ქვეით და არ დეიკარქოს (ლეღვანი); დაარიგებდა (იხ.) წისკვილს და ქვეშ იბნეოდა. გ უ გ უ ლ ა ს ეტყვიან ი დასაკეტს, რო არ უნდა დაბნეულიყო (ხიდარი). (იხ. ნ ი ე.; შდრ. ბ ე რ., განმარტ. ლექს., ა ლ ა ე. ლეჩხ. ეთნ.).

გუგულა ქალი გადატ. წყნარი, მშვიდი. ლიანა წყნარი, გ უ გ უ ლ ა ქ ა ლ ი ა (ხვერი).

გუგული სოკო ოვალური ფორმის მოთეთრო-მონაცრისფრო-თავიანი სოკო, რომელსაც გული შავი აქვს. გ უ გ უ ლ ი ს ო კ ო საკმელი სოკოა, მოთეთრო-მონაცრისფერო, თავი აქ ქამა სოკოსავით. სილია სოკოს (იხ.) გვაგონებს, ოღონდ დიდი იზღება (შროშა); გ უ გ უ ლ ი ს ო კ ო ს ვარდისფერი გული აქ, გაზაფხულზე იცის (ხვერი). (იხ. ბ. წ ე რ. გუგულის სოკო; შდრ. ქ ე., განმარტ. ლექს., მ ა ყ ა შ. გუგულის-ჯამი).

გუდურ-ი წვრილი შეშის, ფიჩხის კონა. იყო ერთი ღარიბი კაცი და გ უ დ უ რ ე ფ ს ზიდემდა ბაზარშიდა (ზვარე). (იხ. განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ. გუდურა).

გულ იხ. ა მ ო გ უ ლ ა მ ს, გა მ ო გ უ ლ ვ ა, გა მ ო გ უ ლ უ ლ ი. გულა იგივეა, რაც ბ უ ბ კ ა (იხ.). ქვედა ქვაში ამოდის რკინის ღერძა, რომელიც, რომ არ გახერხოს ქვა, ირგვლივ გაქედებულია ხის ნაწილებით, რომელსაც ქვია გ უ ლ ა. მისი დანიშნულებაა, რომ მარცვლები არ ჩაცვივდეს წყალში და არ დეიკარქოს (საბე.). (იხ. ბ ე რ., განმარტ. ლექს. გულა მნიშვნ. 2, ყელი მნიშვნ. 7; შდრ. ქ უ მ ბ. 283).

გულახსნილათ გულახდილად, გულწრფელად. გ უ ლ ა ხ ს ნ ი ლ ა თ დევეპასუხე (ზვარე).

გულბანდი გუშბათი; სამრეკლო. ევიდა, გ უ ლ ბ ა ნ დ შ ი დეიმალა ე დიდარე კაცი (პერევი); ზედა საქარაში არის ეკლესია, რომელსაც ეძახიან გ უ ლ ბ ა თ ი ა ნ ი ს ეკლესიას (შროშა). (შდრ. დ. ჩ უ ბ., შ ა რ ა შ.).

გულ-ბოყ-ი გულმკერდის ღრუ, — გულ-ბოყვი. ოპ, გ უ ლ - ბ ო ყ ო! (ლორეშა); ერთი იმანაც უკბინა გ უ ლ - ბ ო ყ ზ ე, ძუძუსთანაო (მანდაეთი). (იხ. ბ ე რ., განმარტ. ლექს.).

გულგამბედი გაბედული, უშიშარი. ვინ არი გ უ ლ გ ა მ ბ ე დ ი ბიქი? (გეზრული).

გულ-გვამ-ი გულ-მუცელი,—გულისა და მუცლის სიღრუეები. გულ-გვამი მტკივა (პერევი).

გულდამხოზილად გულმშვიდად, დინჯად, აუჩქარებლად. ადექი და გულდამხოზილად იარე (მერჯევი).

გულზე გეირღვევა გული მოუვა, გაჯავრდება. თქვენ რო რამე აწყენი-ოთ, გულზე გევირღვევი.—გულზე ქარვირღვევი, ჩემ სიხარულს საზღვარი არ აქ (სვერი).

გულზე დგას გული მოეცა. რა გულზე დგას იცი? სიტყვა არ მითხრაო (შროშა).

გულთმეცან-ი გულთმისანი. გულთმეცანი ძალღია (არგვეთი); ექალი გულთმეცანი ყოფილა (ზედუბანი). (იხ. ძიძიგ. ძიებ. გულთმეცარა).

გულიბუხარ-ი გულს ჩახვეული დარდი. ვიწუხე ძალიანი, ვიდარდე, მარი გულიბუხარზე ქე მევიყვანე მეორე რძალი (ზედუბანი). (იხ. მენთ. გულის ბუხარი, განმარტ. ლექს.).

გულის ბიძაშვილი მკვიდრი ბიძაშვილი (ასე იხმარება მთელს ზემო იმერეთში). მისი დედაი გულის ბიძაშვილია ვასილისი (ტაბაკინი); ის გარეთ ბიძაშვილია (იხ.), გულის ბიძაშვილი არ არი (შომახეთი); ესი გულის ბიძაშვილია. ბიძაშვილები სხვაც არი, მარამა ნამდვილი ბიძაშვილი ხო უნდა გაირჩეს (ჭალაურთა).

გულის ბურღვი „პატარა ბურღვია, რომლის ტარი გულზე არი მიბჭენილი ბურღვის დროს“ (ზარანი).

გულის გამოწელება პარკის გაკეთების შემდეგ უპარკოდ დარჩენილი კიების გადარჩევა და გადაყვანა სხვა ჩელტებზე. მასიურათ რო წავა აბრეშუმში, დარჩება ზოგიერთი, რომელსაც პარკი არ გოუკეთებია. გადარჩევენ ამას და გადაიყვანენ სხვა ჩელტზე. ამას გულის გამონელეებას უძახიან (სანახშირე, პირველი სვირი).

გულის გაწყალება შეწუხება, მობეზრება. ნუ გააწყალე გული (ზარანი).

გულის შილი „ნამდვილი მაზლის ცოლია, ბიძაშვილას ცოლი გულის შილი არ არის“ (გეზრული).

გულისწვერო დიაფრაგმა. ყრუ ტკივილი აქ გულისწვეროში (ფარცხნალი).

გულისწიაკ-ი გულის ხუთვა. გულისწიაკი სულ ვიცოდი (ზარანი).

გული უყვიანთოფს გული მისდის. გული მიყვიანთოფს (ღარიხევი).

გულკოიტ-ი პრანკია, გულზვიადი. გულკოიტი ხალხია ეგენი, არაფრათ მადლებენ (ხიდარი). (იხ. ბერ.; შდრ. ქყ. გულ-არჯალი) გულნაქცევათ ყოფნა ქალის მიზეზობა ფეხმძიმობის დროს. ორსული

ქალი რო მენატრედს რასმე, რო მიზეზოფს, ვიტყვი: „გ უ ლ ნ ა ქ-
ც ე ვ ა თ ა რ ი ქ ა ლ ი“ (დორეშა).

გულობისთინ გულისთვის. რძლის გ უ ლ ო ბ ი ს თ ვ ი ნ ა რ მინდოდა
აქედან წასვლა (ზედა საქარა).

გულს გააწყაღედს თავს მოაბეზრებს, შეაწუხებს. (იხ. განმარტ. ლექს).
შღრ. გა ა წ ყ ა ლ ე ფ ს.

გულს ითაკრამს გულს იგერებს. უკანასკნელი შექამა ბათფანი კვანის
კაკალი, მ ე ი თ ა კ რ ა გ უ ლ ი (უჩამეთი).

გულჩანათალა || გულისჩანათალა შინაური ფრინველის მკერდზე ჩამო-
ნათალი თეთრი ხორცი (ზარანი); ხომ არ ინებდეთ გ უ ლ ჩ ა ნ ა თ ა-
ლ ა ს ? (გეზრული); გ უ ლ ი ს ჩ ა ნ ა თ ა ლ ა არ მიყვარს (იქვე).

გულჩინჩახვა გულფიცხი. გ უ ლ ჩ ი ნ ჩ ა ხ ვ ა კაცი იყო ის უბედური
(სვერი). (იხ. ბ ე რ. ჩინჩახვა).

გულჭიდება სულისხუთვა, გულის შეტევა. სუყველიფერს იტყენს ისი.
გ უ ლ ჭ ი დ ე ბ ა აქ, გულზე მექრება და სულს ველარ იღედს (ზვარე).

გუმბათი ტყე გაუვალი ტყე. დიდ გ უ მ ბ ა თ ტ ყ ე შ ი შევედი და
გამოსვლა გამიქირდა (ნებოძირი, წიფა).

გუნებიერთ გემრიელად, სურვილისამებრ, გუნებისამებრ. გ უ ნ ე ბ ი-
ე რ ა თ მიირთვით საქმელი (ქვები).

გუნჯალ-ი ნაქერი, ნატეხი. დავაწყობდით თორნის ჰურებს, კალათში
ჩაყვრიდით ხორცის გ უ ნ ჯ ა ლ ე ფ ს, მერე ამევიღებდით თითო გ უ ნ-
ჯ ა ლ ს და დოუღებდით სუფრაზე (გორისა, შომახეთი); ერთი გ უ ნ-
ჯ ა ლ ი გოგილდი კარზნიკაში დევს (განთიადი).

გურგუთი ტყე იგივეა, რაც გ ო რ გ ო თ ი (იხ.). წეიყვანა გ უ რ გ უ თ
ტყეში. — ვერავინ დავინახამსო (წაქვა). (იხ. განმარტ. ლექს. ღურ-
ღუთი ტყე).

გურგუმალ-ი ? გამოცანაში ნახმარი სიტყვა: „შიგნი გული გ უ რ გ უ-
მ ა ლ ი, გარე გული ატლასი, ჯარი ბევრი ასევეა, მაჩხუბარი ათასი“
(ბროწეულის გული) (ზედუბანი).

გუფეტი-ი სასაუზმე, ბუფეტი. მე ბალაჯარაში გ უ ფ ე ტ ი მქონდა
(ფარცხნალი). (იხ. განმარტ. ლექს. ბუფეტი მნიშვნ. 2).

გურყულო || გულყურო || გულყურო ბოტ. დიდგულა. გ უ რ ყ უ-
ლ ო ს ხმარობენ საქყებელას (იხ.) სათამაშოთ (ჩიხა); გ უ ლ უ ყ რ ო
მცენარეა, აწლის მსგავსი მარცვლები აქ, დიდი იზღება (ხიღარი). (იხ.
მაყაშ. დიდგულა, ქვ. იმერ. აწლი, ლეჩხ. ხეღრუე, რაქ. ლეჩხ. ხე-
ყრუე).

გუშინაწილა || გუშინაწილე || გუშინეწილე || გუშინაწილას || გუშინ-
წილ || გუშინწილე გუშინწინ. გ უ შ ი ნ ა წ ი ლ ა წევედი (ტაბაკინი);
გ უ შ ი ნ ა წ ი ლ ე ხო დეინახა ი ბლარები (ხიღარი); გ უ შ ი ნ ა წ ი-
ლ ა ს რო შევედი, თათს ხთიდა (შუქრუთი); გ უ შ ი ნ წ ი ლ წევი-

ლეთ (ტაბაკინი); ეზო ხო დაეწმინდე გუშინეწილე (საბე). (იხ
საბა გუშინასწინ, ნ. ჩუბ. გუშინსწინ, დიალექტ. ფშ. გუშის-
წინ, ჯაჯ. IX გუშინეწილა).

გძელული-ი ძელური. გძელული კედელი გოუთლელი ხეა, რგვალათ იხ-
მარება კედლისთვის (დორეშა); გძელული სახლი. გძელულ
სახლს აქ განის კარი (იხ.), გძელულია მიტო, რო სახლიც გძელია და
კედელიც რგვალი ხისა აქ (ჯალაურთა). (იხ. ბ. წერ. გძელური).

ღ

დააბუხუხულავეფ-ს გაამსხვილებს, გაადიდებს. ამ ვაშლევს რა დაა-
ბუხუხულავეფს, ნიავეა ჩამოყარა (ზედა საქარა). იხ. დაბუ-
ხუხულავებული.

დააგორგოსალეფ-ს მრგვლად დაახვევს, დააგორგლებს. დააგორ-
გოსალებენ ქალაღს და ისვრიან ბოვშები (ჩიხა). (იხ. განმარტ.
ლექს. დააგორგლებს).

დააგორვალეფ-ს გორვალისაგან (იხ.) წმენდს. სახში რო მევიტანთ პურს
დასაფქვავეთ, დავაგორვალეფთ: შექანებულ გობზე დაყრილ
პურს ვუსვავეთ ხელს და გორვალა მიდის დაბლა, პური ქე რჩება ზევით
(შომახეთი). იხ. წააგორვალეფს.

დაათარგმანეფ-ს ახსნის. წეიკითხა თითო ასოი, მარა ერთათ ვერ და-
ათარგმანა (ზეარე).

დააკვალიანეფ-ს გზაზე დააყენებს, ასწავლის, ურჩევს. დამაკვა-
ლიანე, მასწავლე და თ'ვარ ივარგა, თავს დაეანებეფ (ბოსლევო); მე
დააკვალიანე ტატიანეი, სანა უნდა მისულიყო და ენახა ავან-
ტყოფი (იქვე); მე ვკითხე, როგორ უნდა წავსულიყავი. ამ კაცმა დამა-
კვალიანა (წირქვალი). (იხ. ძიძიგ. ქრესტ. დაკვალება, მაის.
დაკვალება).

დააკვიწიალეფ-ს სწრაფად დაატრიალებს. დააბზრიალებს. ერთი და-
მაკვიწიალა და პირდაპირ დაშეცა ღარმე ე ხალხი (ბოსლევო). (იხ.
კუ., კვიწიალი, ჯაჯ. X კვიწიალი, კონწიალი). იხ. შეკვიწი-
ალდება.

დააკვლევ-ს მიაკვლევს, კვალს მიაგნებს. მიხელას დოუკვლევია
სამი შველი, დაგვიძახეს მეორე დღეს და წევედით (პერევი).

დაამცირავეფ-ს დაამცირებს. შენი მოქმედება შენვე დაგამცირა-
ვეფს (პერევი).

დაამწარი-ს დაამწარებს. შაგ ცეცხთან ჯღომას დაგამწარი, ნა-
რა ვინძახა ქპატიოფს (შომახეთი).

დაანარბილეფ-ს იგივეა, რაც აყრის (იხ.). რო მეიმკებოდა პური.
უნდა აყრილიყო, დანარბილებულიყო მიწა (ზეარე).

დაანაფენეფ-ს მომკილ პურს ნაფენებად დააწყობს. ნამგლით ვკრით. დ ა ვ ა ნ ა ფ ე ნ ე ფ თ (მოხვა).

დაანაშაურეფ-ს დადანაშაულებს. მე დ ა ნ ა ნ ა შ ა უ რ ე ფ, ვიცო, ყველა მე დ ა მ ა ნ ა შ ა უ რ ე ბ ე ნ (ტაბაკინი).

დაათხფეხეფ-ს 4-4 კონა ჩალას ერთად თავმიდებით მიაყუდებს. კონეფს რო მიაყუდებენ, იტყვიან: დ ა ვ ა ო თ ხ ფ ე ხ ე ჩ ა ლ ა ო (მახათაური); თუ ავდარი შეეტყო, დ ა ვ ა ო თ ხ ფ ე ხ ე ფ ჩ ა ლ ა ს (იქვე). (შღრ. განმარტ. ლექს. დათხფეხება).

დააპიტონიკეფ-ს (←რუს. ПИТОМНИК) დარგავს სანერგე ვაზს. წარე ლერწზე მოხთება დამყნა ნამყენი ვენახისა. ამის მერე დ ა ა პ ი ტ ო ნ ი კ ე ბ ე ნ ო რ ი ბ ა რ ი ს პ ი რ ზ ე გადბრუნებულ მიწაში (დილიკაური).

დააპელპუწეფ-ს ნაწილ-ნაწილ აჩეხავს. ჩქარა კარები გააღე, თ'ვარა დ ა გ ა პ ე ლ პ უ წ ე ფ (წაქვა).

დააპტყვეფ-ს დაატყვევებს, ტყვედ წაიყვანს. დ ა ა პ ტ ყ ვ ე ვ ე ს ჩ ე მ ი ძ მ ა ი (ლორეშა).

დაარიგნეფ-ს სატყვეავს დააყრის დასაფქვევად. დაფშენილ სიმიტს მოკუხრილამთ ცხრილით და წვეილებთ წისქვილზე და დ ა ვ ა რ ი გ ნ ე ფ თ (ხვაშით); „რა ქენი, დ ა ა რ ი გ ნ ე წ ის ქ ვ ი ლ ზ ე ?“ — „ჭერ არ გვირიგნია, ბოშო“ (ზედუბანი); მალე დ ა ვ ა რ ი გ ნ ე ფ ს ი მ ი ტ ს (შუქრუთი). (იხ. განმატ. ლექს. დარიგება, წისქვილზე დარიგება; შღრ. ბ. წერ. დარიგნება, მორიგნება, ნიუ. დაგნება).

დაარკვევ-ს გობზე დაყრილ პურს ანძრევს, რომ პურის მარცვლებისგან გამოიყოს მიწა, კენჭი და მისთ. პურში თუ არი რამე, დ ა ა რ კ ვ ე ვ ე ნ და, მიწა თუ არი, ცალკე დარჩება, პური ქე გადავა. ხელფინს (იხ.) ვეტყვით, ხის გობია, იმაზე დაყრიან და დ ა ა რ კ ვ ე ვ ე ნ (წიფა); სარკვევს (იხ.) ვეტყვით გოფს, ამ სარკვეველაზე (იხ.) ყრიან პურს, ანძრევენ, დ ა ა რ კ ვ ე ვ ე ნ, — მარცვალი ცალკე რჩება, მიწა ცალკე გამოდის (ხევი). (შღრ. განმარტ. ლექს.).

დაასაპანეფ-ს დატვირთავს, საპალნეს აჰკიდებს, დაასაპალნებს. უღელი ხარი ეკუთვნოდა ერთ კაცს, შავი ქვით უნდა დ ე ე ს ა პ ა ნ ე ბ ი ა და მიეტანა (პერევი).

დაასხდინა-დასხა. დ ა ა ს ხ დ ი ნ ა ხ ა ლ ხ ი პ უ რ ი ს საკმელათა (ზვარე).

დაათილოვეფ-ს გაამშრალებს. მე დ ა ვ რ ე ც ხ ა ი ნ ე ფ ს, შენ დ ა ა ტ ი ლ ო ვ ე (ჭალაურთა).

დააურმეულეფ-ს ურმეულს (იხ.) გააკეთებს. ჩალას გამოტანის დროს დ ა ვ ა უ ყ ო ფ თ ერთხელა, დ ა ვ ა უ რ მ ე უ ლ ე ფ თ, მერე დ ა ვ ა უ ყ ო ფ თ უ რ ე მ ზ ე და მევიტანთ, მერე დ ა ვ ზ ე ი ნ ა მ თ (ზოვრეთი); ადგილზე დავყრით იმდენ ჩალას, რო ერთი ურემი გამევიდოს, დ ა ვ ა უ რ მ ე უ ლ ე ფ თ (ტაბაკინი). (შღრ. ალავ. ლეჩხ. XIII დაურმევა).

დააფალმანდეფ-ს საბორკავს (ფალმანდს) გაუკეთებს, — დაბორკავს.

ცხვარი და ვაფა ღმან დეთ (ხვაშითი); წვეიყვანე ცხენი და დავაფა ღმან დე; და ვაფა ღმან დეს ქათამი (არგვეთი). (შდრ. ბერ. ფარმანდი, ქავთ. ფალაევანდი).

დააფელანგეფ-ს ნაწილებად დაჰყოფს, დაამტკრევს, დაჩეხს. დავაფელანგოთ ყველი ჭაშზე და ვკამოთ (ბოსლევით); ჭირკი დავაფელანგოთ (იქვე).

დააფესოფ-ს საძირებზე (მწარე ლერწზე) საკვირტე მასალის (გემრიელის) დამყნის ადგილას, მიწის ზევით გამოღებულ ფესვებს დაჰქრის, რომ მიწაში მყოფმა საძირემ გაილოს ფესვები. პიტონიკს (იხ.) დააყნინან და ჩაყრიან ჭერეთი მიწაში, მერე დავაფესოებენ (ხილარი); დავაფესოფთ მეორეთ. გემრიელ ლერწს ფესვი აქ გაღებულ იქ, სადაც დამყნილია, ეს უნდა დაიქრას (ბაჯითი). (შდრ. მენთ. დანეკვა, განმარტ. ლექს.).

დააფხავეფ-ს დაასუსტებს, წონაში დააკლებინებს. „აქნობამდე სუქანი იყავი, ახლა რა დაგემართაო?“ — „რამაც შენ დაგაფხავაო, იმან დამაფხავა მეცაო“ (ზარანი).

დააქანჩალეფ-ს დააქნევს. ამ კაცმა დავაქანჩალა ხელი, — ჩემთან მოდიო (ბოსლევით).

დააქულავეფ-ს ბამბას ქულა-ქულა დააწყობს. დედინაცვალი ბამბას დავაქულავებდა და გაატანდა, — ესეო ქეც დართი, ქეც დაქახეო (ზოვრეთი).

დააღერძავეფ-ს ურმის თვლებში ღერძს გაუყრის. შენ ვერ დააღერძავეფ ამას (ბორითი).

დააღვირეფ-ს დაადასტურებს. სწორათ რო დააღვიერო სიტყვა, ის გინდა შენე (ბორითი).

დააჩერგილეფ-ს 1. იგივეა, რაც გაქუბავს (იხ.). ჩალას მოვკრით, მერე შეეკონავთ, 4-6 კონას ერთათ დავდგამთ, წოუკონავთ თავს, დავაჩერგილეფთ (ქვედა საქარა). 2. ლობიოს ზვინს დადგამს. ლობიოს დავაჩერგილეფთ, განმება, დავცხეფთ კეტს, დავცეხვავთ (ქვაციხე). (იხ. განმარტ. ლექს. ჩერგილი, კუმბ. აჩერგილებენ).

დააჩერგნეფ-ს იგივეა, რაც გაქუბავს, დავაჩერგნეფს (იხ.). დავაჩერგნოთ კონები და ვაშრება (მოხვა). (შდრ. ბერ. ჩერგენი, დიალექტ. იმერ. დაჩენგილება).

დააჩუქეფ-ს დააქუჩებს. როცა ტეხავ სვრელათ, ერთათ დაყრი სიძითს. უნდა დავაჩუქო აქა-იქ, სადაც მიწვდები (პირველი ხვითი).

დააძალავეფ-ს დააძალებს. ვერ დავაძალავეფ, რავარც თქვენი ნება იყოს, ისე მეიქეცი (ზედა ქალოვანი). რავა გინდა შენე, ვინ დავაძალავა? (სანახშირე).

დააძახილებიეფ-ს დააძახებინებს. პაპა დავაძახილებიე (მანდაეთი).

დააძურეფ-ს ძუძუს მოაწოვებს. ბოვში ძყამდა აკვანში პატარაი, დავაძურე (უჩამეთი). (იხ. ნინოშ. დაძურება, განმარტ. ლექს. გურ.).

დააწევიფ-ს მოაწევიებს. კინკალ (იხ.) თუთუნ დაგაწევიფ (ხრეთი).

დააწილაფ-ს გაანაწილებს. აქ დააწილა და ადგილები (ხევი). (იხ. განმარტ. ლექს. დაანაწილებს, ყაზბ. დაწილაფება).

დააწოვეფ-ს წოს (იხ.) დაასხამს. ტყლაპს რო გადავაბრუნეფთ, იქიდან დავაწოვებთ, დაკრულს არ დავაწოვეფთ (სანახორი). ტყლაპი დავაწოვეთ. უდულარ წოს ვასხამთ ხომე (ლელვანი).

დააწყებ-ს იგივეა, რაც დაარიგებს (იხ.). „დააწყე შენე სიმიდი?“ — „დავაწყე... ვის უწყია ზედე?“ (ზოვრეთი).

დაახადილეფ-ს ქალის დანიშვნასთან დაკავშირებით წვეულებას გადინხდის. მანამდე რო ინიშნებოდა ქალი, ნათესაეებს, ახლო მეზობლებს დაუძახებდით, — დავახადილებდით (გეზრული). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. რაქ. ხადილი მნიშვნ. 2). იხ. ხადილი.

დაახინჩეფ-ს || დაახინჩეფ-ს დაახინებს, დაამახინებს, ხინჯიანს გახდის. ბევრი დაახინჩა ომა (ლორეშა); ვენახს წვიმა მოუხთა, მარა დაახინჩა ქარმა (ხიდარი); დაახინჩა მატარებელმა ნიკო (გეზრული). (შდრ. კახ. დახინჩებული).

დაახუთეფ-ს ყანაში ხუთ-ხუთ ძნას (ნამქას) ან ჩალის კონას ერთად, ხუთეფებად დადგამს. როცა იმდენი არ არი ძნა, რო ჩერგილი (იხ.) გამოვიდეს, დავახუთეფთ, ე. ი. 4 ძნას დაედგამთ ერთათ და მეხუთეს თავზე დავადებთ (ბაჭითი); ჯერ ტარო იტეხება და მერე აჩეხვენ, ჯერ კონები გაკეთდება და მერე დაახუთეფებენ, — ერთმანეთზე მიაწყობენ 5-5 კონას. ამის შემდეგ დეიდგმება ზვინი (ჩიხა). (იხ. ყაზბ. ხუთეფები).

დააჯამჯავეფ-ს მაგრად სცემს, დაამჯავებს. ჭკუით იყავი, თვარა დავაჯამჯავეფ (ჩიხა).

დააჯოლიგეფ-ს განუწყვეტლივ დაჰყავს. მანქანა ყავს და დააჯოლიგეფს ამ ხალხს (ლელვანი).

დაბავ-ს | ამ-ს 1. საწნახელს ბავსავით ფიცრებით შემოზლუღვს და ამით ააპალლებს, რომ მეტი ყურძენი ჩაეტიოს. ალექსანდრემ საწნახელი დაბავა, რომ მეტი ყურძენი ჩევიდოს (ბოსლევო). (იხ. ქავთ. დაბავა). შდრ. ბავა. 2. ყურძენს დატენის, რომ საწნახელში მეტი ჩაეტიოს. დავბავეთ ყურძენით საწნახელი (ხიდარი); საწნახელში ყურძენს დაბავვენ (ლიჩი); საწნახელში ჩავყრით ყუოძენს, გეიმსება, მერე დავბავამთ კვახითი (იხ.), მერე კიდე ჩავყრით ზეიდან, კიდე დავბავამთ (ხალიფაური). საწნახელს დავბავამთ და ჩავა ორი იმდენი, ვიდრე აფუძეული იყო, ღოუბავავათ.

კვახს ხმარობენ დასაბაგავათ (ჩიხა). (იხ. ქავთ. დაბაგვა; შდრ. გან-
პარტ. ლექს. ქართლ. ბაგავს, შარაშ. ჩაკობულვა). იხ. მობა-
გავს.

დაბაგვა 1. საწნახლის ბაგასავით შემოზღუდვა ფიცრებით მეტი ყურ-
ძნის ჩასატევად. საწნახელის დაბაგვა არ მჭირდება წროულს
(ბოსლევო). 2. დატენა (ყურძნისა). საწნახელში ყურძენს დაბაგვენ, მე-
რე დაჩენამენ, შეაგროვებენ, დაბაგამენ და, რაც ღვინოა, დაბაგვა-
ზე გაშეიტანს და მიდის ქვევრში (ლიჩი); ხანდახან ყურძენს ტენიან
საწნახელში კვახით. ამას ქვია დაბაგვა, მერე შედგებიან და და-
წურავენ (არგვეთი).

დაბაგული 1. ბაგასავით ფიცრებით გარშემოზღუდული. დაბაგუ-
ლი საწნახელი ქონდა ალექსანდრეს. ფიცრები გოუკეთა გვერდფეში,
რო მეტი ჩვეიღოს ყურძენი (ბოსლევო). 2. გატენილი. საწნახელი ყურ-
ძნითაა დაბაგული (ტაბაკინი). (იხ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ.
11, 313, მობაგული; შდრ. საბა მობაგული. განმარტ. ლექს. ქართლ.
დაბაგული).

დაბადილი— დაბადებული. აქ დაბადილია ესე (გორისა).

დაბალი ვენახი დაბალტანიანი ვახი. 40 საპანეი მარტო დაბალ ვე-
ნახზე ჩამოდიოდა, მალლარი სხვა იყო (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს.
დაბლარი).

დაბალი თეთრი სიმიდი სიმინდის ერთ-ერთი ჯიშია, ადრე მოდის და
ტარო პატარა აქეს (პერევი); დაბალი თეთრი სიმიდი მორ-
ჩილა იზდება (შომახეთი).

დაბალი ურეში იგივეა, რაც აჩაჩა (იხ.). დაბალი ურეში
მალისაგან განსხვავდება, ჯერ ერთი, სიმაღლით და, მეორე, დაბალო
ურმის გოგორა ფიცრისაა, ე. ი. ფიცრისაგანაა გაკეთებული და ფიც-
რის სისქისა ხუნდი აქ უკან, წინ არა, ხუნდიანათ არი გამოყვანილი
(მოხვა).

დაბალი ფეხისლობიო ლობიოს ერთ-ერთი ჯიშია, ჭრელი, მსხვილმარ-
ცვლიანი (ზედა საქარა).

დაბალი ჭრელი სიმიდი სიმინდის ერთ-ერთი ჯიშია, აჭრელებული მარ-
ცვალი იცის (პერევი).

დაბაჟავს | ამ-ს ბაჟს გადაახდევინებს. ჩვენ გვეგონა, დაგვბაჟვე-
ნო (ხიდარი); დავბაჟამ ხესაო: ხის ბილეთი თ'ვარ აიღე, ვერ
გამოიტან მასალასო (ვახანი).

დაბდურ— ჩერჩეტი, კუხანაკლები. ეს იმდენად დაბდური იყო,
რომ იმ ადგილს ველარ აგნებდა, რაზედაც გეივლიდა (წირქვალც);
დაბდური ხარ მართლა! ა, შე დაბდურო, დაბდურო, სა
მიხელო? (ტაბაკინი); დაბდური ქარ არი, კვეიერია (ხვერი)

დაბეგდება 1: დაიტკეპნება. სიარულით გზა დაბეგდება (შომახე-

თი). (იხ. განმარტ. ლექს. ქიზ. დაბეგვა მნიშვნ. 3). 2. დაშრება, დაიჩუტება. ფუტუკი დაბეგდა სახეზე, დაიჩუტა (იქვე).

დაბეგებულ-ი დატკეპნილი. ნაგზაური გზა დაბეგებულია (შო. მახეთი). (შდრ. მენტ., განმარტ. ლექს. ქიზ. დაბეგებული).

დაბელტვა ბელტების გაფხვიერება თოხით. ჯერ არ დამიწყია დაბელტვა (განთიადი).

დაბეჟილ-ი მიკრული, ერთმანეთზე მიტანილი. ლაფათინით (იხ.) ძაფს ძაფზე მიიტანდნენ და დაბეჟილი იყო ის (ბერეთისა). იხ. ბეჟავს.

დაბლუდუნოფ-ს უთავბოლოდ დადის. რას დაბლუდუნოფ, გოგო? (ხევი). (შდრ. ქავთ. ბლადუნი, დაბლადუნობს, დაბრატუნობს).

დაბნევა || ყველის დაბნევა რძის შედედება, დაკვეთა ყველის ამოსაყუანად. საკიდელი (იხ.) არ მივარგა, ყველის დაბნევა ვერ მოვახერხე (უჩამეთი). (იხ. ბ. წერ. დაბნევა საკიდელისა, დიალექტ. ქართლ. შეყენება).

დაბნეულ-ი || დაბნეული ყველი საყველედ შედედებული, დაკვეთილი რძე. ყველია დაბნეული და ამეიყვანე (უჩამეთი). (იხ. კირ., განმარტ. ლექს. ქართლ. თუშ. დელამა, დიალექტ. ქართლ. დელამა ყველი).

დაბნისკნილ-ი დატკეპნილი. თუ კაათ არ გაფუნდა პური, არ ვარგია, არი დაბნისკნილი, ღორეფს დოუდე და აქამე (შუქრუთი). (იხ. შარაშ. დაბესკნა).

დაბოლიაროფ-ს დაბორიალობს. რაღას დაბოლიაროფ ამ ღამეში (სვერი).

დაბოლოებულ-ი დაფუღუროებული. დაბოლოებული ხეა, დამპალი, დასნეულებული (ღორეშა). იხ. ბოდო.

დაბოჩნიაოფ-ს || დაბუჩნიაოფ-ს დაბორიალობს. სახში დავბუჩნიაოფ და დავდივარ (წაქვა); სახში დავბოჩნიაობდი (განთიადი). იხ. იბუჩნიავეფს.

დაბრიგნილ-ი სავსე, გატენილი. სამი ბელელი ქონებოდა სიმიდია დაბრიგნილი (პერევი). (იხ. კირ. გაძეკილი, გაქეკნილი).

დაბრმავება იგივეა, რაც დაკვირტვა (იხ.). დავკრით ზომაზე წარე ლერწს. იმას აქ გარედან კვირტები, იმას დავაცლით, ამას დაბრმავებას ვეტყვით, ანუ ხმელი კვირტების დაცლას (განთიადი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

დაბროსიალოფ-ს დაბორიალობს. უნებურათ დაბროსიალოფს თავის მაშინასთან (ხევი). (იხ. განმარტ. ლექს. ქართლ. დაბოტიალებს, დაბროტიალებს).

დაბუდნი-ს ლობიოს დათესავს წინასწარ დათოხნილ მიწაზე ფეხის ქუსლით გაკეთებულ პატარა ორმოებში — ბუდნებში (იხ.). ჯერ დათოხ-

ნიან მიწას, მერე გევივლით შაკა-შაკა (იხ.), დავარტყამთ ფენის ქუსლს, ჩაღრმავდება მიწა, ჩავერით ლობიოს და მერე მიწას მივაყრით, ე. ი. დავბუდნიოთ (ურჩამეთი). (იხ. კ. ყ. ბუდნა, განმარტ. ლექს. ბუდნის).

დაბუდრება დაბუდება. რას უცთი, ქათმეფს დაბუდრება უნდა (პირველი სვირი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. ლეჩხ. გურ.).

დაბუდრებულ-ი დაბუდებული. ქათმები დაბუდრებულ-ია (პირველი სვირი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. ლეჩხ. გურ.). იხ. და-
ყუდრებული.

დაბუსკნულ-ი პატარა და მსხვილი. დაბუსკნული ბიჭი ყამს (შომახეთი). (იხ. ბერ. ბუსკუნჭულა, ბუსკუნჭულა, ბურუსკუნა).

დაბუსუნებულ-ი იგივეა, რაც გაბუსუნებულ-ი (იხ.). არიან და-
ბუსუნებულ-ი, არც ბლავიენ და არც ხმას იღებენ (ტაბაკინი).

დაბუტულ-ი დახორკლილი. დაბუტული იქნება ხორცი კაკლებით (შომახეთი).

დაბუსუსულავებულ-ი გადიდებული, გამსხვილებული. დაბუსუსულავებულია ვაშლები (ზედა საქარა).

დაბძგალულ-ი დამსკდარი. დაბძგალული არ უნდა იყვეს ლეღვი (ზარანი).

დაგვარვალება პურის გაწმენდა გორვალასაგან (იხ.). რო დაარკვევენ (იხ.) პურს, მერე დაგვარვალება ხდება: სარკვეველას (იხ.) დაქანებით დადგამენ და ქვევით ჩამოიყრება გვარვალა (ხევი).

დაგვრიტი-ს იგივეა, რაც დაგვრიტნის (იხ.). დაგვრიტა ედედამთილი (გეზრული).

დაგვრიტინ-ს დაბანს, გაასუფთავენს. ეჭუჭყიანი ბოვში დაგვრიტინა (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. რაქ., ქავთ. დაგვრიტინა, ალავე. ლეჩხ. XIII დაღვრიტინა, დაღურტინა).

დაგოგილდდება-ა გოგირდი შეეფრქვევა ვაზს. ახლა ვიწყევთ გოგილდის შეფრქვევას, დაგოგილდება ვენახი. მაისშია პირველი შეფრქვევა. წლის განმავლობაში 4-ჯერ უნდა მოხთეს გოგილდის შეფრქვევა (განთიადი).

დაგორგოსალება გორგლად ქცევა, დაგორგლება, გორგლად დაბწევა. დაგორგოსალება უნდა ახლა ძაფს (ჩიხა). იხ. დააგორგოსალეფს.

დაგორვალება იგივეა, რაც დაგვარვალება (იხ.). შექანებულ გობზე დაყრილ პურს ვუსევამთ ხელს და გორვალა (იხ.) მიდის დაბლა, პური ქერჩება ზევით (შომახეთი).

დაგულავ-ს | ამ-ს დამარცვლავს, გულს გამოუღებს. დაგულაფე ლობიო (ხიდარი). (შდრ. განმარტ. ლექს. ნინიშენ. 1, ქეშიკ. და-
გულა).

დაგუფთულ-ი წმინდად დაქრილი. და გ უ ფ თ უ ლ ი ფხალი კია (ჰერჯევი). იხ. ა გ უ ფ თ ა ე ს.

დადანება დაწევა, გზახე შეხვედრა. და დ ა ნ ე ბ ა გვინდოდა, ჩქარა წასულიყო (შომახეთი). (იხ. ქ ა ვ თ. დადარნება). იხ. დ ე ე დ ა ნ ე ბ ა.

დადგომსაბარცხლება დგომსა და სავარცხელში ძაფის გაყრა საქსოვად. დგმიდან გოუყრიან ძაფს საბარცხალში, უძახიან ამას და დ გ ი მ ს ა ბ ა რ ც ხ ლ ე ბ ა ს. (იხ. ბ. წ ე რ., განმარტ. ლექს. იმერ., დიალექტ. რაქ. დადგმისავარცხლება).

დადიანური ბადიმი დიდი ქვევრის (ჭურის) დასახურავი ორი ნახევარსფეროიანი სარქველი, რომელიც შუაში ამოჭრილია. ზევიდან ახურავს მთლიანი სარქველი (ბადიმი). დიდ ჭურს ორი ბადიმი აქ, ზოგს გაჭრილი ბადიმიც აქ, იმას და დ ი ა ნ უ რ ი ბ ა დ ი მ ი ქვია. ზევიდან ახურავს მთლიანი ბადიმი (შომახეთი).

დადორგიზოფ-ს უაზროდ, უთავბოლოდ დადის. რას და დ ო რ გ ი ზ ო ფ, პლატონა? (შომახეთი). იხ. ა დ ო რ გ ი ზ ე ფ ს.

დაზაბაკებულ-ი დაავადმყოფებულ, დაზიანებულ. ახლა აქ აღარავინაა და ზ ა ბ ა კ ე ბ უ ლ ი (ბორითი). იხ. დ ო უ ზ ა ბ ა კ დ ე ბ ა.

დაზნეულ-ი ცრუმორწმ. დაცდილი. და ზ ნ ე უ ლ ი გვაქ, საკეცეს რა უკულმა დეიკავეფ ხელში, ვინმე მოვა (მოხვა). (იხ. განმარტ. ლექს. დაცდილი მნიშვნ. 3). იხ. დ ე ი ზ ნ ი ს.

დაზუნზულ-ი გაწუწული, გაზუნზული. დაგვეცხო წვიმამა და და ზ უ ნ ზ ლ უ ლ ი მევედით (განთიადი). (იხ. განმარტ. ლექს. გაზუნზული, დაზუნზული: შდრ. იქვე ქართ. გალუფხული, მ ე ნ თ. დალაპარტება, დალაპარტებული, ქ ე შ ი კ. დაზუნზვა).

დაზურაოფ-ს უსაქმოდ ხეტიალობს. თამარა გზიპირზე და ზ უ რ ა ო ფ ს (ზედუბანი). იხ. ა ზ უ რ ა ვ დ ე ბ ა.

დათავთავისდები-ან (იხმარება მრ. რიცხვში) თავ-თავისთვის წავლენ, განცალკევებებიან, გაიყოფიან. რო მობრავლდენ, მერე და თ ა ვ თ ა ვ ი ს დ ე ნ. (შდრ. ბ. წ ე რ. დათვისება, კახ. დათავთავადება, ჯ - ჯ. IX გათავთავისება).

დათასმავ-ს | ამ-ს დაახვევს. ჩემი თასმა და თ ა ს მ ე და, რაზედაც შამოქყვეს ამ ტყეხედაო, შამოუარეო (ღარისხევი).

დათვიხალა ბოტ. თამელი (იხ. მ. ჩ ი ქ., მაყაშ., განმარტ. ლექს., შდრ. ე რ ი ს თ., დ. ჩ უ ბ. დათვის მსხალი, ა ლ ა ვ. ლეჩხ. XIII დათუხალა, ქ ე შ ი კ. დათვიხილა).

დათვიჩინჭველა || დათვიჩინჭველა დიდი კიანჭველაა (ტაბაკინი); და თ ვ ი ჩ ი ნ ჭ ვ ე ლ ა დიღია, წვრილი ჩინჭველაა (ლიჩი). (შდრ. ა ლ ა ვ. ლეჩხ. XIII დათვის ბუჭუნჭველა | ე).

დათრიანქთება-ა დათვრება, თრიაქმილებულივით გახდება, გაილეშება.

დათრიანქთებიან და ფეხზე ველარ დგებიან (ხიდარი); რო
დავთრიანქთით ღვინოში, მერე მოვიდვს ჭიხვს ხელი და გა-
მოვთქვი საინძელო (იქვე).

დაიაზებით || დაიაზმებით მოწიწებით, პატივისცემით, გულმშვიდად,
ღინჯად. მცურავებმა დაიაზებით გამეიტანეს ეს სვეტი (წირქვა-
ლი); ხემწიფემ შეიყვანა მზისუნახავი ქალი დაიაზებით ცალკე
ოთახში (იქვე); დაიაზმებით გამევიდა ხემწიფე და ნახა, ცხრა-
კლიტულის კარები ღია არი (ხიდარი). (იხ. ქავთ. დაიაზები).

დაინვალიტებულ-ი დაინვალიდებული. რაღას გავაკეთეფ, დაინვა-
ლიტებული ვარ (ზოვრეთი).

დაკარწულ-ი დაკარწული. ხელები სულ დაკარწული მაქ (ტაბა-
კინი).

დაკატტებ-ა დაობდება. გოზინაყი დამიკატტა (ტაბაკინი). (იხ.
ქავთ. დაკატტებული, დიალექტ. ინგილ. დაფორევაჲ)...

დაკენჭავ-ს | ამ-ს ცრუმორწმ. ჭურისთავებზე, ნალიებსა და ბელლებ-
ში თუ ამბარებში კენჭს დადებენ, — ვითომდა ჭინკა არ მოვიდეს და
ღალა არ მოითხოვოს. მარგალითად, სიმილი გვაქ, ღვინო, იმას და-
კენჭამთ: მივიტანთ პატარა კენჭსა და დავდეთ ჭურის თავზედა.
რამტელი ჭური გვაქ, იმტელ კენჭ დავდეთ. ასე იცოდენ უმალა. ნა-
ლიეფსაცა, სიმიდეფსაცა, — სუყველიფერსაც, ამბარში (იხ.) რო
ქვექონდეს ლობიო, — სუყველას დავკენჭამთ, რო ჭინკები არ
მოვიდეს და ღალა არ წეილოს (ქვეები). (შდრ. ქავთ. დაკენჭვა).

დაკეცა გასაშრობად და შესანახადერთმანეთზე დაკეცილი (დადებული)
და ყუნწებში შეკრული თამბაქოს ფოთლების დასტა (წყება). აქ ოთხი
დაკეცა თუთუნია, დიდი დაკეცაები არი, გამიყიდე (ფარცხ-
ნალი). (შდრ. შარაშ. კანძი თუთუნისა, ხეფენგი).

დაკვამბულ-ი ძლიერ დაბალი, ჩია, უშნო აგებულებისა. რას ვარგა,
ერთი დაკვამბული ბიჭია (სანახშირე). (იხ. ქყ. დაბარძღული,
შარაშ. დაბლუჭული, ჯაჯ. IX დაბაყული, დაყიფსული, გურ.
დაქვაფსული, ალაგ. ლეჩხ. XIII დამცხრიკული, ქავთ. დაფს-
ხრიკული, დაფსხრუკული).

დაკვალავ-ს | ამ-ს დათესვის წინ თესვის გასაადვილებლად კვალს ვა-
ატარებს დაახლოებით 3-4 მეტრის დამორებით, რომ შემდეგ კვლებს
შორის მოთესოს დადაუთესავი ადგილი არ დარჩეს (სინონ. ხტულავს).
როდის დაკვალამთ მიწას? (ვახანი). (იხ. დიალექტ. ლეჩხ. დანიხ-
ვა; შდრ. მენთ. დაკვალვა მიწისა, განმარტ. ლექს. ქიზ. მნიშვნ. 2).

დაკვირტავ-ს | ამ-ს კვირტებს მოაცილებს. ადრე გაზაფხულზე ვამზა-
დებთ სადედე ლერწს, დავკრით მწარე ლერწს ზომავზე, 30 სმ მეტი არ
იქნება სამკინო, დაკვირტამთ, არც ერთ კვირტს არ შევარჩენთ
(ბაჭითი); წარე ლერწი შეგროვილი გვაქ; სილაში ქვექონდა შენახულა

ვიღეთ, დავეკვირტავთ, რო ნაყარი აღარ გეიკეთოს მიწაში (ქორეთი).

დაკვირტვა „წარე ლერწზე კვირტების შეცლას, რო ნაყარი არ გეიკეთოს, ვეძახით დაკვირტვა“ (ქორეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.).
დაკვირტულ-ი კვირტბდაცლილი. წარე ლერწი სულ დაკვირტული იქნება (არგვეთი). იხ. დაკვირტავს, დაკვირტვა.

დაკვიტირავებულ-ი გაფუჭებული, კვიტირად (იხ.) ქცეული. დაკვიტირავებულ-ია სიმიდი, არ ვარგია (ვერტყვიჭალა).

დაკიდებული ბუხარი ბუხარი, რომელსაც არა აქვს გვერდები და ბუხარისთავი ეყრდნობა ბუხარის ზურგის გამონაშვერს (კონსოლს) ან ორ სვეტს. დაკიდებული ბუხარია, რომელსაც ძირიდან შუამდე არა აქ კედელი, შუა ნაწილიდან ირიბად მოდის ბუხარის კედლები და მასზე ეყრდნობა ბუხარის თავი — ფიტონი (შუქრეთი); დაკიდებული ბუხარი ისეთი ბუხარია, რომელსაც გვერდები არა აქ და ბუხარის თავი ეყრდნობა ორ ბოძს (ჩიხა).

დაკინდალოფ-ს ძლივს დადის. ხბო დაკინდალოფს (უჩამეთი).
დაკირავ-ს | ამ-ს კირს ჩაყრის წყალში თევზის დასაქერად. თევზის მონადირეც ნაკლები ვიყავი, ერთხელ დავეკირე წყალი (სხვიტორი). (შდრ. განმარტ. ლექს.)

დაკლინებულ-ი დაკინებული, დაჩივებული. დაკლინებული არიან ახლა, უმალ უნდა გენახათ, რო არავის კადრულობდენ (ტაბაკინი).

დაკოლაფ-ს (რუს. КОЛ) პალოებს (კოლებს) ჩაასობს მიწაში სწორ ხაზზე, სადაც ვაზი უნდა დაირგოს. ისინი დაკოლაფენ ამ ქვეით, ჩვენ იმ ზეით დავეკოლეთ (ქვედა საქარა).

დაკოპავ-ს | ამ-ს წნელის შემოსაკრავად ხეს ამოღრმავებს ნაჯახით. — კობს გაუკეთებს. შამოლორტინი ხეს გარშემო, დაკოპავს და მოუპერ წკნელს (ჩიხა). (იხ. განმარტ. ლექს. კობი მნიშვნ. 1).

დაკოპილი-ი წნელის მოსაქერად ნაჯახით ამოღრმავებული. დაკოპილია ეხე და მომიტანე (ჩიხა).

დაკორჩხლილ-ი წინწყლებიანი, ფორეჯებიანი. ჩხამა (იხ.) პატარა თევზია და დაკორჩხლილი თაქი აქ (მანდაეთი).

დაკოტრავ-ს ხის მასალას დაჭრის ზომების მიხედვით, კოტრებად (იხ.).
მორს დავეკოტრავთ, — დავეკრით ზომეფში, ოთხი არშინი იქნება თუ ხუთი, რანაირათაც მეიხთენს (ლედვანი). (იხ. დიალექტ. ლეჩხ. დაკოტვრა).

დაკოხავ-ს დასეტყვავს. იმ წელიწადს დავევიკოხა ვენახი (იხ. განმარტ. ლექს. დაკოხავს 2).

დაკოწიაწლებ-ა აქეთ-იქით იტრიალებს. იღრიალა, დაკოწიაწტა, მისწი-მოსწია და გეემბოდა, ავა რას იზემდა (საბე).

დაკუმოკრულებულ-ი უჯრედებიანი. ვყიდულობდით მატერიალს, ისე
კი დაკუმოკრულებული იყო, ქვეყანა მოქვეყნებოდა (პირ-
ველი სვირი).

დალა მოჩერჩეტო, უქნარა, უხეირო. ერთი ძმაი დალა ყოფილიყო
და ე დალა ძმა შამოხეთათ (ბორითი). (იხ. დიალექტ. იმერ., ფერ.
დალია; შდრ. განმარტ. ლექს. თუშ. დალა, დალაი, უთურ. დალო-
ბაი, დიალექტ. ქართლ.). იხ. დალაღანა, დალღა.

დალანჯულ-ი გაშევებული, გაქვარტლული. შვიტანდი დაღანჯულ
ქადს (ტაბაქინი). (შდრ. ბ. წერ. დაღანჯვა). იხ. გაღანჯული,
ღანჯავს.

დალორკულ-ი დაგრეხილი. კვინცხა (იხ.) პაწია დაღარკული ხეა
(ღედვანი). (იხ. ბ. წერ. დალორკვა).

დალასტულ-ი || დალასტული ტარო დიდი, გრძელი, დავარგებული
სიმინდის ტარო. ო, რა დალასტული ტაროებია! დალასტულ-
ლია, ქე რო მეეწონება კაცს, კი როა (შროშა). (შდრ. განმარტ.
ლექს. ლასტი ლობიო (იხ. ლობიო).

დალაღანა იგივეა, რაც დალა (იხ.). უნკროს ძმას უწოდებენ და-
ლაღანას (შომახეთი); ერთი შვილი უფრო დალაღანა იყო
(ქვები). (იხ. ჯაჯ. IX).

დალესტრავ-ს | ამ-ს კოკისპირული, თავსხმა წვიმების შედეგად
წყლის გადავლისაგან დასილავს. დღეს ისეთი წვიმა იყო, გადავიღა
წყალი და დალესტრავდა ყველაფერს (ხრეთი). (შდრ. ბერ.
ლაშტერა, დალაშტერა, ნიჟ. დალაშტვა, ქავთ. დალესტერა, და-
ნოყვა).

დალესტრილ-ი დასილული. გლახა ამიდები იყო და დიდი წყლების გა-
დავლისაგან დალესტრილია ყანები (ხრეთი). იხ. დალესტ-
ტრავს.

დალიშნულ-ი დანიშნული. დალიშნულია ჩემი გოგოი (ზვარე).
(იხ. ქეშიკ.).

დალიხულ-ი უწესრიგოდ დაყრილი. სტოლზე ყველაფერი დალიხულ-
ლია (ხვერი). (შდრ. ძიძიგ. ქრესტ.).

დალოდვილ-ი || დალოდვილი ჭური მიწაში ჩაფლული, ლოდებშემო-
წყობილი ჩაკირული ჭური. ჭური დალოდვილია, ამოღება
ქარ შეიძლება მისი (პირველი სვირი). (იხ. ქავთ.; შდრ. განმარტ.
ლექს. ლეჩხ. დალოდვა).

დალორავ-ს ლორს გამოიყვანს, დაშაშხავს. დავლორავთ ხორც:
დავსერავთ, მარილს დავაყრით, მერე დავწნით შტოლზე ან სუფრაზე.
ესაა ლორი. მერე ამოვიკიდეთ ღვლეკითი და გაშრება. ესაა მიჩინა
(ზედუბანი); დავლორავთ ფელიყვეს (იხ.), დავსერავთ და მარილ
დავაყრით (მოხვა). (იხ. განმარტ. ლექს. ქიხ.).

დალლა იგივეა, რაც დალანა, დალა (იხ.). ორი ძმა იყო თურმეკაი ბიჭები, ერთი იყო დალა. ადგა თურმეკამ დალანა ძმამ და გადენა თხები თაზე (ხიდარი).

დამა იგივეა, რაც დაკეცა (იხ.). თუთუნის დამა მოზრდილ-მორჩილია. ოთხი მოზრდილი დამა თუთუნი გავეციდე (ფარცხნალი). (იხ. შარაშ. დემა; შდრ. განმარტ. ლექს.).

დამამაცებული ვენახი მოღონიერებული, მომძლავრებული. თუ დამამაცებული ვენახია, შაბიანის ხსნარი უფრო ძლიერი უნდა (ქვაცხე).

დამაწაკებული დაქუჟიანებული, დასვრილი. მოგვარეს დედამთილა, თლა დამაწაკებულია. დაგვრიტა (იხ.) ე დედამთილი, დააწვინა სუფთა ოთახში (გეზრული). (იხ. ქავთ. მაწაქი).

დამახავს | ამ-ს სარს წვერს წაუთლის. სარი 2-3 წელიწადი ვარგა, რო დავმახავთ კიდე (უჩამეთი). (იხ. კუმბ. 83, ლეჟ. 67 დაჩენენ; შდრ. გურამ. გაიმახავს).

დამახლობათ ახლოს. თუ გიცნოფს დამახლობათ, ემასთან თამამი ხარ (მახათაური). (შდრ. ჯაჯ. IX დამახლოვ).

დამიწნილი მიწამიყრილი, დამიწებული. სალორის ქერი დამიწნილია (ხევი).

დამკატული დაობებული. დამკატული პური მოაქთ (გეზრული); გული გაქო დამკატულიო, ასე უთხრეს (იქვე). (შდრ. ქავთ.).

დამკლე დამკლები, წამრთმევი. მამხმარე თუ იყვენ, თვარა ადამიანის დამკლე არ იყვენ (ლორეშა).

დამნაშაული დანაშაული. დამნაშაული არ უნდა ჩეიღინოს (წაქვა).

დამნიშვნულათ დანამდვილებით, ნამდვილად. დამნიშვნულათ აღარ მახსოვს (უჩამეთი).

დამოყეთებ-ა დანათესავდება, მოკეთედ გაუხდება. შექვხედა ამ სო-მეხმა და გეითხრა: დავმოკეთეთ თე თ ახლაო (პერევი).

დამორავს-ს | ამ-ს მორებად დაქრის. ის ალვის ხე მოაქრევი, დამორა, დახეთქა და შეყარა ცეცხში (ზოვრეთი). (იხ. განმარტ. ლექს. პნიშენ. 1; შდრ. დ. ჩუბ., მენტ., ელ.).

დამორჩინი-ს იგივეა, რაც გამორჩინის (იხ.). დავმორჩინით ვენახს, შეეცლით ხრეფს, რო აქ ამონაყარი. ტევანი რაზეც არ არს, სულ მოვაცილეთ (შროშა).

დამსილი-ი დავსილი. დამსილი ოჯახი აქ, ვინ მიათხოვეფს ქალს (ხიდარი). (იხ. კლდ.).

დამსიორდება-ს სისველისაგან წახდება, ლპობას დაიწყებს. შეიქლებ: ხეც დამსიორდეს (ტაბაკინი).

დამსიორებულ-ი სისველისაგან წამხდარი, ლობადაწყებული, შემპალი. სახში წყალი ჩამოდის და კედლები დამსიორებულია (ტაბაკინი); დამსიორებულია ნაქურჩალი (იქვე). (მდრ. ბერ. აფსიორი, აფსიორება, დიალექტ. კახ.-ქიზ. დაყანდებული).

დამსხრიკულ-ი თავის ასაკთან შედარებით ძლიერ პატარა ტანისა. ემის ცოლი წრიპაა, დამსხრიკული (ტაბაკინი). (იხ. ქავთ. დამსხრიკული, დაფსხრიკული, ბ. წერ. დაპაყული, ალავ. ლეჩხ. XIII დამცხრიკული, ბერ. ფსხრიკი).

დამუქრულათ ჭამა ჩქარა, სულმოუთქმელად, საძლომად ჭამა. დამუქრულათ ვჭამე (ჭვაციხე).

დამფალ-ი აბრეშუმის პარკი, რომელშიც ორი კიაა. ორი კია რო არი ერთ პარკში, დამფალს ვუძახით (ზედა საქარა). (იხ. ბერ. დომფალა | ე-მ, მენთ., განმარტ. ლექს. დომფალი მნიშვნ. 1).

დამჭახულ-ი გაქუქყიანებული. დამჭახული კიქები იყო, ჩემი კაი ქე წეელოთ (განთიადი).

დანაბულეზულ-ი || დანაბული დანალვლიანებული. რაღაცა ამბავია ჩვენ სახში და მიტოვარ დანაბულეზული (მოხვა). (იხ. საბა დანაბეა).

დანადანაზე იგივეა, რაც დარადარაზე (იხ.). ვკრეფდი ვაშლებს და იმ დანადანაზე მეველოდი ჩემ შვილებს (განთიადი).

დანაკამ-ს დაავადმყოფებს, დაზიანებს, დაგლახავებს. ჭვალმა დანაკა ესე, დიდხანს აფურთხებია სისხლი (წაჭვა); მიიყვანა ქინკა შახში, მოკრა ქოჩორი და ჩაფლა კერიის უკან. თუ დანაკა ისი, დაზარალე, მერე ვერას გიზამს (სხვიტორი).

დანაკულ-ი დაავადმყოფებული, დაზიანებული, დაგლახავებული. უფროსი შვილი ცხრა წლის დაკარქული მევიდა სალდათიდან და იქიდან იყო დანაკული და არაფერი არ ეშველა (ზედუბანი). (იხ. ნაკა).

დანამბილარებულ-ი იგივეა, რაც განამბილარებული (იხ.). კორდი (იხ.) იყო და დეინხა, დანამბილარებული მიწა ქვია იმას (ხევი). (იხ. ნამბილარი).

დანამბულდებ-ი დანოტიოდება, ნამისაგან დაღებება, სისველეს მიღებს, წყალი ჩაუდგება. რო დანამბულდება ტკილიკვერი, თავისთავათ მიაყრის თეთრს (ზედა საქარა); ჩალა საღამოს დანამბულდა, თვარა დღეს კაი ხმელი იყო (ხვერი); დილაზე ცვარიანზე დაყრი ერთათ ჩალას და დანამბულდება ნამისაგან (პირველი ხვირი). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს. იმერ., ნიქ. დანამბულდება).

დანამბულეზულ-ი დანოტიოებული, სისველემიღებული, ნამისაგან დამბალი, წყალჩაყენებული. ჩალა არ იკონება, არ არი დანამბულეზული (ტაბაკინი). დანამბულეზული რო იყო ტარო სიმი-

დი, არ ცილდებოდა ჩალაზე (იქვე); დანამბულე ბულია თოქ-
ლი (შომახეთი). იხ. დანამბულე ბა, ნამბული.

დანამდვილებული არის დანამდვილებით იცის. ორჯელ რო გავლახო,
დანამდვილებული ვარ, რო არ შემომიბრუნფეს ხელს (სა-
ნახშირე).

დანარბილდებ-ა იგივეა, რაც აყრის, განარბილდება (იხ.).
მიწა უნდა აყრილიყო, დანარბილებულიყო (ზვარე).

დანარბილალებულ-ი დაჩივებულ, პატარაობიდანვე დასუსტებულ,
დაკნინებული. დანარბილალებული ბიჭია, რა გამოაკეთფს
(ტაბაკინი). (იხ. კყ. დანარბა, კახ. დანალიტავება).

დანაშაურ-ი 1. დანაშაული. იჭირავენ იმით, რო დანაშაური
აქო ჩადენილი (ხიდარი), იხ. დაანაშაურე ფს. 2. დამნაშავე. მე
ვარ დანაშაური (ლარიხვეი). (იხ. დილექტ. გურ., შჰნმ და-
შაული).

დანა-ჩხირ-ი ხანჯლის ფორმის ხის დანა, რომლითაც შემოჭრიან მორგვ-
ზე (იხ.) მდგომი თიხის ნედლი ქურკლის ძროს და გალესავენ შიგნითა
და გარეთა მხარეს. დანა-ჩხირით შამოალამაზებენ ყველაფერს,
რასაც კუნჭულო (იხ.) უკეთდება (ბოსლვეი). (იხ. ბ. წერ., განმარტ.
ლექს.).

დანაცვლება სარისთვის ხელმეორედ წვერის წათლა. წვრილ ქიღვას
ყველას უნდა დანაცვლება, აპა! (ქორეთი). იხ. დოუნაც-
ვლავს.

დანაჰავ-ს ნაჰს (წენგოს) დააცლის კაკალს, — დაკროლავს. დავნა-
ჰე კაკალი (დორეშა) (იხ. განმარტ. ლექს. კახ. დაკროცავს, იმერ. გურ.
დანაჰვა, ალავ. ლეჩხ. XIII დაჩენჩვა; შდრ. ბ. წერ. დანაჰვა
მდინარისა, კახ. დაბროწილი).

დანახვთერი შვილი გერი. ერთი დანახვთერი შვილი მყამს,
ის ბიჭი ახლა გემეცალა (ქვები).

დანდალ-ი 1. „კიბისა და ურმის საქიდარი“ (საბა), — ურმის შესაყ-
რავალ ხელნებში (ზესადგრებში) გაყრილი წვრილი მოსქო ფიცრები.
ხელნაში გაყრილი ფიცრები — დანდლები დაპობილია, ზევიდან
დაკრული აქ ფიცრები (ზვარე, ვახანი, ხვეი). (იხ. კყ., ჯაჯ. IX.
ბაბუნ. 274, განმარტ. ლექს.; შდრ. დ. ნ. ჩუბ.). 2. ხელნების (ზე-
სადგრების) თავ-ბოლოსა და შუაში გაყრილი წვრილი სქელი ფიცარი.
რომელიც ხელნების გარეთ გამოდის და ამავრებს მათ, რომ არ გაიშა-
ლონ. ტვირთის დადების დროს მთელ სიმიქმეს დანდალი იტანს
(ქვედა საქარა). (იხ. ჯაჯ. IX, ალავ. ლეჩხ. ეთნ. 99 ნემაა || ლეფ-
სა || ხმალა). 3. ხის პატარა ნაჭერი, რომელიც ამოდებული აქვს ურმის
ხელნას, რომ არ დაცვდეს იმ ადგილას, სადაც ლერძი ბრუნავს. დან-
დალი ხის პატარა ნაჭერია, რომელიც ხუნდის გვერდზე ლერძთან

უკეთობა ზესადგარს, რომ არ დაცეთეს იგი (წყალშავი). (იხ. მ ე ნ თ. დათვა | ი, სადათვე, საბრუნნი. ა ლ ა ვ. ლეჩხ. ეთნ. 99 დათვა, პეშე- განმარტ. ლექს. ქიზ. იმერ. ლეჩხ. დათვა, საბრუნნი, საცუბი, საცვეთი). **დანებლულ-ი** დარჩეული, ლებნებამოღებული. **დანებლული ნა-** გოზი ბევრ ყაბას (იხ.) არ დეიკავეფს (ზოსლვეფი).

დანეკავ-ს 1. გასხვლით ვაზის რქის კვირტების რაოდენობას შეამცი- რებს, ორ კვირტზე (ნეკზე) დააყენებს. ღარიბი ვენახი თუა, იმას და ვ- ნ ე კ ა მ ისე, რომ მივეცემ ორ ნეკს სამკვირტიანს, მოსახვევს (იხ.) სულ არა. კაი ვენახი თუ შექხვთა, ორ ნეკს დოუტოვეფ და ორ მოსახვევს (განთიადი). (იხ. ბ ე რ. ნეკვა, ი. ჭ ა ვ ა ხ. საქ. ეკ. ისტ. I, 329; შდრ. კ უ მ ბ. 83). 2. იგივეა, რაც და ა ფ ე ს ო ე ფ ს (იხ.). ნამყენა უნდა ჩავრგათ გაზაფხულზე მიწაში, მერე ამოვა ისი და ფესოები იცის და იმას და ვ ნ ე კ ა მ თ, ჩამოვაქრით ფესოებს. ახლა უქახიენ დაფე- სოებას, მანამღი უძახოდენ დანეკვას (დილიკაური).

დანეკვა სახელი დანეკავს (იხ.) ზმნის მოქმედებისა. გოგიას ვე- ნახი ღარიბია და დანეკვა უნდა (ტაბაკინი).

დანეკილ-ი იგივეა, რაც დანაკული (იხ.). იავანტყოფა სამი წელ- შადი, ახლაც დანეკილია (ლელვანი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

დანელ-ი მოქიდავე, ფალავანი. ერთი წყება გამევიდენ და თქვეს, რო- მეო — ფალავანი გვინდა ჩვენეო, ჩვენ ვართ დანელიო, ვერაფე- რი კაცი ვერ წაგვაქცემსო (ზედუბანი).

დანთარებულ-ი დამთავრებული. ი ბიქს სწავლა დანთარებულ ი ქონდა, რომ მოკვდა (შომახეთი).

დაოთხფეხება ჩალას რო შევკონით, 4-5 კონას ერთათ მოვანგროვეფთ. დავაყენეფთ ფეხზე და ესაა დაოთხფეხება (ხვაშითი). (შდრ. განმარტ. ლექს.). იხ. დაოთხფეხეფს.

დაოთხყურებული სიმიდი ახალამოსული, ოთხფოთოლგამოღებული სი- მიინდი. აპრილში ამევიდოდა სიმიდი ისე, რო ჭერ ერთი ყური გოუჩთე- ბა, მერე — მეორე, მერე — მესამე, მეთხე. ოთხი ფოთელი რო ექნე- ბა, სიმიდი დაოთხყურებულიაო, იტყვიან (შომახეთი). (შდრ. ბ. წ ე რ. დაოთხყურება სიმიდისა, განმარტ. ლექს. დაოთხყურდება).

დაორსულლებული პური სათავთავედ დაბერილი ხორბლის ღერო. და- ო რ ს უ ლ ე ბ უ ლ ი ა პ უ რ ი დათველი მადლა არ უჩანს, თავზეა გადაკრული ფოთელი და, რო წამოვა თაველი იქიდან, ფოთელი გადავ- გადმოვა (ვახანი). (იხ. განმარტ. ლექს. კახ. ინგილ. დაორსულდება მნიშვნ. 2).

დაოტდებ-ა დაოკდება, დაწყნარდება, დამშვიდდება; გაჩერდება. სას- ში არ დაოტდება ე გოგო (ზედუბანი).

დაოტება დაწყნარება, დამშვიდება, დაოკება. ემის დაოტებას ვინ მეესწრება! (ზედუბანი).

დაპლანავ-ს (რუს. план) მიწას დაყოფს რიგებად ნამყენი ვაზის და-
სარგავად, — დაგეგმავს. და ე პ ლ ა ნ ე თ ვ ე ნ ა ხ ი (ტაბაკინი); და ე -
პ ლ ა ნ ა ე თ ვ ე ნ ა ხ ს, მერე კილვას (იხ.) ჩავაოფთ, საცა უნდა დაირ-
გოს ვენახი (შომახეთი). (შდრ. ჯოხ. 58 პლანი).

დაუღუტამ-ს იგივეა, რაც და ს უ ლ ა მ ს (იხ.). და უ ლ უ ტ ე კ ა ლ ი
(შომახეთი).

დარადარაზე || დარიდარაზე ხსენებისას. ჩემ ძმაზე ვლაპარაკობდი
და დ ა რ ა დ ა რ ა ზ ე აგერ არ გამოჩნდა! (დარიხვეი); შენზე ვლაპარა-
კობდით და ამ დ ა რ ი დ ა რ ა ზ ე შენც მოდი (ტაბაკინი).

დარგა თხა, რომელიც ჭერ არ დამაკებულა, — უყოლი. თხას თავი რო
არ დოუცავს (იხ.) ჭერეთი, დ ა რ გ ა ა რ ი ის ი (ზარანი). (იხ. ალავე:
ლეჩხ. ეთნ. თარგილა).

დარე მდარე. კაქიდან გამოდის ჭერ სპირტი, მერე უფრო დ ა რ ე
(დარიხვეი).

დარეშავ-ს | ამ-ს დიდი წვიმით ან სხვა რაიმე ძალით წალეკავს, მი-
ლეწ-მოლეწავს, ძირს დააფენს. დიდი წვიმები იყო და დ ა მ ი რ ე შ ა
სიმილი (განთიადი); ცხენებმა წროულ ყანა დ ა მ ი რ ე შ ა (იქვე);
ყანა რაფერ დო უ რ ე შ ი ა! (ვახანი). (იხ. კყ. რეში, ბ. წერ
რეშვა, დარეშვა, განმარტ. ლექს. იმერ., ქავთ. დარეშვა).

დარეშილი-ი დიდი წვიმის ან სხვა რაიმე ძალით მიწვენილ-მოწვენილი,
დაფენილი, წამოლეკილი. ქვიშას რო წამოიღეფს ნიაღვარი, იქ რჩება
დ ა რ ე შ ი ლ ი, მალლობიდან ნიაღვრის მიერ წამოღებული სილა და
ქვიშა (ვახანი); თელი ყანები დ ა რ ე შ ი ლ ი ა (ტაბაკინი).

დარიგება იგივეა, რაც დ ა რ ი გ ნ ე ბ ა (იხ.). წისქვილზე სიმიდის დ ა -
რ ი გ ე ბ ა ვერ მოვახერხე (ხიდარი); წისქვილზე სიმიდი დ ა ვ ა -
რ ი გ ე (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. რაქ. ლეჩხ., ალავე-
ლეჩხ. ეთნ. 104.; შდრ. დიალექტ. გურ.).

დარიგნება საფქვეის დაყრა დასაფქვეად. გამიჭირდა სიმიდის დ ა -
რ ი გ ნ ე ბ ა (ქვაციხე). (შდრ. ბ. წერ., ნიჟ. დავნება). იხ. დ ა -
ა რ ი გ ნ ე ფ ს.

დარიჯაკ-ი ყალიბი, ფორმა. ერთი დარიჯაკის გადატ. ერთმანეთის მსგავს-
სი, ერთნაირი აგებულებისა. ხო არიან ყველა ე რ თ ი დ ა რ ი ჯ ა კ ი ს,
ერთმანეთს გავრან (ფარცხნალი); ესენი ერთი დედ-მამის შვილია და
სულ არ არიან ე რ თ ი დ ა რ ი ჯ ა კ ი ს (ზარანი). (იხ. საბა,
დ. ნ. ჩუბ. დარიჯაგი, ყიფშ. დარჯაგი, დარეჯაგი, დარიჯაგი.
განმარტ. ლექს. დარიჯაგი, დარჯაგი, დარჯაგი მნიშვნ. 1).

დარღალ-ი იგივეა, რაც დ ა ლ ა დ ა ნ ა, დ ა ლ ა (იხ.). სულ უნცრო-
სი იყო ცოტა დ ა რ ღ ა ლ ა ი (წიფა). (იხ. ჯაჯ. IX).

დარჩვილული ბია რბილია, გული ყავისფერია და წინწკლებიანი (გან-
თიადი).

დარწველავ-ს ყურძნის დაქცელების შემდეგ საწნახლის უკანა ნაწილში მოგროვებულ ქაქას, რომელშიც ჯერ კიდევ არის ტკბილი, ფეხებით რამდენჯერმე გადავლით დაწურავს. ყურძენი ჯერ დეიქვეყება, მერე ქაქა ხის ნიჩაფით შეიყრება საწნახლის უკანა ნაწილზე და შემდეგ და ვ რ წ ე ლ ა ვ თ (განთიადი).

დარწველვა ყურძნის დაქცელების შემდეგ საწნახლის უკანა ნაწილში შეგროვებული ქაქის ფეხებით გადავლით დაწურვა. საღა შემოძლია ყურძნის დაჩეხვა (იხ.) და **დ ა რ წ ე ლ ვ ა** (ხიდარი). (იხ. ქ ა ვ თ. დარწველვა, ჯ ა ჯ. IX დარწველვა). იხ. **დ ა რ წ ე ლ ა ვ ს**.

დარჯილ-ი დასჯილი. **დ ა რ ჯ ი ლ ი** ყადაკაცი (დარიხვეი).

დასაკულ-ი ითქმის იმაზე, ვისაც კუჭუმალობანას თამაშის დროს ხელს დაარტყამენ, რის გამოც ვეღარ დაიძალბა და თვალი უნდა დახუჭოს. **დასაკულია** ვახტანგი (ვანი). (იხ. ბ ე რ. დაქენტვა, კოლილა | ე-მ, კოტილა | ე-მ, განმარტ. ლექს. იმერ. დაქენტვა).

დასამნავს-ს სპანს (იხ.) ჩაასობს საზღვრის აღსანიშნავად. ეს მეზობელმა **დასამნა** (წვარი); ეს ადგილი შამეიკორღნა (იხ.) იმანა, **დასამნა** (იქვე).

დასამყურდებ-ა ახალმოსული სიმინდი სამ ფოთოლს გამოიღებს. რო **დასამყურდება** სიმინდი, მერე უნდა თოხი (გორისა).

დასამხარ-ი ადვილად მისადგომი, დასამხარისი. ჩვენთვის ხუენევი უფრო **დასამხარი** არი (ბორითი); კიცხი აქიზე უფრო **დასამხარია** (ხიდარი). (იხ. ჭ ყ., განმარტ. ლექს.).

დასაპანავებულ-ი საპალნით დატვირთული, დასაპალნებული. შეებენ ერთმანეთს **დასაპანავებული** ხარები (პერევი).

დასარტყლამ-ს სარტყლებს გაუკეთებს. ჯერ კედლებს ააშენებს, მერე **დასარტყლამს** (მოხვა). (იხ. ა ლ ა ვ. ლექს. XIII).

დასარჯულ-ი დასჯილი. **დასარჯულია** კანონით (წირქვალდი).

დასაძახილებელ-ი დასაძახებელი. შენე **დასაძახილებელი** კაა გაქ ჩემ სახში (ფარცხნალი); ხალხის **დასაძახილებლათ** წვეი-დანაკალა (წარანი).

დასამხარისი დასამხარი. **დასამხარისი** სოფელი უკეთესი არ არი (მორძგვეთი). (იხ. ჭ ყ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

დასაწუნავ-ი დასაწენი. **დასაწუნავი** ბიჭი არ არი (ბოსლევი).

დასახურებელ-ი დასახურავი. კაბაც გევირეცხე და თავზე **დასახურებელი** თავსაფარიც (შროშა).

დასიახლოვებულ-ი დაახლოვებული. ვინც ძალიან **დასიახლოვებულია**, ის გიზამს ყველიფერ სიგლახეს (მანდაეთი); მე იმდენათ **დასიახლოვებული** არ ვარ ვანოსთან (შომახეთი). (იხ. ვისრ. მოახლოება, ჯ ა ჯ. IX დასიახლოება).

დასლაპამ-ს გადაყლაპავს. დევს უნდა დასლაპოს ყველა (წიფა). (მდრ. ჯაჯ. IX დასამპლვა).

დასტურათ ნამდვილად, ქეშპარიტად. დასტურათ არ ვიცი, სამი იყო თუ ოთხი (ხილარი). (იხ. ელ., განმარტ. ლექს., დიალექტ. აქარ. დასტურ, რაქ. დასტურა).

დასუკულ-ი გათლილი. ბოსლის ქერი დასუკულია (ხილარი): დასუკული ხეები ულაგია (იქვე).

დასულავ-ს | ამ-ს პურს ან მქადს თონეში ჩაკვრისას ან კეცებში ჩაცხობისას დანით გასერავს ორ-სამ ადგილას ან თითოთ ჩაჩხვლეტს შუა ადგილას, რომ ჰაერი გამოვიდეს და ნამცხვარი არ გაიბეროს (სინონ. დაჟღუტავს). ჰადს დავსულავ თითოთი (ჭალატყე); დასულე პური, თვარა აფუნდება და გეიბერება (ხვაშითი). (მდრ. განმარტ. ლექს. ქიზ.).

დასულვა თონეში ჩაკვრისას თუ კეცებში ჩაცხობისას პურის ან მქადის გასერვა დანით ან ხელით ჩაჩხვლეტა, რომ ჰაერი გამოვიდეს და ნამცხვარი არ გაიბეროს. დასულვა უხთება პურს და ზოგიერთები არ სულენ (განთიადი). (მდრ. შარაშ. დასულვა წაბლისა).

დასუნგამ-ს ხმას გაკმენდს, გაინაბება, გაყუჩდება. მივეპარე, გაღუწმაწნე ყური და სუნგი (იხ.) დასუნგენ (ჭალაურთა). (იხ. განმარტ. ლექს. სუნგალი, სუნგალს გაჰკრავს).

დასურსნულ-ი დაკმუქნილი. რალაცა დასურსნული ქალალდი არი. ნავხე — სამი მანათი არი (ბორითი).

დასწრაფამ-ს (რუს. штраф) დააჯარიმებს. აქოურ კაცს ვერავინ დასწრაფამდა, ის თუ დევსწრებოდა (გეზრული).

დასხედლი-ი დაჰსხდარი. ასე რო იქნებიან დასხედლი, მაშინ ვიტყვი (გეზრული).

დატილოება ტილოთი დამშრალება. ამას მარტო დატილოება ეხერხება საინების (სვერი). იხ. დაატილოვეფს.

დატოფილ-ი მცენარის ფოთოლი თუ ნაყოფი, ანდა ადამიანის კანი. ავადმყოფობისგან ალაგ-ალაგ შეფერილი, აჭრელებული. კაკალი გახვრეტილი იქნება ალაგ-ალაგ და დატკოფილი. იმ დატკოფილს როგორც გატეხამ, ჰია იქნება შიდა (ტაბაკინი); ხელი გამოწყურისაგან დატკოფილი აქ (განთიადი).

დატოვ-ს დატოვებს. მე იმას ხ'ვალარ დავტოვდი (ლელვანი). (იხ. დიალექტ. ქართლ. დატოვდება).

დატოვილ-ი დატოვებული. მშობლების დატოვილი რაც ქონდა, ქე შექამა (პირველი სვირი). (იხ. დიალექტ. ქართლ.).

დატოპტვინებულ-ი დასუქებული. დატოპტვინებულნი რი არიან ბოვშები, სულ გინდა უმზირო (ქვედა ხაქარა).

დატყუპულ-ი ერთმანეთზე მიტყუპებული. სუ და ტყუპული ფეხებით თამაშობდა (დილიკაური).

დაურა დაირა. დაურა დოუკრეს (გეზრული).

დაურიდულ-ი მოურიდებელი. დაურიდული ნუ ხარ შენე (ხვერი).

დაურმოულებულ-ი ურმეულად დაწყობილი, დაურმეულებული. ჩალა დაურმოულებულია (ტაბაკინი).

დაუღლულ-ი უღელდადგმული, უღლიანი. ახლა წვეცდეთ, ქალებო, სახში, ცხვარი კი არა, დაუღლული ხარი რო იყოს, იმასაც ვეღარ დევინახავთ (წედა საქარა). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ., ალავ. ლეჩხ. XIII დაუღლება, დაუღლებული).

დაუხამსებულ-ი ხემსმიულებელი, უქმელი. ხალხი დაუხამსებულა, თვარა რატო ჭამენ დათვის ხორცსა? (პერევი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ. ხემსი).

დაფათარაკდებ-ა ათასგვარი გაქირვება, ფათერაკი გადახდება, გაუბედურდება. დავქარიანი, დავფათარაკდი, შრომით აღარ დამისვენია (მოხვა).

დაფალამ-ს დავვის, დაწმენდს. რო ავდექით, სახლი დავფალეთ. ლოგინი დავალაგეთ (მოხვა); ოსმა დაფალა ეზო და ჩაყარა პტვერი ბუხარში (იქვე). (იხ. საბა, ძიძიგ. ქრესტ., დიალექტ. რაჭ. დაფალვა, ბერ. ფალვა, განმარტ. ლექს. ფალავს).

დაფარეტებულ-ი გაძარცული. ხალხი დაფარეტებულა მოდის სულე, შინელები, ჩექმები გაყიდეს. (დილიკაური).

დაფარცუხოფ-ს ძლივს დადის, დაფარფატობს. ინდოულს ფეხზე მოაბაბაწარი და დაფარცუხოფს (შროშა).

დაფაშება გაბერვა. პურმა იცის დაფაშებაი (ქვები). იხ. დაფაშთება.

დაფაშთებ-ა გაიბერება. ცივ პურს წყალს რო დაასხამ და გააცხელეფ. დაფაშთება, გაბიყვინდება (ქვები).

დაფაღრიალეებულ-ი ფარალალა. ეს დაფაღრიალეებულა სახლი არ იყო (ლორეშა); დაფაღრიალეებულა სახლია (პირველი სვირი).

დაფელამ-ს გააღებს. დოუფელია ჩვენი კიშკარი (შუქრუთი). (იხ. ქყ., განმარტ. ლექს. დაფელვა, მაის. გაფილაკება).

დაფესობა საძირზე, საკვირტე მასალის დამყნის ადგილას, მიწის ზევით გამოღებული ფესვების დაქრა, რომ მიწაში მყოფმა საძირემ გაიღოს ფესვები (დილიკაური); სადანაც დამყნილია ვენახი, იქ ფესოს გამეღეფს ტკპილი, მოვჭრით იმა და ესაა დაფესობა (ქვაცხე); წარე და გემრიელი ლერწის შეერთების ადგილას ფესვმა იცის გამოღება. იმ ფესვებს, რომელიც მალაა, შევაცლით მთლიანათ. ესაა და-

ჟ ე ს ო ე ბ ა. დაახლოებით 25 დღის შემდეგ დავაფესოვეფთ ხელმეორეთ (განთიადი). (შდრ. ი. ჯ ა ვ ა ხ. საქ. ეკ. ისტ. II, 329). იხ. დ ა ნ ე კ ა ვ ს.

დაფეშვილ-ი მსხვილად, ღერდილის მსგავსად დაფქული. სულ დაჟეშვილი მეიტანა ფქვილი (ტაბაკინი). (იხ. ჯ ა ჯ. X დაფეშვა, ი ი ე. დაროხვა, დაროხვილი, შ ა რ ა შ. დაღურეშული, დაღურეშვა, შდრ. იქვე დაფეშვა, ა ლ ა ვ. ლეჩხ. ეთნ. დაფეშვა).

დაფილამ-ს შაქარს თეთრად, ფიფქივით მიაყრის. ტუბილიკვერი დაფილა (ღორეშა).

დაფილულ-ი თეთრად, ფიფქივით შაქარმიყრილი. დ ა ფ ი ლ უ ლ ი ა რ ი ტუბილიკვერი (ღორეშა).

დაფუნჩიავებულ-ი გაბერილი. სიმიდრი რო მეიხარჩება კაათ და გეიფუნჩება, ვიტყვი: დ ა ფ უ ნ ჩ ი ა ვ ე ბ უ ლ ი ა სულე (ხვერი). (იხ. ს ა ბ ა ფუნჩი).

დაფოლხვებ-ა ღონე გამოეცლება, მოღუნდება, დასუსტდება, დავარდება. მაკრინე ქე დაფოლხვთა (ზედღუბანი). (შდრ. ს ა ბ ა ფოლხვი, დ. ჩ უ ბ. ფოლხვება, ნ. ჩ უ ბ. ფოლხვი, განმარტ. ლექს. ფოლხვდება). იხ. ფოლხვი.

დაფოლხვილ-ი || დაფოლხვებულ-ი დავარდნილი, მოშვებული, ღონეკამოცილი, დასუსტებული. არ ვარ ისე დაფოლხვილი, რო ეს კერ წევილო (ვხანი); სოფრომი დაფოლხვებულია, ვეღარ ავაშს ძველებურათ (ხრეთი). იხ. დ ა ფ ო ლ ხ ვ თ ე ბ ა, ფოლხვი. დაფოლხვ-ს დალასლასებს. ბევრი კურნალობითი ეგრე დაფოლხვ-ს (ფუთი). (იხ. ქ ა ვ თ.). იხ. ფოლხვალი, ფოლხვალოფს.

დაფოშიალოფ-ს დაწანწალებს, დაეთრევა, დაძვრება. ის ხ'ვარ გგონია, კარამანას მარო რო დაფოშიალოფს და სოფლიდან სოფლამდინ ითხოვს პურსა-მეთქი? (პერევი). იხ. მ ო ფ ო შ ი ა ლ ო ფ ს.

დაფურჩხნი-ს დაჩხრეკს. მე ჩემი ქმრისთვის ჩიბე არ დამიფურჩხნია (ღორეშა).

დაფხავებულ-ი გამხდარი, დასუსტებული. დ ა ფ ხ ა ვ ე ბ უ ლ ი ა პეღანგია, თვარა უმალ მაგის ნახვას რა ჯობდა (ფარცხნალი).

დაფხეილი ადგილი წყლისაგან ჩამორეცხილი. რა მოვა აქა, სულ დაფხეილი ადგილებია (მოხვა).

დაფხვადება-ა გახდება, დასუსტდება. დარდისაგან დ ა ვ ფ ხ ვ ა ვ დ ო (ქვები). იხ. დ ა ა ფ ხ ა ვ ე ფ ს.

დაქარაფებულ-ი დაცილებული, დაზარული, დარღვეული. დ ა ქ ა რ ა ფ ე ბ უ ლ ი იყო კედლები და რა აძლებიებდათ? (ბაჯითი).

დაქარდამ-ს ქარდით (იხ.) დაპოტნის, დაქარავს. დ ა ვ ქ ა რ დ ე კ ა ა

მაგრათ (ზედუბანი). (იხ. ქავთ. დაქარდვა; შდრ. კირ. დალაზუ-
ლი, უთურ. დაგაზული, შარაშ. დაქარდული).

დაქარიანდებ-ა ქარებით — რევმატიზმით დაავადდება. დავქარი-
ანდი, მიკირს მუშაობა (მოხვა). (შდრ. კახ. დაქარიანებული).

დაქაიქებულ-ი დახეული. დაქიაქებული ტანსაცმელით წვევიდა
(სახე). (შდრ. ბერ. ქიაქი, განმარტ. ლექს. გაქიაქებული).

დაქუზავ-ს | ამ-ს იგივეა, რაც გაქუზავს (იხ.). სანამ ნედლია ჩა-
ლა, დავქუზამთ (სვერი). ჰყლინტი ჩალა რო იქნება, დავქუ-
ზამთ, მერე ავკონით და დავდგამთ (ვახანი).

დაქუზვა იგივეა, რაც გაქუზვა (იხ.). რო ავკონით ჩალას, მას უკან
ვიციოთ დაქუზვაი (ვერტყვიჭალა); რო გავარჩევთ 4-4, 5-5 კონას,
დავაყუდებთ სამკუთხედათ. დაქუზვას ვერტყვიოთ ამას. რო ვახმე-
ბა, შევიტანთ, სარს დავასოფთ, დავდგამთ ზედ და ზვინს უძახით
(ლიჩი); რამდენიმე კონა ჩალას მიაყუდებენ ერთმანეთზე წვეროებით
და მალლა თავს მოუკონიან. ესაა დაქუზვა (ბოსლევი).

დაქუზულ-ი რამდენიმე კონა ჩალა, თავმიდებით შეკრული და გასაშრო-
ბად მიწყობილი, — დაჩერგილებული (იხ.). დაქუზული გვაქ ჩა-
ლები (ტაბაკინი). იხ. მოქუზავს, მოქუზვა.

დაქუნცურებულ-ი ყვავილ (ქოჩორ)-გამოღებული. დაქუნცურე-
ბულია სიმიდი, დოუწყია ქუნცუროს (იხ.) ამოღება (სანახშირე).

დაქუჩუჩთებ-ა ქოჩორს გამოიღებს. ქუჩუჩის (იხ.) ადრე იღებს სიმიდი.
მაისში თუ არა, თიბათვეში დაქუჩუჩთება, რაც ვარგებული
სიმიდია (შომახეთი).

დაქფულ-ი დაფქული, ფქვილი. დაქფული გამითავდა (მანდა-
ეთი). (იხ. დიალექტ. ლეჩქ.).

დაქშრუტნულ-ი დასკრეტილი. მიყვარს დაქშრუტნული ყველი
(შომახეთი). (იხ. ბ. წერ.) იხ. ქშრუტუნი.

დალაწიწებულ-ი დაკნინებული. დალაწიწებულია ე საწყალი
(მორძგვეთი). (შდრ. განმარტ. ლექს. იმერ. ლაწაწა).

დალერძებულ-ი ღერძგაყრილი. დალერძებულია ზესადგრები
(ბორითი). იხ. დააღერძავეფს.

დაღვერვა დაღუნვა, მოხრა. ამის დაღვერვა მესა შემიძლია (ჭა-
ლაურთა). იხ. გაღვერილი.

დაღვი-ა ღონდილებს, მათხოვარივით დაწანწალებს. მამა ემისი ქე და-
ღივა (ხიდარი). (შდრ. განმარტ. ლექს. ზ. იმერ. ღავის).

დაღინიტოფ-ს დაღრიტინობს. დაღინიტოფს, მარა რა აქ საღი-
ნიტო? (იხ.) (ბოსლევი).

დაღინკილოფ-ს იგივეა, რაც დაკინდალოფს (იხ.). დაღინ-
კილობენ გოქები (უჩამეთი).

დაღირსებულ-ი დანატრებული. არაფერზე დაღირსებული არ ვაყავი (ლორეშა). (იხ. ჭყ., განმარტ. ლექს. დაღირსება).

დაღონწიალოფ-ს დაღოლიალებს, დაეხეტება. დავღონწიალოფ და მკილია ზურგი (იხ.) (უჩამეთი). იხ. ღონწიალ. ა.

დაღრუბლურ-ი მოწყენილი, მოღუშული, მოღრუბლული. არი დაღრუბლური მარგალიტაი (ხიდარი). (იხ. ჭყ. დაღრუბლებული, მენტ. დაღულული, განმარტ. ლექს.).

დაღურთავ-ს თავს დაღუნავს, დახრის. დავღურთავ თავს და მოუხვამ (ზედა საქარა). (იხ. ქავთ. დაღურთავა).

დაყანთრავ-ს ცალი მხარე გადასწონის. ქვას დავდეფ, რო არ დაყანთროს (ტაბაკინი); დამიყანთრა ფიციარმა და დევეცი (ხაფინე). (იხ. განმარტ. ლექს.).

დაყაყტებ-ა წახდება. ღვინო რო აღუღდება, ქაქას წამეიღფს და მოაწვება ბადიშზე და ღვინო დაყაყტება, წახთება და იმიტო არი დარევეი სამკინო, რო ეს არ მოხთეს (მახათაური).

დაყვირილ-ი ყვირილი. რაეარძახა მითხრა დაყვირილით (წაქვა).

დაყმენდილ-ი შეწუხებული, მოწყენილი. მამა ერთზელ დაყმენდილი მივიდა. შვილებმა კითხეს: რატო ხარ მოწყენილიო? (გეზრული). (იხ. რუსთ. დაყმენება, დაყმენეებული, ქავთ. დაყმენდილი: შღრ. ჭინჭ. დაყმედა, დაყმედილი, შჭნმ დაყმუნდა). იხ. დეიყმენდება.

დაყუღრდება-ა დაისვენებს. მე ვთქვი: დავყუღრდები პატარათქვა (ხვერი).

დაყუღრებულ-ი დაბუღებული. დაყუღრებულია ყველიფერი (ხვერი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ.).

დაყუმებულ-ი გაჩუმებული. დაყუმებული მოდიოდა ვასიკოი (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. ყუმი).

დაყურულ-ი დაღუმებული, დაყურებული. შალიკო დაყურულია (ზეღუბანი). (იხ. განმარტ. ლექს. დაყურული მნიშვნ. 2, დაყურებული მნიშვნ. 1).

დაშვილოებულ-ი შულოებად დახვეული ძაფი. ერთ გირმაქა ბამბას გაატანდა: სახში მეიტანე დაშვილოებულიო (ზეღუბანი). იხ. შვილო.

დაშორეფ დაშორებით. ისინი დაშორეფ არიან ჩვენზე (ლიჩი). დაშრუნტული იგივეა, რაც დაქშრუტული (იხ.). ჩემა ძროხამ დაშრუნტული ყველი იცის (საბე).

დაშქერავ-ს წყალში შქერს ჩაყრის თევზის დასაქერად. რალაი დავჩრით აქა, ბარემლაცე შავი ღელე დავშქეროთო (პერევი).

დაჩერგნება ჩერგილის (იხ.) გაკეთება. ჩალის 3-3 კონას თავებშეკ-

რულს გასაშრობად მიაწყობენ და ამას ქვია დაჩერგნება (მოხვა). (იხ. დიალექტ. იმერ. დაჩენვილება). იხ. დააჩერგნეფს.

დაჩეჩავ-ს ყურძნის დაწურვის შემდეგ ჭაქას ნიჩბით გაშლის საწნახელში. როცა გათავდება წურვა, გაშლიან ჭაქას ნიჩაფით, — დაჩეჩავენ (განთიადი). (შდრ. განმარტ. ლექს. დაჩეჩს).

დაჩეხავ-ს | ამ-ს საწნახელში შეგროვებულ ჭაქას ნიჩბით მოჭრის ნაწილ-ნაწილ. ცოტ-ცოტარას გამოიტანს ნიჩფით ჭაქას, დაჩეხამს (ჩიხა); რო არ დარჩეს გოუსრესელი მარცვალი, ნიჩფით მოჭრის, დაჩეხამს, მერე ფეხით სრისამს (ბაჭითი). (შდრ. განმარტ. ლექს. დაჩეხს).

დაჩეხვა საწნახელში შეგროვებული ჭაქის ნიჩბით ნაწილ-ნაწილ მოჭრა. ნიჩფით ვკრით ჭაქასა, ესაა დაჩეხვა, მერე ფეხით დეიჩეჩვება (განთიადი); როდესაც წვენი ნაკლებად არი ყურძნის მარცვლებში და უკვე გადმოვიდა, გადმოყრიან ცოტ-ცოტარობით ჭაქას, ჩეხვენ, რო არ დარჩეს გაუსრესელი მარცვალი, ნიჩაფით მოჭრიან და ესაა დაჩეხვა, მერე ფეხით სრისამენ (ბაჭითი). (შდრ. განმარტ. ლექს. დაჩეხა). დაჩეხილი ჭაქა საწნახელში შეგროვებულ ჭაქაზე ნიჩბით ნაწილ-ნაწილ მოჭრილი. ამ დაჩეხილ ჭაქაზე შედგებიან ფეხით და ნაწილ-ნაწილ დასრესენ (ტაბაყინი).

დაჩიკნი-ს მოკოდავს. წისქვილის ქვა ცვთება და წერაქვით დაეჩიკნით და განდება ხაოიანი (ქვაციხე).

დაჩოვა დაჩვევა. დაჩოვა არი ძილი (ხიდარი).

დაჩორპოტებულ-ი დაუძლურებული. სიბერისაგან დაჩორპოტებული ვარ (ხრეთი).

დაჩულავ-ს | ამ-ს კვამლის ნორმალურად გასვლას დააბრკოლებს. რო მოთოვას, მაღლა ჩალით იყო დახურული სახლი, მერჩი (იხ.) კ'არ ქონდა რამეი და დაჩულა, კვამლი სახში ტრიალობდა (ზარანი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

დაცარავ-ს | ამ-ს დაძახავს. მატყლს ჩეჩვენ, დაართევენ, მერე ტარზე დაცარევენ (წაქვა); ტარი და კვირისთავი მქონდა, ძაფს დაცვარემდი, მერე წინიჩირებზე მოექსომდი (ხავანე). (შდრ. განმარტ. ლექს. დაცარავს).

დაცემული ვაე დაბლობი, სადაც არ არის ერთი ბორცვი, ამალელებული ადგილი. აქ დაცემული ვაე არ არი (გორისა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 6).

დადღნცავ-ს | ამ-ს გაათხვიერებს. თირ (იხ.) მიწას პირველათ საზელზე დავყრით, დაცვენცამთ, მერე დავასხურეფთ წყალს და შოურეფთ აყალოს (ბოსლევი). (იხ. განმარტ. ლექს. ქართლ. ცენცავს მნიშვნ. 1). იხ. დეიცენცება.

დაძალულ-ი, ჭაფის შედეგად ძალგამოცლილი. ძარღვების გადიდება მქონდა და მითხრეს: დაძალული ხარო (ბორითი).

დაძახილი-1. დაძახება. რათ უნდა დაძახილი? (ხვაშითი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, ალავ. XXIV). 2. დაძახებული. დღეს ბიუროზე დაძახილი ვიყავი (პერევი).

დაძგა დაზგა. დაძგაზე აწყობენ გასათლელ ფიცრებს (მანდაეთი). (იხ. ყიფშ.).

დაძინული-1 დაძინებული. მიდი ფეხაკრეფით, დაძინული იქნება, დაარტყი კისერში დანაიო (პირველი სვირი); ჯერ დაძინულია (მერჯევი).

დაძინძული-1. დახუნძლული. დაძინძულია ჩემი ვაშლი (ხიდარი). (იხ. შარაშ. დაღანძული, დაყურსული, დანაბდული, ჭყ. დახუნძვა, დაბანძვა, დაპანკვა, დაპანკული, დაყურსული, ელ. დაქანძული, მენტ. დახუნწლული, ჯაჯ. X, ალავ. ლეჩხ. XIII დაზაზვა, დაზაზული, განმარტ. ლექს. დაყურსული³ მნიშვნ. 1, დიალექტ. ლეჩხ. დაგუნძული). 2. დაძონძილი, დაკონკილი, ჩამოხეული. ეს კაცი მოდის ძალიან დაძინძული; რაც აცვია, ისიც დახეულია (ტაბაკინი). (იხ. ყიფშ. დოყურწილი, ალავ. ლეჩხ. დაფრანგული. დიალექტ. ინგილ. დაფრწული).

დაწეილი-1 გადატ. ღარიბი, დაქინებული, დაქვეითებული. ცოტა დაწეილი ხალხი რო არი, ის უფრო იქაჩება (ბერეთისა). (იხ. განმარტ. ლექს. დაწეული მნიშვნ. 4).

დაწმანული-1 დაღვლარქნილი, დაგრეხილი. „დედა დაგრეხილი, მამა დაწმანული, შვილი გადარეული“ (გამოცანა: ვაზი, ლერწი, ღვიწი) (შროშა).

დაწმელავ-ს | ამ-ს იგივეა, რაც დარწმელავს (იხ.). შეეგაროვეფთ ჭაქას და დავწმელავთ: ფეხებით გადაუარო და მთლიანად გამოდის წვენი (ქვაცხე); კუნჭუხურში (იხ.) მეიმწყვრევენ ჭაქას, საწნახლის ბოლოში, და დავწმელავენ (შროშა). (იხ. ლეჟ. 72 დაიწმელება).

დაწმელვა იგივეა, რაც დარწმელვა (იხ.). დაქვეყვის შემდეგ ჭაქას შეყრიან საწნახლის უკან ნაწილში ხის ნიჩაფით და მოაგროვებენ, შემდეგ ფეხით შედგებიან და დაქვეყვილ ჩენჩოს, რომელშიც ჯერ კიდევ არის ტკპილი, წურავენ. ამას დავწმელვას ეძახიან (ტაბაკინი).

დაწუთებული-1. დამლაშებული, ზედმეტად მარილიანი. იმდენი მარილი გიქნია, დაწუთებულია ლობიო (ტაბაკინი). (იხ. საბა მწუთხე, განმარტ. ლექს. დამწუთებული). 2. გადატ. შეწუხებული, დაწუხებული. ვეღარ ვეხმარები შვილებს და მიტოვარ ასე დაწუთებული (უჩამეთი).

დაწყება იგივეა, რაც დარიგება (იხ.). ვერ დავაწყეფ ახლა საფქვავს. დღეს წისკვილზე დაწყება არ შემიძლია (ქვაცხე).

დაწყველილ-ი ითქმის გველზე. დღეს დაწყველილი ნახევ (ლორეშა).

დაწყვიდან დასაწყისიდან, თავიდან. დაწყვიდან სულ ჭათაშია (ვახანი); დაწყვიდან რაც იყო, უნდა მოყვე (ლორეშა).

დაწყვილ-ი დაწყებული. ომი არ იყო დაწყვილი (სანახშირე); ჭერ არ მაქ მუშაობაი დაწყვილი (ხვაშითი). (შდრ. ბ. წერ.).

დაწყვილ-დაბადებიდან გაჩენის დღიდან, თავიდანვე. ეს მიდღემში საწყალია, დაწყვილ-დაბადებიდან (წაქვა). (იხ. განმარტ. ლექს. დაწყვილ-დაბადებიდან).

დაჭვეტ-ს ქუქრუტანებსა და ფარალალა ადგილებს ამოავსებს, რომ სიცივე არ შემოვიდეს, — დაგმანავს. კედელი დავეჭვეტე, სიცივე რო არ შამოსულიყო (უჩამეთი). (იხ. საბა დაჩურთვა, გურამ დაჩურთა, ბერ. გმანვა, კმანვა, კკმანვა კპანვა, ქეშიკ. დაგულვა, ალაგ. ლეჩხ. დასკმანვა, დაქკმანვა, განმარტ. ლექს. დაქმანვა).

დაჭიტამ-ს || დაჭუტამ-ს მკადს დაცხოვისას შუაში თითით ჩახხვლეთს, რომ ჰაერი ამოვიდეს. დავეჭიტე ქადი (ზარანი), დაჭუტა ქადი, აღარ გეიბერება (ხევი). (იხ. განმარტ. ლექს. ჭუტა მნიშვნ. 1).

დაჭმანავ-ს იგივეა, რაც დავეჭეტს (იხ.). თავლა უნდა დავეჭმანოთ (ზედუბანი).

დაჭოჭავ-ს || ჭოჭს მისცემს შეაშინებს, შეახურებს. მე იქ ჩევედი, ჭოჭი მივეცი იმათ, დავეჭოქე (ტაბაკინი). (შდრ. შარაშ. დაჭოჭვა. განმარტ. ლექს. ჭოჭი, დაჭოქება, დიალექტ. მთიულ. ფშ. დაჭოქება).

დაჭრაქავ-ს | ამ-ს კრაქს გაუჩენს. გაზაფხულზე წვიმის დროს გამონათებული მზე აფუქებს ვენახს, ფოთოლს უცვენს, დაწვავს დაჭრაქავს (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს. კრაქი², ქავთ. დაჭრაქვა).

დახადილდებ-ა დაინიშნება. მერე ქვე დავეხადილდით (ზედუბანი). იხ. დაახადილდეს, ხადილი.

დახავეწთებ-ა სიძუნწეს გამოიჩენს, იძუნწებს. სხვიმინდელ წელიწადში უფრო დიდი დამიკლავს სასუქი, ახლა სტუმრისთვის ხ'ვარ დავეხავეწთე (ზარანი).

დახამებულ-ი ჭურჭლისაგან მიცემული გემოს მქონე, ხელმიცემული. ჭურჭელი რო მიცემს ხელს ღვინოს, იტყვიან: დახამებულიაო (სანახშირე). იხ. ხელიანი.

დახელნაკრავებულ-ი ცრუმორწმ. თვალნაკრავი, გათვალული. დახელნაკრავებულია ეს ადამიანი, მიწას ჭავს (ხიდარი). (იხ. განმარტ. ლექს. ხელნაკრავი მნიშვნ. 2; შდრ. ქავთ.).

დახვარბლულ-ი მარცვალდავარგებული, დახორბლილი. მარცვალს რო გეიკეთფს ლობიო და მისი გამოლება შეიძლება. მერე ქვია და-

ხვარბული (ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს., დიალექტ. ქართლ. დაიხორბლება). იხ. ხვარბალი, ხვარბლამს.

დახვარტამ-ს დაწვავს. ხვარტი (იხ.) არი, დახვარტამს ნაყოფსა (ზვარე).

დახვისნი-ს გაწმენდს, გაასუფთავებს. მერე ჩამევიღეთო ჩელტებს, და ვაწყოფთ და გამოვკრიფავთ ჩელტებიდან პარკს. მერე დაეხვისნით. გავაცილეფთ ბეწვებს (ზედა საქარა). (იხ. განმარტ. ლექს. ხვისნის).

დახმობილ-ი ქკუადამჯდარი, დარბაისელი. სოლომან ბძენი რო დეიბადა, გავარდა ხმაი, დეიბადა დიდი აზრიანი კაციო. მივიდენ ხალხი ქკუის საკითხავათ ქიშკარზე, ყველა კარქი დახმობილი კაცი (შომახეთი). (იხ. მენთ. დალაგებული ადამიანი).

დახუთეულემა ყანაში ჩალის კონის ან ძნის ხუთეულეზად დადგმა. 2-2 ძნას დააწყობენ. მერე 2 ძნას ზევიდან კიდე 2-ს დაადებენ და თავზე კი — ერთს. ამას ქვია დახუთეულეზა, თითონ ერთად დაწყობილს — ხუთეული (არგვეთი). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს., დიალექტ. ქართლ.).

დახურდუმებულ-ი იგივეა, რაც დაქუბული (იხ.). დახურდუმებულია ჩალა (ხიდარი).

დახწიალოფ-ს დაწრიალებს. რას დახწიალოფ ამ ღამეში? (ზვარე).

დაჯანდაკლება-ა გახდება, დამკლევდება. საქონელი. რო დაჯანდაკდება, მიყავთ დამზადებაზე (ვახანი). (იხ. განმარტ. ლექს. ჯანდაგი, ჯანდაკი).

დაჯანდაკებული-ი გამხდარი, დამკლევებული. დაჯანდაკებულია ეძროხაი (საბე). (იხ. განმარტ. ლექს. დაჯანდაკებული მნიშვნ. 2).

დაჯედა 1. უშნოდ მსხვილი და დაბალი. დაჯედა გოგოა ნენე, დეიბარჯდება და ისე დადის (შროშა); დაჯედა ქალს ეტყვიან: შენფოს გუდაო (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1; შდრ. ალავ. ოკრ.). 2. ვაშლის ერთ-ერთი ჯიში. დაჯედა საზამთრო ფქვილა ვაშლია (მანდაეთი).

დაჯორგავ-ს დატენის. ჭაქას საწნახელში უკან მოაგროვებენ, დაეჩხავაო (იხ.), დაეჯორგავთ, მერე დეირწპელება (იხ.) (ხიდარი).

დაჯორგავ-ს | ამ-ს უშნოდ, უხეიროდ გააკეთეფს რასმე. ისე დაეჯორგე ქადი, რო დეიქლაჭა (შოსვა). (შდრ. განმარტ. ლექს. იმერ. დაჯორგვა).

დგემლ-ი || დგვევლი (პერევი, შომახეთი) || დგვემლი (ზვარე, წაქვა, ბაჯითი, მანდაეთი, ხიდარი) || დგვლემი (გეზრული) გრდემლი. მცელავს ცელის გასალესათ წადებული აქ დგემლი, რომელიც ერთ კუთხეზე წამახვილებულია და მით ხეზე ასობენ. მოპირდაპირე მხარე-

ზე სწორია, დებენ მასზე ცელის პირს და ზევიდან ურტყავენ თხელპირიან ჩაქუჩს. ამას ცელის გამოპირვას ეძახიან (ვახანი); მიცა ერთი გლახა დ გ ვ ე ვ ლ ი და კვერი (პერევი); იყო ქედელი, მუხლი ქონდა დ გ ვ ე მ ლ ა თ (ხიდარი); საბერველი, დ გ ვ ლ ე მ ი, კვერები, მარწუხები ჩეიბარა ამ ძმისწულმა და თოხს ველარ გამოპირამ ახლა შიდა (გეზრული).

დგვლამადგვლუმ-ი ღორის მიერ სიმინდის ჭამით ატეხილი ხმაურა. ღორი შესულიყო ყანაში და დ გ ვ ლ ა მ ა დ გ ვ ლ უ მ ი გაქონდა სულე სიმინდს (ტაბაკინი).

დგვლემ-ს აფუქებს, ახდენს. დ ო უ დ გ ვ ლ ე მ ი ა ინდოურეფს კუარის კუნჭულოები (ბოსლევი).

დგვლეფა დიდი ხმის გამოცემა (იხ. ბ ე რ., განმარტ. ლექს. დგვეფა). დგვლეფას დეიძახეფს დიდ ხმას გამოსცემს. თუ წაბლს კიპი არ მოწყვიტე, შეწვის დროს დ გ ვ ლ ე ფ ა ს დ ე ი ძ ა ხ ე ფ ს (დილიკაური). იხ. მ ი ა დ გ ვ ლ ე ფ ს.

დგიმ-ი საქსოვი დაზგის ნაწილი. დ გ ი მ ი ო რ-ორი ჯოხია, რომელთა შორის გაბმულია ბამბის ძაფი, ერთმანეთში ჯვარედინად გადახლართული. ჯოხების ორივე თავში მიმაგრებულია ბაწარი, რომელიც ბოლოში ხელის მოსაკიდი ჯოხებით ერთიანდება (შომახეთი); ორ ხის ჯოხზე გაბმულია ბამბის ძაფები, რომლებშიც იყრება მოსაქსოვი ძაფი, ესაა დ გ ი მ ი (ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს., შდრ. მ ე ნ თ.).

დგიმ-საბარცხალ-ი დგიმი და სავარცხელი. დ გ ი მ-ს ა ბ ა რ ც ხ ა ლ ს უწინ ეხმარობდით (ღორეშა). (იხ. უ ლ.).

დგიმის საფეხური დგიმის (იხ.) ნაწილი. დგიმის ჯოხებზე ჰკიდია მსხვილი ძაფის რგოლი, რომელშიც გაყრილ ჯოხებს ჰქვია ს ა ფ ე ხ უ რ ე ბ ი. ერთს გაუშვეფ — მალლა ავა, მეორეს დააწვები — ძირს წავა (შომახეთი).

დგმა ლიტ. თაობა. 90 წლისაა დედაი, მეოთხე დ გ მ ა ს მეესწრო (პირველი სვირი). (იხ. ქ უ., განმარტ. ლექს. დგმა 2).

დგოფინათ ღონივრად, მაგრად. დ გ ო ფ ი ნ ა თ არი ვარლამის სიადერი, ამტონას მალა არ წამოყვება ისი (გეზრული).

დებარე მიწა ვაკე ადგილი, რომელსაც წყალი ვერ ჩამორეცხავს, ამდენად ნიადაგის შეცვლის საფრთხე არ ემუქრება. დ ე ბ ა რ ე მ ი წ ა ა, რომელსაც წყალი არ დარიყავს, მუდმი ა რ ი, ვაკეა ისი (ვერტყვიჭალა).

დებარეობა მდებარეობა. აქა კაი დ ე ბ ა რ ე ო ბ ა არი (ხიდარი).

დებიერი მიწა იგივეა, რაც დ ე ბ ა რ ე მ ი წ ა (იხ.). დ ე ბ ი ე რ ი მ ი წ ა არ არი აქა. რამდენს მოთხრი თვალეთში, იმდენი უკეთესა, მშრალი მიწა არი (გეზრული). (იხ. ა ლ ა ვ. ლეჩხ. XIII; შდრ. ჯ ა ჯ. IX).

დებიერობა იგივეა, რაც დ ე ბ ა რ ე ო ბ ა (იხ.). დ ე ბ ი ე რ ო ბ ი თ კი ჯობია ისი (წიფა).

დედა || მაწვნის დედა მაწვნის მცირე ნაწილი, რომლითაც ადვდებენ რძეს მაწვნად. მაწვნის დედას ვერავის მივცემ, ჩემი დედამთილი თუა სახში (განთიადი). (იხ. მენთ. დედა მნიშვნ. 1, განმარტ. ლექს. დედა² მნიშვნ. 2, ალავ. ოკრ., ნიჟ. დედა; შღრ. ღიალექტ. ქართლ. გუღამაყ.).

დედაბერა-სოკო ბოტ. ბებერა-სოკო (მაყაშ.). დედაბერა-სოკო აბეღივითაა, მოყავისფერო-მოშავო (ღორეშა). (იხ. ალავ. ოკრ., განმარტ. ლექს. დედაბერა²).

დედაბრიკონკა ბოტ. ბებრისკონკა (მაყაშ.). დედაბრიკონკა მინდვრის ფხალია, იის მსგავსი ფოთლები აქ, ხოლოთ უფრო პატარა (მანდაეთი).

დედალი ციცქა მსხვილმარცვლიანი ციცქა (შროშა). იხ. მამალი ციცქა.

დედალურათ დეტალურად. გამშინჯეს დედალურათ (ქვები).

დედამიწას წიწკნის ტირილით იქაჭება. დედამიწას წიწკნის ბოვში. შევეკითხე ამ ქალს: რითი გაგიხთა ავათ-თქვა (ზარანი).

დედამიწის ნაღველა ბოტ. ასისთავა (მაყაშ.). დედამიწის ნაღველა ბალახია, აქ იისფერი პატარა ყვავილები (ხიღარი).

დედაფურკარა ბოტ. ჭინჭრისდედ (მაყაშ.). დედაფურტკარა მინდვრის ფხალია, თეთრი პატარა ყვავილები აქ და ჭინჭრის მსგავსი ფოთოლი, ოღონდ არ ისუსხება (ხანახშირე); დედაფურტკარას შუაში ფოთელზე თეთრი ზოლი გაზდევს (ბერეთისა).

დედო 1. საფურვის მცირე ნაწილი, რომელსაც იტოვებენ, რომ საქიროების ღროს საფურვის დასაყენებლად მოიხმარონ. ქოთანში რო მევიტოვებთ საფურვებელს, დედოს ვეტყვი (ხვაშითი). (იხ. ალავ. ოკრ. დედო², დედო პურისა, განმარტ. ლექს. დედა² მნიშვნ. 4; შღრ. ბერ., ნიჟ.). 2. ხე, რომელზედაც დაყრდნობილია წისქვილის ქვები. დედოა გამტყარი, შესაკეთებელია (ღეღვანი).

დეედანება-ა გზაზე დაწევა, შეხვდება. რას დეგვედანა ეს კაცი (შომახეთი); არ მინდოდა, რო დავდანებოდი იმას (იქვე). (იხ. ქავთ. დადარება).

დეედარება-ა იგივეა, რაც დეედანება (იხ.). ეს ქალი დადარება გზაზე (ქორეთი); ვასილს დევედარე გზაზე (განთიადი). (შღრ. განმარტ. ლექს. დაედარება).

დეეთანახმება-ა დაეთანხმება. გაყვიღოთ ესეო და ზესტაფონში ვიცხოვროთო. მე არ დევეთანახმე (ვახანი); დაგეთანახმებით, თუ დეიყოლიეთ იმასო (ხიღარი). (იხ. ღიალექტ. აქარ. დათანაყმება).

დეეტაუცება-ა დაჭწრობისაგან კანი აუჭრელდება. ოღნავ თუ მომხვთა ცეცხლი, კანკები ისე დამეტაუცება, როგორც კაი ჩითი (შომახეთი). (შღრ. განმარტ. ლექს.).

დექანება-ა დაემტკრევა, დაემსხერევა. მაგ ჩემ შვილს დეექანა
თაზე მანქანაი (განთიადი).

დედევეთება-ა დაეღვენთება. რამდენი დეეღვეთა, იმდენი მოუს-
ვით თითი (ლარიხევი).

დედევერება-ა მოედუნება. ნემსი ისე დეეღვერა, რო ვერ გოუგო-
სა უნდა გეეკეთებია (შომახეთი). იხ. გაღვერილი.

დეერვერება-ა დაეჩუტება. მუცელი დეეჩვერება (მოხვა). იხ.
მოჩვერაძს, მოჩვერვა.

დეეწკლეება-ა ერთმანეთზე მიეკვრება. საცალხელო ხერხს კედელში
უსვევენ, კედელი რო არ დეეწკლეება (ხვაშითი).

დევილი 1. უკან დადევნება; მწყემსვა. დევილი არ ჰირდება შენ
გოგოს (ხვაშითი); ე ძროხა დაეკლათ, თვარა ამ ძროხის დევილის
თავი მე არ მაქ (მოხვა). 2. ძებნა, დევნა. 7 წელიწათს იყო დევილი
მისი (ვანი); გეიგო ესი ცხინვალის შინსახკომა და დოუწყო დევილი
(პერევი). (იხ. ალაგ. XXIV დევა). 3. დენა. დეიწყო მერე ჩირქმა
დევილი კოქახარში (იხ.) (ზედუბანი).

დევობა. დავა. ი კაცი მართალია და დევობა არ დოუწყოთ (ვა-
ხანი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

დეზი-ი კარგი, საგანგებო. შრომა დეზია, დეზი, კაი სოფელია!
(შრომა); საბალანო დეზი გვაქ. დეზი გვაქ სუყველიფერი (ლო-
რეშა). (შდრ. განმარტ. ლექს.).

დეზათ საგანგებოდ, ბედად. დეზათ შექხეთერია ე კაცი (ზვარე).
(შდრ. მენტ., განმარტ. ლექს.).

დეზეტირია || დეზირტირია დიზენტერია. ახალი გამოსული ვიყავი სა-
ავანტიყოფოდან, დეზეტირია მქონდა (ხვერი); დეემართა დე-
ზირტირია (მოხვა).

დეიამიდეფ-ს დარი დადგება. დეიამიდეფს ისევ-ისევ (ქვები).

დეიბიჯგეფ-ს (ჯოხს ან სხვა რამეს) დაეყრდნობა, დაეძინება. ერთ კაცს
დოუბიჯგებია ჯოხი და დაჩერებია მიწაზედ (ტაბაკინი). (იხ.
განმარტ. ლექს. იმერ გურ. დაბიჯგება).

დეიგვრანის-ს გაილამაზებს; კობტად გაიპარსავს. რო დეიგვრანის-
ნის ქოჩორს, ნახეთ, რავარი იყოს (ხვაშითი). იხ. გაგვრანის.

დეიზევ-ს დაიწეეს. მე რო მოვლანდე თვალი და ყაყაჩოსავით ბოვში
გამავებულიყო, უკან დევიზიე (წაქვა); დეიზით უკან (შრო-
შა).

დეიზნი-ს დაცდის. უნდა დეიზნა: საკეცე რო მისით წავა, შენ ნე-
ბაზე რო არ არი, ვინმე მოვა (მოხვა). (იხ. განმარტ. ლექს. დაცდის
მნიშვნ. 2). იხ. დაზნეული.

დეითანახმეფ-ს დაითანხმებს. დეითანახმო იქნება ესე (ხიდარი).
(შდრ. დიალექტ. აჭარ. დათანაყმება).

დეკაპტოფ-ს საპრობილეში ჩაიგდებს, გაიწვალებს (თავს). მაგისტ-
ვინ დეკაპტოფ თავს? (ტაბაკინი); დეკაპტოფ თა-
ვი, გარეთ ვერ გამოვლივარ (ხალიფაური); ე დედამთილმა რანაირათ
დეკაპტოვა თავი, რო არსა არ დადის თავის ნებაზე, პატიმარ-
სავით ჯის სახში (იქვე). (იხ. ბერ. დეკაპტოება).

დეკემსება-ა დაიწმინდება. მოხთიან ქურს, დოურევენ ჯოხს, დე-
კემსება: ქაქა ძირ წავა, დაწმინდავდება (საბე). (შდრ. შარაშ.
დაკემსვა, კემსი, ბ. წერ. კემსვა განმარტ. ლექს. დაკემსავს).

დეკიხება-ა დაიტვირთება. ახლა იქ თუ ჩევედი, დეკიხები, ვი-
ყიდი ყოლიფერ და წამოვალ (გეზრული). (შდრ. ბერ. კაპან, დეკაპ-
ნება, განმარტ. ლექს. იმერ. დეკაპანება მნიშვნ. 1).

დეკლარტება-ა უშნოთ დადის, დაიგრიხება. ქვე იცვლება ახლა ის ნო-
ქარი. ლადუში მოდის აქა, ძლივს დეკლარტება იქანა, პატა-
რაა და მიტო, ერცახეა (ზედუბანი).

დეკუბზება-ა ზრდას შეაჩერებს, დაჩივდება. რაძახა სიცივე იყო და
დეკუბზა (ხიდარი).

დელოგინეფ-ს მოიშობიარებს. ამ ქალმა დელოგინა (ლარხე-
ვი). (იხ. განმარტ. ლექს. დალოგინდება, მოილოგინებს).

დელოუნება-ა დაისვრება. დელოუნებით ახლა. დელოუნ-
ებით მაგ ტალახში (გეზრული).

დეიმიფეფ-ს მიისაკუთრებს, მიითვისებს. თუ ვინმემ დეიმისოს,
ის იქნება ჩემი ქმარიო (ლედვანი). (იხ. ბ. წერ. დამისება, განმარტ.
ლექს. იმერ. დამისებს).

დეიმსხილება-ა მსხმილი (მსხილი) გაუჩნდება. დეიმსხილა ქუჩუ-
ჩო (ქვედა ხაქარა). იხ. მსხილი.

დეინამდვილეფ-ს ნამდვილად გაიგებს. გეიგო ამ ბიჭმა, დეინამდ-
ვილა, რომ წერილი გედევცა გოგოს ხელში (ბოსლევო).

დეინახულეფ-ს დაინახავს. ჩემი შვილი ველარ დევინახულე
(ზედუბანი).

დეინებიეფ-ს 1. დაითანხმებს, ნებაზე დაიყოლიებს. დევინებეაე
და შეუყერე დედაშენს კაბა (ფარცხნალი). (იხ. მენტ. დანებიეება
მნიშვნ. 1). 2. დაინარჩუნებს. გაჩერდენ ესენი, ვაშლი დაატოვიეს. ვაშ-
ლი რალაი დეინებიეეს, გაჩერდენ (პირველი სვირი).

დეინსახურეფ-ს დაიმსახურებს. დეინსახურა სიციუდეი ისე. რო
შვილები გაყარა (ვახანი).

დეინუკრავ-ს || დეინუკრება დაიწმინდს. ქურში რო ჩავსახამთ ტკპილს,
დეინუკრავს, დაწმინდავდება (ზარანი); უნდა ამოწვა ჩაფში გო-
ვილდი და დეინუკრება მერე ტკპილი, ძირს წავა ლექი (ბოს-
ლევო). (შდრ. ს. მ. ტერმ. დაანკრება ღვინისა).

დეინჰეროვეფ-ს ჩეროში, ჩრდილში შეაფარებს თავს, მოიჩრდილებს. ცოტა დევიჩეროვეფ (ზედუბანი).

დეიოჩნეფ-ს იჯიუტებს, ოჩნის თვისებას გამოიჩენს. რომელმაც დეიოჩნოს და არ აკეთოს, ნუ მიეცემთო (პერევი). (შდრ. განმარტ. ლექს. ოჩნობს).

დეირწმანებ-ა დაიგრიხება, დაიწმანება. საქონელი, იამანი (იხ.) თუ აქ. დეირწმანება, წელში იგრიხება (ხევი). იხ. საწმანელი. დეიქლითავ-ს | ამ-ს დაიტყავებს, კანს გადააცლის. შევიდგი ამხელა ტვირთი ზურგზე და დევიქლითე ბეკები (ხალიფაური); დეინანე, რაფერ დევიქლითე ბეკები (ზედუბანი).

დეიქუბებ-ა ქუბი (იხ.) დაიდგმება. ქველები (იხ.) ეიკონება და დეიქუბება (ბორითი). იხ. გაქუბავს, დაქუბავს.

დეიდარდილეფ-ს ხმამალა დაილაპარაკებს. არ დეიდარდილო, გააჩერენა (განთიადი).

დეილაღებ-ა დაიხუნძლება, ბლომად მოისხამს ნაყოფს (სინონ. დეიხანება). სხალი ისე დეილაღება, როგორც ყურძენი (დილიკაური). (შდრ. ქყ. დახუნავა).

დეიყმენდებ-ა მოიწყენს, შეწუხდება. უცნაური გამოცანა ერთმა და მეორემ ვერ ახსნა, დეიყმენდა ხეძიფევი (გეზრული). (იხ. ქავთ. დაყმენილი; შდრ. საბა, დ. ჩუბ. დაყმენა, ნ. ჩუბ. დაყმენდა, განმარტ. ლექს. დაიყმენდება). იხ. დაყმენილი.

დეიშვალებ-ა თოვლ-ქყაპით დასველდება. ზამთარში წავლიან, დეიშვალეებიან და მოვლიან (ხვერი); სა იყავით, რო დეიშვალეთ ფეხები? (ტაბაკინი).

დეიჩარჩებ-ა გადატ. დაიქადებს. მამიწყვე საქმე ისე, რო დავდგე მეთქვა. დეიჩარჩა: — ჩემ თავს იყოსო (ლეღვანი). (შდრ. განმარტ. ლექს. ქიზ. დაჩარჩული მნიშვნ. 1).

დეიცენცებ-ა გაფხვიერდება. თირ მიწას პირველათ საზელზე დავყრით... კოლბოხები დეიცენცება. მერე დავასხურეფთ წყალს და შოურეფთ აყალოს (ბოსლევი). იხ. დაცენცავს.

დეიკმაჰნებ-ა იგივეა, რაც დეირწმანება (იხ.). ჯიბრზე გავთხოვდი. ჩემ სახში მყოფს ჩემი საქმრო არ ყამდა ნახული. რო მევიდენ მერე, დეიკმაჰნენ (განთიადი). იხ. იკმაჰნება.

დეიკოცნებ-ა მკადის გამოცხოვისას სილამაზისათვის საგანგებოდ ნაპირებზე თითების კვალი დაემჩნევა. ჰადის გარშემო ნაპირი ხელით უნდა ვააფიგურო. ნადერი ფქვილი ხ'ვარ დეიკოცნება (ხიდარი).

დეიკყინტილეფ-ს დაიკყვირებს. ღორმა რო დეიკყინტილა, ხალხს ეხიშტა (იხ.) (საბე).

დეიხანებ-ა იგივეა, რაც დეილაღება (იხ.). წროულს არ ესხა, გაისათ დეიხანება ჩენი სხალი (ბაჯითი).

დეიჯერჯღებ-ა დაჯეჯილღება. პური რო ამოვა და ისე გეიზღება, რო საქონელს შოუძლია შექამოს, ვაჰბოფთ: „დე ი ჯ ე რ ჯ ლ ა პური“ (ჭალაურთა).

დეკეული-ი „ძროხის შვილი — საფურე ხბო ერთიდან სამ წლამდე, სქესობრივ სიმწიფემდე“ (სინონ. იმერ. გურ. უშობელი) (განმარტ. ლექს.). ზემო იმერეთში ჩვეულებრივ დეკეული იხმარება. დეკეულს უძახით ძროხის შვილს, სანამ ხფო ეყოლებოდეს (სვერი); დეკეული ძროხის შვილია პირველ დამაკებამდე (ზარანი); აქ დეკეულს უძახით ძროხას, სანამ დამაკდებოდეს, ქვევით უშობელს უძახიან (ქვები); პაწია დეკეული ქვეამს, მოზვერი გავყიდეთ (შომახეთი); პალტოც შევიკერე და დეკეულიც ვიყიდე (წირქვალი). (იხ. მენთ., ჭინკ. დეკეული, დაკეული, მ. ჯან. ერამუკ, დიალექტ. ქართლ. დეკეული).

დეოფს დაობს. მართალი ვარ და იმიტო ვდეოფ (ზარანი).

დერგ-ი ქვევრის მოყვანილობის თიხის დიდი ქილა, რომელიც იხმარება სხვადასხვა სახის პროდუქტის, მარცვლეულის, ფქვილის, უპირატესად კი ყველის ან მწნილის შესანახავად (სინონ. ქვემოიმერული ხალამი). მარტვა თაფლი მედგა ორი დერგი (შომახეთი); ნაქურჩალითა და სილით ვრეცხე დერგი (სვერი); ჩვენ ცალკე გვაქ საყველე დერგი, საწნილე დერგი (ლორეშა); 3-4 წელიწადი დერგიდან ყველი არ ამომიღია (ფუთი). ხალამი აქ არ ვიცით, ყველის შესანახსა დერგს ვეძახით (იქვე). (იხ. ყიფშ., ელ., ჯაჯ. IX).

დერგა იგივეა, რაც დერგი (იხ.). დერგა მინდა წნილისთვის (ბორითი); დერგაში ჩავეყრი ამ ყველს (საბე).

დვლიფავ-ს დაარტყავს. ვდვლიფე დიდი ქვა (ტაბაკინი).

დიბრიტა იგივეა, რაც გიბრიტა (იხ.). დიბრიტა აღრე მწიფთება, წვრილმარცვლიანია (ვახანი).

დიდარე მდიდარი. მართლა დიდარე კაცი იყო მამამისი (ხიდარი). (იხ. დიალექტ. იმერ. დიდარე, დიმდარე).

დიდედა (|| ბაბო) ლიტ. დედის ან მამის დედა, — ბებია. დიდედას მარტო მამა დარჩა შვილებიდან (ზვარე); დიდედა მოხუცთა (ლოლორა). (იხ. ყიფშ. ბები, დადი, შარაშ. დიდნენე, ძიძიკ. ქრესტ. ებე, განმარტ. ლექს.).

დიდი ბაბუა (|| პაპია) ბაბუის მამა. ქჰრის დიდი ბაბუა არი კაცხიდან (მოხვა).

დიდი ბატონები ყვავილი. მამაჩემი დიდი ბატონებთ მომკვდარიყო (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს.).

დიდი გლეხი მდიდარი, შეძლებული გლეხი. გზიჩიშვილები იყო აქა დიდი გლეხი (წაქვა). (იხ. დიალექტ. რაჭ.).

დიდი კანი მეოთხე კანი, რომელსაც იცვლის აბჯრუმის ქია. გამევიდა

ქია დიდი კანიდან (ღარიხევი). (იხ. ბერ., მენტ. ქერქისა, განმარტ. ლექს.).

დივილი დენა. სამი დღიდან დეიწყებდენ დივილს ხალხი (გორისა); აქ რო ჩაჰევედი, დეიწყო დივილი სილამ (ფუთი). იხ. დევილი (მნიშვნ. 3).

დილაურა დილაადრიანად. დილაურა პური მამთხოვა (ხევი). (შდრ. შარაშ. დღიურაი).

დინდგელა დინდგელი. დინდგელაა ფუტკრის მიერ მოტანილი ფისი, მიწა, მცენარის წებოვანი ნივთიერება სკის დასათფუნებლათ, რამკების დასამაგრებლათ, თავზე აკრამს ფიქას, რო სიცივე არ შოუვიდეს და ბარტყი არ გოუცივდეს (ზვარე); დინდგელა თაფლის ნახადია, ფუტკარი აკეთეფს, რო სკის ნაპირები ამოლესოს, რო რამე არ შეეპაროს (შომახეთი); დინდგელაა შავი, წებოს მსგავსი, რომელსაც ფუტკარი თვითონ აკეთეფს (ღარიხევი). (იხ. განმარტ. ლექს. დინდგელი მნიშვნ. 1, შარაშ. დინდგელია.).

დიჟა ბოტ. დიჟი. დიჟას ფართო ფოთოლი აქვს და მსხვილი ყლორტი, იხმარება საქონლის საკვებად, მთებში იზრდება (ჩიხა).

დლუგუნა სიმსუქნისაგან მოუქნელი. შენსავით მოქნილი კარ არი, ეს დლუგუნა ქალია (შროშა). (შდრ. დ. ნ. ჩუბ. დუნდულა, ბერ. დონდო, შარაშ. დრანცი, დუნდრუცი, განმარტ. ლექს. დონდროხა).

დოდგმანოფ-ს ყოყმანობა. „მე არაფერ შუაში არა ვარ“. — „აჰა, რაღას დოდგმანოფ?“ (ღარიხევი).

დოდიალა ბუნჩულა; მსუქანი. მარუსა დოდიალა ქალი ყოფილა. გაგუდა დედამთილმა (ზოვრეთი). (იხ. კირ. დანდრაზა, ბ. წერ. დონდოლა).

დოდმან-ი მაღალი, წარმოსადეგი, ახოვანი. პატარა რასვარგა, ასე უნდა იყოს დოდმანი ქალი (ფუთი). (იხ. ბერ. დოდრი, გრიშ. დნგრა).

დოდმანა იგივეა, რაც დოდმანი (იხ.). ივანე შერგილაშვილს და მამა ამისს ბოხი ხმა ქონდა... დიდი, ამხელა, დოდმანა კაცები იყვნენ (ხრეთი).

დოლაბის წიხქვილი დიდი, სამინდო წიხქვილი მდინარისა, ორ-ან მეტ-თვლიანი. დელის წიხქვილი პატარაა, ერთთვლიანი, დოლაბის წიხქვილი დიდია (ზედუბანი). (იხ. ყიფშ., დიალექტ. აქარ.: შდრ. განმარტ. ლექს. იმერ გურ. დოლაბი მნიშვნ. 2).

დოლათ-ი დოვლათი. მოხუცი კაცი რო გეივლის, მაინც ვარგა ნამუშევერი, დოლათია (ტაბაკინი).

დოლათიან-ი დოვლათიანი. ერთი მართალი კაცი ცხოვრობდა. დოლათიანი იყო (ფარცხნალი). (იხ. დიალექტ. ინგელ. დოვლათიან: შდრ. ქეშიკ. დავლათიანი, თუშ. ძვ. საქართვ. II).

დონდორა მსხვილი. იხ. ა მ ო დ ო ნ დ ო რ ე ბ უ ლ ი.

დონდლაბ-ი ზემო იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის ერთ-ერთი ჯიში. მსხვილი მარცვლი აქვს, საკმაოდ წვნიანი, რბილობს კანი აღვილად სცილდება, აქვს მეჩხერი მტევანი, ადრე მწიფდება. დონდლაბი ორნაირია: ერთია ჭკნარა (იხ.), ადრე მწიფდება და, თუ დროზე არ მოიკრიფა, ჩამოცინდება. მეორენაირი დონდლაბი ლუშათ მწიფდება, სხვილი კაკალი აქ. საერთოთ რო. შექამ დონდლაბს, წყლათ იქცევა და ჩურჩა რჩება პირში. დონდლაბისაგან დარე ღვინო დგება (ტაბაკინი). (იხ. ი. ჯ ა ე ა ხ. საქ. ეკ. ისტ. II, 427-484, განმარტ. ლექს., საქ. ამპელ. 151).

დორანი-ი გადატ. ბედი, ილბალი (იხ. კ ი რ., ქ ყ., მ ე ნ თ., განმარტ. ლექს.). დორანი დეცემა ბედი ეწვევა. ეს რა დორანი დეცეცა! (ხვერი); „ბიჭიკო მევიდა?“ — „კიე“. — არ დაქცემია დორანი! ღმერთი შეწევია!“ (დოდორა). (იხ. განმარტ. ლექს.).

დოუზნევ-ს (ყველს) შეადელებს, დაკვეთავს რძეს. „ვერ დოუზნიე ყველს?“ — „არ მივარგა საკიდელი“ (იხ.) (უჩამეთი); დოუზნიე ყველს, — საბნიელი (იხ.) ჩაახხი (ზარანი).

დოუზნეველი რძე დაუკვეთელი. მიდგას დოუზნიეველი რძე, მაკიკი (იხ.) უნდა ვიყიდო (ტაბაკინი).

დოუზოხთებ-ა დაუძმძღება. მუხლები დამიბოხთა (ზედუზანი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ. დაბუჭება, კირ. დაბოხებული, დაბუხებული, გურამ. დაბუჭებული, მენტ. დაბუჭება ჭელ-ფეხისა, განმარტ. ლექს. დაუბუხდება, დაბუხება, დაბუხებული).

დოუგუნგრუშეფ-ს დაუყვავებს, მოეფერება. თუ არ დოუგუნგრუშე ბოვშეფს, ვერ მევისვენეფ (განთიადი). (იხ. ქ ა ე თ. დაგუნგრუშება, ჯ ა ჯ. IX გუნდრუში).

დოუზაბაკლებ-ა დაუავადყოფდება, დაუზიანდება. ბიჭებიდან ერთი ჯორდანიას დროს დამიზაბაკდა (ბორითი). (იხ. შ ა რ ა შ. ზ ა ბ ა კ ი, ა ლ ა ვ. ლეჩხ. უზაბაკო; შდრ. ქ ა ე თ. ზაბაკი).

დოუნაცვლავ-ს | ამ-ს სარს ხელახლა წაუთლის წვერს. სარს ხელახლა რო წოუთლით წვერს, დოუნაცვლავთო, ვამბოფთ (ქორეთი).

დოუპოტინ-ს დაუკაწრავს. თელი სახე დოუპოტინია ი უბედურობის დროს (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. დაუპოტინის).

დოურგეშელ-ი გადატ. გამოუცდელი. გურგენს ყამდა ერთი ძმისწული ბეენი, დოურგეშელი კაცი იყო იგი (ზედუზანი). (იხ. განმარტ. ლექს. დაუგეშავი).

დოუსარჩულეფ-ს გადატ. მიზებს უშოვის, საფუძვლად დაუდებს. უზნაძემ წისქვილი გაყიდა. მე ვთქვი: „აგერ ხულაში დაფშენილ სიმითს მივიღეფ“-და ვიყიდე. ამაზე დამისარჩულეს მერე. თურმე სხვანაირათ უნდა გამეკეთებია (ქვედა საქარა).

დოუსვენარი-ი მოუსვენარი. დოუსვენარი კაცი იყო (საბე).
დოუსიახლოვდებ-ა დაუახლოვდება. რო დოუსიახლოვდი-
იქიდან, ვეღარ მევითფინე (ზარანი); რო დოუსიახლოვდენ-
სახს, დოუძახა ერთმა ბებერმა (ტაბაკინი). (იხ. ჯაჯ. IX დასიახლო-
ვება).

დოუსმასნი-ს დაუსრესს, აუწევს. ყურები დოუსმასნე (ჯალა-
ურთა).

დოუტოპიტნი-ს დაუპოტნის. ბაბილინეს სულ ძუძუს დოუტოპიტ-
ნი და ბოვში, მარა კ'არ დეიკვენესებდა (ფუთი).

დოუფარდილეფ-ს მოერიდება. ის არ დოუფარდილეფს თქმას
(შომახეთი).

დოუფოლოვდებ-ა ფულურო გაუჩნდება, დაფულუროვდება. გამეიკუნ-
ტება ხეი, კანი კ'არ ხთება, დოუფოლოვდება გული (გეზრუ-
ლი).

დოულარდილეფ-ს გადასძახებს, დაუძახებს. ბებერი მივიდა ამ ცხრა-
კლიტულის კარფეთან და ბიჭებს დოულარდილა: ბიჭებო, არ
მოსულა ი წყეულიო? (ხიდარი).

დოულრუჩთებ-ა დაუბუყდება. ხელი სულ დამიდრუჩთა (ზედ
უბანი).

დოუძილარ-ი დაუძინებელი. თელი დამეები დოუძილარიცა
(ზედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს. დაუძინარი).

დოუქმახთებ-ა დაუძმარდება. დოუქმახთა ღვინოი (ფუთი). (იხ.
საბა, დ. ნ. ჩუბ. კმახე, ბესიკი კმახი, განმარტ. ლექს. კმახი,
კმახე).

დოუხედნელი-ი გაუხედნავი, გაუხედნელი. ერთი დოუხედნელი
მოზვერი ყამს იმ კაცს და შეაბი შენეო (პერევი).

დოუჯერ-ს დაუჯერებს. ზოგიერთი კ'არ დაგიჯერს (პირველი-
სვირი).

დოქ-ი ორიდან ცხრა ლიტრამდე ტევადობის თიხის ცალყურა, ყელმა-
ღალი და ყელვიწრო ნისკარტიანი ჭურჭელი, რომელიც იხმარება მხო-
ლოდ ღვინისთვის (საპირისპ. თუნგულა) (ამ მნიშვნელობით იხმა-
რება დოქი მთელს ზემო იმერეთში, ხაშურის რაიონის მიმართუ-
ლებით მდებარე ქართლის მოსაზღვრე სოფლების გამოკლებით).
დოქი საღვინეა, ნიკარტიანი, საწყლე თუნგულაა, უნიკარტო (წაჭვა).
(იხ. ბოქორ. მასალ. საქ. ეთნ. VIII, 37, მენთ., დიალექტ. ლექს.;
შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., დ. ჯავახ. საფ-საზ. 86).

დოყ-ი უკმაყოფილება. იმას და შენ დოყი გაქთ ერთმანეთში? (ხი-
დარი). (იხ. ჰყ., განმარტ. ლექს. დოყი?; შდრ. საბა, დ. ჩუბ.,
მენთ., ს. მ. ტერმ., ალაგ. ოკრ.). შდრ. ადოყება, ადო-
ყებულო.

დოცკიმაკაკი-ი თავისი თავის პატივისმცემელი, თავის მომვლელი. დოცკიმაკაკია საშიკო, თავის დროზე ჰამს და ისვენებს (განთიადი).

დრგემლ-ი გრდემლი. ვასილა დრგემლზე მუშაობდა (ზედუბანი). იხ. გვდემლი, დგვემლი, დგვლემი.

დროებას გამეიარს დროს გაატარებს. დიდი დროება გამევიარე იქმე (შომახეთი).

დრუხუნა იგივეა, რაც დუნდრუკა (იხ.). დრუხუნაა ჩემი გოგო (ჩიხა).

დუბე 1. ჩავარდნილი ადგილი; დაბლობი, ჩადაბლება. ეგერ გადახვალ. ამ დუბეში არიან, ჩაღვს კონიან (ქვები); აქა დუბე არ არი (ვერტყვიქალა). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ.; შდრ. ქეშიკ. დალდე, ჰყ. დვიბე, ნიჟ. დვიბე, დუბე, უთურ. წარადი). 2. ჩავარდნილი, დაცემული ადგილი, სადაც წყალი დგება. დუბეს ეტყვიან, თუ წყალი გუბდება ჩავარდნილ ადგილში (ვახანი). (შდრ. მენტ. განმარტ. ლექს. დუბელა).

დულულ-ი მოუხერხებელი, დონდლო. დულული ბოვში რას ვარგა (წაქვა).

დუშე შესაზარი, ცუდი. ლოკოკინაები დუშე საქმელია (ხრეთი). დუნდრუკა ჩასუქებული, ჩამრგვალებული. დუნდრუკა ქალი ყამს, დაგორავს (წიფა). (იხ. განმარტ. ლექს.).

დუნდუბო სქელი, ამღვრეული. ჩემი მაქარი დუნდუბოს ავითაა (ტაბაკინი).

დუტარ-ი ლენჩი. ნუ ხარ დუტარი (ზვარე); ეკაცი დუტარია (წიფა). (იხ. ქავთ.).

დულუმ-ი იგივეა, რაც დუბე (იხ. მნიშვნ. 1). დულუმი ადგილია, ჩავარდნილი, დაბალი (ხიდარი).

დღესასაულ-ი || დღესასწეული დღესასწაული. ჩვენ ვიცოდით ბევრი დღესასაული (შომახეთი); ჩვენი დღესასწეული ჯერ არ დამდგარა (იქვე). (იხ. დიალექტ. რაჭ. დღიასწეული, ძიძიგ. ძიებ. დღიასწეული, ალაგ. ოკრ. დღიასწეული, ლეჩხ. ეთნ. დღიასწეული).

დღვლაფ-ი წყლიანი ტალახი, ლაფი. ამისთანა დღვლაფში საგინდა მეიყვანო ხალხი (ტაბაკინი). (იხ. მენტ. დღლუვი).

დღისდღობამდინ დღის განმავლობაში. დღისდღობამდინ $\frac{1}{2}$ ჩარექა ღვინო მიმბარდება (დორეშა).

დღისული დრო შეზინდებადღე, როცა ჯერ კიდევაა დღის ნათელი. სანამ დღისული იყო, ეძებეს ცხვარი (წირქვალი); დეეშვი და დღისული მოხვალ (ზარანი). (იხ. შარაშ. დღისინათლაი, ალაგ. XXIV).

დღოწი წყლისაგან ჩამოქცეული, ჩამორეცხილი ფერდი (სინონ. ფხოწი). წყალმა ჩამოწვიტა მიწა და გაკეთთა დღოწი (ზარანი);

დღოწია ესი უსწორო ადგილი (ლეღვანი); ღელის პირზე, ზეარის
ქხარეზე, სულ დღოწი მიწებია, ჩაძოდღოწილია მიწა (ზვარე). (იხ.
შარაშ. ნაკადი, დიალექტ. მოხ. ნაჩხატი (მნიშვნ. ა); შღრ. ს ა ბ ა,
ღ. ჩ უ ბ. დღოწი, დღოეი, დიალექტ. მოხ. ჯაქი, განმარტ. ლექს.
ღღოწი).

კ

ეზორჯღება ენა ენა ებმის, ბორძიკით ლაპარაკობს. მარუსას ე ბ ო რ-
ჯ ლ ე ბ ო და ე ნ ა ი (სვერი). (იხ. შარაშ. ენაბორკილი).

ეგერას ეგერ, ეგერა. ე გ ე რ ა ს ხ ო მაქ წიგნი (ქორეთი); თოხი ე გ ე-
რ ა ს აგღია (წირქვალი).

ეგნარებ-ა აკვდება. ღელამიწას ე გ ნ ა რ ე ბ ა კირისუფალი (ზეღ-
უბანი).

ეებლოუებ-ა იგივეა, რაც ე ბ ო რ ჯ ლ ე ბ ა (იხ.). ე გ ე ბ ლ ო უ ე ბ ა
ენა (ზეღუბანი).

ეებორჯღლებ-ა იგივეა, რაც ე ბ ო რ ჯ ლ ე ბ ა, ე ე ბ ლ ო უ ე ბ ა (იხ.).
მტყუანი იყო და ე ე ბ ო რ ჯ ლ ა ენა (ზარანი).

ეებორჯილებ-ა იგივეა, რაც ე ბ ო რ ჯ ლ ე ბ ა, ე ე ბ ლ ო უ ე ბ ა,
ე ე ბ ო რ ჯ ლ ე ბ ა (იხ.). ე ე ბ ო რ ჯ ი ლ ა ენაი (პირველი სვირი).

ეესარჩლებ-ა აუჩვილდება. ბიძა მყამდა კიათურაში, ე ე ს ა რ ჩ ლ ა
გული: მივდივარ კახეთში, შენ ველარ ჩამომისწრედ ცოცხალაო (ხრე-
ითი).

ეეფოლიკებ-ა აჰყვება, მხარს აუბამს. ვიცინე უმოწყალოთ, თვრალი ქა-
ლები რო ერთმანეთს ე ე ფ ო ლ ი კ ე ნ, აწყინაყე ღვინომ (ზოვრეთი).

ეეჩიგნებ-ა აეწევა. ტყლას ნაპირებზე დანით შამოვმესრამთ და
ე ე ჩ ი გ ნ ე ბ ა ნაპირები და შიგნიდან გავატარედ ძაფს. დაკრული როა
შიგნიდან, ძაფი ეიღეფს (სანახშირე).

ევლა ელვა. რო ღვიწყებღენ ბომბასა, ცეცხს ე ვ ლ ა ს ა ე ფ ყრიდა
(წიფა); ე ვ ლ ა იყო (იქვე).

ევრობა ერობა. ე ვ რ ო ბ ა იყო ზესტაფონში და გოუთავისუფლე-
ბიეყე იმ ე ვ რ ო ბ ა ს მე (ზვაშითი).

ევროპა გადატ. ბევრი. ე ვ რ ო პ ა ხალხი მოყვა ამას (წაქვა); ამან ძა-
ლიან შოუტია: რას ამბოფ ე ვ რ ო პ ა ხალხშიაო (იქვე).

ეზო-ბაკე შემოზღუდული ადგილი, სადაც მეკომური სახლობს. — ეზო.
ნახევარი ეზო-ბაკე დოუწინდეს (ხრეთი); სანამდი შენ ეზო-
ბაკე-ს არ გავშორდე, მანამდე იძახე: ვიცი და ვიტყვიო (ზეღუბანი).
(შღრ. განმარტ. ლექს. ეზო და ბაკი).

ეთხრობია ეთქვა. შენ უნდა გ ე თ ხ რ ო ბ ი ა, მე რა ვიცღდი (განთი-
ადი); ე თ ხ რ ო ბ ი ა, მარა არ ღეეჭერებია (ლეღვანი).

ეიბარეფ-ს ჩაიბარებს. რაც ხანი მახსოვს, წყესათ არიან სულ, ეიბარე ბენ საქონელს (ზოგს კვირაობით ეიბარე ბენ) და წყესობენ (შომახეთი).

ეიბლიეყეფ-ს გააგდებს. კაცმა ეიბლიკა სიკვდილი (ვახანი).

ეიბლიხე-ა უშნოთ აიტუზება. რო ეიბლიხე ი შუა გზაში, მისობრალია (გეზრული). (იხ. ქავთ.).

ეიკალიფეფ-ს აიღებს. ჩალა ეიკალიფე? (ლორეშა). (იხ. ქავთ. აკალიფება).

ეინიაცეფ-ს აიანცებს. ეინიაცა ამ ხალხმა აქაურობა (ვანი). (შდრ. შარაშ. აიანცება, ქავთ. ალიანცება).

ეიფუზება-ა აიმრიზება, აიბუზება. ბიცოლა მოყვა და ეიფუზა (ხილარი).

ეიყვინტრება-ა ჩიუტად აიტუზება. ის კელბი არი, ეიყვინტრება და არ ქამს (ხილარი).

ეიშნოფ-ს შეიშნობს, შეირგებს. ძელგ ღვინოს ვერ ეიშნოფს ადამიანის ორგანიზში (ჩიხა).

ეიხოვება-ა გაიფხორება, ტანს მალლა ასწევს. ბუძგვი (იხ.) დევიპირე ტყეში, ჯოხეფში გავაკეთე, გამომძვრალიყო და წასულიყო, ეიხოვა მალლიდანი (ზარანი).

ეკალი-ი ცრუ აკაცია. ეკალი აქ სახლის უკან ჩაყოლებული (შომახეთი). (იხ. ბესიკი, ქავთ., ბერ. ეკლის ხე).

ეკტერი-ი აკლდავა. ეკტერია ამოშენებული (ღეღვანი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. ეკტერი მნიშვნ. 3; შდრ. საბა ეკდერი).

ეკლესიაზე შემზული ყავს შერისხული, შეჩვენებული, ხატზე გადაცემული ჰყავს. ამის მქნელი ეკლესიაზე შემზული მყავს (შომახეთი).

ეკომონისტი-ი ეკონომისტი. ჩემი შვილი ეკომონისტია (ზვარე). ეკოწიწება-ა ებლაუტება, ეწევა. ეეკოწიაწე და არ წამევიდა (სვერი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. ეკოწიწება მნიშვნ. 2).

ელევენება-ა ემეტება, ეთმობა. არ წახვიდე ჯერე, არ მელევენები (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. ელევა მნიშვნ. 2).

ემექნები || ემექნა (←ემ(ას) ექნა) იხმარება სიტყვის მასალად, როცა ვერ გაიხსენებენ სიტყვას, და კონტექსტის მიხედვით გამოხატავს სხვადასხვა მნიშვნელობას საგულევებელი ზმნა-შემასმენლის მიხედვით. — „მიმოწეო, — მითხრეა. — „შენ ნუ ემექნები, კაცო“ (ე. ი. ნუ უმოწმებ) (ჯალაურთა); ბაკეში ინდოულეები დადიან, ემექენი, ქალო (ე. ი. გადენე) (ჩიხა); უშალე, მარა არ ემექნა (ე. ი. არ დაიჯერა) (ხავანე). (შდრ. ბერ. იმას ქნა).

ემოდელა ამოდენა. ემოდელა ხალხი დაფარა (ზვარე).

ემუქრი-ს ემუქრება. შენ გემუქრიან, შენი გულისთვიწ ვწვედი-
თო (ზედღუბანი).

ემცნაურებ-ა ნაცნობად ერევენება, ეცნობა, ეცნაურება. რაცხა მემც-
ნაურება, ვინაა ექალი? (ღარიხვეი).

ემჰყვრევ-ა ერევა, ემღვრევა. შენ თვალეზი გემჰყვრევა (ტაბა-
კინი).

ენაჰრია ყურძენი მუავე, მკვახე ყურძენი, ენას რომ ჰრის სიმეავეს
გამო. ენაჰრია ყურძენი გლახაა (ლოდორა); რათ გინდა
ენაჰრია ყურძენი! (ჭალაურთა).

ენგრე ეგრე. ენგრე უნდა მოაწყო საქმე (ვახანი).

ენტოვებ-ა უტევს, ემტერება. დათვი ენტოვება ყანას და ყარა-
ული ქვეყანს გამოყოფილი (ხიდარი).

ენუკებ-ა ენუკვის, ემუდარება, ეხვეწება. მერე ენათლია შემენუ-
კა, რომეო დადექი ჩემთან მოჯამაგირეთო (ზედღუბანი). (იხ. ვისრ.,
განმარტ. ლექს. ენუკვის, ენუკება).

ენწყობ-ა ემხრობა, ეახლოვება. წაქვა და გრიგალათი ენწყობა ხე-
ვისჯვარს. ჩვენ წაქვას არ ვენწყობით (ხვეი).

ეონკლებ-ა არ მოსწონს, არ სიამოვნებს, ეჩოთირება. ბევრი ცული გოუ-
ქეთებია ჩემთვის და მისი დანახვა ეონკლება (ბერეთისა); მე
რა ცვთქვი, ყველაფერი ეონკლება (ტაბაკინი). (იხ. ქავთ.).

ეპაკუნ-ი (რუს. opiekун) აპეკუნი, მეურვე. დოუდგა მერე სიკო ნიქაბა-
ძეი ეპაკუნათ (შროშა).

ეპაპაჰურებ-ა ეპატრონება, ეუფლება (სინონ. ეხონმარიკება). ქონება
რო ჩოუყარე ხელში, იმას ეპაპაჰურება და მე არ გამიტანეს
(წიფა).

ეპორტიკებ-ა ებლაუქება. ჩემ გარდა ბევრი ეპორტიკება, მარა
ვერაფერი გააკეთეს (ლორეშა). (იხ. ქავთ.). შდრ. პორტიკი.

ეპურებ-ა ერგება. საქმელს ეკამ, მარა არ მეპურება (ჩიხა).

ერ-ი საერო პირი. რადარა სურიელი ხარ: ერი ხარ, ღვღელი ხარ
(შროშა). (შდრ. ელ., დიალექტ. გურ.).

ერბოს ლობიო ლობიოს ერთ-ერთი ჯიში. ერბოს ლობიოს ყვა-
თელი პარკი და მოშავო, პატარა, მრგვალი მარცვალი აქვს (ხვეი).

ერდანე იადონი. გამეიტანა თავისი ერდანე და ბურბული და ამ-
ლერა (გეზრული).

ერდო ბანში, შუაეცეცხლის თავზე, ამოჭრილი ადგილი სინათლისა და
ჰაერის შესასვლელად და კვამლის ამოსასვლელად, — საკვამურად.
ერდო ბუხრის ყელივით ცარიელი ადგილია, რომლიდანაც კვამლი
ადიოდა მალა. კერიიდან ერდოში ადიოდა კვამლი მალა, მერე
ყავრები ქონდა გადაფარებული ზეიდან, რო წყალი არ ჩასულიყო
(შომახეთი); შუაეცეცხლი იცოდენ, რო ადიოდა კვამლი ზევით, ის ზედა,

ნაწილი იყო ერლო (წაჭვა); ცეცხლი რო ენთო ძირს, მალლა, სახურავში, ქონდა, როგორც ბუხარს აქვს, კვამლის ასავალი, შუაში გამოჭრილი, ძირს თალივით ქონდა გაკეთებული, ესაა ერლო (ბაჯითი). (იხ. განმარტ. ლექს. ერლო მნიშვნ. 2, ყაზბ., დიალექტ. ქართლ., მენთ. დოლაბი; შდრ. ძიძიგ ძიებ., უთურ. ერლოჲ, შჰნმ). ერთი ცელი შოიმკის ცელით მკის დროს ერთი სვე იქნება გატანილი. პური რო მეიცელება, ერთი ცელი რო შოიმკის, — იტყვიან: — ღვარეული (იხ.) გევიტანეო (არგვეთი).

ერთაკილება-ა ეთაკილება. ერთაკილა ასეთი სიტყვები (ვახანი). (იხ. დიალექტ. იმერ.).

ერთბაშია სულ ერთია, ერთი და იგივეა. ამათვის ერთბაშია სულ მოფერება და გაწყობა, გინდა გოუწყერიყე, გინდა ნუ გოუწყერებიყე (ხილარი).

ერთიცახე სულ პატარა, პაწაწინა, ერთი ციცქნა. ერთიცახემ გააგლო დიდი (ქვები). (იხ. განმარტ. ლექს. ერთი, ჯაჯ. IX; შდრ. დ. ჩუბ. ერთი ბეწო, ქყ., ბერ. ერცუტქუნა | ე-ჲ, ყუბ. ერთცახე ელ. ერი ფინჩხა, ერი ცუტქუნა | ე-ი, ალაგ. ლეჩხ. ეცუტუნა, XIII ერთი ფითქა, განმარტ. ლექს. ქართლ. ნამწია, მაის. ერცახე, ნინოშ. ერთიცახე).

ერთობ-ა ერთვის. მდინარე რკვიანი ერთობა დუმალას (ბერეთისა). ერთხელა || ერთხელას 1. ერთად. ამდენ ფულს მე ერთხელა ველარ ვიშონი (სანახშირე); ქიათურაში წვევლით ერთხელა (შროშა); თუ უყვარდა, იმასთან ერთხელას უნდა მომკვდარიყოს (მოხვა). (იხ. ქავთ.). 2. ერთხელ, ერთჯერობაზე. წროულს ლობიო წამიხთა, ერთხელა ვერ მოვხარშავ (ზედა საქარა). (იხ. განმარტ. ლექს. ერთხელ მნიშვნ. 1).

ერკემელი- ვერძი, მამალი ცხვარი, — ერკემალი. გამამარჯვებიე და ერთთავ ერკემელს შემოქწირამო (ხევი); ერკემელი ვიყიდე (ლიჩი).

ერკვან-ი აკუმი. რათი გათხოვდება, ერკვანია (ტაბაკინი).

ერკვან-ი სახვნელის სახელური, რომელსაც ხენის დროს ხელს ჰკიდებენ და საჭიროებისამებრ ზევით თუ ქვევით სწევენ. კავის ქუსლში ჩატანებულ ხეს ზედა მხარეს გაყრილი აქვს მოკაუჭებული რიკი, — სახვნელის ხელისმოსაკიდებელი, რომელსაც ქვია ერკვანი (დილიკაური). (იხ. განმარტ. ლექს. ერკვანი მნიშვნ. 2, დიალექტ. თუშ. იმერ. გურ. ლეჩხ. რაპ. ერკვანა, უთურ., ჰინქ.; შდრ. ძიძიგ. ძიებ., კუმბ. 279).

ერცახე იგივეა, რაც ერთიცახე (იხ.). ერცახე სიომ რო შამაკრას, იქ მიდის, სადაც მტკივა (სავანე); ერცახე ბიჭი ქვე იყო (პერევი). (იხ. რუსთ. ერთსახე).

ესაზიზღრებ-ა ეზიზღება. მესაზიზღრებოდა, ეშმაკი რო იყო (განთიადი).

ესათობე-ა ეეჭვება. მეორე კოლოფი მაინც უნდა წვილო, მარა ძან მესათობეა (ზედღუბანი).

ესასირცხვებ-ა ერცხვინება. ვერაფერს მიქმოდენ, მარა ხალხში ესასირცხვებოდა (წიფა).

ესაკლისებ-ა თვალში აკლია. სალომეს დიშვილი წვევიდა და მესაკლისება (ჩიხა).

ესე || ესი ეს. ესე ლამაზია, მარა ჰკუა აკლია (ტაბაკინი). (იხ. დიალექტ. ინგილ. ხევს. ესი).

ესიახლოვებ-ა || ესიახლოებ-ა უახლოვდება. ესთა გვესიახლოვება და, რაღაი ახლო არი, ქე ადიან (პირველი სვირი); ეკლესია ამაშუკეთს ზეით არი, თას ესიახლოება (ბორითი).

ესტაკ-ა ეტაკა. ამაღამ ყანას უნდა ვესტაკოთ (სვერი).

ესც-ა ეცა. მევიდა დევი და ესცა (ხიდარი); ესცენ სახს და დაანგრიეს (იქვე).

ესწერო-ს ეწეროს. ჯვარი ესწეროს სუყველას (ლორეშა).

ეუბრებ-ა ემღურის. ორ კვირეს მეუბრებოდა დედაჩემი (სვერი).

ეუუუმენჩხებ-ა ეკაპასება. ამევიყვან, თუ აღარ იზამს ისე, აქამდი რო მეუკუმენჩხებოდა (ხრეთი). იხ. უკუმენჩხი.

ეუშებ-ა ეუბნება. დღეს ვეუშებოდი (უჩამეთი); ცოტა ხანს დამაცადეო, — ეუშებება (ლიჩი). (იხ. დიალექტ. ქართლ. ეიბნება, ინგილ. ებნება).

ეუცხოფრებ-ა ეუცხოება, უკვირს. მართლა მეუცხოფრა ის ქალი (ხიდარი); გამევიარე, ორი სახლია ერთათ, მეუცხოფრა (ტაბაკინი); ეს კაცი მეუცხოფრა, რო დევიანახე (ზარანი).

ეფ-ი იადო. სპიჩკა ეფია, აპა! (მახათაური).

ეფარფუშებ-ა უფლის, უყვავებს. აგერ რო ვეფარფუშები ამ ბოვშეფს, უმალ ასე კარ იყო (განთიადი).

ეფაქვებ-ა ეფარება. ნახეს ერთი კაცი, მტკვარს გადაფაქვებოა ზედე (ღარიხევი). იხ. ჩამოიფაქვამს.

ეფახვებ-ა იგივეა, რაც ეფაქვება (იხ.). დოუგებდა მახეს ჩემი კაცი და ხაფანგს ზედ გედეეფახვებოდა და უცეფ დეიჭირემდა (ბოსლევი).

ეფოქვებ-ა გადატ. ექომაგება, თავს დასტრიალებს, იცავს. ამ შვილებს ქე ვეფოქვები (განთიადი). (იხ. განმარტ. ლექს. ეფაფრება).

ეფხორებ-ა უღრენს. ჩვენი ძაღლები და თქვენი ძაღლები ერთმანეთს ეფხორებიან (წირქვალი). (შდრ. განმარტ. ლექს. გაიფხორება, იფხორება).

ექ ივივეა, რაც ექანა (იხ.). თოფს ესვრიან ექ (უჩამეთი). (შდრ. ღიალექტ. ქართლ. ფერ. ინგილ. ფშ. ს. ჩიქ. ჭან.).

ექანა მანდ. ექანა რო წყალია, იმას ვერ ვიტან (საბე;) მეზობელი იყო ექანა ჩვენი (ბოსლვევი); ექანა ახლოს იყო (ღარიხვევი). (შდრ. ღიალექტ. რაჭ.).

ექვტერ-ი ივივეა, რაც ეკვტერი (იხ.). ექვტერი არცერთის-თვინ არ გამიკეთებია (ტაბაკინი).

ექლიტინებ-ა უწოდ, მოურიდებლად, ნიშნისმოგებით დასცინის. ზოგს ქე მოუხთება, რო ექლიტინება (გეზრული). იხ. ქლიტინა, ქლიტინოფს.

ექონებია ჰქონოდა. ლოგინი მაინც უნდა ექონებია სუფთათ (ტაბაკინი).

ექოშტებ-ა ექიშტება, ეკინკლავება. სულ ექოშტებოდა მარუსა ჩემ გოგობსა (ზარანი).

ელაჭუნებ-ა ძლივს ღეჭავს. კბილები ექავება და ელაჭუნება ემას (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. ღაჭა-ღუჭი მნიშვნ. 2; შდრ. ღაჭუნა, მნიშვნ. 1, ღაჭუნა).

ელინდილებ-ა ებლანდება. რაძახა მედინდილება აქანა (ზარანი).

ელმერთებ-ა აღმერთებს, ღვთად მიიჩნევს. მარტო ოთარაი ქვეყავს, ორო გოგოი მოგვიკვდა და იმ ბიქსა ველმერთებით (პირველი სვირი).

ეყმაყოფილებ-ა კმაყოფილია. დედინაცვალს არ ეყმაყოფილება (მოხვა). იხ. ყმაყოფილი.

ეყმენდებ-ა ედიდგულება, ერხუბება, აწუხებს. ძან ეყმენდება გოგიაი ძაგ ქალა (ზარანი). იხ. დაყმენდილი.

ეყუთნებ-ა ეყუთნის. წამლებიც უნდა გამომიწეროს, რაც ეყუთნება (ბორითი); ტანისამოსით შემმოსეს, რავარც მეყუთნოდა (წაქვა).

ერო თოხი ივივეა, რაც ეროლა (იხ.). მიწა ისე გახმა, რო ეროთოხითაც ძლივს დათოხნი (ზედა საქარა); ეროთოხს ვხმა როფთ უყი (იხ.) და მაგარი მიწის დასამუშავებლათ (ქვედა საქარა).

ეროლა გრძელი და ვიწროპირიანი თოხი, რომელიც ვენახის პირველი გათოხნის დროს იხმარება (სინონ. თოხ-წერაქვა). ეროლათი პირველი თოხნის დროს ითოხნება ვენახი. ჩვეულებრივი სამარგელი თოხის პირზე უფრო ვიწრო პირი აქ (ტაბაკინი).

ერუჭრებ-ა ჩუქების გუნებაზეა. დეიდამის რაღა ერუჭრება, ბიქი მიყამთ ჭარში (სანახშირე).

ეცხეთებ-ა ეოცება, უკვირს, უსიამოვნოდ ურჩება. იმან რო წეიყვანა, მაშითვე მეცხეთა (ბერეთისა); ი გლახა საქმე რო გევიგონე, ძან მეცხეთა (იქვე). (იხ. ბერ. მცხეთება).

ეწიკნებ-ა ებლაუქება. ბოვში ეწიკნებოდა კაბაზე (ზედუბანი).

ეწმაცნებ-ა ეხუტება. გაჩერდი, ნუ მეწმაცნებ ი (შომახეთი).
 ეჭიფხებ-ა ეძალება, კინთვით ეტანება. ე ურემს რო ეჭიფხებო და
 პროკოფი, იქ არ იყავი? ურემი ნახა გადაბრუნებული და დეექიფ-
 ხა: ეგება გადმოვაბრუნო (ჭალაურთა). (იხ. განმარტ. ლექს. ქიფხვა.
 ქავთ. იჭიფხება).
 ეჭკუებია ქკუა ეხმარა. რო მეჭკუებია და მესწავლა, კაი იყო
 (სვერი).
 ეხედებ-ა აბადია, აქეს. რაც ფული ქეთხოვა, იმდენი არ გვეხედებ-
 ბო და (ბერეთისა).
 ეხიმხებ-ა ეუხერხულება, ეუცხოება. პაპია (იხ.) რო დოუძახოს იმას
 ჩემა ბოვებმა, მეხიმხება (მანდაეთი); ეხიმხება, რო შეშა
 არა აქ (ხვაშითი).
 ეხიშტებ-ა იგივეა, რაც ეხიმხება (იხ.). რო ჯდის ისე, მეხიშ-
 ტება მისი აქანა ყოფნაი (შომახეთი); დედა რო დოუძახოს ამასა,
 მეხიშტება (მანდაეთი).
 ეხოშრებ-ა თვალეხი მომსხო რამის (ხოშორის) ჩაყრის შეგრძნება
 აქეს. თვალეხი მეხოშრება (ბორითი); ქარი იყო დღესე და
 თვალეხი მეხოშრება (ტაბაკინი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ.,
 განმარტ. ლექს. ხოშორი, ქავთ. მნიშვნ. 2).
 ეხომმარიკებ-ა ესაკუთრება, ეუფლება. ი ჩემი უფროსი მაზლი ეხოხ-
 მარიკებო და ქონებასა, ვითომ ის იყო და სხვა არავინ (წირქვალთი).
 (იხ. ალავე. ლეჩხ. ეფაფება).
 ეხრაპებ-ა ბევრს სვამს, ეწაფება, ეტანება. ეხრაპებთან ლეინოს
 (ტაბაკინი).
 ეხუხავებ-ა ეხუტება. ნუ ეხუხავები მაგას, ნუ შეაწუხე (შომა-
 ხეთი).

3

ვაგა გრძელი ხე, — ბერკეტი, რომელსაც ხმარობენ გადასადგმელი ან
 გასასწორებელი შენობის ასაწვევად. ვაგა მამიტანე, რო სახლი აე-
 წიკო, გადახრილია (ზარანი). (შდრ. დიალექტ. გურ. ვაგა).
 ვაება ნაკელი. საქონლის ვაებაში არი გასვრილი, სამწყყესო პარკი
 რო კიღია (ხრეთით). (შდრ. განმარტ. ლექს. დიალექტ. იმერ.).
 ვაკასა ხის პატარა მწვანე ბაყაყი, — ვასაკა. ვაკასა დეიჭირეს ბოვ-
 მებმა (ლეღვანი). (იხ. ქყ.; შდრ. საბა, განმარტ. ლექს. ვაკასი.
 ალავე. ლეჩხ. XIII კვატატელა).
 ვარდა-კანაფა ბოტ. ვარდა-კანაფა (სინონ. ხუცისთავა). ვარდა-კანა-
 ფა ბალახია, შავი მარცვლები აქ, ხმარობენ ხოკის (იხ.) წამლათ (ლა-
 რიხევი).

ვარდიელ-ი გვარდიელი. ერთ ღროს იყვენ აქ, ენუქიძის სახლემში, ჩამღგარი ვარდიელები (ხევი).

ვარდისფერი-ი ყურძნის ჭიშია, ვარდისფერი მარცვალი აქეს (ბაჭითი).

ვარდისფერა იგივეა, რაც ვარდისფერი (იხ.). აქ ვარდისფერა ვარგოფს (პერევი).

ვარეს-ი უარესი. ვარესი დეგემართება (შროშა). (იხ. დიალექტ. გურ.).

ვარყა ლიტ. არყა-სოკო. ვარყა თეთრი, მწარე სოკოა, ხარშავენ, გაწურავენ, მერე ან შეწვავენ, ან შეუწვავედ ჩადებენ ქინძმარში (ღორეშა); ვარყა ორნაირია — ჩვეულებრივი და მჭლავანა, ანუ ყრუალა. რომელსაც ძირიდან წაყვითალო ფერი აქეს და უფრო დიდი იზრდება. ვიდრე ჩვეულებრივი ვარყა (სანახშირე); ვარყას გავახმობდით, მოხარშემდით. შევწვემდით და უხემდით ძმარსა და ნიგოზს (სვერი). (იხ. განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ.).

ვარცხლ-ი საფქვილე. — ვარცლი. რო იქდება, ქფილი ჩადის ვარცხლში (ქვედა საქარა). (იხ. განმარტ. ლექს. ქიზ. ვარცლი მნიშვნ. 3).

ვაშლაბია კომშის ერთ-ერთი ჭიშია, კანი ვაშლივით სუფთა აქეს. გაგვრიტნილ (იხ.) ბიას ვეტყვით ვაშლაბიას (ხიღარი).

ველაჟ იხ. გაველაჟდება, გაველაჟებულნი.

ველ-ბეგი ბალახიანი მინდორი და ბორცვები. შარშან აქ სულ ველბეგი იყო (შროშა).

ველუსამედი-ი იერუსალიმი. სამჯელ ვიყავ ველუსამედს (უჩამეთი).

ვენახ-ი. 1. ნაკვეთი, სადაც ვაზია გაშენებული, — ვენახის ბაღი. ჩვენ სოფელში ბევრი ვენახებია (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, მ. ჯან., მენაქ., ა. შან. გ. მთ. ენა ვენაჟი 2, დიალექტ. ინგლ., ყაზბ., ჯოხ. 57, ლექს. 64; შტრ. ი. იმნ. სიმფ. I სავენაჟე). 2. ვაზი. ხომ დავრგევით ვენახს, მერე შევაყრით თავზე მიწას (განთიადი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ი. ჯაფახ. საქ. ეკ. ისტ. II, 290 (სქოლიო), ა. შან. გ. მთ. ენა ვენაჟი 1, ნინოშ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, ი. იმნ. სიმფ. I). 3. ვაზის ჭიში. ყველაზე გავცელებული ძველი ვენახი არკო (ქორეთი).

ვენახა ზოლ. პაწია, წვრილი ბოლოწითელი თევზი (სინონ. გველენა). ვენახა სულ პაწია თებზია, ბოლო და ფთები წითელი აქ (ზარანი); ვენახაი თებზია, ჩხერიმელაში ვიკერთ (უჩამეთი). (იხ. ს. მ. ტერმ.). ვენახის მაგრატებელი სეკატორი. ვენახის მაგრატებელი ლამეკარქა (ტაბაკინი). (იხ. ლექს. 66).

ვენახის დატვირთვა ვაზისათვის ზედმეტი ნეკისა და მოსახვევის დატოვება. ნიადაგის შესაბამისად რაც მეტ ნეკსა და მოსახვევს უტოვებენ ვენახს, მით მეტ მტევნებს ისხამს. ამას ეძახიან ვენახის დატ-

ვირთვას. თუ ვენახი ჯანიანია, დატვირთავ; რომელიც სუსტია, შეიძლება ერთი ნეკის მეტი არ დარტყვო (ტაბაკინი).

ვენახის პლანში დაყენება ვენახის გაშენების მესამე წელს გასხვლის შედეგად ვაზის დაყენება სათანადო სიმაღლეზე. ვენახი პლანში დავაყენეთ (ტაბაკინი). (შდრ. ჯოხ. 57-58 პლანი).

ვენახის ტირილი იგივეა, რაც ვენახის ცრემლი (იხ.). სანამ ვენახის ტირილი დეიწყებოდეს, მანამდი უნდა გასხვლა (შროშა).

ვენახის ცრემლი (ცერმლი) გაზაფხულზე ვაზში ჩამდგარი სისველე, რომელიც ლერწმის გადაჭრის დროს გამოდის. ვენახის ცრემლს უნდა დაასწრო გასხვლა (ხევი); ვენახის ცერმლებამდი უნდა გეისხლას ვენახი. ტირის ვენახი: წყალი აქ ჩამდგარი და გამოდის ცერმლები (ტაბაკინი).

ვენოტ-ი ენოტი. გარეული ცხოველია ვენოტი (პერევი).

კოდრიკნა მინდვრის მხალი. კოდრიკნა მინდვრის ფხალა, ყვითელი ყვავილები იცის (ჩიხა).

კოდუნა იგივეა, რაც კოდინა (იხ.) (სინონ. კოფა, კოფია). კოდუნა ხის პატარა ჭურჭელია, ბოჭკის მოყვანილობისა, ხმარობენ ფქვილის ჩასაყრელათ (სვერი).

კოთ-1. მოხარშული, ცხრილში გახეხილი, შეკაზმული და საზამთროდ შენახული სიმწიფეში შესული ტყემლის წვენი. საზამთროთ რო ვინახამთ, ისაა კოთი; საკმელათ რო გავაკეთებთ, იმას ქვია ტყემალი (ჭვარე, ლედვანი, ქვები, ხიდარი, ჯალაურთა); კოთს რო ვაკეთებთ, ტყემალი არ უნდა იყოს ძაან წიფეი (ბორითი); ბოთლის ტყემალს უძახით კოთს. ტყემალს რო მოხარშამ, რო გამოუა იმას წვენი, გავწურამთ და მოვადუღებთ, იმ წვენს ვკაზმავთ ომბალოთი, ნიორით, ქინძით, პიპილით (დილიკაური). (იხ. ჯაჯ. IX: შდრ. ჰყ. ყორაო). 2. მხოლოდ მწვანე (მკვახე) ტყემლის წვენი, რომელსაც სახელდახელოდ აკეთებენ საკმელად და არა შესანახავად. კუნე ტყემლიდან გაკეთებული როა, იმას უძახით კოთს, მწიფე ტყემლიდან გაკეთებული წუაა (ხევი, ბერეთისა;) კოთი და შემწვარი ვარია გვამება (ტაბაკინი). (იხ. ბ. წერ. ტკოთი).

კოთხინა ხის ყურიანი ჭურჭელი, ხმარობენ მარცვლეულის საწყაოდ. ღორმა ორი კოთხინა სიმიდი შექამა (ხიდარი). (შდრ. ყიფშ., ჰყ., ალაფ. ოქრ. კოთხო მნიშვნ. 1, ჯაჯ. X კორთხულა).

კოზმანობა რელიგიური დღესასწაული. კოზმანობა ჩვენი საკუთარი კაი დღე იყო (ზედუბანი); აქ იცოდენ გიორგობაი, კეკენაძეფეში — კოზმანობაი (ხვაშითი).

კოკა ღვინის საწყაო, 32-40 ლიტრის ტევადობისა. 40-ჩარექიანი ჭურჭელია ჩვენში კოკა (პერევი); კოკას საზომ ერთეულათ ვხმაროფთ, კოკიანი ჭურჭელი ჩვენთან არ არსებოფს, ნახევარკოკიანი გვაქ ჩვენე—ჩაფი. რო ჩეისხმება ორი ჩაფი — 40 ჩარექი, იტყვიან: კოკა არიო (ჩიხა); 40-ლიტრიანი არი კოკა, 20-ლიტრიანი ჩაფი, ცალკე 40-ლიტრიანი ჭურჭელი არა გვაქ (არგვეთი); კოკაა 32-ბოთლიანი საწყაო. კოკაში ჩადის ორი ფუთი. წყლისთვინ კოკას არ ვხმაროფთ (სვერი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ. ყიფშ., განმარტ. ლექს. კოკა¹ მნიშვნ. 2).

კოკოზა იგივეა, რაც გიდელი (იხ.). კოკოზა პატარა, ტყეით ნაქსოვი კალათია, რომელსაც ვხმაროფთ, რო ჰკა არ ამოყვეს ღვინოს და სუფთათ ამევილოთ ჭურიდან (ჩიხა). (შდრ. განმარტ. ლექს.).

კოკოლა || კოკოლია ახლად დარგული ვაზის ძირში თავწვეტიანად მიყრილი მიწა, დაახლოებით 20 სმ-ის სიმაღლეზე. რო ამოვსხლამთ

ლერწს, კოკოლეფს შამოეყრით, უნდა დავშალოთ ამოსხლული ლერწი, რო ყინვამ არ დააზიანოს (ხიდარი); ჩოუშეებენ ვენახს, მიაყრიან ფხვიერ მიწას, მერე — ნაკელს, მერე — მიწას; შემდეგ გოუკეთებენ კოკოლეფს. რო ამოიჭრება ვენახი, შამოაცლიან კოკოლეფს (ქორეთი); შეზურგული მიწა რო არი ვაზის ძირში, კოკოლაეფს უძახით (საბე). (შდრ. განმარტ. ლექს., მაის.). იხ. მიაკოკოლაეფს.

კოკონა 1. იგივეა, რაც კოკოლა (იხ.). სადაც ვაზი ირგვება, აქვე ვიღებთ ორმოს (განი 30 სმ, სიგრძე 40 სმ), ჩეიყრება ნაკელი, ჩეირგვება ვაზი და გოუკეთდება კოკონა (ქვედა საქარა, ტაბაკინი). (შდრ. განმარტ. ლექს.). 2. ნიყვის კოკორი. კოკონა ნიყვები ვიცით აქ, ბუდეში რომაა და ცოტათი ჩანს წითელი (სანახშირე). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს.).

კოკორახი-ი კეფა. კოკორახის ტკივილი მაქ (ხრეთი). (იხ. განმარტ. ლექს.).

კოლბა იგივეა, რაც კორბა (იხ.). თავდაღმართში მოუქერ კოლბას, ურმის თვლებს აღარ ამოძრავებს, და ჩახვალ თავისუფლათ (ჭალაურთა).

კოლინჯი-ი საქონლის ავადმყოფობა, — კოლინჯის ტკივილი. კოლინჯი საქონლის ავანტყოფობაა, წენს მოწყვიტამს, უკანალს (პერევი). (შდრ. დ. ნ. ჩუბ., მენტ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

კოლიფა იგივეა, რაც ბოკონი. ბოკონა (იხ.). კოლიფა დოუდგი ბოვს (ღეღვანი); კოლიფაზე ვერ დავკედები, დაბალია (ტაბაკინი). (შდრ. ჯაჯ. IX).

კოლოფი-ი 1. კუბო. წასულა ამალით ქუთაისში, შვილი კვდარი დახვებრია, კოლოფში წამოუღია ე მიცვალბული, ჭრუჭის ეკლესიაში დოუსაფლაეებით (ქორეთი); მე წავალ, ვითომ მოვკვდი იქა. მოგივათ ამბავი აქა თქვენე. კოლოფი გამამიგზავნეთ (ბუკვეთი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ყიფშ., ბერ., განმარტ. ლექს.). 2. ხის ნაჭერი. რომლითაც დანდლები (უწყვეტები) არის დამაგრებული ხელნაზე (ხესადგარზე) (სინონ. კოტი). უწყვეტები დამაგრებულია გარედან ორი ხის ნაჭერით, რომელსაც კოლოფეფს უძახით (პირველი სვირი). (შდრ. ჯაჯ. IX კოლიფა).

კომბლი-ი || კორბლი-ი იგივეა, რაც კობლები (იხ.). ჭადს გარშემო გაკეთებული აქ ხელის თითებით კომბლები (სვერი); კომბლებია ჭადის გარშემო ნაპირების შემოხაპიწკინება. ხელის თითების დაჩენა, ფიგურების გაკეთება (მანდაეთი); კორბლები უნდა გოუკეთო ჭადს (სვერი).

კომზი-ი კოვზი. კომზები დავეკარქა (წაქვა, ხევი. შომახეთი, ღოღორა). (იხ. დიალექტ. რაჭ. კოზი).

კომისერ-ი კომისარი. კომისერი რას იტყვის? (სანახშირე).
კომოსტ-ო იგივეა, რაც კამუსტა (იხ.). კომოსტო, ვიყიდეთ
წნილათ (ვახანი, ხვერი). (იხ. დიალექტ. ქართლ. თიან. კომოდო).
კომპერატივ-ი კომპერატივი. კომპერატივში, შევედი (ზელუ-
ბანი).

კომპლაობა კინკლაობა. ცოლ-ქმარმა სულ კომპლაობა იცის
(შომახეთი).

კონკილა ხარების შესვენების პროცესში ურმის თავქვეშ შესაყენებ-
ლი კეტი, რომ არ დაეშვეს ძირს ურეში. ხელნა დადგება იმაზე და აღარ
წაიქცევა. კონკილა ფრჩხილფეში (იხ.) გაყრილი ხეა, რომლითაც
ურემს აწევენ და ხარები ისვენებს (ჩიხა); კისერში გუდელი
რო ადგია ხარს, იმას აქ წინ გამობმული ხე, სინა აქ მიბმული ურემ-
რო გაჩერდება, შუა ადგილზე გოუჩერეფ ამ ხეს, რომელსაც კონკი-
ლას უძახით (ხვერი). (იხ. საბა კონჯილა, დ. ნ. ჩუბ. კონჯი-
ლა, კონკილა, ყ ი ფ შ. კოკინია, განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ., ტ. II მ. ბ.
285, ბაბუნ. 274).

კონტილოფ-ს სწორად ვერ დგება, აქეთ-იქით ირხევა. ნახე, არ: კონ-
ტილობდე სკაპი (ხვერი).

კონტილა ფიცრის პატარა ნაჭერი. პატარა კონტილა იყო და ის
დავჭერი (განთიადი).

კოპალ-ი ლეკურის მოსართავი ლითონის ან ვერცხლის დილები: ე ლე-
კური მქონდა აქანას და კოპლები შოუძვრიაყე (ხრეთი). (იხ.
ქ. ყ. ბერ., განმარტ. ლექს. კოპალი 2).

კოპანა კობი. იმდენი ურტყა, კოპანა დაჯდა (ხიდარი). (იხ. გან-
მარტ. ლექს. კობი, იმერ. კოპალი; შდრ. ალავე. ლეჩხ. კოპენა).

კოპიტ-ი იფანი. ეზოში კოპიტის ხეები მოვჭერიათ, შეშა აღარ
ქვქონდა (ბერევი). (იხ. განმარტ. ლექს.).

კოპწა-კოპწა ნაწილ-ნაწილ. იმას კოპწა-კოპწა გაყოფენ (ხრეთ-
თი).

კოჟ-ი ამალღებული ადგილი, პატარა სერი. კოჟი ამალღებულ ად-
გილს ქვია (ლორეშა); ხო ხედამ, ეგერ რო კოჟია, — პატარა სერი
(ხევი); კოჟზე ევედით (ჩიხა). (შდრ. ბერ., ალავე. ლეჩხ. კო-
ჟე, კოჯე).

კორა იგივეა, რაც კვერნა (იხ.). ურემს აქ კორაები (მოხვა).
(შდრ. საბა, ქ. ყ., მე. ნ. თ. განმარტ. ლექს.).

კორა ბუზი. საქონლის მკებნარი ფრთიანი მწერი. კორა ბუზი. დი-
დი ბუზია, საქონლის მკებნარი (ბაჯითი, შომახეთი, პერევი). (იხ. სა-
ბა. კოტიზი, დ. ნ. ჩუბ. ბუზამკალი, ბუზანკალი, ბუზვი, კოტიზი,
ბერ. ბუზარა, განმარტ. ლექს. ბუზანკალი, კოტიზი).

კობა ურმის მუხრუქის (ტორმუზის) სახელური. კობა ტორმუ-
ზის ხელია, რომელსაც უკავშირდება ტორმუზი მავთულით (ბერეთისა);
კობა ურმის გასაჩერებლად უნდა დაატრიალონ (ვანი). (მდრ. გან
მარტ. ლექს.). იხ. კოლბა.

კორდი დაუნნავი, დაუმუშავებელი, მინდვრად ქცეული მიწა; — ყამი-
რი (სინონ. უყი). კორდი უხვნელი მიწაა, სულ, დაუმუშავებელი
ადგილია, მიდორი (ზვარე); კორდი მიწა უნდა დახნა უთესლოთ,
მორეთ ისევ-ისევ დახნა, დათესო, შემოდგომაზე ქვე ვიღეფ (შომახე-
თი); ჩვენ უხნავს კორდს უძახით, საიმერეთოში უყს უძახიან
(ქვება). (იხ. საბა, განმარტ. ლექს., ჩიტ. 274; მდრ. ჰინკ.
ბორტი).

კორი ფიცრის დაბალი, პატარა სკამი, რომელსაც ფიცრისვე 2 ფენი
აქვს სკამის სივანის გასწვრივ (სინონ. ბაყულა, ბაჩა სკამი, ბოკომი, ბო-
კონი, ბოკონა, კოლიფა). ჩვენ ფიცრისფენიან პატარა სკამს კორიოს
უძახით (ბერეთისა); კორიოზე დაჯექი (იქვე).

კორკოტი დალობის შემდეგ დანაყილი, კანგაცილი ზორბალი, რო-
მელსაც ხარშავენ და შეაზავენ ნიგვზით, ხახვითა და მარილით.
კორკოტისთვის პურის მარცვალს ღამე დალობენ, დანაყევენ.
მერე იმას შეაშრობენ, წაფენთხევენ (იხ.), მერე გარეცხევენ და ჩაადგე-
ვენ, მოხარშევენ და (იმ ღამეს აქ არ იციან შეკაშმა) დადგევენ ისე. მო-
რე დღეს შეკაშავენ: ხახვს, ნიგოზს, მარილს უზამენ (შომახეთი). (იხ.
ელ., განმარტ. ლექს. იმერ., დიალექტ. რაჭ.; მდრ. ბერ. კორკოტო-
ბა, ალავე. ოკრ., განმარტ. ლექს. რაჭ. ლეჩხ. ჰანტილა).

კორომი 1. ფატხასავით მოწნული პატარა ქოხი. შინდა პატარა კო-
რომი გავაკეთო და შევიდო შიდა (ფარცხალი). (იხ. განმარტ. ლექს.
იმერ. მნიშვნ. 2). 2. წნელით მრგვალად მოწნული კარავი, რომელიც
გადახურულია ჩალის ზვინით და იხმარება ჩალისა და ფუჩეჩის შესანა-
ხვად. კორომი მოწნულია, ზევიდან ჩალა ახურავს, კორომში
ცურით თივას, ფუჩეჩს (ვამლს ინახავენ იმ ფუჩეჩში). საბძელი სხვაა.
საბძელი ფიცრისაა და თავზე ან კრამიტი ახურავს, ან ფიცარი (ხალი-
ფაური). || საბძელი. კორომი წკნელისაგან არი მორაგული, გადა-
ხურულია ზვინით. კორომში ცურით სიმიდის ფუჩეჩს (დილიკაუ-
რი); ფუჩეჩს ევიღეფთ. შევირახაჰთ კორომში, ჩალას მოვმკით, ჩა-
ვაწყოფთ შიდა (ზოვრეთი); აქ ვხმაროფთ კორომს. საბძელს არ
ვხმაროფთ. კორომში სიმიდის განარჩევ ჩეჩქს ცურით (ტაბაკინი).
(იხ. განმარტ. ლექს. კორომი², ალავე. ოკრ., ჰუმბ. 282; მდრ. სა-
ბა, დ. ნ. ჩუბ., ქეშიკ. კორუმი, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

კორტა ბუზი იგივეა, რაც კორა ბუზი (იხ.). კორტა ბუზი
მა დაკბინა ძროხა (შომახეთი). იხ. კორტიზი ბუზი.

კორტიზი ბუზი იგივეა, რაც კორა ბუზი, კორტა ბუზი

(იხ.). კორტიზი ბუზი ფუტკრისხელაა, საქონელს კბენს (ბერევი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ. კორტიზი, განმარტ. ლექს.).

კორუა ხის პატარა ქურქელი. კორუა მამიტანე (წირქვალი). (იხ. ბერ., ალავე. ლეჩხ. ეთნ.; შდრ. ალავე. ოკრ. კორვა).

კორღან-ი || კორღანო ყორღანი. ერთი გვარისა და მეორე გვარის კორღანი ასე კეთდება: ამოთხრიან 80-70 სმ სიღრმის ორმოს, შიგ ჩაყრიან ნახშირს, შემდეგ მიწას, მერე მალლიდან ქვებს მოაყრიან (ვახანი); თუ მოწმე არ იყო, კორღანოს არ ჩაადგებდა (უჩამეთი). (იხ. განმარტ. ლექს. კორღანი, ქავთ. კორყანო).

კორჩხალ-ი || კორხლი იგივეა, რაც კობალი (იხ.). ჰადს გარშემო თითები რო აჩნია, კორჩხლეფს უძახით (ხვაშით); ჰადს კორხლები აქ (ქორეთი).

კორხალი კომბოსტოს მაგარი ნაწილი. კორხალი კომბოსტოს კოტრტებია, — მაგარი ნაწილი (მერჯევი).

კორხლიანი იგივეა, რაც კობლიანი (იხ.). კორხლიანია ჰადი, რომლის ნაპირები შეწეულ-გამოწეულია ხელის თითებით (შომახეთი); კორხლიან ჰადს ნაპირები ხელით აქ გაკეთებული, თითსა და თითს შორის ამალღებული კეთდება (ბაჭითი); მიყვარს კორხლიანი ჰადი (ქორეთი).

კოსორ-ი ძირიდანვე შვეულად აღმართული კლდე. სობილი კდეა კოსორი, ძირიდან კდეი, მერე ამ კდის თავზეა პატარა ოთახივით, აქ მერე პატარა თაღარი (იხ.) ამ კდეს (ბორითი); აგერ რო დაბალი კოსორია, უბისაა (ლოდორა).

კოტი-ბოძი. კდეები რო არი გამოხვრელილი, იქ კოტიებია დასობილი (შომახეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

კოტა ურმის უღლის რიკი (რაოდენობით ორი), რომელიც უღლის შუაშია ჩასმული, რომ სამატი (საუღლე) არ გაეცოდეს აქეთ-იქით. კოტა აქ საუღლეს ორივე მხარეს, რო აქეთ-იქით არ წვეიდეს საუღლე (მოხვა); კოტა უღლის შუა ადგილზეა მოთავსებული და იცავს წონასწორობას, რო სამატი (იხ.) არ გედევიდეს აქეთ-იქით (ჩიხა). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. კოტა 1 მნიშვნ. 2, დიალექტ. რაქ.: შდრ. ნ. ჩუბ., კირ., ბერ., ბ. წერ., ალავე. ლეჩხ., ყლ., ნიჟ.). || ხის ორი რიკი, რომლებიც გაყრილია ზესადგრებში ღერძის უკნიდან ღერძის დასამაგრებლად (სინონ. კვერნა). ურემს ორი კოტა აქ. რკინის ღერძაზე უკანიდან მიმაგრებულია კოტა, რომელიც აჩერეთს ურემს (შომახეთი); ზესადგარზე (იხ.) დამაგრებულია ორი კოტა — ხის ჯოხები, რომელიც ამაგრეთს ღერძს (ჭალაურთა). (იხ. შენტ., განმარტ. ლექს. კოტა¹ მნიშვნ. 2; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ბერ., ბ. წერ., ჯაჭ. IX). || ზესადგრის ქვემო ამალღებული ნაწილი, რომლითაც ზესადგარი ედგმის ღერძზე (შროშა). || -ის

რიკი, რომელიც ზესადგრის გარეთ გამოსულ დანდალებს (უწყვეტებს) ამაგრებს, რომ არ გამოძვრეს ზესადგრიდან. უწყვეტის (იხ.) თავები ზესადგრის გარეთ არი გამოსული და, რო არ გამოძვრეს ზესადგრიდან, ჩასობილია მასში პატარა რიკები — კოტები (დილიკაური). || ხის პატარა ლურსმანი, რომელიც კეთდება გაბურღულ ფიცარში (ზარანი). კოტორ-ი 1. ზომების მიხედვით დაჭრილი ხე, — მორი. ეზოში კოტრები ეყარა (სვერი); კოტრები მოუტანია გოგიას (მერჯევი); კოტორი დასახერხათ გამოსაყენებელი ხეა (პერევი); ხეს დავპრით ზოჰეფში, — დავკოტრამთ. ზოგი ხე დამპალია, ბოლოიანია (იხ.), ორ კოტორს იქით კაია (ლეღვანი). (იხ. განმარტ. ლექს. კოტორი¹ მნიშვნ. 2; შდრ. ს ა ბ ა, დ. ნ. ჩ უ ბ., ბ ე რ., ჯ ა ჯ. IX). 2. „ყურდღლის მართვი“ (ს ა ბ ა), — ბაკია. „ბიჰო, დიდი კურდღელი თუ კოტორი იყო?“ — „კოტორი, კოტორი“ (მანდაეთი). (იხ. დ. ჩ უ ბ., განმარტ. ლექს. კოტორი² მნიშვნ. 1).

კოტოტ-ი სახსრის გამოწეული, მომრგვალებული ნაწილი. კოტოტია მუხლისთავი (ბორითი); კოტოტია მაქასთან ამოზნექილი ძვალი (მორძგვეთი); კოტოტი აქ გატეხილი, იდაყვი (ზედღუბანი). (იხ. ბ ე რ., განმარტ. ლექს.; შდრ. კ ი რ. კოტიტი თითები).

კოტრ-ი იგივეა, რაც კოტორი (იხ. მნიშვნ. 1). მოვათრიე კოტრი (შომახეთი). (შდრ. დ. ნ. ჩ უ ბ., განმარტ. ლექს., დიალექტ. ლეჩხ.). კოფა 1. ბათმნის მოყვანილობის ხის ჭურჭელი, სამ კილოგრამამდე ტევადობისა, იხმარება უპირატესად მარცვლეულის საწყაოდ (სინონ. კოდინა, კოდუნა). კოფაში ლობიოსაც ვყრით, ნიგოზსაც, ქფილსაც (საღვინე); ხის კოფაშია მარილი (გორისა). (იხ. ს ა ბ ა, ჭ ყ., განმარტ. ლექს. კოფა¹; შდრ. დ. ნ. ჩ უ ბ.). 2. ურმის ან მარხილის წინ ან უკან, მოპირდაპირე ჭალებზე ჩამოცმული ფიცარი დასაჯდომად, — კოფო. კოფაა მარხილის მოპირდაპირე ფეხებზე ჩამოცმული მეტრო-ნახევრიანი ფიცარი (ვახანი); კოფას უძახით ქართულ ურემზე წინა მოპირდაპირე ჭალებზე ჩამოცმულ ან გადებულ ფიცარს დასაჯდომათ (ჩიხა). (იხ. ქ ა ვ თ. კვერნა).

კოფია იგივეა, რაც კოფა (იხ. მნიშვნ. 1). კოფიანი ხის პატარა ჭურჭელია, ბათფანის მსგავსი, რომელშიც ყრიან მარილს, ლობიოს (ლიჩი); კოფა ხის ჭურჭელია, ამოკოდილია, ხოლოთ ძრო (იხ.) სხვა აქ ჩაჯენილი (წყალშავი); კოფიაში მარილს ვყრით (პერევი). (იხ. ბ ე რ. კოფიო).

კოწოწია ქვასავით მაგარი. სახეზე ისევმა კოწოწია უმარულს, ქვასავით იყო მაგარი, მოლესეჰდი წყალზე და წეისევმდი (წაქვა).

კოჭა ურმის ხელნებში (ზესადგრებში) ერთმანეთის პირისპირ თანაბარ მანძილზე ჩასპული წვრილი სარი, — ჭალა. კოჭები ურემს აქ (მოხვა, ხვაშითი); კოჭაები ქვეპირდება პურის ან ლობიოს სახი-

დავათ, შეშისთენ არ ქვეპირდება. კოკაე ბი ურემს აქ 4-6 (ვანი). (იხ. ალავ. ლეჩხ. XIII სარმანა, მანა, მაკაე. 289; შდრ. დიალექტ. იმერ., ბ. წერ. კოკები, ალავ. ეთნ. კოკა).

კოკა-რაზა კარ-ფანჯრის საკეტი, რაზა-კოკაი. კარები კოკა-რაზით დავეტე. (ხრეთი). (იხ. განმარტ. ლექს. რაზა-კოკაი, ჯაჯ. IX რაზა-კოკა).

კოკახა კოკის სახსარი. კოკახე ბი მტყევა (ზედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. კოკახრა).

კოკახარი-ი იგივეა, რაც კოკახა (იხ.). კოკახარი. მაქ გასიე-ბული (ფარცხნალი); ერთ კოკახარში არ აქ ტყივილი. (ხევი); კოკახრე ფში მწიწკნის (ლიჩი).

კოკახური-ი იგივეა, რაც კევაკახური (იხ.). სახლის კოკახურში დგას სკამ-ლოგინი (მოხვა). (იხ. ბ. წერ. კუქუხური, შარაშ კუნქუხური).

კოხ-ი: „მსხვილი სეტყვა“ (განმარტ. ლექს. იმერ. მნიშვნ. 2). გაზაფხულზე კოხი იცის. კოხი, კაი კაქალი რო იქნება, იმსისბოა, ყინვათ მიდის იხი (ფარცხნალი). (იხ. დიალექტ. რაქ. შდრ. იქვე ქართლ., ვაჟა II, მაკაე. 290, ბაბუნ. 275). ჯ. გალატ. ავი. კოხი დედამთილი ყამ ემ ქალ და დაწუხებულია (წირკვალი). (შდრ. დიალექტ. ქართლ.).

კპილიხაყარ-ი იგივეა, რაც კბილისაყარი (იხ.).

კრავლის ფეხი კრავის მეორედ გადაპარსვის შედეგად მიღებული მატყლი; მორეთ რო გადაპარცამ ცხვარს, კრავლის ფეხია. (ხვა-შითი).

კრაზანა მრავალწლოვანი ბალახია, იცის ყვითელი ყვავილი, ხმარობენ ქურის სარეცხად. კრაზანა მაგარი ბალახია, შეიკონება და ვხმაროფთ ქურის სარეცხათ (ღარიხევი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ. მენთ., განმარტ. ლექს. კრაზანა². მაყაშ., ჯოხ. 60).

კრახუნა იმერეთში გავრცელებული მაღალმოსავლიანი, თეთრყურძნის ვაზის ჯიში. კრახუნა ნაზი ყურძენია, სუსტათ უძლევს კრაქს და ფილოქსერას, აქვს საშვალო სიდიდის ტევანი, საშვალოზე მსხვილი მომრგვალო მარცვალი, მომწვანო-ყვითელი ფერისა, სიმწიფეში რო შედის, ქარვისფერი ხაება. პირში კრახუნოფს ჭამისას, კრახუნა ცამიტო ქვია. ჩვენ რაიონში (ზესტაფონში) უფროა გავრცელებულა. სხვაგან, იმერეთში, უფრო მცირე ფართობი უჭირავს (ქვედა საქარა). (იხ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 437-487, განმარტ. ლექს., საქ. ამპელ. 204-210, ლეე. 63, ალავ. ლეჩხ. ეთნ.).

კრიახოფს წუხს, კვენისის. შენი საქონელი არსა არ ჩამსო, — მითხრეს და მერე ვტირი და ვკრიახოფ (ფარცხნალი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

კრიკინა „ველური ყურძენი“ (საბა). კრიკინა შავი, წვრილმარცვლიანი ყურძენია (უჩამეთი). (იხ. დ. ნ. ჩუბ., ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 294, განმარტ. ლექს.).

კრიტიკიანი-ი ყველაფერში ნაკლის მძებნელი, — მოკრიტიკე. ვალიკო ნევრიანი ბიჭია, კრიტიკიანი (ლიჩი).

კრიჭა ხვიშირის გაწვრილებულ ბოლოზე (ყელზე) მიკრული თუნუქის ან ხის ღარი, რომელიც სარეკლას (იხ.) საშუალებით აწესრიგებს სიმინდის თანაბარი რაოდენობით, მარცვალ-მარცვალ მიწოდებას საფქვავე ქვისათვის (სინონ. ლაკორა, ჯამჯამა). კრიჭა რო არ იყოს, ერთათ ჩამევევება სიმიდი სულე, კრიჭა ნაწილ-ნაწილ უშვეფს (ხვაშითი, ზედუბანი, მანდაეთი, ზვარე, ვახანი, ლედვანი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ვაჟა II ნაკლიკა, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, დიალექტ. ქართლ., კახ.-ქიზ., კინკ. ნაკლიკა, ალავ. ლეჩხ. ეთნ. ლაკორა). კრუშკა კრაქი (სინონ. კიალა). ემასა კრუშკა ქვია. თუნუქის პატარა ქურჭელში ნამთს ასხამენ, ჩადგმულია ჩლაი (იხ.) და უკიდია იმასა (მანდაეთი); წვილეთ კრუშკა სინათლისთენ (ხვაშითი); წინათ კრუშკა იყო, ელექტრონი კი არა (ზარანი).

კუდალა უკულო, კუდმოკრილი. მოდი ახლა, კუდალა ხარი რო ქყაშ, მეთამაშე იმაზეო (სხვიტორი). (იხ. ვაჟა I, 3 ყ. კუნტულა. განმარტ. ლექს. კუდა', კუდალა მნიშვნ. 1, დიალექტ. აქარ. კუდაა; შდრ. ყიფშ. კუდელი, უკუდელე, უკუდულე, შარაშ. კუდალაი). კუდა-მათარახ-ი მოკლე მათარახი. მოცხეს კუდა-მათარახი (ხვაშითი). (შდრ. განმარტ. ლექს. კუდა?).

კუდიერ-ი კუდიანი. კუდიერი ბებერი შამოხვთა (წირქვალ). კუდის კანი აბრეშუმის ქიის მეორე კანი. მურის კანში (იხ.) ამოსვლის შემდეგ სამ დღეში ამოვა კუდის კანში (სანახშირე).

კუდის რიკი იგივეა, რაც კუდრუსუნი (იხ.). კუდის რიკი ტკივა (მოხვა).

კუდრუსუნი-ი კუდუსუნი. კუდრუსუნზე იკიდებდა ხელს (ფარცხნალი).

კუთნულ-ი კუთვნილი. რომელიც ჩემი კუთნულია, ისი მომიყვანეთო (ღარიხვეი).

კუთხიერ-ი კუთხიდან, კუთხისა. აგერ ქალი მევიყვანე, ჩვენი კუთხიერი ია (ბაჭითი).

კუკუმფხო || კუკუფხო ფრინველის კურტუმოს ზედა ნაწილი. ინდოურის კუკუფხო ნახევარი ხორცია (განთიადი); კუკუმფხოზე აქ ინდოურს დარტყმული (ტაბაკინი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ვაჟა II გავა, კუნკუხო, განმარტ. ლექს. კუკუხო მნიშვნ. 1, კუნკუხო, 3 ყ. კუნკუხო, ქავთ. კუკუმფხო).

კულა აყიროსაგან (ორშიმო კვანისაგან) გაკეთებული ღვინის სასმისა.

ორშიმო კვახს აქ თავი მოჰკრილი, სასმისათ იხმარება, კულას უქახით (უჩამეთი); ჩვენთან კულაი აღარ არი, კინქილა (იხ.) იხმარება (წიფა). || ვიწროყელიანი, ბუცლიანი, ყურჩიანი. ხის სასმისი (ჭალაურთა). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ყიფშ., განმარტ. ლექს. კულა¹, ყაზბ., დიალექტ. გურ., ლეფ. 74).

კულამ-ი დაგრეხილი ტყავი, რომლითაც ურემს, კავს, მარხილს მიამბენ უღელზე, — სამატი (სინონ. საულღე). უღლის შუა ნაწილზე ჩაბმულია საქონლის ტყავისაგან დამზადებული, ორად დაგრეხილი და ერთმანეთში ჩაგრეხილი კულამი. უღელში ჩაბმულ კულამზე გამობმულია კავი (ვახანი). (იხ. ალავ. ლეჩხ., დიალექტ. ლეჩხ. წყმბემო; შდრ. საბა კულანი, ბერ.).

კულბო კუბო. კულბო კაი უყიდეს, მარა რაღაი დროს (ზედუბანი). (შდრ. ვისრ., საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს.).

კულოლტ-ი კურორტი. ჩვენი სოფელი კულოლტია (შუქრუთი).

კუმპალ-ი კიმპალი. არ შემიქამა ყურძნის კუმპალი (შროშა); ყურძნის კუმპლეს კამენ ქათმები (ტაბაკინი). (იხ. ჭყ., შარაშ., ელ., განმარტ. ლექს.).

კუმუსტო || კუმუსტო იგივეა, რაც კამუსტა, კომოსტო (იხ.). კუმუსტო დავაწნილეთ (შომახეთი); კუმუსტო გაგვიფუქდა, დასამყავებლათ მინ ჩემედვა (ზევარე). || კაქარაფხალი (ქანაფხალი). კუმუსტო (კაქარაფხალი) და წითელი ქარხალი უნდა მოხარზო. უქნა პიპილი და მარილი (წაქვა).

კუმშლა-კუმშლა შეკუმშული სახით, შეკუმშულად. კუმშლა-კუმშლა ფერფლს ისვრის ეთოვლი (ხრეთი). (შდრ. განმარტ. ლექს. კუმში მნიშვნ. 2).

კუნელა || კურნელა კუნელი. ასკილის მსგავსია კუნელა, პატარა ნაყოფი აქვს, მწიფდება ნოემბრის ბოლოს (შომახეთი); კუნელა უმაქნისოა, არაფერში არ ვარგა (ჩიხა); ეზოში კურნელეები უნდა მოვჭრა (ვანი). (იხ. ქავთ. კურნელა, მაყაშ. კუმელა). კუნიახ-ი ავი, კაპასი. კუნიახია კოწიას ცოლი, პეისპო მისი გამამცემელი! (ხვერი).

კუნკულ-კუნკულ-ი მოკლე ნაბიჯებით, მაგრამ აჩქარებულად სიარული. ბიძაჩემს წამოუსხამს საბანი და მიდის კუნკულ-კუნკულით ბოსელში (პერევი). (შდრ. ჭყ., შარაშ., განმარტ. ლექს. კუნკული¹).

კუნტი პური პური, რომელიც გამოცხობისას თონის კედელს არ მიეკვრება, მოწყდება, ჩავარდება და ნაკვერცხლებზე გამოცხვება. კუნტი პურია, თორნეს რო არ ეკვრება და ჩავარდება თორნეში (ხვაშითი, ხვერი, შომახეთი, წიფა, ხევი, ქვები...). (იხ. განმარტ. ლექს. კუტი²

მნიშვნ. 1, დიალექტ. ინგილ. კუტაჲ, კახ.-ჭიზ., თიან. კუტი, მენთ. კუტი, კუტი პური).

კუნტალი — თუნგის მსგავსი ხის ჭურჭელი. „გოგო, მათხოვე კუნტალი, ამოვიღო და ვსვა წყალი“ (ზედუბანი). (იხ. ვისრ., საბა. განმარტ. ლექს. კუტალი მნიშვნ. 1).

კუნჩხალი — იგივეა, რაც კობორჩხალა (იხ.). სამი კუნჩხალი მაიწყვიტე (შომახეთი).

კუნცხა იგივეა, რაც კვინცხა (იხ.). კუნცხა ხეა, შავი ნაყოფი აქ (ლორეშა).

კუნძა ვაზის ერთ-ერთი ჯიში, კარგად უძლებს კრაქს, ნაწილობრივ ფილოქსერასაც; შეკრული კუმის მტევანი აქვს, კუნძის მოყვანილობისა. თეთრიცაა და შავიც. ოკრიბაში „კუნძა“ არ იხმარება (სინონ. მწვანე). კუნძა მაგარი საკმელია, თეთრი, მსხვილი, მრგვალმარცვლიანი ვენახია (ხიდარი); კუნძა თეთრიც არის და შავიც (ქვედა ხაქარა, სავანე). (იხ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 433, 483, საქ. ამპელ. 211-215, განმარტ. ლექს.).

კუნწალი — ერთ ღეროზე რამდენიმე ნაყოფი, — კუნწულა. კნავს (იხ.) კუნწლებათ აბია წითელი მარცვლები (მოხვა). (იხ. მენთ. მნიშვნ. 1, განმარტ. ლექს. კუნწულა მნიშვნ. 1; შდრ. საბა კუნწი, დ. ჩუბ. კუნწული).

კუნწულო კუნწულა; კიმპალი. აქა ყურძნის კუნწულო ვიცია, ვახანში — კიმპალი (ზვარე). შდრ. ელ. კუმპალი, შარაშ. კუმპალი, კუმხალი, ალავე. ოკრ. კუნწულა).

კუნწულო ბადე იგივეა, რაც კუნჭულო ბადე, კუნჭულოიანი ბადე (იხ.). თებზს კუნწულო ბადით დევიქერდით (ვახანი).

კუნჭულო 1. კუთხე, — კუნჭული (სინონ. კოჭახური). სახს აქოთხა კუნჭულო (ლიჩი). (იხ. განმარტ. ლექს. კუნჭული მნიშვნ. 2). 2. ფართობირიანი ჭურჭლის ვიწრო ძირი. ქვევრის კუნჭულოს ვაკეთებ და მიყურე (ბოსლევო). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს, ალავე. ოკრ.). 3. იგივეა, რაც კუნჭულო ბადე (იხ.). კედელზე კიდია კუნჭულო და ჩამეიღე (შომახეთი). (შდრ. საბა. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. კუნჭული მნიშვნ. 1).

კუნჭულო ბადე ბადე, რომელსაც ბოლო ვიწრო აქვს (სინონ. საჩხრეკი ბადე). კუნჭულო ბადეს უკეთდება მოღუნული ჯოხით თავა, რომელსაც თოკით შამოაკვრებენ ბადეს. ძირი ვიწრო აქ, ბადე გრძელია, დაახლოვებით ორი მეტრი. ხმარობენ უფრო ზამთარში. ამ დროს თემში ქვის ქვეშა ანდა ჯილეში (იხ.). ჯილიდან რო გამოვა თემში, მოხვთება ამ კუნჭულო ბადეში და იქიდან ვეღარ ამოდის (შომახეთი, ფარცხნალი).

კუნძულოიანი ბადე იგივეა, რაც კუნძულო ბადე (იხ.). კუნ-
ძულოიანი ბადეს ბოლო ვიწრო აქ, ზევით განიერია (ბერე-
თისა).

კუნძუხური || კუჭუხური კუთხე. კუნძუხურში დაგიტოვებია ნა-
გავი (ფარცხნალი); ცოცხი კუნძუხურში გდია (წიფა); საწნახ-
ლის კუჭუხურშია დამალული ღვინო (მერჯევი); კუჭუხურ-
ში დგას თაროი (გეზრული). (იხ. ბ. წერ. კუჭუქო, კუჭუხური,
შარამ., განმარტ. ლექს.). იხ. კვაჭახური, კოჭახური,
კუნძულო¹.

კუპრიელი- პატარა ტიკი, ტიკქორა. კუპრიელი პატარაა, ტიკი
დიდია (მანდაეთი); კუპრიელი პატარა ზომისაა, ბაჯითში ტიკ-
ქორას უძახიან (შომახეთი); კუპრიელი პატარა ტევადობისაა,
ფუთამდე ჩადის (ხიდარი). || დიდი ტიკი. კუპრიელი ბევრი ღვი-
ნის ჩასახსმელია, პატარასთვის ტიკი გვაქ (წვარე). (შდრ. დ. ნ. ჩუბ.,
კირ., ულ., განმარტ. ლექს., დიალექტ. ქართლ.).

კურატანა მსუქანი, მსხვილი. რაკი კურატანა ცხვრებია, გო-
ქებიც კურატანაა (ტაბაკინი).

კურნელობა მკურნალობა. შენ შეილს დიდხანს უნდა კურნელო-
ბა (ლეღვანი).

კურუტუნა დაბალი და მსხვილი. კურუტუნა ქალი იყო მისი ცო-
ლი (ბოსღევი).

კუტი ლობიო ლობიოს ერთ-ერთი ჯიში. კუტი ლობიო უბარ-
დოა, სარზე არ ეხვევა, წითელი მარცვალი აქ (ჭალაურთა); კუტი
ლობიო შეიღვევირაა, გრძელი წითელი მარცვალი აქ (შომახეთი);
კუტი ლობიოს ისახსმისფერი მარცვალი აქ (ბერეთისა). (იხ. გან-
მარტ. ლექს. ლობიო, დიალექტ. ქართლ.).

კუტუნა ლობიო ლობიოს ერთ-ერთი ჯიში. კუტუნა ლობიოს
საშუალო სიდიდის მარცვალი აქვს, ბორდოსფერ ფონზე შერეულია
თეთრიც (ხევი).

კუჩნულათ (რუს. მეშე.) წყნარად. მყუდროდ. სამი კაცი ვიჭექით
კუჩნულათ (ჭალაურთა).

კუწუწო წვერი, კენწერო. ექანა მარიამის ბეოლა რო არი, შენ გადა-
პერი კუწუწოში? (ხანახშირე).

კუჭი- ვაშლის, მსხლისა და ხილეულის შუა ნაწილი, სადაც მარცვ-
ლებია. კუჭი გამოაცალე ვაშლს (ხიდარი).

კუჭის გადანაცლელი ქათმის კუჭის შიგა კანი, რომელსაც ჩვეულებ-
რივ აცლიან. კუჭის გადანაცლელს წამლათ ვხმაროფთ
(შომახეთი).

კუჭს აცლის გულს იღებს. კაკალს კუჭი ამოაცალე (ხანახში-
რე).

კუხე მკვახე. კუხე ვაშლს ნუ წყვეტ (შროშა). შდრ. ჩაკუხული.

კუხნა სახლი იგივეა, რაც კათხა სახლი (იხ.). კუხნა სახს უძახით ჩვენე სახს, მომიწნული რო არი, ხოლო სახს ხას იატაკიანს. სადაც ცხოვრობენ, უძახიან ოთახს (შომახეთი).

ლ

ლაბ-ი საკმლის (ლობოს, ბრინჯის, ტყემლის და მისთანათა) ხარშვის შედეგად წარმოქმნილი შედედებული, სქელი მასა. ლაბი გეიკეთა ლობიომ (ტაბაკინი); ზოგი ტყემალია, ლაბი არ იცის, არ შეიკვრება. წყალი ცალკე წავა და ტყემალი ცალკე (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1; შდრ. შარაშ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, ქავთ.). იხ. გალაბიან დება, ჩალაბული.

ლაგაზ-ი „ტალახი ძნელად გამოსარეცხელი, ტალახი ძნელად მიმკრავი, მიმწები Aa“ (საბა).

ლაგაზი მიწა თიხაშერეული, ოდნავ ნესტიანი, წებოვანი შავი მიწა. შავი მიწა არი ძიმე მიწა, ლაგაზ მიწას უძახიან, სილა მიწა უფრო ხიშათ (იხ.) გამოდის, სახენელს არ ედება (წყალშავი); ხალიფოურში და წირქვალში იცის ლაგაზი მიწა. რო მიდინარ, ვერ ამეილეთ ფეხს, ისე გეწებება; მღვიმევეში სილა მიწაა, ქვირშიანი და არ მოგედება ფეხზე (ხალიფაური). (იხ. განმარტ. ლექს. ლაგაზი¹ მნიშვნ. 1, ნეიმ.; შდრ. შარაშ.). იხ. გალაგაზ დება, გალაგაზებული.

ლაგაზდებ-ა ერთმანეთს ეკვრის, იტკეპნება. შამოდგომაზე აოშვილი (იხ.) არ ვარგა, ლაგაზდება მიწა (ბაჯითი). იხ. გალაგაზ დება, ლაგაზი.

ლაზ-ი წებოვანი. აქ ძიელ დიდი ლალა (იხ.) არი, ფეხზე გადამიარა. სალანძილეში ლაზი ტალახია (ზარანი).

ლაინ-ი ბამბისაგან შინ დამზადებული ნარმის მსგავსი ლურჯი ქსოვილი. ერთი კაბითა მოუყვანიათ ქალი, ლაინის კაბას უძახოდენ, ლურჯი იყო (მანდაეთი); ლაინის კაბაი ქონდა პატარძალს (პერევი). (იხ. განმარტ. ლექს.; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., მენთ.).

ლაკარტკა (რუს. погатка) ჩიტების დასაჭერი. ორკაპალა (იხ.) ჯოხზე გამობმულია რეზინა, რეზინაზე ტყავია; მასზე კენჭს დადებენ, გამოწვევ რეზინს და ქვა გავარდება (ჩიხა, სვერო, ჯალაურთა). (იხ. ჭინჭ. ლაგატკა).

ლაკატკათ პალტოს მოსხმა პალტოს მოსხმა სახელოებში ხელებჩაუყოფლად. ლაკატკათ ქონდათ პალტოები წამოსხმულა (ლორეშა).

ლაკვარა იგივეა. რაც კრიკა (იხ.). ხეიმირის ბოლოზე არი ღარი-
ვით ლაკვარა, რომელშიც ჩამოდის ხეიმირიდან სიმილი და მერე
აქედან ქვაში (მოხვა). (იხ. განმარტ. ლექს. რაქ., ქყ., ალავ. ეთნ.
ლაკორა, ჯაჯ. IX ლაკორია, ქუმბ. ლაკორა || ლაკორია).

ლალა თხელი ტალახი, ლაფი. ლალა თხელი ტალახია (განთიადი);
იმ გაღმა რავარი ლალაა (ზარანი); ძიელ დიდი ლალა არი, ფეხზე
გადამიარა (იქვე). (იხ. ბერ. ლალა, ლესთეჟი; შდრ. ყიფშ., გან-
მარტ. ლექს., დიალექტ. ჯავახ.).

ლამი-1. ნამი, წვეთი. სიმილი ისე შეინახეს, ლამი არ მოხვეთრია
(ხიდარი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3. დ. ჩუბ. ლამება; შდრ.
ვისრ., რუსთ., გურამ., საბა, ყიფშ., მ. ჯან. ლამ,
მენტ., ს. მ. ტერმ., ალავ. ლეჩხ.). 2. თიხის ერთ-ერთი სახეობა,
რომელსაც იყენებენ ქვევრების თავის დასაგლესად, რომ წყალი არ
გაატაროს. თიხა ჩვენში არი წითელი ფერისა, მისგან აკეთებენ კე-
ცეფს და ქოთნებს. აგრეთვე ქურების მადლიდან დასაგლესავათ არის
ჩვენში ხმარებაში ლამი, წყალს არ ატარეფს (ვახანი). (შდრ.
ვაჟა II, მენტ., განმარტ. ლექს.).

ლამაათ ლამაზად. გავყიდე ძროხაი და სახლი ავაშენე ლამაათ
(წიფა). ქე მოსულიყო ლამაათ (ბორითი). (იხ. დიალექტ. ქართლ.).

ლამაზა მინდვრის მხალია (ზედუბანი). (იხ. მაყაშ.).

ლამფა იგივეა, რაც დანდალი (იხ.). ზესადგარი (იხ.) ლამფე ბი-
საგან შედგება; ლამფა სხვადასხვა რაოდენობისაა, აქაურ ურემს
10 მაინც აქვს (უჩამეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ლამფარა 1. იგივეა, რაც გასაყარა, დანდალი (იხ.). ზესადგ-
რეფშია ლამფარა გაკეთებული, მერე ლაშკინი (იხ.) აქ (ვერტყვი-
ქალა); აჩაჩა ურემს (იხ.) აქ სამი უწყვეტი, იგივე ლამფარა,
პარა ამისგან განსხვავებით გარეთ გამოდის (ღარიხევი). 2. ფქვილის
ამოსაღები ჩოგანი. ერთი ლამფარა ფქვილი მამეცი (ხევი). (შდრ.
ბ. წერ. ლაფარა).

ლანბაქ-ი ლამბაქი. დააწყო სამი ვაშლი ლანბაქზე (ღარიხევი).

ლანჯ-ი „მური, მკვარტლი“ (განმარტ. ლექს. იმერ.). იხ. გალან-
ჯავს, გალანჯული, გეილანჯება, ლანჯავს, შელან-
ჯული.

ლანჯავ-ს რუჯავს. მე ვლანჯავდი ქანდს (ტაბაკინი). (იხ. ბერ.
ლანჯვა, ბ. წერ. ლანჯვა, დალანჯვა, განმარტ. ლექს. იმერ. ლანჯი).

ლაპ-ი სანთლის ალი. სანთელს რო უკიდია, ლაპი ქვია იმ ალსა
(ბერეთისა). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს., ანდრ.).

ლაპარაკი ჩამოუფარდება ლაპარაკი მოუვა. ლაპარაკი ჩამო-
გვივარდა სამძღვარზე (ზვარე).

ლარტყა (ლარტყეები) ბრტყელი და მსხვილი ძელები, რომლებზედაც

სახლის გადახურვის დროს აწყობენ კრამიტს. ორი ლარტყა გამოსაცვალი აქ ჩემ სახს (მანდაეთი). (იხ. საბა, ყიფშ., ბერ. ლარტყი, ულ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

ლასტი-ი 1. კარგი, სწორი, დავარგებული. ლასტი ტარო მკიდრომარცვლებიანი, დიდი, გრძელი, კარგი ტარო. სულ ლასტი ტაროები აქ წრეულს სიმიტს (ტაბაკინი, ხიდარი, უჩამეთი); ზინობიამ ყველას დოურიგა ლასტი ტაროები (სადვინე); დედა, რა დალასტულია სიმიდი, რა კაი ლასტები ია! (სანახშირე, ზედა საქარა, ფუთი, I, II სვირი). (შდრ. საბა. დ. ნ. ჩუბ., ყიფშ. ლაზუტი, ლაიტი, ლატი, ა. ჩიქ. შდრ. ლექს., მენთ., ქყ. ხალარი ტარო, ძიძიგ. ძიებ., განმარტ. ლექს., დიალექტ. მოხ. ხევს. ლეჩხ., ს. მ. ტერმ.). 2. ჭყინტი, მოუსვლელი, დაუვარგებელი. რო გამეერევა ჭყლინტი, იმას ქვია ლასტი ტარო. კაი მოსულ სიმიდში ლასტი ტარო დარჩა ბევრი (ჩიხა, სავანე, ჯალაურთა, ზვარე, მოხვა).

ლასტი ლობიო ლასტ ლობოს ცეძახით ჩვენე, მარცვალი რო არ აქ (სვერი); ლობიოში ლასტი პარკი ურევია (მოხვა); წადი, შვილო, ლასტი ლობიო მოკრიფე (დოდორა). (იხ. განმარტ. ლექს. ლობიო, ლასტა ლობიო; შდრ. დ. ჩუბ. ლასტა ლობიო).

ლატა 1. ნივნიზე (გადასაკიდებელზე) დაკრული ბრტყელი, გრძელი ძელი, რომელზედაც მაგრდება სახურავი, — ლარტყა. ლატაზე დააწყობენ კრამიტს, სახს რო დახურავენ (ხევი); სახურავისთვის მოსახმარი ლარ-კაეები გაკეთება. თავი თავს რო აქ დაბიჯული, მერე იმაზე დეეკვრება ლატები (ვახანი); ლატას ვეტყვით ჩვენე, როცა სახს ვაკეთეთ, რაზეც ყავარი უნდა დავადვათ, ლატას უძახით (ქვები). (იხ. დიალექტ. ქართლ., ჯაჯ. IX). 2. წვრილი. გრძელი ძელი სხვადასხვა დანიშნულებისა. ლატა მოჭრილი, წვრილი გძელი ხეა (ზვარე, სვერი). || ჭოკი. კაკალზე ვევილოდი და დავბერტყემდი. ლატას ვეტყოდით, დიდი, გრძელი ჭოხია. ზეიდან თვარ დაკარი, რა ჩამოცვივა (ქვები, ზვარე, სვერი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს., დიალექტ. ქართლ., ს. მ. ტერმ.; შდრ. მ. ჯან. მუკენი). || საზვინე. წვრილი, გძელი ხეა, ჩალას რო დგამენ ზედ. იმას ლატა ქვია (ხევი). ლატა წაბლი. რო გათლიან წაბლის ხესა, ლატა წაბლი ქვია (ვახანი).

ლაფათიმ-ი იგივეა, რაც ლაფათინი (იხ.). დგიმ-საბარცხლის ხე, ლერწმის საბარცხალი როა შიდა, ლაფათიმ ისაა (დორეშა).

ლაფათინ-ი საქსოვი დაზვის ხის ჩარჩო, რომელშიაც ჩადგმულია ლერწმის სავარცხელი. ლაფათინი ორი გათლილი ხეა, ერთი — გრძელი, სამკუთხედის მაგვარი, მეორე — სწორი და ორივეს აქ

ამოღრმავებული ადგილი. რომელშიაც ჩადებენ ლერწმის საბარცხალს (შომახეთი, ზარანი). (იხ. ალავ. ლეჩხ. ეთნ.; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ბერ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

ლაფანი იგივეა, რაც დანდალი¹, ლამფა (იხ.). ლაფნები გაყრილია ზესადგარში და უწყვეტებიც, მაგრამ უწყვეტები ზესადგარის (იხ.) გარეთ გამოდის და ზევიდან დამაგრებულია რიკით (განთიადი); ლაფანი აერთებს ზესადგრეს (შროშა); ჩვენში საფენელსაც უძახიან და ლაფანსაც ზესადგრეში გაყრილ ფიცრებს, რომელიც 9-10 ცალია (ხიდარი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ყიფშ. ლამფირი, ლოფინი, მენთ., ბერ. ლაფათინი, ნეიმ., ს. მ. ტერმ., განმარტ. ლექს.).

ლაფანა იგივეა, რაც ლაფანი (იხ.). აქა ლაფანაც იხმარება და დანდალიც (იხ.) (ქვები).

ლაფარა 1. საფქვილიდან ფქვილის ამოსაღები ხის ან ლითონის კოვზი თუ ჩოგანი. მადერ არი ლაფარა, ამეილე და ერთი ლაფარა ფქვილი ჩამიყარე (ქორეთი, დოდორა). (იხ. ბ. წერ., ჰინკ. ქრიჯი; შდრ. ყიფშ.). 2. ძლიერ პატარა ხის ბარი, რომელიც იხმარება კურის ფარფლზე აყალოს შემოსაცლელად (მანდაეთი, შუქრუთი) და ბარსა და თოხზე ტალახის ჩამოსაცლელად (ჩიხა). ლაფარა პატარა ბარია, იმით კურის თავს ირგვლივ მოვფხიკამთ (შუქრუთი). 3. მხლის დასაკეპი და ღომის ქაფის მოსახდელი ან ღომის ამოსაღები ხის პატარა ნიჩაბი (სინონ. ჩოგანი). ფხალის საკეპია ესე, ლაფარას უძახით (ბერეთისა); ღომს ურევთ ლაფარათი, ჩოგანი და სუთი აქ არ იციან (იქვე). (იხ. ნიჟ. ლაფერი²).

ლაფერა იგივეა, რაც ლაფარა (იხ.). ალადან (იხ.) ფქვილს ვიღებთ ლაფერათი (ზვარე). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. გურ. მნიშვნ. 1, 2, შდრ. ნიჟ. ლაფერი²),

ლაღა საფთად გათლილი ჯოხი კალაპოტში ჩასმული კრამიტის თიხის გასასწორებლად. ნამშრალში (იხ.) დგას ხის დაზგა, — ხის სტოლი. წინ აქ გობი წყლისი, გოფშია ხის ლაღა (ხვაშითი). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს.; შდრ. ბერ., ალავ. ლეჩხ. ლაღამოსმული).

ლაღანდარა ლაზღანდარა. ე ბიჭი ლაღანდარაა (ზარანი). (შდრ. შარაშ. ლაღანდარი). იხ. ალადანდარავეფს, ლაღანდაროფს.

ლაღანდაროფ-ს ლაზღანდარობს. ე ბიჭი ლაღანდაროფს (ზარანი). (შდრ. შარაშ., განმარტ. ლექს.). იხ. ალადანდარავეფს. ლაღებ-ა სიმაგრეს კარგავს, სუსტდება. ოტკა გალადდა (წირქვალი). იხ. ლაღე.

ლაღე აუსტი, რბილი. რკო ლაღე ყურძენია (რგანო). ლაღე ღვინო.

ლალე დვინო სუსტია, მაგარი არ არი (მანდაეთი). (იხ. ქავთ.; შდრ. განმარტ. ლექს.).

ლაყე იგივეა, რაც ლალე (იხ.). ვენახსა რასაც მალე მორწყამ ლაყე წამლითა, ის ჯობია; მეტ შაბიბანს რომ მიცემენ, წვამს ისი. ლაყე წამალი ცოტა ბილია და ვენახისთვის ის ჯობია (ქვები). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ლაშე ტალახი, ლაფი. ამ ლაშეში რანაირათ ჩევიდე იქა (შომახეთი).

ლაშკინ-ი იგივეა, რაც ფრჩხილა (იხ.). ზესადგრის თავებში ამობნეულია ორი ხე, რომელიც ვიწრო თავით ულელს უერთდება სამატიით და ამას უძახით ლაშკინეფს (ბორითი), აქა უფრო ხშირათ ლაშკინეფს ვხმაროფთ (წვარე); ჩვენ ლაშკინეფს უძახით. იმერეთში — ფრჩხილას (ქვები). (იხ. საბა, ჯაჯ. IX ლაშკინი: შდრ. ალავ. ლეჩხ. ლოშკინი, XXIV ლაშკინი, ბერ. მარხილი).

ლაჩი-ი || ლაჩი მუხა გადაჭრილი ან გადაუჭრელი მუხის ძირში ნორჩი, ტანაზრდილი, სწორი, უტოტო ამონაყარი; ან ცალკე, ობლად ამოზრდილი უტოტო, სწორი, წვრილი, ნორჩი მუხა (დაახლოებით მაჯის სიმახსო), რომელსაც ძირითადად იყენებენ ტყეჩისათვის. მუხამ რომ ამეიყაროს ლორთქათ (იხ.), იმას ეძახიან ლაჩს; ლაჩი მუხა ობლათაა ამოსული, ცალკე ერთი, უროკოთ, სატყეჩათ იხმარება, კალათების საწნავათ... ლაჩ მუხას მოყენეღადვენ, ახმობდენ მზეზე და ხმარობდენ ფარნათ (შროშა); გძელი ჯოხები შეიღუნება (ორი ჯოხი) და გეყრება სახობავი ბადის (იხ.) ტარში. ლაჩ მუხას ხმარობენ მაგაზე, ადვილად იღუნება ისი (სანახშირე). (შდრ. ბერ. ლეჯერა | ე-ჲ, ჯაჯ. X ლაჩა, ლანჩა).

ლაჩუა მოუხერხებელი, გლახა. ლაჩუაა მოუხერხებელი, გლახა, უღიმღამო, რისკი რომ არაფრის ექნება (ლორეშა).

ლაჭ-ი ნედლი. ლაჭი კეტი მოაძრო (შომახეთი). (შდრ. ალავ. ლეჩხ., განმარტ. ლექს. ლაჭე).

ლეგევერ არაწმინდელი (შელოცვის დროს ნახმარი მიმართვა) ეშმაკეულობასა ჰქვიაო. ლეგევერ არაწმინდელი, რა გინდა ზეზეს მიწასა... (წირქვალღი).

ლეიკა || ლეიკა (რუს. лейка) ძაბრი. ლეიკით ჩაასხით ღვინო, არ დეგექეთ (ხევი); ლეიკა სტოლზე იყოს, მერე დამჭირდება (ლარხევი).

ლეკ-ი || ლეკის ხე სუფთა ხეა, ფართო ფოთოლი აქვს, მაღალი იზღება, მასალათ იხმარება (ჭალაურთა). (იხ. საბა, დიალექტ. რაჭ. ლეკი. ს. მ. ტერმ. ლეკა, მენტო. განმარტ. ლექს. ლეკის-ხე). შდრ. მეილეკება.

ლეკარტი-ი რჩეული, კარგი. ეს ამდენი ლეკარტი ბიჭები ტაფელასავით გადაატრიალა (ზარანი).

ლელები-ი გადაუღებელი წვიმა, — თქეში. ლელებია და კარში ვერ გავდივარ (განთიადი). (იხ. ქავთ.).

ლემენცური თოხი პირველი გათოხნის დროს ხმარებული თოხი, რომელსაც ჩვეულებრივს თოხთან შედარებით პატარა, მაგრამ გრძელი პირი აქვს. ყანა პირველათ ითოხნება ლემენცური თოხით, პირი პატარა აქ, მარა უფრო გძელია (არგვეთი).

ლენჭყ-ი მინდორში დამდგარი წყალი, რომელიც შეუმჩნეველია და ამის გამო ფეხს ასველებს, — ჰენჭყი. სა მიღიხარ მაქეთ, ლენჭყია (ტაბაკინი). (იხ. ბერ. ლენჭყო, ბ. წერ. ლეჰენჭყო, ალავ. ლეჩხ. ლაჰე, ლენჭყი, ოკრ. ლაჰაფი, განმარტ. ლექს. იმერ. ლენჭყი, ლენჭყო; შდრ. კახ., ჰყ. ლეჰერი).

ლენჭყიანი ადგილი ჰაობიანი ადგილი (სინონ. ჰენჭყიანი). წვიმის მერე ვერ გვივლი, ლენჭყიანი ადგილებია (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ.).

ლენჭყობი-ი || ლენჭყოფი ჰაობიანი ადგილი. იქა სულ ლენჭყობია (ღარიხვევი); ლენჭყოფი იღვა მანა (ზრეთი). (იხ. განმარტ. ლექს. ჰენჭყობი).

ლესტერი-ი კოკისპირული წვიმა. ლესტერი წვიმა მევიდა (ხილარი, წირქვალი, განთიადი...). (იხ. გურამი, ვაჟა I დელგმა, ჰყ. ლესტერი, არაზანი, ედ. ლეზღმა, ქავთ. ლელები, ს. მ. ტერმ. მერეხი, ჯაჯ. IX ლესტერი ამინდი, ნიჟ. თავსხმა; შდრ. საბა. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს., ბერ. ლესტერა). იხ. დალესტერავს, დალესტერილი.

ლია 1. სისხლის ღვარი. დანა სახეში დეერტყა და სახეზე ლია ჩამორბოდა (სვერი). 2. წვიმის ღვარი. წვიმდა და ლია გაგვიოდა სულ (მანდაეთი). 3. გუბე; ლაფი, ტალახი. ლია დგას ყანეფში, რას განვალ (წყალშავი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, ჰეშიკი, მაის.; შდრ. მენტ.).

ლიაგადადენილი-ი სისხლჩამოდენილი, გასისხლიანებული. იმას გვეისტუმრებდი აქედან ლიაგადადენილს, გოუხეთქდი თავს (შომახეთი).

ლიამპარი-ი იგივეა, რაც ლია (იხ. მნიშვნ. 2). კოკისპირულათ წვიმდა და ლიამპარი ააყენა (ტაბაკინი); ლიამპარს შეუდგე იქა? (ღარიხვევი). (იხ. დ. ჩუბ.. განმარტ. ლექს. ლიამპალი, ლია 1; შდრ. ჯაჯ. IX ლიავღვარი). ლიამპარი წვიმა ნიაღვარი, თავსხმა. შეიქნა ლიამპარი წვიმა (ტაბაკინი). (იხ. ჯაჯ. X ლიავღვარი; შდრ. განმარტ. ლექს. ლია, ლიამპალი).

ლიანგი-ი ერთად შეყრილი მრავალრიცხოვანი ხალხი; შინაური ფრინველი თუ ცხოველი ან ბარგი. ლიანგი ხალხი იყო გასვენებაზე (ხიდარი); ჩვენ ლიანგი ვართ ოჯახში (განთიადი); ლიანგი დამოწყტა შიერი (ტაბაკინი); ამდენი ლიანგი სხვის კარზე გვეყარა. გვეღუპებოდა ნაშრომი (განთიადი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ., ჭყ., 4 დ., 3 აჯ. X ლიანგი ხალხი; შდრ. გრიშ. ლიანგი, სალიანგო. ძიძიგ. ქრესტ.).

ლიბანი-ი მაღლად ტანაზრდილი, უტოტო, სწორი ხე. ტყეში მოუჭრელი სამასალე ხე რო იქნება, უტოტო, ლიბანია იხი. სულ ლიბანი იყო, მუხის ლიბანი, როკი კარ ქონია, წვეროს მეტი (უჩამეთი). (იხ. ჭყ., ძიძიგ. ძიებ. ლიბნი-ხე, მ. ჯან. ლაღოზ, ბ. წერ. ლოტო, მენტ. ლიტო. შდრ. საბა, განმარტ. ლექს.).

ლიბანა || ლიბანა ტარო კარგი, დიდი ტარო. არ არი ლიბანა ტაროები? (გეზრული). შდრ. ლასტი.

ლიბერი-ი თეთრი, ოდნავ მორუხო-მოიისფრო ელფერი. კარტოფილის ფქვილი უფრო ლიბერია თუ კრახმალი? (ტაბაკინი); წისქვილში ფქვილი შემეცვალა, ეს ლიბერია (განთიადი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2., ს. მ. ტერმ., შარაშ., ქეშიკ. ლეგონი, ქავთ. ლიბერი; შდრ. ვისრ. ლიბრი, საბა, დ. ნ. ჩუბ.).

ლიკლიკი-ი უთავბოლო. გაუთავებელი ლაპარაკი, ყბედობა. კაცის ლიკლიკი და ქალის ერთი არი? (ხიდარი); არ ქწყინდება ლიკლიკი? (ტაბაკინი). (იხ. ალაგ. ლეჩხ. ლიგლიგი, კლდ. ლიკლიკი, განმარტ. ლექს. ლაქლაქი; შდრ. ბერ. ლიგლიგი, ლიკლიკი).

ლინგი-ი 1. სამკუთხედად გამოჭრილი მატერიის ან ხის ნაჭერი. თუ არ გეყოს სახელოს სიგანე, ჩააყენე ლინგი კაბის სახელოში (ტაბაკინი). ფიცარი არ ეყო და ლინგი ჩააყენა (იქვე). (შდრ. საბა, განმარტ. ლექს., 4 დ., ნიჟ.). 2. თოხის პირი, წვერი. თოხის ლინგი გაცვთა (ტაბაკინი); ლინგი თოხის პირის წვერია... თოხს ლინგები აღარ უვარგა. უნდა გამეპიროს (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს. ლინგი¹ მნიშვნ. 1. ჭუმბ. 280; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., მ. ჯან. ლინგ).

ლინგა თოხი გაშლილი, სამკუთხედის მსგავსი თოხი, მაღლა აზიდული წვეროებით, — ლინგებით. თოხი ორგვარია: ქართული და ლინგა თოხი (ვახანი); ჩვენ ლინგა თოხს ვხმაროფთ ვენახშიც, ბოსტანშიც, ყანის გამარგვლის დროსაც (შროშა); ლინგა თოხით ვენახის მარგვლა და მოროდით უფრო კაია, ვენახის ძირეფში მარჯვეთ ქრის ბალახს (წედა საქარა).

ლიპლიპუტა ზიზილ-პიპილო. ლიპლიპუტეფს იცვამდა, ახლად რაღას ჩეიცვამს? (შუქრუთი).

ლიყიანი-ი ენაბრგვილი, ენამოშლილი, ბლუ. ლიყიანია ეკაცი.

ენა არა აქ სწორი (ვახანი); მისი ლიყიანი გოგო არ დევინახო ჩემ ოჯახში (წვარი); ლიყიანია, რო უნდა თქვას და გვიანობადი ვერ ამეიღეთს ენას (განთიადი). (იხ. ქყ. განმარტ. ლექს.; შდრ. საბა ლუცი, ქავთ. ლიყინი).

ლიშხ-ი გადაქრილი ან გადაუქრელი მცენარის ძირში ნორჩი, სწორად ტანაზრდილი, უტოტო, წვრილი ამონაყარი; ან ცალკე სწორად ამოზრდილი სულ ნორჩი, უტოტო, წვრილი მცენარე. ზოგიერთი მცენარის ლიშხს გოდრებისა და კალათების საწნავ მასალად იყენებენ. ლიშხია მცენარე რომ ამეიყრის ძირეფში ლორთქათ (იხ.) და იზღენა უროკოთ, შტოეთს რომ არ გამეიღეთს. მუხა რომ ამეიყრის ლორთქათ. იმას ეძახიან ლაჩს (შროშა); ლიშხს უძახით მცენარის ძირში ამონაყარ ახალ შტოეთს (ტაბაკინი). (შდრ. ქყ. ნორდი, ქეშიკ. ლულუტი, განმარტ. ლექს., ნიქ. ლეშხი). შდრ. იშხვარი.

ლიშხვარი-ი იგივეა, რაც ლიშხი (იხ.). წყლის პირსაო ჩვენ ხელმწიფეს ლიშხვარი ვაშლი აქ და, სანემლი არ დავარგდება ისი, ყარეულეები დოუყენეთო (გეზრული).

ლიხ-ი მრავალი შინაური ცხოველი და ფრინველი, — წვრილფეხობა. როცა ლიხი ქყავს, პილწავს ეზოს (ტაბაკინი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს., ქავთ. ლიხერტი). შდრ. ალიხული, გამოლიხამს, ლიხავს, მეელიხება. მოლიხავს, მოლიხვა, ჩალიხული.

ლიხავს | ამს უწესრიგოდ მიყრის-მოყრის რამეს, ჩახერგავს ისე, რომ ტევა აღარ არის. არ გვასვენებს, აქა გვლიხამს ჩვენე (უჩაშეთი); ქეკი მოლიხა აქოურობა (ტაბაკინი). შდრ. ლიხი, მოლიხავს.

ლიხვაზე მოდის ბლომად მოდის, ტევა აღარ არის. არ მოდის ეს იმიდღი ლიხვაზე? (ტაბაკინი).

ლობიანა ბოტ. ჩაწყობილა-ბაია (მაცაშ.). ლობიანა მინდვრის ფხალია, მისი ბარდი ლობიოს ბარდს გამს, მინდვრის ფხალში ვეკვამთ ლობიანას (ჩიხა); ლობიანა კრიალა ფერისაა, პატარა, რგვალი, კბილანებიანი ქრელი ფოთოლი აქ (ხიღარი).

ლობიო ძალასაა გამოსული დამწიფებულა (წედუბანი).

ლოგინ-ი დიდი, გრძელი ტახტი მთელი კედლის გასწვრივ. მას დგამენ საჯალაბო სახლში (იხ.) და საწოლად იყენებენ. ლოგინი ქვეკონდა, დიდი, გძელი ლოგინი, ფიცრის ლოგინი იყო, სახლის სიგქეთი გაკეთებული ცალ გვერდზე (ბოსლევი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., მ. ჯან., ყიფშ., მენთ. 1, 2, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2; შდრ. დიალექტ. ქართლ., კახ.-ქიზ., რაქ.). შდრ. დეილოგინეთს.

ლოთქო იგივეა, რაც ლონთქი (იხ.). ლოთქო კიტრი მიირთვით (ვახანი). (შდრ. განმარტ. ლექს. ლორთქო).

ლოკოკინა ლოკოკინა თავის ნიჟარიანად. ლოკოკინა არი თავის ნიჟარიანათ, უნიჟართ—ლოქორია (უჩაშეთი). (შდრ. საბა, ნ. ჩუბ.).

ლოკორკინა იგივეა, რაც ლოკორტინა (იხ.). ლოკორკინებით სამსეა ბოსტანი (მოხვა).

ლოკორტინა ლოკოკინა. ლოკორტინას ლოკოკინას უძახიან. დუმე (იხ.) საკმელია (ხრეთი). (შდრ. მ. ჯან. ლაფორჩქინაჲ).

ლოლოა ლოლუა. ჩამეკიდა ლოლოები (მანდაეთი). (შდრ. მეტ.).

ლონთქი-ი || ლონთქო თოთო, ნორჩი, ქორფა. მოვკრიფე ლონთქი ჩაი და მოვსრისე ხელითი (ტაბაკინი); ლონთქია სულე ჭინჭარი (სანახშირი); ლონთქო კიტრი მოვკრიფე (განთიადი). (იხ. ჯაჯ. IX).

ლონთქოშ-ი იგივეა, რაც ლონთქი. ლონთქო (იხ.). ლონთქოში ბურაკის ხორცი კაია (ზედა საქარა). (იხ. ბერ. განმარტ. ლექს., ჯაჯ. IX).

ლოპ-ი 1. იგივეა, რაც ლოპორა, ლოპრი (იხ.). ლავრენტი ბიჩიას აქ ლოპი, შუაში არა აქ თმა (შომახეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.). 2. ლორწო (იხ. განმარტ. ლექს. ლოპი, ლოპრი მნიშვნ. 2). შდრ. ალოპავება. ალოპავებული. გალოპოებული, ლოპავობა.

ლოპავობა გაზაფხულზე მცენარეებში წვენთა მოძრაობის დაწყების შედეგად სისველის ჩადგომა და ქერქის ძრობა. ლოპავობა არ მოუთავებია ხეებს (ღორეშა). (იხ. კირ. მოლოპრა, განმარტ. ლექს.: შდრ. საბა ლოპო, გრიშ. ლოპიანა, ლოპო).

ლოპოთ გადატ. თავისუფლად. ხ'ვარ გეგონა, ისე გამოხვიდოდი. ლოპოთ? (ტაბაკინი). (შდრ. განმარტ. ლექს. ლოპო მნიშვნ. 2).

ლოპორა || ლოპრა გადატიტვლებული. მელოტი. ლოპორა თავი აქ მაგის ბიქს (წიფა); ლოპორა თავი აუშნოფს კაცსა (იქვე).

ლოპრი-ი იგივეა, რაც ლოპი, ლოპორა (იხ.). (იხ. განმარტ. ლექს. ლოპრი¹ მნიშვნ. 2; შდრ. მეტ.). იხ. გადალოპრილი.

ლორდ-ი ვაზის მოზრდილი ყლორტი. პირველათ ვენახს ყლორტი აქ, მერე ლორდი და, რო დასხვილდება, — ლერწი (ხიღარი); ლორთქი (იხ.) რო იქნება, ლორდი ქვია, დიდს — ლერწი (ზევარე); ვენახს ლორდი რო გეეზდება, კონიან (ღორეშა). (იხ. ბერ. ლორდი, ნორდი, განმარტ. ლექს. ლორდი¹, დიალექტ. იმერ.).

ლორთქი-ი იგივეა, რაც ლონთქი, ლონთქო (იხ.). ლორთქი კიტრები აღარაა ჩვენ ბოსტანში (ხიღარი); ეს ლორთქი ეკალია (იქვე). (იხ. შარაშ. ლორთქო, ლურთქი, ბერ. ლორთქოში, ბ. წერ., ჯაჯ. IX, განმარტ. ლექს.).

ლორწამი-ი ერდოიან სახლში, შუაეცხლის თავზე, დირეებზე დაკიდებული, ოთხკუთხედად შეკრული ოთხი ძელი, რომლებიც სიგანეზე იყო გახვრეტილი და გაყრილი ჰქონდა 5-6 ლატანი (გასაყარაები). ლორწამს იყენებდნენ სხვადასხვა დანიშნულებსათვის: მასზე ზამთარში ამრობდნენ სველ ტანსაცმელს, ცხრილზე დაყრილ მარცვალს, თესლეულს, ჩირს თუ სხვა რამეს, ჩამოჰკიდებდნენ ლორს. ლორწამის შუაში ეკიდა საქვაბე. ლორწამი არი 4 დერი, შეკრული მაღლა ოთხკუთხედად, შუაეცხლის თავზე, და იმაში გაყრილია წვრილი ჯოხები 5-6. ლორწამი გახვრეტილი იყო და სიგანეზე ქონდა ეს ჯოხები გაყრილი. ზამთარში გადაკიდებდნენ ლორწამზე და დილას მშრალი დახვებოდა, თუ რამე ქონდათ გასაშრობი. ცხრილზე დაყრიდნენ და გაყრილ ფიცრებზე შედებდნენ და გაახმობდნენ ასე სხვა რამეს. ლორს დაკლემდნენ, ამ ლორწამზე დაკიდებდნენ და გამეიყვანდნენ მშვენიერ მიჩინას (იხ.). სახში იყო დირეები და დირეებზე იყო დაკიდებული ეს ლორწამი, ჩელტი რო გაგიდევს ახლა. ისე (ბაჯითი); ლორწამი ოთხკუთხედი ხე იყო, გახვრეტილი იყო და გაყრილი ქონდა გასაყარაები—ჯოხები. იყო ჩამოკიდებული მერე საქვაბე. ბოლზე დაეკიდებდით მიჩინას და გამევიდოდა ყვითელი ხორცი (შომახეთი, წყალშავი). (შდრ. ბ. წერ. ლორწი, ლორწომი, განმარტ. ლექს., ალაე. ლეჩხ. ეთნ. კაკიბერა, ქყ. ლორწამი). შდრ. კადო.

ლოტა კარგი, მოსული ვაჟაკი. რა ლოტა კაცი მოკლეს! (გეზრული). (შდრ. ბ. წერ. ლოტო, განმარტ. ლექს. ლიტაო).

ლოფოთი-ი ფოთოლი, ფურცელი. წენელსა ვერ ვშოულოფ, ახლა ლოფოთი რო აქ, ვერ ვხედამ (ვერტყვიჭალა); ლოფოთი შეაკრიფე, როკი (იხ.) არ მოტეხო ბეოლას (ხიდარი); სვიმონს, ლოფოთი რა არისო, გაუკვირდა. ხან ლოფოთს უძახით, ხან ფურცელსა-მეთქი (ვერტყვიჭალა); არც ტაროს მოკიდემდა ხელს, არც ლოფოთს (ხიდარი). (იხ. ძიძიგ. ძიებ. ლოფართები, ჯაჯ. IX ლეფორთი, ლიფორთი; შდრ. განმარტ. ლექს. ლოფორთი).

ლოქი-ი დორბლი. პირიდან გადმოღის ლოქი (სვერი); ნუ გიყვარს ტუჩის მიღება სახეზე და ლოქის მიცხება (მანდაეთი). (იხ. ქყ. განმარტ. ლექს. იმერ. ლორწი; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ. ლოპრი, ლოშქრი, ელ. ლოყორწია, შარაშ. ლოპერი, ლოპერაი, განმარტ. ლექს. ლოპრი¹ მნიშვნ. 1, ნეიმ. ლოშქი).

ლოქაფი-ი დონიერი, ძლიერი. ორი ლოქაფი ვაშაკია იმისთანა, რო არაფერს გოუქირებენ კაციშვილს (საბე). (იხ. ქავთ.; შდრ. განმარტ. ლექს., ნეიმ. ლაქაფი).

ლოქიანი-ი ლოქით (იხ.) დასვრილი, — დორბლიანი. მეზარება მისი ლოქიანი ტუჩების მიკარება (სვერი). (შდრ. ბერ. ლირტყვი).

ლოქია ადამიანი, რომელსაც ლოქი (დორბლი) გადმოსდის პირიდან. ლოქი რო ჩამოდის პირზე, ის არი ლოქიჩა (სვერი). (შდრ. კახ. ლოქაფა).

ლოქლოქა იგივეა, რაც ლოშლოშა (იხ.). მაგისი ძმა დიდი ლოქლოქა კაცი იყო (ზედუბანი).

ლოქორია ლოკოკინა. ლოქორიებით იყო მიწა სამსე (მანდაეთი).

|| ლოკოკინა უნიქაროდ. უსაფართო ლოქორიაა, საფართო — ლოკოკინა... ლოქორიებით გეიმსო ბოსტანი (ტაბაკინი). (იხ. ელ., უთურ. ლიფოთინაჲ, ლიფოშინაჲ, ნეიმ. ლოქორა, ალავე. ლეჩხ.; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. ლოქორა).

ლოშლოშა ლაქლაქა. ლოშლოშა ქალია ამის ცოლი (მერჯევი). (შდრ. განმარტ. ლექს. ლოშლოში).

ლოქია პრანჭია. ლოქიაა მისი გოგო (დილიკაური). იხ. ილოქება.

ლუთუნ-ი ძლიერ ქონიანი ხორცი. მოვთლიდით ლუთუნს და ვკამდით (ზარანი). (იხ. ჰყ., განმარტ. ლექს. ლურთი; შდრ. ალავე. ლეჩხ. ლურთი, დიალექტ. გუდამაყრ. საპირისპ. ლუბი, ყაზბ. გალუბება).

ლუპაობა იგივეა, რაც ლოპავობა (იხ.). მარტსა და აპრილში ხის კანსა და ტანს შორის არის დიდი სისველე. ამ დროს ხეს, განსაკუთრებით წაბლისას, კანი ადვილად ძვრება. ჩვენ ამას უძახით ხის ლუპაობას (სვერი). (იხ. საბა, განმარტ. ლექს. ლოპო).

ლურსმანა საქონლის ქედის ავადმყოფობა, — შესივება და დამუწუკება, გამოწვეულია უღლის დადგმით. ლურსმანა ხარეფს კისერზე უჩთება, ჩირქი უგროვდება. რო მორჩება წამლითა, როგორც თხილი, ისე ამოვარდება (გეზრული). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, ალავე. ლეჩხ. ეთნ.).

ლურტყ-ი ახალგაზრდა, ნორჩი. სიმიდი ჯერ ლურტყია (უჩამეთი); მოუბი კაი ლურტყი წიფელა (ზარანი). (იხ. ბერ., განმარტ. ლექს.). შდრ. თოთქი, ლოთქო, ლონთქი. ლონთქო, ლონთქოში, ლორთქი.

ლუყ-ი მოუხერხებელი, დონდლო, გაუთლელი. ლუყი ხარ შენე. როდის ისწავლი ქკუას (ზედუბანი). (იხ. შარაშ. მნიშვნ. 2, ბერ. ლოყო, ელ. ლოყორა, განმარტ. ლექს., ნეიმ. ლოხი!; შდრ. საბა).

ლუყლუყ-ი უშნოდ ლაპარაკი, ყბედობა. დეიწყო უნცროსმა ლუყლუყი (დილიკაური). იხ. ილუყლუყეფს.

ლუყურტ-ი არასასიამოვნო, უგემური სასმელი ან საკმელი. მეტი ლუყურტია თქვენი ღვინო და არ მომწონს (ტაბაკინი). (იხ. კირ., ბერ., ალავე. ლეჩხ. ლუყურტი, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1). შდრ. გალუყურტება.

მა მაშ. თავრობისაგან ჯილდო მეკუთნის, მა! (მერჯევი); „მაშ, კიდევე გუშაოფ? — მა!“ (ჯვარე); „წყალი მეიტანე? — მა!“ (ბერეთისა); სახლი მიეცა იმასა, ერთი ოთახი, მა! (წაქვა). (იხ. დ. ჩუბ. დიალექტ. ქართლ) ინგილ. იმერ.; შდრ. საბა, ბესიკი, ვაჟა I, მ. ჯან, ჯაჯ. IX).

მა ზმნისწინი მო (იხმარება მთელ ზემო იმერეთში, როცა მო-ზმნისწინს მოსდევს ბაგისმიერი მ). (იხ. გურამ., ყიფშ. მნიშვნ. 2, დიალექტ. ხევს., მოხ., მთიულ., გუდამაყრ., ფშ., თიან., ყიზლ.-მოზდ., კახ.-ქიზ., ინგილ., ფერ., ქართლ., რაქ.).

მაანა იგივეა, რაც მადანა (იხ.). იყოს მაანა ესე (ლორეშა); მაანა იქნება და მეიტანე (ქორეთი); არავინ არი მაანა? (გეზრული); მაანა ვინ ჩამოპარულა? (შროშა). (იხ. დიალექტ. იმერ.) მა აპა მაშ, აბა. მერე ვიკითხეთ, მა აპა! (წაქვა); ცოლი სულ შენზე ტიროდა, მა აპა! (ჯვარე); „ვენახი მოკრიფეთ? — მა აპა!“ (ბერეთისა). (იხ. ძიძიგ. ძიებ.).

მაგათანავებ-ი მაგათი მსგავსნი, მაგათნაირები. მაგათთანავებმა რო იყიდეს ჩემი სახლი, იმაზე მწყეტება გული (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს. მაგისტანა).

მაგობარ-ი მეგობარი. ერთი მაგობარი გამიჩთა (პირველი სვირი). მაგრატებელ-ი || ვენახის მაგრატებელი ვენახის მაკრატელი. ვენახის მაგრატებელი არ დაკარქო (ტაბაკინი); ვენახს რო ვსხლამთ, მაგრატებელი ქვია იმას (ლოდორა); ვენახის მაგრატებელია, საოჯახო — მაგრატელი (საბე). (შდრ. დიალექტ. რაქ.).

მაგრატელა იგივეა, რაც მაკრატებელა (იხ.). მაგრატელა ბალახია. ხეს ეხვევა, ნეკისოდენა სისხო აქ, კალათების თავის მოსაქსოვათ იხმარება (შროშა).

მად || მადა (ასე იხმარება ხარაგოულის რაიონის ქართლის მოსაზღვრე სოფლებში) იგივეა, რაც მადანა (იხ.). მად იყო, ხარაგოულში (წიფა); ორივე მად არიან (ჯვარე); ეგრე წერია მადა? (ხევი). (იხ. საბა, განმარტ. ლექს. იმერ. მად², მადა², დიალექტ. ქართლ.). იხ. მაანა.

მადანა || მადანას მანდ. დეეტიე მადანა (ჯარანი); რა უნდათ, რომოდინ მადანა? (ღარიხევი); მადანა უნდა ყოფილიყო (ხიღარი); დაქეჩი მადანა (ჯოვრეთი); აგდია მადანა (მანდაეთი); ერთი გასასვლელია მადანას (წყალშავი); ფეხი მიაშვირე მადანას და გაგიფთება (შომახეთი). იხ. მაანა, მად, მადა. მადე მანდ. დადე მადე (ვერტყვიჭალა).

მადედან მანდედან. დაიწყეთ მადედან თქვენე (ზვარე).
მადერ || მანდერ მანდ. მადერ არი მამაშენის შვილდ-ისარი (ხი-
ლარი); მადერ დაწერეს (ვახანი); საინი მანდერ არი (წაქვა).
იხ. მ ა ა ნ ა, მ ა დ, მ ა დ ა, მ ა დ ა ნ ა, მ ა დ ა ნ ა ს, მ ა დ ე.
მადრიელ-ი მადლიერი. სუყველა ყავთ მადრიელი (ხრეთი).
(იხ. საბა).

მაეთ მანდეთ. მაეთ კრუშკა გექნება (ზელა საქარა).
მავან-ი ესა და ეს. ქურდი და მავანი ხალხი უნდა დახვრიტო
(რვანი). (იხ. მ ე ნ თ., ძ ი ძ ი გ. ქ რ ე ს ტ., განმარტ. ლექს., დიალექტ.
კახ.-ქიზ., თუშ. თიან.).

მაიდან || მაიდანა || მაიდანი მანდედან. მაიდან წამოსული არ იქ-
ნება (პერევისა); გაქრი მაიდანა (ხევი); რას წამევიდოდა მაი-
დანის (შუქრუთი). (იხ. ჯ ა ჯ. IX მაიდანის).

მაინ მაინც. შენ მაინ მოსულიყავი (ტაბაკინი); მევიდა მაინ 120
სტუმარი (უჩამეთი). (იხ. დიალექტ. რაჭ. იმერ.).

მაინძელ-ი იგივეა, რაც მასინძელი (იხ.). მაინძელო, მა-
ინძელო, სტუმარს არ ლებულოფთ? (უჩამეთი). (იხ. ქ ა ვ თ.).

მაისა იმერული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, მაისში ყვავილობს, ადრე
მწიფდება, დიდი მტევანი აქვს. მაისა, მაისი სანამ არ დადგება,
არ გამოვა, ყვავილოფს სხვა ვენახებთან ერთად, ადრე მწიფდება,
თეთრი, დიდი ტევანი აქ, მუავე. ახლა აღარ არი ბევრი. თვარ გაავ-
ცულეს ეს ჯიში, დეიკარქება სამილდემჩიოთ (ბაჯითი); მაისა თეთ-
რია, მერე გაყვითლდება, გემრიელია იმისანა, რო დასკტება, ბზიკე-
ბი ჰამენ (პერევი, ზედუბანი); დონდლაფს უძახით მაისა ყურ-
ძენს (ღარიხევი). (იხ. ჯ ა ვ ა ზ. საქ. ეკ. ისტ. II, 438, ალავ. ოკრ.).
მაკასა იგივეა, რაც ვაკასა (იხ.). მ ა კ ა ს ა ბ ა ყ ა ყ ი ხ ის ბ ა ყ ა ყ ი ა
(ვახანი). (იხ. ჭ ყ. ვაკასა).

მაკარიის ძაფივით ძაფივით წვრილი და წმინდა. პეპლამს გველი ქა-
თამს, კვერცხი მისი სულ პატარა არი, ქათმის კვერცხში იყო ის
წყეული, მაკარიის ძაფივით იყო (ფარცხნალი).

მაკიდონელ-ი ოხრახუში. ნიახურ-მაკიდონელი მოკრიფე
(მანდაეთი); სალათას შამოვაყოლეფ კვალს, მაკიდონელს, ნია-
ხურს, ქონდარს კვლეფში დავეთსამ (ხვაშითი); ჩვენში მაკიდო-
ნელს უძახით, მარა ამ სოფელში უმფრო ოხრახუშს უძახიას (ზე-
და საქარა). (შდრ. ყ ი ფ შ. მაკინდოლი, ჟღ. მაკიდო, მაკიდონი, გან-
მარტ. ლექს. მაკიდო, დიალექტ. ქართლ. მაგდანოზი).

მაკიტონელ-ი იგივეა, რაც მაკიდონელი (იხ.). აქა მაკიტო-
ნელს უძახით ოხრახუშს. ბებიაშ მაკიდონელი იცის (ბოსლევი).

მაკონავ-ი მომკილი პურის მკონავი. მაკონავი მომკილ პურს შე-
კონის ნამჯებათ (იხ.) (ხვაშითი).

მაკრატებელი-ი ვაზის საქრელი მაკრატელი. მაკრატებელი ვენახის საქრელია, სახში რო ვხმაროფთ, მაკრატელია (ჩინა). (შდრ. ს ა ბ ა).
მაკრატებელა || მაკრატელა ბოტ. ღვედეკეცა. მაკრატებელი მცენარეა, ხეზე იცის შემოყოლა სუროსავით, ბაწრის მზგავსია, ისხამს მაკრატელივით პარკოვან ნაყოფს (უჩამეთი). (იხ. ჰ ყ., განმარტ. ლექს. მაკრატელა 2; შდრ. მენტ. მაკრატელა მხალი).

მაკულოფ-ს მაკდება. ხარ-ირემი დაუწყევს დევასა და მაკულოფს ისი (ვახანი).

მალი-ი კედელში სიგანეზე ფიცრის დამატება განის მოსამატებლად (სინონ. ფარდი). სახლის ყურეფს რო გაწევ და შორს გეიტან, შუაში სიცარიელე რო რჩება და იგი უნდა ამოავსოთ ფიცრით, — ესაა მალი (განთიადი); სახლის ყურეები გაწვიეთ და ამოუყვანეთ შუაში მალი (დილიკაური). (შდრ. ს ა ბ ა B, მენტ., ა. ჩიქ. ფერ., განმარტ. ლექს.).

მალა¹ მართლა. ვმუშაოფ, მალა ვმუშაოფ (ვერტყვიჭალა); ამასობაში მალა მევიდა ქმარი (საბე); წელზეით მალა ტიტველი იყო (წაქვა); მალა დედოფალს გამს (მოხვა). (იხ. ბ. წერ.).

მალა² საქონლის ხერხემალი. მალაი საქონლისას ქვია, ღორს აქ ხირხიმალი (მოხვა). (შდრ. ჰ ყ., განმარტ. ლექს.).

მაღეზე მალე. ჯარში გამოუძახეს მაღეზე (დილიკაური).

მაღემდინ მანამდის. მაღემდინ იცოდენ ვინმეს წაყვანა (ბერევი).

მალოქ-ი ბოტ. ბალბა. მალოქის ფხალს რა ჯობია! (გეზრული). (იხ. განმარტ. ლექს. მოლოქა, მოლოქი).

მამალი განის შკაფი სადურგლო ხელსაწყო. შალაშინის მსგავსი ხელსაწყოა, ოღონდ რკინის პირის შუა ნაწილში აქვს ღარი, რომელიც ხეზე გასმისას წარმოშობს ამოზნექილ ადგილს, რაც ჩაზნექილ ნაწილში ისმება (ტაბაკინი).

მამალი ციცქა ციცქას (იხ.) ერთ-ერთი სახეობა. მამალი ციცქა წერილმარცვლიანია, დედალი — სხვილმარცვლიანი (შროშა).

მამაწიათ დატაცებით, მამასისხლად. მამაწიათ იყიდებოდა ჩემი თავმობმული ქვევრა და ისარნა (იხ.) (ბოსლვეი).

მამღვენებულ-ი მომღვენო. ისიც მამღვენებული იყო, ილუში (ბერეთისა). (შდრ. შარაშ. მომტანი).

მამის და დედის ლობიო ლობიოს ერთ-ერთი ჯიშია (ტაბაკინში არ იხმარება). მამის და დედის ლობიო ყვითელია, მრგვალმარცვლიანი (ზედა საქარა).

მამკვლიერ-ი მეკვლე. მამკვლიერი საჩუქარს მოგიტანს, შენც ისე უნდა აჩუქო (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. მამკვლიერი, ალა ვ. ლეჩხ. XIII მაკვრიელი, ბერ. მამკვლიერი).

მამლიყიულ-ი იგივეა, რაც მამლიყიულა (იხ.). მამლიყიულ-ი ბალახია (პერევი).

მამლიყიულა ბოტ. წითელი წალიკა (მაცაშ.). მამლიყიულა ბალახია, მოშავო ფოთოლი აქ, მარცვალს იკეთებს შავს, იცის მოგრძო ეკლები, რომელიც ეწეპება ტანისამოსს (შომახეთი, უჩამეთი). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს.).

მამნებელ-ი მვენებელი. შაქრიანი ღვინო არ არი მამნებელი (შუქრუთი). (იხ. მენტ. მაზნევიარი, დიალექტ. იმერ.).

მამნებლობა მვენებლობა. ეგ არი მამნებლობაი (ხიდარი).

მამსხმიერე მსხმოიარე. მერე უნდა მივაკონოთ ძველზე მამსხმიერე ვენახი (ლორეშა).

მამტაციღებელ-ი მომტაციებელი. უმაღ დეიჭირეს დალიენა (დანიელა) — ქალის მამტაცილებელი (მოხვა).

მამულ-ი ვენახი. ეს მამული სულ ჩვენი იყო, ღვინოი უპრავი ქვეონდა (ტაბაკინი); ბრუისში და ლარიხევში მამულიცაა და ყანაცაა (ღარიხევი). (იხ. ყიფშ., ბერ., ელ.; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ქ. ცხ., ბესიკი, ქეჭიკი, მენტ. მამულიშვილი, უთურ. ზამულნ, ი. იმნ. ქრესტ., განმარტ. ლექს., დიალექტ. ქართლ. ფერ.

ხევს.

მამკინე მომკირნე. მამკინე ძან არი, მარა სწავლას უგორეფს გულს (ხიდარი). იხ. მეემამკინება.

მანა მანდ. რა ნახე მანა? (ხვაშითი); არაფერი არ ჩაწერო მანა (წიფა); მე არ მივდივარ მანა (ზოვრეთი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ალავ. ლეჩხ. XIII, ოკრ., განმარტ. ლექს., დიალექტ. კახ.-ქიზ. ჯავახ.).

მანავ-ი ვაზის ერთ-ერთი ჯიშია, შავი წვრილი მარცვლები აქვს. მანავი რკოს (იხ.) გავს, წვრილი მარცვალი აქ, არც მტევანია შეკრული, თხელია, ძალიან ღებავს (ბაჯითი).

მანათიან-ი (სავანე) || მანეთიანი (უჩამეთი, ტაბაკინი, შროშა) || მანეთი (არგვეთი) სუფრის ყურძნის ჯიშია, ქარვისფერი, მოგრძო, მსხვილი მარცვალი აქვს, აღრე ძვიფდება. მანათიანი სხვილმარცვლოანი ყურძენია, თეთრი (სავანე); მანეთიანი თეთრია, ქარვისფერი, მსხვილი მარცვალი აქ, განჯურ ყურძენს მიაგავს, მარა უფრო მსხვილი მარცვალი აქ, აღრე მწიფთება, ღვინოდ არ ვარგა, საკმელი ყურძენია (შროშა). (იხ. საქ. ამპელ. 33; შდრ. ლექ. 63).

მანაინდელ-ი უწინდელი, ძველებური. მანაინდელი ამბისა რწვიცი მე (ზედუბანი). (იხ. ქავთ. მანაინდელი).

მანაინდულათ უწინდებურად. მანაინდულათ მოყევი (ფარცხნალი).

მანანა მცენარის სოკოვანი ავადმყოფობაა, თავს იჩენს ფოთლებზე ჟანგისფერი ლაქების სახით მაღალი ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში. მანანა გაჩენია ბეოლას. მანანას უძახით ჩვენე, ვენახის ფოთელს რო აქ კრაქი, ისე აქ (სანახშირე). (იხ. ალავ. ლეჩხ. XIII; შდრ. საბა, ქ. ცხ., დ. ნ. ჩუბ., ბესიკი, გურამი, ვაჟა 1, მენტ., შარაშ., მაყაშ., ი. იმნ. ქრესტ., განმარტ. ლექს.). იხ. მანანიანი.

მანანიანი-ი მანანით (იხ.) დაავადებული მცენარე. მანანიანი ფოთელი ნახევრათ ხმელია (სანახშირე); ეკლარში სულ მანანიანი ბეოლა კრიფა (იქვე).

მანგრე მაგრე. მანგრე პატარაკი არ არი (ფარცხნალი).

მანდალიონი-ი შენობის გარე მხრიდან, გარშემო, კერის კოჭების შევრებზე აკრული ფიცარი. კედლის მერე სარტყელია, გძელი ხე, მერე კოჭებია გადებული, გარშემო მანდალიონია, მანდალიონი აქ სახს (მოხვა). (შდრ. მენტ. მანდალიონი კოჭი).

მანეთა იგივეა, რაც მანათიანი, მანეთიანი (იხ.). ჩაცუცქულიყო და მანეთა ყურძენს ჭამდა (ხიღარი).

მანემდიულ-ი იგივეა, რაც მანაინდელი (იხ.). ასე იყო მანემდიული ცხოვრება (შომახეთი). (შდრ. ჭყ. მანამდელი).

მანინა (რუს. МАЛИНА) ჟოლო. მანინის მურაბა მოგიხთება (გერევი).

მანიულა იგივეა, რაც მანიული სხე (იხ.). მანიულა მცენარეა, ტირიფის მსგავსი ფოთლები აქვს, ქაოვენ კალათებს, ჩელტებს (ღორეშა).

მანიულის ხე ყვითელი ტირიფი, ბოტ. მანეული (მაყაშ.). მანიულის ხე ხირხალისთვის (იხ.) კაია, მანიულის ხის ტოტი გოდრისთვინაც კაია (ჩიხა). (იხ. საბა მარნეული, ჭყ. მანეული, ალავ. ლეჩხ., განმარტ. ლექს., დიალექტ. ქართლ. მანეული).

მანობამდი || მანობამდის მანამდე. 11 საათის ალო (იხ.) რო მოატანს, მანობამდი არ მომივა ძილი (ზედა საქარა); მანობამდის თავ-თავის ადგილზე დაბძანდონ (საბე); სანობამდი კერძოდან მოვიტანდეთ, მანობამდის მოლითიდან მოვიტანთ (ვახანი).

მანჩა იგივეა, რაც ამბარი² (იხ.). ბელელში მაქ მანჩები (გეზრული); მანჩა გვიდგია ბალკონში, ქფილს ვყრით (შომახეთი); დიდი სკივრია მანჩა. წისქვილში ვხმაროფთ მინდის ჩასაყრელათ, თავს ვახურავთ, როგორც სკივრს (გორისა); ჩვენთან მანჩა გატიხრული არ არი, ინახება ქირნახული ან წისქვილში მინდით მიცემული სიმინი (ჩიხა); მანჩაში ჩეიყრება გასავალი პური, სიმინი, კაკალი, ლობიო — ქირნახული (ლიჩი). (იხ. ბ. წერ; შდრ. ჭყ., ბერ. მაჩა).

მანჩვი-მანჩვი. მანჩვი დეუქირათ ბიქვეს (შომახეთი). (იხ. ყიფშ.). მანძილო მოლურჯო-მონაცრისფრო სოკოა, ხეზე იზრდება, შემოდის აპრილში. მანძილო ხის სოკოა, მოლურჯო-მონაცრისფერო (ჩიხა); ხის სოკოა მანძილო, მოშავოსავეითაა, აპრილში მოდის (პერევი; ჯალაურთა). (იხ. საბა მანძილო Cb, ალავ. ოკრ.; შდრ. საბა მანძილო ZA, განმარტ. ლექს.).

მანწუა პრანჭია, მანჭვა-გრეხის მოყვარული. გლახა მანწუაია ის (ბოსლევო). იხ. მწლეკია.

მანჭია ჩიტია, კისერს გრიხამს, ისე იმანჭება (ხვაშითი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ. მანჭუა, ალავ. XXIV მანჭია).

მანჭკუალა მანჭკვალა. მანჭკუალა ხის ძირებზე ამოვა. ხუხურე-ბივით (იხ.) გოუშლელი; იქნება ხუხურათ, — კაია, გაშლილი ნაკლებია (ჩიხა); მანჭკუალა სოკო ხის ჭირკზე ამოდის, ქოთანში მოხარ-შენ, უზამენ მყავე რძეს, ამოქნიან ხომე ქოთანში (ლეღვანი). (იხ., საბა მანჭკუალა ZAA, დ. ნ. ჩუბ. მანჭკვალა, ყიფშ. მანჭკიკორა (იხ. სოკო), ჭყ. მაჭკენარა, ალავ. ლეჩხ. მანჭკვარა, დიალექტ. რაჭ. მაჭკენარა).

მანჭკუელა იგივეა, რაც მანჭკუალა (იხ.). მანჭკუელა წვრილ-წვრილი სოკოა, ჭირკის ძირებზე იცის, დამპალი ხეების ფეს-ვებზე, მიწისფერია (მანდაეთი).

მაპა მაშაბა. მე ახლა მინდა გახარება, მაპა! (მერჯევი); დღეს მივდივართ, მაპა: (მაჭითი); შეხვთება, მაპა! (ზედუბანი). (იხ. ბ. წერ.).

მარამ || მარამა || მარა || მარე || მარამე მაგრამ. კიციხი დიდია, მარამ ხიდარზე მეტი არ იქნება (ხიდარი); სიმითს ვეთესამ, მარამა კტე-ზე რა მოვა (ჭვარე); უნდა მეპატრონებია მე, მარა იმათთან იყო და შერჩა (სანახშირე); არც მე მიყვარს, შენ შამოგობარე, მარე ასე აკეთებენ ე ხალხი (განთიადი); კარ ვხმაროფტ მაინ და მაინ, მარამე ბუნარი მაინ კაია (ჭოვრეთი); (იხ. საბა მარა, მაგრა ZA, ბესიკი, გურამ. მაგრამე, ყიფშ., განმარტ. ლექს., დიალექტ. იმერ. გურ. აპარ., ქართლ. მარა. კახ.-ქიზ. მაგრან, ხევს. მაგრა, მაგრე, მაგრემ, მესხ. მარამ, ძიძიგ. ძიებ. მარე).

მარბედ-ი მარდი, გამრჯე, ყოჩალი. ოღლა კაი მარბედი ქალია (შომახეთი). (იხ. ელ., შარაშ. მოცეეთი; შდრ. ვისრ., საბა, დ. ნ. ჩუბ., ბესიკი, გურამ., კახ., ნიჟ., განმარტ. ლექს., მაიხ., შარაშ. მორბედი).

მარგალითათ მაგალითად. უმაღლ, მარგალითათ, ძან იყო ხე-ტყე (ხიდარი); მარგალითათ, აგერ რო საველი ჭის, მამა ემის პირველი შვილი დოუტოვეს, მიტორო 60 წლის იყო ისი (ლეღვანი). (იხ. დიალექტ. ლეჩხ. იმერ. მარგალითათ).

მარგილი-ი ვაზის სარი. შამოდგომაზე ვაზს მარგილი ჰქირდება, კილეა (იხ.) აქ არ ვიცი (ბაჯითი); ვაზს უნდა მსხვილი სარი — მარგილი (ჩიხა, ჯალაურთა). (იხ. საბა, დ. ჩუბ., ს. მ. ტერმ., განმარტ. ლექს., დიალექტ. ქართლ.).

მარგლა მარგვლა, — სიმინდის ნათესის პირველი გათოხნა. ამ მიწას თოხით თოხნიან ქალი და კაცი. პირველათ რო გაეთოხნით, იმას უძახიან მარგლას (ბოსლევო); პირველათ რო დავთოხნით, მარგლაა, მორეთ რო გავაკეთეთ, — მორედი (ლორეშა). (იხ. განმარტ. ლექს. მარგვლა, მარგლის, ქუ მ ბ. 280). || პურის ნათესისა და ბოსტნის ხელით გაწმენდა სარეველა მცენარეებისაგან. ყანაში მარგვლას არ ვხმაროფთ, ეკალსა და გვიმრას ამოჭრიან პურში ხელით და მარგვლას ამას უძახით (ვანი); ბოსტანს ბალახი მეერია და მარგვლა უნდა დევიწყო (ხვაშითი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 213, მენთ., განმარტ. ლექს., დიალექტ. ლექს.; შდრ. დიალექტ. ქართლ.).

მარგლი-ს სიმინდის ნათესს პირველად თოხნის. ჯერ მარგლიან ყანას, მერე მორადია (იხ.), უფრო „მარგვლა“ ვიცი (ჩვენე, ხმარობენ „პირადსა“ (სანახშირე; ყანას მარგლიან, ამოროდებენ (იხ.) (ლეღვანი). || პურის ნათესს ან ბოსტანს ხელით წმენდს სარეველა მცენარეებისაგან. ხელით ამოვკრით პურში ბალახეფს, ე. ი. გავმარგლით (ვანი). (იხ. განმარტ. ლექს. მარგლაეს, მარგლიან). მარდიმოში-ი თავის წამალია (ტაბაკინი).

მართული-ი მავთული (ტაბაკინი). (იხ. დიალექტ. კახ.-ქიზ.).

მარია კიამია. „ფრინდი, ფრინდი, მარია“ (მოხვა).

მარიაშლობა || მარეშლობა || მარეშობა ქათმების დღეობაა ყველიერის წინა კვირაში, თებერვალში, ამ დღეს ყვერულსა კლავენ (ზვარე). (იხ. ალავე. ლექს. ეთნ.; შდრ. ბ. წერ. მარეშალი, მარეშელი, ბერ. მარეშლობა).

მარილოვანი-ი (რუს. эмалированный) დამინანქრებული მარილოვანი ტასტი იყიდა (ზარანი).

მარნის კვირისტავი დიდი, მრგვალი გათლილი ქვა, რომელშიც გაყრილა საქაჩავის ხრახნილიანი ხე. მძლავრიელია ქვა, კვირისტავი ქვია, მარა მალა კვირისტავი კარ არი (ხვერი); მარნის კვირისტავი დიდი ქვაა, შუა გულში ამოჭრილი, ხეზეა წამოცმული, ერთი ქვა ძირს იდვა, მეორე — მაღლა... დაატრიალებდენ, ქვეშ იყო მეორე ქვა, რომელსაც მარნის ტაფა ქვიოდა, ქაქას ჩაყრიდენ ამ ორ ქვას შუა და წნებთა. ბაბუა იტყოდა ხომე: 120 ტაფა ოტკას გამოვხთიდიითო (მორძგვეთი).

მარნის ჩაფი ღვინის 16-ლიტრიანი საწყაო ჩაფი. 16 ლიტრა ჩადის

მარნის ჩაფი, ღვინის სარწყავათ ვხმაროფთ, ამაში წყალს არ ჩავესხამთ (ტაბაკინი). იხ. სამარნე ჩაფი.

მარნისწინ-ი მარნის წინ ადგილი, სადაც ქვევრებია ჩადგმული, — ქურისთავი. მარნისწინი ქურისთავია, ქურებია შიდა (მორძგვეთი). მარნიულ-ი იგივეა, რაც მანიულის ხე, მანიული (იხ.). მარნიული ტირიფის მსგავსი ხეა, მის ტოტეფს ვხმაროფთ წყნელათ, ყვითელი ფერი აქ (ჩიხა).

მარსელია მარსელიოზი. სიმღერას ეძახდენ მარსელიას (ქვედა ხაქარა). (იხ. ვაქა II).

მარტვა მარტო, მხოლოდ. ახლა წალდი არგეს მარტვა (ღარიხევი). (იხ. დიალექტ. ფშ. მარტუა).

მარტვანა მარტო. მარტვანა ჩემთან რა უნდა ისიამოვნონ (ლორეშა). (იხ. ქავთ.).

მარტვინა იგივეა, რაც მარტვანა (იხ.). მარტვინა ჩვენ ეკამთ? (ტაბაკინი).

მარტიო სოკოა, ჩალისფერიცაა, თეთრიც და რუხიც (პერევისა), მარტიო მეიტანა, კალათიანა გამეერთმია და ვიჭერეთ გული (შუქრუთი).

მარღ-ი 1. ფეხმოქცეული. რანაირი მარღია ე ინდოური... მარღი კაცია ბაგრატა, ძლივას დადის (ხიდარი). 2. ულამაზო, მოელმო, თვალზე ლიბრგადაკრული. მარღი გოგო ყამს, ვის მეეწონება (ფარცხნალი): (იხ. საბა. დ. ნ. ჩუბ., მენთ., ჰინჰ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1: შღრ. ს. მ. ტერმ.). 3. უღონო, სუსტი, პატარა. სუსტი, პატარა, მარღია ყველაზე უფრო სწრაფია (ხრეთი); ბაბუცა მარღია, საქმეს ვერ მოაბამს თავს (ზედუბანი). (იხ. ქავთ.).

მარცახ-ი თევზის საჭერე ხის ჩანგალი, ნიჩაბივით გამოთლილი, პირზე დაგებული აქვს ჩლიქებისაგან გაცვეთებული მახათისოდენა ლურსმნები — ჰიკარტულები. მარცახი თევზის საჭერი იარაღია. არი ჯოხი გამოჭრილი და, მახათები როა, იხელა ჰიკარტულებია (იხ.) დასობილი (სახე); მარცახი ნიჩაფივითაა გამოთლილი და პირზე დაგებული აქ მახათებივით წაწვეტებული ფოლების (იხ.) ჰიკარტუმი (იქვე). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ ბარჯი, ბ. წერ. მარწახი, განმარტ. ლექს. ბარჯი მნიშვნ. 2, მარცახი).

მარწუხ-ი ლითონის მაშა გახურებული რკინის ასაღებად. მამეცი მარწუხი, რკინა უნდა გამევილო (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

მარწყვიო შხამიანი სოკოა, მიწისფერი (ჩიხა).

მარხილი-ი 1. იგივეა, რაც ლაშკინი, ფრჩხილა (იხ.). აჩაჩა ურემი შედგება ზესადგრის, მარხილები და თვლებისაგან. ზესადგარს წინ აქ გახერტილი თავები მარხილების ამოსაყრელად.

მარხილები ს ამოყრის შემდეგ მისი ტოტები ერთმანეთზე გაიკ-
ვრება და ერთდება, ამ შეერთების ადგილას ჩაებმის სამატი (შროშა);
აჩაჩა ურემს (იხ.) აქ მარხილები, მიწაზე მიჩოჩამს, ხელნა (იხ.)
მალალია და გოგრებზე დგას (უჩაშეთი); მარხილებს უღელი
უერთდება სამატი (ხიდარი). (შდრ. ბერ., განმარტ. ლექს., დიალექტ.
გუდამაყ., ჯაჯ. IX). 2. თოვლზე ან მიწაზე სასრილო უთვლო სა-
ზიდარი. თივას ოქტომბერ-ნოემბერში ეზიდებიან ფერმიდან მარ-
ხილით, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: წინ ორი
ლაშქინია, ე. ი. კაპიანი ხეები. ეს კაპიანი ხეები ცალ-ცალკე ამოყ-
რილია იმ ხეებზე, რომლებიც მიწაზე ან თოვლზე მიცურავენ (ვახანი).
(იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს., დიალექტ. გუდამაყ., ბერ.,
ალავ. ლეჩხ. ეთნ.).

მარხილის გადასაკრავი მარხილზე დაყრილი თივის დასამაგრებელი
გრძივი ლატანი. დაანგრევენ თივის ზვინს, დაყრიან მარხილზე იმ ოდენ-
ობით, რომ ხარები მოერიოს. მარხილზე რო თივას დააყრიან, საქი-
როა ხის ლატით გადაკვრა სიგძეზე და მას მარხილის გადა-
საკრავი ეწოდება (ვახანი).

მარხილის კოფა მარხილის მოპირდაპირე ფეხებზე ჩამოცმული სქელი
ფიცარი. მარხილის მოპირდაპირე ფეხებზე ჩამოაცემენ მეტრო-ნახევ-
რიან სიგრძის ფიცარს, რომლის ორივე ბოლო არი ამოთეგილი იმ
სიდიდეზე, რომ მარხილის ფეხს ჩამოეცვას, ამ ფიცარს კი უწოდებენ
მარხილის კოფას (ვახანი). (იხ. ბერ. სართაული (მარხილი),
ალავ. ლეჩხ. ეთნ. ტაფა || კვატუში).

მარხილის ლატანი მარხილის კოფოზე გადებული ძელი, ორი ნაპირზე
და ერთი შუაზე. მარხილის ფეხების და კოფის ნაპირებში და შუაში
გადებულა ძაჯის სიმსხო ხე, რომელსაც მარხილის ლატანი
ეწოდება (ვახანი). (იხ. ალავ. ლეჩხ. ეთნ. კოჭი).

მარხილის ფეხი მარხილის საგოგავში ვერტიკალურად ჩასმული (და-
ახლოებით მაჯის სიმსხო) ერთი მეტრის სიმაღლის ძელი (რაოდენო-
ბით 2 ან 4). საგოგავი (იხ.) ორგან ამოჭრილია მალლიდან და შიდ
არი ჩაქედილი მუხის მასალა, რომელიც საგოგავში 25 სმ სიმაღლეზეა
მსხვილი, მის ზევით გათლილია და მიახლოებით მაჯის სიმსხოა. იმ
ნაწილს, რომელიც საგოგავშია მალლიდან ჩაქედილი, მარხილის
ფეხი ეწოდება. მარხილს უკეთებენ 4 ან 2 ფეხს (ვახანი).

მარჯოფ-ს სიმარჯვეს იჩენს. ცოლმა რა ქნას, როცა ქმარი არ მარ-
ჯოფს თავათ (ფარცხნალი).

მასინძელ-ი მასპინძელი. „შტოლში ვჯივარ და ვქეაფოფ, ჩოხა მაცვია
ძველი, ღმერთმა ყველა ადლინძელოს — სტუმარი და მასინძელი“
(ზედუბანი). (იხ. ძიძიგ. ძიებ. მაიძელი; შდრ. ყიფშ. მენძელი,
მენძელი).

მასკვლავ-ი ვარსკვლავი. მასკვლავები ა ცაზე (ქვები); დედაი პატარა იყო, მარა, როგორც რომ მასკვლავი, მისთანა იყო (შომახეთი). (იხ. დიალექტ. ქართლ. თიან. მარსკვლავი, კახ. მარსკულავი, მასკვლავი, ჭავახ. მასკვლავი, მასკულავი, მთიულ. მასკვლაი, გაბ., ვისრ. მასკულავი).

მას ოღმა მას უკან, მას შემდეგ. ეს საწინახელი მას ოღმა ვიყიდეთ (დილიკაური); შენ რო წადი, მას ოღმა ვიმუშავეთ (ტაბაკინი).

მასრა 1. საქსოვი დაზგის მაქოში მოთავსებულ ლერწამში გაყრილი მათული, რომელზედაც ეხვევა ძაფი. საბარცხლის (იხ.) წინ არი მაქო, რომელიც ხელით გაყავთ და გამოყავთ. მაქო არი ნავისებურად მოყვანილი ხის ხელსაწყო, შუაში აქ ლერწამში გაყრილი სინა, ორივეს ერთათ ქვია მასრა. მასრაზე დახვეულია ძაფი, ხელით გაჰყავთ. ხან მარჯვენათი და ხან მარცხენათი, შალში გაარონიფე ამას და იქსოვება მითი (შომახეთი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ალავ. ლეჩხ. ეთნ. განმარტ. ლექს., მასრა²). 2. ტიკიდან ღვინის გადმოსასხმელი თითი. მასრაა ტიკის ის ნაწილი, რომლითაც ღვინოს ასხამენ ქურქელში (სვერი). (იხ. მენტ., განმარტ. ლექს. მასრა³).

მას უკან || მას უკანი მას შემდეგ. მას უკან დიდი დრო გევიდა (პირველი სვირი); მას უკანი ჩვენგან კაცი არ წასულა ტყვეების წასაყვანათა (ვახანი); კბილი ამევიღე, ნეფსები გამოიეთეს, მას უკანი სულ მტკივა თელი კბილეთი (მოხვა). (იხ. დიალექტ. რაქ. აქარ. მასკან, მას ეკან, ინგილ. მასკან, ჭავახ. მასკვან. მ. ჭან., ჭაჭ. IX მას უკანი, ნიჟ. მასქან, მასკახ, მასკვან, ალავ. ოკრ. მასკვან; შდრ. დიალექტ. ფშ. მასქი, მოხ. მამრენის, მემრენის).

მას უღმა მას შემდეგ, მას მერე, მას უკან. 1901 წელში წივედი ჯარში. მას უღმა რამდონი წელიწადია? (პირველი სვირი). (იხ. ძიძიგ. ქრესტ., დიალექტ. მთიულ. მოხ. უკენა, ალავ. ლეჩხ., ბერ. მას ოღმა). იხ. მას ოღმა.

მატიტელა ბალახი ბოტ. „ჩვეულებრივი მატიტელა“ (მაყაშ). მატიტელა ბალახი წვრილფოთლებიანი სარეველა ბალახია, მოვარდისფერო ყვავილები აქ, გაპარტყნილია მიწაზე, ოფლის მომგვრელია (ფუთი). (იხ. საბა, მენტ., ს. მ. ტერმ., განმარტ. ლექს.).

მატყლ-ი ცხვრის მესამედ გაპარსვის შემდეგ მიღებული ბეწვი. მატყლს უძახით, მესამეთ რო გადავპარცამთ ცხვარს (ხვაშითი).

მაუარებელი-ი უარისმთქმელი. თითონაც უნდოდა, ალბათ, მაუარებელი არ იყო, თვარამ ქვეყანას შეძრამდა (ხევი).

მაქანა მანდ. რა უნდათ. რო მოდიან მაქანა? (ლორეშა).

მაქო საქსოვი დაზგის ნაწილი, მასრის ჩასადები. მაქო ნავისებურია, შიგ მასრა დევს (ლორეშა). (იხ. საბა. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, მ. ჭან. სავალაძე).

მაქც-ი მოხერხებული, ეშმაკი. მაგის გოგო მაქცი გოგო არი (ქვეები); ეს რა მაქცი ყოფილა, რო ბეჰედი მამიტანაო... (ზვარე). (იხ. ბერ. მაკვარანცი; შდრ. ბერ. მანცქეი, შარაშ. მაქციერაი, უთურ. მაქცი).

მალაზია სკაზე დადგმული ყუთი, სადაც მოთავსებულია ფიქიანი ჩარჩოები. მალაზია საკუჭნაოა, სკას თავზე ადგამენ, მასში მოაქთ ფუტკრეფს თაფლი, ქვევით, სკაში, რაც არი, თავათ რჩება (ზვარე); მალაზია ბუქს ზევიდან ადგას და იქ თაფლი მზადდება (ხიდარი); ფუტკარი რო იყრის, იმას უნდა სკაი, სკას თავზე ადგია მალაზია, რანკებია მალაზიაში და შიდ არი ფიქა (შროშა). (შდრ. დ. ნ. ჩუბ., კახ., განმარტ. ლექს.).

მალალი გლეხი მდიდარი გლეხი (სინონ. მდებეიერე გლეხი). მალალი გლეხი რო იქნებოდა, გადახთებოდა თუმანი (წაქვა).

მალალი ლობიო ხვიარა ლობიო, ნახევარი გვერდი თეთრია, ნახევარი — მუქი წითელი (დილიკაური).

მალვალაკი ჩუმი ეშმაკი, სხვისთვის ცუდის მდომი, შურიანი, მავნებელი. მალვალაკი არ იყო და ბოროტი არ უნდოდა არავისთვის (ლორეშა); მალვალაკი კაცი არ არი ისი (ჯალაურთა). (იხ. საბა მალვ, უმალვებს, ბერ. მალვალაკი, მაის. მაკვილაკი).

მალინდარა 1. ლაზლანდარა, ოხუნჯი, ენაკვიმატი. მალინდარა იყო ე გოგოი, კვტება თურმე ე დედოფალი სიციხით (ლორეშა); ეს მალინდარა არი, მოქველა სიცილით (განთიადი). 2. უქნარა (სინონ. არაქელა, დალა). აბაზი ქონდა კაი მუშა კაცს. რომელიც დალა კაცი იყო, მალინდარა, არაქელა რო იქნება, იმა ორი შაური ქონდა (ღარხევი). (იხ. დიალექტ. იპერ., ქავთ., ალაგ. ლეჩხ. XIII მალუნდარა).

მალინდარაობა ლაზლანდარაობა, ოხუნჯობა. არ მეეშვა ე ბიჭი, მალინდარაობა დოუწყო (საბე). იხ. მალინდარა.

მალლარ-ი შავყურძინანი ვაზის ჭიში, რომელიც მალლარად ხარობს. საშუალო ზომის მრგვალი მარცვალი აქვს, სასიამოვნო გემო, მისგან საშუალო სიმაგრის ღია წითელი ფერის ღვინო დგება. მალლარი შავი ყურძენია, სასიამოვნო საკმელია და ღვინოც ძან გემოვნებისაა. დაბლა არ ხეიროფს, ხეებზე იყო გასული, ახლა გადაშენდა (შროშა); მალლარს მარცვალი ცოლიკურზე მსხვილი აქვს, მქავე ღვინო იცის, სიცხეში მუშაობის დროს კარგი დასალევია (ვახანი). (იხ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 496; შდრ. ბ. წერ.).

მალლოფ-ი თავს მალლა სწევს. რომელიც ცარიელი თავთავია, ის უფრო მალლოფს, მალლა დგარს; რომელიც ძიმეა, ის დაბლით არი, დაქინდრავს თავს (დილიკაური). (იხ. განმარტ. ლექს. მალლობა).

მაშალა შემშლელ. დიდი ხელის მაშალაა ესი (შუქრუთი); ხელის

მაშალა ხარ ჩემი (ზოდი). (იხ. ქავთ.; შდრ. ბესიკი მაშალაპ (არაბ)).

მაშითვე || მაშინთვე || მაშინათვე მაშინვე. მაშითვე უთხრა, როგორც ეჩინა ექიმს (ლორეშა); მაშინთვე ჩაქრეს და ორიანი გადმოუგდეს (იქვე); მაშინათვე უთხარი სიმართლე (ქვები). (იხ. დიალექტ. გურ. მაშვინ, მაშვინათვე, მაშვინთვე, ჯავახ. მაშვიე, მაშვეე, გაბ. მაშვიე, მაშვიე).

მაშინდულღე მაშინდებურად. მაშინდულღე მოუნდება ჭამა (ხილარი).

მაშმაშოფ-ს დულს. აერი თვარ მოხვთა, არ აღუღდება ისე, ტკპილი მაშმაშოფს უქვე (ზედა საქარა).

მაშრა პატარა ლერწამი. აყურებიეს, რო გაბერა მაშრაი (მორძვეთი).

მაჩა 1. იგივეა, რაც მანჩა, ამბარი² (იხ.). მაჩა ხის სკივრია. რომელიც დატიხრულია სხვადასხვა მარცვლეულის ჩასაყრელათ (ქვაციხე); სიმიდის შესანახავ დიდი ხის სკივრს უძახით მაჩას (ზედა საქარა); მაჩა იგივეა ხარაა, ოღონდ თავი დახურული აქ (ლორეშა). (შდრ. ბერ. მაჩა). 2. ხულა. აქა „ხულა“ არ იხმარება, გვაქ სასიმიდე და მაჩა. საცეხვია ზევით, რო გაბეგვამ სიმითს, ჩავა მაჩაში (მოხვა). 3. საწნახლიდან გადმოსული ტბილის ჩასახმელი ხის კურკელი. საწნახელს მუღდგამენ თაყარს (იხ.). ხის თუა, მაჩაა (პირველი სვირი).

მაჩანაური || მაჩანაური საფერე ვაზის ერთ-ერთი ჯიში. აქვს შეგმარცვლიანი, კუმსი, დიდი მტევანი, იხმარება ღვინის შესაფერად. მაჩანაურს შეგმარცვლიანი ყურძენი აქ, დიდი, შეკრული ტევანი (მორძვეთი); მაჩანაურ საფერეს ურევენ თეთრ ჯიშეფში წითელი ღვინის მისაღებათ, წითელ ღვინოს აქედან ვაყენფთ (ბაჯითი, ზედუბანი). (იხ. ბ. წერ. მაჩანაური საფერე, ალაფ. ოკრ., ლეჩხ., საქ. ამპელ. 33; შდრ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 432).

მაციცველა ერთი ნამცეცა. მიქმანეს ბურთი და ვერ ნახებ, დიდი კარარი, მაციცველაა, ერთცახუნა (იხ.) (ხვაშითი). (შდრ. ქავთ. მაციცველი).

მაძუგ-ი უსუფთაო, ბინძურა, კუჭყიანი. ჩემი შვილიშვილები ძალიან მაძუგები არიან, დილაზე რო გოურეცხო, საღამოზე ველარ იცნოთ (ხვერი); ესე მაძუგი არი (ლოდორა). იხ. ჩამაძუგებულ-ი.

მაწაკ-ი ანჩხლი; უშნო, გლახა. მაწაკი გოგოა, გლახა, უხვირო, ავი (წირქვალი). (იხ. ქავთ., მაის.; შდრ. საბა, ბერ., მენტ. მაწაუცი, განმარტ. ლექს.). იხ. დამაწაკებულ-ი.

მაწველ-ი მეწველი. ძროხა მაწველი ქვეამს (ზარანი).

მაწვნიდელა მაწვნის დელა. მაწვნიდელა ბანკაშია (შომახეთი).
მაწიერი საქმელი ნოყიერი საქმელი. ყველი არ არი მაწიერი საქ-
მელი (ზედა საქარა).

მაწუა საუბ. პატარა ეშმაკი (იხმარება მიმართვის დროს). აი, შე მა-
წუა, მაწუაო, რატო არ მითხარო (ზარანი).

მაჭიკი-ი იგივეა, რაც საკიდელი (იხ.). ღორის მაჭიკი გამი-
თავდა (შუქრუთი); ღორს აქ მაჭიკი. მაჭიკს გადავაცლით
კანს, რაც დარჩება, დაჭმწნით ძმარში, შაბში და დარე ოტკაძი (ძოხ-
ვა); მაჭიკი ღორის კუჭის შიგნი აკია. გადავადროფთ იმას ზედა
კანს, დაჭმწნით ძმარში და შაბში და ესაა სამკვეთლო (იხ.). ნახევარი
ღვინის კიქა დოუბნევს (იხ.) 6 ლიტრა რძეს (ბერეთისა); ღორს რო
დავკლამთ, მაჭიკსა ჩავაწნევთ მარილში,—დავაჭმწნილევთ (ზვარე).
მახალოზი-ი მალხაზი, ცქრიალა, გულღია, ხალისიანი. კაი მახალო-
ზი ქალია, გულჩახურული არ არი (ხიდარი). (იხ. ჯაჯ. IX, ალაგ.
XXIV).

მახარა კია || მახარა ბოსტანა, მახრა. მახარა კიამ გამიფუქა
ბოსტანი (ხვაშითი); ბოსტანში მახარაქას შოუქამია სუყველიფე-
რი (ზოვრეთი). (იხ. დ. ჩუბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, ვაჟა II,
მკრელი; შდრ. ბერ. მახარა).

მახაშირი-ი გველი (სინონ. ურწმუნო, უხამსი). დიდ აღმართში ნახევი
გველი, ზოგი მახაშირს უძახის, ზოგი — უხამსს (ვახანი); მახა-
შირს ურწმუნოსაც უძახით (ხიდარი); ქალმა შევილი რო ვერ შო-
ბოსო, შედი მუნჯურად მახაშირს, გადაბიჯევი ქალსაო, შეილსა შობამ-
სო, ეტყვიო: როგორც მახაშირსა ბაყაყი გავაშვებიეო, ისე აშო-
ბიე შევილიო (ვახანი).

მახდინარი-ი წაქზდენი, მავნებელი. სუყველაზე მახდინარია სა-
რეველა ბალახებიდან ანძლა და ხვართქლაი (იხ.) (პერევი).

მაზლი-ი ბალი. თეთრი მზალი მოკრიფე (შომახეთი). (იხ. ულ.)-

მზილი-ი რბილი. მე მზილი ვიყავი, გიორგი ფიცხი იყო (ზედუბანი).
(იხ. ალაგ. ლეჩხ.; შდრ. უთურ. ნბილაჟე). იხ. განამბი-
ლარებული, დანამბილარებული, ნამბილარი.

მზილაგ-ს სინჯავს, ხელს ჰკიდებს. მზილაგდენ ხალხი, ბამბა-
ეგონათ (ტაბაკინი).

მგალობლიშვილი-ი შავყურძნიანი ვაზის ჯიში, საშუალო ზომის შეკ-
რული მტევანი აქვს. მუქი წითელი ფერის სასიამოვნო, მაგარი ღვინო
დგება. მგალობლიშვილს რგვალი მარცვალი აქ, შავი, საფე-
რესთან შედარებით ნაკლებათ ისხამს (პირველი ხვირი). (იხ. ალაგ-
ლეჩხ. ეთნ.).

მგვანე მსგავსი. წამევიდა ე ღვდელი, ძმა ყავს მ გ ვ ა ნ ე (და შოუშვა ისი (მანდაეთი). (იხ. ბ ე ს ი კ ი, განმარტ. ლექს.).

მგზავრიო მალაყირწიანი, ქოლგისებურად გადაშლილი სოკო, — წე-როსწვივა. მალალი ყირწი აქ მ გ ზ ა ვ რ ი ო ს, ზონდიკივით გადაშ-ლილი თავი (უჩამეთი); მ გ ზ ა ვ რ ი ო წეროწოსაეფ (იხ.) არი მალა-ლი (შომახეთი). (იხ. ს ა ბ ა, დ. ნ. ჩ უ ბ., მ ა ყ ა შ., განმარტ. ლექს., ქ ყ., ქ ა ვ თ.).

მგზამს-ი მსგავსი. მ გ ზ ა მ ს ი ხარ ჩემი ძმისშვილისი (ხვაშითი).

მგუნ. იხ. გ ა ა მ გ უ ნ ე ფ ს.

მდარ-ი დარი. ჰინკა თუ ავდრით მოვიდაო, კაი მდრით წავაო, თუ კაი მდრით მოვიდაო, — ავდრითაო; დღეს კაი მდარია (ჩიხა); ჰინკა მდრით მევიდა, ავდრით წავა (ქვაციხე).

მდებარე თოვლი დიდხანს დადებული თოვლი. მ დ ე ბ ა რ ე თ ო ვ-ლით კორბოულს ვერ აჯობებს ვერცეთი (შომახეთი).

მდებიერე გლეხი გადატ. მდიდარი გლეხი. მაგისანა ქალს მ დ ე ბ ი-ერე გლეხი არავინ ითხოვს (ზედუბანი).

მებედისწერე ბედისმწერალი. მევიდა სამი მებედისწრეი (ლა-რიხევი); გადუწყვიტეს მებედისწრეებმა ბედი (წირქვალი). (იხ. ბ. წერ., ჯ ა ჯ. IX).

მებჭორია მეჭორე, ჰორიკანა. მებჭორია ყოფილა ისი (ხიდარი).

მეგემე გემის უფროსი. მეგემეი უჩივა (ფარცხნალი).

მეგოდრულ-ი იგივეა, რაც მეგოდური (იხ.). ე მეგოდრულ-ები დასვენებული რო ხართ, რას ფიქროფთ? (შროშა, განთიადი). მეგოდურ-ი გოდრის მზიდავი რთველის დროს. მივა მეგოდური (ტაბაკინი).

მეეკიტალეზ-ა || მეეკუტალეზა ზურგზე მოეკიდება. მამეკიტალე. გოჩა, მამეკიტალე! (დილიკაური); ორჯერ მევეკეკუტალე (სეერი). (იხ. ბ ე რ. კუტალიება, შ ა რ ა შ. მოზუეუტურიება, ზუეუტური, ა ლ ა ვ. ლეჩხ., ქვ. იმერ. მოკოტება, ქ ა ვ თ. მოკიტიალეზა).

მეეღისებ-ა მოგროვდება. მეეღისა ხალხი (ტაბაკინი). შდრ. ლ ი-ხ ი.

მეემაჰკინებ-ა მომპირნეობას გამოიჩენს. მეემაჰკინა თითვან (დორეშა). იხ. მ ა მ კ ი ნ ე, მ ო მ ა მ კ ი ნ ე ბ ა.

მეერყვირყვიტება-ა ყელში ამოუვა, მოაწვება. მეერყვირყვიტე-ბათ მარტო ყურძენი ყელში (შროშა).

მეესხიპებ-ა მოეკვრება, შემოეკირება. ფეხებზე მეესხიპებოღა იკინაი (ბოსღევი). (შდრ. განმარტ. ლექს. მოსხევა).

მეფთქვი მეთქი. პენციაზე გავდივარ-მეფთქვი (პირველი სვირი). (შდრ. დიალექტ. გურ. მეთქინ).

მეთოხურ-ი ვინც თოხნის. მეთოხურს თუ ღვინო არ მოხვთა, ისი

მიწას ვერ გადმოაბრუნეფს (ზედა საქარა). (იხ. ალავ.ოკრ. მეთო-
ხარი).

მეიბუნგებ-ა მოილუშება. ამიდი მეიბუნგა (ლეღვანი).

მეიბლუნჩებ-ა სიბერისაგან მოიხრება, დაპატარავდება, დაუძლურდება.
ქიელრომევიბლუნჩები, აღარაეინ მიტირეფს (წიფა). (შდრ.
დ. ნ. ჩუბ. მობლუნძვა, შარაშ. მობლუნკული, მ. ჩიქ. მობ-
ლუნკვა, ალავ. ლეჩხ. XIII მოლუსკვა, ჯაჯ. X მობლუნკვა).

მეიგულისპირეფ-ს გულს მოიჭერებს. მეიგულისპირეფს
თოვლი და გამოვა ამიდი (შომახეთი). || გადაიტანს გაჭირვებას, ავად-
პყოფობას. მექე მევიგულისპირეფ ჩემ ავანტყოფობა.
(ფარცხნალი).

მეიკვერებ-ა მოიკუნტება. ესე მეიკვერებოდა ჩემ ფეხთი ბო-
ლოზე (ბოსლევო). (იხ. ქავთ. მოკვერვა). შდრ. კვერი.

მეიკუტაღეფ-ს ზურგზე მოიკიდებს. სამჭერ მევიკუტაღე ბოვ-
ში (ხვერი). იხ. მეეკიტაღება, მეეკუტაღება, მოკი-
ტაღება, მოკუტაღება.

მეილეკებ-ა მოთავდება, აიღება. ერთ კვირეში ყველაფერი მეი-
ლეკება (ხვერი). შდრ. ლეკი.

მეიმთქლეფ-ა ერთბაშად მოვა, მოაწყდება. მეიმთქლა ხალხი.
თელი სოფელი მევიდა (ხიდარი). (იხ. ჯაჯ. X მომთქლევა!).
იხ. მომთქლევა.

მეიპარა ფეხი ჩუმაღ წავიდა, გაიპარა. უნდა, რომ არ მიცეს საჩუქარი,
მეიპარა ფეხი და გაქრა (უჩამეთი).

მეირთველიერეფ-ს რთველს დაამთავრებს. მეირთველიერე და
ამოდი მერე (შომახეთი).

მეირწყვებ-ა შეიწამლება. ვენახი უნდა მეირწყოს ერთი რვაჯერ
(სავანე). იხ. მორწყვა.

მეისკამუჭეფ-ს კარგად მოთავსდება, მოეწყობა, მოიკალათეფს. იმ-
დენხანს მოუცადა უნასს (იხ.) ი გოგომ, სანემდის უნასმა არ მეის-
კამუჭა (ზეღუბანი).

მეიფჩხვნი-ს თავს დააღწევს. დაიძვრენს, იდროებს. მევერ მე-
ვიფჩხვენო, საღარობა აღარ მომცა ბოვშია (ზარანი).

მეიყუღრეფ-ს ბუღეს მოძებნის, დაიბუღებს. იმ წიწილეფს საქმელი
თუ აკლია, არ მეიყუღრეფს (პერევი). იხ. დაყუღრებუ-
ლი; შდრ. დაყუღრდება.

მეიშვადღეფ-ს შუადღეზე დაისვენებს. საქონელი მევიყვანეთ და უნ-
და მეიშვადღოს (ბაჯითი).

მეიშვინდილეფ-ს ძილისა თუ სიმთვრალის შემდეგ გამოიფხიზლებს.
მთვრალია, აცალე, მეიშვინდილეფს და მერე უთხარი (ტა-

ბაკინი); ამოუღე ხელები ბოვშს და მეიშვინი დილეფს პაწია ხანს (შომახეთი). იხ. გაზოშვინი დილება.

მეიჩაგირეფ-ს დაჩაგრავს, მოატყუებს. კაცი არ უნდა მეიჩაგირაო, — ძველშია ნათქვამი, — როგორც შენთვის გინდოდეს, ისე უნდა გინდოდეს სხვისთვისაო (ბორითი).

მეიცილოთ-ა მთლიანად იქნება დაკავებული (ადგილი, ჭურჭელი...). მეიცილოთა ყველაფერი ჭურჭელი, სადა მიგაქ ეღვინო ახლა? (ტაბაკინი). იხ. მოაცელთი ეფს.

მეიცილიეფ-ს მოიცილებს. სანამღი არ მევიცილიეფ საქმეს, ვერ დაეწვები (დილიკაური).

მეიჭმება მიწა გამოიფიტება, ნოყიერობას დაკარგავს. მეიჭამა მიწა, აღარაფერი არ მოდის (ლეღვანი).

მეიჭენჭეხეფ-ს ჭენჭებით (იხ.) გულს იჭერებს. მეიჭენჭეხეფს დაკაი ამიღი გამოვა (ზარანი).

მეიჭომაგეფ-ს მოიმარაგებს. ხარებისთვის მეიჭომაგოს რაჟე. ზამთარში ჭამა არ უნდათ?! (ზეღუბანი).

მეკენჩხალ-ი || მეკერჩხალ-ი ნეკერჩხალი. მეკენჩხალის ძირში გდია (მოხვა); მეკერჩხალი ლეკისნაირი (იხ.) ხეა (ჭალაურთა). (შდრ. ალავე. ლეჩხ. XIII მეკენჩხალი).

მეკენძალა ტყის მცენარეა, ხმარობენ მხლად. მეკენძალა თეთრ-ყვავილიანი ბალახია, დაკბილული ფოთოლი აქვს, იხმარება საკვებათ. ნივზით კეთდება (ჩიხა). (იხ. მაყაშ., განმარტ. ლექს.).

მეკვირტია ჩიტია, ბელურას ჰგავს, კვირტს ამოჭამს ხეს (ვახანი); მეკვირტია მიაჭდება კვირტს და კირტნის (საქარა).

მეკრე-მემაჟის პური საკურთხის წინ გაკეთებული თავშეკრული ხაჟა-პური, რომელიც დაუკურთხებლად უნდა იქნეს შექმული. საკურთხისათვის თავღია ხაჟაპურებს სანამ გააკეთებდე, მანამ უნდა გააკეთო თავდახურული ხაჟაპური, რასაც ეძახიან მეკრე-მემაჟის პურს. ეს საკურთხის გარეშე უნდა შექამო, დაუქმევლად (შომახეთი).

მელგორულ-ი მერგოლური. მელგორული ვარ 15 წელიწადი (ფუთი).

მე მექნა სიტყვის მასალად იხმარება. წვეიდა ახლა, მე მექნა. მივიდა თავის სახში (ჭალაურთა). შდრ. ემექნები, იმაექნა. შემინდე მინდის ამღები, — მეწისქვილე. მისულა წისქვილში და მე-მინდე ყოფილა და იბოვში მარტვა (პირველი სვირი); წისქვილში შემინდეა (ტაბაკინი, ზოვრეთი). (იხ. ჭყ., განმარტ. ლექს.). შემცხვარე მეცხვარე. ბევრი იარა თუ ცოტა, მიაღვა მე მცხვარეს (ლარისევი); გამოუღენა მე მცხვარედან 100, სული თხა-მცხვარი (ხიდარი).

მენაფენე მომკილი პურის ამკრეფი, — მბოჭავი. მენაფენე მომკილ პურს აბოჭამს და მუუტანს მაკონავს (იხ.) (ხვაშითი).

მენთხე თხის მწყემსი, — მეთხე. მენთხეები თხეფს უღგაან (ზვარე).

მენჩი იგივეა, რაც მერჩი (იხ.). სახლისთვინ ჯერ მენჩი არ ვამიკეთებია (ქორეთი). (იხ. ბ. წერ.). || სხვენის კოჭებს შორის დაგებული ფიცრები, რომლებზედაც დაყრილია მიწა, აზელილი თხის პენობის დათხუნვის მიზნით, — შავი იატაკი. მენჩი შავი პოლია, პერე აქ ლამფა. ბოსელს აქ მარტვა მენჩი, საჯალაბო სახს (იხ.). — ჯერ მენჩი და მერე ლამფა, ოთახს (იხ.) — მარტვა ლამფა, საზაფხულო სახლია (შომახეთი). (შდრ. ქავთ.). იხ. გამენჩილი. მეორედ-ი სიმინდის ნათესის მეორედ გათოხნა. მეორედის სათოხნათ წამოდი (ხვაშითი); მეორედი არი პირადიდან (იხ.) 2 კვირის შემდეგ (ბაჯითი); მეორედი ივნისშია, ხო, მეორეთ გავთოხნით ყანას ივნისში (ვანი). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, ბერ. მორადი, დიალექტ. იმერ. მორადი, აქარ. მიერელი, ლეჟ. 67, ალავ. ლეჩხ. მორელი).

მერამდღე მერამდენე. ეს მერამდღე ურემია? (ვახანი).

მერდევანი ჩაღრმავება, ოღროზოღრო ადგილი გზაზე. ჩვენ გზაზე მერდევანი ხშირათაა (უჩამეთი); მერდევანს უფრთხილდი, ხარეფს ფეხი არ ჩოუვარდეს (საბე). (იხ. ბერ., განმარტ. ლექს. რაქ. იმერ., მენთ. ყოლფუნე, ქავთ.; შდრ. ა. ჩიქ. ფერ. ჩუქური).

მერდიმი სამტყიცი. მერდიმი წმინდა საცერია, სამტყიცია. ჩვენ უფრო სამტყიცი (იხ.) ვიცი (ტაბაყინი). (იხ. ქყ., ჟლ., გრიშ., ჭუმბ. 282, ალავ. ლეჩხ., ჯაჯ. IX, განმარტ. ლექს.).

მერჩი ფიცრის ქერი. ძირს პოლია, მალა — მერჩი (ღარიხვევი); მერჩი გვაქ გასაკეთებელი (ხიდარი); სახლი იმაზე ნაკლები არ გვიყილია, მარა მერჩი არა აქ ჯერე (ღორეშა); ავხალოთ სახურავი, მერე მერჩი და ჩევიხელოთ შიდ (ტაბაყინი). (იხ. ბერ., ბ. წერ. მენჩი, ჯაჯ. IX მერჩი, მენჩი; შდრ. ქავთ.). || ქერის ფიცარი. გამერჩილი რო იყო თავლაი, დააკდა იმას მერჩი (პერევი); ექანა მერჩი დაკლებია კიდე (უჩამეთი); მერჩის მაგიერათ ჩალა დათივა არი გაყრილი ქირიშებზე (იხ.) (სანახშირე). იხ. გამერჩილი, გამერჩილ-გაპოლილი.

მერხმლე მებმლე. რო მოდის მერხმლე, გეიკრა ხელი და ამეიძრო ხანჯალი (ბორითი). (იხ. საბა მეჯრმლე).

მერჯანი (რუს. межевание) საზღვრის ნიშანი, — სამანი. მიწას გაზომდა, რომელ რაიონს ეკუთნოდა, იტყოდა, დულბინდი ქონდა. აქიდან იქ ჩაადებდა მერჯანიას, სამანი იყო ის (ტაბაყინი).

მერჯევანია (რუს. межевник) მიწისზომელი, მიწის დამდგენი. სოფელში გამოყოფდნენ მიწის მზომელს და უძახოდნენ მერჯევანიას. მერჯევანია იყო ჩუბინიძე, თვარ მოზომდა ისი, ვერ მოზომდი შენე (ტაბაკინი); პაპიაჩემი (იხ.) იყო მერჯევანიების დროს. გევიდა მერჯევანია. რო ამოქრა მიწა, დააჭირა ფეხი აბაშიძემ (უჩამეთი).

მერჯულე ამა თუ იმ რჯულის მსახური, მოძღვარი. გააჩერა ღვდელი და წირვა გამეიყვანა: — ჩემა მერჯულემ კამოსო (სხვიტორი). (იხ. დ. ნ. ჩუბ.).

მესერა || მესერე მესერი. მესერა ღობეა, წყნელით არ იქსოვება, სარებია ახლო-ახლო ჩასობილი, ზევიდან აქ 3-4 წყნელი გადაქსოვილი (ტაბაკინი); აქა მესერა გვაქ ჩვენ (ლიჩი); მივიდა ქიშკართან — სულ რკინის მესერეა (ხილარი); მესერეში რო გაგიყვია თავი, ქიშკარი არ იყო? (ტაბაკინი). (იხ. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს.). || მესერე იგივეა, რაც ხიმე (იხ.). მესერეა ორ სარს შორის ირიბულათ ჩაწყობილი დაპობილი ხეები, სარეფს აკავეფს შქერის (იხ.) გვერგვი (იხ.) (ხევი). (იხ. განმარტ. ლექს. ხიმე). შდრ. შამომესრამს.

მესვრელე 1. სვრელის (იხ.) დამწყები, ვინც მიმართულებას აძლევს დანარჩენებს. ყანაში აქეთ-იქით თავეფში აყენებენ მესვრელეებს, რო დანარჩენებმა სწორად გეიყვანონ სვრელი (განთიადი); მადარი მესვრელეი (ტაბაკინი). (იხ. მენთ. მესვეურე, განმარტ. ლექს. მესვრელე, მესვეური, მაკალ. მთიულ. 138, მაჭავ. 288 მესვეური; შდრ. დიალექტ. ქართლ. მესვეური, ჯაჯ. IX). || ის, ვინც ყანაში მუშაობისას სვრელი გაიტანა. მესვრელეა სვრელის გამყვანი, სვრელის ნაპირზე ვინც დგას (ქვედა საქარა).

მეტბზიკობა მეტიჩრობა, კუდაბზიკობა. მეტბზიკობას რატო არ იშლით? (ზედუბანი).

მეტულოფ-ს იმეტებს. შვილი ვერ მეტულოფს ამ დედასა (წირკვალი).

მელამურა ღამურა. მელამურა ჩამოვარდა წეხან, ბელლი წინ დეეცა (ზედუბანი). (იხ. საბა ღამორი, ღამურა, დ. ნ. ჩუბ. ღამორა, შარაშ. ელ. მელამურეი, ქყ. მაჩხატელა, განმარტ. ლექს. ღამორი).

მეცარ-ი ყველაფრის მცოდნე. მამელელები მყამს, მარა ხათრით ვერ მოვავლევიფე, თვარამ მეცარია ყოლიფერზე, მისთანა მყამს შვილიშვილის ცოლი (ბორითი); ამ ბაზარში ერთი მეცარი კაცი არი (ზედუბანი); მეცრები არ ვართ ჩვენე (ხილარი). (იხ. ვისრ. მეცნიერი; შდრ. საბა, ძიძღვ. ძიებ., ჯაჯ. IX).

მეწელიწლე წელიწადგამოშვებით ნაყოფის მომცემი, — მეწლე. მე-

წელიწლე ხილი გვაქ ჩვენე (ქვაცხე); ნესტორა ბიძია, მეწელიწლეა შენი ხილი? (ხრეთი). (იხ. საბა მეიმწლე, ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 442, მეწლეული, მენტ. მეწლეურე ფური, შარაშ. მეწლე, ალავ. XXIV მეწლეური, განმარტ. ლექს. მეწლეული). იხ. სამეწელიწლე.

მეწელიწლეობა წელიწადგამოშვებით ნაყოფიერება, — მეწლეობა. მეწელიწლეობაი იცის ხილმა და ნაყოფიერი ზოგი კაი იყო, ზოგი — გლახა (ხვაშითი). (იხ. განმარტ. ლექს. მეწლეულობა).

მეწინავე მოწინავე. ჩვენე მეწინავე ვიყავით, ახლა რალა ვართ (გეზრული). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

მეწლე იგივეა, რაც მეწელიწლე (იხ.). მეწლეა ზოგი ხილი (ტაბაკინი). (იხ. შარაშ., განმარტ. ლექს.).

მეხარჯე სასმელ-საკმლის (ხარჯის) მიმტანი. რო დეიჭირეს გლეხები, კითხეს: ვინ გიწიკემდათ საკმელსო? — უთხრეს: სერგო. მეხარჯე ყოფილა სერგო (მანდაეთი). (შდრ. უთურ. მეპურწყლე).

მეხეურობა ხეზე ასვლა. ხეზე თუ გინდა, კინწალზე (იხ.) გავა, კაი მეხეურობა იცის (ხილარი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

მზეკარა მზიან ამინდში წვიმა. მზეკარა მზეც არი და წვიმაც, გადიკარფეს (იხ.) — მზე არი (ვახანი); მზეკარა მზე და წვიმაც (ზარანი). (შდრ. განმარტ. ლექს. მზე პირს იბანს (იხ. იბანს). იხ. ზეკარა.

მზიგულ-ი მხურვალე, მზის სხივებით გაფიცებული ადგილი, ჩვეულებრივ ასეთი ადგილი ფერდობია. ე გამოლმა კუთხეი კაია: მზე რო გადმობრუნდება, უყურეფს, მზიგულია (უჩამეთი); მზიგული ისეთი მიწაა, რომელსაც ძალიან აცხუნეფს მზე (ლეფვანი); მზიგული ფიცხი ადგილია, ვენახისთენ კაია (ხვაშითი); მზიგულია ფერდო ადგილი, მზე რო აცხუნეფს (შომახეთი, ტაბაკინი). (იხ. ქეშიკ. მზვარე, ძიძიგ. ქრესტ. მზორე, განმარტ. ლექს. მზვარი, მზვარე, მზის გული (იხ. გული), მზის პირი (იხ. პირი), დილექტ. კახ.-ქიხ. თიან. მზვარე, მაისი. მზიგული). || მცხუნვარე მზე. კარში მზიგული იყო, თავს ვერ გამოყოფდი (უჩამეთი). იხ. სამზიგულო.

მიაბჟირებთეფ-ს გადატ. ერთ რასმე მეორეს მიაყოლებინებს, მიადევნებინებს. ისე სიტყვასა რა მიმამბჟირებთეფს (წაქვა). (შდრ. საბა ბერი).

მიადგვლეთ-ს მიაჯახებს. ე ჩაფები მივადგვლიფე ერთმანეთს და გავტებე (პერევი). (იხ. განმარტ. ლექს. დგვეფა).

მიაკოკოლავეთ-ს ვენახის ძირში მიწაა მიაყრის, — კოკოლიან (იხ.) გააკეთებს. ვენახის ძირში რო მივაყრით მიწაა, ვიტყვით: მივაკოკოლავეთ (საბე).

მიაკონავ-ს | ამ-ს მიაკრავს. ვენახს ეკლის ტოტით მივაკონავთ ხარდანზე (შროშა); ვენახი ძიშეა ძან. თ'ვარ მიაკონე სარზე ჩამოვარდება ძირს (უჩამეთი). (იხ. განმარტ. ლექს. მიაკრავს მნიშვნ. 2) იხ. მოკონავს.

მიამაშმაშეფ-ს შეინახავს. ხილი ადრე მიგიმაშმაშებია, რო არ გაგიფუქტეს (წომახეთი).

მიამახარობლფ-ს სასიხარულო ამბავს მიუტანს, — მიახარებს. ბოვნი გეიქვა და დედას მიამახარობლა (ხილარი).

მიამცნევ-ს მიამსგავსებს. დაიყამს იქა და რაცხა მიამცნია იმას (მერჯევი).

მიანაბრფ-ს იგივეა, რაც მიანაბურეფს (იხ.). საქონელი მივანაბრეთ პეტრეს (ხევი). (იხ. კახ., განმარტ. ლექს. ქართლ., ყაზბ. ანაბარი).

მიანაბურეფ-ს სხვის ანაბარა დატოვებს, სხვას მიანდობს, მიაბარებს (სინონ. მიანაბრეფს). მიანაბურა შვილი პაპიას (იხ.), ახლა დო-უყინია, შენ არ მაყენებდიო (ხევა); მიმანაბურა თავისი შვილი და არ მაკითხავს-მეთქი (ფარცხნალი); მიანაბურა საქონელი მწყემსს და თითვან აღარ უელის (ზარანი); მივანაბურე საქმეი (ლარიხევი). (იხ. ქავთ. მინაბურება).

მიანიჭეფ-ს მიუსჯის, გადაუწყვეტს. პატივისცემის მაგივრათ სიკე-ტილი მიანიჭა (ფარცხნალი).

მიასვეტამ-ს მიბამს. დაგრიხამ წენელს. მიასვეტამ კანდრიკის (იხ.) თავზე (ბორითი).

მიაფილავ-ს | ამ-ს ფილს მიაყრის, — დაშაქრავს. მიაფილა ტკპი-ლიკვერი თეთრათ (ლორეშა). იხ. ფილი, შდრ. მიეხრილება. მიაფხოზლფ-ს სახელდახელოდ, ძლივძლივობით გააკეთებს (სინონ. მოასულთუხეფს). უცეფ ზაკუშკა გამართა. ჩვენსავით კ'არ მი-ფოხოლებდა (ლარიხევი). (იხ. ქავთ. მიფალასინება).

მიაფხორავ-ს | ამ-ს მიაყრის (მიწას). ქალები ლობიოს ბუნდიან (იხ.). უკავით პატარა ჩეკია თოხი (იხ.), დაკვრენ იმას, მიწა ამეიჩუგნება (იხ.), მერე გამოთესევენ, მიწას მიაფხორავენ (ბორითი).

მიალნავეფ-ს დაასუსტებს. თათარი ძან მივალნავეთ მაშინ (პერევი). (იხ. განმარტ. ლექს. ღნავის, ღნავილი).

მიაჩრჩეფ-ს იგივეა, რაც მიაჩრუტუნეფს (იხ.). სა მი-აჩრჩეტეფს რამეს, არ იცის (განთიადი).

მიაჩნოდ-ა მიაჩნდა. რალაი ჩემ სახში შამევიდა, შვილზე უკეთესათ მიამაჩნოდა, ნაკლფ არა (ლარიხევი).

მიაჩრუტუნეფ-ს (სინონ. მიაჩრჩეტებს) უთავბოლოდ მიაგდებს, ისეთ-ნაირად მიმალავს, რომ მონახავს ველარ ახერხებს. სა მი-აჩრუტუნეფს

ტუნე ე ჩულქები? (სვერი). (იხ. განმარტ. ლექს. ქართლ. მიჩუ-
ლავს).

მიბარდებ-ა შეესმება, მიეცემა. დღის დღეობამდინ $\frac{1}{2}$ ჩარეკა ღვინო
მიმბარდება (ლორეშა).

მიგეზებულ-ი გეზალებული,—მიჩენილი. ჯიბგირია მიგეზებული,
რო რამე წაართვას (წირქვალი); როდამაც არი მიგეზებული,
რო ადგილი ხელში ჩეიგდოს (ხვაშითი).

მიდგმურობა მიკერძობება, მიდგომა. ბლარი მყამს მოსანათლი და
უნდა მოვანათლიო სწორ კაცს, რო მიდგმურობა არ იცოდესო
(ჭალაურთა); მიდგმურობით როდი ვიტყვი (ხიღარი).

მიდივილ-მოდივილ-ი მისვლა-მოსვლა, მიდენ-მოდენა. სახში მიდი-
ვილ-მოდივილი არი (ტაბაკინი); ბევრმა მიდივილ-მოდი-
ვილმა დრო წამართვა (ბერეთისა); იყო აქანა მიდივილ-მო-
დივილი და ქე დავრჩით შერე ისე (შუქარუთი). (იხ. ქავთ.).
მიდღემჩი მის დღეში, არასოდეს. სიტყვა არ მითქვია მიდღემჩი
(წირქვალი). (იხ. კლდ. სამიდღემჩიით).

მიელი || მოელი მოლოდინი. დღეს იმა ჩემი მიელი აქ და თ'ვარ
წევედი, არ შეიძლება (ხიღარი).

მიეხრილებ-ა ხრილი მიეყრება. კაი გოზინაყი თუ გაკეთთა, მიეხრი-
ლება (ლოდორა). იხ. მიაფილავს.

მიწევს-მოწევს-ს მიწევ-მოწევს. მივზი-მოვზიე ლობიაები (ფარ-
ცხნალი). იხ. დეიზევს.

მითავრული ჭური აყალოთი დაგლესის შემდეგ შავმიწამიყრი-
ლი ჭური. აყალოთი დავგლისამთ ჭურს, შერე დავაყრით ზედ
მიწას და ვიტყვით: „მითავრულია ჭური“ (სანახშირე).

მიიზუზებ-ა მიიპარება. გევიხედე, პელო ქე მიიზუზება (ზედუ-
ბანი).

მიითავხელეფ-ს ხელში ჩაიგდებს, არაწესიერი გზით მიითვისებს. ალბათ
ვერ მიითავხელეს სუყველიფერი და ბოვშის ფეხსაცმელები
დებეტოვებიათ (ჭალაურთა).

მიითაკრავ-ს დახარჯავს, მიილევს. რამდენი ღვინო და პური მიითა-
კრა იმ დღემ (ზედუბანი). შდრ. მოთაკრავს.

მიილეკვეფ-ს მიისაკუთრებს, მიითვისებს. იმდონი ქნა, რო მაგან
მიილეკვა ამისი ცხოვრება, ახლა აღარც აკმევს. იმას უნდა მოუ-
შალოს კამაი? (შერჯევი).

მიიფულებ-ა თანდათანობით ჩაქრება, განელდება. რავა მიიფულა
ცეცხლი (ზარანი). (შდრ. განმარტ. ლექს. იფუვლებს).

მიიჩლუტებ-ა ჩლატუნით მივა,—მიჩლატუნდება. ისე მიიჩლუ-
ტებოდა ისი, ფეხს ჩეიცვამდა? (შომახეთი).

მიიძინეს შეიძინეს. ამ წასულმა ქალებმა გაყიდეს და, მაგათთანავე-
ბმა რო იყიდეს და მიიძინეს, მწყეტება გული (ბორითი).

მიკონვა იგივეა, რაც მოკონვა (იხ.). იხ. მიაკონავს.

მიკრახნილ-ი დამწიფებული, დავარგებული. ყურძენი წითლათ არი
მიკრახნილი (ზარანი).

მილის გობი ზის კურქელი, რომელშიც გადის საარაყე ქვაბის მილი და
ასხია წყალი (ხევი).

მიმაშვნა სახელი მიმაშნავს ზმნის მოქმედებისა.

მიმაშნავს-ს | ამ-ს კურის თავზე დაგღესილი აყალო რომ არ გამოშ-
რეს, მას ფხვიერ მიწას მიაყრის და დაფარავს. აყალო თუ კაი არ იქნა,
წყალი შოუვა, მივამაშნით კურს: კარქათ უნდა დააყარო მიწაი,
თუ პაწია მოაფცქეიე, გასკდება მიწაი (ღარხევი); სა მიმაშნე მა-
გისთანა ადგილზე, რო ვერ ნახებთ (ბერეთისა). (იხ. ჯაჯ. IX დამა-
შვა).

მიმწევი ლოგინი გრძელი ტახტი, რომელიც საჯალაბო სახლში (პა-
ლატში) დგას მთელი კედლის გასწვრივ. მიმწევი ლოგინი
ცოტას აქ ახლა (ბორითი). იხ. ლოგინი, გამწია ლოგინი.

მინაბრება იგივეა, რაც მინაბურება (იხ.). ვისმე რასმე რო
შეატოვეფ, მინაბრებას ვეტყვით (ხევი).

მინაბურება სხვის ამარა დატოვება, სხვაზე მინდობა, მიბარება. იხ.
მიანაბურეფს.

მინაბურებულ-ი სხვის ამარა დატოვებული, მინდობილი. მინაბუ-
რებულ-ია ყოლიფერი (ღარხევი); პელოს საქონელი მივანაბურე.
მე იქა იმიტო მივდივარ, რო მინაბურებულ-ი ვარ, თვარა აქა
მეზობელი სხვაც ქე არი (ფარცხნალი). (იხ. განმარტ. ლექს. მინაბ-
რებული). იხ. მიანაბურეფს.

მინავლებულ-ა მიდის თურმე. ი ბიჭი ღამით მინავლებულ-ა
(განთიადი). (შდრ. დიალექტ. ლეჩხ. მინავალა, მესხ. მივალებულა,
თუშ. მოდენილ).

მინაობა ვინაობა. კითხამს ქალს მამაი მინაობას (გორისა).

მინახავრ-ან მინახავს (ისინი). ერთი წელიწადი აღარ მინახავრ-ან
შვილები (ღორეშა).

მინდავ-ს | ამ-ს ფქეავს. ზამთარში ხანისწყალში ჩავდიოდით. ვმინ-
დექდით იქა და მოქვეკონდა ფქეილი (პირველი სვირი).

მინდვრის ხალი მხალი. მინდვრის ხალი ვიციოთ, ხოლო ფხა-
ლი იმას ქვია, მყავეს, რო ვდეფთ (ზვარე).

მირეშ-მორეშავ-ს მიყრის-მოყრის. მივრეშ-მოვრეშე ეს ბიჭები
(ხადარი).

მირეშ-მორეშავ-ს მიამტვრ-მოამტვრეუს. მირეშ-ამორეშა პაწია
აგურები (ვახანი).

მირიალებულ-ი არეულ-დარეული, უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი. ი ბალკონი მირიალებულია (ზარანი). (ა ლ ა ვ. ლეჩხ. XIII მორიალებული).

მიროტოულ-ი მოჩერჩეტო. თავის ნებაზე მოსიარულე. ეს ქალი ისე იქცევა. ნამდვილათ მიროტოულია... მალა მიროტოული ხარ შენე? მიროტოული ვგარი, არ წავა შენ ნებაზე (ბერეთისა).

მირჯილ-ი მისჯილი. მირჯილი არ ქონია ჯერ არაფერი (ტაბაყინი). მისაკრავი ძუძუ ზესადგრის ის ნაწილი, რომელიც ან გათლაშივე სქლად. გამობურცულად არის დატოვებული, ან წარმოადგენს ზესადგარზე მიკრულ ხის ნაქერს, რომ ურმის თვლების ტრიალისას მორგვი (ხუიდი) არ მიეკრას ზესადგარს და არ გაცვითოს. ზესადგარს აქ მისაკრავი ძუძუ, რომ არ მიეკრას ხუნდზე და არ გაცვეთს (ბოსლევი). (იხ. განმარტ. ლექს. ღუმაჰ).

მისანა მისთანა. ახლა მისანა მეწველი ძროხა აქ არ არი (სანახშირე).

მისასხამ-ი საქსოვი დაზვის ლერწმის მასრაზე დახვეული ძაფი. მაქო არი ზისგან გაკეთებული, ლერწმის მასრაზე გვიხვევია ძაფი. ამ ძაფს მისასხამი ქვია. ერთი წყება დაქსელილი ძაფია და მეორე მისასხამი არი (სვერი).

მისაძლეველა ზვინისთვის ჩალის მისაწოდებელი ჯოხი. მისაძლეველა კაბიანი ჯოხია, ზვინს რომ ვდგავთ, აიღეფ შეკრული ჩალის კონას და მიაწოდეფ მალლა, 4-5 მეტრი სიმაღლისაა (ვახანი).

მისაწიერ-ი დანაწიელი ადგილი, —სადაც უნდა მიაღწიონ. ბევრს ვსვემდი, მარა ყოველთვის მივსულვარ მისაწიერზე (გეზრული).

მისობისად მის დროს. მისობისად არ ვიყავი მე აქა (მანდაეთი). მიტი მიტიე. მიტიე, მიტი, მიტი! (ლარისხევი); „მიტიე“, „მიტი“ აქ არ იხმარება, იხმარება „გამეცალე“ (ვახანი).

მიტყლაპუნოფ-ს ტალახში უშნოდ დადის. მიტყლაპუნოფს და მოტყლაპუნოფს (ტაბაყინი).

მიუხაფიფეფ-ს მიუალერსებს. ქალი შეხვთა, მიუხაფიფა (წირქვალი).

მიფოხოლება სახელდახელოდ, ზერელედ, ფაციფუციტ გაკეთება. იხ. მიაფოხოლეფს.

მიფულვა თანდათანობით ჩაქრობა. იხ. მიფულეჰსა.

მიფხორვა მიწის მიყრა. იხ. მიაფხორავს.

მიქაქული-ი მიფიცხებული. ფეჩხეა მიქაქული (ზარანი).

მიქეზებულ-ი მიჩენილი, მომზადებული. შეიძლება ვინმე მიქეზებულია და წვილოს (მახათაური).

მიქლიო ყვითელი სოკო. მიქლიო ყვითელი სოკოა გულიან-კირ-წიანა, პატარა ფარფლიანი (ხვაშითი). (იხ. განმარტ. ლექს.; შდრ. ჟაჟ. IX მიქლიო).

მიყუდულ-ი მიყუდებული. ხეზე რო აქ ხელი მიყუდული, ის არი ჩემი ნათლიაი (ბოსღევი).

მიშანშალ-მოშანშალოფ-ს კობტად, მოხდენილად მიდი-მოდის. რო მიშანშალ-მოშანშალოფს მისი გოგო, მოგეწონება (ზარანი). მიჩინა (რუს. ветчина) გამომშრალი ლორი. გამომშრალი ლორი არი მიჩინა (მოხვა); ბოლზე დაკვიდემდიო მიჩინას (შომახეთი. წიფა, ზედა ჭალოვანი).

მიჩოულ-ი მიჩვეული. ძიელ მიჩოული თ'ვარ ხარ, ვერ გეიგეფ (ფარცხნალი). (იხ. ელ., დიალექტ. გურ., იმერ.).

მიცვთებ-ა მისწვდება. იქ ვერ მიცვთებოდა, ისეთ ადგილას იყო მაღლა (ტაბაკინი).

მიძინებული ნაკვერცხალი მიბეუტული ნაკვერცხალი. რო ჩაბნელდება სულ ნაკვერცხალი, ჩამქვრალი გონია, დაკრავ ფეხს და ღვივის, ესაა მიძინებული ნაკვერცხალი (ლორეშა).

მიწაობაზე მუშაოფს მიწის მუშა არის, სოფლის მეურნე. 15 კვამლი ვართ აქა, მიწაობაზე ბევრი აღარ მუშაოფს (ხევი).

მიწას მოხხნის მიწაში დარგულ სანერგე ვაზს ზევიდან მიყრილ მიწას შემოაცლის. მერე მიწას მოეხხნით: შეხვაეებული რო იყო მიწა, გამოვაცლით და გამოჩთება პატარა ფესოები და მერე დავაფესოფთ (იხ.) (ქვედა საქარა).

მიწას ოუშლის ნამყენი ვაზის ძირში გუმბათივით შემოყრილ მიწას აანგრევს. სანამ ამოვიდოდეს ვაზი, ორჯელ-სამჯელ ოუშლით მიწას, ოუნგრემთ. ორმო რო გეიქრა, ნამყენი ჩეირგო და კოკოლები (იხ.) გოუკეთთა. გუმბათივით გაკეთთა, შეგროვდა მიწა. ამ მიწას ოუშლით, რო ყლორტები არ გააფუქოს (ჩიხა).

მიწერებული იყო იმას ცრუმორწმ. იმის წერა იყო. რავარი ექიმი მოკვტა, მარა ალბათ იმას იყო მიწერებული (ტაბაკინი). მიწის გადაბრუნება სავენახედ მიწის დაბარვა ორი ბარის პირზე. სავენახეთ მიწას ჯერ ამოქრიან ერთი ბარის პირზე. ერთი საქრელი ბარით კრის, მეორე საღები ბარით იღებს და ყრის გვერდზე. მერე ხელახლა ამოქრიან. გადაბარავენ, მაგრამ იმას არ ყრიან. მეორე ამოქრაზე ხმარობენ საქრელ ბარს, ესაა მიწის გადაბრუნება სავენახეთ (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. გადაბრუნება, მიწის გადაბრუნება, ლეჟ. 65, კუ მბ. 84).

მიწისხალ-ი || მიწისხალ-ი || მიწიფხალ-ი ბოტ. თალგამურა. მიწი-

ხალი მიწაში იკეთეს თავსა, როგორც ბოლოკი (წვარე); მიწი-
ფხალი კანათა ფხალს გავს (ხიდარი).

მიწკაპულ-ი მიწყობილი. ერთი დიდი ტყემალი დგას ამ სარიყავზე
(იხ.) და იმას ქვეშ არი ოქროს ფულები მიწკაპულიო (ხიდარი).
მიჭმანავ-ს მიჩქმალავს. მიმალავს, გადინახავს. მიჭმანავს ბურთი
და ვერ ნავზე (ხვაშითი). (შდრ. ბერ. ღაჭმანავა, ჭკმანავა, ჭპანავა,
განმარტ. ლექს. იმერ. ლეჩხ. ჭმანავს).

მიჭმანავა გადანახვა, მიჩქმალავა, მიმალავა. უყვარს ყოლიფრის მიჭ-
მანავა (ხვაშითი). იხ. მიჭმანავს.

მიჭყუბებულ-ი ერთმანეთზე მიკრული, მიტყუბებული. ტყუბლა სო-
კოა, ხეზე ამოდის ტყუბლათ, დამპალ ხეზე, მიჭყუბებული
ძან ბევრია ერთმანეთზე (ჩიხა).

მიხაფიფება მიალერსება იხ. მიუჭაფიფეფს.

მიხედვა შეხედულება. ცოლი ყამდა ძალიან კაი მიხედვის ქალი,
ეს მოჯამაგირეც კაი შეხედულობის ბიჭი იყო (ჭალაურთა). (შდრ. გან-
მარტ. ლექს.).

მიხრილულ-ი ხრილმიყრილი, დაშაქრული. ტკპილიკვერი მიხრი-
ლულია (სვერი). (იხ. განმარტ. ლექს. ხრილი³: შდრ. ნინოშ. ხრი-
ლი). იხ. მიაფილავს.

მიჯანგრამ-მოჯანგრამს ნაჩქარევად, ულაზათოდ, უსუფთაოდ გააკე-
თებს. მიჯანგრამ-მოჯანგრამ და რა გიამება? (სვერი).

მიჯანგრა-მოჯანგვრა ნაჩქარევად, უსუფთაოდ გაკეთება. იხ. მიჯან-
გრამ-მოჯანგრამს.

მიჯილულ-ი ჯილეში დამალული, მიფარებული. გადავხტი ღელეში,
ფუჩეჩით არის სამსე, გედვიფარე თავზე ფუჩეჩი, ვარ მიჯილული
ღელეში (შომახეთი). იხ. ჯილე.

მკატ-ი ობი. მკატს მეიკიდფეს ფესოში (ხიდარი). (შდრ. ჯაჭ.
IX მყადი, მყარტლი). იხ. დამკატული.

მკერვალ-ი მკერავი. მკერვალი ვიყავი, ქვეც ვქარგემდი (ჩიხა).
(იხ. საბა, განმარტ. ლექს.).

მკვაჟ-ი ბევრტოტიანი ხე, რომელიც მასალად არ გამოიყენება. მკვა-
ჟია, ბევრი როკებიანი, როკები (იხ.) ერთმანეთში რომაა გადახ-
ლართული, ისეთი ხე, არაფელში არ გამოდგება (წარანი); მკვაჟია
ეს წიფელა, არაფრათ არ გამოდგება, ნაროკალი აქ ბევრი (ფარცხ-
ნალი).

მნიშვნეულობა მნიშვნელობა. არავითარი მნიშვნეულობა შენ
წამლფეს არა აქ-მეთქი (ტაბაკინი).

მოაბწვეფეფ-ს || მოაბწვენეფ-ს კალოს გაწმენდისა და მორწყვის შემ-
დეგ ზხეს მოაყრის, რომ სველმა მიწამ არ დაიკრას პურის მარცვალი
და მიწა არ აპყვეს პურს. კალოს თოხით მოვფხეკთ. მოვრწყამთ, გა-

დავიტანთ მოფხევილ მიწას ნაპირებზე, მოვრწყამთ და მოვაბზევ-
ვეფ, ე. ი. ბზეს მოვაყრიოთ ამ სველ მიწას, რო პური არ დეიკარქოს
(ბაჭითი); მოვხოსრევილით (იხ.) კალოს თოხით, მერე გადავხვეტევილით,
ცოცხით დავგვილით, მოვრწყემლით, მერე მოვაბზევნებლით—
ბზეს მოვაყრილით, რო მიწა არ მოყვეს (შომახეთი). (შდრ. ალავ-
ლეჩხ. XXIV მოდაცვა).

მოაბუნხოფ-ს ბუნჩოს თავს მოუყრის, შეაგროვებს. ნაძროვალა (იხ.)
რო დარჩება ლობიოს გამოფშენის შემდეგ, თავს მოუყრით, მოვა-
ბუნხოფთ (წვარე).

მოაგლუხეფ-ს მოიტანს, მოიყვანს; მოათრევს. ვინ მოაგლუხაის
საძაგელი? (წვარე); ნინა, შენ შამოგიარე, დღესე ისესხე ნამთი, არ
მოაგლუხეს და რა ვქნა (იქვე). იხ. გეიგლუხება.

მოაგუნიავეფ-ს მოაგროვებს. კრუხმა მოაგუნიავა წიწილები
(რგანი). (ქვაციხეში იხმარება „მონაგროვა“, ხრეთში—„მოაქუჩა“).

მოათავხელეფ-ს ხელში ჩაიგდებს. თუ რამე მოათავხელა,
უნდა გაშინჯოს თავისი ხელით (ტაბაყინი); ახლა თუ მოათავხელ-
ეს, ქვე ქურდობენ (პერევი).

მოაკალთავეფ-ს მოაგროვებს, ერთად შეკრებს. მოვაკალთა-
ვეფთ სიმილი (ხვერი). იხ. შეაკალთავეფს.

მოაკიზინეფ-ს შეანთებს. ე, გოგო, მოაკიზინე ცეცხლი (ბერე-
თისა).

მოალაფარდოფ-ს უშნოდ, ალაფარდად (იხ.), აცაბაცად დადის. რავა
მოალაფარდოფს ე ქალი (ხიდარი).

მომგვანეფ-ს მოაგვარებს. ისე მოუმგვანებიათ საქმე, რო
უნდა, მევიდონ და დამნიშნონ მე (წირქვალი).

მომოცნიეფ-ს მოწველის წინ ძუძუს მოაწოვინებს ხბოს, რომ ძროხის
ჯიქანში რძე ჩამოვიდეს. მოამოცნიე, ბიჭო, ხბოს (ტაბაყინი).
(იხ. ბერ. მოცნა, ლოცნა, გენვა, ელ. მოცება, დიალექტ. ლეჩხ.
მოგენიება, ქავთ. მოცნა).

მომჭყვლეფ-ს წყალს მოახხურებს. მოამჭყვლიე წყალი სოხანე-
ზე (შუქრუთი); მოამჭყვლიე წყალი, პტვერი აღარ დადგება,
რო გამოხვეტამ (პერევისა).

მონადგურეფ-ს გაანადგურებს. კოხმა (იხ.) მონადგურა ყვე-
ლიფერი წროულა (ქორეთი).

მოსამაგისეფ-ს მიხედავს, საიმედოდ მოაწყობს, ხელს შეუწყობს.
ბოვეშია ძან ავათ, ამაღამ დავადგები თავზე და მოვასამაგისეფ
(წარანი). (იხ. ქავთ. მოსამაგისება).

მოსამარგისეფ-ს მორაგებს. მოასამარგისე გოგორაზე რიკე-
ბი (ხრეთი).

მოსარგალეფ-ს მოაბინძურებს, მოსერის. ტყვილა მოასარგალა

პოლი ნასინსვლებით (იხ.) (ხიდარი). (მღრ. შარაშ., ქავთ. მოსარგალება).

მოასთვენ-ს მოაწვდენს. მო გ ვ ა ს თ ვ ი ნ ე ხმაი (ტაბაკინი).

მოასულთუხეფ-ს იგივეა, რაც მიაფოხოლეფს (იხ.). გალინამ მოასულთუხა სადილი (ხვერი); მოასულთუხა ვახშამა და ამაჩქარა (ხრეთი).

მოასხურეფ-ს ვენახს შეწამლავს კირნარევი შაბიამნის ხსნარით. ვენახს მოასხურებენ წამლით სამკელ-ოთხკელ (ღორეშა).

მოაცელთიეფ-ს მთლიანად დააკავებინებს (რასმე). ეზოს მოვაცელთიეფ ანგურით? (ხრეთი). (იხ. ქავთ. მოცელთვა).

მოაცთენ-ს მოაწვდენს. არავინ მომაცეთინა ხმა (ტაბაკინი).

მოახურეფ-ს მოახურავს. მოგახურეფ ხალათს (პირველი სვირი).

მობაგამ-ს იგივეა, რაც დაბაგამს² (იხ.). საწნახელში რო ჩაყურით ყურძენს, მოვბაგამთ, შევდგებით ფეხით (გორისა).

მობარაგინდება-ა დამკვიდრდება, დაბინავდება. წყალგაღმა იყო სახელმწიფო ადგილი, წყალგამოღმა — საბატონო. სახელმწიფოზე მობარაგინდენ გადმოსული ხალხი (წიფა).

მობაწნი-ს ერთიანად შექვამს, არაფერს არ დატოვებს. ძროხას მოუბაწნია ბალახი (განთიადი).

მობზევება || მობზევება გაწმენდისა და მორწყვის შემდეგ კალოზე ბზის დაყრაა, რომ სველმა მიწამ არ დაიკრას პურის მარცვლი და მიწა არ აჰყვეს პურს (ბაჭითი). (იხ. ალავე. ლეჩხ. მოლაცვა). იხ. მობზევეფს.

მობიენა ქვია იმა, პაწია ჭირკეფს თუ მოჭრი (ფარცხნალი); სა შემიძლია ჭირკების მობიენა? (ტაბაკინი). იხ. მობიენის.

მობიენი-ს მოჭრის. მობიენე პაწია ჭირკები? (ტაბაკინი).

მობურბურება თოვლის მოყრა. მობურბურება იცის ამ დროს (შომახეთი).

მობლოავ-ს | ამ-ს მობლუჯავს, ძირიანად მოთხრის, ერთიანად მოგლეჯს. არ გვითქვამს, მობლოლეთ ლობიოო (ზედუბანი); კაი ბალახია და საქონელი კარქათ მობლოლამს ბალახს (განთიადი); წვანილი მობლოლა და ყველიფერი მოყობა — ბალახი და სუყველიფერი (შროშა).

მოგალამ-ს საყანედ გაყავავს ტყეს, — ხეებს მოჭრის ძირში. ბროწეულა ტყე იყო შიდა, მოყვევით და მოვგალეთ. სახლის ხე რო იქნება, იმა მოჭრა ქვია, საყანეთ რო გვინდა ტყე, მოვგალამთ, ფესოზე მოვჭრით იმა, ძირი ქე დარჩება, მარა ამოლპება (ხიდარი).

მოგალვა სახელი მოგალამს ზმნის მოქმედებისა. საყანეთ ტყის მოგალვა უნდოდათ (ხიდარი). იხ. მოგალამს.

მოგეზებულ-ი იგივეა, რაც მიგეზებული (იხ.). ისე იყვენ მოგეზებული, რო უნდოდათ პატივისცემა (შუქრუთი).

მოგირგლავ-ს ლობის თავებს გრიგალით (იხ.) გადაწნავს ტალღისებურად, გრიგალს გაუკეთებს. მოგრიგლეთ ლობე (ტაბაკინი). (იხ. ბ. წერ. გადაგირგული, ბერ. გირგლვა, ქავთ. გადაგრიგლვა). იხ. გადაგრიგლული.

მოგუგულავებულ-ი მოგროვებული. მოგუგულავებულ-ი მაქყველიფერი (ზედუბანი).

მოგულისჭირვება გულის მოჭერება; ავადმყოფობის, გაჭირვების გადატანა. იხ. მეიგულისჭირვეფს.

მოგურგულდებ-ა გამაგრდება (იხმარება შეშინებულის შელოცვაში). გულო, მოგურგულდი, თვარა კარში გელი გიკბენს (შომახეთი).

მოდაინებულ-ი ბუნებრივად მოკაუჭებული. მოდაინებულია თავისთავად მოკაუჭებული, რომელიც იხმარება რასმე დასაყიდებლათ, ჩამოკიდეფ რასმე. ჩემი ქუდი მოდაინებულ შტოზე კილია (ბორითი).

მოელე მეველე. დავითია გლახა მოელეა: ახლა სხვა მოელე გამოყავით (ხიდარი).

მოელულ-ი გვალვისაგან დაუმწიფებლად გაფუჭებული, წამხდარი. მოელული იყო შარშან პური (ზედუბანი). (იხ. ქავთ.; შდრ. საბა).

მოენე ჰორიკანა, ენის მიმტანი, მკილავი. ჩემი გოგო არ იყო მოენეი (ზედუბანი). (იხ. მენტ. მკრინჩხველი, მკრინცხველი; შდრ. გურამ., განმარტ. ლექს., მენტ.).

მოვლილი უქნია გზის შემოვლით მოსულა. მოტრიალებულა თავჯულმარეი, მოვლილი უქნია (ზარანი).

მოზვერ-ი ხარია სამ წლამდე, ე. ი. დაკოდვამდე (უჩამეთი); მოზვერია, სანამ უღელს დეიდგამდეს ხარი (სვერი). (შდრ. საბა. დ. ნ. ჩუბ., გაბ. მაზვერი, განმარტ. ლექს.).

მოზიგვა მოზიდვა. შეშის მოზიგვას მივცეთ 4 დღეი (ზედუბანი).

მოზულება მოძულება. იხ. მოიზულეფს.

მოთავხელება ხელში ჩადება. უნდოდა ცოლის ქონების მოთავხელება (ტაბაკინი). იხ. მოთავხელეფს.

მოთავკრა სახელი მოთავკრავს (იხ.) ზმნის მოქმედებისა.

მოთავკრავ-ს | ამ-ს დაწვავს. ე ფეხსაცმელები ძაან ცხელია, მოთავკრამს ფეხეფს (ლედვანი).

მოთავამ-ს სველ ნაცარს მიაყრის ძალიან გახურებულ თონეში ნაკვერცხლებზე. ცხელია თონეი და უნდა მოვთავო (წიფა). (იხ.

ა ლ ა ვ . მ ო თ უ თ ქ ვ ა : შ დ რ . გ ა ნ მ ა რ ტ . ლ ე ქ ს . ქ ა რ თ ლ . თ ა ფ ს ი ზ ა მ ს ,
ი თ ა ფ ე ბ ს) .

მ ო თ ა ფ ვ ა ს ვ ე ლ ი ნ ა ც რ ი ს მ ი ყ რ ა ძ ა ლ ი ა ნ გ ა ხ უ რ ე ბ უ ლ თ ო ნ ე შ ი ნ ა კ ვ ე რ -
ც ხ ლ ე ბ ზ ე . ი ხ . მ ო თ ა ფ ა მ ს .

მ ო თ უ შ ა მ - ს ც ე ც ხ ლ ე მ ო ა თ ბ ო ბ ს . მ ო კ ა უ ქ ე ბ უ ლ ი ხ ე ა , მ ო თ უ შ ა მ
ი მ ა , ა ბ ო უ რ ს გ ო უ ე ე თ ე ფ (ბ ო რ ი თ ი) . (ი ხ . გ ა ნ მ ა რ ტ . ლ ე ქ ს . ი მ ე რ . თ უ -
შ ა ვ ს) .

მ ო თ უ შ ვ ა ს ა ხ ე ლ ი მ ო თ უ შ ა მ ს (ი ხ .) ზ მ ნ ის მ ო ქ მ ე დ ე ბ ის ა .

მ ო თ ხ ი ზ ა მ - ს დ ა ს ვ რ ის , მ ო თ ი თ ხ ნ ის . თ ე ფ შ ი მ ო თ ხ ი ზ ა (ვ ა ხ ა ნ ი) .

|| გ ა დ ა ტ . შ ე თ ხ ზ ა ვ ს , მ ო ი გ ო ნ ე ბ ს , შ ე თ ი თ ხ ნ ის (ტ ყ უ ი ლ რ ა ს მ ე) . ი მ ნ ა ი რ ა თ
მ ო თ ხ ი ზ ა ა მ ბ ა ვ ი , რ ო მ ა მ ა შ ვ ი ლ ს მ ო ა კ ვ ლ ე ვ ი ა (ვ ა ხ ა ნ ი) .

მ ო თ ხ ი ზ ვ ა მ ო თ ი თ ხ ნ ა , დ ა ს ვ რ ა : გ ა დ ა ტ . შ ე თ ხ ზ ვ ა , მ ო გ ო ნ ე ბ ა . ი ხ . მ ო -
თ ხ ი ზ ა მ ს .

მ ო ი ზ უ ლ ე ფ - ს მ ო ი ძ უ ლ ე ბ ს . ა ს ე მ ო ი ზ უ ლ ა ქ ო ნ ე ბ ა ი (ხ ე ვ ი) .

მ ო ი ს ა კ ლ ის ე ფ - ს (ვ ი ნ მ ე ს) დ ა კ ლ ე ბ ა ს ი გ რ ძ ნ ო ბ ს , შ ე წ უ ხ ლ ე ბ ა . მ ო მ ი -
ს ა კ ლ ის ე ბ დ ა , რ ო წ ა მ ე ვ ი დ ო ლ დ ი (ქ ვ ე ბ ი) ; ჩ ე ე ნ ა რ ა ფ ე რ შ ი მ ო გ -
ვ ის ა კ ლ ის ე ბ ე ნ , მ ა რ ა ა რ ც მ ე მ ი ნ დ ა ის ი (შ ო მ ა ხ ე თ ი) ; რ ო ა ლ ა -
რ ა ფ ე რ ი დ ა ხ ვ თ ა კ უ ხ ნ ა შ ი , მ ა მ ი ს ა კ ლ ის ე ს (ს ხ ვ ი ტ ო რ ი) . ი ხ .
მ ო ს ა კ ლ ის ე ბ ა .

მ ო ი ქ ო ნ ი ე ფ - ს შ ე ი ძ ე ნ ს , შ ე ა გ რ ო ვ ე ბ ს , ე ქ ნ ე ბ ა . მ ო ვ ა გ რ ო ვ ე თ პ ა წ - პ ა წ ი ა
ყ ვ ე ლ ი ფ ე რ ი , პ ა წ ი ა მ ო ვ ი ქ ო ნ ი ე თ რ ა მ ე (წ ა ქ ვ ა) .

მ ო ი ძ ა ნ ძ ა ხ ე ფ - ს ი ძ ა ლ ე ბ ს , გ უ ლ ს ი ჯ ე რ ე ბ ს . მ ო ი ძ ა ნ ძ ა ხ ა თ ო ვ ლ მ ა
და მ ე რ ე ის ე ვ - ის ე ვ ი ა მ ი დ ა (შ ო მ ა ხ ე თ ი) . ი ხ . მ ო ძ ა ნ ძ ა ხ ე ბ ა ; შ დ რ .
მ ე ი ჯ ე ნ ჯ ე ხ ე ფ ს .

მ ო ი ჭ ა ნ გ ე ბ - ა || მ ო ი ჭ ვ ა ნ გ ე ბ - ა ქ ა ნ გ ი ა ნ ი (ი ხ .) გ ა ხ ლ ე ბ ა , მ ო მ ყ ა ვ დ ე ბ ა , ო დ -
ნ ა ე მ ო ძ მ ა რ დ ე ბ ა . მ ო ი ჭ ა ნ გ ა ლ ვ ი ნ ო (ს ა ბ ე) ; მ ო ი ჭ ვ ა ნ გ ა ლ ვ ი ნ ო ,
შ ე პ ა რ უ ლ ი ა ქ ს ი ძ მ ა რ ე ი (შ რ ო შ ა) .

მ ო კ ა ვ ე ბ ა ვ ა ზ ის ლ ე რ წ ის მ ო ლ უ ნ ვ ა ს ა რ ზ ე მ ის ა კ რ ა ვ ა დ . მ ო ხ ვ ე ვ ა ო რ ნ ა ი -
რ ი ა : ე რ თ ი მ ო წ ყ ე ნ ტ ვ ა (ი ხ .) და მ ო რ ე — მ ო კ ა ვ ე ბ ა . მ ო კ ა ვ ე ბ ა
უნ დ ა ც ო ლ ი კ ო უ რ ს : მ ო ვ წ ე ვ ე თ ლ ე რ წ ს , მ ო ვ ლ უ ნ ა ვ თ ტ ყ ვ ი ლ ა და მ ი ვ ა კ -
რ ა ვ თ ს ა რ ს (ფ უ თ ი) .

მ ო კ ა ლ თ ა ვ ე ბ ა მ ო გ რ ო ვ ე ბ ა . ი ხ . მ ო ა კ ა ლ თ ა ვ ე ფ ს .

მ ო კ ა ლ მ უ ლ - ი კ ა ლ მ ი თ დ ა ხ ა ტ უ ლ ი . მ ო კ ა ლ მ უ ლ ი თ ვ ა ლ - წ ა რ ბ ი ა ქ
მ ა რ ო ს გ ო გ ო ს (მ ე რ ჯ ე ვ ი) .

მ ო კ ა ს კ ა ს ე ბ უ ლ - ი ძ ა ლ ი ა ნ მ ო წ მ ე ნ დ ი ლ ი , გ ა კ რ ი ა ლ ე ბ უ ლ ი . მ ო კ ა ს კ ა -
ს ე ბ უ ლ ი ა ც ა (ლ ე დ ვ ა ნ ი) . (ი ხ . ქ ყ . მ ო კ ა ს კ ა ს ე ბ ა , გ ა ნ მ ა რ ტ . ლ ე ქ ს .
მ ო კ ა მ კ ა მ ე ბ უ ლ ი) .

მ ო კ ვ ა ნ ხ ა მ - ს კ ვ ა ნ ხ ს (ი ხ .) დ ა ა ჩ ე ნ ს (ი ხ მ ა რ ე ბ ა მ ხ ო ლ ო დ უ ს ა ფ ე უ ე რ ო დ
მ ო ზ ე ლ ი ლ ი პ უ რ ის ც ხ ო ბ ის ა ს) . მ ო ვ კ ვ ა ნ ხ ხ ე წ ყ ლ ო პ უ რ ი , კ ვ ა ნ ხ ს ;
და ვ ა ჩ ი ნ ე (მ ო ხ ვ ა) .

მოკვანწულ-ი კობტად გამოყვანილი. რავარი გავაკეთე ქვევრა (იხ.), არ არი მოკვანწული? (ბოსლევო).

მოკვარამ-ს მოშუშავს. ჯერ ხორცს მოვკვარამ ხახვში (მოხვა). (შდრ. განმარტ. ლექს. იმერ. თუშავს).

მოკვერვა მოკუნტვა. (იხ. ქავთ. მოკვერვა³). იხ. მეიკვერე-ბოდა; შდრ. კვერი.

მოკიზინება შენთება. ეზარება ცეცხლის მოკიზინება (ბერეთი-სა). იხ. მოაკიზინეფს, შეაკიზილეფს.

მოკინწიალდება-ა მოინთება. ცეცხლი ჯერ მოკინწიალდეს და მერე შოუღეფ დიდ შემას (ბოსლევო). შდრ. მოაკიზინეფს. მოკიზინება.

მოკისრვა თიხის ქურქლის ყელის — კისრის — გაკეთება. გვამი (იხ). მეიქნება და თანდათან ვიწროვდება ზევით, რომელსაც ქვია მოკისრვა (ბოსლევო).

მოკიტალება || მოკუტალება ზურგზე მოკიდება. რისი მაქნისია მოკუტალებაი (სვერი). (იხ. ქავთ. მოკიტალება, ბერ. კუტა-ლიება, ალავ. ლეჩხ. მოკოტრება). იხ. მეეკიტალება, მეეკუტალება, მეიკუტალებს.

მოკონავ-ს | ამ-ს ვაზს თუ მოსახვევს მიაკრავს სარზე რამეთი. სარზე მოკონამთ ვენახს, რო ქარმა არ ჩამოაგდოს (უჩაშეთი); მოკონამთ ვაზს სარზე მაისში, იენისის შუამდი; ეკლის ტოტით მოკონამთ ხარდანზე (შროშა). (შდრ. განმარტ. ლექს. კონავს). იხ. მიაკონავს.

მოკონვა ვაზის თუ მოსახვევის მიკვრა სარზე. მოკონვა წინათ ვიციოდით მაჩალკით, ახლა წაბლის ან თელის ხის კანს უფრო ხმარობენ (ბაჯითი); მაისში დავიწყებთ მოკონვას (საბე). (იხ. განმარტ. ლექს., ჯოხ. 58 შეყელვა; შდრ. განმარტ. ლექს. კონვა). იხ. მოკონავს, მიაკონავს.

მოლასტულ-ი || მოლასტული სიმინდი კარგტარობიანი სიმინდი. მოლასტული სიმინდი გვაქ წელს (სანახშირი). იხ. ლასტი¹.

მოლაღდება-ა გალაღდება. ძალიან მოლაღდაე კაცი (გოლათუბანი). შდრ. ლაღდება.

მოლბება ღვინო ლორწოიანი გახდება. რო მოლბება ღვინო. ბეწვებივით გეიკეთეფს ლორწოს, შეიძლება ალორწოებული ღვინო გაკეთეთეს (შოშახეთი). || შესქელდება და გამჟვირვალობას დაკარგავს. ღვინო რო მოლბება, შესქელდება, გემოვნობას კარგავს და ფერსაც იცვლის, გამჟვირვალობას კარგავს (შროშა).

მოლევვა აღება, მოთავება. იხ. მეილევება.

მოლიხავ-ს ისე ბლომად მოიტანს, რომ ტევა აღარ არის. კარპეზამ

შემა მოლიხა ზამთრისთვის, გაამსო აქობა (ზროშა). იხ. ლიხ-
ვაზე მოდის; შდრ. ლიხავს, ლიხი.

მოლიხვა უწესრიგოდ მიყრა-მოყრა, ისე რომ სხვა რამესთვის ადგილი
ალარ რჩება; ტევა ალარ არის. მოგვაყარა თავისი ბარგი, აქა გვლიხამს
ჩვენე, მოლიხული ვართ. მოლიხვა არი, ადამიანის გასასვლე-
ლი რო ალარ არი, ტევა ალარ არი სახში (ტაბაკინი). (შდრ. ჯაჯ IX
მოლიხვა). იხ. ლიხი, ლიხავს, მოლიხავს.

მოლოქავ-ს | ამ-ს ლოქს (დორბლს) მოაცხებს. შენ თ'ვარ მოლო-
ქე ახლა, კ'არ ივარგეფს ისე (სვერი). იხ. ლოქი.

მომამჭინება მომჭირნობა. მომამჭინება უნდა ყველიფერს
(ტაბაკინი).

მომამშვნა სახელი მომამშნავს ზმნის მოქმედებისა.

მომამშნავ-ს | ამ-ს კურის თავზე დაგლესილ აყალოზე ფხვიერ მიწას.
დააყრის. აყალო რომ არ გამოხმეს. მოვამამშნეთ კური (საბე). იხ.
მომამშნავს.

მომბალი || მომბალი ღვინო ლორწოიანი ღვინო. თუ წყალი ჩეეპარა
ღვინოს, ან კური არ იყო კარქათ გარეცხილი, ლორწოიანი გახთება
ღვინო, ე. ი. მომბალი (ქვედა ხაქარა); წებოვანი რო გახთება
ღვინო, იტყვიან, მომბალიაო (მანდაეთი); ჩააყარე 2 კობზი
გაცრილი ნაცარი, ჰყორი მოურთიე და ალარ იქნება მომბალი ღვი-
ნო (შომახეთი). იხ. მოლბება ღვინო.

მომბიარე მსხმოიარე. მომბიარე იყო ჩემი ვენახი (ტაბაკინი).

მომბილავ-ს | ამ-ს ხელით გასინჯავს. მეწისქვილემ ბოვში მომბი-
ლა, წამიყვანა წისქვილში, დააწვინა თფილათ (გეზრული).

მომგვანება მოგვარება. იხ. მოამგვანეთს.

მომღომილ-ი მონღომებული. ძალიან მომღომილი იყვენ ვაშკა-
ცობას (ზედუბანი).

მომზადილ-ი მომზადებული. პაწია როდინივით ქონდა დედაჩემს ხე-
რასნისთვის მომზადილი (ტაბაკინი).

მომთქველავა ერთბაშად მოსვლა. (იხ. ჯაჯ. X მომთქლოვა). იხ.
მეიმთქვლევა.

მომიწვნა მიწის მოყრა და ოღროჩოღრო ადგილების მოსწორება. პა-
ლატის (იხ.) მომიწვნა მინდა (მანდაეთი). იხ. მომიწნავს.
მომიწნავ-ს | ამ-ს მიწას მოაყრის, ოღროჩოღრო ადგილებს მოასწო-
რებს. სოხანე მომიწნე კაათ (სვერი); თავლა უნდა მეიმიწ-
ნოს, უნდა დაკვმანოთ (იხ.) (ზედუბანი).

მომიწნული მიწიანი სახლი, ფიცრის იატაკი სადაც არ არის. მო-
მიწნული სახლი ქონდა უფროს ძმას (შომახეთი); ერთი მომიწ-
ნული სახლი მქონდა, მორე:— გაპოლილი (ტაბაკინი).

მომოცნა ხბოს მიერ ძროხის ძუძუს მოწოვა, რომ ჯიქანში რძე ჩამო-

ვიდეს. (იხ. ბერ. გენვა, ლოცნა, მოცნა, ჟღ. მოცება, შარაშ. მომოცება, დიალექტ. ლეჩხ. მოგენიება). იხ. მოამოცნიეფს.

მომრბენ-ი მარდი, ყოჩალი, ვისაც სირბილი შეუძლია; გადატ. ახალ-გაზრდა. ყველაფერს მოასწრეფთ, თქვენ ჯერ მომრბენი ადამიანი ხართ (ზედუბანი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

მომუზნი-ს დასვრის, მოთხუპნის. მომუზნა რეზიკომ ნახშირით და გადაბეირდა (იხ.) (სვერი). (შდრ. ქეშიკ. მოთანხვლილობა, მომურდლულობა, განმარტ. ლექს. მომუზნული).

მონადგურება განადგურება. იხ. მონადგურეფს.

მონავარ-ი აღიდებული, გაცოფებული (ღელე თუ მდინარე). დიდი წვიმები იყო და რა მონავარი წყალი მოდის! (სანახშირე); ლეშხოური მონავარი მევიდა, ამ ბიჭმა გაცურა მონავარში (განთიადი). (შდრ. დ. ნ. ჩუბ., ჭყ., მენთ., განმარტ. ლექს.).

მონავლებულა მოდის თურმე. სერგო მონავლებულა ზვარედან (ნებოძირი). (იხ. ქეშიკ.; შდრ. დიალექტ. თუშ. მოდენილ, ქვიმერ. მონავალა). იხ. მინავლებულა.

მონაყიდე მყიდველი. შენ მონაყიდეები რო დაგიდის ყანაში, გაყიდე და ფული ეიღე (წირქვალი); ბაზრის ხალხი მონაყიდეა (მომახეთი).

მონახსოვრე ვისაც ახსოვს. იმისი მონახსოვრე კაცი არ მეგულება ცოცხალი (ღელვანი).

მონდომა მონდომება, სურვილი. სწავლის მონდომა არ აქ (გეზრული). (იხ. განმარტ. ლექს.).

მონდომილ-ი მონდომებული. ზოგი მონდომილი არი (გეზრული).

მონოშავ-ს | ამ-ს დაუმთავრებელი თიხის ქურჭლის ახლად გამოძერწილ რომელიმე ნაწილს დაფარავს ფოთლებით (ნოშოთი), რომ არ გახმეს და შემდეგი ნაწილის გაკეთებისას იყოს რბილი, ადვილად მოექნას თიხა. კუნჭულოს (იხ.) გავაკეთეფ ერთ ტკაველს, მერე შამოვალამაზეფ სველი ბანდით და გონგით (იხ.), მერე მოვფოთლამ ნოშოთი (იხ.), მოვწოშამ ბამბიეკლის (იხ.) ნოშოთი ისე, რო ნახევარი ნოშო შიგნიდან იყოს, ნახევარი გარედან (ბოსლევი). (იხ. ბ. წერ. შემოფოთვლა).

მონოშვა სახელი მონოშავს (იხ.) ზმნის მოქმედებისა.

მონჭუხულ-ი მოქმუხნილი, მოღუშული. ამის ქალს სახე სულ მონჭუხული აქ (პერევი).

მოოგვარგვალეფ-ს მოაგუნდავებს ცომს. სანამ ამას მოვოგვირგვალებდე, მევიტან მანამდი წყალს (ღელვანი).

მოპარვა ფეხისა იხ. მეიპარა ფეხი.

მოპატიჟილე-ი: მომპატიეებელი. ჩვენთან ქე იყო მოპატიჟილე,

ქორწილში დაქვებულები (ლორეშა). 2. დაპატივებული. ეზო სავსე იყო ხალხით, მე ვთქვი: თუ მოპატივიღლე ხალხია (ბოხლევნი). იხ. პ ა ტ ი ე ლ ი.

მოპერავ-ს | აშ-ს მოაცილებს, მოხდის (ქაფსა და მისთ.). ქათამი რო იქნება სუქანი, მოვხარშამთ, მის ნახარშს მოვპერამთ, — ქონს მოვხებით (დილიკაური); თავზე რო ჭაჭა ექნება, ის უნდა მოპერო და დაძმარდება (ტაბაკინი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ. განმარტ. ლექს. პერი, ჯაჯ. IX მოპერვა, ბერ. ევეპო. ბ. წერ. მოყვეპრვა. შარაშ. მოპიზმიტება).

მოპიტავ-ს მოამსუყებს. ფელამუში მოპიტავს გულსა (პირველი სვირი).

მოპიტვა მოამსუყება. ფელამუშმა ქე იცის გულის მოპიტვა (პირველი სვირი). (იხ. კყ. მონოყვა გულისა, ქავთ. მოპიტვა გულისა).

მოპუჭნი-ს შიგთავსიან გაბრტყელებულ ცომს თანდათანობითი მონაოქებით თავს შეუკრავს. ნინამ ხაჭაპური მოპუჭნა (ტაბაკინი). მოპუჭნა შიგთავსიანი გაბრტყელებული ცომის თავის მოკვრა თანდათანობითი მონაოქებით. ამხელა ქალი ვარ და ხაჭაპურის თავის მოპუჭნა ვერ ვისწავლე (განთიადი). (იხ. ქავთ. მოპუჭნა, დიალექტ. რაჭ. მოოქება, მთიულ. მოწიპწვა, მაის. მოპუჭპუჭება: შდრ. ალაგ. მოქუჭენა, შარაშ. მოშიბვა).

მოპწკრივებული-ი ჩამწკრივებული. ეს ხალხი აქ ასე მოპწკრივებული არიან (შომახეთი).

მოჟარულ-ი სიცხისაგან ან სიცივისაგან გაყვითლებული. წამხდარი, მომწვარი. სიცხისაგან ლეღვი მოჟარულია და გაკირკაეებული (ზარანი); სიმიდი ყინვისაგან არი წამხთარი, მოჟარული (ზვარე). (იხ. ქავთ. მოჟარვა).

მოჟმირდება-ა (—ეამ) გაშუადლდება, ასიცხდება. დილა არი, ვიჩქაროთ, სანამ მოჟმირდებოდეს, თვარა ძნელია მერე მუშაობა (ლელვანი).

მორაგვავ-ს | აშ-ს წნელისაგან მოწნავს. მოკრა წენელი და მორაგვა ერთი სახლი (ხიდარი). (იხ. განმარტ. ლექს.).

მორად-ი იგივეა, რაც მორედი (იხ.). პირადს (იხ.) რო გავათავებთ, მორადში შევალთ (ზვარე); პირადის მერე თოხნას 14 დღის შემდეგ დეიწყებენ, მორადი არი ესე (ზარანი); მორადია სიმიდის მეორეთ გათოხნა, რომელიც ივნისში ხდება (უჩამეთი). (იხ. ბ. წერ., ბერ., განმარტ. ლექს., კუმბ. 280, მორადი, მორადი, ლეჟ. 67, დიალექტ. იმერ.). იხ. ამორადეფს, გამომორადეფს, გამომორადეფს. || ვენახის მეორედ გათოხნა. ლერწს რო მოვლუნავთ და მივაკრავთ სარზე, მის შემდეგ ჭირდება

ვენახს პირველი თოხი, გამარგვლა... მერე ხთება მორე თოხნა — მორადი (ფუთი).

მორადლობა საქმიანობაში სიყოჩაღე, სიმარდე, მარჯვედ მისვლა-მოსვლა. მორბედობა აღარ შევიძლია, მორბედობა ახალგაზღობის შოუძლია (ვახანი). (შდრ. დ. ჩუბ., განმარტ. ლექს.). იხ. მარბედი.

მორგვი 1. ხის სამფეხზე დაყრდნობილ თითისტარისებურ ღირძზე მოტრიალე მრგვალი ფიცარი, რომელზედაც აკეთებენ და აღამაზებენ თიხის ჭურჭლის ძროს (იხ.). დევიდეფთ მორგვს წინ და დევიწყეფთ კუნძულოს (იხ) კეთებას (პოსლევ); მორგვზე შუაში დადებენ ცილინდრისებურ თიხის ცოშს. ურჩყამენ ხელს და აჭრიალებინ, მერე შუაგულს ფილასავით ჩაალრმავებენ, ზედ მოაღიბენ გაგრძელებულ აყალო მიწის გუნდას და უმაჩებენ სიმალის. მოქნიან (იქვე). (იხ. ბ. წერ., ალავ. ლეჩხ. XIII მურგვი). 2. ხუნდი, — მაგარი ხისაგან დამზადებული მსხვილი ხე, რომელშიაც გაყრილია ღერძა და შედის რიკები (სოლიბი), 9-დან 12-მდე, რომლიც უერთდებიან ფესოს (ქვალხე). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, ქუმბ. 284. ჟაჯ. IX ხუნდი. მორგვა).

მორე პირი მიწა (|| უბარი მიწა) იგივეა, რაც საზედაო მიწა (იხ.). ჭურის თავს მორე პირ მიწას ვაყრით. მორე პირი მიტო ქვია, რო აყალოს მერე ეყრება (ხვაშითი).

მორედ-ი სომინდის ნათესის მეორედ გათოხნა. სიმიდი რო შეიქნება ორი ჩარეკი (ნახევარი არშინი), მორეთ უნდა გეითოხნოს, ამას ქვია მორედი (ლიჩი); რო გეიზდება სიმიდი, მორეთ გაეთოხნით, მორედის უნდა (სვერი). (იხ. განმარტ. ლექს. ჭეორედი, მორადი, მოროდი, დიალექტ. ლეჩხ. მორედი, იმერ. მოროდი, ალავ. ლეჩხ. მორედი, ჟაჯ. გურ. სათოხავი, ქუმბ. 280). იხ. გაამორადეფს, გაამორედეფს, გაამორედება, მორადი.

მორემ-ი მორევი. დიდ მორემში ჩევილოდი და რაშს გამევიყვანდი (ხილარი).

მორიალ-ი მორიელი. კუ და მორიალი დამშობილდენ (ხრეთი); მორიალი სახლეფში იცის (შომახეთი).

მორიალდებ-ა მიმოიფანტება, მოიპნევა. გადმოაბრუნა პეშვი და ხეპეკო (იხ.) მორიალდა (ტაბაკინი). (იხ. ალავ. ლეჩხ. XIII მორიალებული).

მორიგება 1. იგივეა, რაც დარიგნება (იხ.). 2. მოწესრიგებაა ასაწეველასი, რომ ისე დაფქვას, როგორც გვინდა, წმინდათ ან დაღერლოს (ღედვანი). (შდრ. ჟაჯ. X). იხ. მოურიგეფს; შდრ. დარიგნეფს.

მორიგის-ი მორიგეობა. მორიგისი ქონდათ: ერთ წელიწათს ერთ

თი ძმა იყო თავის ცოლ-შვილითა და მეორე წელიწათს — მეორე (პერვე). იხ. მორიგობა.

მორიგობა მორიგეობა. ნიკო მევიდა მორიგობიდან (უჩამეთი).

მორიხნილი-ი მინგრეულ-მონგრეული. მორიხნილი ვართ, საქმის გამკეთებელი არავინაა (სანახშირე).

მორნებულ-ი უვარგისი, დაგლახავებული. ჩემზე გლახა და მორნებული არავინ არი (განთიადი); მაგაზე მეტ მორნებულ კაცს ვერ ნახამ (იქვე).

მოროქვეილი ქვა წვრილად დანტვრეული ქვა. ერთი კდეა, გაყოფილია შუაზე, ძირ არი სულ მოროქვეილი ქვა, ხელოვნურათ რო დაგიმტვრევია, ისეა (სვერი). (იხ. ქავთ. მოროქვეა, როქვი). მორუწავ-ს| აშ-ს მოტრუსავს. ბალანი არ უნდა მორუწოს? ებანალ რო მორუწამთ, იმაზე ვამბოფ (ზედუბანი).

მორუწვა მოტრუსვა. არ იცი, გოგო, ქათმის მორუწვა, ბანალ ქე დარჩენია (ქვაციხე). (იხ. დილაქტ. იმერ. მორუწვა. ქართლ. მოტრუსვა, ბერ. მანვა). იხ. მორუწავს.

მორუწულ-ი მოტრუსული. მორუწულია ქათმები და გაკუჭეთ ახლა (ვანი). იხ. მორუწავს, მორუწვა.

მორჩ-ი ნორჩი, ახალმოზარდი (საბა, განმარტ. ლექს.); ბაბილო. ნორჩი (დ. ჩუბ.); ბაბილო, ახალმოზარდი ნერგი (ნ. ჩუბ.); ნორჩი. ახალგაზრდა (რუსთ.); ნორჩი, ახალმოზარდი შტო, ამონაყარი (გურამ.); ნორჩი, ახალგაზრდა, ახალი ყლორტი, ამონაყარი (ბენიკი); ყლორტი (ი. იმნ. ქრესტ., 1949, დაბად. 40,10); ამონაზარდი, გამონაზარდი (ს. მ. ტერმ.); (შდრ. ჯაჯ. IX). იხ. გამორჩავს, გამორჩინის, გამორჩვა, მორჩვა.

მორჩვა იგივეა, რაც გამორჩვა (იხ.). რახანია გათავდა ვენახის მორჩვა (მახათაური). (იხ. ბ. წერ.).

მორჩილა პატარა, მომცრო, მორჩილი. ზოგი მორჩილა ღელეა და სახელი არა აქ (დარხევი); მორჩილას მიქონდა გოდორი (ხილარი). (იხ. განმარტ. ლექს. მორჩილი, ჯაჯ. IX მორჩი; შდრ. საბა მორჩილი). შდრ. შემორჩილება.

მორწვა შეწამვლა. ვენახს მორწყვა ბევრჯერ უნდა (სავანი). (იხ. ლექ. 68, 3 უმბ. 83 მოწამვლა). იხ. მერიწყვება.

მოსაკიდი კალათი წნელით ან ტყეჩით მოწნული ყურიანი გოდორი ზურგზე მოსაკიდებლად (სინონ. ზურგსაკიდი გიდელი). წნელით ან ტყეჩით წნავენ მოსაკიდ კალათს, გძელია, ხელი აქ თავში. რომელშიაც გოუყრიან ჯოხს და მეიკიდებენ ზურგზე. ყურძენი იკრიფება მოსაკიდი კალათით (არგვეთი, შერჯევი, ქალაურთა). (იხ. განმარტ. ლექს. მოსაკიდი მნიშვნ. 2).

მოსაკლისება (ვინმეს) დაკლების შეგრძნება, დაკლებით შეწუხება. კარ იცის დედის გატირება და მოსაკლისება (ხვერი; ოო წაეალ, ქე იცის ჩემი მოსაკლისება (განთიადი). (იხ. ჯაჯ. IX, ქავთ.). იხ. მოისაკლისეფს, საკლისოფს.

მოსამავისება საიმედოდ მოწყობა, ხელისშეწყობა, მიხედვა. (იხ. ქავთ.). იხ. მოასამავისეფს.

მოსანახავ-ი 1. მომშობიარების შემდეგ დედისათვის შიტანილი ძღვენი. ქალი მორჩა და მოსანახავი მიგვაქ (ხვაშითი). 2. მოსაწონი, სანიმუშო, არაჩვეულებრივად კარგი. ე ბოვში მოსანახავია, მეორეს ვერ ნახავ ამისთანა ჰკევიანს (ლოლორა). (იხ. ბ. წერ. მოსასწრები, ალავ. ლეჩხ. XIII მოსანახებელი).

მოსანახავათ არაჩვეულებრივად კარგად, სანიმუშოდ. გამოცთებიც მოსანახავათ ჩავაბარე (ლოლორა); ვენახს მოსანახავათ ესხა (იქვე). იხ. მოსანახავი².

მოსანკელ-ი მოსამკელი. წევედით პურის მოსანკელათ (წიფა). მოსარავ-ს | ამ-ს ვაზს სარს დაუსობს (სინონ. მოხარდნავს). პაწია ვენახს მოვკაღვამთ (იხ.), დიდს მოსარვეენ (უჩამეთი); ვენახს გასხლევენ, მერე თოხნიან, მერე მოსარვევენ (ლორეშა). (იხ. ლეჟ. 67).

მოსარგალება მოსვრა (იხ. შარაშ., ქავთ.). იხ. მოასარგალეფს.

მოსარვა ვაზის ძირში სარის დასობა, მიდგმა (სინონ. მოხარდენა). სარი გაჯამზადე. ვენახს უნდა მოსარვა (უჩამეთი); მოსარვა ქვია, სარეფს რო დოუსოფ ვენახს. სარი მსხვილია, ჰილვა (იხ.) წვრილია (ქვე-აჟ. (იხ. რუსთ. სარვა, ა. შან. გ. მთ. ენა ასარვა, სარ, დიალექტ. იმერ., ლეჟ. 67). იხ. მოსარავს.

მოსასხმელ-ი იგივეა, რაც მოსახვევი (იხ.). დოუტოვებდით სამსა ან ოთხსა მოსასხმელს და მოისხემდა ისე, რო უზომურათ, 10-15 ტევანზე ნაკლები არ ექნებოდა ვენახს (ვახანი).

მოსაფარდილებელ-ი მოსარიდებელი. თამამათ მოსულიყო, მოსაფარდილებელი რა ქონდა? (შომახეთი). იხ. მოუფარდილებეს.

მოსაქმურ-ი საქმის მოყვარული, გამრჯე, მოსაქმე. მამა მყავს მისთანა მოსაქმური, მეორე კაცს ვერ ნახავ (სანახშირე).

მოსაწიერ-ი იგივეა, რაც მოსანახავი² (იხ.). ამის ქორწილი გედვიხადეთ მოსაწიერი (პერევი).

მოსახელ-ი || მოსახელავ-ი მოსავეელი, შესანახავი. ყანა მოსახელი გვაქ (ხიდარი); ახლა მოსახელავი ექნებოდა ყოლიფერი (სავანე). იხ. გადასახელავი. მოხელვა, მოხელილხელავს.

მოსახვევ-ი || მოსახოვ-ი ვაზის გასხვლისას დატოვებული 7-8-9 კვირ-
ტიანი რქა (ლერწი) სარზე (ხარდანზე) მოსახვევად, — მოსახხმელი.
მოსხვლის შემდეგ ვენახს დოუტოვებენ ორ ლერწს. ერთ ლერწს,
რომელსაც გადაჰრიან ორი კვირტის შემდეგ, ქვია ნეკი, ხოლო მეო-
რეს დატოვებენ გრძლად 7 კვირტის რაოდენობით, ამას ქვია მო-
სახვევი, რადგანაც ის მოხვევა ხარდანს (ტაბაყინი); მოსახვე-
ვი ა ვენახის ლერწი, რვა კვირტზე დატოვებული (უჩამეთი); და-
ტოვებულ გრძელ ლერწს — მოსახვევს მოახოვ თავის კიღვაზე
(ქვები); მოსახოვს უნდა ქონდეს 7-9 კვირტამდე, ნეკზე კი სამი
კვირტია (გვწრული). (იხ. ქავთ., ლეფ. 66; შდრ. მენტ., გან-
მარტ. ლექს.).

მოსახრელ-ი 1. მოსახვევი, გადასახვევი. პაწია კრუშკები იყო მო-
სახრელე ფში (ბერეთისა). 2. სახსარი. ხელი მტკივა მოსახ-
რელში (განთიადი).

მოსთენა მოწოდენა. იხ. მოსთვენს.

მოსირპილე მორბენალი. ფეხზე მოსირბილე რომ არი ე ბოვში,
ჩოუვლია გელს (პერევი).

მოსირსვლა აღება, მოკრეფა. მოსირსვლა ვიციო ლობიოს, ძა-
ძის, ყურძნისი (სვერი). იხ. მოსირსვლავს.

მოსირსვლავს | ამ-ს აიღებს, მოკრეფს. როდის მოსირსვლამ
ძაძა? ლობიოს? (სვერი); რომ მოვსირსვლამ ყურძნს, დე-
ვისვენებ მერე (იქვე).

მოსასანი-ს მოუქერს, მოუკრავს. ტომარს მოვსამასნი თავს (ტა-
ბაყინი).

მოსმასნილ-ი მოპერილი, მოხვეული. გადავაბრუნე ქვაი, — მოსმას-
ნილია წყეული, შამოვტრიალდი, გავეკრი შვაზე ნაჯახითი (ზა-
რანი).

მოსრებულ-ი მოსწრებული. ახლა მე მოსრებული არ ვარ (ვახა-
ნი); მამაც იყო მოსრებული (ხადვინე).

მოსული მოხავალი მოწეული მოსავალი. მოსული მოსავალი
იყო, ახალი თავჯდომარე რომ მევიდა (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს.
მოსული?).

მოსულთავს | ამ-ს 1. მოხუთავს. ხველებამ მომსულთა ღარმე
(წედუბანი). 2. გააჩუმებს, ხმას გააკმენდინებს. ბოვშები მოსულთა
ნინამ (სვერი). იხ. მოსუნგლავს.

მოსულთუხება იგივეა, რაც მიფოხოლება (იხ.). იხ. მოა-
სულთუხეფს.

მოსულთქმამ-ს იგივეა, რაც მოსულთავს (იხ.). თუ თქვი რამე,
ისე მოქსულთქმამენ, რომ ხმას ვერ ამეიღეფ (მორძვეთი).

მოსუნგლავ-ს იგივეა, რაც მოსულთავს² (იხ.). ისე დოუყვირა. ბოვშები მოსუნგლავს (ხვერი).

მოსურსუმაღლებ-ა გამობრუნდება, მოსულიერდება, მოკეთდება. ბაბუას კაპლი დავალევიეთ და მოსურსუმაღლა (ზედა საქარა); წყალი მიახხეს პირზე და მოსურსუმაღლა კაცი (ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. მოსურსუმაღლებული).

მოსურსუმაღლება მობრუნება, მოსულიერება, მოკეთება. ხელათ იცის მოსურსუმაღლება (ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს. მოსურსუმაღლებული). იხ. მოსურსუმაღლება.

მოსუსუნოფ-ს ჩქარა მოდის. აგერ მოსუსუნობენ უენი ბიჭები (ზედუბანი).

მოსცთებ-ა მოსწვდება. მე თითონ მოვსცთები მაგას (ზედა საქარა).

მოსსლეთილ-ი მოწყვეტილი, ძალადაკარგული. ჩემი კაცი მოსსლეთილია, ამას ქვეით აქსულ დაბრუშებული მუხლები (ლორეშა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 5).

მოსხმიერ-ი მოსხმიარე. ჩვენი ვენახი მეორე წელიწადია მოსხმიერი (უჩამეთი).

მოსხურება ვენახისა ვენახის შეწამვლა კირნარევი შაბიამნის ხსნარით. ვენახის მოსხურება არ დაგვიწყია ჭერეთი (ლორეშა). იხ. მოსხურეფს.

მოტაცილ-ი მოტაცებული. ვისაც მოტაცილის თავი აქ, იმან მეიტაციოს (მოხვა, წირქვალი).

მოტკბილამ-ს ახლად დაწურულ ყურძნის წვეს (ტკბილს) ქაფს მოხდის. თუ არ მოტკბილამ აღულებამდე, ისე რას ივარგეთს ფელამუში (ლორეშა).

მოუბოდიშეფ-ს | მოუბოდიშენეფ-ს ცრუმორწმ. გადამდები ავადმყოფობით (ბატონებით) შეპყრობილ ავადმყოფს დაუყვავებს, მოუალერსებს, შეაქებს, რომ ბატონები არ „გაჯავრდეს“ და ავადმყოფის ნდგომარეობა არ გაუარესდეს. რო მოუბოდიშენე, ერთი გედიტკვარცალა (იხ.) და გათავდა ბლარი (წიფა); მოუბოდიშე ბატონეფს (შუქრუთი). (იხ. ბერ. ხიოლი, შარაშ. მობოდიშება; შდრ. განმარტ. ლექს.).

მოუბურბურეფ-ს || მოუბურბულეფ-ს თოვლს მოაყრის. ავტობუსი აღარ ივლის, თუ მოუბურბულა, შარშან 7 ნოემბერს მომოუბურბურა, აღარაფერი აღარ მოძრაობდა (შომახეთი); მოუბურბულა თოვლმაო, — ვიტყვი, ჩქარი თოვა რო იქნება. ფთილა-ფთილა რო ჩამოდის (ხვერი); მოუბურბულა, ვერ ხეილამ? (ზარანი). იხ. მობურბურება.

მოულოდინებლათ მოულოდინელად. მოულოდინებლათ თუ წამომცთება „ყე“, თვარა ისე არ ვხმაროფ (ხვაშითი).

მოურიგეფ-ს 1. იგივეა, რაც დაარიგნებს (იხ.). 2. ასაწვევლას მოაწესიოგებს, რომ ყისქვალა სურვალისაებრ დაფქვას — ახ ყძინდად, ან დაღერლოს. ასაწვევლას (იხ.) აწვევით ქვა იწვეს ზევით და ღერლამს სიმითს, დოუწემ ძირა და დაფქვამს. იმან უნდა მოურიგოს წისქვილს, რო კარგათ დაფქვას (ღელვანი).

მოუსხლეთილ-ი შეუწყვეტილი. მოუსხლეთელი თოვა იყო (შომახეთი).

მოუფარდილეფ-ს მოირიდებს. ისინი კ'არ მოგიფარდილებენ (შომახეთი). იხ. მოსაფარდილებელი.

მოუქოცავ-ს | ამ-ს მოუქრავს თავს, პირს რამე ჭურჭელს ბაწრით და მისთ. ტიკპორა რო გაამსეს, ბაწრით მოუქოცავს ყელი (ბერეთისა).

მოუცხრება-ა დაუმშვიდდება. შვილო, მისანა არ უნდა თქვა, რო, გული რო მოგიცხრეს, არ უნდა შერცხვე (ღარიხვეი). (იხ. განმარტ. ლექს. ცხრობა).

მოუქვარქვალეფ-ს ჩაუქნევს (თვალს). მოუქვარქვალე თვალა, ბიკო, მოუქვარქვალე (შროშა).

მოუქრი-ს შეუჩერებს, შეუწყვეტს. სისხლზე გადიოდა, 20 დღემდე არ მოუქრა წამალმა, მეოცე დღეს მოუქრა, მარა მუცელ იტყენს და საწოლიდან ვერ დგება (ღარიხვეი).

მოუხვენ-ს გააბრაზებს. იმანაც მოუხვინა, ამანაც და ატყდა ჩხუბი (ღორეშა).

მოფათარებული-ი ხელმოვლებული, მოპოვებული. შენი ხელით მოფათარებული ყველაფერი გემრიელია (ვახანი).

მოფარდილება მოირიდება. მოფარდილება უნდა შეგქძლოს (შომახეთი). (შღრ. საბა ფადილი, მოფადილება). იხ. მოსაფარდილებელი, მოუფარდილეფს.

მოფარებული ადგილი დაბალი ადგილი, რომელსაც არც მზე მისჩერებია, არც ქარი ხვდება (შომახეთი).

მოფოშიალოფ-ს მოძერება. ე გოგო სა მოფოშიალოფს (ქალაურთა). იხ. დაფოშიალოფს.

მოფხვნა მოცილება, თავის დაღწევა, დაძვრენა. იხ. მეიფხვნენის.

მოქაცულ-ი ქაცვით შემოლობილი. მოქაცულია ჩემი ბოსტანი (ხიდარი). იხ. შემოქაცამს.

მოქთამე მექრთამე. მოქთამე კ'არ ვარ მე (ხევი).

მოქნა დაუმთავრებელი ნედლი თიხის ჭურჭლის გამოძერწილ ნაწილზე თიხის ახალი გუნდის დადება და შემოგლესით სიმალის მომატება-გაფართოება, რაც ნაწილ-ნაწილ ხდება. ყოველი მოქნის დროს გონგით (იხ.) შემოალამაზებენ და დანა-ჩხირით შემოქრიან გარედან

ზედმეტ მიწას. მოქნა ქვია ქურკლის გადიდებას. თუ დიდია ქური, ბევრი მოქნა უნდა, ერთი ტყაველი უნდა მოუმატო ერთ მოქნაზე, პეტს არ მეითფენს (ბოსლევვი). (იხ. ბ. წერ. შემოქნა თიხისა; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს.).

მოქონიება შეძენა. მოქონიება არი ცხოვრების შეძენა (წაქვა). (იხ. კახ., დიალექტ. თუშ.; შდრ. მენტ. ნაგრობა). იხ. მოქონიეფს.

მოქოქოლიავებულ-ი აკოქოლავებული, ახუხულავებული, უშნოდ გაკეთებული. ქვიტიკირია პაწია მოქოქოლიავებული (სანახ-შირე).

მოქოცვა ქურკლს თავის, პირის მოკვრა ბაწრით და მისთ. იხ. მოუქოცავს.

მოქრიტინოფ-ს მოქრის. მატარებელი მოქრიტინოფს (ზარანი).

მოქუბავ-ს იგივეა, რაც გაქუბავს, დაქუბავს (იხ.). ჯერ ტაროს ვტეხამთ, მერე ჩალას მოვჩეხამთ და გავფენთ, მოვკონით, მოვქუბავთ და მერე ზეინს დავდგამთ (შროშა).

მოქუბვა იგივეა, რაც გაქუბვა, დაქუბვა (იხ.). დეიწყეთ მოქუბვა (ლორეშა).

მოქცეული ადგილი ჩავარდნილი, ჩრდილიანი ადგილი. მოქცეული ადგილია, მზე რო არ ადგება, ჩრდილიანია (ზედუბანი).

მოღვერილ-ი იგივეა, რაც გაღვერილი (იხ.). მოღვერილი დადის ეს ბებერი (ბერეთისა).

მოღიაღებულ-ი ფართოდ გაღებული. უცეფ წვევიდა და კარები დარჩა მოღიაღებული (ღეღვანი). (იხ. ქავთ., ალავ. ლეჩხ. მოფლეშილი).

მოღმუშნულ-ი მოღმუშული. მოღმუშნული დადის დედამისი (ლიჩი).

მოღძალულ-ი დაბმული. მოღძალულია ჩემი ძროხა (უჩამეთი). მოყელავ-ს | აშ-ს თითქმის მოათავებს, ყელამდე, ე. ი. მოთავებამდე მიიყვანს. მოყელე ახლა მე საქმე და მივდივარ (ფარცხნალი). მოყელვა სახელი მოყელავს ზმნის მოქმედებისა. (შდრ. განმარტ. ლექს., ჯაჯ. X). იხ. მოყელავს.

მოყელილ-ი თითქმის მოთავებული. საქმე მოყელილიაო, — ვიტყვით, მოთავებას ცოტა რო უკლია, მოთავებაზეა (ღარიხევი). იხ. მოყელავს, მოყელვა.

მოყვარე ცოლის ნათესავი (ნათესაობა) (ასე იხმარება მთელ ზემო იმერეთში. ბინონ. ქვ. იმერ. ცოლოური). ქალი იტყვის: საყოლშა (იხ.) მივდივარ, კაცი, როცა ცოლის ნათესავეფთან მიდის:— მოყვა-

რე ში მივდივარო (ხვერი); მივიდა ნათლიაი და ამ ნათლულს უთხრა: ცხენი მათხოვეი, მოყვარე ში მივდევარო (წვარე); წეიყვანა ქმარმა ე ცოლი და დატოვა მოყვარე ში (წედუბანი); ცოლის ნათესავეები მოყვარეა, ე ქვემო მხარეი უძახის ცოლოურს (ტაბაკინი). (იხ. ჯაჯ. X, დიალექტ. იმერ.; შდრ. ვისრ., საბა, დ. ნ. ჩუბ.. ქე შიკ., განმარტ. ლექს., დიალექტ. ხეცს.).

მოშანგავ-ს წახდენს. ქვევიდანაც მიაყარე წაშალი, თვარა მოშანგავს (ხიდარი). (შდრ. ყიფუ.). შდრ.. შვანგი.

მოშინდილება გამოფხიზლება. ამ თვრალ კაცს არ უნდა მოშინდილილება? (ტაბაკინი). იხ. გამოშვინდილება, მეიშვინდილილეს.

მოშინა მოშიება. მოშინაი ხო მოშინაა, ისიც არ იცის (ბოსლევი).

მოშორეთ შორს, მოშორებით. ის ჩვენგან მოშორეთ არი (განთიადი).

მოშებ-ა ტყავი ასძვრება, ატყავდება. უა (იხ.) რო აქ ცხენს, ბეჭებში დაკრამს და: მოშება ზურგი (საბე).

მოშულული იგივეა, რაც მოღმუშნული (იხ.). მოშულული ქალი იყო, მოშულული და მიტოვერ გაეჩერდი (შუქრუთი).

მოშხუნვა მოწყენა. იცის ხშირათ მოშხუნვაი (წედუბანი). (შდრ. ალავე. XXIV).

მოჩალავ-ს | ამ-ს იგივეა, რაც აჩალავს (იხ.). აშუშა გვალვამ. მოჩალა სიმიდი (შომახეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

მოჩალვა სახელი მოჩალავს ზმნის მოქმედებისა. სიმიდი რო გაყვითლდება, ამას ქეია მოჩალვა (გორისა). (იხ. ალავე. ლექს. XIII გამოჩალვა; შდრ. ნ. მარი ჩალ. ონჩალუ, ელ., ჯაჯ. IX). იხ. აჩალავს, აჩალული, მოჩალავს.

მოჩვანგულ-ი მიკუქული, გაპირვებით დატეული. სახლი მათი იყო და დატოვეთ, ახლა კუხნაში ვართ მოჩვანგული, მარა რავო ექნათ (ჯალაურთა).

მოჩვერამ-ს დაჩუტავს. მუცელი რო გეებერება საქონელს, ამოკარ უზნის (იხ.) წენელი და მოჩვერამს (მოხვა). იხ. დეეჩვერება.

მოჩვერვა დაჩუტვა. იხ. მოჩვერამს.

მოჩოხტამ-ს უშნოდ დაკერავს, მოჯლანავს. ძაან ნუ მოჩოხტამ. სუფთათ კერე (დილიკაური).

მოჩოხტილ-ი უშნოდ დაკერებული, მოჯლანული. გლახა მოჩოხტილია კაბა (დილიკაური). იხ. მოჩოხტამს.

მოცელთილ-ი მთლიანად დაკავებული (ადგილი, კუჩკელი...). ყველას

მოცელთილი აქ ბოთლები (ჩიხა); მოცელთილია კურკ-
 ლებო (ჭაბაკინი). იხ. მოცელთიეფს. მეიცელთება.
 მოცერცვამს მთლიანად მოკრეფს. კიჭრი მოვცერცე (პე-
 რევი).
 მოცვლა გაცვლა. განცხადება აქ შეტანილი მიწის მოცვლის შე-
 სანებ (ჭაბაკინი).
 მოცილიება მოცილება. ამ ბოეშის მოცილიება არ შოუძლი:
 (განთიადი). იხ. მეცილიეფს.
 მოცხრილავს მარცვლეულს გაატარებს ცხრილში შენარევეებისაგან გა-
 სათავისუფლებლად. პურს მოცხრილავენ (ხევი). (იხ. დიალექტ.
 ქართლ. მოცხრილვა, განმარტ. ლექს. ცხრილავს; შდრ. იქვე მოცხრი-
 ლავს. ქეშიკ. მოცხრილვა).
 მოძანძახება სახელი მოიძანძახეფს (იხ.) ზმნის მოქმედებისა.
 მოძვი-მოცივი. საცა ან მოძვი ნავხეთ, ან მაყვალი, შიერი თხები-
 ვით ხან იქით გადავცვინდით, ხან აქეთ (პერევი); მოძვი ბევრი
 მოდის ლოდორაში (ჯალაურთა); მოძვისს კაკალი კაია, კისელს ამ-
 ზადებენ (დოდორა). (იხ. ქეშიკ. ბალშავი).
 მოძუნაგებულ-ი უსუფთაო, დაულაგებელი. სახლი მოძუნაგე-
 ბულია (შომახეთი). იხ. ძუნაგი.
 მოძუნის-ს მაგრად სცემს. ერთი კაათ მოძუნენს და ცხენიც
 წაარაგის (პერევი).
 მოძუძგამ-ს გააბინძურებს. მოძუძგა ყველაფერი (ჭაბაკინი)-
 (შდრ. ქეშიკ. მოძუძვა). იხ. ძუძგი, მოძუძგული.
 მოძოძგულ-ი გაბინძურებული, დაუგველი. მიყრილ-მოყრილი (სინონ.
 მოძუნაგებული). მისთანა მოძუძგულია ეზო, გარეთ ვერ დავ-
 ჯდებით (დორეშა).
 მოწამლავს შეწამლაის (ვენახს). (იხ. დიალექტ. ქართლ. მოწამელა.
 განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3).
 მოწიწინოფს ხტომით მოდის. მოწიწინოფს წინ მელაი (ხაბე)-
 მოწიწინოფს სარზე მიკრის წინ ციკქას ლორწის მოლუნვა და მუხლში
 შესრება. ვინახის მოსევეა ორნაირია: მოწიწინოფა და მოაიბა:
 (იხ.). მოწიწინოფაა, როცა გადაიწიკაით ხელში და ლორწო
 შევაშინით — მოვინეწავთ და მიჯაბამთ მერე; ციკქას ქირდება
 მოწიწინოფა. თვარ შევაშინეთ მუხში, ნაყოფს არ მოქვეცემს და
 ამონაყარს დაარქავს (ფუთი).
 მოქანგდება მოძმარდება, ქანგისანი გახდება. მოქანგდა ღვინო
 (შომახეთი). იხ. მოიქანგება.
 მოქანგებულ-ი მოძმარებული, მოქანგული. მოქანგებულია
 ღვინო (შომახეთი). იხ. მოიქანგება, მოიქვანგება.
 მოქვევლი-ს იგივეა, რაც ქვევლის. ქვევლავს (იხ.). მოვცელავთ

პურს და მერე მოვკვევლით, მოკონისთვის შევაგროვეფთ ცოტ-
კოტარას (მანდაეთი). იხ. ქველი.

მოქვანგული იგივეა, რაც მოქვანგებული (იხ.). რო დანაკრულ-
დება ღვინო, მოქვანგული ხთება, ძმრის გემო აქ (ქვედა საქა-
რა). (იხ. განმარტ. ლექს.).

მოქიკნა გამოსაცხობად გაბრტყელებული ცომის მოჭრელება, ფიგუ-
რების გაკეთება მოხრილი თითების ზედა ნაწილით (კვანჩხით). მე არ
პიყვარს პურის მოქიკნა (წყალშავი). იხ. მოქიკნის.

მოქიკნის-ს მოაჭრელებს, ფიგურებს გაუკეთებს გაბრტყელებულ ცომს
მოხრილი თითების ზედა ნაწილით (კვანჩხით). პურს მოქიკნიან
ხელის კვანჩხით (წყალშავი).

მოქილვა არამსხმოიარე ვაზისთვის წვრილი ქიგოს (ქილვას) მისობა.
პაწია ვენახს, სულ რო არ იბამს ან ცოტას იბამს, იმას უნდა მო-
ქილვაი (საბე). იხ. მოქილვამს.

მოქილვამ-ს წვრილ ქიგოს (ქილვას) მიუსობს ვაზს, რომელსაც ჭერ
მსხმოიარობა არ დაუწყია. პაწია ვენახს მოვკვილვამთ, რომე-
ლიც ისხამს, იმას უნდა სარი, პაწიას — ქილვაი (უჩაშეთი).

მოქმანავ-ს | ამ-ს გადინახავს, დამალავს. მოქმანეს აურთი და
ვერ ნავზე (ხვაშითი). (შდრ. განმარტ. ლექს. კმანავს).

მოქმახებულ-ი მომეავეებული, მოძმარებული. მოქმახებულ
ღვინოს სტუმარს ვინ მიუტანს?! (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს.
მქახე).

მოჭრე მსხვილი (ითქმის ფქვილზე). ძალიან მოჭრე დაფქული
იყო (საბე); მოჭრედან ქადი არ გამოცხვება, ღომი გაკეთდება
(შომახეთი). (იხ. ქავთ. მოჭრე ფქვილი; შდრ. ოკრ. მოჭრილი
დაფქული).

მოჭრეთ მსხვილად. მოჭრეთ დაფქვი (ბაჭითი); მოჭრეთ ღო-
უფქვით (შორძგვითი). იხ. მოჭრე.

მოჭუპნულ-ი მონაოქებული, ნაოქასხმული. ბოლოს გამევიდა ერთი
ახალგაზრდა კინტოს ტანისამოსში, მოჭუპნული ახალოხი ეცვა,
მოკლე, ფართო შარვალი (რგანი). (შდრ. ქავთ. მოჭუპნა, მოჭუპ-
ნული, ალაგ. ლეჩხ. მოჭუპვნა. შარაშ. მოშიბვა, დიალექტ-
პთიულ. მოწიპწვა). იხ. მოჭუპნის.

მოჭუხულ-ი იგივეა, რაც მოღმუშნული, მოშულული
(იხ.). მოჭუხული შამომხვთა სიძე (ღორეშა); არ მიყვარს, მო-
ჭუხული რო შამოვა ოჯახში ვინმე (შროშა).

მოხადილე საპატარძლოს ნიშნის მომტანი, დამნიშნავი. თინას მო-
ხადილეები მოდიენ (ხვაშითი). იხ. ხადილი.

მოხარდვნა ვაზის ძირში ხარდნის მისობა (სინონ. მოსარვა). მესამე
წელიწათს ქე ამოვსხლავთ ვენახს და გოუკეთება ხარდანი, ამან

ქვია მოხარდენა, (ქვედა საქარა). (იხ. ბ. წერ., 3 უმბ. 83).
იხ. მოხარდენავს.

მოხარდნავ-ს | ამ-ს ვაზს ძირში ხარდანს (იხ.) ვიუსობს, შეუდგამს.
აქ ხარდანს ვხმაროფთ. მოვხარდნეთ ვენახი-თქო, — ასე ვიტყ-
ვით ჩვენ, ხარდანს რო მოუსოფთ (ფუთი).

მოხარხუზოფ-ს ხმაურით, ხორხოციით მოღის. დევინახე, ქვედა კუთხის
ქალები მოხარხუზობდენ (უჩამეთი). (იხ. განმარტ. ლექს.
იმერ. გურ. ხორხოზი).

მოხაშირი-ი. გველი. მოხაშირი ეგდო გზაზე. წყეულს უხამ-
საც უძახით და მოხაშირსაც (ლელვანი).

მოხელავ-ს მოკრეფს, შეინახავს, მოიწევს. მოხელეთ ლო-
ბიო, რაც მოგვივიდა (მერჯევი); ვინ მოხელამს ხუმლას ამის-
თანა ამიდში (ფარცხნალი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

მოხელვა მოვლა, შენახვა. ერთ თვეს ლობიოს მოხელვას მოუნ-
დება კაცი (ხიდარი); ნამუშევარს რო შევინახემდით, იმას უძახო-
დით მოხელვას (პერევი); ამდენი მოსავალია, ყველაფერს პატ-
რონობა, მოხელვა ჰირდება (მერჯევი). (შდრ. ვისრ. მოქელვა,
განმარტ. ლექს. ფშ. მოქელვა, უთურ. მოქელვაჲ, დიალექტ. თიან.
მოქელვა, მაკელვა. მთიულ. მოქელვა, თუშ. მოქელვაჲ, ფშ. მაკელვა).

მოხელილ-ი მოვლილი, შენახული. ჩალა მოხელილი აქ (ფარ-
ცხნალი). იხ. მოხელვა, ხელავს.

მოხეშავ-ს | ამ-ს ნირს შეუტყვის, მოარჯულებს, გამოაკეთებს. ეს
ბიჭი რამ მოხეშა ასე? (სვერი). შდრ. გახეშავს.

მოხეშვა ნირის შეცვლა, მოარჯულება, გამოკეთება. ამ კაცის მოხეშ-
ვა არ იქნება (სვერი). (შდრ. მეხთ.). ია. მოხეშავს.

მოხვარტულ-ი გაცხელებული. მოხვარტულია მარილი (ტაბა-
კინი).

მოხვევა ახვევა. ვენახი დიდი რო გვიხდება, მოხვევა უნდა, მი-
ვაკრამთ სარზე ქვეთლოთი (იხ.) (სვერი). (იხ. ბ. წერ., 3 უმბ. 83, მოხოვა).

მოხთომილ-ი ცრუმორწმ. მიწაზე წოლისაგან ან წყალში ყოფნისაგან
თითქოს რაღაც ბოროტი ძალის გამო აყოლილი ავადმყოფობაა, რო-
მელმაც იცის მაღალი ტემპერატურა და ბოდვა (სინონ. ქვ. იმერ. მო-
ფურჩხული). მანამდე ასე იტყოდენ: მოხთომილი არი და ზეთის
კურთხევა უშველისო (წირქვალი); მოხთომილის მორჩენა
ლოცვათ უნდა. მოხთომილის ლოცვა მეც ვიცი (მორძგვეთი).

მოხირგულ-ი მოუწესრიგებელი, მოუწყობელი, მიყრილ-მოყრილი.
მოხირგული მაქ ეზო (ქვაციხე); მოხირგულია აქოურობა
(ტაბაკინი). (იხ. ელ. მოხრონგილი).

მოხოსვრა მიწის ზედაპირის (კალოს, ვენახის, საყანე ადგილის...) გაწ-

მენდა 'თოხით. მოხოსკრას უძახით ჩვენ ბალახისაგან გაწმენ-
 ღას (ფარცხნალი); მოხოსკრაა მიწის გასუფთავება ბალახისა-
 გან, ქვისაგან (მანდაეთი). იხ. მოხოსკრავს, გახოსკრა.
 მოხოსკრავს | ამ-ს მიწის ზედაპირს (კალოს, ვენახს, საყანე ადგილს)
 გაწმენდა ბალახებისგან თოხით. სანამ პურს დავყრიდეთ, კალოს
 მოხოსკრევენ საღამოს ან დილაზე (შომახეთი); ვენახის ნაპი-
 რეფს მოხოსკრევენ (წარანი); მოვხოსკრეთ კალო, მოვ-
 რწყეთ მერე (პერეთისა); მოვხოსკრავთ ადგილს, რომელიც სა-
 ყანეთ გვინდა (ფარცხნალი). (შდრ. შარაშ. მოგოგვნა).
 მოხოსხის-ს იგივეა, რაც მოხოსკრავს (იხ.). შემდეგ კალოს გა-
 დავწმინდამთ, მოვხოსხით თოხით, ბალახეფს მოვაცლით (ხვა-
 შითი). (შდრ. განმარტ. ლექს.). იხ. გახოსხენა.
 მოხარატინებულ-ი მოხარატებული. „ერთი რამე სულიერი, სახლი
 მოხარატინებული, შიდა დგას ერთი ყმაწვილი, უღვაშგატქი-
 ტინებული“ (გამოცანა — ლოკოკინა) (წედუბანი).
 მოხური ძველშავი ვაზის ერთ-ერთი ჯიშია, შვი, წვრილმარცვლიანი
 მტევნები აქვს. მოხური ძველშავი ჩვეულებრივი ძველშა-
 ვისაგან განსხვავდება ფოთლითა და მარცვლით. ჩვეულებრივ ძველ-
 შავს უფრო მსხვილი მარცვალი აქ (ჩიხა).
 მოხურავს | ამ-ს გაწმენდის მიზნით ცხრილში აბრუნებს მარცვლე-
 ულს. პური მოხურე (წედუბანი).
 მოხურეაა მოხურვა. ხალათის მოხურება არ გინდა? (პირვე-
 ლი სვირი). იხ. მოახურეფს.
 მოხურებულ-ი მოხურული. ამას ქონდა კოსტუმში მოხურებულ
 (ხვაშითი). იხ. მოხურება.
 მოხურაა მარცვლეულის ბრუნება ცხრილში გაწმენდის მიზნით პურს
 უნდა მოცხრილვა, მოხურვა, წარკვევა (იხ.), დაგორვალება (იხ.)
 (წედუ-ახი; მოხურვია შემდეგ ევეძღარჩება გოგვალაი (იხ.)
 (იქვე). იხ. მოხურავს.
 მოხუხულ-ი შემკვნარი. საღი რო იყო ვაზის ფოთოლი, წამალი რო
 დავასხით, მორე დღეს მოხუხული იყო (წარანი).
 მოხჩება თვალები ლოდინით დაიღლება. მამხჩა გუშინ თვა-
 ლები (უჩამეთი).
 მოჩეხილ-ი მოტეხილი, მოღლილი. შალიკო მოჩეხილია სულ
 (საბე).
 მოჯორგვილ-ი ბევრი ჩაცმისაგან გამრგვალებული, გატენილი. ძან
 ბევრი აცვია ბიჰს, მოჯორგილია ტანისამოსში (წარანი). (იხ.
 განმარტ. ლექს. ჯორგი).
 მსგავსიერ-ი მიმსგავსებული, მსგავსი. კიბე გავაკეთე მსგავსიერ
 (ღარიხეთი).

მსხვილთვალ-ი რაქული ჭიშის ვაზია, მსხვილი, შავი მარცვალი აქვს (ბაჭითი).

მსხილ-ი სიმინდის ტილის კვერცხები, — მსხმილი. სიმითს ქუჩუჩოზე მსხილი გაჩენია (ქვედა საქარა). (იხ. საბა მსხმილი, დ. ნ. ჩუბ. მსხმილი, მსხილი, განმარტ. ლექს. მსხმილი, მენთ. მსხილი, ალავე. ლეჩხ. XIII ბზლილი).

მტეხიაროა ტყვილა, ტეხა. მოტეხილი იყო ეს ძვალი... მორჩა, მარა მტეხიარობა მაქისევ (ქვები).

მტრედო || მტრედო მტრედისფერი საქმელი სოკო. ტყეში წასული-ყო და მტრედოებით გვემსო კალათი (უჩამეთი); ჩვენ ტყეში იცის ბევრი მტრედო (ჩიხა); კაი სოკოა მტრედო (მოძახეთი). (იხ. ჭყ. მტრედო).

მუდნივ მუდმივ. მუდნივ არყოფილხარ აქა (ღარბევი). (იხ. ალავე. ლეჩხ. მუდამი, ჯაჯ. IX მუდნივ). იხ. მუდნივათ. მუდნივათ მუდამ. შინაყმა უნდა ყოფილაყო მისი მუდნივათ (ბორითი). იხ. მუდნივ.

მუდო თხუნელა. ვირთხას გაჰს, თავგზე მეტია ცოტათი. დაეკრამ თოხს და ამივილივ მუდოს მალა, მარა ქე მეზარება (სანახშირე); მუდო რათ ვარგია, ბოსტანი დახრა (ბოსლევე); მუდო შავია, ზეცაა აო დასაღია, იყავაა (ზარანი). (იხ. გასიარტ. ლექს.).

მუზეინ-ი მუზეუმი. ჩვენ სოფელში მუზეინია (ლორეშა).

მულეხათ აიხძურად. მულეხათ ნუ მუშაოვ (უჩამეთი).

მულეხობა სიბინძურე. იეისთანა მულეხობა გინახამს? (უჩამეთი).

მულთაქა მულთაქა. მულთაქაზე ვწევარ (ზროშა). (იხ. ყიფშ.).

მუნძ-ი 1. ხის მოჭრის შემდეგ მიწაში ჩარჩენილი ნაწილი ფესვებიანად, — კუნძი. მუნძია ხის გადანაჭერი, რომელიც მიწაშია. ხის მოთხრა როცა უნდათ, მუნძი უნდა ამოადგონ (საბე). (შღრ. ბერ. მურძი). 2. კორძი. ზოგ ხეს მუნძი აქ ტანზე, მუნძიანია, გამობზუებული (გეზრული).

მურ-ი ახლად გამოსული აბრეშუმის ქია. მურს გამოჩეკევენ და წამევიყვანთ სამ-სამ გრამ აბრეშუმს (ლორეშა). (იხ. მ. ჯან., ბერ., ელ., მენთ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3; შღრ. რუსთ., გურამ.. ბესიკი, ი. იმნ. ქრესტ., ს. მ. ტერმ.).

მურის კანი პირველი კანი, რომელსაც იცელის აბრეშუმის ქია კვერცხიდან გამოსვლის შემდეგ. პირველათ ამოდის მურის კანი, თეთრთება შავი აბრეშუნი (სანახშირე).

მურგვ-ი 1. ურმის თვლის მსხვილი, მრგვალი, წინიდან მოვიწროებულ-ლი, ლითონის სალტემემოჭერილი კუნძი, რომელშიაც გაყრილია ღერძის თავი და ჩამაგრებულია სოლები, რათაც იგი უერთდება ურ-

პის თვლის ფერსოს. — მორგვი. მ უ რ გ ვ შ ი გაყრილია ურმის ღერ-
და და გარშემო აქ ჩამაგრებული 9 სოლი (ხვაშითი). (იხ. განმარტ.
ლექს. მორგვი¹. ალავ. ლექს. XIII ხუნდი, კ უ მ ბ. 284, ჯ ა ჯ.
IX ხუნდი, მორგვი). 2. საქსოვი დაზვის ხის ნაწილი, რომელზედაც
იხვევა მატერია. საქსოვი დაზვის ნაწილებია: მ უ რ გ ვ ი,—ხის ნაწი-
ლი, რომელზედაც მატერია უნდა დეიხვეს, — ლაფათი, რომელშიაც
ჩადგმულია ლერწმის საბარცხალი, და დგიმი (ზარანი). 3. ძაფის მორ-
გვი, გორგალი. დაპატარავდა ჩემი მ უ რ გ ვ ი (ხიდარი). (იხ. კ უ.
პურგვი. გვრუბა, ე ლ. მურგი, ალავ. ლექს. XIII მურგვი).
მურწყა ხის პატარა ჭურჭელი წყლის დასალევად. მ უ რ წ კ ა შ ი ჩა-
მანხი წყალი და დამიდგი აგერ (ხიდარი).

მუსკატ-ი „ვაზის ჭიშია, მანვილი მარცვალი აქ“, ზაქმეველივით სულ
(ბაჯითი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

მუქარა || ერთი მუქარა 1. ერთჯერადი შეტევით კარგი, უსვენებლივი
მუშაობა. ერთი მუქარა ი მაგან კიდევ იმუშავა (ზვარე); ერ-
თი კაი მუქარა უნდა კიდო და დავამთავრეთ საქმეს (იქვე).
(იხ. ბ. წერ., მენთ., განმარტ. ლექს.). 2. ერთი ხანი. ერთი
მუქარა წრეულ ავთ ვიყაი (ზვარე).

მუქარათ კარგად, ძლომისად. მუქარათ ვკამე (ხვაშითი).

მულაღ-ი მკბენარი. სულ ურეცხთი, მარა მულაღი მაინ დეესია
(შომახეთი); საბანი არ გეიკარა: მულაღით სამსე ვარო (ფარ-
ცხნალი).

მუშა კრამიტი დიდი კრამიტი, რომელიც იხმარება შენობის სახურავ-
ვად. მუშა კრამიტი დიდია ზომით, შუარგოლა კრამიტისა-
ოდენაა. სახლის სახურავათ ვხმაროფთ (ხვაშითი).

მუცელში თავის ნდომაზეა ნორმალურად მოქმედებს კუჭი (ტაბა-
კინი).

მუცუკ-ი მუწუკი. მუცუკებით გემსო სახე (უჩამეთი). (იხ.
მ. ჩიქ. ბუზუკი).

მუწუხ-ი საქმის დროულად, მარჯვედ, მომჭირნედ გამკეთებელი. ეს
ადამიანი რა მუწუხია!... უ, რა საქმის მუწუხი ხარ! (პერე-
ვი). (შდრ. კ უ., განმარტ. ლექს. ლექს. ქვ. იმერ.).

მუწუხათ მარჯვედ. მუწუხათ არიან (პერევი). იხ. მუწუხი.
მუჭის ხერხი ცალი ხელით სახმარი პატარა ხერხი, რომელსაც იყენე-
ბენ სახლის კუთხეების გასაკეთებლად. მუჭის ხერხი საცალზე-
ლოთ იხმარება, ამით სახლის ყურეს აკეთებენ (ლეღვანი).

მუჭნის-ს მალავს, ინახავს. რას მუჭნი ფულს, იყიდე რამე (სვერი).
მუხ-მუხზე იმღერეფს. სიმღერისას მუხლების მიხედვით შეცვლის
ხმას. ვიმღერეფ, მარა მუხ-მუხზე ვიმღერო თუ ისეო. —

მუხ-მუხზე უნდა თქვა სიმღერაიო, — უთხრეს (ჭალაურთა). (იხ. განმარტ. ლექს. მუხლი მნიშვნ. 5).

მუხნაყარი სემიდი სიმინდი, რომელსაც მუხლები აქვს ამოყრილი, -- მუხლნაყარი. საქონელმა გადამიქამა მუხნაყარი სიმინდი (ქვედა საქარა); მოროდობაზე სიმინდი მუხნაყარია (პირველი სვინი). (იხ. განმარტ. ლექს. მუხლნაყარი).

მუხტარ-ი თამბაქოს უძველესი ჯიში. მუხტარი აქა-იქაა ქიათურის რაიონში შემონახული (სვერი).

მუხურულა ვაშლის ჯიშია, ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში იცის ბევრი, საშუალო ზომისაა, ცალი გვერდი წითელი აქვს. მწიფდება გვიან შემოდგომაზე. მუხურულა მუხურაში იცის ბევრი (ხრეთი). (იხ. ალავე. ოკრ.).

მქვრივ-ი ქვრივი. მწელიწადი მქვრივი ვიყავი (განთიადი). მშრალა მინდვრის მხალი, — სვია (მაცაშ.). მშრალას ხაოიანი ფოთოლი აქვს, ფორმით ლობიოს ფოთლის მსგავსი, ყუნწზე გამოიღებს 3-3 ფოთოლს, იზდება გრძელი და მცენარეებზე შედის ლობიოს ბარდივით (სანახშირე).

მჩატე მიწა მწირი ნიადაგი. მჩატე მიწა გლახაა, ზედ არაფერი მოდის (ლეღვანი).

მცა ცა. ეიხედა. მალა, მცაზე, თვარე არ არი (ლიჩი). მალა. მცაში, ამიყვანეო (უჩამეთი).

მცვივან-ი || ცვივან-ი წითელყურძნიანი ვაზის ჯიში, აქვს შავი, თხელ-კანიანი მარცვალი, რომელიც სიმწიფეში ქცნება და ცვივა. მცვივანი ყურძნის ჯიშია, შავი ფერის მარცვალი და თხელი კანი აქ, როდამწიფთება, მარცვლები ცვივა (ხვანე); ცვივანი რაჭული ჯიშის ვაზია, შავი, ღიაფერის მარცვალი აქ. როდამწიფთება, მარცვალი ცვივა (ბაჯითი). (შდრ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 408, იხ. იქვე. 488; შდრ. განმარტ. ლექს. მცვივანი, მცვივანა, მენტ., ბ. წერ. ლექ. 63, საქ. აპელ. 233, მცვივანი რაჭული).

მცთა წყრთა. ამხელა სიმინდები იყო, თითო მცთა იყო თითო ტარო ნეკიდან ნიდაყვამდე (სვერი).

მცნაურ-ი იგივეა, რაც მცნეური (იხ.). (შდრ. ძიძიგ. ძიებ.). იხ. ემცნაურება.

მცნეურ-ი ნაცნობი. უცნობი კ'არ იყო, მცნეური იყო და შოუთვალე (ხიდარი). (შდრ. დიალექტ. ფშ. ნაცნაური).

მცოდინარე მცოდნე, გაგებული. ილარიონი მცოდინარეა (ზედუბანი). (შდრ. მენტ. მცოდინარობა).

მცხოვრებელი კაცი მდიდარი. შეძლებული კაცი. იგდევანი არ განახსოვრება, მცხოვრებელი კაცი იყო (ლიჩი).

მძიმე მიწა შავი, თიხანარევი, ოდნავ ნესტიანი მიწა, რომელსაც ამის

ვაშო სიცხე არ ვნებს და კარგი მოსავალი იცის. მძიმე მიწაა. აყალოიანი მიწა რო არი და ცოტა ნესტიც აქ. იმას სიცხე ვერაფერს უშობა (ვახანი); შავი მიწაა მძიმე მიწა, ცოტა აყალოც ურე-
ვია, კაი მაკავალი იცის (ლეღვანი). (შდრ. ბ. წერ., ქავთ., მენტ.
ზანტი მიწა, მძიმე მიწა).

მძიმე ღვინო მაგარი ღვინო. მძიმე ღვინოა შენი ღვინო, ძაან
ათროფს (შომახეთი).

მძლავარ-ი მძლავრი, ღონიერი, მაგარი. მძლავარი ქალი პირვე-
ლი ცოლი უფრო იყო (ხიდარი); მძლავარი სახლი არ არი ესე,
სუსტი სახლია, დავარღვიოთ და გადავიტანთ (პირველი სვირი).

მწევარ-ი მწვეელი, მომწვევი. პაპიროსის მწვევარი ვარ (სანახ-
შირე). (იხ. განმარტ. ლექს. მწვევარი 2).

მწვანე გასხვლა კვირტებს გამოსვლის შემდეგ, აპრილში, ვაზისათვის;
ნეკიაა და მოსახვევის გარდა, ყველა ღორდია მოცილება საბჭალავით.
რო გამოიკვირტება, გარდა ნეკებისა და მოსახვევისა, ყველას დავა-
ლით, ტანზე რო აქ გამოყრილი ბევრი ღორდი (იხ.), ესაა მწვანე
გასხვლა. მწვანე გასხვლის შემდეგ შევწამლავთ (ბა-
ჯითი).

მწლეკია პრანკია, მატრაკეცა (სინონ. მანწუა). მწლეკია ქალია
ჩვენი რძალი (ხრეთი). (იხ. ქავთ.; შდრ. უთურ. მქავრე).
მწტალათ მშრალად. ხვალამდი გზა სულ გაშრება, ახლაც მწტალათ
დავდივარ (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. წდალი, ალავ.
ოკრ. მწდალი).

მწყერიო დაბალტანიანი, მრგვალი მოღვინისფერო სოკოა (გეზრული).
(იხ. ბ. წერ.).

მწყნარ-ი წყნარი. მწყნარი ქალია ისი (ხიდარი, პერევი).

მქადიო || მქადონა იგივეა, რაც ჭადო (იხ.). მქადონა რძი-
ანი სოკოა (გეზრული); ახლა მქადიოც ვერ ვიპონეთ (იქვე). (იხ.
საბა მქადა ZAB).

მქახე მომპარებული (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ.; შდრ. გურამ.).
იხ. ამქახეფს.

მქენარა || ჭენარა დონდლლაბის ერთ-ერთი სახეობა, მთელს ზემო
იმერეთშია გავრცელებული, ჩვეულებრივ დონდლლაბთან შედარებით
უფრო წვრილი მარცვალი აქვს, ყვითლად მწიფდება, ადრე თუ არ
მოიკრიფა, ჭკნება. იძლევა საშუალო ღირსების სუფრის ღვინოს.
დონდლლაბი (იხ.) ორნაირია: ერთი ჭკნარა, ადრე მწიფდება, თვარ
მოკრიფე, ტვენათ დაჭკნება ზედე და ჩამოცვინდება. მეორენაირი
დონდლლაბი უფრო ლუშათ მწიფდება. ჭკნარა დონდლლაბთან შე-
დარებით მას უფრო სხვილი კაკალი აქ (ტაბაკინი). (იხ. საქ. ამპელ.

151, ლეჟ. 63, განმარტ. ლექს., მე ნ თ.; შდრ. ი. ჯ ა ვ ა ხ. საქ. ეპ. ისტ. II, 410, 488).

მკმახე მკავე. მკმახე ბიაა (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. მკმახე მნიშვნ. 1).

მკმელოფ-ს ჭამს. გუშინ კარქათ იკმელა ძროხამ. ჩემი ძროხა საერთოთ კარქათ მკმელოფს (ტაბაკინი).

მკნავ-ი ცირცელი. მკნავი მცენარეა, კაკლის ხის მზგავსი ფოთლები აქ, ჯახველას (იხ.) გავს, ბუჩქია, კუნწულებათ აბია წითელი მარცვლები (შოხვა). (იხ. მაყაშ., განმარტ. ლექს.).

მხარეობა რომელიმე მხარის მიდგომა. ამ ჩხუბში ჩეება ყველა ხალხი, შეიქნა მხარეობა, ქომაგობა (მანდაეთი).

მხედველობა მხედველობა. იმდენი მამცეს მხედველობაი. ბურათ (იხ.) ქხედამთ ახლა (გეზრული).

მხლებულ-ი მხლებელი. მხლებულე ბი მოყვენ (ხილარი).

მჯიში ჯიში. თქვენი მჯიში გაწყვა! (ქველა ხაქარა).

6

ნაამავარ-ი ნაამავარი. ჩემი ნაამავარი რაღათი დაეტოვო (პერევი).

ნაამდრიელ-ი ნაამდრი. ნაამდრიელი იყო და სიარული გვიპირდა (ზედუბანი).

ნაბინჯვალ-ი პურის, მკადის და მისთ. ნაფხვენი, ნამცეცი (სინონ. ნასინსვალი, ნახინხვალი, ნახირხვალი, ფინჩხა). ისე შექამა ყველიფერი. ნაბინჯვალ იც არ დარჩენილა (სვერი); ბოშეფს კამის დრო: ნაბინჯვლები დოუყრია (ტაბაკინი). (იხ. საბა ნაბიქვევი, ნახორხმალი, ი. იმნ. სიმფ.; ძიძიგ. ქრესტ. ნაფხორი, ქავთ. ნაინკლები, ალავ. ლეჩხ. XIII ნამცეცი, ჯაჯ. IX ნასინსვალი, განმარტ. ლექს. ნაბიქვევი¹, დიალექტ. გურ. ნაფურჩხალი).

ნაბიქვარა || ნაბუშარა იგივეა, რაც ბიქ-ბიქა (იხ.). გამორჩევა ნამხრევების (იხ.), ე. ი. ნაბიქვარას (უძახით ნაბუშარასა ც), გამოცლა (ბაჯითი). (იხ. კახ. ნამქვრევი, ალავ. ლეჩხ. XIII ნაბიქვარი, ოკრ. ნაგერა).

ნაბოლარა გამოხდის დროს სულ ბოლოს გამოსული არაყი, რომელიც, ჩვეულებრივ, სუსტია. ბოლოს რო გამოდის ოტკაი, გლახა როა, ისაა ნაბოლარა (ვერტყვიჭალა, ლეღვანი, შომახეთი). (შდრ. კახ., განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ.).

ნაბოქვარა აკრეფილი (აბოქილი) გადასახადები. წამოვიდა კობტაი, იფიქრა: დევეცემი ბანკს, ნაბოქვარა ები იქ და მევიპარავ, ცოდვა არ იქნებაო (ტაბაკინი).

ნაბჟუტარა თხილი მომქცნარგულიანი თხილი. ესე ნაბჟუტარა თხილი ყოფილა (ხიდარი).

ნაბრწყიელ-ი იგივეა, რაც ნაპწყიელი (იხ.). გასკდა ეს ნაბრწყიელი და ჩაეარდა კიქაში (წირქვალი). (იხ. საბა ნაბერწყალი).

ნაგერალა 1. ყანაში მოსავლის აღებისას თავისთავად, დაუთესავად ჩაბნეულ თესლთაგან აღმოცენებული მცენარე, — ნაგერალი. ერთი დათესილია, მიორე ნაგერალაა (ბოსლევვი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ. ნაგერალი, მენთ. ნაგერალა, ნიქ. ნაგერალაჲ, განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ. ნაგერალი, ნაგერალა¹; შდრ. ბერ. მონაკვერება (იხ. კვერება), შარაშ. ნაგერაჲ, ჟღ. ანაგერა | ე-ი). 2. იგივეა, რაც ნაკუდი (იხ.). ნაკუდარი არი ნაგერალა (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. ნაგერალა², დიალექტ. მოხ. ნაგერალაი).

ნაგვალულევ-ი ნაგვალავი. იმისანა ღვინო იყო იმ წელიწათს, პირში არ ჩაიშობოდა, ნაგვალულევი იქნებოდა (ტაბაკინი).

ნაგონგ-ი თიხის კურკლის გამოძერწვის დროს საჩვენებელი თითით აღებული ალიზი, რომელიც უმაღლესი ხარისხისაა, იმისგან გაკეთებულ კურებს ეძახიან ნაგონგის კურს (სვერი).

ნაგრამობა შთამომავლობა. ნაშიერი 8 გლეხამდი მე ვარ აგერას, ჩემი ქალიშვილის შვილები დეიყვენ და სამ გლეხათ არიან. ამ დაყოლა ჩემი ნაგრამობა არი აქანას (სავანე). (იხ. შარაშ. ნაგრამი; შდრ. ბერ. მონაგრამება (იხ. ნაგრამება), კყ. ნეგრო, ნოგრო, ჟღ. ნეგრო).

ნაგუზალ-ი მუგუზალი. ნაგუზალი წამოჰდა (უჩამეთი, ღარიხევი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ.).

ნადგამ-ი 1. სახლი და სახლთან არსებული ყველა დამხმარე ნაგებობა (ბოსელი, მარანი, ბელელი, საქათმე და მისთ.). რაც დედ-მამა მოუყეტა, სახლიც დეეწვა და ამ გოგოს აღარ ქონდა არაფერი ნადგამი (ზარანი). (შდრ. განმარტ. ლექს. ნადგამობა). იხ. ნამშარალი. 2. კაპანება. სანამ ჩვენ დაეწვებოდეთ, ამის ნადგამი აღარ იქნება, დეეშვება და დღისულ მოვა (ზარანი). 3. მოდგმა, შთამომავლობა. მისი ნადგამი აღარ დარჩენილა ჩვენ სოფელში (იქვე).

ნადულ-ი ხაქო. წაქს (იხ.) რო ჩადულეფ, ნადულია (ბორითი, წიფა, ჭალაურთა); შრატ (იხ.) რო დავადულეფთ, ისაა ნადული (მოხვა, ღორეშა, მორძგვეთ); ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხის (წაქის) გადადულების შემდეგ მიიღება ნადული (უჩამეთი). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს., დიალექტ. რაქ; შდრ. ჟღ. ნადულარი).

ნაღლის ნაწური ნაღლის ნაწურია ისი, ზაკოზ მერე რო
რჩება (ხვაშითი).

ნავალ-ი პირუტყვის განავალი. ძროხა თუ სისხლიან ნავალზე
გადის, ეს მოკლამს (ხვეი). (იხ. დიალექტ. იმერ.; შდრ. განმარტ.
ლექს.).

ნავახშიმებ-ი ნავახში. ნავახშიმები ვართ (ხიდარი).

ნავახშიმეფ-ს ვახშიმის შემდეგ, ნავახშიმეფს. ნავახშიმეფს დევი-
ბანდი პირს (ფუთი).

ნაზვინარი-ი ზვინის (ჩერგილის) ქვეშ დაცენილი ლობიო, რომელიც
აღმოსაქცნებლად არის გალივებული. ნაზვინარი არი ჩერგილ-
ქვეშ დაცენილი ლობიო, რომელიც გეილოჯება (იხ.) და წამეიღეფს
პაწია კვირტს (ლიჩი).

ნათიერ-ი || ღამის ნათიერი ღამენათევი. ღამის ნათიერი ვი-
ყავი (ბოსლევი).

ნათლიერ-ი სუფთა, კარგი, ნათელი. რასაც გააკეთეფს, ნათლიე-
რი გაკეთება იცის (ზარანი). (იხ. გურამ., დ. ჩუბ.).

ნათურა საგანგებოდ ამორჩეული, კარგი, საუკეთესო (ითქმის უპირა-
ტესად ყურძენზე). ნათურები გადაარჩიეს... ციკქას გადააქალეს
ნათურა (უჩამეთი).

ნათქმ-ი ნათქვამი. არაფერი არ იყო ნათქმი (ზედა ხაქარა); ეს
დადგენილებაში არი ნათქმი (ზედუბანი). (იხ. დიალექტ. იმერ.).
ნათხოვრათ სანათხოვროდ. თუ ნათხოვრათაც ვერ იშონოს
მანქანაი, ხელითაც მოუძლია მიყაროს გოგილდი (ქვები). (შდრ.
ქავთ. ნათხოვრათ გაკეთება).

ნაიბარა(ს)ზე უპატრონოდ, მიუხედავად, ღვთის ანაბარად. შენი ბოვ-
ში ჩეიბარე, ვერ გამოუშოფ ნაიბარაზე (ზარანი). (იხ. განმარტ.
ლექს. ანაბარას).

ნაიბ-ი წყება, გზობა. ქინკების ყანას რო ეტყოდენ, უყია (იხ.), ამო-
ყობა იქა სამი ნაიბი ჩვენი ყანა, ერთი წყება ამოვა სულ თავამ-
დინა, მორე ნაიბი დაბრუნდება კიდე და ამოყობა. სვია (იხ.) არი
იქამდი, მერე კიდე მესამე ნაიბი ამოყობა (ჭალაურთა); კაი ნა-
იბი დაგითოხნია (ტაბაკინი); კაი ნაიბზე ქე გამოგვატანეს კა-
ცები, მარა გზა ვერ გამევიგენით (იქვე). გეიარა კაი ნაიბი გზა
(პირველი სვირი). (იხ. ქავთ.; შდრ. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს.,
დიალექტ. თუშ., ჯაჯ. X).

ნაირის ხილი ნაირნაირი ხილი. სულ დაბეჭდილი აშეკები ნაირის
ხილით გამოგვატანეს (ზედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს. ნაირი).

ნაკ-ი ნაკლი, ზადი. ამ ბოვშს დიდი ნაკი აქ (ფარცხნალი). (იხ.
განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2; შდრ. რუსთ., საბა, დ. ნ. ჩუბ.,

განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1; შდრ. იქვე ნაყიში). იხ. დანაკამს, დანაკული.

ნაჰიან-ი ნაყლის მქონე, ზადიანი. ხფო დეიბადა ნაკიანი (ზარანი, ფარცხნალი).

ნაკლებურობა უქონლობა, ნაკლებობა. მე თავის მოვლა მიყვარდა, ნაკლებურობას არ შეუწუხებდევარ (ჭალაურთა). (იხ. ძიძიგ. ქრესტ. ნაკრებულობა).

ნაკნაჰ-ი მატყლი. 12 ცხვარი მყამდა, ნაკნაჰს კარ ვყიდდი (შროშა). (შდრ. მენტ. ნაკრეჰი).

ნაკოდ-ი ახლად დაკოდულ ქვაზე დაფქული მარცვალი, რომელიც საკმელად აღამიანისათვის არ გამოდგება. ნაკოდი ახლად დაკოდულ ქვაზე რო დაფქვავენ, რო ქვა გამოკეთეთეს. ნაკოდი აღამიანისთვის არ ვარგა, ღორისთვის ინახვენ (ბაჯითი); ნაკოდს ჩაყრიან ხომე ონჯაროში (იხ.) (შომახეთი). (შდრ. განმარტ. ლექს., დიალექტ. რაჰ.). || ფქვის დროს წისქვილის ქვების გარშემო შემოყრილი ფქვილი. ნაკოდი ქვების გარეშამო შამოყრილი ფქვილია (ქორეთი). ნაკონტალ-ი ჭირკი. ნაკონტლები სახქვეშ ყრია (შომახეთი). || დაპობის შედეგად მიღებული ჭირკების პატარა ნაწილები. წამეიღე. არ დატოვო ნაკონტლები, შეშა მინ არ მაქ (განთიადი). (შდრ. ბ. წერ. ნაკორტალა, შარაშ. ნაკოტალა).

ნაკრაველი-ი კრავის პირველად გაპარსვის შედეგად მიღებული მატყლი. — კრაველი. ნაკრაველია კრაველის მატყლი, პირველათ რო გეიკნაქება (ლიჩი); კრავს რო პირველათ გაპარსევენ, ნაკრაველს ვეტყვით (მოხვა, ხვაშითი). (იხ. განმარტ. ლექს. კრაველი). ნაკრავლის ფეხი კრავის მეორედ გაპარსვის შედეგად მიღებული მატყლი. კრავს რო მორეთ გადაპარსევენ, ნაკრავლის ფეხს ეტყვიან (მოხვა).

ნაკრულა ნაკლული. ერთი დოჰი ნაკრულა იყო (ტაბაჰინი). (იხ. საბა ნაკრული ZAab).

ნაკრულობა ნაკლულობა. ჭავრითაც შეწუხებული ვიყავით და ნაკრულობითაც (განთიადი).

ნაკუდ-ი ხორბლეულის განიაგების შედეგად დარჩენილი ბზენარევა, ფშუტი, უვარგისი მარცვლები. პურს ვნიფამთ, ქარი ურტყამს აქედან, ფშუტი პური იმ ქარს აქეთ გადმოყამს, კაი მარცვალი იქით რჩება. გლახა მარცვალს, ნაკლებს ქვია ნაკული (ლიჩი); გლახა ნარჩენი რო დარჩება, ნაკულს უძახიან, პურიც არი, ღვარძლიც, მიწაც (შომახეთი); პურს გავანიავეფთ, მერე გავცხრილამთ, რაც დარჩება, იმას ნაკულს ვეტყვით; რო გამეიცხრილება გლახაი, ნაკულია. ჭელი (იხ.) და ნაკული ერთია (ბერეთისა). (იხ.

ქიკ. ნამკული, ჯაჯ. IX ნაკული, X ნაკულარა, დიალექტ. ხეკს ნამკული, გულამაყ. ნაკული, მოხ. ნაგერალაი).

ნაკულად-ი ფელაქუშში ამოვლებული ჩურჩხელის (გოზინაყის) ჩამონაღვენთი. გემრიელია გოზინაყის ნაკულღები (უჩამეთი). (იხ. ქავთ. ნაწრაწი). იხ. ნამცვივარი.

ნაკულარ-ი იგივეა, რაც ნაკული (იხ.). პურს გადავანიავეთ ისე-ისეე წმინდათ ნიჩაფითი. პატარა ჩხიკებია, ფინცხლები — ბზის უვარგისი ნაწილები, სილა. ამისთანა ნაწილფს მოანგროვებენ ერთათ და იმა უძახიან ნაკულარს. მერე მარცვალს გადავანიავეთ და წმინდა ცხრილში გავცხრილამთ (ხვაშით). (შდრ. ჯაჯ. X).

ნაკუწ-ი პურის განიავების შემდეგ დარჩენილი თაველიანი ბზეა ნაკუწი (ზედუბანი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ნალ-ი მიზეზი. მუწუყის ნალით ჭირკვალი ჩთება... მისი ნალით ხელიც ეტყინა (ხიდარი). (იხ. ქავთ., შარაშ. ნაძალი; შდრ. დ. ნ. ჩუბ., მენთ., ს. მ. ტერმ.).

პაპია 1. პაპის (ბაბუის) მამა. პაპია იყო სხლიტაძე, ბაბუის მამა იყო, მამის მამის მამა. დიდი ბაბუ არი პაპია (სვერი); პაპიას ერქვა ხარებაი, ბაბუას — სტეფანეი, მამას — დავითა (მოხვა); უმალ ძროხა დოუელა ჩემა პაპიამ ბატონსა (სანაჰსირე) (იხ. მ. ჯან.

პაპაჲ, ეჟ., ელ., დილეეტ. ლერხ. პაპა, განმარტ. ლექს.; შდრ. ყიფშ. პაპუ). 2. პაპა (ბაბუა). პაპიას უძახით მამაჩემის მამას (პეოყვი); პაპიარეში (ძააჩემის მამა) კალახს კი არ ეპადა. რო-

ძელ სტოლზედაც დეინახთა, წვეიდოდა იქით (ლიჩი); როდესაც პაპიარეში შომეკდარა, ბოვშეი დარჩენია სულ პატარები. მამაჩემი ყველაზე უფროსი ყოფილა (ვახანი). (იხ. ქ. ცხ., ა. შან. გ. მთ. ნა, შანმ პაპა, დილეეტ. ქართლ., ჯავახ., გუდამაყ., ჯაჯ. IX).

პარულოფ-ს იპარავს. თუ რაძეს ნახევდენ კაი ვეიხს, ქუ პარულობდე ს (ევედა სეპარა).

პატიჟილ-ი პატიჟი. რათი გინდა ჩემთან პატიჟილი (ხვაშით). (იხ. ალაგ. XXIV; შდრ. ვისრ. პატიჟი).

პატ-პატარა ცოტ-ცოტა. პატ-პატარაი მაქ ყოლიფერი (ქვები). (იხ. გახმარტ. ლექს. პატარ-პატარა).

პატრიჟან-ი პოშიდორი. პატრიჟანო პომიდორს ქვია, ბადრიჯანი — ბადრიჯანს (ლორეშა). (იხ. ქავთ.).

პაწ-პაწია იგივეა, რაც პატ-პატარა (იხ.). პაწ-პაწია ყველაფერი მოდის (წვარე).

პაწუა პაწია. რომელი შკაფი ჩამეიტანე აქანა, პაწუაი? (სავანე). || პატარა ბავშვი. პაწუას აწოვა ძუძუი (პერევი); პაწუეფს ნანინა ეგონათ (მერჯევი). (იხ. განმარტ. ლექს. პაწია).

პაქანიკი-ი მოქსოვილი ან შალისგან შეკერილი წვივზე ჩამოსაცმელი,—
პაიკი. კოქიდან მუხლამდე ვქსოვდით. ზევით, გათავებისას, კრელი
იყო. პაქანიკეფს უძახოდით (სვერი). (იხ. ბ. წერ. პაქანიკი.
საწვივეები, ქავთ., დიალექტ. კახ.-ქიზ. საცვეთი, მენტ. საცვე-
თი; შდრ. საბა, დ. ჩუბ. პაქანავი, ჯაჯ. IX, განმარტ. ლექს.
პაქანავი, პაქანიკი).

პენცია პენსია. პენცია რო ამელო, მაშინ სამუშევარზე არ დამიშ-
ვებდენ (ფარცხნალი).

პეპელი ცხვრისა და თხის ავადმყოფობაა, ღვიძლს აავადებს. პეპე-
ლი ცხვრისა და თხის ავანტყოფობაა, ღვიძლზე თლა პეპლებივით აქ
(პირველი სვირი). || თავის ტვინს აზიანებს. პეპელი როცა აქ
ცხვარს ან თხას, თავის ტვინში შეეკრება მატლები (ბორითი). (იხ.
მენტ.).

პეპელა იგივეა, რაც პეპელი (იხ.). პეპელა ცხვარს და თხას
ღვიძს უავანტყოფეფს (შომახეთი). || ცხვრისა და თხის ტუბერკულო-
ზი. პეპელა როცა აქ ცხვარს ან თხას, ახველეფს უნაიროთ, ქლე-
ქის მგზავნია (პერევი, ჭალაურთა); პეპელა ცხვარმა იცის, ახვე-
ლეფს (ხევი). (იხ. ბერ., ქავთ.).

პეტერა პატარა. პეტერა ფული მქირდება (პირველი სვირი).
პეტერეებია ისინი (ტაბაკინი). (იხ. დიალექტ. ლეჩხ., იმერ.
პეტერე).

პეშვა იგივეა, რაც კვერნა (იხ.). პეშვას უძახით ჩვენ ხუნდის
(იხ.) ორივე მხარეს ზესადგარში (იხ.) ამოყრილ ორ-ორ რიკს, რომლე-
ბიც სატოკავს (იხ.) აკავშირეფს ზესადგართან და ამაგრეფს ღერძს,
რომელიც მოძრაოფს პეშვეფს შორის (დილიკაური); პეშვა 4
ცალია. მას ულევში კვერნას უძახიან (ზედა საქარა). (იხ. ბერ.
ქავთ., ჯაჯ. X, ალავ. ლეჩხ. ეთნ., კუმბ. დათვის ძუძუები
ანუ პეშოები).

პეწია პაწია. პეწია მყავდა კოლა (ტაბაკინი); ჩალა, პეწია თუ
არ შენაბულდა, ან დილაზე, ან ღვაფიანში (იხ.), არ ივარგეფს (იქვე).
პეწეწინა პაწეწინა. ე პეწეწინა ბღარები მოდიან (მორძვეთი).
პიმპილა სოკო მოშავო-მორუხო მწარე სოკოა (ჭალაურთა). (იხ. შა-
რაშ. სოკოპირპილაი, ჯაჯ. IX).

პიმპილო იგივეა, რაც პიმპილა სოკო (იხ.). პიმპილო შავი
სოკოა, კირწიც შავი აქ, გული ფერნაკლულათ აქ, ზევით გულია ძაან
შავი (ხვაშითი).

პინო ფრანგული ვაზის ადრეული მწიფობის შავ და თეთრყურძინიანი
ჯიშია, რომელიც გამოიყენება შამპანურისათვის. პინო ციცქას გავს.
თეთრი ყურძენია, პატარა ტევანი აქ (ბაჯითი, დილიკაური); პინო
ადრეული ჯიშია, თეთრიც არი და შავიც, მისგან შამპანიურს ამზადე-

ბენ (უჩამეთი); პინოს შეკრული ტევანი აქ, საშუალო ზომის კაკალი, ადრე მწიფდება, სექტემბრის 10 რიცხვამდე მეიკრიფება, მისგან შამპანურს აკეთებენ (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს., საქ. აბპელ. 264-270, პინო შავი, ლე ე. 63).

პირად-ი¹ || პირადი თოხნა სიმინდის ნათესების პირველი გათოხნა. სიმინდის პირველი გათოხნა პირადია (შროშა); ჯერ ვიცით პირადი, მერე მორადი და მერე პურის გამოთესვაი, სიმითს რო ავლეფთ (შომახეთი); პირადი თოხნა პირველი თოხნაა, „მარგლა“ აქ არ იხმარება (ბორითი). || ვენახის პირველი გათოხნა. ვენახს ხარდანს დოუსობდით, მოვხარდნავდით, მერე დავთოხნიდით პირადს... მარგლავი სიმიდს უნდა (მეორე სვირი). (იხ. ბერ., ლე ე. 67, განმარტ. ლექს. იმერ. რაჭ., ალავე. ლეჩხ. ეთნ.).

პირად-ი² უხნავ-უთესი. პირადი მიწა დაუმუშავებელი, უხნავ-უთესი მიწა (საპირისპ. დანამბილარებული, ნამბილარი, ნარბილი). როცა დოუთესავია მიწა, არი პირადი. პირადი მიწები გვაქ ჩვენე (სვერი); პირველათ ჩვენე პირად მიწას დავხნემდით იმით, რო განოციერდება მიწაი და უყეთესი მოსავალი მოგვივა (შომახეთი).

პირად-ი³ სანდომიანი სახისა, თვალადი. ე გოგო იყო ტანადი და პირადი მისთანა, რო, რაძახა დედაქ ქშობაო, იტყოდი (დილიკაური). პირადი გამარგვლა იგივეა, რაც პირადი¹, პირადი თოხნა (იხ.). პირველათ მოთესევენ სიმინდს, დახნევენ, ამოვა და გამარგლიან, ამას პირად გამარგვლას უძახიან (ღარბევი); რო შეიქნება სიმინდი 3 ფოთელზე და 4 ფოთელზე, მერე პირადი გამარგვლა ქირდება (საბე). იხ. გამარგლავს, მარგლის.

პირამომბალ-ი მოტყუებული, პირში ჩალაგამოვლებული. წამიყვანეს იმ სალამოს, ი ჩიხელები ქე დავტოვეთ პირამომბალი (ჭალაურთა).

პირაოშ-ი პირში მთქმელი; მოურიდებელი, წინდაუხედავი. ხასიათი კაი აქ, მარა ცოტა პირაოში ქალია, გეტყვის მისთანას, რო არ არი სათქმელი (ზედუზანი). (იხ. მენთ.; შდრ. კირ. პირღნიოში, განმარტ. ლექს. ქართლ.).

პირბაოშ-ი იგივეა, რაც პირაოში (იხ.). პირბაოში ქალია ნადიი (ბერეთისა).

პირველი წვერი ცალნახადი არაყი, პირველად გამოსული. ეს პირველი წვერია, არ გადამიბრუნებია (წყალშავი). იხ. პირველი ოტკა.

პირველი თოხნა ნათესის პირველი გათოხნა. პირველათ რო გათოხნიან, პირველი თოხნაა, მეორე თოხი — მარგლავი, მესამე

ოხნა — გაწმენდა. მარგვლას ვიწყებთ იენისში, წმენდას კვირიკო-
ბისთვეში (ზედა საქარა). იხ. პირადი გამარგვლა.

პირველი ოტკა წინწანაქრის შემდეგ გამოსული არაყი ერთ ლიტრამ-
დე. პირველი ოტკაა წინწანაქრის (იხ.) შემდეგ გამოსული
(ლეღვანი, მანდაეთი).

პირვლიდან თავიდან. ჩემი აზრიდანა, პირვლიდან ორივე. ტყუ-
ანია (წაქვა).

პირთხელ-ი ხისტარიაანი, თხელპირიაანი ხელსაწყო, რომელიც ეხმარება
კარების ბაზოების ჩაქრის შემდეგ ჩასაწმენდად, — ხვეწი. ჩემი პირ-
თხელი ვილაკამ წვილო და დამიკარქა (ვანთიალი). (იხ. ბ. წერ.;
შდრ. განმარტ. ლექს.).

პირის ამოღება ენის ამოღება. მწარე ლერწმს დეიკავებენ მარცხენა
იელში ისე, რომ კვირტის მხარე იყოს ზედა გვერდზე, მონათალს
გოუკეთებენ სანამყენე დანით, რომელსაც კვირტის მხრიდან შეაბრუ-
ნებენ შემდეგ და მოჭრიან მას დანით სიგანეზე. ამ პროცესს უწოდებ-
ენ პირის ამოღებას (ტაბაკინი).

პირის ანოწყობა საჩეჩელზე მატყლის მეორეჯერ გაჩეჩვა. ჭერ მატყს
ვაპურტყნი, მეორე გაჩეჩვა პირის ამოწყობაა (ხიდარი).

პირისანახავი-ი მომშობიარებული ქალისათვის გაგზავნილი ძღვენი, —
მოსაკითხი. ჩემი ცოლიძმის ცოლი მორჩა და პირისანახავი
უნდა მუუტანო (შომახეთი). (იხ. ჭყ., გრიშ., განმარტ; ლექს. პი-
რის სანახავი (იხ. პირი); შდრ. შარაშ., მენთ.).

პირის შამოხოვა აბრეშუმის პარკებიანი ლასტის გარშემო გვიპრის
შემოხვევა, რომ ჭიები არ გადმოცვივდეს. ჩელტეფს გვიმრა აქ გარ-
შემო, რომ ჭიები არ გადმოცვივდეს, ამას უძახით პირის შამოხო-
ვას (ხიდარი).

პირიხანში წუთში. რამდენიმე პირიხანში მივალთ (წიოქვა-
ლი); რადარა საათს შეგეშინდა, რა პირიხანში შეგეშინდა...
(შელოცვა). (იქვე).

პირისცილათ პირმცინარედ. ე ქალი სულ პირსიცილათ იყო
(ზედუბანი).

პირში საფეროთ პირფერობით. ამას პირში საფეროთ კარ
ვეუბნები (შროშა). (შდრ. განმარტ. ლექს. საფეროთ).

პირ-ხელ-ი ხელ-პირი. დეიბანეს პირ-ხელი (ღარიხვეი).

პიტონიკ-ი (რუს. ПИТОМНИК). 1. სანერგე. მივდივართ პიტონიკში
(ღორეშა); თბილ ადგილას უნდა გაკეთდეს პიტონიკი (ლეღვანი).

2. ნამყენი ვაზი. ნილაგი არი მომზადილი პიტონიკის დასარგა-
ვათ... ირგვება პიტონიკი მწკრივში (ღორეშა); პიტონიკი უნ-
და ამეილო ნოემბერში (ლეღვანი); პიტონიკს არ ვაკეთებთ ჩვენ,

ყვიდულოფთ დამყნილ ვენახს (მობვა); პიტონიკი ჩვენში არკეთ-
თება (ხვაშითი). (იხ. დიალექტ. ლეჩხ., ქუმბ. 84).

პიწყინა ხაჭაპურის ირგვლივ ხელის თითებით საგანგებოდ დაჩენილი
კვალი. ასეთ ხაჭაპურს პიწყინაი ქვია, იმიტორო პიწყინა
აქ. გაკეთებული (ხვაშითი).

პლაკუნა ბლაგვი, უვარგისი. პაწია პლაკუნა ნაჯახი მაქ, არ გა-
მოდგება (ლეღვანი). (შდრ. განმარტ. ლექს. პლაკუნის).

პოიკა იგივეა, რაც ბოკონა (იხ.). პოიკაზე რა დაგაჯენს?
(მახათაური).

პომპორ-ი დიდკაცი. დიდი პომპრები რო არიან, ისინი ირგებენ
კაის (ლორეშა). (შდრ. დიალექტ. იმერ.).

პონტიკ-ი განშტოებული. ახლაც მადა ქვა ტყტება. პონტიკის
ქვა არი, ბილი ქვაა. სულ შტოიანი ქვაი, სათლელი (ზარანი). (შდრ.
ქყ. პოტიკი).

პორპიკ-ი ხეზე ასვლაში მიშველება ქვეშოდან შემოდგომით; წვალე-
ბით, ჯახირით ასვლა, აცოცება. იქ პორპიკს მირჩვენია კატო:
ნიგოზე ასვლა (ხიდარი). (იხ. ქავთ. პორპიკოფს. განმარტ. ლექს.
ვურ. კოპიტი: შდრ. ბ. წერ. ჯაჯ. IX პორპიკი). იხ. ეპორ-
პიკება.

პროკულო-ი პროკურორი. მე რას მეტყოდა პროკულოი (გეზ-
რული).

პრომ-ი (რუს. пром) სინჯი; ქაშნიკი. პრომები გავშინჯე, ფოფა-
ნობდა ყვითელი ღვინოი, დავპრომეთ (ხიდარი); ერთი კილო თათლი
ვიყრდეთ პრომათ (ზარანი).

პტვერ-ი მტვერი. ვინ აადენს პტვერს? (ლარიხვევი).

პტყვე ტყვე. პტყვეთ წეიყვანეს (ლორეშა). იხ. დააპტყვე-
ვეფს.

პურიღედა საფუარი. პურიღედა თუ ჩააყენე ხვალისთვის? (ქვე-
ბი). იხ. საფუნებელი, საღუებელი.

პურიცომ-ი იგივეა, რაც პურიღედა (იხ.). პურიცომს უზამთ.
რო ამოვიდეს პური (ვახანი); პურიცომი თვარ გაქ, ხაჭაპური
რას ვარგა? (ქორეთი, მანდაეთი); ამ ქიათურაშიდა პურიცომს
საფუარს უძახიან (ჩიხა); პურიცომი უქენი და ამევიდა ცომი
(შომახეთი).

პურიცომის ქოთანი საფუნებლის ქოთანი. პურიცომის ქოთა-
ნი ვაყენეფთ პურიცომს (წიფა, ხვეი).

პურის ჰიპი ხაჭაპურის გუნდის წანართმევი ცომი თავის მოკვრისას.
მოეწყვიტე პურის ჰიპი (ხვაშითი).

პუჭნიაოფ-ს მალავს, ინახავს. პუჭნიაოფს, არავის ეკითხება,
ასე თქვა: მე ჩემთვის უნდა მევიპუჭნო (ბერეთისა).

პურობ-ს ფლობს, უპყრია. მერე პურობდენ იქოურობას, უმფროსობდენ (ტაბაკინი).

პწყალ-ი¹ წნელის ტყეჩი კალათების საქსოვად. პწყალი ხიდან იხთება, უროკო თხილი მოიჭრება, კანს გააძრობენ, სამპირათ ეიხთება. პწყალს ვხითთ კლათისთვინ. პწყალთ იქსოვება კალათი, რვეალი წყნელითა გოდრეფს ვქსოვთ (ვახანი). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს.; შდრ., ალავ. ლეჩხ. XIII).

პწყალ-ი² მწყრივი, რიგი (სინონ. პწყარი, შაკი, შარი, წყაპი). ვენახს გააყოლებენ პწყალზე, პწყალეფს შორის მანძილი 2 მეტრია (დილიკაური). (შდრ. ბ. წერ. პრწყალი, ს. მ. ტერმ., თუშ. ძვ. საქ. II, განყ. V, 135).

პყარი-ი იგივეა, რაც პწყალი² (იხ.). სახლის გადაღმა ერთი პყარი ვენახი დამიტოვე-მეთქი (ლორეშა).

პკორ-ი კორი. ნუ გიყვარს პკორი (საბე).

პკორიან-ი კორიკანა. ბევრია პკორიანი ხალხი (საბე).

პყვრევა გამონათება, გამოკყეტა. იხ. აპკყვრეცს.

ქ

ჟატვა წყევლა-კრულვა. დეიწყო ჟატვაი: ისიო, კულბოი (იხ.) გინდათ თქვენეო (ზედუბანი). (იხ. ქავთ., ალავ. ლეჩხ.).

ჟენტ იხ. იჟენტება.

ჟენტ-ი (რუს. жент) თუნუქის სანაეთე. ჟესტირო მევიტანო სამსეი, გვეყოფა? (ტაბაკინი).

ჟვაპ-ი || ჟვალპ-ი ჯერ კიდევ სისველის მქონე, ნედლი. პერევისაში ჯერ ჟვაპია სიმიდი (სვერი); ჟვალპი ჩალა არი ესე (იქვე). (იხ. დილექტ. იმერ., ქავთ. 2; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ. ჟანტი, ბერ. ჟანტლი).

ჟვენთხ-ი ჭუჭყიანი, წყლიანი თოვლი. სახს მერჩი (იხ.) კარ ქონდა და სახში ჩამოდიოდა ჟვენთხი (ზარანი). (შდრ. საბა ჟატყი, დ. ჩუბ. ჟატყი).

ჟვეპავს-ი | ამ-ს სცემს, ჟეჟავს. დაჟვეპა ქალი და კაცი (ხიდარი). (იხ. ბერ. ჟვარუნი, ჟვერვა, ელ. ჟვერობა, განმარტ. ლექს. ჟაპუნი).

ჟვერ-ი გადატ. მაგარი, მკაცრი. მაგათ ადამიანობით არ უყვარხართ, მაგათ უნდა ჟვერი კაცი (ჯალაურთა). (შდრ. საბა, ბესიკი. დ. ნ. ჩუბ., ყიფშ., ჭყ., ალავ. ლეჩხ., ჯაჯ. X იმერ., გურ. XVII, განმარტ. ლექს.).

ჟინჟლიანი ამიდი ამინდი, როცა წვრილად წვიმს. ჟინჟლიანი ამიდი, ფთქორავს (ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს.).

ჟინჟლილ-ი დაგრეხილი, გამხმარი მსხვილი წნელი. მაქის სისხო თხილის წენელს დაგრეხდენ, გაახმობდენ და, როცა ღამე საღმე მიდიო-

დენ, მოუკიდებდნენ ცეცხს, სიგრძე ჰქონდა 1-2 მეტრამდე, უინჯ-
ლილს ემახოდნენ (ვახანს); უინჯლილები დაჩეჩქვილი მსხვი-
ლი ჯოხია, ცეცხლმოკიდებული (ხიდარი); არ შექვშინებია, უინჯ-
ლილები გვეჭირა და მივდიოდით (საბე): (იხ. საბა, დ. ჩუბ.;
შდრ. ძიძიგ. ძიებ., განმარტ. ლექს.).

უინჯლ-ი წვრილი წვიმა, — თქორი. უინჯლი უხთება ნათესავს
(ზარანი): (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ. უინჯლი, ს. მ. ტერმ. უინჯლვა.
ქყ., განმარტ. ლექს.; შდრ. თუშ. ძვ. საქ. II, განყ. V).

უიჟინ იხ. გადაუიჟინებული.

უიჟლიანი წვიმა იგივეა, რაც უინჯლიანი ამიდი (იხ.).
უიჟლიანი წვიმა წვრილი წვიმაა (უედუბანი).

უიჟმატა ძლიერ წვრილი. მათიტელა (იხ.) ახლა არ იხედება, უიჟმა-
ტა ფოთელი აქ მიწაზე გაპარტყნილი (ფუთი). (იხ. დ. ნ. ჩუბ.,
მენტ., ჯაჯ. X, განმარტ. ლექს. უიჟმატი!).

უიშხა მწარე. ეს უიშხა სხალია (ფუთი). (შდრ. ბერ. მწარე მცე-
ნარე).

ურია ადგილობრივი ვაზის უხემოსავლიანი ჯიში, მოიპოვება ძირითა-
დად კახეთში და ზემო იმერეთში, უპირატესად ზესტაფონის რაიონ-
ში, მცირე რაოდენობით საჩხერის რაიონშიც, სადაც იგი ცნობილია
ხითერის სახელწოდებით. ურიას აქვს საშუალო ზომის მტევანი,
ასევე საშუალო ზომისვე თხელკანიანი მუქი ვარდისფერი მარცვალი,
მაგრამ მარცვლების არათანაბარი დამწიფების გამო მტევანი ჰრელია
წაწითალო-წათეთრო მარცვლებით, რომლებიც სავსებით დამწიფების
ღროს იმდენად მუქი ვარდისფერი ხდება, რომ თითქმის შავსა ჰგავს.
ადრე მწიფდება, მისგან დგება ვარდისფერი შეფერვის საშუალო ღირ-
სების ღვინო. ურიას საშუალო სიმსხოს ჰრელი მარცვალი აქ, ერ-
თი წათეთროა, ერთი წაწითალოსავით, უფრო მუქი ვარდისფერი. მა-
გარი ღვინო არ დგება მისგან. დგება ცხრაგრადუსიანი ღვინო (გან-
თიადი). (იხ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 488-489 ბჟლია, მელრია,
ელია, ელე, განმარტ. ლექს. ელია, ტაბ. 391-398, საქ. ამპელ. 20
ხითერი (ელია).

ურუალ-ი ბრუ. ურუალი დამიწყო თავმა (ზარანი).

ურუნა შავით და ნაცრისფრით ან იშვიათად შავით და ღია ნარინჯის-
ფრით ჰრელი. ურუნა ქათმები მიყვარს, ერთმანეთში როა არეუ-
ლი შავი და ნაცრისფერი (ზოვრეთი); ურუნა ვარიკაა ჩემი (ხვა-
შითი). (იხ. ალავე. ლეჩხ. ურუნი, ოკრ. უროქანი, რუქანი, გან-
მარტ. ლექს. ურუნი³; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს.
პნიშენ. 1, ბ. წერ. ურუნი თვალები).

ურუნია იგივეა, რაც ურუნა (იხ.). ურუნია ქათამია, ჰრომანი

(ქვაცხე); ყ რ უ ნ ი ა ქათამია, ნაცრისფერში შავია გარეული (ტაბაკინი); ეს ქათამი ყ რ უ ნ ი ა ა (ლორეშა). (იხ. ქ ა ვ თ.).

ყუყ-ი წყვეტა. რ ა ყ უ ყ ი იყო ღღეს ფულის აღებაზე (ტაბაკინი). (იხ. ბ ე რ., ე ლ. ყუყვა).

ყუტუნა 1. იგივეა, რაც ყ რ უ ნ ა, ყ რ უ ნ ი ა (იხ.). ჩვენი ყ უ ტ უ ნ ა ქათამი ქე მევიდა; კრელია ყ უ ტ უ ნ ა: შავი და რუხი (ზოვრეთი). 2. მშვიდი. ყ უ ტ უ ნ ა სახე აქ უმფროსს (ზედუბანი).
ყღავანა სოკო ჭღავანა. ყ ღ ა ვ ა ნ ა სოკო წარე სოკოა, არ იჭმება (მანდაეთი).

რ

რაი რაც, როგორც კი, როცა. რ ა ი ჩემი უმფროსი ქალიშვილი მოკვტა, სულ მტკივა თავი (ლორეშა); რ ა ი გაზდილა, მიღღემჩი არაფერი ტყენია (ზარანი); რ ა ი წაბძანდა ესი, არაფერი გაკეთებულა (ხვაშითი); რ ა ი გამოვბრუნდი, შაბი და მარილი მეყარა პირში სულ: (ბერეთისა). (იხ. ნ. ჩ უ ბ. რა, რაჟ).

რაგვი-ი ღობე. რისიც არ უნდა იყოს, თუ შენ დებარეობას შამოაკვეფ. რო არაფერი შამოვა, — თუ გინდა ქვის, თუ გინდა წკნელის, რისიც არ უნდა იყოს, გინდ რკინა-ბეტონი, — რ ა გ ვ ი ითქმის (ჩიხა); მარგილი აქ ჩასობილი, რ ა გ ვ ი ა აქ (ჭალაურთა); რ ა გ ვ ი რო ჩოუდის, ის ვენახი მაშინ ჩამოგვაჭრეს (ჩიხა). || რაგვით შემოლობილი. ეს რ ა გ ვ ი სულ ჩვენია (ხვერი). (იხ. ჭ ყ., განმარტ. ლექს. იმერ.; შდრ. საბა, ყ ი ფ შ., ე ლ., შ ა რ ა შ., ჯ ა ჯ. IX).

რაგვამ-ს ღობავს. ბოსტანი გავრაგვე, თვარა ქათმები არაფერს მიჩერებდენ (ლოლორა). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. მნიშვნ. 2).
რად-ი (რუს. рад) რიგი, მწკრივი, ე მაგ რ ა დ ს გაყევი და კრიფე (ვერტყვიჭალა).

რაერთ-ი რამდენი. რ ა ე რ თ ი ქნას საწყალმა, ამდენი საქმე აქ (მანდაეთი). (იხ. გ უ რ ა მ., ბ ე რ. რეთი, განმარტ. ლექს.).

რავარძახა როგორც. რ ა მიჭირს, რ ა ვ ა რ ძ ა ხ ა ვიქნები (ხიღარი); გააკეთოს, რ ა ვ ა რ ძ ა ხ ა უნდა (იქვე).

რაზა კარის დასაკეტი სახელურიანი ხის ნაჭერი. რ ა ზ ა ხ ის ნაჭერია, რომელშიც გაყრილია ტარი; გადაწვე—დაკეტავს, გადმოწვე—გაასანის (ფუთი). (შდრ. საბა, გ უ რ ა მ., დ. ნ. ჩ უ ბ., განმარტ. ლექს.).

რაზა-კოჭ-ი კარის დასაკეტი. კარის გარეთა მხარეს კარის გათლილი ჯოხი, რომელსაც ხელს მოკიდებ. შიგნითა მხარეზე სიგანეზე მიკრული აქვს მას გათლილი ფიკარი, რომელსაც კოჭი ქვივა. რაზის გაღწევა-გადმოწევით კოჭი კეტავს ან აღეფს კარეფს (ხვაშითი). (იხ. განმარტ. ლექს. რაზა-კოჭაკი, ჯ ა ჯ. IX რაზა-კოჭა, კოჭა-ყური).

რამდელ¹ რამდენი. რამდელი კაცია მოსული? (ვახანი). (რ. თუშ. ძვ. საქ., II, განყ. V, 135, რამტვენი).

✓ რამღი სანამდე. რამღი მორიგეობას ჩეიბარებდეს. სახშია (ზედა საქარა). (იხ. ჯაჯ. IX).

რამოდენი ხანი რამდენიმე ხანი. გეიარა რამოდენი ჩანი (შროშა).

რამტელ-ი || რამტენ-ი იგივეა, რაც რამდელი (იხ.). რამტელი ურემია გამზადებული? (ვახანი); რამტელი წლისაა ის ქალი? (ქვებო); რამტენი თვე არი აპრილამდის? (ზვარე).

რამფერ || რაფერ || რაფრათ || რაფერათ როგორ. ქალი რამფერ მევიყვანე, მოგიყვე? (შროშა); ქვას რაფერ ისერი? (ბოსლყვი); რაფრათ მევიქცე, არ ვიცი (ფუთი); რაფერათ ნადირობდა მამაჩემი? (ხიდარი).

რანკა (რუს. панка) ჩარჩო. ფუტკარს 12 ცალი რანკა აქ (ლორეშა).

რასაკვირელია რასაკვირელია. რასაკვირელია, ლობიები მე მაქ მიბარებული (ფარცხნალი).

რაფ-ი¹ დაპობილი, გაუთლელი ძელი. რაფი მიტო ეთქმის, რო დაპობილი ხეა (ფარცხნალი). რაფის ღობე წყვილ-წყვილად დასობილ სარებს შორის ირიბად ჩაწყობილი დაპობილი გაუთლელი ხის ღობე (სინონ. ხიმი). ჭარეფს შორის ირიბათ ჩაწყობილ ხეფს აქ ქვია რაფი (ხევი); რაფია ირიბათ ჩაწყობილი დაპობილი ხეები (ლეღვა-ნი); აქ გვაქ რაფის ღობე (ქვებო); რაფის ღობე აქ ვენახსა, იგივე ხიმა (იხ.), მარა აქ „ხიმი“ არ იხმარება. ვახანში ზოგი ხიმეს უძახის, ზოგი—რაფს (ზვარე). (მღრ. ბ. წერ. რაფები).

რაფ-ი² ხის ან ქვის ნაგებობა, რომელიც გზას უღობავს წყლის მიმდინარეობას, ამაღლებს მდინარეში, ღელეში ან რუში წყლის დონეს და ამარაგებს წყალს წისქვილისათვის მისაწოდებლად (ტექნ. კაშხალი), — წისქვილის სათავე (სინონ. ჭებირი). არხის სათავეა რაფი, ხეებია ჩაწყობილი და გარაგულია იქა (ფუთი); ჭერ უნდა გოუქა არხი, მერე უნდა გაუქეთო რაფი: ხეები უნდა ჩააწყო წყალში უნდა შეაკავოს წყალი რაფმა (ზოვრეთი); რაფს უძახით, ხეებია ჩაწყობილი წყალში; ცემენტიდანაც კეთდება, თუ ქვა აქ; თუ ბილნარია, ხეები ჩეეწყობა, წყლის დასაბუგებელია (ქველა საქარა); ღარზე ჩამოდის წყალი არხიდან, არხის სათავეა რაფი — ხეები ჩაწყობილია და გარაგული იქა (შროშა); რო მეიმატეფს წყალი. რაფზე გადავა; რაფი შეკრული ხეებია, როცა დიდია წყალი. გადავა იმ რაფზე და დანარჩენი მიდის წისქვილში (შეორე ხვირი); წყალ რო დააგუბებენ, დააკვებენ, იგი სათავეა. მერე მოდის წყალი რაფ-

ში — წინელის ღობეა, ქვეფს ყრიან შვაში (ზორძვეთი). (იხ. ბ ე რ.: შდრ. ქ ე შ ი კ.).

რაფ-ი გეჯა ღორის საკმლის ჩასაყრელად (სინონ. ონჯარო, როფი). რ ა ფ ი გძელი გობია, ზაქმელ რო უყრით ღორს (შუქრუთი). (იხ. ქ ა ვ თ.).

რალაი რადგანაც, რაკი. რ ა ლ ა ი გადარჩი, უკვდავების წყალი მო- მიტანეო (ლეღვანი); რ ა ლ ა ი ასე ირევით, დეიარეთ სოფელი (იქვე); რ ა ლ ა ი არ მეეშვა, შეირთო ამ კაცმა ე ქალი (ფარცხნალი); რ ა ლ ა ი ერთხელ წახთება გული, ველარ მოაბრუნეფ (სანახშირე).

|| რ ა ც. რ ა ლ ა ი ფუძე ვიცვალე, აღარ გამიხარია (მერჯვეი); ჩვენმა ახალმა თაობამ რ ა ლ ა ი გეიმარჯვა, მას უკან მე ველარ წევედი იქა (ურამეთი); რ ა ლ ა ი ცოლ-შვილი აღარ მყამდა, მას უკან აღარ მიმუ- შავნია (ღორეშა). (იხ. ყ ი ფ შ. რალან, დიალექტ. იმერ.).

რამალა || რამახა რალაც. რ ა ძ ა ლ ა მითხრა, ვერ გევიგონე (ზედუბა- ნი); რ ა ძ ა ხ ა მ ა ქ ა მ ე (ხიდარი); რ ა ძ ა ხ ა უხეიროთ მეუმბებოდა (ღორეშა).

რა შუა არის რა შუაშია. შენ გააფუქე, მე რა შ უ ა ვ ა რ (ხვერი).

რაცახა || რაცხა რალაც. რ ა ც ა ხ ა მოვა ღვინო, მუშას დავალევიფთ (ღორეშა); რ ა ც ხ ა მემცნეურებოდა (ღარიხევი). (იხ. განმარტ. ლექს. რაცხა, კ ლ დ. რაცხა).

რახ-ი 1. გადაუბრუნებელი, ცალნახალი, სუსტი არაყი. პირველათ რო გამოვა, წინწანაქარია (იხ.), მაგარი, მერეა ოტკა, ბოლოს რო გამო- ვა, რ ა ხ ი ა (ზედა ხაქარა); ოტკის გამოხთის დროს პირველათ გა- მოსულს წინწანაქარი ქვია, შემდექ 5 ბოთლამდე — ოტკა, მერე — რ ა ხ ი (ხიდარი); პირველათ გამოდის კაი ოტკაი, მერე—რ ა ხ ი (ღო- რეშა). 2. ტყემლის გამოხდისას მიღებული არაყი. რ ა ხ ს ა ჩვენ უძახით, ტყემალ რო გამოვხთით, იმ არაყსა (ზევარე). (იხ. ს ა ბ ა. დ.. ნ უ ბ., ბ ე ს ი კ ი, განმარტ. ლექს.).

რგულ-ი დარგული, ნარგავი. რ გ უ ლ ე ბ ი უნდა მოქრა შეშათ? (ზედა ხაქარა); წირე მიწა არი, რ გ უ ლ ე ბ ი არ გეიხარეფს (ხი- დარი). (იხ. განმარტ. ლექს.).

რეან-ი (|| შაშკვლავი) რეპანი. რ ე ა ნ ს მწვანე ღობიოს უშობით. კაი სუნს აძღემს (შომახეთი).

✓ რეპლეტ-ი რეპლიკა. რ ე პ ლ ე ტ ე ბ ი ს სროლას დეიწყეფს (ტაბა- კინი).

რეულათ უტბად. ეს რო გევიგონე, დამკრა რ ე უ ლ ა თ თაეში (შო- მახეთი).

✓ რესმის-ი || რისმის-ი (გერმ.-რუს. рещицы) ხეზე სწორი ხაზის გამე- ლები ხელსაწყო. რ ე ს მ ი ს ი სწორ ხაზს აელეფს ხეზე (ზედუბანი, ზარანი).

რეტ-ი 1. თავბრუ. ფეხზე ვერ ვდგები დიდხანს, რეტი მესხმება (ღორეშა). (იხ. გურამ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1). 2. სიგიჟე. რა რეტმა წამოუარა, რო ყვირის? (ზარანი). (იხ. ვისრ., რუსთ., საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3, მენტ., ქეშიკ.). რეულ-ი¹ რეული. რეული გაგითავდა, საჩაწერ? (ზარანი). (იხ. ალავ. XXIV როული).

რეულ-ი² არეული. რეული უურძენი სხვადანხვა ჭიშის ყურძნის ნარევი. ეგე რეულია, რეული ყურძენი (ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს.).

რეშ-ი დიდი წვიმა, თავსხმა. ახლა თუ გაავდარდა, წამოვა რეში და სულ გადალეკამს ყოლიფერს (წყალშავი); სა წახვიდოდი, რეში იყო (განთიადი); რეში მევიდა (ხიდარი, ხვაშითი, ბაჯითი, შომახეთი, წირქვალი). (იხ. ბ. წერ. რეშვა, დარეშვა, ბერ., განმარტ. ლექს; შდრ. მაის.).

რეხ-ი უხეში. რეხი სიტყვები მიაყარა რძალს (ჩხირაული). რეხვა სახელი რეხვავს (იხ.) ზმნის მოქმედებისა. უნდოდა თავში რეხვა, მარა დააკავეს (შროშა).

რეხვავ-ს დაარტყამს. გოუშალა თოხი, რეხვა თავში და მოკლა (ფარცხნალი).

რვილა საქსოვი დაზგის ნაწილი, რომელზედაც იხვევა ნაქსოვი,—რვილი. წინა ბოძეს იქით არი კბილჩაპრილი ხე, ხელის სიფართოვეზე, იმაზე გადებულია სიგანეზე ხე, რვილას ვეტყვით, რომელზედაც იხვევა ნაქსოვი რამე (ხვერი); რვილა საქსოვი მატერის დასახვევია (დედვანი). (იხ. განმარტ. ლექს. რვილი მნიშვნ. 2).

რიადაგ-ი || რიადაგე არემარე, კარ-მიდამო. ჩემი დედამთილი რო მოკვდა, იმის რიადაგზე არ გოუარია ამას (შომახეთი); თავისი ქმრის რიადაგი არ დაკარქა, არ წვეიდა ახალციხეში არათრობამდი (დილიკაური); კატაი კაი არი, თავე-ვირთხას ქამს, იმ რიადაგზე არ გაჩთება (შროშა). (იხ. ქავთ.).

რიან-ი იგივეა, რაც რიანდი, რეანი (იხ.). გაზაფხულზე ბოსტანს ვაკეთებდი, ვთესდი პრასს. ნიახურს, რედისკას, რიანს. კაკიას (იხ.), ქინძს. პიმპილს (ჩიხა). (შდრ. მ. ჯან. რეჰან).

რიანდ-ი იგივეა, რაც რეანი (იხ.). რიანდსაც ვიტყვით და შაშვკლავსაც (ქორეთი); რიანდი ყველას ჯობია, გათარანება იცის საქმელისი (მახათაური). (იხ. მაყაშ., კახ.: შდრ. მენტ.). რიგ(ნ) იხ. დაარიგნეფს.

რიდლოურათ ფრთხილად, მორიდებულად. რიდლოურათ იყავით გასაყიდელზე (ღორეშა).

რიველ-ი || რიველვერ-ი რეველვერი. რიველის სროლა იცოდენ (ტაბაკინი); რიველვერი უსროლია (განთიადი).

რიკ-ი ხის ძელაჲი, რომელიც გაყრილია ურმის თქლის მორგეში და მას აერთებს ფერსოსთან, — სოლი. ურემს აქ 8-9-12 რიკი (შომახეთი); რიკები მურგვეშია (იხ.) გაყრილი და ფეტვებს ამაგრებს მურგვეზე (ტაბაკინი). || ხის ან რკინის თავმსხვილქა და მოკლე ღერო. რომელიც სხვადასხვა დანიშნულებით იხმარება: 1. ფჩხილუფს (იხ.) ამაგრებს ზესადგარზე; 2. რიკზე ებმება სამატი, რომელიც უერთდება ულელს. 3. ღერძშია გაყრილი, რომ არ გამოძვრეს ღერძიდან გოგორა. ჩვენ რიკს ვხმაროფთ, კიქილაქი (იხ.) არ ვიციტო: (პირველი სვირი, ბოსლევი, ტაბაკინი). (შღრ. საბა, ბესიკი, კირ., დ. ნ. ჩუბ., მენთ.).

რიკებიანი ურემი ურემი, რომლის თვლების ფერსოები მორგეს რიკებით უკავშირდება და მთლიანი არ არის. მაშინ არც რიკებიანი ურემი იყო, არც ტყავის სამატი (შომახეთი).

რიკლეთ ოდნავ ღია, ღრიჭოდ. კარები რიკლეთ არი, დამინაია და უთქვამს მუშისთვის: დამიძახე ბიძია სიმონსო (ბაჭითი). (იხ. ალავე. XXIV).

რილო ალაგ-ალაგ გამდნარი, აქრელებული თოვლი. თოვლი რო გაქრელდება, ე. ი. რო გადნება თოვლი, საცა მალე ეიღეფს და გაზაფხულის პირზე გამოჩნდება მიწაი, რილოა იქა (საბე); კურდღელს დოუგე ხაფანგი, აქეთ, გამოღმა დადიოდა რილოში (იქვე). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ. ლილო, ბერ. რილო-ჭრელი, განმარტ. ლექს. რილო, ლილო).

რიტო რატომ. რიტო უნდა დავკარგო? (ზედა საქარა).

რიხრახო ხარახურა. რიხრახოს აქეთ გამოვყრი, იქ კრაოტს დავდგამ (ტაბაკინი).

რკვენა კვერნა. ქვეშ უგებდი რკვენის ტყავსა (ზედუბანი); შველი მამიკლამს, რკვენაიც (პერევი); რკვენას ვიჭერდი, გელსაც ვიჭერდი (საბე). (იხ. ალავე ლეჩხ. XIII; შღრ. ჭაჭ. IX რკვენა. კვერნა).

რკინა¹ || კინა ხაფანგი. დათვი მოკლეს ექა ტოროშელიძეებმა რკინაში (პერევი); დათვის კინა სხვანაირია, მგლისი — სხვანაირი (იქვე). (იხ. დიალექტ. იმერ.).

რკინა² კარის გასაღები. ვერ გაგიღეფ კარს, რკინა დავკარქე (სვერი).

რკინი გძელ-ი რკინის ძელი. რკინი გძელეფს აქლოფს ხის მაგიერთ (ბერეთისა). (იხ. განმარტ. ლექს. ძელი 5).

რკო ვაზის ერთ-ერთი ჯიში, შავი წვრილი მარცვალი აქვს, მაგრამ ღვინო თეთრი დგება. რკო ყველაზე გავრცელებული ძველი ვენახია, შავი წვრილი მარცვალი აქ (ქორეთი); რკოს შავი მარცვალი აქ, ნაკლები შაქრიანობისაა, ვიდრე ძველშავი (სავანე); რკო შავი

ფერისაა. მარცვალი მეტად წყლიანი აქ (ვახანი), რკო უახლოვდება ძველშავს, მხოლოდ უფრო წვრილი მარცვალი აქ (ზედუბანი). (იხ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II. 420-428, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, ლექ. 63)

როდისაც || როიცა როდესაც (როცა). როდისაც იყო, ამ დროეფში წამევიჩიტე (შროშა); როიცა იმან გადაწყვიტა თფილაში გადასვლა, აღარ უნდა მისულიყო (ზედა საქარა); როიცა რომაწუხებდა, რომ გავსივდი. მითხრა: ესა და ეს წამლები დალიეო (ბერეთისა).

როკ-ი რტო, ტოტი. ლოფოთი (იხ.) მოკრიფე, როკი არ მოტეხო ბეოლას (ხიღარი); როკი გავსხლებე (ღარიხვევი); როკი მეიწიყა და ბალს ქამს (ზარანი); ნაძვის როკმა გაღიხვია ჩოხა კაცისა (ფარცხნალი); მოუტყტა როკი (საბე). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ.. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, ბერ., ელ., ჯაჯ. IX). || ნუერი. პყალი-სთვის (იხ.) თხილი მოიკრება, როკი რომ არა აქ, უროკო ხე იხთება (ვახანი). (იხ. განმარტ. ლექს.; შდრ. ალავ. ოკრ. სხურკლი).

როპაპ-ი 1. ცრუმორწმ. კუდიანების უფროსი ბებერი დედაკაცი, — როკაპი. ეს ქალი ყოფილა თურმე იმათი უმფროსი, როპაპი (შომახეთი); როპაპი მოდის, როპაპიო! — იყვირეს (ღორეშა); შევაშინე, როპაპი დევინახე-თქვა (შუქრუთი). (იხ. საბარუკაპი, ქყ., განმარტ.; ლექს. მნიშვნ. 1). 2. ავი, ანჩხლი. თელი დღე რომ ხებობს ბრალიანზე და უბრალოზე, როპაპია ისი (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

როფ-ი იგივეა, რაც ონჯარო (იხ.). როფი იხმარება სხვადასხვა დანიშნულებით. როფში ჩასხმული წყალი აცივებს საარაყე ქვების მილს, რომელიც მასში გადის, და სითხედ აქცევს არაყია ორთქლს. საოტყე ქვაფს უერთდება მილი, რომელიც გაყრილია როფში. როფია ხის ქურქელი, რომელშიც ქვაბიდან გადის სპილენძის მილით ოტყა; ორთქლს აცივებს როფში ჩასხმული წყალი (ღარიხვევი). (იხ. განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ.; შდრ. შარაშ.). || ფუტკრის დასაბინავებელი გულამოთლილი მორი, — სკა. როფი ფუტკრის სადგომია (ქვაციხე); მორი რომ გახერხო შუაზე და გული გამოულდო ორივეს, იმ გულამოდებულში არი ფუტკარი. მორს მეორე ნაჭერი ეხურება, როგორც თავი. როფს ზოგან ეძახიან გეჯან (ხანახშირე). (შდრ. ს. მ. ტერმ. როგო). || ღორებისა და, საერთოდ, საქონლის საკმლის დასაყრელი ქურქელი. ღორეფს ვაქმევთ როფში საკმელს (ღეღვანი); როფი საქონლისათვის საკმელის მისატანი ქურქელია (ხიღარი). (იხ. ელ.). || როფში ამარილებენ ღორის ხორცს. ღორის ხორცი მაქ დამარილებული როფში (ქვაციხე). || საწნახლის მსგავსად გულამოთლილი ქურქელი, რომელშიაც ჩეჩქვა-

ვენ საარაყე ხილს. რ ო ფ შ ი ხილიც იჩეჩქვება, საწნახლის მსგავსათ არი ხე ამოჭრილი (იქვე). || ნაკელის გადასატანი ჭურჭელი. რ ო ფ შ ი ლორეფს ვაქმევთ, ზორცს ვაპარილევთ, მარა ისიც რ ო ფ შ ი ა, ნაკელი რო გადაგვაქ (ზარანი).

როშ-ი ნაღერღზე უფრო მსხვილად დაფქულია (მანდაეთი). (იხ. განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ. ლერლილი).

როძგ-ი როზგი. უმაღ, ბატონობის დროს, რ ო ძ გ ი ც ცოდნით (ჭალაურთა).

როჭკ-ი ხეინჭი, ლორლი. (იხ. ბ. წერ., ქავთ., ს. მ. ტერმ. როჭკულა). იხ. როჭკიანი.

როჭკიანი-ი ხეინჭიანი, ლორლიანი. აქა როჭკიანი გზაა (ხვაშით). როჭო გარეული ქათამი. რამდენი როჭო მე დამიჭერია, ვინ მოთვლის!.. (პერევი). (იხ. განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ.).

როხი მსხალი საზამთრო მსხალი, მწვანედ მწიფდება, მაგარი, უნეში კანი აქვს. როხი მსხალი არ გვიდგია ეზოში (ჩიხა).

რრრუუუ! ქათმების მოსახმობი შეძახილი. რ რ რ უ უ უ! მოდიო. მოდიო, ქამეთ სიმიდი! (ხიდარი). (იხ. ბერ.).

რუმბ-ი საქონლის ტყავის დიდი ტიკი. რუმბი საწყევო ერთეულია, შვიდი კოკა ჩავა ოტკაი (პერევი). (იხ. ს. მ. ტერმ., განმარტ. ლექს.: შდრ. რუსთ. რუბი).

რუსაბძელო ქათმის ზურგი გვერდებიანად კურტუმოსა და კისერს შორის. რუსაბძელო ქათმის უკანა ნაწილია, კისრის შემდეგ წენის მალეზამდე (შუჭრუთი); რა გედელიო, შეხე, რუსაბძელო (იქვე). (იხ. ბ. წერ. ბრუტსაბძელა, ჰყ. საბძელი, განმარტ. ლექს. საბძელი მნიშვნ. 2).

რუსთავ-ი მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ჩაკეტავენ ან მიუგდებენ წყალს წისქვილის არხში, — რაბი. როდესაც რა წყალი იმატეფს, რა ბევრი არ გადმევიდოს და წისქვილი არ წაგვართვას, რაფთან არი რუსთავი. ჩაკეტამთ იმას, რა არხში არ გადმევიდოს პეტი წყალი (ზოვრეთი); წყალი რუსთავიდან გადის არხში და პიდის წისქვილის ღარეფში (მანდაეთი); მეწისქვილე რუსთავს კეტავს. (იხ. ს. მ. ტერმ. რუ გადასაგდები, — წყალსარინი, ქუმბ. 283, ოკრ. სალაგმე; შდრ. კინკ. სათქამურის თავი, დიალექტ. ქართლ. საწორავი, ჯაჯ. IX რუისისთავი). იხ. სასხლექტი.

რქაწითელ-ი კახეთის მთავარი საწარმოო ვაზის ჯიში, თეთრყურძნიანი, უხემოსავლიანი, იძლევა მაღალი ხარისხის ღვინოს, მცირე ფართობზე გვხვდება ზემო იმერეთშიც. რქაწითელი თეთრყურძნიანი ვაზის კახური ჯიშია, საუკეთესო ღვინოს იძლევა (ბაჯითი): ჩვენში რქაწითელს მოსავლით სხვა ვენახი ჯობს (არგვეთი)

(იხ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 405-406, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 4, საქ. ამპელ. 271-280, ლეგ. 63, რცხილ. 92).

რქაწითელა იგივეა. რაც რქაწითელი (იხ.). რქაწითელას საშუალო ზომის მოგძო მარცვალი აქ, მოოქროსფერო (ხიღარი).

რღვნა წარღვნა. ნაბაკეფში რაეარი პური იცოდა, კაცო, მოვიდა რღვნაი და აღარ მოდის მერე (ვახანი). (იხ. გურამ., განმარტ. ლექს.).

რღმა ღრმა. წყალში არ ჩაეარდეს რღმაში (პირველი სვირი). რჩენა-ყოფა კმაყოფა. მომიტანეი ცნობაი, რო შენეო შენი ძმის რჩენა-ყოფაზე იმყოფებითო (ვახანი).

რჩვილ-ი 1. ჩვილი, რბილი. რჩვილი ბია იგივეა, რაც დარჩვილული ბია (იხ.). რჩვილი ბია სამურაბეთ არ ვარგა (ზედა საქარა). 2. წყნარი, შშვილი. რჩვილი მაკეთებელია თინაი, არ ფიცხოფს, არ ყბედოფს, ავი არ არი ოჯახში (ხვაშითი). (იხ. განმარტ. ლექს. ჩვილი მნიშვნ. 1).

რჩომა საქონელი, პირუტყვი. მადერ რო შენ სიტყვას ლაპარაკოფ, მე რო ის არ გევიგო, მე ვიქნები რჩომა, ჩვენ უნდა მივხვთელ (ღარიხევი). (იხ. დ. ჩუბ.). იხ. ჩომა.

რცემლ-ი 1. ცრემლი. რცემლები ყარა თვალებიდან (ზედა საქარა). 2. ღორის ფერდების ქონი. ქონი აქ ღორს შიგნი ხრიდან, გვერდის წკნელებზე, რცემლს ვეტყვით (ქვაციხე). (იხ. განმარტ. ლექს. რცემლი; შდრ. ბერ.). იხ. სარცემლე, ცემლი.

რცხემლა ბოტ. კავკასიური რცხილა. საზამთროთ რცხემლის ხეები მოექპერით (განთიადი). (იხ. მაყაშ.; შდრ. ალაფ. XXIV რცხილა-კვანჩხა).

რძია ბალახი იგივეა, რაც რძია-რძია (იხ.). რძია ბალახს პატარა ფოთოლი აქ (შროშა).

რძია-რძია ბოტ. რძიანა (მაყაშ.). რძია-რძია სარეველა ბალახია, აქ რძე, რომელიც წვავს კანს (ზედა საქარა); რძია-რძია მყრალი ბალახია, ყვითელყვავილეებიანი, ხმარობენ აბრეშუმის ქიისათვის (ხიღარი). (იხ. განმარტ. ლექს. რძია-რძია).

რძისთავი ნაღები. რძისთავს რო მოხდი რძეს. რალა ყველი გამოვა (ხვაშითი).

რწყევა საწყაოთი ან რაიმე ქურკლით აწყული, საწყაოზე — საწყაო. რწყევაში რწყევის ფულს ვინ იძლევაო (მახათაური); ნახირში რწყევის ფულს იძლევიანო (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს. წყე, ერთი წყე).

რწყევა საწყაოთი ზომევა, — წყევა. რწყევაში მამატყუა (მახათაური). რწყულ-ი წყლული. იმას ქონდა რწყული კუქზე (ღორეშა).

სა ხად. ღმერთი სა არი, ჩემზე მეტათ უსანათლოა ისი! (ზედა სა-
ქარა). (იხ. მ. ჯან., განმარტ. ლექს., დიალექტ. გურ.).

სააბ-ი შავმარცვლიანი ყურძნის ერთ-ერთი ჯიში. სააბი შავი ყურ-
ძენია, თხელი ტევანი აქ, სქელი კანი, ადრე მწიფდება (ბაჭთი).
(იხ. ი. ჯავახ. საქ. ეც. ისტ. II, 404, 419, 442, 496).

სააკიდავე აკიდოსთვის ვარგისი. რა სააკიდავე ყურძენი არა!
(შროშა).

საამლი სანამდე. საამლი არ დეიძრა მატარებელი, ხელში ეკავა
ჩემი ხელი (ფარცხნალი); საამლი მევიდოდა, გელმა დაავლო პი-
რი და წეიყვანა (განთიადი).

საანა სად. საანა ცხოვროფს, არ ვიცი (ტაბაკინი); საანა აპი-
როფ წასვლას? (უჩამეთი). იხ. სადანა.

საარახე ქვაბი საარაყე, არაყის გამოსახდელი ქვაბი. საარახე
ქვაბი შამოვდგით დღესე (ლორეშა). იხ. სარახე ქვაბი.

საბაგავ-ი საწნახლის გვერდების ასამაღლებელი ფიცრები, რომ მეტი
ყურძენი ჩავიდეს. როცა ყურძენს ჩაყრიან საწნახელში და გეივსება
ყურძენით პირამდი, უკეთებენ ფიცრებს, რომ ყურძენი არ გადაცივი-
დეს, ამას უძახიან საბაგავს (ტაბაკინი). იხ. დაბაგავს!
შდრ. ბაგა.

საბარგე ქვეშაგების ჩასაწყობი; ბარგისთვის განკუთვნილი. საბარ-
გე ში ვინახამთ ქვეშაგეფს (ხვაშითი). (იხ. საბა, გურამ. სა-
ბარგი). იხ. ბარგი, საბარგო შკაფა.

საბარგო შკაფი იგივეა, რაც საბარგე (იხ.). ბარგიც გავატანე
და ერთი საბარგო შკაფიც (ჭალაურთა). იხ. ბარგი.

საბარცხალ-ი 1. სავარცხელი. საბარცხალი მოიტანე, დამბარ-
ცხნის (წაქვა). 2. საქსოვი დაზგის ერთ-ერთი ნაწილი, რომლის კბი-
ლები კეთდება გათლილი ლერწმისაგან. საქსოვ დაზგას აქს დგომ-
საბარცხალი (შომახეთი, ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს. სავარც-
ხელი მნიშვნ. 3).

საბეგვ-ი სასიმიინდის ის ნაწილი, სადაც კეტით იბეგვება (იცეხვება)
გამხმარი ტარო სიმიინდი და ცვივა ხულაში. სასიმიინდედან გადმოვ-
ყრით სიმიითს, მერე ჩავა ძირ, ხულაში, საბეგვიდან. საბეგ-
ვი სასიმიდეშია ან სასიმიდეზეა მიდგმული და, რო დოუშენთ გამხ-
მარ ტაროს კეტს, რო დავცეხამთ, ჩავა ხულაში (ჭალაურთა). (შდრ.
ბ. წერ., მენთ.). იხ. საცეხვი.

საბეწველა 10-12 სანტიმეტრის სიგრძის ძაფისებური შავი ჭია,
შლამში იცის. მწვანე კალისაგან ჩნდება. მწვანე კალია აჩენს
საბეწველას, კიასავით იკლავება, საშიშია. ფეხი დაადგა მეზო-

ბელმა და საბეწველა შოუძვრა ფენში (შრომა). საბეწველა წყლის ქიაა, თმის ბეწვივით წვრილია (ჩიხა). (შღრ. ბ. წერ., განმარტ. ლექს.).

საბმულ-ი ბაწარი ან წნელი, რომლითაც ბოსელში საქონელს აბაენე პალოზე. საქონელი მიაბი პალოზე საბმულით (წიფა). (შღრ განმარტ. ლექს.).

საბნიელ-ი || საბნიერ-ი კვეთი, დვრიტა. დოუბნიე ყველს. საბნიელი ჩაასხი (ზარანი); საბნიელი დოუბნიე (იხ.) (ტაბაქინი); საბნიერი მინდა ყველის ამოსაყვანათ (ხიდარი, ლელვანი). (იხ. ჯაჯ. IX საბნიერი, კახ. სადელი). იხ. საკიდელი, სამკვეთო, სამკვეთლო, სამკვეთრო.

საბუზე ხარების შუბლზე ჩამოსათარებელი, რომ ბუზმა არ შეაწუხოს. საბუზე პირბადესავითაა მოქსოვილი, უკეთებენ ხარედს. პუზი რო არ მიაჯდეს (სვერი). (შღრ. მენტ., განმარტ. ლექს.).

საბურძაყოთ საბლლადუნოდ. სა იყავი, შე ოჯაქორო, ამდენ ხანს, საბურძაყოთ გაგაგზანე? (ვანი). იხ. ბურძაყი.

საბურქალო სათამაშო. ორი სალფეთქი გეემსო საბურქალოთი (წირქვალი). (იხ. განმარტ. ლექს.).

საბძელ-ი საქონლის საკვების შესანახავი ნაგებობა, რომელიც შეიძლება მოწნული იყოს, შეიძლება ფიცრულიც, ზოგჯერ კეთდება ზვინ ქვეშ (ამ მხრივ იგი კორომის მსგავსია). საბძელი ხისაც შეიძლება და წქნელისაც (წიფა); საბძელია წქნელისაგან მოწნული კარავი, რომელსაც თავი დახურული აქ ჩალით (ლორეშა, სვერი); ბზეს ინახვენ საბძელში და პურს — ბელელში (მერჯევი); საბძელი ბოსელს ადგია ზეიდან და ყრია საკვები (მოხვა); საბძელია ზვინქვეშ წქნელით რველათ გამოორავული ადგილი, სადაც ფუჩიჩს. სიმიდისა და ლობიოს ნარჩენებს ყრიან (უჩამეთი, განთიადი).

საგამგებო საგანგებო. საგამგებო ოჯახში შევიდა (შომახეთი). საგლესი მიწა||საგნესი მიწა აყალო მიწა, რომლითაც ქვევრის თავებს ვლესენ. საგლესი მიწით ქურის თავეფს ვგლესამთ ბადიმს ზევიდან (ჩიხა). საგნეს მიწას შუაში ატანებენ ჯოხს, ამოაძრობენ მერე და იქ დარჩება ნახვრეტი (ტაბაქინი); საგნეს მიწას ვაფარეფთ ქურეფს (პირველი სვირი).

საგლესელა ხის ურო, რომელიც ქვევრის თავზე აყალოს დასატკეპნად იხმარება. მიწას ვგლესავთ ხის უროთი, რომელსაც ქვია საგლესელა (ფუთი, ხადვინე).

საგოგავ-ი რკინის ან ხის გრძელი ნაქერი, რომელიც მიკრულია ზესადგარზე მორგვთან, ანდა ზესადგარის გამოთლის დროს დატოვეცული ამობურცული ნაწილი, რომ მორგვმა არ გაცვითოს ზესადგარი. აუნდმა რო არ შეკამოს ზესადგარი (იხ.), ხუნდსა და ზესადგარს შუა

მიაკრავენ ხის ან რკინის ნაჭერს, რომელსაც ქვია საგოგავი (წყალშავი, ჩიხა, ბერეთისა); საგოგავი ურემს აქ ბორბალსა და ზესადგარს შუა, გათლის დროს დატოვებულია გამობურცული ადგილი (განთიადი). (შდრ. მენთ., განმარტ. ლექს.).

საგოგავი-მარხილის გვერდითი ძელი, რომელიც მიწაზე ან თოვლზე მისრიალებს და რომელშიაც ამოყრილია კავიანი ხე (ფრჩხილა — ლაშკინი). მარხილს წინ ორი ლაშკინი აქ, ე. ი. კაპიანი ხეები, ისანი ცალ-ცალკე ამოყრილია იმ ხეებზე, რომლებიც მიწაზე ან თოვლზე მიტურავენ და რომლებსაც საგოგავი ეწოდება. საგოგავის სიგძე დაახლოებით 3 მეტრია (ვახანი).

საგულე პურის კონა, რომელსაც დებენ შუაში და გარშემო შემოაწყობენ სხვა კონებს. საგულეს ვეტყოდით, შუაში რო კონას დავდებდით, გარშემო სხვა კონეფს მოვაწყობდით (შომახეთი). (შდრ. ქე-შიკ.).

სადა ხარცხელი იგივეა, რაც საზედაო სარცხელი (იხ.). ქვევრს რეცხევენ სადა სარცხელით, გძელი ტარი აქ (ჭალაურთა).

სადანა იგივეა, რაც საანა (იხ.). „სადანა არი? — სადახა არი და ავერ არი“ (ტაბაკინი); სადანა არი, მე დევიტოვეფ (ხანახშირე).

სადანაც სადაც. სადანაც დავბადებულვარ, იქ უნდა მიმიყვანოთო (ქორეთი); სადანაც იჭდა, იქანა ყრია ისიც (საბე); სადანაც იქნება, მოვქრი იქა (გეზრული).

სადარობა გასაქანნი. სადარობა აღარ მამცა ბოვშმა (ზარანი); არ გოუშობდა, არ მიცემდა სადარობას (იქვე); ეს ერთი თვეა. სადარობა არ არი, დღე და ღამე ვმუშაოფ (ღარიხევი). (იხ. განმარტ. ლექს.).

სადაქფულე საფქვილე. ხის ზანდუკი, რომელშიც ფქვილს ყრიან. სადაქფულეა (ზარანი); სადაქფულე დაცარიელდა, უნდა დაქფუათ (ჭალაურთა).

სადგომი-ი კუბო. გოუყეთა სადგომი, სამი დღე ქვე უყურა, მერე დაქედა თავი და მიიტანა და დადგა ეკლესიაში (წირქვალი); შენი ქალი მოკვდა, მამიტანე სადგომი (ჭალაურთა); არი ე კაცი თავი სადგომში ჩასვენებული (ლიჩი); მამაჩემმა სადგომი გააკეთა, გამოდგა ბაქეშია და ჩასვენა ი ბიჭი (შომახეთი); მეშინოდა სადგომისაკენ მიხედვა (ბოხლევნი). (შდრ. განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ.).

სადეო სადავო. უწყინარი კაცი იყო, სადეო რა ქონდა (უჩამეთი). სადნამდი სანამდე, სანამ. სადნამდი უნდა იყოს აქა სულე? ჩვენ რო მოვეკეტებით, მერე წავა? (ზოვრეთი).

სადრეკი-ი მუხლის. სახსარი. რო დაღამდებოდა, წამოვიდოდით, გა-
თენებამდე მოვდიოდით, სა დ რ ე კ ე ბ ი აღარ მივარგოდა (ვახანი).
სადულარ-ი 1. აყალოთი დაგლესილი ტკბილიანი ქვევრის სარქველში
დატოვებული ნახვრეტი ტკბილის დუღილის დროს წარმოქმნილი გა-
ზების ამოსასვლელად, — სასულე. ჭურს, რო აღულდება, გოუკეთეფთ
ს ა დ უ ლ ა რ ს, რო ღვინო არ დეიქცეს. თიხის ნატეხი იქნება, და-
ვადეფთ ს ა დ უ ლ ა რ ზ ე, რო არ დეიქცეს, ან წყალი არ შევიდეს
შიდა (ვერტყვიქალა); შუა ბადიმს (იხ.) უკეთეფთ პატარა გახვრე-
ტილს, რომელშიაც მოჭენჯილ წყნელს დაატანებენ, ერთი მხარე
ღვინოსთან იქნება შეხებული, მეორე აერში იქნება. მოჭენჯილი
აერს არ დეიკავეფს, უძახით ს ა დ უ ლ ა რ ს, იგივე სასულეა (ჩინა,
ჯალაურთა); (იხ. განმარტ. ლექს.; შდრ. დიალექტ. კახ.-ქიზ., იმერ.).
2. ქვევრში ტკბილის ჩასხმა ისე, რომ არ გაივსოს და ტკბილი დუღი-
ლის დროს არ ამოიქცეს. ჭურს უტოვებენ ს ა დ უ ლ ა რ ს, ე ი. სი-
ცარიელეს, რომ დუღილის დროს ტკბილი არ დაიქცეს (შროშა); ჭურს
არ ავსებენ პირამდე, ტოვებენ ცარიელ ადგილს, რომ დუღილის
დროს ტკბილი არ ამოიქცეს ზევით, ამაზე ამბობენ: ს ა დ უ ლ ა რ ი
დოუტოვეთ ჭურსო (ფუთი, ტაბაკინი).

სადღენძელო || სადღინგძელო სადღეგრძელო. ს ა დ ღ ე ნ ძ ე ლ ო უნ-
და თქვა (ხიდარი); შენი ს ა დ ღ ი ნ გ ძ ე ლ ო იყოს (საბე).

სავალდებულობა სავალდებულო გაწვევა არმიაში. ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ-
ლ ო ბ ა შ ი იყო წასული და ქე მევიდა (უჩამეთი).

სავანი-ი საშუალება; გზა. ქუთისში ვსევმდით რიონს, მეტი ს ა ვ ა ნ ი
არ იყო, იქ ვიყავით ხომე ლაგირზე გასული (ხევი).

სავლა სწავლა. ს ა ვ ლ ა ს რავა დავანებეფ თავს (ჯალაურთა).

საზაოტე ღელე ღელე, რომელსაც იყენებენ არაყის გამოხდის დროს.
ე. ი. ზაოტისათვის (იხ.). ს ა ზ ა ო ტ ე ღ ე ლ ე მიტო ქვია, რო ზაო-
ტისთვის ქვეკირდება (შომახეთი, შროშა).

საზედაო მიწა ქვევრის თავზე დაგლესილი აყალოს შემდეგ დაყრილი
ფხვიერი მიწა, აყალო რომ არ გახმეს (სინონ. სათაური, სამაშნი, სა-
მაშნავი მიწა, სამთავრავი, საცავი მიწა, საცვეთი მიწა). ჭურზე დაგ-
ლესილ აყალოს ზეიდან ვაყრით ს ა ზ ე დ ა ო მ ი წ ა ს, აყალო რო
შეინახოს და არ დასკდეს (ბაჭითი). (იხ. ჯ ა ჯ. IX სამაშნავი, ა ლ ა ვ.
ლექს. XIII საშუში).

საზედაო სარცხელი (სარცხლი) გრძელტარიანი სარცხი, რომლითაც
ზევიდან ირეცხება პატარა ქვევრები შიგ ჩაუსვლელად (საპირისპ სა-
ქვედაო სარცხელი). ს ა ზ ე დ ა ო ს ა რ ც ხ ე ლ ი ასე კეთთება: ბლის
ტყავის რამდენიმე ფენაში (ოფიქოში) გაყრილია გძელი ტარი. აპ
ტარს მოკიდეფ ხელს და ჭურს ზეიდან, ჩოუსვლელათ რეცხავ (გან-
თიადი); სარცხელი ორნაირია: საზედაო და საქვედაო. ს ა ზ ე დ ა ო

სარცხელით ჰურს ზეიდან ვრეცხამთ (ქორეთი); საზედაო
სარცხელიც ვეპ და საჰვედაოც (სავანე). (იხ. ჟაჟ. IX). იხ.
სარცხელი.

საზედაო ჰური ჰური, რომელიც ირეცხება შიგ ჩაუსვლელად, ზევი-
დან. ჰური არი საზედაო და შიგ ჩასასვლელიც. საზედაო
ზეიდან ირეცხება (ქვები).

საზედაო ხერხი დიდი, შვეული ხერხი, რომლითაც იხერხება მასალა
ზევიდან ქვევით. საზედაო ხერხი დიდი ხერხია, მასალის სა-
ხერხათ იხმარება, ერთი ტარი ძირსა აქ, მეორე — მაღლა (ხვაშითი).
(იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს.).

საზელ-ი თიხის ჰურტლებისათვის საჭირო მიწის მოსაზელი ოთხკუ-
თხედი ფიცარი, რომელიც ეყრდნობა ოთხ ბოძს. საზელი სამი
მხრივ ფიცრებით არის შემოზღუდული, წინიდან ღიაა, ზეგენ აყა-
ლოს (ბოსლევვი); საზელისკენ არი, მამას გონგი მამიტანე (იქვე).
საზეინე ზოძი ან ხე, რომელზედაც ზვინი იდგმის. საზეინე დიდი,
მაღალი სარია, რომელზედაც ჩალას ვდგამთ ზვინათ (სვერი); ბულუ-
ლები. (იხ.) მიაქთ რამდენიმე ერთათ და დგამენ შერჩეულ ხეზე, რო-
პელსაც საზეინე ეწოდება (ვახანი). (იხ. კუმბ. 282 საზეინე
სარი).

საზურგე კალათი. 1. იგივეა, რაც ზურგსაკიდი (იხ.). საზურ-
გე კალათში ყრიან ყურძენს (ბერეთისა). 2. საზურგე კა-
ლათი ტყეჩის გოდორია, ხელიანი (იქვე). იხ. საზურგულა.
საზურგული კალათი.

საზურგულ-ი იგივეა, რაც ზურგსაკიდი, საზურგე კალა-
თი (იხ.). საზურგული ტყეჩით მოწნული გოდორია, ყურძენს
ვკრიფამთ, მერე ვყრით ჭინებში (იხ.) (სვერი). საზურგული კალა-
თი მოწნული გოდორია, ყურძენს საზურგულ კალათე ფში
ვკრიფამთ (იქვე).

საზურგულა || საზურგულე იგივეა, რაც ზურგსაკიდი, სა-
ზურგული, საზურგული კალათი (იხ.). საზურგულ-
ლა პატარა, გათლილი წკნელით ნაქსოვი გოდორია (წიფა); საზურ-
გულე ტყეჩისაგან მოწნული გოდორია, სახელურიანი (სვერი).

საზღვურ-ი ბოსელში იატაკის (ჭერის) შუაში სიგრძივ გაღარული ან
იატაკის წინ თუ ბოლოს გამოყოფილი ცარიელი ადგილი ნეხვისათვის.
ნეხვი რო იყრება, იმ ადგილს საზღვაური ქვია. (მოხვა). (იხ. კყ.
საზღო, სანარწყული, განმარტ. ლექს. იმერ. საზღო, ნიჟ. სანარწყა-
ლი). იხ. საზღვე, საზღვევე, საზღო, სანარწყალი.
სანერწყავი, სარწყელავი.

საზღვე || საზღვერი იგივეა, რაც საზღვაური (იხ.). საზღვეა

კერს შორის (იხ.). თავისუფალი ადგილი, სადაც საქონელი შარდამს და ნეხვამს (შომახეთი, მანდაეთი, მერჯევი, ქორეთი...).

საზღვევე || საზღვევერი იგივეა, რაც საზღვაური, საზღვე (იხ.): საზღვევი ა კერსა და კერს შუა დატოვებული ცარიელი ადგილი, რომელზედაც საქონლის ნაკელი წამოვა და ეიღეფ (ბორით).

საზღო იგივეა, რაც საზღვაური, საზღვე, საზღვევე (იხ.). საზღო ცარიელი ადგილია კერის ბოლოზე, სადაც გროვდება ნაკელი (ჩიხა). (იხ. ჰყ., განმარტ. ლექს.).

სათაგველ-ი სათაგური. სათაგველში გამბულა თავვი (ჭალაურთა). იხ. სათაგველა, სარეხვი.

სათაგველა || სათაგვე იგივეა, რაც სათაგველი (იხ.). თავვი სარეხვითაც (იხ.) იჭირება და სათაგველათიც (მანდაეთი); მანდაეთში რო სათაგველა იციან, ჩვენ სათაგვეს უძახით (ჩიხა).

სათავ-ი გაცვლისას გასაწონასწორებლად დამატება რისამე. სათავზე დეიწყეს ლაპარაკი (ხვაშითი); „მიხეილო, ქალი უნდა გამიცვალოო. ბიჰს გაგატან სათავათო“ (ხიღარი).

სათავე საგუბარი, საიდანაც წისქვილში წყალი მიდის. სათავიდან წისქვილში წყალი მიდის ღარით (სვერი). (იხ. ბ. წერ.,¹ ჯაჯ. IX, ჰუმბ. 283, განმარტ. ლექს.). იხ. რუსთავი.

სათარი-ი იგივეა, რაც ხალახინი (იხ.). სათარი დაცურებული ხეა, ხოლო ნალო — უურმო ხარებით მოთრეული (ჩიხა). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ქეშიკ., განმარტ. ლექს.).

სათაურ-ი იგივეა, რაც საზედაო მიწა (იხ.). აყალო მიწას ვაგლისავთ კურს, მერე დავაყრით ფხვიერ მიწას — სათაურს (ზედა საქარა).

სათვალედ-ი პატარა სარკმელი კრამიტის საწვავ ქურაში. ქურას აქ სათვალედი, რომლიდანაც პაერი შედის ქურაში და ცეცხლი არ ქვრება (ხვაშითი). (იხ. ბ. წერ. სამთავრო: შდრ. მენტ., განმარტ. ლექს. სათვალე³).

სათვალმაჩინო თვალსაჩინო. სათვალმაჩინო უნდა ვყოფილიყავი (ხიღარი).

სათივე ბალახით დაფარული მინდორი, რომელიც ითიბება, — სათიბი. არის ისეთი ადგილებიც, ტოვებენ მინდვრად რამდენიმე წელს, ამოდის ბალახი და მას თიბავენ ცელით. ასეთ ადგილს სათივეს უწოდებენ (ვახანი). (იხ. განმარტ. ლექს. სათიბი²).

სათითეთოთ სათითოოდ. სათითეთოთ ვინც მევიდოდა, ტიროდა (ლორეშა).

სათოო სათუო. იხ. ესათოება, სათუოში გამოვა.

სათრევ-ი ხე, რომელიც ხარებს უურმოდ, თრევით მოაქვთ უღელზე გაპობული, — ნალო. ხარებს უღელზე ჯაქვით მოაბემენ ზეს და თრევით მოაქვთ, ამას უძახით სათრევს (მანდათი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. სათარი, კახ. სათირი; შდრ. განმარტ. ლექს.). იხ. სათრეველა, სათრიალა.

სათრეველა იგივეა, რაც სათრევი (იხ.). სათრეველა ხარების უღელში ჯაქვით ამოკრული ხეა, რომელიც მოაქვთ თრევით, უურმოდ (სანახშირე); სათრეველა მევიტასე (შროშა). (შდრ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1)..

სათრიალა იგივეა, რაც სათრევი, სათრეველა (იხ.). სათრიალას მოათრევს ხარები, თრევით მოაქ. ურმის შეშა სხვა არი, ურმით მოიტან (ვახანი); სათრიალა იგივე ნალოა (იხ.), თრევით მოაქთ ხარეფს. სათრიალა და ნალო ერთია (ღელვანი). (იხ. ალავ. ოკრ. სათრიელი).

სათუოში გამოვა გადარჩება, მომჯობინებას დაიწყებს. ე ბოვში რი სათუოში გამოვიდა, ჩემი ღელამთილი ქე მოკვტა (წირქვალი). (იხ. ქყ.: შდრ. განმარტ. ლექს. სათუო). იხ. სათუოში გამოსული.

სათუოში გამოსული გადარჩენილი, მომჯობინებადაწყებულ. ესენი უკვე სათუოში იყვენ გამოსული (შომახეთი).

სათფილო სათბილო. სათფილო ცხვრის ნაჭერია — კურტუმოთეაოები. რო დოუკლემდენ ცხვარს მიცვალეზულს, ბეჭი, სათფილო ღელელს მიქონდა (ლიჩი); სტოლზე ბეჭს, სათფილოს, ქათამს, ხაჭაპურს ანგარიში არ ქონდა (შომახეთი).

საია ცალნახადი, სუსტი არაყი. რახს ტაბაკინში და ზედა საქარაი ზოგი საიას ეძახის; საია და რახი ერთია. აქა უფრო საია ვიციოთ (ზედა ხაქარა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2; შდრ. საბა, დ. ჩუბ.).

საინ-ი ღრმა თეფში. თეფშს უძახით ჩვენე პატარას. ყველს, წვანლის რო დააწყოფ და ღრმაა, იგი საინია (გორისა). (შდრ. განმარტ. ლექს.).

საინდულეზა საიდუმლოება. ნაფოტზე ეწერა საინდულეზა (ლიჩი).

საინდულო საიდუმლო. თითონ ლაპარაკობდა საინდულოთ (ქორეთი).

საინდულობაი იგივეა, რაც საინდულეზა (იხ.). რანაირათ გითხრათ ჩემი საინდულობაი (ქვებში).

საინძელო სადღეგრძელო. საინძელოს ვიტყვი (ხაღვინე); გამოვთქვი საინძელო (ხიდარი).

საინჯრო ჰიქა იჯრის დროს ღვინისთვის ხმარებული ჰიქა. საინჯრო ჰიქაში წყალს ჩოურევე და ვსვამ ი ტპილ ღვინოს (პირველი სვირი).

საკავებელა 1. დაგრეხილი წნელი, მავთული ან ჯაქვი, რომელიც ერთი ბოლოთი ზესადგარზეა გამობმული, ხოლო მეორეთი — ურმის თვალზე, რომ დაამუხრუჭოს იგი და ურემი ნელა წამოვიდეს თავდაღმართზე. ურემს აქა ტორმუზს არ უყეთებენ, ზესადგარზე დამაგრებულია საკავებელა, რომელიცაა ღვლეკის, სინის, ჯაქვის. იგი ცალ გვერდზე გოგორას კეტავს, რო თავდაღმართზე ნელ-ნელა წამოვიდეს ურემი (ტაბაკინი). 2. იგივეა, რაც საყენებელა (იხ.). ღარში ჩადებენ საკავებელას და წყალს ვადოუშოფს გვერდებზე, ბორბალს აღარ მოხვებება (ტაბაკინი).

საკაკაო სათაძაშო. ათასნაირი საკაკაოი შამოყარეს და ერთობოდენ (განთიადი).

საკეკარი-ი საკენკი, საკენკარი. საკეკარი დოუყარე ქათმეფს (მერჯევი).

საკიდელ-ი იგივეა, რაც საბნიელი (იხ.). საკიდელი რძის დასაკვეთია, ასე კეთდება: ღორის ან საქონლის მაჭიკს (იხ.) ჩანწნი, ე. ი. ჩადეფ ღვინოში, ცოტა ოტკას გოურემ და შაბს. 2 კვირეს ჩაწნი, მერე ჩადეფ ბანკაში ღორის ძვალს, პურსა და სიმინდის მარცვალს დაასხამ ყველის ნამწვენს (იხ.), ამეიღეფ თითო საღვინე ჰიქას, მიცევე რძეს და დოუბნევს (იხ.), დოურემ ხელს. მერე შეიკონება და ამევიყვანთ ყველს (ხვაშითი); ღორს აქ მაჭიკი, მაჭიკს გადავაცლით კანს. რაც დარჩება, დავმწნით ძმარში, შაბში და მდარე ოტკაში, მერე ვავახნოდთ. მერე ისევ-ისევ ჩავდეფთ ძმარში და შაბში და მიჩინაში (იხ.) გამოსულა მძვალის შერევით იქნება საკიდელი (მოხვა); კაი საკიდელი გვაქ. კაათ შემდგარა ყველი (ღოდორა); საკიდელი ჩავაკეთე (სანახშირე). საკიდელის ქოთანი ქოთანი, რომელშიაც ყველს იყვანენ (ღორეშა); საკიდელის ქოთანს მარტო ყველის ამოსაყვანათ ვხმაროდთ, სხვა რამესთვის ვერ ვიხმართ (იქვე).

საკიდულ-ი (||საქვაბე) შუა ცეცხლის თავზე ან ბუხარში ჩამოშვებული ჯაქვი, რომელსაც ბოლოში აქვს კავი ქვაბის ჩამოსაყიდებლად (ვახანი). (იხ. საბა, განმარტ. ლექს. საკიდელი მნიშვნ. 2, საკიდელა, დიალექტ. ფშ., გუდამაყ. საკიდელი, ს. მ. ტერმ. საკიდარი, ყაზბ. საკიდელი).

საკინწიალო კრიკაზე (ჯამჯამაზე) გამობმული და მეორე თავით ხვიმირის (იხ.) რიკზე დახვეული თოკი და მის ბოლოს დაყიდებული სიმძიმე კრიკის დასაქერად, — ტექ. საპირწონე (სინონ. კაბარყური). საკინწიალო არი უბრალო თოკი, მიმბულია ჯამჯამაზე, დახოულია რიკზე, რომელსაც აბია სიმძიმე — ქვა ან რკინა, რო არ ეიშ-

კას დახოულმა თოკმა. რიკზე დახოული თოკის საშვალეებით ხთება მარცვლელის მიწოდების მომატება ან მოკლება: რიკის მარცხნიდან მარჯვნივ გადაწევით თოკი უფრო ეხვევა რიკს, მაღლა იწევა კრიჭა (იხ). და იკლფეს მარცვლის გამოსვლა. პირიქით თუ ვიზამთ,—თოკი ეშვება, კრიჭა ძირს იწევს და იმატეფს მარცვლის გადმოსვლა (ტაბაკინი); „წისკვილის ამბავს თუ მკითხამ, მე მოგახსენეფ, რა უნა: სა-თავე აშენებული, ღარსა პირამდე თლა უნა, ქვეშ-ქვეშ ლამაზი ბორბალი, შიგნი ლამაზი ქვა უნა, ხვიმირა და სარეკელა, საკინ-წიალო სხვა უნა“ (პერეფი). (შდრ. ალაფ. ლეჩხ. ეთნ. საკინწიალა, ელ. სარაქუნა | ე, დიალექტ. კახ.-ქიზ. საკინწიალა).

საკისურ-ი უღლის ის ნაწილი ტაბიკებს შორის, რომელიც ხარს კისერზე ედება,—საქედური. ჩემ ხარეფს საკისურმა კისერი გადაატყავა (ტაბაკინი). (იხ. ალაფ. ოკრ., განმარტ. ლექს. საკისრე მნიშვნ. 3).

საკლისოფ-ს კლებას იგრძნობს, კლებით წუხს. დედას ძალიან საკლისობდა, რა კაი დროს მევიდა (ღარიხევი); ი გოგოს ერთი თკე სულ ვსაკლისობდი (ზედუბანი); რო დაავიანდება კატუშას, ვსაკლისოფთ (ხვერი). იხ. მოისაკლისეფს, მოსაკლისება.

საკმიელ-ი¹ საკმეველი. კაი სუნი აქ საკმიელს (ხვერი). (იხ. გურამ. საკმელი, ვაჟა I საკმელი, მ. ჭან. საკმელ).

საკმიელ-ი² სინათლის შემოსასვლელად და ნაკელის გადასაყრელად გაკეთებული პატარა, უმინო და უჩარჩოო სარკმელი ბოსელში. საკმიელი თვარ ექნა ბოსელს, სინათლე სიდან შამოვა! (შომახეთი). (იხ. ჭყ. ურდუმბი). იხ. სანათური, სარკმელი, სარკმელა, სარკმიელი, სარკმიელა.

საკმიელა იგივეა, რაც საკმიელი² (იხ.). ბოსელში არი საკმიელა, სინათლე რო შევიდეს (მოხვა). (შდრ. შარაშ. საკმ-ელა).

საკოდელა საკოდელი. საკოდელა ხის ტარიანი რკინის ჩაქუჩი, ორივე მხრივ პირიანი, რომელიც კოდავს ქვას (ლეღვანი); ორივე ქვა მოკოდილია. საკოდელათი (ხვერი). (იხ. განმარტ. ლექს. საკოდელი მნიშვნ. 2).

საკონავ-ი იგივეა, რაც საკრი (იხ.). ვენახს გასხლევენ, შესარვენ, მიაკონევენ ზედ თქველოთი (იხ.) ან მაჩალკით, ვეტყვით საკონავს (მანდაეთი); მეიტანე, ბიჭო, საკონავი (განთიადი, უჩამეთი). (იხ. განმარტ. ლექს. საკონი, საკონავი მნიშვნ. 2).

საკრ-ი ავაციის, წაბლის, ლაფნის; თელის, ცაცხვის კანი, ზღვის ბალახი, თოკი ან სხვა ამგვარი მასალა, რომელიც იხმარება ვაზის ასაკრავად. ვენახის საკრი და ვენახის მოსაკონავი ერთი და იგივეა (უჩა-

მეთი); კილვას (იხ.) მივაკონავთ ლერწს საკრით, საკონავით, ორივე სიტყვას ვხმაროფთ (განთიადი); ვენახი უნდა ეიხვეს საკრით. ეკალს ავატყავეფთ, ან ზღვის ბალახს ვიხმართ (ფარცხნალი). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს. იმერ., ქავთ.; შდრ. გურამ. საკრელი).

საკრეფელ-ი ტყეჩისაგან მოწნული პატარა, მაგრამ მაღალი გოდორი. რომელსაც უპირატესად ყურძნის კრეფის დროს ხმარობენ. აქა გიღელი არ ვიცით, ჩვენ ვხმაროფთ საკრეფელს (დოდორა). საკრეფელი კალათი ყურძნის ვყრით საკრეფელ კალათეფში (ვერტყვიქალა). (იხ. ალავ. ოკრ. საკრეფელა გიღელა, განმარტ. ლექს. საკრეფელი მნიშვნ. 2).

საკრეფელა იგივეა. რაც საკრეფელი (იხ.). ეს კალათი საკრეფელა არი (წირქვალი).

სალავათ-ი გაჯავრებისას იხმარება, იგივე უნდა იყოს, რაც გამჩენ-გაგიქრა სალავათი! შენი სალავათი ამოვარდა! (შომახეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

სალბულ-ი მოსალბობი, დასაამებელი, — სალბუნი. სალბული წამლები უსვით (ჯალაურთა). (იხ. განმარტ. ლექს. სალბუნი).

სალდა || სალტაბალახ-ი ბოტ. წალიკა. სალდა ბალახია (პერევი); სალტაბალახი წვრილფოთლიანი, წარე ბალახაა (უჩამეთი). (იხ. განმარტ. ლექს. რაჭ. სალდა).

სალერწმე ლერწმის მილი აკვანში ჩასადებად, — შიბაქი. სალერწმე გაასუფთავე, გოგო (შროშა). (იხ. ბერ. ბოქმო).

სალოგინო მოსამშობიარებელი. „ნუ წამიყვანთ, სალოგინო ვარო“, — უთხრა ქალმა (ვახანი).

სალოცვილო სალოცავი. ერთი არი სალოცვილო მზე და მერე თვარე (ფარცხნალი).

სალპობ-ი ბოსლის იატაკქვეშ (ქერქვეშ) დაგებული ხე. სალპობი ქერქვეშ არი დაგებული, სამი ხეა, შუაში, თავსა და ბოლოში (მანდაეთი); სალპობზე დევს ბოსლის ჭერი (შომახეთი).

სალტა || სალტე ლითონის რკალი, რომელიც ურმის ფერსოსა და მორგვს აქვს შემორტყმული. სალტა ურმის ფესოზე შამოქლობილი რკინის რგოლია (ჯალაურთა); ხუნდსაც (იხ.) აქვს შიგნიდან და გარედან 2 სალტე (იქვე); ურმის ფესოს გარედან აქ შემორტყმული რკინა, — სალტე (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს.).

სამაგ-ი ოდენა. ერთი დოქის სამაგი დენო დალია (პირველი სვირი); სიმიდს ყანაში ვყრით ხეავებათ, იქნება ნახევარი ძარის სამაგი (იქვე).

სამაგრის-ი 1. ბუხარში ან შუაეცხლზე გადებული ხე ან რკინის კეტი შეშების მისაწყობად და მასზე კეცების მისაყუდებლად (სინონ.

სამქლე, სამხრე). ბუხარში ჩავდგამთ სამაგრისს, რო კეცები გააჩეროს (მოხვა). 2. რკინის სალტე, რომლითაც ურმის ზესადგარი უკავშირდება ხელნის თავს. ხელნის თავს ზესადგარი უკავშირდება ორი რკინის სალტით, რომელსაც ქვია სამაგრისი (დილიკაური). ხამაკინო || სამაკინარო დასამაკებლად ასაკოვანი საქონელი. ჩემი უშობელი 2 წლისაა და სამაკინოა (უჩამეთი); სამაკინო დეკეულია (ლოდორა, ლიჩი). (იხ. ალავ. ლეჩხ. XIII სამაკინო, განმარტ. ლექს. ქართლ. სამაკინარი, შარაშ., განმარტ. ლექს. გურ. სამაკინელი).

სამამულე ნეკი სამამულე რქა. მეოთხე წელს, გაზაფხულზე გასხვლის შემდეგ, ვენახს უტოვებენ 2 ლერწს. ერთს გადაქრიან ორი კვირის შემდეგ და ქვია სამამულე ნეკი (ტაბაკინი); ვენახს რო გასალამ, დაეტოვებთ 2-3-კვირტიან ლერწს, ეს სამამულე ნეკია (სავანე). (იხ. განმარტ. ლექს. სამამულე). იხ. ნეკი.

სამან-ი საზღვრის აღმნიშვნელი რაიმე ნიშანი. სამანი არი იქა: ქვა არი გათლილი და აწერია ზედე. რო გაყოფ მიწასა, ჩადეფ ქვას — სამანს (ვახანი); ძმა ძმას რო გაეცლება, საზღვარს დაიდებენ — ყანის თავში და ბოლოში გარკვეული სიმაღლის სიპ ქვას ჩაადებენ და მას სამანს უწოდებენ (იქვე). (იხ. თუშ. ძვ. საქ. II მილარი, უთურ., ყაზბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2; შდრ. ბერ. ნაკილი). სამარგელი თოხი ფართოპირიანი თოხი, რომლითაც ყანას თოხნიან ყანას სამარგელი თოხით ვთოხნით (ტაბაკინი). (შდრ. მენტ., განმარტ. ლექს. ქიზ. სამარგელი მნიშვნ. 2).

სამარგის იხ. მოასამარგისეფს.

სამართ-ი გასათლელი ფიცრის გასამარგებელი ხე. სამართი მოკლე ხეა, რომელიც შუამდი ჩახერხილია გასათლელი ფიცრის ზომაზე და შიგ ჩამაგრებულია ფიცარი სოლებით (ტაბაკინი, ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს. ქართლ. მნიშვნ. 2; შდრ. მენტ.).

სამარიობო სხალი მსხლის ერთ-ერთი ჭიშია, აგვისტოში მწიფდება. სამარიობო სხალი მარიობის თვეში მწიფდება, ყვითლათ იცის დამწიფებაი (მანდაეთი, ვახანი).

სამარნე დოქი მარანში გამოყენებული დოქი, დაახლოებით ერთ ფუთამდე ტევადობისა. სამარნე დოქში ერთი ფუთი მაინ ჩავა ღვინო, ნიკარტიანი დოქია (ლორეშა).

სამარნე ჩაფი იგივეა, რაც მარნის ჩაფი (იხ.). სამარნე ჩაფი ფუთიდან ორ ფუთამდე ტევადობისაა, მარანში იხმარება ღვინის საწყაოთ (ტაბაკინი); სამარნე ჩაფები ძან გიდგია შენე (ლორეშა). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს.).

სამატ-ი იგივეა, რაც კულამი (იხ.). სამატი დაგრეხილი ტყავია, რომლის ერთი თავი უკავშირდება ფრჩხილას (იხ.), ხოლო მე-

ორე — უღელს, უღლიდან ისევ ამოდეთ ფრჩხილას, რო დაპაგრდეს ზედ უღელი (შომახეთი); საქონლის ტყავს დავალბოფთ წყალში, მერე წოუსვამთ ტაოტს ან ქონს, რბილი რო იყოს, და დავერბამთ, ესაა სამატი (წყალშავი); სამატი დაგრეხილი ტყავია, ღვლენჭი რო იყოს, მაშინ საულღეს უძახიან (ხვაშითი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, 3 ყ.; შდრ. კახ.).

სამაშნ-ი იგივეა, რაც საზედაომიწა (იხ.). აყალოს სამაშნს დაეყრიოთ, რო მიწა არ დასკტეს (ფუთი); კურს ჯერ აყალოს უკეთე-პენ, მერე სამაშნს მიაყრიან (ღორეშა). იხ. სამაშნავი.

სამაშნავ-ი || სამაშნავი მიწა იგივეა, რაც საზედაომიწა, სამაშნი (იხ.). რო დაგლისამ კურს, მერე სამაშნავს მიაყრი (საბე); კურს სამაშნავი მიაყარე (განთიადი); აყალოზე სამაშნავ მიწას ვაყრიოთ (ჯვარე). (იხ. ჯაჯ. IX. დიალექტ. იმერ.). იხ. მიმამაშნავს, მომამაშნავს, სამთავრავი.

სამბულ-ი || სამბურ-ი საბელი (თოკი ან ჯაქვი). სამბულია ბაწარი ან ჯაქვი, რომლითაც საქონელს მიაბამენ ჰერის პალოზე ან კანჯოზე (იხ.) (მანდაეთი); რ ცხენი აბია ცალ გვერდზე, აბარბაცდენ, წაპეიღეს თავისი სამბური და დეგვეყარენ თავზე (ხრეთი). (იხ. განმარტ. ლექს. საბელი, საბმური, კინკ. სამბური).

სამგერიელო გემრიელი, სასარგებლო. რას მეიწველის შიერი საქონელი, სამგერიელო უნდა ავამო — სოია, სიმიდი, ქატო (ქორეთი); სამგერიელოს არ აკმევ და გაშრება, აბა რას იზამს?! სამგერიელოა, ქატოს და ნამუშევერს რო აკმევ (შომახეთი). სამეტნაო ზედმეტი მუშაობის საფასური. მე ვტეხო მარტო? სამეტნაოს კარავინ მაძღვეს (ტაბაკინი).

სამეწელიწლე იგივეა, რაც მეწელიწლე (იხ.). სამეწელიწლეა ჩემი ვაშლები (ქვაციხე).

სამზიგულო იგივეა, რაც მზიგული (იხ.). სამზიგულოა ჩვენი ადგილი, ფიცხი ადგილია, სულ მზე უყურეფს (ზარანი).

სამთავ-ი ლურსმნის გასასწორებელი და საღესი მოწყობილობა. საქუთხედ ფოლადზე დადებულია მოგძო ფოლადი, რომელიც თავებში გახვრეტილია, სადაც ჩადებენ იმას, რაც გასასწორებელია, მერე ამერღებენ, ფოლადზე დებენ და ლესავენ (ბაჯითი). (შდრ. ბ. წერ.).

სამთავრავ-ი ქვეერის თავზე დაგლესილ აყალოზე დაყრილი ფხვიერი მიწა აყალოს დასაცავად (სინონ. საზედაო მიწა, სათაური, სამაშნი, სამაშნავი). კურში ღვინოს რო ჩავასხამთ, მერე საგნეს მიწას გოუკეთეფთ, მერე სამთავრავს (პირველი სვირი); სამთავრავი დაეყარე კურს (ტაბაკინი); კურს ჯერ აყალოს დავავნისამთ, მერე სამთავრავ მიწას დავაყრიოთ (გეზრული). (იხ. დიალექტ. იმერ.). სამთიობო ახლად დაქორწინებულთათვის განკუთვნილი ოთახი, —

სანთიობო. ნეფე-დედოფალს დატოვებდენ ს ა მ თ ი ო ბ ო შ ი (ჩიხა). (შდრ. 3 ყ.).

სამთხლე გრძელტარიანი დიდი კოვზი თხლის ამოსაღებად. ს ა მ თ ხ ლ ე ხის ან რკინის ტარიანი კობზია, თხლეს ვიღევთ (შომახეთი). იხ. ს ა მ თ ხ ლ ე ვ ი.

სამთხლევი-ი იგივეა, რაც ს ა მ თ ხ ლ ე (იხ.). ს ა მ თ ხ ლ ე ვ ი თხლის ამოსაღებია (განთიადი); ს ა მ თ ხ ლ ე ვ ი ხის ბარისავითაა, თხლის ამოსაღებათ იხმარება (ლორეშა). (იხ. ბ. წერ. სამთხლევე, სათხევლე).

სამიზეზო მიზეზის მომცემი. იმონა ს ა მ ი ზ ე ზ ო (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს.).

სამინდე გობი (||ონჯარო) წისქვილში საფქვილე, — ალა. ალას (იხ.) აქ უფრო ს ა მ ი ნ დ ე გ ო ბ ი ეწოდება ან ონჯაროი (ქვები).

სამინდო კილოიანი ქურჭელი, რომლითაც მინდს იღებენ, — სამინდე. ს ა მ ი ნ დ ო თ ი იღებდა სიმიდს (ლეღვანი). (იხ. ჯაჭ. IX; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ. სამინდალი, სამინდო, განმარტ. ლექს. სამინდო). სამინდოზე სანიმუშო. ს ა მ ი ნ დ ო შ ე ა ისი, ძველი ნაკეთებია (შომახეთი).

სამკვეთლო || სამკვეთო || სამკვეთრო იგივეა, რაც საბნიელი (იხ.). რაღას გოუძლებს ამ ს ა მ კ ვ ე თ ლ ო ს ყიდვას, დგას დოუბნეველი რძე (ტაბაკინი); ს ა მ კ ვ ე თ ო რო გააკეთო, მაკიკს დამწენი, ამოკიდევ, გაახმოფ, დაასხამ თფილ წაქს, ძმარს, წათხს (შროშა); აქა უფრო ს ა მ კ ვ ე თ ო და საბნიერი იხმარება, საკიდელი არა (ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს. სამკვეთო მნიშვნ. 1; შდრ. იქვე, მნიშვნ. 2).

სამკვლიერი-ი || სამკვრიელი-ი მეკვლის მიერ მოტანილი საჩუქარი. ს ა მ კ ვ ლ ი ე რ ი მოიტანა (ბაჭითი); ს ა მ კ ვ რ ი ე ლ ი უნდა ჩამომოიტანო სახალწლოთ (შომახეთი). (იხ. ბ. წერ. სამკვლევი). შდრ. მ ა მ კ ვ ლ ი ე რ ი.

სამნეულ-ი სამნეო ნაწილის გამევე, — მნე. ს ა მ ნ ე უ ლ ა თ იყო აკაკი სკოლაში (ტაბაკინი).

სამნიშვნელო მნიშვნელოვანი. ორი სიტყვა თქვი ს ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო (ჭალაურთა); ს ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო თ დაქრილი არ არი (ხიდარი).

სამოსელი-ი „შინ დამზადებული ბამბის ქსოვილი“ (განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3). ქსომდენ შალეფს და ს ა მ ო ს ლ ე ფ ს. ამერაკანი (იხ.) რო არი, ისე ქსომდენ (ჩიხა); ს ა მ ო ს ე ლ ი ხამს ქვიოდა (ზედუბანი); ს ა მ ო ს ე ლ ი ბამბის ქსოვილია; რომელიც იქსოვებოდა შინ საქსოვ დაზგაზე (მახათაური). (იხ. ბ. წერ.).

სამტირალ-ი სატირალი. ჩემი ს ა მ ტ ი რ ა ლ ი შეშაა (სვერი). -

სამტკიცო-ი წმინდად ნაქსოვი საცერი, რომელიც იხმარება პურის ფქვილის ან საფელამუშე მქაბის ფქვილის გასაცრელად (სინთნამქრ-დიმი). სამტკიცოში გავატარეთ პურის ფქვილს (შომახეთი. ზვარე. ბორითი, უშქრუთი, სვერი...); სამტკიცს მერდმსაც (იხ.) უძახით, უფრო სამტკიცო ვიციო. საფელამუშე ფქვილს ვბტკა-ცავო სამტკიცოში (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ.). სამუგე საპირე ფესსაცმლისა. ირემი შევკამეთ და ტყავი ფესსაცმე-ლის სამუგეებათ გვევციოთ სანახევროთ (ხიდარი).

სამუხველი-ი ძაფის ამოსახვევი ორკაბა ჯოხი. სამუხველი ძაფის ამოსახვევია, ხის ორი ჯოხია, ერთი ჰორიზონტალურად არი გადებუ-ლი და მასში ვერტიკალურად მოთავსებულია კაპიანი ჯოხი, რომელ-საც ეხვევა ძაფი (ლეღვანი, ზარანი); სამუხველი თავაკუჭა, კაპი-ანი ჯოხია, კაპებზე ვახვემთ ძაფს, მერე ვდულრამთ, გაშრება და ამო-გახვემთ მურგვათ და დევიწყეთ ქსოვას (სვერი). (იხ. ბერ., ალაფ. ლეჩხ. ეთნ. სამუხელი, განმარტ. ლექს. სამუხოველი).

სამფეხ-ი ხარის დასაკოდი მოწყობილობა. სამფეხი ხარის დასა-კოდია, ორი ხეა, რომელშიც გაყრილია მესამე და ქმნის სამფეხს (სანახშირე).

სამყაროულო საყარაულო, სადარაჯო. სამყაროულოს არაფერს იძლევიან, ასე არ ვიმუშავებ (ხიდარი).

სამყურ-ი სამფოთლიანი. წითელი სიმიდი მოდის მალე, რო შეიქნება სამყური, ე. ი. სამი ყოთელი. რო ამოუვა, უნა გეითოხნოს (ლიჩი).

სამშობლო გათხოვილი ქალის მშობლების ოჯახი. ის ოჯახი მაგა ძა-ლიან ეხმარება. სამშობლოი რო გვერძე ყოლებოდა, მაინ ვერ მეეხმარებოდა უკეთ (წაქვა); ბიძაები მყამდა, ძმები მყამდა, დედა მყამდა, მამა მყამდა. დიდარ ოჯახში ვიყავი. ახლა 15 გლეხათ არი ჩემი სამშობლოი (იქვე). (იხ. ვისრ., საბა, ბესიკი, გან-მარტ. ლექს. მნიშვნ. 5, დიალექტ. რაქ.). იხ. საყოლი.

სამჩეროვე || სამჩეროო საჩრდილობელი. სამჩეროვე არსა არი (ზედუბანი); სამჩეროო ხეა იდიდი მუხა (წიფა). იხ. საჩე-როებელი.

სამძლე იგივეა, რაც სამაგრისი (იხ.). ბუხარში წინიდან უნდ-დადებოდა კეცეფს სამძლე, რო ადვილად არ ჩატყდეს გადე-ბული შეშები და კეცები არ ჩამოცვივდეს (ზარანი); სამძლეა დიდი გოუჭრელი ხე ან რკინის კეტი, რომელსაც კერიაზე ან ბუხარში, წამოდებენ, სხვა შეშეფს დააწყობენ და კეცეფს გადებენ (ხვაშით). (შდრ. ქავთ.).

სამძმა ხე ძირიდანვე სამად განშტოებული ხე. სამძმა ხე ძირი-დან ამოდის ერთი და მერე იშლება სამ შტოდ. სამძმა იყო წიფ-

ელაი (ვახანი); სამძმა ხეა სამტრიათ ამოსული (ზარანი). იხ. ორძმა ხე.

ხამძოვარი-ი საძოვარი. სამძოვარი იყო იმათ ხელში (ხიდარი) ხამძრაობა განძრევის, მოძრაობის საშუალება. სამძრაობა .არ აქეე (ხიდარი).

ხამძღვარი-ი საზღვარი. იმდონი ადგილი ქვეონდა, რო სამძღვარი არ ვიცოდით (ლორეშა). (იხ. განმარტ. ლექს., ყაზბ.).

ხამძღვე იგივეა, რაც საზღვაური, საზღვე (იხ.). სამძღვე ქერსა და ქერს შორის (იხ.) ან ქერის ბოლოს მოქცეული თავისუფალი ადგილია, სადაც საქონლის ნაკელი ჩამოდის (ჭალაურთა).

ხამწირველო ეკლესია. უბისაში ორი სამწირველო არი (ლორეშა); სამი სამწირველო იყო თურმე მადა (იქვე).

ხამქედური-ი სამქედლო (იხმარება ყველგან ზემო იმერეთში). სამქედურში ჩავიდა და გააკეთა (ზვარე). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1; შდრ. გურამ., ი. იმნ. სიმფ. 1).

ხამჭიდობელი-ი ურემზე დაწყობილი ჩალის თუ თივის გადასაკრავი ლატანი. სამჭიდობელია ხე, რომელსაც ჩალა-ბალახით დატვირთულ ურემს გადაადებენ ზევიდან, რო არ გადმეიყაროს; შეშისა და ფიცრისათვის ხმარობენ დაგრებილ მავთულს, რომელსაც კანთი ქვია (ხვაშითი); ჩალისა და თივის გადასაკრავათ სამჭიდობელი იხმარება. ჭალაეფში (იხ.) მავთული აქ ურემს. იმაში გოყურით თავს ჯობს, დავამაგრეთ ბოლოში ურმის ზესადგარზე (იხ.) ჯაქვით ან ბაწრით, ის ჯობია სამჭიდობელი (არგვეთი). (იხ. ქყ.).

ხამჭინობელი-ი || ხამჭირობელი-ი იგივეა, რაც სამჭიდობელი (იხ.). ჩალით ან თივით როცა ვტვირთავთ ურემს, გადავადეფთ ხეს, ზესადგარის უკანა თავეფში გადავებამთ, ამას უძახით სამჭინობელს (ქვაცხე); სამჭირობელით ჩალას ვამაგრეთ ურემზე (ლიჩი). (შდრ. ალავე. ლეჩხ. საქირობელი).

ხამჭინო საქირო. არ არი აგარაკი სამჭინო, მარა მაინც მიდიან (შროშა); მეტი შეშა არ არი სამჭინო (განთიადი). (იხ. ძიძიგ. ძიებ., ქრესტ.).

ხამჭინოება || ხამჭინოობა საქიროება. არ არის მავის სამჭინოება (ზედუბანი); სამჭინოობა რო იყოს, მე მივიდოდი (შომახეთი).

ხამჭმელოთ [მო] საქმელად. ბატები გამოუშვი სამჭმელოთ (ზედუბანი). (შდრ. გურამ. სამჭმო).

ხამხვენელი-ი სახვენელი. ერთი ხე მაქ, ცხრა ხამხვენელი გამოდის (ზედუბანი).

ხამხრეული-ი გოდრის მხარზე მოსაკიდებელი. წყნელის გოდორს ჩაპ-

ქული აქ სამხრეულე ბი ხარზე მოსაკიდებლათ (ბორითი). (ჯ. შარაშ., განმარტ. ლექს.).

სანა სად. სანა ვიყავი, ქე იცი (გეზრული); სანა დგას? (წირკვალი); სანა მაქ თუმანი? (ტაბაკინი). (შდრ. კირ.).

სანაგავე || სანაგავო ადგილი, სადაც ნაგავს ყრიან, — სანაგვე. პელა შევიდა სანაგავოზე, მეიგონა სიკვდილი (ზედუბანი); ბოსელშია სარკმელი, რომლიდან ნაკელს ყრიან სანაგავოზე (გეზრული); სანაგვეში ჩაეყარე, რაც დარჩა (ზარანი). იხ. სანახველა. სანადრო || სანადრო სადრეო. სანადრო კომოსტო იყო (სვცარი); სანადრო სიმინი პატარა რო ამოვა მიწაში, იქიდან მოაქ ტარო (გორისა); სანადრო რო მოქცემს ნიშანს, მერე უნდა შეიწამლოს ვენახი (ჩიხა).

სანაგავო ჩოტი ნაგვის ასალები, — აქანდაზი. სანაგავო ჩოტიო (იხ.) ეილე ბუძვეი (იხ.) (ღარიხვეი).

სანათ-ი ცეცხლის მოსანთებად დაქრილი შეშა. სანემდი გამეიწვოდეს სანათი, მანემდი მოუკიდე (გორისა); ე, ბიჭო, ძირს ჩოუდვეი სანათი, ჩაქვრა ცეცხლი (შომახეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.). შდრ. წოუ სანათე ფს.

სანათლებო ნათლობისთვის განკუთვნილი, სანათლობო. შეიდ ნოემბერს სანათლებოთ იყვნენ ერთ მასინძელთან დაპატიყებული (ღორეშა). (იხ. განმარტ. ლექს. სანათლობო).

სანათლიაო იგივეა, რაც სანათლებო (იხ.). სანათლიაოთ პიძახიან, კაკო (ზედუბანი).

სანათურ-ი სარკმელი ბოსელში სინათლის შემოსასვლელად და ნაკელის გადასაყრელად. ცხენები მოაბელწეს და კვიცი სანათურში გადმოაგდეს (ზვარე); პატარას გოუყეთეთ ბოსელში აკოძკას. სანათურს უძახით, სინათლევ შამოდის და ნაკელსაც ვყრით გარეთ (ლეღვანი). (იხ. გურან., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1). იხ. საკმიელი.

სანაკელე იგივეა, რაც საზღვაურე, საზღვე (იხ.) (სინონ. სანარწყალი, სანერწყავი, საწუნწუხე). სანაკელე ბოსელში ის ადგილია, სადაც საქონლის ნაკელი იყრება (სავანე, ხანახშირე). (იხ. განმარტ. ლექს., კუმბ. 84, საკელე). იხ. საწუნწუხე.

სანამუხოს დატოვება მირთმეული ულუფიდან სტუმრის მიერ შეუქმელად ნაწილის დატოვება. სანამუსოს დატოვება ხვარ გინდა, შექამე სულ (ფუთი). იხ. სასტუმროს მეირჩენს.

სანარცხელი ნარცხის ჩასახმელი და ცომში გასვრილი ხელის ჩასაბანი ქურქელი, — სანარცხე. როცა რო ხელს ვიბან, კადიან ხელსა, სანარცხელი ქვია იმ ქურქელს (ღოდორა).

ხანარწყალ-ი იგივეა, რაც 'საზღვაური, საზღვე' (იხ.). ბოსელში საქონელს რო აბამენ ჰერზე (იხ.), აგებენ ხის რგვალ მასალას. შუაში ფიცრებია დაგებული; ზედ ნაკელი ცვივა და ამას უწოდებენ სანარწყალს (ვახანი); სანარწყალი ბოსელში ჰერფესა და ჰერფეს შუა-არი ნაკელისთვინ (წიფა); სანარწყალში ჩამოდის საქონლის ნაკელი და შარდი (შომახეთი). (იხ. ქ.ყ. სანარწყული, ნიჟ. სანარწყალი).

სანაღერღე ღერღილი. დაფავქვევი თეთრი სიმიდი, როგორც რო სანაღერღე (ტაბაკინი).

სანაც სადაც. ძვლები ჩააწყო ჰერქვეშ. ბოსელში, სანაც ება ი ძროხა (ზოვრეთი).

სანახველა იგივეა, რაც სანაგავე, სანაგავო (იხ.). სანახველაზე მელა მამკვდარა, გაჰერი მიწა და ჩააგდე შიდა (ზედუბანი); ი ბოვში სანახველაზე დამარხა (ზოვრეთი); სანახველაზე გადასვა ქალი (ლიჩი). (იხ. განმარტ. ლექს. სანახველაზე. ლეჩხ. XIII, ქავთ. სანახველა, მაის. სანახველა).

სანახნაო სახნავი. გაჩთა სანახნაო ყანა, დავთესეთ პური შიდა (ზედუბანი).

სანერწყავ-ი იგივეა, რაც საზღვაური (იხ.). სანერწყავზე გროვდება ბოსელში ნაკელი (ფარცხნალი).

სანთიობო ოთახი ნეფე-დედოფლის დასაწვენია, სანთიობო ოთახს ახლა შევესწრებით იქი-აქა (ზედუბანი). იხ. სამთიობო. სანთებო თხების სადგომი. სანთებოში ერთი თხა აღარ არი (ხევი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. სათხებო).

სანიშნელო სანიშნობო. მეეწონა ქალი, აპა უნდა წამოხვიდო სანიშნელოთო... ევედით; დაენიშნეთ (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. სანიშნობო).

სანობამდი სანამდის. სანობამდი მან არ ეილო ხემძღვანელობა, მანობამდი ჩვენი საქმე წინ არ წასულა (ქვები).

სანძლე იგივეა, რაც სამძლე (იხ.). სანძლეა ბუხარში კეცების დასაწყობი რკინა ან ხე (ვერტყვიჭალა).

სანქედურ-ი იგივეა, რაც სამქედური (იხ.). გამიმართე სანქედური (წიფა).

საორხელო სარცხელი იგივეა, რაც საქვედაო სარცხელი (იხ.). კურს. საორხელო: სარცხლით რეცხენ (ჭალაურთა).

საპენტია ბამბის საპენტი მოწყობილობა. საპენტია ასეა მოწყობილი: მუხლს უჭირავს მარცხენა ხელში შვილდი, შუაში ისარი ხელით არის მიმაგრებული შვილდზე, ქვევით შვილდს გაბმული აქლარი, ძირს აწყვია ბამბა. ლარს შედეფს ბამბაში და გათლილი ჯონით, რომელსაც ქვია კინთი, ურტყამს. ბამბა დაეხვევა ლარზე და

მერე შვილდ-ისარს აქ გამოიტანს, ბამბა გაშოკვინდება გაპენტილი და ა. შ. (საღვინე). (იხ. განმარტ. ლექს. საპენტელი, საპენტელა).

საპნის კათხა ურმის ქალაზე ჩამოკიდებული კამეჩის რქა, რომელშიაც საპონი და კუპრია ურმის თვლის ღერძზე წასასმელად. საპნის კათხა ყანწია ჩვეულებრივი, ხისგანაც კეთდება, საპონი და კუპრია ამ კათხაში, ჩამოკიდებულია ქალაზე (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს. ქართლ. კათხა მნიშვნ. 2).

საპურობილობა საპურობილე. იფიქრა ახლა ამ ხემწიფემ: ხო ჩამაგლო ამან საპურობილობაშიო (მეორე ხვრიი).

სარაჭა სარაჭი. როცა ფიქვაში თაფლია, ქვია სარაჭაი, როცა თაფლი არ არი, — ფიქაი (ტაბაყინი).

სარახე ქვაბი არაყის (რახის) გამოსახდელი ქვაბი. სარახე ქვაბის მილი გადის გობში (ვერტყვიქალა, უჩაშეთი, ლეღვანი, ხიდარი, შორძვეთი...).

სარაკუნო საძოვრად გასული საქონლის კისერზე დაკიდებული ხის პატარა კოლოფი, რომელშიც ორი ან სამი ხის რიკია, მათი მოძრაობა იწვევს რაკუნს. ვინ შეხსნა ჩვენ ძროხას სარაკუნოი? (ღარიხევი). (იხ. ჰ. ყ. სარაკუნე, განმარტ. ლექს. იმერ. სარაკუნო).

სარახუნო დათვის დასაფრთხობი მოწყობილობა. სარახუნოს დათვის შესაშინებლად აკეთებენ: ამოხრუქნულ ადგილზე წყალია, ზეთ ფიცარია გადებული, რო გეივსება წყლით, დაყანთრავს (იხ.) და გაადენს რეხვას, ურახუნეფს და ძეგშინდება დათვის (ხიდარი).

სარაჭა სარაჭი. თუ წეიღეფთ სარაჭას, გაგატანთ (მოხვა). (შდრ. რუსთ. სარაჭი). იხ. სარაჭა.

სარეველი ჯოხი ჯოხი, რომლითაც ურევენ ღვინოს დუღილის დროს. რო დუღს ღვინო, უნდა დოურიო სარეველი ჯოხი ან ნიჩაფი, ან სარცხელი დღეში ერთხელ (ჩიხა). (იხ. განმარტ. ლექს. სარევი).

სარეკი-ი ურმის თვლების წინ ხელნების ქვეშიდან ამოკრული ლატანი, რომ სიარულის დროს ხარებმა უკან არ დაიწიონ და ურმის თვლებმა არ დაუზიანოთ ფეხები. ქვეშიდან ხელნას (იხ.) აქ სარეკი; თვლები რო აქ, იქანა სარეკს გაგაკეთეფთ. ხარი რო ხარს გაასწრეფს, გოგორა რო ბრუნავს, ფეხეფში მოხვეთება, თუ სარეკი არ აქ (შანდაეთი); ხარმა რო უკან არ დეიწიოს და გოგორამ არ ჩამოხეხოს ფეხები, ამისთვის ზესადგრის ქვეშ, ურმის შუა ნაწილში, გაყრილია ხის გათლილი კეტი — სარეკი, რომელიც ზესადგართან დაკავშირებულია რკინის ოთხკუთხი სალტით ან მავთულით (დილიკაური); იმისთვის, რო ხარეფს არ შეეხოთ ურმის თვლები ფეხებზე, თვლეფთან უკეთებება გძელი ხე — სარეკი (შროშა). (იხ. ჯაჯ. IX, ბაბუნი. 274; შდრ. მენთ, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

სარეველა კრიკის ცალ მხარეზე ჰორიზონტალურად დამაგრებულ ხის

ჯონზე დახრილად მიერთებული ხისვე ჯონი, რომელიც ერთი ბოლო-
თი ეხება წისქვილის მბრუნავ ქვას. ქვას ბრუნვისას მოძრაობაში მოჰ-
ყავს სარეკელა, სარეკელას უღლის საშუალებით — კრი-
კა (იხ), რაც იწვევს მარცვლის თანაზომიერ მიწოდებას გულამო
(იხ.). სარეკელაა გძელ ხეში, რომელიც ედება ლაკვარას (იხ.),
გაყრილი ჯონი, რომელიც ქვას ეხება და აწესრიგებს სიმიდის ჩამო-
ყრას (მოხვა); სარეკელაა ხის ჯონი, რომელსაც ერთი თავი ჯან-
ჯამაზე (იხ.) აქ, მეორე — ქვაზე და წისქვილის ბრუნების დროს სი-
მიდს ყრიან ქვაზე (ტაბაკინი); კრიკას უერთდება ღერძი, რომელზე-
დაც დამაგრებულია ხის ფეხი — სარეკელა. სარეკელა ედება
ბრუნავ ქვას, რომელიც მას ანბრემს. სარეკელა კი ანბრემს
კრიკას და კრიკიდან წამოვა მარცვალი (წვარე). (იხ. ვაჟა II, დ. 5.
ჩუბ., ჯაჯ. IX, ალავ. ოკრ. კუენა, კუმბ. კეკველა, განმარტ.
ლექს.).

სარეხ-ი || სარეხე ქვაბი იგივეა, რაც სარახე, საარაყე ქვა-
ბი (იხ.). დიდ სარეხ ქვაბში მოხარშა ფაფაი (წედუბანი);
შენ ბოვშეფს საკმელი სარეხე ქვაფში რომ მოუხარჩო, მა-
ინც არ ეყოფაყე (სანახშირე). (იხ. დიალექტ. იმერ. სარეხე).

სარეხვ-ი თავეების, ვირთხებისა და ჩიტების დასაქერი, — მახე. სა-
რეხვი ასეა გაკეთებული: შეკრულია ხის ოთხკუთხედი პატარა ყუ-
თი, აქეთ-იქით ჩამოშვებულია ორი პატარა ბოძვი, რომელსაც უკა-
ვია ზედა სარტყელი. იმ ბოძვეფში მოქცეულია ჯირკი, ჯირკზე ასვია
პატარა ბოძვი, ბოძვეზა შემბმული რკინის სასხლეტი, ძირს კოლოფ-
ზე გამობმულია დასაკავებელი, რომელიც იკავეფს სასხლეტს. ვირთხა
რო მოხვთება კოლოფში, დასაკავებელი გაანძრემს სასხლეტს, დასხლ-
ტება სასხლეთი და დეეცვა ვირთხას (ჯალაურთა); სარეხვი მა-
ხეა: ფიცარზე დახვეულია ზამბარიანი მავთული, პატარა ფეხი აქ,
იმაზე იქნება გამობმული საკმელი და, თავვი ან ჩიტი რომ მოვა, ფი-
ცარი დაეცემა და გასრესს (შომახეთი). (იხ. ბ. წერ. სარეხვი, სა-
რეხველა, შარაშ. სარეგველაი, ბერ. სარეჯველა, განმარტ. ლექს.
სარეგვი, სარეგვაი, სარეჯველა).

სარვა სარმა. ახლა გამოკრა სარვაი (ბოსლევი).

სართულა აჩაჩა ურმის ფრჩხილების (მარხილის) თავების გასაკრავი
წნელი, თოკი, მავთული ან ფიცარი, რომ ფრჩხილები არ გამოძვრეს
ზესადგრიდან. სართელა, რომ არ აძვრეს მარხილი, მარხილზეა
(ხიდარი). (იხ. ჯაჯ. X საფთიურაჟ).

სართუმალ-ი სასთუმალი. სართუმლათ იყო გძელი ფიცარი, რომ-
ელსაც თავი ამალღებული ქონდა (გორისა); სართუმლათ აქ
მურთაქა (მოხვა); სართუმლათ ქექონდა ფიცარი, რომელიც
გვერდზე იყო აყუღებული (მაჯითი). (იხ. ბ. წერ.).

სარისხ-ი ხარისხი. მაშინ ფულს სარისხი ქონდა (გორისა). (იხ. ქავთ.).

სარიყავ-ი ზღვის ქვიანი ნაპირი, — რიყე. ამა და ამ ნეფეს ამა და ამ ადგილზე სარიყავი აქო. თხოვა მეფეს ეს სარიყავი (ფარცხნალი).

სარკვევ-ი ხის პატარა გობი (ხელფინა), რომელსაც ხმარობენ ხორბლელის გასაწმენდად (დასარკვევად) მიწისა, ბზისა და სხვა მისთანათაგან. სარკვევი მიგაქ? (ხევი); სარკვევს ვეტყვით გობს, იმაზე დაყრიან და დაარკვევენ (იხ.) პურს (იქვე).

სარკვეველა იგივეა, რაც სარკვევი (იხ.). სარკვეველაზე ყრიაან პურს. ანძრევენ, მარცვალი ცალკე რჩება, მიწა ცალკე გამოდის (ხევი).

სარკმელ-ი იგივეა, რაც საკმელი² (იხ.). სარკმელი პატარა ფანჯარაა, ნაკელის გადასაყრელი, ლაფარტქით გადაყრით (ხვაშითი). იხ. სარკმელა, სარკმელი, სარკმელა.

სარკმელ-ი იგივეა, რაც საკმელი² (იხ.). სარკმელი უსტეკლოა და უჩარჩოვია. სარკმელიდან ბოსელში შამოდის სინათლე და იყრება ნაკელი (მანდაეთი); სარკმელს აკოშკასაც უძახიან (რგანი). (იხ. გურამ. სასინათლო, ქყ., განმარტ. ლექსურდუმი მნიშვნ. 1, ი. იმნ. ქრესტ. სარკუმელი).

სარკმელა || სარკმელა იგივეა, რაც სარკმელი (იხ.). ბოსელს აქ სინათლის შამოსასვლელათ სარკმელა (ქორეთი); სარკმელა იხმარება ნაკელის გადასაყრელათ (ვანი).

სარნა იგივეა, რაც თადარი, ისარნა, (იხ.). საწნახელის წინა ნაწილია ისდური. ვისაც აქ, სარნას დოუდგამს მას წინ ტკპილისთვინ, ანდა ქვაბს, ან სხვა ჭურჭელს (ქვაციხე). (იხ. ბ. წერ.; შდრ. ქყ.).

სარტყელ-ი ძელი, რომელიც ოთხივე მხრივ უკეთდება სახლს კედლების ზევითა ნაწილში ჭერის კოჭების საყრდენად. სარტყელი უკეთდება სახს ოთხივე მხრივ სამერჩე ქირიშების (იხ.) საყრდენათ (ტაბაკინი). (იხ. მენთ.; განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2). იხ. დასარტყელავს.

სარქეულა საქონლის დასაბმელად რქაზე გამობმული ბაწარი. სარქეულა გოუწყვეტია ხარს (ხიდარი).

სარქველ-ი ხის მრგვალი ფირფიტა, რომელიც ან მთლიანია, ან ორი ნახევარსფეროსაგან შედგება და იხმარება როგორც პატარა, ისე დიდი ქვევრების (ჭურების) დასახურავად. სარქველი არი აქა, ბადიმი აქ არ არი, ქვევრსაც სარქველი აქ და ჭურსაც (ტაბაკინი, ფუთი); ჭურის სარქველს ჩვენ ცეცხში გავლანჯამთ, რო გაშავდება, მერე გავფხიკამთ, ნახშირიანი გვერდი რო აქ, სუფთა არი და აყალოც აღარ

ეკრდება (შრომა). || ხის მრგვალი ფიცარი, რომელიც მთლიანია და უყეთდება დიდ კურსს. შუაში სარქველს რგვალათ აქ ამოჭრილი და ეფარება ბადიმი (სვერი). || სარქველია ორი ნახევარსფეროიანი ხის თავსახურავი, რომელიც ქვევრს ეხურება. კურსს ბადიმი (იხ.) უნდა (პორითი). || სარქველი და ბადიმი ერთია ორივეი (მანდაეთი). || ქოთნის თიხის თავსახურავი. სარქველი მოხადე ქოთანს (ბერეთისა, ჭალაურთა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1; შდრ. რუსთ. სარქმელი, ჯოხ. 60 სარქვეველი).

სარქველ-ი ქოთნის თავსახურავი, — სარქველი. ლობიო გადადის, სარქველი ახადე (ბაჯითი).

სარჩეველა ნაყლები. ეს გოგო სარჩეველაია, ახლანდელი ახალგაზდაები ჩემისთანა არ არიან (ქვები). (შდრ. განმარტ. ლექს.). სარჩიელა სიმინდის გასარჩევი წვეტიანი ჯობი ან ლურსმანი. სარჩიელა შემატყტა ხელზე (სვერი); ლუსმანი იპონე სადმე სარჩიელათ (იქვე); არა აქ სარჩიელაი (წიფა). (იხ. განმარტ. ლექს. ქართლ. სარჩეველა, იმერ. სარჩიელა; შდრ. მენტ., განმარტ. ლექს. სარჩიელი).

სარჩო-სამყოფ-ი სარჩო-საბადებელი. სარჩო-სამყოფი მიცვა (ბაჯითი).

სარცემლე საცრემლე. სარცემლეს ველარ გააკეთებდენ იქა (ღორეშა). იხ. რცემლი.

სარციქველ-ი „საოჯახო ნივთები (ჭურჭელი, ავეჯი, და სხვა იარაღი...), რომლებიც შეიძლება მეზობლებმა ერთმანეთს ათხოვონ“, — საციქველი. გინდა აქანა იცხოვრე, გინდა სარციქველს მოქცემო (მორბჷვეთი). (იხ. განმარტ. ლექს. საციქველი მნიშვნ. 1, მაის. საციქველი).

სარცხ-ი ბლის (იშვიათად კომშის ან არყის ხის) ქერქისა ან კრაზანასა და თავისარასაგან დამზადებული ქვევრების სარეცხი. დასახელებულ მცენარეთა ქერქის შიგა ნაწილს, ოთხკუთხედად დაჭრილს და ფენებად დაწყობილს, ან გრძელ ტარზე აასხამენ პატარა ქვევრების გასარეცხად, ან დიდი ქვევრების (ჭურების) სარეცხად შუაში გაუყრიან მოკლე ტარს, რომელსაც ორივე მხრივ ეყიდება ხელი. ბლის კანისაგან ვაკეთებთ სარცხს ან თავისარა ეკლისაგან (ქვაციხე); სარცხათ ვაკეთებთ ბლის ქერქს. აქ ოფიკო (იხ.) არ იხმარება. ბლის კანის სარცხი მაქვეით მოკლეტარიანია; ჩვენი ზეიდან რეცხამს, გძელტარიანია (მოხვა). (იხ. დ. ნ. ჩუბ., მენტ., განმარტ. ლექს., ჯოხ. 60). იხ. სარცხელი, სარცხლი.

სარცხელ-ი || სარცხლ-ი იგივეა, რაც სარცხი (იხ.). სარცხელს ვამზადებთ კომშის ან ბლის კანისაგან (ზედუბანი); ფენებადაა დაწყობილი ბლის კანი და შუაში გაყრილი აქ ხელის მოსაკიდებელი ტარი,

ორივე მხრით ეკიდება ხელი. არი გრძელტარიანი სარცხელიც. ტარსა და ბლის კანს შორის პატარა, რიზინის რგოლებია, რო კანი აო გაცვთეს (ტაბაკინი); სარცხლი კეთდება ან ბლის, ან არყის კანით (ხიდარი); დიდი ჭურის სარცხლს რო ვაკეთებთ, ოფიკოში გაყრილია პატარა ტარი ხელის მოსაკიდებლათ, ორივე მხრივ ტარი ოფიკოს (იხ.) ვარეთაა და ხელები ეკიდება. ტარსა და ოფიკოს შორის არის ხის ნაჭერი — ბალიში და აქ წკნელის რგოლი, რომელიც ამგრეფს ტარს (ჩიხა); სარცხლი ორგვარია: საზედაო, გძელტარიანი (მალლიდან რეცხამს ქვევრს) და საქვედაო, მოკლეტარიანი, ორივე ხელი ეკიდება აქეთ-იქით, ჩასავალი ჭურები ირეცხება იმით (ჩიხა). (იხ. საბა, ბ. წერ., ჯაჯ. IX, კუმბ. 84, განმარტ. ლექს., ლეჟ. 69). იხ. საზედაო სარცხელი, საქვედაო სარცხელი. სარძიკველ-ი საძირკველი. სარძიკველი გათლილი ხეებია, რომელიც სახს ქვედა ნაწილში ოთხივე მხრივ უკეთდება კედლების საყრდენათ (ტაბაკინი).

სარძიკველს გასკვნის საძირკველს ჩაყრის. ხეფს გადაკდოფს, ე. ი. გეიდება ხეები და დაიწყება სახლი (მოხვა). (იხ. განმარტ. ლექს. საძირკველი, საძირკველს გასკვნის, ძიძიგ. ქრესტ. საძირე).

სარწაელავ-ი იგივეა, რაც საზღვაური (იხ.). სარწაელავია ჭერსა და ჭერს შუა (იხ.) ბოსელში დატოვებული ცარიელი ადგილი, რომელშიაც საქონელი შარდავს და ნაკელს ყრის (ზარანო); ჭერიდან ჩამოყრილი ნეხვი ეყრება სარწაელავზე და იმაზე გამოხვეტენ (ხიდარი).

სარჯელ-ი სასჯელი. ჭურდფს რამდენი სარჯელი აქ იცი? (წირქვალი); მამაჩემა უჩივლა და სარჯელი გაღუწყვიტეს (მანდაეთი), სარჯელი არ ეკუთვნის ამას (ხიდარი). (იხ. ულ., განმარტ. ლექს.; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ.).

სარჯული-ი მსაჯული. რვა წელიწადია, სარჯული რო ვარ (წირქვალი); სარჯულათ ვიყავი ხუთ წელიწათს (ბოსლვევი).

სასაპონე || სასაპონე ხანწი იგივეა, რაც საპნის კათხა (იხ.). სასაპონე ურმის ჭალაზე ჩამოკიდებული ყანწია, რომელშიც ასხია წყალში გახსნილი საპონი. მას ხმარობენ ლერძზე მოსასმელათ სატოკავის (იხ.) შეერთების ადგილში, რომ ურემა არ იჭრიალოს (დილიკაური); ფჩილის კაპზე ჩამოკიდებულია სასაპონე ხანწი (ტაბაკინი). (იხ. ულ. ქარახსი).

სახახნაო მიწა იგივეა, რაც სანახნაო (იხ.). სასახნაო მიწა ყოფილა იქა. სასახნაო მიწაა, რომელზედაც სიმიდს თესენ (შუქრუთი).

სასელო სხალი წვრილი, ყვითელი მსხალია, აგვისტოში მწიფდება. სასელო სხალი მარტო ჩვენ ვვაქ და ბოვშეფს ვერ დოუკავევ (ლიჩი). (შდრ. ალავე. ლეჩხ., ოკრ. სასალო, სოსელო).

სახილავე-ი სპეციალურად გაკეთებული ორმო, რომელშიაც წვიმის დროს ჩადის წყალი, რომ სილა დაილექოს და ეს დალექილი სილა იხმარონ გარემოში გასანოყიერებლათ (მანდაეთი).

სასიმიდე სიმიდის შესანახავი ნაგებობა, — სასიმიდე მეტწილად ორსართულიანია, ზედა სართულში არის თვით სასიმიდე, რომელიც უპირატესად მოწნულია წნელით, ძელურია ან იშვიათად ფიცრულია, მაგრამ ფიცრები ერთმანეთთან ისეა მიერთებული, რომ ჰაერი თავისუფლად მოძრაობდეს და სიმიდი გამოშრეს. ზედა სართულში სასიმიდესთან ერთად მოთავსებულია სიმიდის საცეხვი (საბეგვი), რომლის იატაკი მკიდროდ არ არის დაგებული, ან ნაპრალები აქვს, ან ნახვრეტები, საიდანაც დაცეხვის შედეგად სიმიდის მარცვლები ჩამოდის ძირა სართულში — ხულაში (ზვარე, წიფა, ჰარტალი); სასიმიდე შედგება სამი განყოფილებისაგან, ორში ყრია სიმიდი. შუა ნაწილში დაგებულია ფიცრები, რომელთა შორის ნაპრალებია, იქ დაყრიან სიმიდს და ურტყამენ კეტს, რომ მარცვალი მოცილდეს ნაჭურჩალს. ამას ქვია საცეხავი. საცეხავიდან სიმიდი ჩამოდის სასიმიდის ქვედა ნაწილში, რომელსაც ცხრილებზე ყრიან და ცხრილავენ. ეს არი საცხრილავი. ე. ი. სასიმიდეს აქ 4 განყოფილება, სამი ზევით, ერთი ქვევით (სვერი); სასიმიდე და ხულა ორსართულიანი შენობაა, სასიმიდე მოწნულიც შეიძლება იყოს, ძელურიც. ზედა სართული 2 განყოფილებისაგან შედგება, ერთ განყოფილებაში სიმიდს ყრიან, მეორეში ცეხვავენ და საცეხვს უძახიან. სიმიდს ურტყამენ კეტს, იფშვნება და იატაკიდან, რომელიც ან დაცილებულია ერთმანეთს, ან დახვრეტილია, ჩადის ძირს. ქვედა ნაწილს ქვია ხულა, სადაც მარცვალს ყრიან (სავანე); სასიმიდე რგვალი ხისგან არი ნაშენი და შიგ თავისუფლათ მოძრაოფს ჰაერი, მასში ოთხ ტონაზე მეტი არ ჩავა (ზარანი). || სასიმიდე პატარაა, წაბლის გძელისაგან კეთდება, ნალია დილია, ფიცრებისაგან კეთდება (ხიდარი); სასიმიდე ფიცრების არ შეიძლება, არ ვიცით, ახლა აქ არავის აქ ფიცრებისი (შუქრუთი); სასიმიდე არი რგვალი ხეებისი, სიმიდს ჯერ ნალიაში ახმობენ, მერე გადაიტანებენ სასიმიდეში (ქვედა საქარა). (იხ. განმარტ. ლექს.).

სასიცხარი ადგილი იგივეა, რაც საფიცხარი (იხ.). სასიცხარი ადგილია, სადაც მზე უყურეფს და მწირი მიწა არი, ქვიშინი, უხეთო მიწა (ვახანი); სასიცხარი დაბალი ადგილია, უდიანი, სიცხე იცის (ზვარე).

სასტუმროს მეირჩენს იგივეა, რაც სანამუსოს. დატოვებს

(იხ.). სტუმარი სულ რო არ შექამს რასმე და ცოტას მეირჩენს, იტყვიან, სასტუმრო მეირჩინაო (სანახშირე).

ხახულე იგივეა, რაც სადულარი (იხ. მნიშვნ. 1). სასულე ქვევრის სარკველის შუა ადგილზე ხვრეტში მოთავსებული ლერწმის მილია, რომელიც ამოდის მიწის ზევით, რო დუღილის დროს გამოყოფილი გაზები ამოიტანოს ზევით (ტაბაკინი); ჰურს უტოვებენ სასულეს იმისთვის, რო დუღილის დროს გამოყოფილი გაზები ამევიდოს ამ სასულედან. სასულეზე დადგმული არი თიხის მილი, რომელიც იცავს ჰურს, რო სასულედან არაფერი ჩაცვინდეს შიგ (შროშა); ჰურს დავახურამთ ბადიმს, შუაზე ამოჭრილა აქ და დაადგამ თიხას მაღლიდან, რო აერი ამევიდეს და იბუყბუყოს, იმას უძახიან სასულეს (შომახეთი, ქორეთი); სასულეთ იხმარება ლერწამი, დოქის გადანატეხი არ ვარგა. რო მევიდეს ლეშტეოი წუმაი (იხ.), დაბალი ყელი აქ და სამთავრაიდან (იხ.) წყალი გადავა დოქის ყელში და ღვინო გაფუჭტება. იმას ჯობია. ფერა-ფერას ძირი, ფთა ადგილებზე იცის ამოსვლაი, წითელი კუმპალივით არი, სხვილი ლერო აქ, შუშუტო (იხ.) აქ ბევრი და ჰაერი ამოდის (პირველი სვირი); მოჯეჯილ წკნელს უკეთეფთ სასულეთ (ლიჩი); ჯოხს ჩავასოფთ დუღილის დროს, რომ ტკილი არ დაიქცეს და ჰაერმა იმოიროს, ესაა სასულე (ქვაცხე); დუღილის დროს გოუკეთეფთ სასულეს, ჩამს მიწის ზეით, ჯოხია სასულეთ (შოხვა). || თიხის მილი, რომელიც თონეს გაკეთებული აქვს ძირში, რომ ჰაერი შევიდეს და გააღვივოს ცეცხლი (განთიადი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, დიალექტ. იმერ.; ლექ. 71, კუმბ. 85; შდრ. ქირ.).

ხახულელო საავადმყოფო სულით ავადმყოფებისათვის. მერე ისა მოარჩინეს სასულელო შია (წიფა).

ხახუფთაო სუფთა წყალი, რომელსაც გარეცხვის შემდეგ, სულ ბოლოს, გამოავლებენ ჰურს. სატალახოს (იხ.) მერე სასულეთაოს გამოვაკლეთ (ლორეშა).

ხახორის უღელი ხე, რომელზედაც ჰკიღია სახორის ხის ჯამები. სახორის უღელი აქეთ არი (შომახეთი).

ხახამ-ი ქსოვის დროს მაქოთი ქსელში გასატარ-გამოსატარებელი მომსხო ცალწვერი ძაფი. დასაქსელავი უფრო წმინდა იქნებოდა, სახამი—უფრო მოფსხოი. სახამი შვილოთ იყო, მასრაზე დაახოვდი, მასრას მაქოში ჩადებდი და,—საშვილაოს უძახოდენ,—სახამს რო მოაცემდენ, საშვილაო (იხ.) ტრიალობდა (მანდაეთი); სახამი დუნეთ ირთვება, რო გაკრამ მაქოთი; თუ დაგრეხელი იქნა, დეიწაწინება. დუნეთ დართვა დაუგრეხავათ დართვაა (განთიადი). (იხ. განმარტ. ლექს.; შდრ. ქავთ.).

ხახვიმინდროთ სხვა დროისთვის. ახლა არ ვარგა, მარა სასხვი. მინდროთ მაინ გამოდგება (ხრეთი).

ხახლაბ-ი სასხლავი. სასხლაბი მამიტანე (ტაბაკინი).

ხახლავა იგივეა, რაც სასხლაბი (იხ.). წინათ რო არ იყო მავრატელი, ვენახს სასხლავათი სხლავდენ. ახლა სასხლავას ხარდნის დასამახავათ ხმარობენ (პირველი სვირი); სასხლავა არი ხის ტარიანი, ნაჯახის პირის შქონე იარაღი, რომელსაც ხარდნის დასამახავათ ეხმაროფთ (იქვე). (იხ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 331, ჯაჯ. IX, კუმბ. 83, განმარტ. ლექს. სასხლავი მნიშვნ. 2).

ხახლღ-ი || სასხლღ-ი სასხლავი. ვენახს ვსხლღმდით პაწია სასხლღებით (ხევი); შემეშინდა სასხლღეს წამართმევს-მეთქი (დილიკაური). (იხ. ბ. წერ., ქავთ., ლეჟ. 66).

ხახლღვა იგივეა, რაც სასხლაბი, სასხლავა, სასხლღები (იხ.). მიე სასხლღეპაი (ხიდარი). (იხ. ბ. წერ., ჯაჯ. IX).

ხახლღტ-ი 1. იგივეა, რაც რუსთავი (იხ.). წყალი რო ბევრი არ გამევიდეს წისქვილისკენ, გოუყეთებენ სასხლღტს. სასხლღტი ფიცარია, რომელზედაც დააყრიან მიწას, ქვეფს. დააბრუნეფს უკან ისი წყალს. უსასხლღტოთ არ შეიძლება წისქვილი (მორძგეთი). 2. სასხლღტი ფრინველის დასაპერი მახეა (სვერი). (შდრ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

ხატალახო || ხატალახოს ამოვლება რეცხვის დროს ქვევრებში სარცხით წყლის პირველი გამოვლება ტალახისა და ქუჭყის მოსაშორებლად. პირველათ ქურში ჩაასხამენ წყალს, ამოწმენდენ, რაც ნეშო და ტალახი იქნება, და ეძახიან ხატალახოს ამოვლებას (ტაბაკინი); ჩავა კაცი ქურში და, პირველათ რო გამოავლებენ სარცხლით წყალს და ამეიღებენ ვედრით, ესაა ხატალახოს ამოვლება (განთიადი); ქურს რეცხევენ პირველათ წყლით და სილით, ეს ხატალახოს ამოვლებაა, მერე სუფთა წყალს ავლებენ, სასუფთაოს (ლორეშა). (შდრ. კირ., ბერ. სა-ტალახო, განმარტ. ლექს.).

ხატახტავი-ი სასახლე, ჰადაც სამეფო ტახტი დგას. ჭარში რო ვიყავი, თითვან ნეფის სატახტავში ვიყავი, ნეფის სადგომში, სასახლეში (წოვრეთი).

ხატეგობა ტევა. სატეგობა აღარ იყო ამდენი ცხენის (ხიდარი).

ხატეხი || ხატეხავი კალათი ტეჩისაგან მოქსოვილი პატარა, მალაღნაპირებიანი გოლორი. სატეხ კალათს მანდაეთში საზურგელა კალათს (იხ.) უძახიან (წყალშავი). იხ. ზურგსაკიდი.

ხატეხე სადურგლო იარაღი ხეზე ნახვრეტების გასაკეთებლად. სატეხე ხვრეტამს ურმის ხუნდს, ჩარჩოეფს (მანდაეთი, ზედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს. სატეხი მნიშვნ. 3, ქავთ.).

ხატკბილე || ხატკბილე იგივეა, რაც თაღარი, ისარნა, სარნა

(იხ.). სატკპილე თიხის დიდი ვიწროძირიანი ქურქელია, რომელშიც საწნახლიდან გადმოდის ტკპილი, საზანოში გამიგონია სარნა (შუქრუთი); ჩვენ სატკპილე ვიცით, გეჯა არ ვიცით. გეჯას უძახით ჩვენე ხის ქურქელს, რაშიც ხორცს ვაწყობთ (წყალშავი). ჩვენ სატკპილე ვიცით, არც თაღარნა, არც ისარნა არ გამიგონია (საბე); საწნახელს უყუდეფთ ან სატკპილეს, ან ჩვეულებრივ ქვაფსა (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს.).

სატოკავი-ხელნის (ზესადგარის) ის ქვემოთა ნაწილი, რომელიც ან სქლად გამოთლილია ღერძთან შეხების ადგილას, ან მიკრული ხის ნაქრით არის შესქელებული, რომ ურმის თვის ბრუნვისას ღერძმა არ გაცვიტოს ზესადგარი. სატოკავი ან ხის ნაქერია, მიკრული ღერძის ქვევით, გოგორას გასწვრივ ზესადგარზე, ან ზესადგარი ისეა გამოჭრილი, რო სატოკავი აქ, ხახუნის დროს ზესადგარი რო არ გაცეთეს (დილიკაური). სატოკავს უძახით საცურავსაც (საღვინე). (იხ. ქავთ. საცურავი, განმარტ. ლექს. ქიზ. იმერ. ლეჩხ. დათვა მნიშვნ. 1, საბრუნი მნიშვნ. 2, საცვეთი მნიშვნ. 2, კუ მბ. 286, საცვეთები, დათუები). იხ. საცურავი.

სატორმუზე ხე სამუხრუქე ხე. სატორმუზე ხე ზესადგარზეა ამოკრული ქვეიდან, გოგორას წინა ნაწილთან, რო თავდაღმართში დეიჭიროს ურემი და ხარს არ წაართვას თავი (ვანი).

საულლე იგივეა, რაც კულამი, სამატი (იხ.). ფჩხილაები დვლენქით, რომელსაც საულლეს უძახით, მიმბულია უღელზე (მოხვა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, კუ მბ. 279).

საფაიქრო საფეიქროში დამზადებული ქსოვილი. საფაიქროს ქსომდენ, შალეფს ქსომდენ (მოხვა). (შდრ. დიალექტ. რაქ. მოხ.).

საფანცკი იგივეა, რაც შამპანი (იხ.). საფანცკი ყველაზე ადრე შამოდის, თეთრი, საშვალო ან უფრო პატარა მარცვალი აქ. თხელი ღვინო იცის (დილიკაური).

საფაფურ-ი საკვამური. ე ჩემი შვიდ-ისარი დეეების საფაფურში ჩეესოსო (მერეთისა); ნაცარქექია სახს დეეტაკა, სტაცა ხელი საფაფურში (ვახანი); სახს ან ერლო (იხ.) ქონდა, ან საფაფური (ბაჯითი). (იხ. ბერ. ლა-ფაფი, სა-ფაფური; შდრ. კყ.).

საფენალი-! პურის ცომის მოგუნდავებისას ვარცლზე (გობზე) მოფენილი ფქვილი, რომ ცომი არ მიეკრას ვარცლს. გობზე რო პურის გუნდის ქვეშ დაფქული გვექნება, საფენალს იმას უძახით (წირქვალი); (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., მენტ., განმარტ. ლექს. საფენელი მნიშვნ. 1, კინკ., კუ მბ. 262, საფანელი). || შექამანდის შესასქელებლად გამოყენებული ფქვილი. მანკუალას (იხ.) მოხარშამ კათა, ტყემალი ვიცით, ნიგოზი, ნიორი, საფენალი, გაქნამ და ამოუკიდეფ შიდა (შუქრუთი); საფენალია საქამადში რო შოუ-

რევ გინა ჭადის, გინა პურის ფქვილს. პურის გუნდას რო მოუფენ. ისიც საფენალია (იქვე). (შდრ. ჯაჯ. IX საფენალი, ქავთ. საფენელი). იხ. საფენელი.

საფენალ-ი² || საფენელა იგივეა, რაც გასაყარა (იხ.). ზესადგარში გაყრილია საფენალები, სამი ცალი უწყვეტებია (იხ.), რომლებიც გადის ნაპირში (ბოსღევი); ზესადგარს აქ გაყრილი საფენელები, რო დეიკავოს ზესადგარები. საფენელა არი რვამდი (ბორითი); საფენელა (ლაფანი) ზესადგარში 8-10 ცალია (ხიდარი).

საფენელ-ი იგივეა, რაც საფენალი¹ (იხ.). საცივს უნდა ნიგოზი, კვერცხი, ქინძი, შაშველაფი, ცოტა ქონდარი, საფენელი (დილიკაური). (შდრ. ქავთ.).

საფერი || საფერე იგივეა, რაც საფერავი (იხ.). საფერი არი იმერული და კახური (პერევი, შომახეთი); საფერემ პატარა ტევანი იცის, საფერე მაჩანაურს შეკრული დიდი ტევანი აქ (ბაჭითი); საფერეს საშუალო ზომის მარცვალი აქ, სრული სიმწიფის პერიოდში მარცვალი ძლიერ შავია. საშუალო ზომის მკიდრო ტევნები აქ. სხმოიარობა კარგი აქ. პატარა ტევნები რო იცის, სხმოიარობამ რო გეიზარდოს, საფერავის ცეტვრა (იხ.) ხთება (შროშა). (იხ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 440, განმარტ. ლექს., დიალექტ. იმერ., ქავთ.).

საფერე თავკვერი იგივეა, რაც თავკვეერი (იხ.). საფერე თავკვერი ქართლის ჯიშია, შავი. ცოტას იბამს, მარა იცის სხვილი მარცვალი (ბაჭითი). (იხ. საქ. ამპელ. 157, დიალექტ. ქართლ. თავკვერი).

საფერე კახური იგივეა, რაც კახური საფერი (იხ.). საფერე კახური წითელი ყურძნის ჯიშია (ზეღუბანი). იხ. საფერავი. საფერავი კახეთის მთავარი საწარმოო შავყურძნიანი ვაზის უძველესი ჯიში, გვხვდება საქართველოს მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში. ზემო იმერეთში იგი ცნობილია კახური საფერავის, ანუ კახური საფერის, სახელწოდებით. აქვს საშუალო ზომის, საშუალო სიმკვრივის მტევანი, მომრგვალო მუქლურჯი, სრულ სიმწიფეში კი შავი მარცვალი, კარგად უძლებს ნაცარს, სუსტად — კრაქსა და ფილოქსერას, იძლევა მაღალი ზარისხის სუფრის ღვინოს. საფერავი არი კახური და ადგილობრივი ჯიშისა (გორისა); საფერავი შავი ყურძენია. მომრგვალო მარცვალი აქ (ხვაშითი); საფერავი არი ადგილობრივი ჯიშის — ოცხანური და კახური. კახური საფერავი დაბალტანიანია. დიდი შეკრული ტევანი აქ, ოცხანური საფერავი დასავლეთ საქართველოს შავმარცვლიანი ჯიშია, მაღალი იზდება, აქ შეკრული პატარა ტევანი (იღემი, ტაბაყინი). (იხ. დ. ნ. ჩუბ., ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ.

II, 418, 428, განმარტ. ლექს., დიალექტ. კახ.-ქიზ., ტაბ. II, 69-84, საქ. აპკელ. 281-290, რ. ცხილ. 95-96).

საფერხელ-ი იგივეა, რაც **საფერხული** (იხ.). **საფერხელს** უძახით ბელლის წინ თავისუფალ ადგილს (მანდაეთი).

საფერხულ-ი ბელლის თვლების წინ თავისუფალი ადგილი, სადაც დგებიან, რომ ამოიღონ თვლებიდან, რაც სჭირდებათ. **საფერხული** თვითონ ბელლის თვლების წინა ცარიელი ადგილია. ბელლის წინ ქვა რო დევს, ფეხი რო დაადგა და შეხვიდე ბელელში, მას ქვია **საფერხული** (ხვაშითი); **საფერხული** იგივეა. რაც ბელლის საფეხური (იქვე). (შდრ. ბ. წერ.).

საფეხურ-ი იგივეა, რაც **საფერხელი**, **საფერხული** (იხ.). ბელლის თვლების წინა თავისუფალი ადგილი, სადაც ფეხს ადგამენ და ბელლის თვლებში შედიან, — ბელლის თვლეფში გადასასვლელი — არი **საფეხური** (ზედუბანი, შომახეთი).

საფთილაო კალათი მატყლის ფთილების ჩასაწყობი კალათი. **საფთილაო კალათი** დავაბარე საყიდლათ (ჯალაურთა, წყალშავი). **საფთხულ-**ი შესაშინებელი, დამაფრთხობელი. ეცხვარი **საფთხული** დასანახავი იყო მაკეობაზე (ბოსლევი). (იხ. **საბა** საფრთხოლი. დ. ნ. ჩუბ. საფრთხული, საფრთხობი, განმარტ. ლექს. საფრთხული). **საფიცხარი** ადგილი ადგილი, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში მზე დაჰყურებს. **საფიცხარი** ადგილია ესე, სულ მზე უყურეფს (ლორეშა). (იხ. ალავ. ოკრ. საფიცხარო: შდრ. ქეშიკ. მზვარე).

საფსე საფსე. **საფსეა** გოდრები (შროშა). (იხ. ყლ., დიალექტ. იმერ. ლეჩხ. გურ.).

საფუარს ჩააგეფს საფუარს დაამზადებს. ჩააყენებს. **საფუარი** ჩავაგე (ქვაციხე).

საფუნებელ-ი საფუარი. როცა ბევრია პური მოსაზელი, **საფუნებელს** უკეთეფთ (ზარანი); ჯერ **საფუნებელი** ჩააყენე (წირ-ქვალი). (იხ. ბ. წერ.: შდრ. ძიძიგ. ძიძებ., დიალექტ. მოხ. მახუხი). იხ. **საღუებელი**.

საფუჩეჩე ფუჩეჩის, თივია შესანახავი ადგილი, წნელით მორაგულ: (სინონ. კორომი, საბძელი). თივა მაქ გაფენილი და უნდა შევეყარო **საფუჩეჩეში**. კორომიც ქვია, მარა ჩვენ **საფუჩეჩეს** ვეძახით (ბოსლევი).

საფხაჰ-ი ფიცრის ნაპირებზე ხაზის გამვლები ხელსაწყო (ზედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს. კაწარა).

საქადულოთ სასიქადულოდ, საამაყოდ, დასაჩემებლად. ეს ერთი **საქადულოთ** მაქ (ლოდორა).

საქაჩაო იგივეა, რაც **საქაჩველი** (იხ.). **საქაჩაო** ხე იყო,

მოუქერდით ქაქას. გამოდიოდა ღვინო, საწნახელში ეწურემდით და პერე აქ ჩაყრიდით ქაქას (ჩიხა).

საქაჩველ-ი ქაქის დასაწნეხი მოწყობილობა, — წნეხი. საქაჩველის ქვედა ნაწილი გათლილი ამოღრმავებული ქვაა, მასში ყრიან ქაქას. ქვას აქ ორი წყება ღარი, წინ ინდური (იხ.), რომლიდანაც გამოდის ღვინო და ჩადის გეჯაში. ღარს შამოყოლებული აქ ფიცრები, ქაქა რო არ დეიბნეს, მალლიდან დაუღლულია ხის უღლებით, — ხის ფიცრებია შეკრული ოთხკუთხედათ, — და ჩეიყრება შიდ ქაქა. რო გეიმსება, დავადეფთ დიდ გამწდიერ რგვალ ფიცარს (იხ.), რაც დაფარავს ქაქას, მერე დავადეფთ ზეიდან დიდ ხის ბელიშს (იხ.). საქაჩველს ზეიდან აქ ოთხი ბოძი, რომელშიც გაყრილია დიდი ხე, ამაში — რეზბიანი ხე, რომელზედაც წამოცმულია დიდი რგვალი გათლილი ქვა — მარნის კვირისტავი (იხ.). რეზბიანი ხის ბოლოში არი ნახვრეტი, რომელშიაც გოუყრიან ხის კეტს. ამის საშვალეებით როცა წაღმა დავაბრუნეფთ კვირისტავს, ძირს წამოვა, რეზბიანი ხე როა გაყრილი, ის დიდი ხე, დააწვება ქაქას და დაქაჩავს. უკუღმა რო დავატრიალოთ, მალლა წავა ეს გაყრილი ხე და დოუმატეფთ ქაქას (სვერი, მანდაეთი). (იხ. ბ. წერ., ალავ. ლეჩხ. ეთნ. წბერი, ოკრ. მერე-ტაფა, განმარტ. ლექს. საქაჩავი მნიშვნ. 1, ლეჟ. 72, საწბელე; შდრ. დ. ჩუბ. საქანჩავი, საქაჯავი, საქაჯელი).

საქედურ-ი 1. უღლის ის ნაწილი, რომელიც ხარს კისერზე ადგას. უღელი რო დეედგმება ხარს, საქედური დეედგმება კისერზე (განთიადი). 2. უღელზე სამატის დასამაგრებელი ბაწარი, რომ სამატმა არ იმოძრაოს და თავდაღმართში ხარებს თავის დახრის შესაძლებლობა არ მიეცეს. საქედური გამიწყტა და ხარები კიღამ დემეხჩო, უღელი მოაწვა კისერზე (ტაბაკინი). (შდრ. დ. ჩუბ., განმარტ. ლექს., ალავ. ოკრ.).

საქვაბე ბუხარში ან შუაცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდებელი კავიანი ჯაჭვი. საქვაბეზე ჩამოკიდე ქვაბი, ქათმისთვინ წყალი შამოდგი (უჩამეთი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. მნიშვნ. 2, დიალექტ. რაქ. ლეჩხ., ალავ. ლეჩხ. XIII საქვაბური).

საქვედაო სარცხელი სარცხი, რომლითაც რეცხენ დიდ ქვევრს შიგ ჩასვლით (შდრ. საზედაო სარცხელი). საქვედაო სარცხელი ორგვარია: ერთი, ბლის ტყავს დაახვევენ „რულეტივით“ და, რომ არ დეიშალოს, ბოლოში შამოუქერენ წკნელს; მეორე, დააწყობენ რამდენიმე ფენა ბლის კანს და შუაში გაუკეთებენ ტარს, რომელსაც აქეთიქით მოკიდებენ ხელს, და რეცხენ ჭურფეს (განთიადი); საქვედაო სარცხელი ასეა გაკეთებული: ოფიჭოში, შუაში, გაყრილია ტარი და ორივე მხრივ ეკიდება ხელი, იხმარება დიდი ჭურის სარეცხათ, შიგ რო ჩახვალ (შუქრუთი). (იხ. ჟაჯ. IX).

საქვენაქრო ადგილი ადგილი? რომელსაც ქვენა (დასავლეთის) ქარი ხვდება. ჩვენ საქვენაქრო ადგილზე ვცხოვროფთ (ზარანი).

საქმეში ამოფუა სული საქმეში ამოსდის სული, საქმეზეა გადაგებული. ნიკალას ვერ მოასვენეფ, საქმეში ამოფუა სული (შომახეთი).

საქონე ფრინველის კურტუმოს ზედა უვარგისი ნაწილი, რომელსაც აქნის დროს ჭრან და აგდებენ. ქათმისთვის საქონის მოჭრა არ დაგვიწყდეს (შომახეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

საქორწილო საქმროს მიერ საცოლის მშობლებისათვის, წინასწარ შეთანხმების თანახმად, საქორწილოდ მისატანი რამ. მამასახლისი იყო ბიძაჩემი და, ბიცოლა რო მეიყვანა, მის ოჯახს ძროხა მუუყვანა, უყოლი დეკეული. არ მიიღეს ძროხაი: — ღორი გავირიგდიო. ჰაშინ იცოდენ ასე, უნდა მიგეტანა რამე საცოლისთვის, საქორწილოს ეტყოდენ (მახათაური). (იხ. დიალექტ. მოხ. ურეთი; შდრ. ბ. წერ., განმარტ. ლექს.).

საქსვალ-ი საქსელე ძაფი, — დასაქსელავი. მე დავართი სასხამი (იხ.), იმან დაართა საქსვალი. საქსვალი უფრო წმინდა იქნებოდა, სასხამი—უფრო მოფხხოი... საქსვალი საქსოვზე იყო გადაკიდებული, სასხამი შვილოთ (იხ.) იყო (განთიადი); საქსვალი მაგრათ დართული და შეორწვერებულათ დამახული წმინდა ძაფია, რომელიც დგიმ-საბარცხალში იყრება (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს. საქსელი, დიალექტ. მოხ. საქსოვლი, საქსოლი, კინჰ. საქსლე).

საქსლე საქსლე დანადგარი, — საქსოვი დაზგა. ქსოვდენ საქსლეში (პირველი სვირი). (იხ. ბ. წერ.).

საქფილე ფქვილის ჩასაყრელი, — საფქვილე. საქფილეთ ხის დიდი კოდი გვაქ (ღორეზა).

საღავათი შეღავათი. პირველი საღავათით უმფროსი შვილი თავისუფალი იყო (ლეღვანი); საქმელზე რო იქნება შენთან, საღავათათ იქნება (წირქვალი). (იხ. განმარტ. ლექს.).

საღალავი იგივეა, რაც ღარბეში (იხ.). საღალავი განიერი ფიქარია, რომლითაც კეტენ ზოგიერთ ღარს, როცა საყოფი არ არი წყალი, რო ერთ ღარზე გადავიდოს (არგვეთი). იხ. გადასაგდებელა.

საღემ-ი (||სახვეტი) საღები ბარია. მიწის გადაბრუნებისას საქრელი ბარით მოჭრილ მიწას ვიღეფთ საღებით (ტახაკინი).

საღვინე დოქი ღვინისთვის განკუთვნილი დოქი. დოქია საყოველთაო, საღვინე და საწყლე (ქვები); საღვინე დოქი მამეცი (ღოღორა); საღვინე დოქი ნიკარტიანია (ზარანი).

საღვინე ნიტრა იგივეა, რაც ნიტრა² (იხ.). საღვინე ნიტრა ნიკარტიანია (შომახეთი).

საღვინე ჩაფი ღვინისთვის განკუთვნილი ჩაფი 12-დან 20 ლიტრამდე

ტევადობისა (სინონ. სამარნე ჩაფი). საღვინე ჩაფში 12 ჩარქა ჩადის (შომახეთი); საღვინე ჩაფი 17-ჩარქიანი ჩაფია (შვარე); საღვინე ჩაფი 20-ლიტრიანია ან ნახევარკოკიანი (ჩიხა); საღვინე ჩაფი 20-ბოთლიანი უნდა იყოს, 10-იანი თუა: ორდოქიანი მამიტანეო, — იტყვიან (იქვე).

სადინიტო საღვინეო, — ღვინეთით სათხოვი. დაღვინეთეს, რა აქ საღვინეო, არ ვიცი (ბოსლევო).

სადი-ხალამათი-ი საღ-სალამათი, ჯანსალი. საღის-სალამათი იყო ეგოგო, რა მოუვიდა? (წიფა); ცხენი ჩამიბარებია საღი-სალამათი (შვარე). (იხ. განმარტ. ლექს. სალამათი).

საღლაჭუნოთ საღაზღანდაროდ. უმუშევარ კაცს რა გინდა საღლაჭუნოთ? (გეზრული).

საღამო კარი (|| საღამოს ჯარი) საღამო ხანი, საღამო ეამი. დოუჩქაროთ, საღამო კარი მოდის (ღედვანი); ჩუმ-ჩუმით გამოყვა, საღამოს ჯარი იყო მოტანებული (სვერი); ამდგარა და დადგომია გოგოსა საღამოს ჯარზე (ხევი); ერთ საღამოს ჯარზე დაგვყენეს წყობილებაში, ამოგვიკითხეს სიით (ქვები).

საღუებელ-ი იგივეა, რაც საფუნებელი (იხ.). პურს უშვებიან საღუებელს (ქვები).

საღუნწე კისრის უქანა მხარეს, კეფის ბოლოს, ჩადრმავებული ადგილი. რამხელა საღუნწე გაქ, ბიჭო (ზარანი). (იხ. ქავთ.).

საყარ-ი იგივეა, რაც გასაყარი (იხ.). ზესადგარში გაყრილ ხეფეს თავსა და ბოლოში თავსაყარს ვეტყვით, უმფრო სქელი უნდა იყოა, შუაზე უბრალოთ აქ საყრები (ვანი); ზესადგარში 5 საყარი მაინცაა გაყრილი (სვერი); საჩხერეში აჩაჩა ურემია, ზესადგარეფში შესაყრავათ საყრებია გაყრილი, ზევიდან — ქალები (ბოსლევო). (მღრ. ქყ., მენთ., განმარტ. ლექს.).

საყბეურ-ი ნიკაპის ქვეშ ამოსადები თასმა ქუდის დასამაგრებლად. სამხედროების ქუდეფს საყბეურები ქონდა (ზედუბანი). (მღრ. დ. ჩუბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

საყე რიკტაფელას თამაშის დროს სანიშნო ქვა, საიდანაც აიზომება სათვალავი (ვანი). (მღრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., შარაშ., განმარტ. ლექს.). იხ. ისაყავეფს.

საყეობა ერთგვარი თამაშია ქვით. დიდ ქვას — საყეს დააყენებენ ვერტიკალურათ, განსაზღვრული მანძილიდან ესვრიან პატარა ქვებს და, ვინც მოახვედრეფს განსაზღვრული სათვალავის შემდეგ, ისაა გამარჯვებული. ამ თამაშს ვეტყვით საყეობას (ვანი). (მღრ. ალავ. ოკრ. საყებურთობია).

საყენებელა იგივეა, რაც გადასაგდებელა¹ (იხ.). საყენებელა ღარის კარია — პატარა ფიცარი, წყალს გადაუშეფს აქეთ-

იქით (პერევი); საყენებელა ჯობგაყრილი ფიცარია, რომელიც მავთულით მიმაგრებულია წისკვილის კედელზე, გადმოწევენ — დიეკეტება ღარი და წყალი აღარ მოეწოდება ბორბალს (ჩიხა); წყალი რა მოდის და აღარ არი საფქვევი, ღარში ჩადებენ საყენებელას და აღარ გადმოვა ღარში წყალი (შუქრუთი); საყენებელა: ხმარობენ წისკვილის გაჩერებისათვის, აკეთებენ თვითონ ღარში, თუ არ უნდათ აბრუნონ რომელიმე ქვა (გორისა). (იხ. ბ. წერ. განმარტ. ლექს. საყენებელა, მარქაფა², ალაჯ. ლეჩხ. ეთნ. საგდოლა, ნიჟ. ლაფერი³, შარაშ. საგდულაი [იხ. წისკვილი კოდისა]; შდრ. კირ. საყენებელი, ნიჟ. ლაფერი³, კახ.).

საყველე ქოთანი ქოთანი, რომელშიც ყველს იყვანენ. საყველე ქოთანში ჩაასხი რძე (ხვერი, რგანი).

საყვერულე ყვერულის სადგომი. საყვერულე წენლით მოქსოვილი გძელი გოდორია, რომელსაც ძირი არა აქვს, იდგმება მიწაზე და ზევიდან დაეფარება რამე (ხვევი); სახში დიდი საყვერულე ქონდათ და ყიოდა მამალი (ღეღვანი).

საყვრეტი-საჰკრეტი. იქანა დავჯექი ქვეყნის საყვრეტათ (უჩამეთი).

საყოლ-ი „მშობლების ოჯახი გათხოვილი ქალისათვის“ (განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3). პატარძლისათვის საყოლი მამის ოჯახია. იქ როწავა ქალი, საყოლში წევდიო, — იტყვის (ფარცხნალი); გათხოვილი ქალი იტყვის: საყოლში მივდივარო, მისი ქმარი: — მოყვარეშიო (მანდაეთი); ქალი ავით რო იყოს, თუ უთხარი, საყოლში წაგიყვანო, მორჩება (წირქვალი); ეს ოჯახი მოყვარე მინაგოსთვისაა, ტატიანესთვის — საყოლი (ბოხლევ); მე რო მიდორში ვიყავი, ის საყოლში იყო, სახში რო ცოლი დახვთერიყო, უფრო ლამაზი არ იყო? (ბერეთისა); ჩემი საყოლი ძან მდიდარი ოჯახი იყო (ზედუბანი); ჩვენ ვიტყვიო; საყოლში მივდივარო, „თავისახლი“ ჩვენ არ ვიცით (ხვერი). (იხ. ქეშიკ მამისახლი, ყაზბ. მამეულები, ბერ. საყოლი, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3; შდრ. შარაშ., განმარტ. ლექს. საყოლი 2).

საყოლებელ-ი შინაური ცხოველები და ფრინველები. საყოლებელს ვერ ყოლიოფს, საძოვრები არ არი საკმარისი (გორისა). (იხ. შარაშ. საყოლი, განმარტ. ლექს. საყოლი 2).

საყოლიებელ-ი იგივეა, რაც საყოლებელი (იხ.). საყოლიებელს უვლის. ბატიც ყამს, ინდოულიც, ცხვარიც, ძროხაც (შომახეთი); საყოლიებელის ყოლა შეიძლება, რო წყესი მყამდეს (ლიჩი); ცხოვრებაები არ ქონდა, არც საყოლიებელი (მოხვა); საყოლიებელის მოვლის მეტს არაფერს ვაკეთებთ (ხვერი). საყუდარ-ი მკადის თუ პურის აფიცებისას კეცის მისაყუდებელი.

მაგერაა საყუდარი და ეილე (ბერეთისა); საყუდარია კეცის ასაყუდებელი აგური ან ჩაფის ყელი (განთიადი). (იხ. ქავთ. კუმბ. 282, ჭაჯ. IX საყენებელა კეცისა; შდრ. განმარტ. ლექს.). საშანდლე ბუხრის თავი. საშანდლეს იმა იმიტო უძახიან, რო უმალ ზედ შანდალს შედგემდენ (ლეღვანი).

საშვაფ-ი კლდეზე ჩალრმავებული ადგილია (პირველი სვირი).

საშვაფე ტყეში ხეების თავქვე საცურებელი ღარობი, — შურო. მოკრილი შეშა უკვე ნახევარი გადმოვყარე საშვაფეზე (განთიადი); საშვაფეები გამოიყენება ძირითადად ტყეფში, სადაც ხოტბა მოკრილი შეშის გადმოყრა და დაცურება ვაკე ადგილამდე (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს. შურო მნიშვნ. 2).

საშვეტი სირნა მავთულის მარყუჭი. საშვეტი სირნა მავთულის მარყუჭია, რომლის ერთი ბოლო მოძრაობს, იგი დამაგრებულია ხეზე. რომ მოვა მაჩვი, შეყოფს თავს მარყუჭში და წაეჭირება კისერში (ბოსლევი).

საშვილაო შულოს ამოსახვევი ჩარხი, — საშულოვე. საშვილაო ოთხი მოკაყული ჭოხი იყო, შვილოს (იხ.) გადავაცემდნი (სავანე); სასხამი (იხ.) შვილოთ იყო, მასრაზე დაახოვდი, მასრას მაქოში ჩადენდი, სასხამს რო მოაცემდენ, ჭარაზე ლერწმის მასრები იყო და საშვილაო ტრიალობდა (განთიადი). (იხ. საბა საშულოვე, დ. ა. ჩუბ. საშულოვე, ბ. წერ. საშვილაო, განმარტ. ლექს., ს.მ. ტერმ. საშულოვე, ტარაბუა, მენტ. საშულავე, შაშულავე).

საშილო ვინც შვილი უნდა გახდეს, — მაზლის საცოლე. გზაში საშილო შემხვთა და ერთათ წავედით (მოხვა).

საშკვლაფ-ი იგივეა, რაც შაშკვლაფი (იხ.). ქყინტ ლობიოს თუ საშკვლაფი არ ექნა, რას ვარგა (ტაბაკინი).

საშობელი-ი ნეზვის საშო. სისხლმა დეიწყო დენა ძროხის საშობელიდან და მერე აღარ მორჩა (შროშა). (იხ. ქავთ.; შდრ. რუსთ.).

საშუბურ-ი ზღუდეების შეერთების ადგილიდან დაშვებული ნივინია (გადასაკიდი). საშუბური სახს აქ ოთხი (ტაბაკინი).

საჩალე იგივეა, რაც საზვინე (იხ.). საჩალე ზვინის დასადგმელი ხეა (სვერი); საჩალე მარგილაა, რომელზედაც ზვინსა ვდგამთ (გორისა); საჩალეა ხე, რომელიც გამოყენებულია ჩალის ან თივის ზვინის დასადგმელათ (ქვები); საჩალეზე — ზვინის სარზე ზვინსა ვდგამთ (წიფა). (შდრ. განმარტ. ლექს., კახ.). || ორკააა გრძელი ჭოკი ზვინის დადგმისას ჩალის კონების მისაწოდებლად. საჩალე გაპიტყტა და ზვინს ვერ დავდგამ დღესე (სვერი). (იხ. ქავთ.). საჩაფე ჩაფების დასადგმელი. სკამენკაზე დგას ჩაფები და საჩაფეს უძახით ჩვენე (შუქრუთი); სუფრაზე ვდგამთ ჩაფეფს და სა-

ჩ ა ფ ე ს უ ძ ა ხ ი თ (ბ ე რ ე თ ი ს ა); შ ე ი ნ ა ხ ე ტ ო მ ა რ ი ს ა ჩ ა ფ ე ს თ ა ნ (მ ე რ ჭ ე ვ ი). (შ დ რ . კ ი რ . ს ა კ ო კ ე).

ს ა ჩ ე რ ო ბ ე ლ - ი ი გ ი ვ ე ა , რ ა ც ს ა მ ჩ ე რ ო ვ ე (ი ხ .) ე ზ ო შ ი დ ი დ ი ს ა - ჩ ე რ ო ბ ე ლ ი ა რ ი თ უ თ ი ს ი (პ ი რ ვ ე ლ ი ს ვ ი რ ი).

ს ა ჩ ე ხ - ი ს ა რ ი თ ა ნ წ ნ ე ლ ი თ . შ ე მ ო ლ ო ბ ი ლ ი გ ა დ ა უ ხ შ რ ა ვ ი ს ა ზ ა ფ ხ უ ლ ო ს ა მ წ ყ ვ დ ე ვ ი ს ა ქ ო ნ ლ ი ს ა . ს ა ჩ ე ხ ი ა გ ა დ ო უ ხ შ რ ა ვ ი ბ ო ს ე ლ ი , მ ო ლ ო - ბ ი ლ ი (ხ ვ ა შ ი თ ი); ს ა ჩ ე ხ ი დ ა ნ გ ა მ ო დ ი ა ნ ს ა ქ ო ნ ლ ე ბ ი (შ უ ქ რ თ ი). (ი ხ . ბ ე რ . ს ა - ჩ ი ხ ე , გ ა ნ მ ა რ ტ . ლ ე ქ ს . ი მ ე რ . ს ა ჩ ე ხ ი ² მ ნ ი შ ე ნ . 3 ; შ დ რ . ე ლ .) . ი ხ . ს ა ჩ ე ხ ე .

ს ა ჩ ე ხ ე ი გ ი ვ ე ა , რ ა ც ს ა ჩ ე ხ ი (ი ხ .) . ს ა ჩ ე ხ ე შ ი ზ ა ფ ხ უ ლ შ ი ს ა - (ი ხ . ბ ე რ . ს ა - ჩ ი ხ ე , გ ა ნ მ ა რ ტ . ლ ე ქ ს . ი მ ე რ . ს ა ჩ ე ხ ი ² მ ნ ი შ ე ნ . 3 ; შ დ რ . ჯ ა ჯ . I X).

ს ა ჩ ქ ე ფ - ი ჩ ა ნ ჩ ქ ე რ ი . ჩ ე ვ ნ შ ი ბ ე ვ რ ი ა ს ა ჩ ქ ე ფ ი (ლ ე დ ვ ა ნ ი). (ი ხ . გ ა ნ - მ ა რ ტ . ლ ე ქ ს . ი მ ე რ . ; შ დ რ . ბ . წ ე რ . ს ა ჩ ქ ე ფ ე ლ ა).

ს ა ჩ ხ რ ე კ ი ბ ა დ ე კ უ ნ ჭ უ ლ ო ი ა ნ ი ბ ა დ ე ა , თ ა ვ ი ფ ა რ თ ო ა ქ ე ს დ ა ხ ის რ კ ა ლ - ზ ე ა დ ა მ ა გ რ ე ბ უ ლ ი , შ უ ა შ ი ტ ა რ ი ა ქ ე ს . ა მ ბ ა დ ი თ თ ე ვ ზ ს ი ჭ ე რ ე ნ ჯ ი - ლ ე შ ი (ი ხ .) , ქ ე ვ ბ თ ა ნ . ჯ ო ხ ი თ ა ნ თ ო ხ ი თ ქ ე ვ ა ს თ ა ნ მ ო ჩ ხ რ ე კ ე ნ , ქ ე ვ ს ქ ე ვ შ მ ყ ო ფ ი თ ე ვ ზ ი გ ა მ ო ვ ა რ დ ე ბ ა დ ა მ ო ხ ვ დ ე ბ ა ბ ა დ ის კ უ ნ ჭ უ ლ შ ი , რ ო მ ე ლ - ზ ე დ ა ც ძ ა ფ ი ა მ ო ჭ ე რ ი ლ ი , რ ო მ თ ე ვ ზ ე ბ ი ა რ გ ა მ ო ც ვ ი ვ დ ე ს . ა მ ბ ა დ ი თ თ ე ვ ზ ის ჭ ე რ ის თ ვ ის უ მ ჭ ო ბ ე ს ი ა ო რ ი კ ა ც ი : ე რ თ ი ჩ ხ რ ე კ ს დ ა მ ე ო რ ე ს ბ ა დ ე უ ჭ ი რ ა ვ ს (ს ი ნ ო ნ . ჯ ი ლ ის ბ ა დ ე , კ უ ნ ჭ უ ლ ო ბ ა დ ე) . ს ა ჩ ხ რ ე კ ი ბ ა დ ე კ უ ნ ჭ უ ლ ო ი ა ნ ი ბ ა დ ე ა , თ ა ვ ი ა ქ ფ ა რ თ ო დ ა ძ ი რ ი კ უ ნ ჭ უ ლ ო ს ა - ვ ი თ ვ ი წ ო რ ა , წ ვ რ ი ლ ი თ ე ბ ზ ი დ ე ი გ რ ო ვ ე ფ ს თ ა ვ ს ი ქ ა , კ უ ნ ჭ უ ლ ო ი ა ნ ს ტ ყ ვ ი ა ა რ უ ნ დ ა (შ ო მ ა ხ ე თ ი); ზ ა რ ის ნ ა ი რ ი ფ ო რ მ ის ა ა ს ა ჩ ხ რ ე კ ი ბ ა დ ე , ბ ო ლ ო ვ ი წ ო რ ა , თ ა ვ ი ქ ო ლ გ ის ე ბ უ რ ი ა , მ ო ლ ვ ე რ ი ლ რ კ ა ლ ზ ე ა გ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი , შ უ ა შ ი ა ქ ტ ა რ ი , ტ ა რ ს უ კ ა ნ მ ი ყ ვ ე ბ ა კ უ თ ხ ე ს ა ვ ი თ ბ ა დ ე . ბ ო ლ ო შ ი ძ ა ფ ი ა ქ მ ო ჭ ე რ ი ლ ი . 2 კ ა ც ი უ ნ დ ა , ე რ თ ს ბ ა დ ე უ კ ა ვ ი ა , უ კ ა ნ ; ბ ა დ ის ბ ო ლ ო ს , ფ ე ხ ს დ ა ა დ გ ა მ ს დ ა ტ ა რ ს ხ ე ლ ს მ ო უ ჭ ი რ ე ფ ს , ჯ ი ლ ე ს - თ ა ნ დ ა დ გ ე ბ ა . მ ე ო რ ე თ ო ხ ი თ მ ო უ ჩ ხ რ ი კ ა ვ ს ჯ ი ლ ე ს დ ა შ ო უ შ ო ფ ს ბ ა - დ ე შ ი თ ე ბ ზ ე ბ ს (ბ ე რ ე თ ი ს ა); ს ა ჩ ხ რ ე კ ი ბ ა დ ე ფ ო რ მ ი თ ზ ა რ ის - ნ ა ი რ ი ა , ბ ო ლ ო ვ ი წ ო რ ა , ქ ო ლ გ ის ე ბ უ რ ი ა , რ გ ო ლ ზ ე ა გ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი , დ ა - უ გ ე ფ ქ ე ვ ა ზ ე , ჯ ო ხ ი თ დ ა უ ჩ ი ნ ჩ ხ ა ლ ე ფ , გ ა მ ო ვ ა რ დ ე ბ ა თ ე ბ ზ ი დ ა გ ა ე ბ მ ის შ ი დ ა (მ ა ნ დ ა ე თ ი). (შ დ რ . ბ . წ ე რ .) .

უქმური წვიმა უსარგებლო, არადროული წვიმა. ესე უქმური წვიმა არი, უმჯიშო, არაფერში არ გამოგვადგება (ზვარე). (შდრ. განმარტ. ლექს. უქმური მნიშვნ. 2, ნ. ბ ა რ ა თ.).

ურგაბ-ი უხეში, მოუდრეკელი, ურგები. ეს ფეხსაცმელი ძაან ურგაბია (ბერეთისა).

ურგათ უსარგებლოდ, ურგოდ. ურგათ გაიარა სიყვარულმა (წიფა).

ურემ || ურმეულ იხ. აურმეულეფს, დააურმეულეფს, დაურმოულებული, ურმეული.

ურთხველა ბოტ. ურთხველი. ურთხველა წიწვიანი მცენარეა, ნაძვს გავეს, გამწლეა, მაგარი (ლეღვანი); ურთხველა წითელი ხეა, სამასალეთ იხმარება, წითელი ფიცარი გამოდის (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. რაჭ. ურთხველა).

ურიდალ-ი მოურიდებელი. რა ურიდალია ეგოგო (სვერი). (იხ. განმარტ. ლექს. ურიდი).

ურიშა || ურიშა ბალახი ერთწლიანი სარეველა ბალახი, „სიმინდის ფოთლის მსგავსი ფოთოლი აქვს და ფეტვისებური თაველი, იხმარება საქონლის საკვებად, — ბურჩხა“ (განმარტ. ლექს.). სარეველა ბალახია ურიშა, ფეტვივით თაველი იცის (შომახეთი); ურიშა ბალახი თაველეფს დეისხამს ერთ ძირზე, სიძიდივით ფოთელს იკეთეფს (უჩამეთი). (შდრ. ა ლ ა ვ. ლეჩხ. ურუში).

ურმეულ-ი 12-15-30 მეტრის სიგრძეზე ძელური სახლივით დადგმუ-

ლი ძნები (სინონ. ჯა). უ რ მ ე უ ლ ს საყტარივით დგემენ და შეხუ-
რევენ ბზით და თაველით, თაველი ქვევით უნდა ქონდეს. როცა შე-
სახურავი შეიქნება, თაველი ქვევით უნდა მეექცეს, დახურევენ ბზით
(ბერეთისა, მანდაეთი); თუ ბევრი ქვექონდა აური, უ რ მ ე უ ლ ს
გავაკეთებდით, გძელს დადგემდი, 12-15-30 მეტრი სიგრძის იდგება
უ რ მ ე უ ლ ი (შომახეთი); პურს შევკრამთ კონებათ და დავდგამო
ჩერგილს (იხ.). თუ ბევრია პური, გძლათ დავდგამთ — უ რ მ ე უ-
ლ ა თ (ბაჯითი). || ერთ ურემზე დასატევი ჩალა, ერთად დაწყობი-
ლი. (იხ. ქ ყ.; შდრ. ყ ა ზ ბ., განმარტ. ლექს). იხ. ა უ რ მ ე უ ლ ე ფ ს.
და ა უ რ მ ე უ ლ ე ფ ს და უ რ მ ო უ ლ ე ბ უ ლ ი.

ურმის კინა ურმის რკინა. უ რ მ ი ს კ ი ნ ა უ რ მ ი ს თ ვ ლ ი ს ფ ე რ ს ო ზ ე
შამოკრული რკინის სალტეა (წყალშავი); უ რ მ ი ს კ ი ნ ა ფ ე ს ო ს
აქ შამოკრული (ფუთი).

ურმის შეშა წვრილი შეშა. უ რ მ ი ს შე შ ა გ ვ ა ქ მ ო ტ ა ნ ი ლ ი
(ქვეები).

ურჩხ-ი საქონლის ავადმყოფობაა. უ რ ჩ ხ ი ო რ გ ვ ა რ ი ა: დ ე და ლ ი
უ რ ჩ ხ ი და მ ა მ ა ლ ი უ რ ჩ ხ ი. მ ა მ ა ლ ი უ რ ჩ ხ ი არ
რჩება (პერევი); უ რ ჩ ხ ი საქონლის ავადმყოფობაა, შარდავს სისხლს
(ხევი). (იხ. დიალექტ. ა მ ე რ.; ლდრ. ს ა ბ ა, დ. ჩ უ ბ., განმარტ.
ლექს.).

ურჩხა||ურჩხის ბალახი იგივეა, რაც უ რ ი შ ა (იხ.). უ რ ჩ ხ ა ბ ა-
ლახია, ფართო ფოთოლი აქ, თავზე მარცვლები იცის (შროშა); უ რ-
ჩ ხ ი ს ბ ა ლ ა ხ შ ი უ ნ და გ ო უ რ ი ო ფ ე რ ა - ფ ე რ ა (იხ.), დაალევით
ძროხას და ამეიღეს ნამცობარს (იქვე).

ურცხო უცხო. უ რ ც ხ ო ს ტ უ მ ა რ ი მ ო მ ი ვ ი და (საბე). (იხ. ყ ი ფ შ.).
ურწანა ურწანი (სინონ. უმაკინარო, უპაკური). უ რ წ ა ნ ა გ ა მ ო დ ა
ძროხაი, თავი არ დოუცავს (ზვარე). (იხ. კ ი რ., განმარტ. ლექს., ს. მ.
ტერმ. ურწანი).

ურწმუნო გველი. ამ წიფელას იქიდან გაწკაპულან უ რ წ მ უ ნ ო ე-
ბ ი (ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს. გურ. იმერ. მნიშვნ. 3).

ურწყავ-ი ვაზის ჯიშები, რომელთაც შაბიამნის ხსნარით შეწამვლა არ
სჭირდებათ. აქ ნამყენიც არი და უ რ წ ყ ა ვ ი ც. უ რ წ ყ ა ვ ი ა
გიბრიტა, ფრანგა, ორჯონიკიძე (წყალშავი); ჩვენში ვენახი არ არი,
უ რ წ ყ ა ვ ი ა, ფრანგას ვეტყვით (ვანი). (შდრ. ბ. წ ე რ., განმარტ.
ლექს. იმერ. მნიშვნ. 2).

ურწყება უწყება. უ რ წ ყ ე ბ ა ს ნ უ მ ა მ ც ე მ (მანათაური).

ურწყვეტ-ი იგივეა, რაც უ წ ყ ვ ე ტ ი (იხ.). ზესადგარში გაყრილ
ვიწრო ფიცრებს (გათლილ ხეს) ქვია უ რ წ ყ ვ ე ტ ე ბ ი. უ რ წ ყ ვ ე-
ტ ე ბ ი თ ა ა შეკრული ზესადგარი (სანახშირე).

უსაზომო. უზომო, ბევრი. ტუჩა არი უსაზომო აქ (დილიკაუ-
რი); ნიყვი იყო უსაზომო (ხიდარი), (იხ. განმარტ. ლექს.).

უსაცილოთ უცილობლად. ამას გავაკეთეფ უსაცილოთ (ზედუ-
ბანი). (იხ. გურამ., განმარტ. ლექს.).

უსაქმელოთ საქმლის გარეშე, უსაქმლოდ. უსაქმელოთ წამო-
ხვედი? (ბოსლვეი). (იხ. განმარტ. ლექს. უსაქმლო, უსაქმლოდ).

უსაჯამ-ს უსჯის. ამას რაღას უსაჯამდენ? (ვახანი).

უსიანეფ-ს ვისიმე წინააღმდეგ ამხედრებს, უსისიანებს. ვინძახაი
უსიანებდა (გეზრული).

უსკვამ-ს სცემს, ურტყამს. ერთმანეთს უსკვამენ და მეშინია
(ხიდარი); მისკვამს დედაი (ღარხევი); ესკვამიათ, ესკ-
მიათ, დეებეათ (პერევი). (იხ. დიალექტ. რაჭ.). იხ. სკმევა.

უსტოტინეფ-ს ხეზე ან სხვა რამ სიმალლეზე ასვლაში შველის ქვემო-
დან შედგომით. დარეჯან, რუსუდანს უსტოტინე, ბიდან არ ჩამო-
ვარდეს (სანახშირე). (იხ. ქავთ., ქყ. კოპინი).

უსუბ-ი აიაზმის სასხურებელი ფუნჯი. მანემდი იცოდენ აიაზმის
სხურება, სასხურებელია უსუბი (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს.
მნიშვნ. 2).

უსწავლ-ი უსწავლელი. მამაჩემი უსწავლი კაცი იყო (გეზ-
რული).

უსწორებელ-ი გარდუვალი. გაჭირვება ყველა კაცის თავზე უსწო-
რებელია (შუჭრუთი).

უსხაპუნეფ-ს აწვიმს. ქული არ მეხურა და თავზე ქე მისხაპუ-
ნებდა (ზარანი). (შდრ. განმარტ. ლექს. სხაპუნი).

უტი! (-უტიე) მოსცილდი, მოშორდი. უტი, დედა, უტი! (სვერი).
უტკივო უავადმყოფო, უტკივარი. უქაროი და უტკივოი ჩიტიც
არ არი (ზედუბანი).

უტკუნეფ-ს მიარტყამს, სტკეცს. ამ მა. რახს გიტკუნეფთ მაგ-
რათო (პირველი სვირი).

უფაიდო უთავბოლო, უხეირო, მოუხეობებელი. რანაირი უფაიდოა
ე ბიკი (შროშა). (შდრ. შარაშ. ფაიდო, საფაიდო, განმარტ. ლექს.
ფაიდა, ფაიდი).

უფერხულეფ-ს იგივეა, რაც უსტოტინეფს (იხ.). მე ავალ მალ-
ლა, ამ ძროხის ტყავს ვეიტან და მერე შენ ავიყვანო. უფერხუ-
ლეს ერთიმეორეს (პერევი).

უფეხო ბავშვი, რომელსაც ჯერ სიარული არ დაუწყია, — ფეხაუდგმე-
ლი. ერთი უფეხო ყამდა ბოვში, მორე — სულ ჩვილი (სვერი);
უფეხო ბავშვები ყამს. უფეხოს უჩახით იმას, რო თავის ხე-
ლითა წყალს ვერ დალევს (ზვარე). (შდრ. განმარტ. ლექს.).

უქილიყავს-ს სახუმროდ ხდის, უკრიტიკებს. ესე გვიქილიყავს სიტყვას (ბერეთისა).

უქორწილო უცოლო. უქორწილო ვიყავი მაშინ, მერე მოვიყვანე ცოლი (ხევი); ჩემი ძმა უქორწილოა (იქვე).

უღელ-ი 1. წყვილად აცმულ ჩურჩხელებს შორის მოთავსებული ძაფი, რომლითაც ჩურჩხელებს ჩამოკიდებენ ფელამუშის დასაწრეტად და გასახმობად. გოზინაყს აცვამენ წყვილად, მათ შორის დარჩენილ თავისუფალ ძაფს, რომლითაც გადაკიდებენ ქოგრზე გოზინაყს ფელამუშის დასაწრეტათ და გასახმობათ, უღახიან უღელს (ტაბაკინი). (იხ. ლეჟ. 73, საუღლე). 2. სიგარძის საზომი ერთეული (დაახლოებით ნახევარ არშინამდე). ტუნელში შავ ქვას რამდენ უღელს გადაჭრიდი, იმდენ აბაზს ეიღებდი. აქ რო ყამირი იყო, ნახევარ არშინს რო გადაჭრიდი, უღელი იყო ისი (ბოსლევი). 3. საწნახლის ზევიდან თავსა და ბოლოს სვეტებზე ჩამოცმული თაღისებური ძელი ჰორიზონტალური ბოლოებით. უღელი ხის ორი მოხრილი ხეა, რომელიც საწნახელს ზევიდან აქ დამაგრებული (სანახშირე). 4. წისქვილის კრივის ცალ მხარეზე ჰორიზონტალურად დამაგრებული ხის ჯოხი, რომელზედაც მიერთებულია სარეკელა (იხ.). უღელზე მიმაგრებულია სარეკელა (რგანი). (იხ. ჯაჯ. IX, განმარტ. ლექს. წისქვილის უღელი [იხ. უღელი]). ნიგვზის უღელი „ნიგვზის ლებნებს შორის მოთავსებული თხელი ფირფიტოვანი ნაწილი“ (იხ. განმარტ. ლექს. ნიგვზის უღელი [იხ. უღელი]). გამოაცალე კაკალს უღელი (განთიადი). კაკლის უღელი, ნებალოს (იხ.) რომ ყოფს, ისაა (წვარე). 5. წყვილი (ითქმის ადამიანზეც). ერთი უღელი ქალიშილები ყვავილბატონებმა მომიკლა (წედუბანი); მე მყამს ერთი უღელი ბიჭები (წირქვალი). (შდრ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3). უღონო ოთახი ნაკლები, ცუდი ოთახი. უღონო ოთახს ჯობდა, იმისთანა ბედლები ქვექონდა (პერევი).

უღურ-ი იმედი, რწმენა. უღურს იტეხს იმედს, რწმენას. კარგავს, გულს იტეხს. უღურს რატო იტეხავ, ყოლიფერი მოგვარდება (ხიდარი). (იხ. ბერ. შდრ. განმარტ. ლექს. უღური, უღურს არ იტეხს).

უჟ-ი დაუმუშავებელი მიწა, — ყამირი. სულ დოუმუშავებელი რო იქნება ადგილი, უყს უქახინენ, „ჯამირს“ არ ვხმაროფთ ჩვენე (ტაბაკინი); უყი მიწა ქვია, სულ რო არ მიკარებია თოხი (მახათაური); უყი დაუნხავი მიწაა, რომელიც რო პირველათ ბუშავდება (წირქვალი); უყს არ ვხმაროფთ ჩვენე, კორდი იხმარება (წიფა). (იხ. ალაგ. XXIV უბირი, ნინოწ.; შდრ. ბერ., ი. იმნ. ქრესტ.).

უყვიანთოფ-ს უწუხს. გული უყვიანთოფს გული მისდის, გული უწუხს. გული მიყვიანთოფს, მამეხმარეთ (ღარიხვევი).

უყვარი-ა უყვარს. მიყვარია გოზინაყი, უწინ არ მიყვაროდა (ბოსლვევი); თებზი უყვარია (სანახშირე).

უყიდავ-ი უყიდელი. ეს სახლი მერე ვიყიდე, უყიდავათ არ დამრჩენია (დილიკაური).

უყოლ-ი საქონელი, რომელსაც ჭერ არ მოუგია. იმას ყავს მისისოფ-ლი ძროხა, უყოლი იყო, სამაჟინარო (იხ.) (ხიდარი); უყოლი ძროხა გამეიყვანა და დაკლა (ჭალაურთა). (იხ. განმარტ. ლექს.).
|| ურწანი. უყოლი და ურწანი ერთია. აქა ორივე იხმარება. უყოლი გამევიდა ჩვენი ძროხა და არ ეყოლა ხფოი (ხევი).

უყურყურთფ-ს უცდის. მთელი დღე უყურყურტა ექიმსა და არ მევიდა (ტაბაკინი). (იხ. კლდ. ყურყურტი).

უშაკო შაკის, მწკრივის უქონელი. გრიშას ვენახი უშაკოა (შრო-შა).

უშვილო სიმიდი ზრდადასრულებული, მაგრამ ტაროგამოუღებელი სიმიინდი. ტანს რო გეიზდის სიმიდი და ტარო არ ექნება, უშვილო სიმიდია. უშვილო დარჩება სიმიდი ძიჟე მიწაში (შო-მახეთი). || ზრდადასრულებული სიმიინდი, რომელსაც ტაროზე მარცვლები არ გამოუღია. მარცვალი რო არ ექნება, უშვილო სიმიითს ვეტყვით (მანდაეთი).

უშკარება უკარება. უშკარება არი, არ უნდა კაი სმა და ჭამაი (წირქვალი).

უჩაგირეფ-ს უჩაგრაგს. ადამიანს აფუქებს გლახა სიტყვა, გულს უჩაგირეფს, კაი სიტყვა მოხუცებულს აყმაწვილევს (წვარე).
უცაბედურათ უცებ, მოულოდნელად. ენგრე უცაბედურათ მოხთა ისი (წაქვა).

უცად-ი იგივეა, რაც დეკეული (იხ.). ეს უცადი ძროხაა (ლო-დორა, მანდაეთი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, ალავ. ლეჩხ. ეთნ.; შდრ. მენტ., ქავთ.).

უცაფურათ უცებ. ასე უცაფურათ ვერც ქათამს დავკლავ, ვერც გოქს (ფუთი).

უცოდარ-ი უცოდინარი. მაკრინე უცოდარია, არაფერი გეეგება (ზედუბანი). (იხ. რუსთ. უიცი, გურამ. უცები, ი. იმნ. ქრესტ. უცები, დიალექტ. რაჟ.).

უცუნ-ი დაუცადი, უდავო, უეჭველი. ფელამუში უცუნია ჩემ-თვის, უეჭველად მაწყენს (ლიჩი); სხმარტლმა იცის ყურის ტკივი-ლი, უცუნია (შომახეთი). (შდრ. განმარტ. ლექს. უცუნა?).

უძილარ-ი უძინარი, უძილო. თელი დამე უძილარი ვიყავი (ტაბაკინი). (იხ. გურამ. უძილი).

უძლებ-ი შეუძლო. მამაი რალაი ყამდა უძლები, სწავლას ქვე დაანება თავი (ზედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს. უძლებად [იხ. უძლებ-რი. უძლებელი]: შდრ. კირ., კყ.).

უწამლი-ს უწამლებს. მერე უწამლიენ საწყალს (პირველი სვირი). უწლიბიკეფ-ს 1. გაუწევს. ხაქაპურს ნაპირები უნდა უწლიბიკო (განთიადი). 2. წვალებით უკეთებს. წმინდას დართვა არ შემიძლია, იმას ვერ უწლიბიკეფ (შომახეთი).

უწლო ბავშვი, რომელიც ჯერ წლის არ არის. საავანტყოფოში მე-ყვანა პატარა ბიჭი, უწლო, წლისა არ იყო (ზარანი).

უწმანის-ს უგრეხს. მივედი და გადაუწმანე მაჯები (განთიადი).

უწყალო იგივეა, რაც უმოწყალო (იხ.). აღუჩას ება უწყალო (განთიადი). (შდრ. გურამ., ი. იმნ. ქრესტ., განმარტ. ლექს.). უწყენ-ი უწყინარი. ქმარი ყამდა მისთანა უწყენი, რომ არავის ახსომს მისი ნაწყენობა (სვერი).

უწყვეტ-ი 1. იგივეა, რაც დანდალი¹ (იხ.). ზესადგრეფში ნ უწყვეტია გაყრილი. უწყვეტებზე დეეწობა ლამფები (გეზრული); ნ უწყვეტი აქ ზესადგარს (იხ.) (ზედა საქარა). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. მნიშვნ. 3, კუმბ. 284). 2. იგივეა, რაც დანდალი² (იხ.). ზესადგარში გაყრილია ლაფანები, რომელთაგან ბოლოში, შუაში და თავში მყოფ ლაფანს (იხ.) ქვია უწყვეტები, რომლებიც კრავს ზესადგრებს და ზესადგარზე დამაგრებულია რიკით (განთიადი); უწყვეტი იგივე ლაფანია, ოღონდ ზესადგარში გარეთ გამოდის, რომ არ გაწყდეს. აჩაჩა ურემს დაახლოებით 3 აქვს (ღარიხვევი); აჩაჩას (იხ.) სამი უწყვეტი აქ, წინ, შუაში და უკან. ზოგან ორი უწყვეტია—ზესადგრები! თავში და ბოლოში. უწყვეტი ზესადგარს გარეთ გამოდის და დამაგრებულია ზესადგარზე კოტიტ (იხ.) (საღვინე); უწყვეტია ზესადგარში გაყრილი წინა და უკანა ფალანგა (იხ.), რომლებიც გამოდის ზესადგარს გარეთ და რიკით არის დამაგრებული ზესადგარზე, რომ არ დაიშალოს (ქვაციხე). (იხ. ბერ. ფალანგა, ალავ. ოკრ.).

უხაბრო უგონო, უაზრო. უხაბრო კაცია, მუშაოფს, მარა ვერ აკეთეფს აზრიანათ, ხაბარი (იხ.) არ აქ (ჭალაურთა); უხაბრო ხარ შენე (ხევი); უხაბრო ყოფილა ბიჭი (ღოდორა); თინაი არ არი ტყუანი, ის ქალი ყოფილა უხაბროი (წაქვა).

უხადი ჭური მოუხდელი ქვევრი, საიდანაც ჯერ არ დაუწყიათ ღვიხის ამოღება. ქალ რომ მევიყვანთ, პატარძალს, უხად ჭურს მოვხთით და ვეტყვით: ასე გეიმსე შენე-თქვა (შომახეთი); უხადი ჭური ქექონდა, მოვხადე და გათენებამდი ვსვით (ხიდარი). (იხ. განმარტ. ლექს. უხადი ქვევრი).

უხადელა იგივეა, რაც უხადი კური (იხ.). ჩემთან მოვა. თვა-
რა უხადელას მოუხდი! (ხიდარი).

უხათრულ-ი უხათრო, მოურიდებელი. ზალია უხათრულია,
დაურიდებელი (სვერი); უხათრულაო იქცეოდა (ტაბაყინი).

უხამბრო იგივეა, რაც უხაბრო (იხ.). უმალ უხამბროები
ყოფილან (შომახეთი); ქერო უხამბრო იქნება, გოუგებარი,
ისე იქცევა (ბორითი); რა უხამბროთ დადიხარ? (შომახეთი).

უხამხ-ი იგივეა, რაც უნასი (იხ.). უხამსი ჩასულიყო დერგ-
შიდა, შხამი დეექცია და დაწყტა თელი ოჯანი (ფუთი); უხამსებ
ჩაყარეს ქვევრში, რომ კუდიანი ეწვალეზიათ (ქვევი). (მრდ. მენთ.,
განმარტ. ლექს.).

უხეხილო უხილო. ასე უხეხილო, წრეულ რომ ვართ, არ ვყო-
ფილვართ (ხიდარი).

უხიბრო იგივეა, რაც უხაბრო (იხ.). უხიბროა, რომ ვნახოს
დღეში 10-ჯერ, ვერ გიცნოფს (ქორეთი).

უხიმანკლეფ-ს უეშმაკებს, უხიმანებს. უნდა რამე უხიმანკ-
ლოს (ტაბაყინი). (იხ. ქავთ.).

უხნე უხნესი. კესარია უხნეა ჩემზე (წაქვა); მალაქია სარდიონ-
ზე უხნე ყოფილა (ბორითი); ისი უხნეა ჩემზე (ღარიხვევი).
(იხ. დიალექტ. იმერ.).

უხრავ-ი მაგარი ხის ჭიშია, დაბალი ან საშუალო ტანისა. უხრავი
ძელქვას გავს, არაფელ მასალაში არ დგება ისი, დგება იარალი; მა-
სალათ — შალაშინის ბუდეთ და ზუმტარის (იხ.) ტარათ (ფარცხნა-
ლი). (იხ. ალავ. XXIV, განმარტ. ლექს., მაის. უხრავა).

უჯანგარა უჯანგარი. უჯანგარა მყრალი ბალახია, რომლითაც,
სახსაც გვიან (ზედუბანი); უჯანგარა მყრალი ბალახია (უჩა-
მეთი).

უჯაფურ-ი უჯაფო, გაურჯელი, ზარმაცი. უჯაფური არი ზოგი. მე
რამდონი ჩივევი არი, დღეში სამჯელ უნდა შამოუარო (ფარცხნალი).

უჯოხურათ უჯოხოდ. უჯოხურათ ვერ დავდივარ (ლოდორა).

უჯრუმ-ი ლოცვაში ნახპარი სიტყვა. დედისთვის შვილს უჯრუმ
ეკადრების (მაკე სულიერის ლოცვა) (ქვევი).

უ

ფათქ-ი || ფათქა 1. ხის მომცრო სასმისი ღვინის დასალევად. ხის
ფათქები იყო გაკეთებული, დაგისხემდენ ღვინოს, დაგალევიებ-
დენ (წყალშავი); ღვინოს სვემდენ ხის ფათქებით (შომახეთი);
ფათქა იყო რაძახა, იმით შიაწვადებდენ ღვინოს ერთმანეთა (შუ-
ქრეთი). (მრდ. განმარტ. ლექს.). 2. ხელიანი, მომცრო, ქიქის ფორ-

მის ლითონის ჭურჭელი, რომელიც უპირატესად იხმარება წყლის ამოსაღებად დიდი ჭურჭლიდან (რუს. крыжка). ფათქით მისხამდა წყალს (ქვაცხე); ფათქა საწყლევ კრუშკაა (ხვერი); ემა ქონია ე ფათქაი (ზედუხანი). (იხ. ჭყ., განმარტ. ლექს. იმერ.).
ფათქია იგივეა, რაც ფათქი, ფათქა² (იხ.). ფათქია ეიღე, მადერ დევს და წყალი დამისხი (ზედუხანი).

ფალანგა იგივეა, რაც გასაყარა, დანდალი¹ (იხ.). ზესადგრეფში გაყრილია სქელი წვრილი ფიცრები, 5-6 ცალი, ზესადგრეფს (იხ.) რომ კრავს, ფალანგებია. წინა და უკანა ფალანგას, რომელიც გამოსულია ზესადგრის გარეთ და ზესადგრეში კოტათია ჩაკედილი, რომ ზესადგარი არ გეიშალოს, უწყვეტები ეწოდება, ფალანგები კი ზესადგრის გარეთ არ იქნება გამოსული (დილიკაური, ტაპაყინი, ხრეთი, რვანი). (იხ. ბერ. ფალმანდა, ალაგ. ლეჩხ., ოკრ. ფალვანგი, ჯაჯ. X, განმარტ. ლექს. ფალანგა¹, ჭუმბ. 284: შდრ. დ. ნ. ჩუბ.).

ფალასტა ბლის თხელი ქერქისაგან მოქსოვილი ჩანთა. ძველად ჩვენში ბლისკანისაგან ქსოვდნენ ასეთ ჭურჭელს: სიმაღლე ექნებოდა დაახლოებით 30 სმ, სიგანე — 25 სმ, სისქე — 10 სმ; ორ მხარეზე ამოსაბმელი ქონდა, იმხელათოკს ამოაბამდნენ, რომ მხარეზე გადაეკიდებიათ, შიგ ჩადეაენ 2-3 ქადს და მისათაიეაელს და გოუდგებოდნენ გზას. ეს იყო ფალასტა (ფახანი); ფალასტა ბლის კანისაგან მოქსოვილი ჩანთაა, ხმარობენ მთაში წასვლის დროს საგზლის ჩასადებათ (ლეღვანი); ფალასტა ბლის თხელი კანისაგან მოქსოვილი ჩანთაა, სქელი კანისაგან კეთდება სარცხელი (ღარცხევი); სა მიდიხარ შენი ფალასტათი? (ზარანი). (შდრ. განმარტ. ლექს. ფშ. ყარლო).

ფალვანდ-ი თოკი ან ღვედი, რომლითაც ცხენს, მოზვერს, თხას. ცხვარს, შინაურ ფრინველებს, იშვიათად ღორსაც, უბორკავენ ფეხებს, რომ ვეღარ შეძლონ თავისუფლად სიარული. ცხოველებს ფალვანდს ადებენ ერთ მხარეზე — წინა და უკანა, ან უკანა ფეხებზე. ფალვანდი არ ვიცით ჩვენ ღორისი, ცხვარს უნდა, უკანა ფეხეფში ბაწარს გავაბამთ (დილიკაური); საყოლიებელს (იხ.) რომ გოუყეთეთ ფეხებზე ბაწარს, ფალვანდია იგივე... ღორსაც უყეთეთთ, ცხვარსაც აპა! (ხვერი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ანდრ. 261, პალვანდი, განმარტ. ლექს. ბორკილი³, დუშაყი, პალვანდი, ქავთ. ფალვანდი). იხ. ფალმანდი.

ფალმანდ-ი || ფარმანდ-ი || ფარმანდ-ი იგივეა, რაც ფალვანდი (იხ.). ჩვენე ფალმანდს უყეთეთთ თხასა და ცხვარს ამ ზომაზე, რომ სიარული შეძლოს (ლიჩი); ინდოულეფს და ქათმეფს ფეხზე ფალმანდი გოუყეთეთ, ტანისამოსის ნახევი გამოვებით (ბაწარი არ ქვქონდა), რომ ვენახში არ გადავიდეს და ყურძენი არ დაკენკოს

(ხვაშითი); ვაჟიამ ფალმანდი მიცა მოზვერს. ფალმანდს უკეთეთ კიდე ქათამს, ცხენს (არგვეთი); რა ფარმანდივით გამედვა (იქვე); ფარმად. უკეთება ქათამს, რო ვეიანში არ გადვიდოს (ბერეთისა). (იხ. განმარტ. ლექს. ფარვანდი, ბერ. ფარმანდი). იხ. დააფალმანდე ფს.

ფანთლა თოვლის ფანტელი. რამხელა ფანთლას ისეროს (ფარცხნალი). (იხ. ნინოშ. ფანტელა).

ფანთხა წისქვილის ბორბლის ღერძის თავის დასაყრდნობი ხე, — ფარცხი. ფანთხა ხეა, ძირს არი წყალში, ბორბალი ეყრდნობა, შვაში ამოქრილია და კვიხწილოფს ზედ ე ბორბალი (მორძგვეთი); ფანთხაში ჯოხია გაყრილი, ეს ჯოხი ამოდის წისქვილში. ავწევთ, ქვა ეიწევს, დავწევთ — დეიწევს (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს. ფარცხი,² ალაგ. ლეჩხ. ეთნ. ვირინიდა).

ფანჯარა ბოტ შალაფა. ფანჯარა სარეველა ბალახია, ახლათ აღმოცენებული სიმითს გავს, მერე იკეთეფს თავთავს (მორძგვეთი); ფანჯარას ფართო ფოთოლი აქ, სიმიდის ფოთლის მსგავსი, სიმიდრს ყანაში იცის, მაგარია და მალე იცის ამოყრა (შომახეთი). (იხ. მაცაშ.).

ფარდი დიდი (ხელნა) ურმის ქალებზე მიწყობილი ლასტები, რომელთაც ძროს (იხ.) მაგივრობას უწევს ურმის იატაკი. უკანა გვერდი ცალკეა ამოქსოვილი და, როცა სიქინდს ყრიან ფარდში, იმით კეტავენ. ძარი აჩაჩა ურეშხეა, ოთხგვერდიანია, ძრო აქ. ფარდი ხელნა ურემზეა, ორგვერდიანია, მორაგულია, პირდაპირ ქალებზეა (იხ.) მიწყობილი, ძირს ძროთ ხელნის გალამფული პოლი აქ (დილიკაური); ფარდი ძარია იგივე, ხოლოთ ძრო არ აქ, ძრო ურმის პოლია, უკანა გვერდი ცალკე აქ მოქსოვილი, ჩაკეტავ იმითი და ჩაყრი სიმითს (პირველი სვირი). (იხ. ბერ. ფარდები, ელ. განმარტ. ლექს. იმერ. ქართლ. მნიშვნ. 3; შდრ. ჯაჯ. IX).

ფარდელა ლობიოს ერთ-ერთი ჯიში, ერთი ლებანი თეთრი აქვს, მეორე — მუქი წითელი. ფარდელა ლობიო ნახევარზე თეთრია, ნახევარზე წითელი (მოხვა). (შდრ. ალაგ. ლეჩხ. ფარდელი, განმარტ. ლექს. ლეჩხ. ფერდელა).

ფარდულ-ი 1. სიმინდის გარჩეული ტაროს შესანახავი ადგილი. გლენები ყრიან ტაროს სასიმინდეში, კოლექტავი — ფარდულში (ფუთი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1; შდრ. საბა). იხ. პათორმა. 2. იგივეა, რაც ნალია² (იხ.).

ფარეხ-ი იგივეა, რაც საჩეხი (იხ.). ფარეხი საზაფხულო ბოსელია, დაუხურავი და წყნელით შემორაგული (წაქვა); საქონლის საზაფხულო სამბურს ფარეხიც ქვია და საჩეხიც. ჩვენ ორივეს ვხმაროფთ (ლიჩი); გადმობტა გელი ფარეხში (ლოდორა); ფა-

რეხი ცხვრების საზაფხულო შემორავული სამწყვდევია (ტაბაკინი). (შდრ. გურამ. ბესიკი, საბა, განმარტ. ლექს., დიალექტ. ქართლ., ა. ჩიქ. ფერ. ალილი).

ფარიტინი-ნაგლეჯი, ნაფლეთი, — ფარატიანი. ჩოხის ფარიტინი მუუტანა მამას (წვარე).

ფარნა ფერდებქრელი, შავ-და თეთრფერებიანი საქონელი. ფერდებქრელი საქონელი რთა შავით და თეთრით, ფარნაა (წვარე). (იხ. საბა, ბ. წერ. ფერდელა, ალავ. ლეჩხ. ფარნახარი, განმარტ. ლექს. ფარნა, ფერდელა მნიშვნ. 1).

ფარქიზი-ი გადატ. მოსარიდებელი. კაი ოსტატებია, მარა ძაან ფარქიზი შესანახი არიენაო (ტაბაკინი).

ფარქიზოფ-ს კობტად, სუფთად იცვამს. კაცები ფარქიზობენ, თავს უვლიენ (წოვრეთი). (შდრ. დიალექტ. კახ.-ქიზ. ფაქიზი).

ფარჩხი-ი ფიჩხი. გლენმა ჯიბო სამხარაძემ სერგო თორნეში დაძალა და ფარჩხი დააყარა ზედ (ლორეშა); ფარჩხი მოფირჩხეთ (ხევი). (იხ. შარაშ., მენთ., ალავ. ლეჩხ. XIII ფურჩხი, დიალექტ. რაჭ., იქვე კახ-ქიზ. ჩინჩხვარი, განმარტ. ლექს. იმერ. გურ., ი. იმნ. ქრესტ. ქარქუეტი).

ფარცხი-ი იგივეა, რაც ფანთხა (იხ.). ფარცხი გძელი ხეა, რომელზედაც დგას ყელა (იხ.) და რომელშიც ჩადის ასაწვეველა (იხ.) (ლედვანი, ჩიხა). (იხ. მენთ. ფარცხი², განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

ფაფა ცხელი ფელამუში, ფელამუში გაცივებამდე. მოაღულებენ ტკილსა, ფქვილს უზამენ. როცა აღუღდება, ფაფა ქვია, როცა გაცივდება — ფელამუში (წვარე). (შდრ. განმარტ. ლექს.). შდრ. წამოფაფული.

ფაღრიალა ფარღალალა, ღია. ყველაფერი ფაღრიალაა (უჩამეთი); კარები ფაღრიალათ არი, შამოკეტე (მორძვეთი). (იხ. განმარტ. ლექს. ფარღალალა მნიშვნ. 2; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ. ფარღია, ქავთ. ფარღალა).

ფაცხა 1. იგივეა, რაც ფანთხა, ფარცხი (იხ.). წისქვილის ბორბალი დგას ფაცხაზე, ხე არი. ფაცხაზე დაქედილია რკინის კიბორჩხალი (იხ.), რომელიც ღერძის თავს კაოფს (ტაბაკინი). (შდრ. ბ. წერ. მნიშვნ. 2, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3, ყიფშ. ფაცხა). 2. იგივეა, რაც რუსაბძელო (იხ.). ფაცხაა ფრინველის ზურგი და გვერდის ნეკები (ხევი); კურტუმოს ზეიდანა ქათამს აქ ფაცხაი (წაქვა). (იხ. ქყ. ფაცხა, საბძელო, განმარტ. ლექს. ფაცხა⁴, საბძელო, ჭაჭ. X ფონცხო; შდრ. ქავთ. ფუცუნცხო).

ფახანგარ-ი ქურკლეულობა. ბევრი ქურკელი რო იქნება მოგროვილი,

იმაზე ვიცით ფახანგარიო. ჩვენ ბელელში გვაქ ფახანგარი (მერჯევი). (შდრ. საბა, განმარტ. ლექს.).

ფახანკალ-ი შინაური ფრინველების შიგნეულობა. რამდონს დაკლევდენ ინდოურეფს, ფახანკლები მაგათი იყო (ტაბაყინი). (შდრ. კახ. ფალანგი).

ფელიკ-ი დაკლული და გასუფთავებული ღორის სიგრძეზე გაჭრის შედეგად მიღებული ერთი ნახევარი. გაფუჭებული ღორი რო გეიჩეხება შვაზე, ნახევარი არი ფელიკი (ქვაცხე); სულ შექამა ელორი, ფელიკის ბარკალი დარჩა მარტო (წირქვალი); ფელიკს შვაზე გაჭრილ ღორს უძახით (ტაბაყინი). (იხ. ჰყ., განმარტ. ლექს. რაქ. მნიშვნ. 2; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ.). || დაკლული ღორის ნაწილი ხერხემლიდან თეძომდე, — გვერდი. გვერდის წკნელები (იხ.) რო აქ ღორს, გვერდის ნეკნები, ის არის ფელიკი (შომახეთი); ფელიკი ღორის გვერდია, ჩვენ ფელიკეფს დავლორავთ (მოხვა); ფელიკია გვერდის წკნელები, ნეკნები. რო დავკლამთ ღორს, ჩაპოვიდეთ ფელიკეფს (მანდაეთი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

ფენტქალ-ი თეთრი, ფერმკრთალი. ფენტქალი ქალი კაია (ხიდარი).

ფენია დაფენილი არის. ისინი ახლა ჩალას თან კრიან და თან შეკონიან. აღარ ფენია ჩალაი იქა? (ლორეშა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

ფერაობა მოფერება, ალერსი. ბოვში ფერაობაში რო გეიზდება, გლახაა (სანახშირე).

ფერაფერა ბოტ. ჰიაფერა. ფერაფერა ნავხე იმისთანა გუმინ, როგორც სინგური, ისე ეკიდება ხელს (ღარხევი). (იხ. დ. ჩუბ., კანმარტ. ლექს.).

ფერდელა ფერდთეთრი. ფერდზე რო თეთრი ექნება და სხვაგან სხვაფერი, ფერდელაა, ღორზე ითქმის (ლიჩი). (იხ. საბა, ნ. ჩუბ., ბ. წერ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1; შდრ. დ. ჩუბ.).

ფერდის ნე.ი ნე.ახი. კიბეს დავარტყი ფერდის ნეკი და მტკევა, სულთქმას მიშლის (მერჯევი).

ფერდკვაჯალა ფილტვეიის აითება. მანამდი ფერდკვაჯალა რო დეემართებოდა კაცს, არაფერი არჩენდა (სვერი).

ფერთქალ-ი იგივეა, რაც ფენტქალი (იხ.). ფერთქალი ქალია, შაქრისფერი (ზარანი, ჯალაურთა).

ფერთქალოფ-ს ფანცქალებს, ფართქალებს, აჩქარებით ფეთქავს. გული ფერთქალოფს შიშით (ლოდორა).

ფერთქლობა აჩქარებული ცემა. ფანცქალი. ფართხალი. გულია ფერთქლობა კაი არაა ადამიანისთეინ (ლოდორა).

ფერკთან-ი იგივეა. რაც ფერტქალი (იხ.). ნინა ფერკთან
ქალია, სუსტი (წვარე).

ფერფლ-ი 1. ფარფლი. ქურის ფერფლები გარეცხე (ხიდარი):
ქურის ფერფლი გატეხოდა (წარანი). (იხ. ჯაჯ. X, ქავთ.
ლექ. 69, ფარფლი; შდრ. განმარტ. ლექს.). 2. თოვლის ფიფქი
(სინონ. ფინტველა). თოვლის ფერფლი მოდის (შომახეთი, პერე-
ვი). (შდრ. განმარტ. ლექს. ფიმფლი).

ფერქთალ-ი ფერმქრთალი. ფერქთალი კაცია მამამისი (შომა-
ხეთი).

ფესო ფერსო. ფესო ბუნებრივად მოხრილი ხისგან კეთდება, სქე-
ლი ხის რკალია. იგი ურემს 3-4 აქ. მასში გაყრილია სოლები, რითაც
ფესო მორგეს (იხ.) უერთდება. გარედან: ფესოს შამოჭირებუ-
ლი აქ ურემის რკინა, რომ არ გაცვთეს (ქვაცისხე); ურემს აქ ფე-
სოები (გორისა). (იხ. ქუმბ. 284, ძიძიგ. ძიებ. ფესვი).

ფესოიანი-ი ფერსოს მქონე. ჩვენ ურემს ოთხ ფესოიანი გოგო-
რა აქ (შომახეთი); ურემს აქ ფესოები (იხ.). ურემის თვალ-
ოთხ ფესოიანიც არი და სამ ფესოიანიც (გორისა).

ფეტველა იგივეა, რაც კაკალი (იხ.). ფეტველა ღორის
ავადმყოფობაა. იმ ფეტველიან ხორცზე არც მიგივა გული (ღარიხე-
ვი); ფეტველა ღორის ავადმყოფობაა, ღვიძლს ტენს (პერევი;
ფეტველა რომ აქ ღორს, ენაზეც და ტანშიც დაყრილი აქ ხომ-
კაკალასავით, გარედან არ ეტყობა (ხევი). (იხ. ს. მ. ტერმ.; შდრ. გან-
მარტ. ლექს. ფეტველა, ფინა?).

ფეშხა || ფეშხო „ხერხემალზე სიგრძივ გაკვეთილი საკლავის ნახევა-
რი“ (იხ. განმარტ. ლექს. ფეშხვა, ფეშხო). შდრ. ჩამოაფეშხა-
ვეფს.

ფეშხუმი-ი ვერცხლის ლანგარი, რომელზეც ეკლესიაში სეზისკვერებს
აწყობდნენ. სეზისკვერებს აწყობდნენ ფეშხუმზე, ხვერდი იყო
მოქარგული და იმა გადააფარებდნენ (შომახეთი); წამოვიდა მალლი-
დან სამი წვეთი და ჩავარდა ფეშხუმში (ვახანი). (იხ. ღ. ნ.
ჩუბ. ფეშხენი, ფეშხუმი, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

ფეხადგილობ ადგილობრივ. შენ გამეიძიე, რაეა იყო, ფეხადგი-
ლოფ მიდი, სადაც იყოს, დაამთვალე რეო (შომახეთი).

ფეხალაგოფ ადგილზე, ადგილობრივ. წასვლა არ შემოძლია, ფეხ-
ალაგოფ რომ ამიტანებენ, ვარჩემ სიმიდს კიდე (მანდაეთი); ფეხ-
ალაგოფ მიხვალ და 1-2 დღე იქ იქნები (ლიჩი); თუ სიარული არ
შეგიძლია, ფეხალაგოფ იმუშავე (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს.
ფეხალაგობრივ).

ფეხაცემელ-ი ფეხსაცმელი. უმალ ფეხაცემელი საიყო? (ტა-
ბაკინი).

ფებს გოუგდეფს საწნახელში ყურძნის წერვის პროცესში ყურძენი რომ შუამდე დავა, მერე ურტყამს ფებს და წინიდან საწნახლის ბოლომდე მივა ისე, რომ ფსკერამდე დაიყვანს ყურძენს, რათა მარცვლები არ დარჩეს დაუქცელტელი. როცა ღეიწემს ყურძენი შუამდის, მერე ფებს გოუგდეფს: დაკრავს ფებს და საწნახლის ბოლომდის დეიყვანს, რომ არ დარჩეს დოუწურავი (ბაჯითი); წურვას დეიწყეფს საწნახლის უკანა თავიდან, წამოვა წინ-წინ, როცა სულ გედევლის და მოვა წინამდის, მიყობა წინიდან, საწნახლის ძირამდის დავა, ე. ი. ფებს გოუგდეფს, — ფებს ურტყამს და მარცვალს არ გოუშვეფს დოუქცელტელათ (ჩიხა).

ფების ლობიო ლობიოს ერთ-ერთი ჯიშია, დაბალი იზრდება. ფების ლობიო დაბალი იზრდება, გძელი, დიდი, წითელი მარცვალი აქ (დილიკაური); ფების ლობიოს დიდი ყირწი აქ, გძელი, მსხვილი მარცვალი, კრომახაა (იხ.). (გეზრული).

ფებმოდგმულათ წვიმს შეუჩერებლივ, გადაუღებლივ წვიმს. საწახვალ, ფებმოდგმულათ წვიმს (ქვები).

ფებსადგილ-ი || ფებსადგილი საჭიროების ოთახი, — ფებისადგილი. ტერენტი ფებსადგილში წაქცეულა (საბე); დამალული ფებისადგილიდან გამოვარდნილა და გაქცეულა (შომახეთი).

ფებსადგმელ-ი სატერფული. ფებსადგმელია ბარის ტარზე გვერდიდან გაკეთებული ხის ნაქერი, რომელზედაც მიწის ამოქრას დროს ვადგამთ ფებს (ქვედა საქარა); ფებსადგმელი არ ქონია შენ ბარს, გაგიქირდება მოხმარება (ქალატყე). (იხ. განმარტ. ლექს. საგოგავი², სატერფული³).

ფებსამოდგმულ-ი გადატ. უზრუნველი, გაუქირვებელი. რაღა სახლები მიცეს, ახლა ქე იცხოვრეფს ფებსამოდგმული (ლორეშა).

ფებსციანი-ი ფებსთიაცული. ხან ფეხციანი გეივლის კაცი, ხან ფეხიშველი (წირკვალი).

ფთა 1. მთა. წვევდი ფთაში (ტაბაკინი); ფთა ფთას შეხვთება, თვარა კაცი კაცს არ შეხვთება? (შომახეთი). (იხ. დიალექტ. იმერ.).

2. ფრთა. მოსტეხა ფთა (ხიდარი). (იხ. გურამ.). 3. წისქვილის ბორბლის სოლები, რომელთაც ხვდება წყალი და ამოძრავებს ბორბალს. წისქვილის ფთეფს ხვთება წყალი და ბორბალი ტრიალოფს (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. ფრთა⁷, დიალექტ. ქართლ. ფთე, ფთეები, ჰინჰ. თბეები, ქავთ.).

ფთებშელაგებული მამალი მამალი, რომელსაც ფრთები აქვს ზევით აწეული. ფთებშელაგებული მამალი დავკლათ (ხვერი). ფთილა-ფთილა თოვს ფიგ. ფთილების სახით, მსხვილ-მსხვილად

თოვს. ფთილა-ფთილა თოვს, მალე გზას დაკეტამს, თუ ასე ითოვა (შომახეთი).

ფთქორავს-ს წვრილად წვიმს, თქორავს. ჟინჯლიანი ამილია, ფთქორავს (წარანი).

ფთხალი-ი მფრთხალი. წყალში ფთხალი ვიყავი (ხიდარი); რავარი ფთხალია თუ იცი, ღამე ფხვს ვერ გამოადგმევიფ გარეთ (წარანი).

ფთხვირი მიწა ფხვიერი მიწა, რომელსაც დაგლესილ ქვევრს თავზე აყრიან, აყალო რომ არ გახმეს. ფთხვირ მიწას გადავწმინდავთ თოხით (წარანი).

ფი, ფი! ძოოხის დასაძახებელი. ფი, ფი! ჭვირან, ფი! (შროშა). ფი, ღამაზა, ფი! (ღოდორა).

ფიგარა სადურგლო ხელსაწყო, რომლითაც კეთდება კარის გული. ფიგარას კარის გულის ამოსაყვანათ ვხმაროფთ, რკინის პირი აქ (ტაბაკინი). (იხ. ალავე. ლეჩხ. ეთნ.).

ფითქინა თეთრი. ფითქინა ქალია თინა (შროშა).

ფილ-ი 1. რძის ნაღები. ქე რო ფილი აქ რძეს, რო შეაშრება ქურქელს, ოუდინდება ძიხტლის სუნი (წარანი). (შდრ. დიალექტ. რაქ.). 2. ღორის გვერდების შიგა მხრიდან აღებული ქონი. ღორს რო გავკრით, გვერდებზე აქ ფილები, იმას გადავადნოფთ მერე. ჰაქის ქონიც ფილია (მანდაეთი, შომახეთი). || ღორის ხორცის მოხარმვისას სითხის თავზე მოყენებული ქონი. ღორის ხორცს რო ვხარშამთ და თავზე მოვხითთ ქონს, ისაა ფილი (ბოხლევო). (იხ. განმარტ. ლექს. ფილი², ქყ.). იხ. დაფილაშს, დაფილუ-ლი, მიაფილაშს.

ფილაფოზ-ი ფილოსოფოსი, მეცნიერი, ყველაფრის მცოდნე. ტარი-ელს ცოლი ყოლია ფილაფოზი (ხიდარი). (იხ. მენთ.).

ფილაფოზოფ-ს ფილოსოფოსობს. ისე ფილაფოზობდა იქალი, მე ვთქვი: კაათ მამივლის-თქო (მერჯევი).

ფილაქსერა ფილოქსერა. ფილაქსერა გოუჩთა და თხრიდენ ვენახს (ხევი); ფილაქსერამ მაღლარი ვენახიც მოსპო და დაბლარიც (უჩამეთი). (იხ. დიალექტ. ლეჩხ. ფილაქსერა).

ფილტუხველა ქლექი. ფილტუხველამ მოუქლა უფროსი შვილი (ხრეთი).

ფიმფლ-ი ფიფქი. ფიმფლი ცეივა ხეებიდან (ფარცხნალი).

ფინა ფინია. ფინა ლეკვი მოკლა (გეჭრული). (იხ. ბესიკი, დ. ნ. ჩუბ., ყ:იფშ., განმარტ. ლექს. ფშ. ფინა¹).

ფინდილა ხუმარა. ღიზა არი ფინდილა, მოქველა-ღარამე სიცალით (ხვერი). (შდრ. ალავე. ლეჩხ. ფინდილი).

ფინთილ-ი (რუს. фитиль) პატრუქი. ფინთილის ფული გავატანე, არ უყიდია (წირქვალი).

ფინტველა 1. ფანტელი, ფიფქი. ფინტველას სულ არ უშვეფს, ისე თოვს (ზარანი). 2. გადატ. ნამცეცი, ბეწვი. ისე გაწყტეს ყველა, რო ერთი ფინტველა არ დარჩეს (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს. ფანტელი, ფანტელა მნიშვნ. 1).

ფინჩხა იგივეა, რაც ნაბინტვეალი, ნასინსვალა (იხ.). რათ გინდა, რო გამოხვეტო, ფინჩხებით მოსვარეს აქოურობა (ტაბაკინი). (იხ. ყიფშ. ფურჩხა, ბ. წერ. ფინჩქი, ჯაჯ. IX, 1 დ., განმარტ. ლექს. ფინჩხალი, დიალექტ. გურ.).

ფინცხალ-ი პურის განიავების შედეგად დარჩენილი ბზის უვარგისი ნაწილები. გავანიავეფთ პურ წმინდათ, პტვერს ვაცლით, პატარა ჩხიკებია, ფინცხლები — ბზის უვარგისი ნაწილები (ხვაშით).

ფიფვი ფილტვი. ფიფვეები ტკიოდა და სულ აბასთუმანში იყუ (ტაბაკინი). (იხ. ყიფშ., ბერ. ფიფუა | ვ, შარაშ. ფიფეაი). იხ. ფირფიქა.

ფიფვა ლობიო || ფიფვისფერა ლობიო ლობიოს ერთ-ერთი ჯიშია, ღია წითელი მარცვალი აქვს. ფიფვა ლობიოს ურემ შულავერა ლობიოსა? (პერევი); ფიფვისფერა ლობიო ყველაზე უმაღლად მოდის (იქვე).

ფირისულა ბოტ. ფურისულა. ფირისულა მინდვრის ფხალია, უმაღლის ამოდის, თეთრი ყვავილები იცის, აქ წაგძელო, დანაოქებული ფოთლები (ჩიხა); ფირისულას ზოლოკის ფოთლის მსგავსი ფოთოლი აქ, ფოთოლს შუა დარვიით აქ, იცის მოიისფერო პატარა ყვავილი, გრამაფონის მილის ფორმისაა (ხანახშირე); ფირისულა გრამაფონის მილივით პატარა მოლურჯო ყვავილედს იკეთედს (შროშა). (იხ. დ. ჩუბ. ფირისსულა, ფირუსულა, ფურიუსულა, ქეშიკ. ლუსუმა, ალავ. ლეჩხ., მაყაშ., განმარტ. ლექს.; შდრ. ქავთ.).

ფირმა ფერმა. წევედი ქათმების ფირმაში (შომახეთი); ფირმის ყველი არ გამიტენნია (ლიჩი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ფირფიფა ფილტვი (სინონ. ფიფვი). ღვიძლიც გაჭრილი ქონია და ფირფიფაიც (ტაბაკინი); გოუსივდა თურმე ფირფიფა (ბოსლევო). || ღორის ფილტვები. ღორს აქ ფირფიფა, საქონელს — ფილტვი (ხევი). (იხ. შარაშ., ქავთ.).

ფირჩხ-ი იგივეა, რაც ფარჩხი (იხ.). ფირჩხის არ ეშინდა გელს, სინათლის ეშინია (შომახეთი). იხ. გადიფარჩხება.

ფირჩხა გადატ. ხმელი, სუსტი. მამაჩემი ფირჩხა კაცი იყო (ფარცხნალი).

ფირცხ იხ. აფირცხედს.

ფიტი მიწა გამოფიტული, უვარგისი მიწა. ფიტს ვეძახით მიწას, ნოყიერი რო არ არი, უვარგისი როა (შომახეთი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ყიფშ. ფიტი, მენთ., ალაგ. ლეჩხ., განმარტ. ლექს. ფიტი).

ფირცხლათ მაგრად. წითელმა ბატონებმა 3 წლის ბიჭს ფირცხლათ მოკიდა ხელი (წიფა). (შდრ. განმარტ. ლექს. ფიცხალი). იხ. ფიცხი.

ფიტონი-თარო; ფანჯრის რაფა; ბუხრის თავი. დოქი მეიტანე, ფიტონზე დევს (მანდაეთი); ბელელში ფიტვნიებია (ხვაშითი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, დიალექტ. რაჭ.; შდრ. ქყ.).

ფიტონა იგივეა, რაც ფიტონი (იხ.). რო მამიყვანეს, ამხელა ფიტონა იყო კედელზე მიკრული კუთხეში (ზარანი); კამარის შემდეგ ფიტონაა, შაშანდელსაც უძახით (ხვაშითი). (შდრ. ბ. წერ., შარამ., განმარტ. ლექს.).

ფიფაცო ციცაბო. დაკრა ხელი და ფიფაცო კუთხეზე, კდიანი ადგილი როა, წვეიდა (ზარანი). ისე ფიფაცოა სულ, რო მოწყვეტო მორი, წვილფეს ორივეს (ფარცხნალი).

ფიფინა ლიფლიფანა, „დაირის სარაყლუნებელი“ (კირ.). ფიფინებით მორთული დაირა იყო, რალაც კაპიკიანები ეყიდა, გახვრეტილი რკინის ქვატები (სხვიტორი). (იხ. კირ., განმარტ. ლექს. ფიფინა?, შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ. ფიფინა, ფიფანური, განმარტ. ლექს. ფიფინაური, დ. ლ. ფიფინურები).

ფიჩკა (რუს. снхка) ასანთი. ფიჩკით მოუკიდეთ (ტაბაკინი). (იხ. დიალექტ. რაჭ.).

ფიცრის სკამი იგივეა, რაც ბოკონა (იხ.). ფიცრის სკამზე ვერ ვჯდები, დაკუზვა არ შემიძლია (შუქრუთი).

ფიცხი-გამაგრებული, გამხმარი. ჩალა არ ავკონოთ დღესე? ახლა ფიცხია, სალამოს რო მობრუნდება ნიავი, დანამბულდება (იხ.) (სვერა); ფიცხი არი ახლა ლობიოი (ზედუბანი). (იხ. საბა ZA, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 4).

ფიცხი ადგილი ადგილი, რომელსაც მზე ანათებს ამოსვლიდან ჩასვლამდე (სინონ. მზიგული, სამზიგულო; საპირისპ. ყლანჩი ადგილი). ფიცხი ადგილია აქა და სიმიდი აჩალა (ტაბაკინი); თეთრი სიმიდი უხთება, საცა ფიცხი ადგილია, თეფში წითელი სიმიდი მოდის მალე (ლიჩი); ჩვენი დებარეობაი ფიცხი ადგილია, სამზიგულო (ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს. ფიცხი მიწა [იხ. ფიცხი]; შდრ. კახ.).

ფიცხი დილა ძალიან სუსხიანი, ცივი დილა. ფიცხი დილა არი ახლა, უპალტოთ ვერ გახვალ (ზარანი).

ფიცხი კაცი გადართ. კარგი, მარჯვე, გამრჯე მუშა. ფიცხი კაცი

ვარ და უმუშევრათ ვერ გავძელი. ფიცხ კაცს ეტყვიან აქა კაი მომუშავეს, ადრე რო ადგება, ხნავს, თოქნის, არ დღისვენეფს, ბილი მუშაა ზარმაცი მუშა (ზვარე).

ფიწლის თოხი იგივეა, რაც ორთითა თოხი (იხ.). გათოხნი ვენახს ფიწლის თოხით. რო დაკრამ, იორი თითი ჩეესობა და, როგორც ჩოგანო თოხს, იმდენი გამოაქ მიწა (ჯალაურთა).

ფიჭვის სოკო საქმელი სოკოა, მოყვითალო-მოყავისფრო. ფიჭვის სოკო ფიჭვექვეშ ამოდის, მოყვითალო-მოყავისფროა (ლიჩი). (იხ. ჭყ. სოკოები, ფიჭვის სოკო).

ფიჭვნარა იგივეა, რაც ფიჭვის სოკო (იხ.). ფიჭვნარაი სოკოა, ხიყვს გაძს (ზვარე).

ფლიტვებ-ი ფილტვები. ფლიტვების ავანტყოფობა მქონდა (წირქვალი): ქათმის ფლიტვებს ვყრით (შომახეთი). (იხ. მ. ჯან. ფურტ, ა. ჩიქ. შედ. ლექს. ფირტი). იხ. ფიჭვა, ფირფიქა.

ფლიტინ-ი სასაცილოდ აგდება, დაცინვა. დოუწყო ფლიტინი რძალმა, საცინლათ აგდებაი (პერევი).

ფოთამ-ს შფოთავს. ადამიანს რო ძინამს, სულ ფოთამს (ზედა საქარა). (იხ. განმარტ. ლექს. ფოთვა).

ფოთელ-ი ფოთოლი. ფოთელი მინდა მოვკრიფო იქა (ვახანი). (იხ. საბა, განმარტ. ლექს.).

ფოლ-ი ჩლიქი. ცხენის ფოლის სათალი დაკარგე (მანდაეთი); საქონლის ფოლებივით აჩთია ქვას (ხიდარი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. გურ. ფოლი!; შდრ. ჭყ., დიალექტ. ფშ., ქეშიკ.).

ფოლსათალ-ი ჩლიქის (ფოლის) მოსათლელი დანა. ფოლსათლით ხარს ჩლიქსა ვთლით (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. ფოლსათალი, მენტ. სათლელი).

ფოლხვ-ი ფიზიკურად სუსტი, უღონო, დაგრდომილი, მოდუნებული, მოშვებული. ქმარი მთლად ფოლხვია, არაფერი შეუძლია (ტაბაიხი) (იხ. განმარტ. ლექს.). იხ. დაფოლხვდება, დაფოლხვილი. დაფოლხვებული.

ფონცხ-ი იგივეა, რაც ბუძუძლო (იხ. მნიშვნ. 1). ვენახში ცარიელი ფონცხები კილია. ფონცხს ეტყვიან მარცვალ-გაცლილ ტევანსა (წიფა, ჭარტალი).

ფორი ობი. ფორს უჩენს ბური ყურძენსა (მოხვა). (იხ. განმარტ. ლექს. ფორი! მნიშვნ. 1, მ. ჯან. ფორ; შდრ. საბა, ს. მ. ტერმ.).

ფორიო უყაირათო, მფლანგველი. ფორიო ქალი იყო, გააქრობდა ყველიფერს (განთიადი); ძან ფორიო გამოდგა რძალი (ხიდარი); || უხვავო, უბარაქო. პური გამოვაცხვე გუშინწილ, აღარ მაქ დღეს. პური ფორიო არი (ქვები). (იხ. ქავთ.).

ფორიალოფ-ს ბორიალობს, ფუსფუსებს. „რას ფორიალოფ? ოჯახში უნდა იფორიალო აპა!“ (საბე). (შდრ. შარაშ. ფორიალი).

ფორიაქათ წვევიდა განიავდა, გაიფლანგა. ამდენი ხნის დატოვებული ოჯახი წვევიდა ფორიაქათ (სანახშირე). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. ფორიაქი 2).

ფორჟალოფ-ს ძლივს დადის. ჩემი გოქიც ასე ფორჯალოზდა (უჩამეთი). იხ. აფორჯალეფს.

ფორლო დაუტკეპნელი. ტყეში ფორლო მიწაა და შავი ნოშოს დამპალა მიწა ეშვება და ჩოუდის ფესოში. ნატკეპნ მიწაზე ხე ნაქლებათ იზდება (ხრეთით); ფორლოა უმუშევარი მიწა, აფურღულათ რო არი (იქვე).

ფორციაკ-ი თრევა. ქალი მოყამდა ფორციაკით იქა (წაქვა)-ფორჯალ-ი იხ. დაფორჯალოფს, ფორჯალოფს.

ფორჯალოფ-ს დალასლასებს; ფუსფუსებს. მიჭირს, მარამა, ჩემ ნებაზე რო ვფორჯალოფ, კაია (წიფა); იყოს და იფორჯალოს! (ტაბაკინი). (შდრ. ქავთ. ფორჯალი, ჯაჯ. X ფორჯალი, ალაგ. ლეჩხ. XIII ფოხიალი, ქყ. ფორჩინი).

ფოსტის გზა შარაგზა. დიდი გზა, მანქანა რო მიდის, არი ფოსტის გზა (ლიჩი).

ფოფადია ფოფოდია. ფოფადია ლამაზი ქალი იყო (ბოსლევი). ფოფინარე რაც ფოფინებს, ირხევა. ჩავდგამ ქვაბსა ფოფინარესა (ლოცვაშია) (ზედა საქარა). (იხ. განმარტ. ლექს. ფოფინა).

ფოლო ფულურო. თელა, ნაძვი, ცაცხვი, წიფელა, ურთხველა, წაბლი — ფოლოებში ამ ხეებმა იცის (ლეღვანი); რო გამოლპება ხე და შიგნი გული აღარ ექნება, ფოლოს იმას ვერყვით (ქვები); ხის ფოლოში ხელი ჩაყო (პერევი). (იხ. საბა ფოლორო, ბ. წერ. განმარტ. ლექს. ფოლო, ალაგ. ლეჩხ. ფოქორო; შდრ ყიფშ. ფატარი). იხ. დოუფოლოვდება.

ფოცხ-ი ლერწმის კონა, რომელსაც მიუღებენ საწნახელს შიგნიდან ტბილის გამოსასვლელში, ქაჭა რომ არ გამოჰყვეს. ფოცხი გაუკეთე საწნახელს (ჩიხა). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ფოხ-ი ფახი. ნიკო დიდ გულზე იყო, რო უფროსობდა, მარა დიდი ხნის ფოხი არ ქონია (ხხვიტორი).

ფოხალ-ი მარცვლეულის, ფქვილის, კაკლისა და მისთანათა საწყაო 10-12 კილოიანი ხის ქურჭელი, — ბათმანი. ჩვენე ბათფანს ფოხალს უძახით, იმერულათაა ბათფანი. 12 კილო ჩადის ფოხალში (წიფა); ფოხალი ჩვენი 12-კილოიანია (ფარცხნალი); ფოხალი 20-გირმაქიანი იყო (ზვარე); ფოხალი იგივე ბათფანია, 10-კი-

ლოიანი (ჩიხა, პერევი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ი. ჯავახი. საფ.-საზ. 79, 109-110, ყიფშ., განმარტ. ლექს., ჯაჯ. IX).

ფოხალობა ფოხლით წყვა. ფოხალობა: გადავარდა, ნიგოზი ღირს 12 მანეთი კილოი (ხვევი).

ფრანგა ვაზის ჯიში, რომელიც შაბიამნის ხსნარით შეწამვლას (მორწყევას) არ საჭიროებს და ამის გამო ურწყევასაც ეძახიან (სინონ. გიბრიტა). ფრანგა შავიც არი და თეთრიც, გემოვნობით ქვიშხურს არ დაცილდება (ხვაშითი). (იხ. ბ. წერ. ურწყავი, განმარტ. ლექს. ფრანგულა მნიშვნ. 2, ლექ. 63).

ფრანგულა იგივეა, რაც ფრანგა (იქ.). ფრანგულას ღორეშულასაც ეძახიან (მანდაეთი); ფრანგულა შავი ნადრევი ყურძენია (ზედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, დიალექტ. ქართლ.).

ფრიალ-ი იხ. წამოაფრიალეს. (შდრ. საბა ფრიალი. განმარტ. ლექს.).

ფრიალა ხაინი ჩაულრმავებელი ბრტყელი თეფში (საპირისპ. ღრმა-საინი). ემის ფრიალა საინები იყო, ზაკუშკის საინები მოტანილი (შროშა). (შდრ. ბერ. ფრია, ქავთ., განმარტ. ლექს. ფრიალა თეფში).

ფრიეთ-ი შეღმართი, ფერდობი. მიჭირს ასელა, ფრიეთი ადგილია. თავდაღმართი უფრო ადვილი გასავლელია (ტაბაკინი); ვენახის ლერწი გაღიჭრება 40 სანტიმეტრზე ვაკე ადგილეთში, ფრიეთში — 50 სანტიმეტრზე (იქვე). (შდრ. ალავ. XXIV).

ფრინა-ფრინა, მია! ფრინა-ფრინა, მია! (იხ.), ხვალ თუ კადარია! (ღორეშა).

ფრინვა ფრენა. ქათამი ფრინვით მიდის (ჭალაურთა). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს.).

ფრიტინ-ი ფარფატი, ფრიალი. მოდემს სისხლიანი ნაფოტი ფრიტინითი (ზედუბანი). (იხ. დიალექტ. იმერ.).

ფრუი, დედო! ძროხის მოსახმობი შეძახილი (შომახეთი).

ფრჩხილა || ფჩხილა აჩაჩა ურმის ზესადგრის თავში ამოყრილი ორი კაპიანი ხე, რომლებიც სამატის საშუალებით ურემს აკავშირებენ უღელთან (სინონ. ლაშკინი). ფრჩხილაებით ურემი უღელს უკავშირდება (შომახეთი); ფჩხილა კაპიანი ხე, რომლითაც ურემი უკავშირდება უღელს (ტაბაკინი); ფჩხილაები ორი წვრილი ხეა, რომელიც კაპით უკავშირდება ზესადგარის წინა ნაწილს (ვანი); ფჩხილა ზესადგრების გაგძელებაა, სამკუთხედის მსგავსათ არა ორი ხე, რომელიც ვიწრო თავით, სამატით უღელს უკავშირდება (ჭალაურთა). (იხ. ალავ. ლექს. ფრჩხილები, ქყ., განმარტ. ლექს. იმერ., ქუთბ. 285, ფჩხილა; შდრ. მენტ. ფჩხილა).

ფრჩხილის თათი რკინის ღერი, რომლითაც ფრჩხილა (იხ.) გაყრილია ზესადგარში. ზესადგარი (იხ.) წინ გახვრეტილია და ამოყრილია ფრჩხილის თათი, რომელიც ამაგრებს ზესადგარს ფრჩხილაზე (ჩიხა). (შღრ. კ უ მ ბ. 285, თითები).

ფსვენა პატარა ხელიკისებრი ქვეწარმავალი სხვადასხვა ფერისა.— ფსვენნი. ფსვენაი წვრილკუდაა, ნაცრისფერი, სვლიკის მსგავსია (ვახანი); ფსვენა ხელიკს გამს, მარა პაწია არი, წაწითუროა (ლეღვანი); ფსვენა ხელიკია, ბალახისფერი (ზვარე); ფსვენ ხელიკია, მარამ პატარა არი (ხევი); ხელიკია ფსვენა, პატარა, ახლად დაბადებული (მერჯევი). (იხ. განმარტ. ლექს. ფსვენნი²; შღრ. დ. ჩ უ ბ.).

ფსლიკვი-ი პატარა ხელიკი. ფლისკვებით გეიმსო აქოურობა (წირქვადლი). (იხ. ბერ. ფსენიკი, განმარტ. ლექს. ფშ. ფხლიკვი). ფსტვირ-ი სტვირი. ფსტვირებივით გამეირკობენ პაპიროზა (ტაბაყინი). (შღრ. ალაგ. ლეჩხ. ეთნ. ფშტვირი).

ფუთრ-ი ფითრი. სხალზეა ფუთრი (ხვაშითი, ქვაციხე); სხალზე რო იცის ასვლად, იმას ჩვენ ფუთრს უძახით (მოხვა).

ფუთქ-ი ვაზის მუხლთა შორის გამოსული ზედმეტი რქა. ნამხრევეფში (იხ.) ფუთქი ნაკლებია და, თუ ის არ გამოჩნდეს, გამოიგუდება შიდ (წაქვა); ვენახს ძირში გამოვაცლით ახალ ლორდებს — ფუთქეს. ძირში რო ფუთქები ქონდეს, არ ივარგებს (ხევი); ვენახი ისხამს ბევრ ფუთქს — უნამყოფო ლორდია და უნდა გამეილო (ბორითი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. მნიშვნ. 1, დიალექტ. კახ.-ქიზ. ქირქა). იხ. ბიკა-ბიკა, ფუნთლი, ფუნთხი, ფუნთხლი. ფუნდრიაკ-ი აყალმაყალი, არევედარევა. რას აგვიტენე ფუნდრიაკი, ვიჭექით და ვსვემდით ყუდროთ (ფარცხნალი); აგვიტენა ფუნდრიაკი იმ კაცმა (ქვები). (იხ. ჯაჯ. X).

ფუნდრუკ-ი „ხტუნვა, კუნტრუში, თამაში“ (განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1). (იხ. საბა). იხ. აფუნდრუკებულნი.

ფუნთლ-ი იგივეა, რაც ფუთქი (იხ.). ფუნთლები უნდა გამოგვეჩინა, გაფურჩქვნა (იხ.) ქვიოდა ამას (პირველი ხვარი).

ფუნთრუშა ქუნთრუშა. უფროს ბიქს შეყროდა ფუნთრუშა ბატონები (შომახეთი).

ფუნთხ-ი იგივეა, რაც ფუთქი (იხ.). მერე ლერწეფსა გამოუღის თავისი ფუნთხი, ფოთელთან რო არი, ნამხრევესაც უძახიან და ფუნთხსაც (ქვები). (შღრ. ბერ., ელ., განმარტ. ლექს.).

ფუნთხლ-ი 1. იგივეა, რაც ფუთქი (იხ.) (სინონ. ბიკა-ბიკა, ფუთქი, ფუნთლი, ფუნთხი). ფუნთხლია ვაზის ზედმეტი ლორდები (იხ.), კვირტებში ხშირი გამონაყარი, რომელიც აღარ იზდება და უნდა გამოფუნთხლო (ფარცხნალი). (იხ. ლექს. 66). იხ. გამოფუნ-

თ ხ ლ ა მ ს. 2. პარკის გამოსვლამდე აბრეშუმის ქიის მიერ მოქსოვი-
ლო ქსელი. სანამ პარკი გამევიდოდეს, აბრეშუმის ქია ქსოვს
ქსელს, ფ უ ნ თ ხ ლ ი ა ის (ხიღარი).

ფუნჩო იგივეა, რაც ბუნჩო (იხ.). ფუნჩო ლობიოს გამოფუ-
ვნის შემდეგ ცარიელი პარკებია, ერთათ მოგროვილი. (ბერეთისა).
ფუნცხ-ი მცენარის ტოტები, რომელთაც საწნახლის თავში შიგნიდან
აწყობენ, რომ ტკბილს არ გადმოჰყვეს ჰაჰა. რო დაწურავენ ყურ-
ძენს, ფუნცხს გავაკეთებთ მერე საწნახელში, რო ტკბილს მარ-
ცვალი არ გამოყვეს (საბე). შღრ. ფოცხი.

ფუჟურ-ი ნაუცბათევად, უხარისხოდ კეთება რისამე. ფუჟური თ
რას გააკეთებ? დოჟმატე შეშა, ცოტას რო აყრი, უბერამს მერე და
არ ეკიდება (ხვაშითი).

ფურფუშალა ბელურის მსგავსი პატარა ჩიტი, — ქინკრაქა. ფურ-
ფუშალა პაწუა ჩიტი, ქინკრაქასაც უძახით (ხვაშითი). (იხ. გან-
მარტ. ლექს. ღობემძვარალა, ქინკრაქა).

ფურღვენა ბალახი || ფურღველა || ფურღვენა ბუერა. ფურღვე-
ნა ბალახს კვახის ფოთლის მსგავსი ფოთოლი აქ (ხიღარი);
ფურღველა მთეფში იზღება, ფოთოლს ნახევარი მეტრი ექნება
ღიამეტრი, შიერი საქონელი თუ შექამს. ფურღველას ფოთელი
ქოლგის ხელაა (პერევი, შოხვა); ფურღვენა დაბალია, ფართო
ფოთელი აქ, მალლა ბიზლო (იხ.) იცის. დევიქირე თებში და ფურღვე-
ნაში გავხეიე (შომახეთი). (იხ. მაყაშ., ბ. წერ. ფურღვენა, შა-
რაშ. ბურღავი, განმარტ. ლექს. იმერ. ფურღვენა, ფურღველა, ფურ-
ღვენა).

ფურჩი-ი პურის ცომის წამხმარი ზედაპირი. ფურჩის გამოყოლა
იცის პურმა, თავი რო წაახმება, იმა უძახით ფურჩი, ხმელ თავს
ვაცლით ცომს (ხვაშითი). (შღრ. საბა, კირ., დ. ნ. ჩუბ., გან-
მარტ. ლექს.).

ფურცხვი-ი? შელოცვაში ნახმარი სიტყვა. გატყტა შავი კტე, გამოყვა
ფურცხვი შავი (ზედა საქარა). (შღრ. განმარტ. ლექს. ფურ-
ცხვი).

ფუფია კვახი გოგრის ერთ-ერთი ჩიშია. ძლიერ პატარა. ფუფია
კვახი მუქისოდენაა (ღედვანი).

ფუფლა ჰია ფუმფლა, ბურნა. ფუფლა ჰია ა წვრილი მწე-
რი, რომელიც ყურძნის ჰაჰას უჩდება (ზეღუბანი).

ფუშლუტუნა უაზრო, მსუბუქი, არასერიოზული. ზოგი კაცი ფუ-
ლუტუნაა, რჩევას რას კითხავ? (ტაბაკინი).

ფუჩეჩი-ი ტყეში ჩამოცვენილი ფოთლები, — ნეშო. ჩვენ ტყეში და-
რილ ფოთლებს უძახით ფუჩეჩის, სიმილის ფუჩეჩის აქ ჩეჩქს
უძახით (საბე). (შღრ. განმარტ. ლექს.).

ფუცუკ-ი მეწუკი. ყელში ყოფილა ფუცუკი, ხუთემდა (წაქვა). ფუცუნცხო იგივეა, რაც ბუძუნძლო^{1,2} (იხ.). ფუცუნცხოს ჩვენე კვანის გულსაც უძახით და ცარიელ ტევანსაც (ზოვრეთი). (მღრ. ქავთ.).

ფუძე 1. იგივეა, რაც ბუნი (იხ.). 18 აქა ვართ, ქვეითა, ღონლაძე; 12-ზეითა, ხოლოთ ჩენი ფუძისა არ არი, ჩენი შთამამავალი (ვახანი); ჩენი ფუძის აქ არი სამი მოსახლე (შომახეთი). (იხ. მენტ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3). 2. ადგილი, სადაც ერთი წინაპრის შთამომავალნი ცხოვრობენ. ლიწი ღომიძეები ცხოვრობენ, ამ ფუძეში ღომიძეებია, დასიძებულია გველესიანი და ნოზაძე (ლიწი); ამ ჩემ ფუძეში ჩემზე უკეთ არავინ იყო (ღორეშა). (მღრ. განმარტ. ლექს.).

ფუძეობა იგივეა, რაც ბუნობა (იხ.). დგარან აქანას გლებები ფუძეობით (წყალშავი).

ფშალა ხეიარა ბალახოვანი მცენარე, — სვია. ფშალამ ბარდათ იცის ამოსვლა, ღორდათ შოდის, ფოთოლი აქვს ვენახის მსგავსი, პეტარა (ღორეშა). (იხ. ყიფშ., განმარტ. ლექს.).

ფშიტი მიწა სილიანი მიწა. ვენახს არ ბარევენ აქა, არც გრივალათში, არც ხევში. აქა ფშიტი მიწა არი — სილა-მიწა და არ უნდა დაბარვა, ნადაბურში აყალო მიწაა, მიტო უნდა ბარი იქა (წყალშავი). (მღრ. განმარტ. ლექს. ჭავახ. ფშიტი).

ფშუტე მიწა ჩრდილიანი, უნაყოფო მიწა. ფშუტე მიწა ჩერო მიწა, კაი მოსავალი არ იცის. (გეზრული).

ფჩხილ-ი ნიგვზის უღელი. (სინონ. აპკი). ფჩხილია ნებალსა (იხ.) და ნებალს შორის ტიხარი (შუქრუთი); კაკლის ფჩხილს წყალი უნდა დაასხა და სვა, კუქს წმინდამს (ზედა ქალოვანი).

ფჩხილა იგივეა, რაც ფჩხილის ტოტი (იხ.). ფჩხილაა მარხილის ტოტები, რომელიც ამოყრილია ზესადგრის ნახვრეტეფში (შროშა); ურემს უღელთან აერთეფს მარჩილი. მარხილის ტოტეფს, რომელიც არის ამოყრილი ზესადგრის ნახვრეტეფში, უძახით ფჩხილას (სანახშირე). (იხ. ალავ. ლეჩხ. ეთნ.).

ფჩხილა ურემი იგივეა, რაც აჩაჩა ურემი (იხ.). ფჩხილა ურემი და აჩაჩა ერთია (სადვინე).

ფჩხილის ტოტი იგივეა, რაც კაპი, ფჩხილის თათი (იხ.). ზესადგარში ფჩხილა გაყრილია ფჩხილის ტოტებით. აქა რკინის რიკი გვაქ ფჩხილის ტოტებათ (პირველი სვირა).

ფჩხილის კაპის ბურღი ბურღი, რომლითაც ბურღავენ ფჩხილას, თუ იგი კაპიანი (იხ.) არ არის, ხელოვნური კაპის გასაკეთებლად. ფჩხილის კაპის ბურღი ფჩხილაზე კაპეფს აკეთეფს (ჭალაურთა).

ფხაკ-ი მწირი, კლდიანი ადგილი, ფერდობი, — ფხაკო. ისინი ამ ფხაკეფს მოძალებოდენ, თვარა ვაკეზე შეეძლოთ ცხოვრება (ვახანი): ამ ფხაკეფში რა აცხოვრებთ? (იქვე). (იხ. საბა, დ. ჩუბ., განმარტ. ლექს. ფხაკო).

ფხაკურაფ-ს წვალობს, ჯახირობს, ფაციფუცობს. ექანა ვიყავით, ვიფხაკურე, ვიწვალე იმ დროს (ხიდარი). (იხ. ბერ. ფხაკური; შდრ. განმარტ. ლექს.).

ფხალ-ი მხალი. მინდვრის ფხალია მოლოქი, კინკარი და ია-ია. მოკეპამ, უხამ ნიგოზს, მარილსა (წაქვა). (იხ. განმარტ. ლექს.).

ფხალშავა ბოტ. მხალშავა. ფხალშავა მინდვრის ფხალია, მიწა-ზეა გაპარტყნილი, გაზაფხულზე იცის (სვერი, პერევი). (იხ. მაყაშ.).
ფხარკალოფ-ს იგივეა, რაც ფხაკურაფს (იხ.). რაც ხანი მოყვანილია, ასე ფხარკალოფს (შომახეთი).

ფხაწური-ი „ძნელად სავალში გაპირვებით სიარული“ (განმარტ. ლექს. ზ.-იმერ.). ნუ გიყვარს ფხაწური (ზედუბანი).

ფხაჭა გადატ. ფხაქუნა, კბენია. ღვინო რაგარი ფხაქა არი! (ჭალაურთა).

ფხეკ-ი || ფხეკო იგივეა, რაც ფხაკი (იხ.). ფხეკი ადგილია და კდის ძირში მე ვცხოვრობდი (ვანი); ეგერ ვცხოვროფთ იმ ფხეკზე (შროშა); ფხეკოში რო ახვალ, ღვინაზე იმ ტყეს (ლორეშა). (იხ. ქყ., განმარტ. ლექს., ალავე. ლეჩხ. XXIV ფხეკოლა).

ფხეწო მწირი ფერდობი ადგილი. აქა გვერდა მიწაა, ჩატე მიწა, სულ ფხეწოები (ვერტყვიჭალა). (იხ. ალავე. ლეჩხ. XXIV ფხეკოლა).

ფხვიერო მიწა დაგლესილი ქვევრის თავზე დასაყრელი ფხვიერი მიწა. ქურის თავზე დავაგლესამთ აყალოს და მერე დავაყრით ფხვიერო მიწასა (ზვარე); სულ ზევით ქურს ფხვიერო მიწას დავაყრით (უჩამეთი).

ფხიკი || ფხიკი მიწა ჩამორეცხილი ფერდობი ადგილი. ფხიკი მიწაა, ჩამორეცხილი გვერდო რო იქნება (ზვარე). იხ. ფხოწი.

ფხიკო || ფხიკო ადგილი იგივეა, რაც ფხიკი, ფხიკი მიწა (იხ.). ფხიკოში რა მოვა, პატარა ჩიგვებია და ზედ ბალახები (განთიადი); ფხიკო ადგილია აქა, არაფერი მოდის (იქვე).
ფხლორწა უშნოდ მაღალი და წვრილი. ეტიფანე მაღალი ფხლორწა კაცია (სვერი).

ფხოწ-ი გამრჯე, მშრომელი. ძალიან ფხოწი ვიყავი, დღე და ღამე ეშრომობდი (მერჯევი).

ფხოწი-ი წყლისაგან ჩამორეცხილი ფერდობი. ფხოწია, სულ ჩამოხლეწილი რო იქნება ფერდობი (ხევი). (შდრ. ბ. წერ. ფხრეწები, ფრეწები, განმარტ. ლექს. ფშ. ფხნეკი). იხ. დლოწი.

ფხოწ-ი² მარდი, დაუზარებელი. ის გოგო არის ყველაზე ფხოწი (მერჯევი).

ფხო ერთი ქნა სიცილი აუვარდა. სახლის საძირკველზე რომ გადმოაბიჯა. ლუბამ ფხო ერთი ქნა, თავი ვერ შეიკავა (წაქვა).

ქ

ქადილა ტრაბახა. ნუ ხარ, ბაბუცა, ქადილა (ზედუბანი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ბ. წერ. ქინდილა, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2). ქათამზარკალა ბოტ. მიქლიო. მორუხო ფერის სოკოა, რომ შეიწვება, გემოთი ქათმის ხორცს გავს, გაზაფხულზე იცის ამოსვლაი (გეზრელი). (იხ. მაყაშ.).

ქათამქონა || ქათმიქონა || ქათმიქონია მინდვრის მხალი. ქათამქონა გემრიელი ფხალია (ზედუბანი); ქათმიქონას სქელი, პატარა ფოთოლი აქ (სანახშირე). (იხ. განმარტ. ლექს. ქათმისქონა. ქონა², ქავთ. ქათმიქონა).

ქათანაცარა ნაცარქათამა. ქათანაცარა მინდვრის ფხალია. ურევთ ჭიჭილასას, მოლოქას, მოვხარშამო, ცოტა წყალს დოუტრეფთ და მოგყებამო, უზამთ ნიგოზს, დაქრილ ქლავეს, ქინძს, ცერეცოს, ტალხუნას (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ., ნიჟ. ქათანაცარაი).

ქალი-ცილი. ქალი ყოლია იმ ბიჭსა და გოუდენია (ჭალაურთა); ჯერ ერთხელა გადენა ქალი (ლეღვანი). (იხ. დიალექტ. რაჭ. გურ.: შდრ. დიალექტ. ინგ.).

ქალაკოდა ბოტ. ნიუკა. ქალაკოდა მინდვრის ფხალია. მარტში ამოდის ჩრდილიან ადგილებში, სადაც მზე არ უდგება, ტყეში, ჩირგვეფში. ქარხლის ფოთლის მსგავსი ფოთოლი აქვს, ძალიან მწვანეა (სანახშირე); ქალაკოდა ფართოფოთლიანი ბალახია, საქონლის საკვებად იხმარება, მხალადაც გამოიყენება (ჩიხა). (იხ. საბა, განმარტ. ლექს. იმერ. რაჭ., დიალექტ. რაჭ., ძიძიგ. ძიებ. ქალა-კუდა). ქალგადენილ-ი ცოლგაცილებული. ქალგადენილ კაცს ვერ ვატან ქალსა (ჭალაურთა). (იხ. შარაშ. ქალგანაშობაი).

ქალგარეილ-ი იგივეა, რაც ქალგადენილი (იხ.). ქალგარეილი კაცია, ეს მეორე მოუყვანია (ჭალაურთა).

ქალკაცობა ქალისა და კაცის საქმე. ქალკაცობაი მე დამაწყტა თავზე (ქვები).

ქალალა ქალური კაცი. ქალალა კაცია ანდროი (წირქვალი). ქალშავა მინდვრის მხალი. ქალშავა იცის აქ ბევრი (ზედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს.).

ქამა იგივეა. რაც ქამა სოკო (იხ.). ქამა ცოტათი ნაცრისფე-

რია, გული აქ წაშავოსავით, მიდორზე იცის აქა-იქ (ჭალაურთა).
ქამა წვრილი სოკოა, ზევიდან მოთეთროა, ქვევიდან — ყავისფერი
(სანახშირე); ქამა თეთრია გარედან, მონაცრისფერო გული აქ, რო.
მობერდება — შავი (გეზრული); ქამას შავი გული აქ და თეთრი.
თავი და კირწი (ხვაშითი). (იხ. კ. ყ., განმარტ. ლექს.; შდრ. ძიძი გ
ქრესტ.).

ქამა სოკო მეტად გემრიელი საქმელი სოკოა, გვიან შემოდგომაზე
იცის, ქული ზევიდან მოთეთრო-მონაცრისფერო აქვს, ქვევიდან მუქ-
ყავისფერი, წაშავო (პერვეს); ქამა სოკო მონაცრისფეროა, ქვე-
შა ნაწილი შავი აქ (მანდაეთი); ქამა სოკო ზევიდან თეთრია.
ქვევიდან — ყავისფერი (უჩამეთი). (იხ. განმარტ. ლექს.).

ქამფოლარ-ი ავი, ბოროტი, ქაფარი. თუ ჩეერია ქამფოლარი.
ვაი მაშინ ჩვენი ბრალი (გეზრული).

ქანაწიპა ჩუტყვავილი. ქანაწიპა ყვავილს გამს, მარა ყვავილი
არ არი (ხევი).

ქანდარა საქათმის ის ადგილი, სადაც ქათმები სხედან. ქათმები ქან-
დარაზე არიან (ხევი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

ქანვარ-ი სწრაფად გამდინარე. ჩხაკვი (იხ.) უფრო ქანვარია.
ნასვრეტები უფრო შორიშორსა აქვს (მოხვა). (შდრ. ზერ. ქანვარი).

ქანთელა ყბედი, ლაქლაქა. ქანთელა კაცი რა საყვარელია!
(ხრეთი). (შდრ. კ. ყ., განმარტ. ლექს.).

ქანის შკაფი ქანიშკაფი. ქანის შკაფი დარს უღებს ფიცარს
(ზედა საქარა); ქანის შკაფია იარაღი, რომელიც იღებს კედ-
ლის ფიცრის ჩასაშვებ პირს აფრაზე (იხ.) და კარ-აკოშკის ჩარჩოებს
(მანდაეთი). (იხ. ბ. წერ., მენტ. განმარტ. ლექს.).

ქანჩ-ი 1. დაგრეხილი წნელი. დაგრეხილი მავთულით — კანათით ან
ქანჩით (ღვლენჭით) ღერძა ამომბულია ფალანგაზე, რომ გოგო-
რები არ დაცივინდეს (ქვაცხე). ქანჩია დაგრეხილი წნელი, რო-
მელიც გამობმულია სახიბზე (იხ.) (ხრეთი). (შდრ. საბა, დ. ნ.
ჩუბ., მენტ., განმარტ. ლექს.). 2. დატვირთულ ურემზე გადაკ-
რული თოკის ან დაგრეხილი წნელის — ღვლერჭის მოსაპერი ჯოხ.
რო დააწყოფ ურემზე ტვირთს, გადააკრავ ღვლენჭით, მერე მოუქერ
ქანჩას — ჯოხია, გოუყრი ღვლენჭში, მოაბრუნეფ და შამოქაჩამ
(ხიდარი). (იხ. ნ. ჩუბ., მენტ., განმარტ. ლექს. ქანჩი, მნიშვნ. 2;
შდრ. იქვე კილიბყურა, კილიბყური).

ქანჩია გადატ. იგივეა, რაც ღვლენჭა² (იხ.). ქანჩია ილიკოს
სამსონამ დაარქვა (მორძვეთი).

ქარა ღეზი. მამალი ხანს რო მოათევს, იცის დაძველებადი და უჩრება
ქარა. რძღენში მიქვყამდა მამალი და ჩულქი დამიხია მამლის

ქარამ (ხვაშითი). (შდრ. საბა, ყიფშ. [маленький коль]. შარაშ., ალავ. ოკრ., განმარტ. ლექს.).

ქარაფი დიდი დაქანების კლდე ან ადგილი, — ციკაბო. ისეთ ადგილს, რომელსაც დიდი დაქანება აქ, ან კდე არი დიდი დაქანების, ქარაფს უწოდებენ (ვახანი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ქეშიკ. ქარაბი, ქარაფი, განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ.; შდრ. დიალექტ. ჯაგახ.).

ქარაფი ორმო ციკაბო კლდეებით — ქარაფით შემოზღუდული გაუვალი ორმო. წეიყვანეს ე ბიჭი და ჩაადგეს ქარაფ ორმოში. ქარაფი უსიერი კდეა (ბორითი). (იხ. დიალექტ. იმერ. ღრუხვევი). ქარაფათ თავისუფლად, ღრეჩოდ. ასაწვევლაში (იხ.) გაყრილია რკინის ჯოხი, რომელსაც მოკიდებ ხელს და აწევ, ქვა ქარაფათ რჩება — ქვეფს შორის მეტი ადგილი რჩება და ღერლილს უშვებს (რგანი). (იხ. შარაშ.).

ქარდი წამოზრდილი ფრჩხილი. რო გოუგია მისი სიკვტილი, სახე ქარდებით დოუკაწრია (ტაბაკინი); როგორც ქარდი, ისე კვიტანს კანს ეკალი (ხიდარი). იხ. გაქარდული, დაქარდამს.

ქარვლით არახშირად, თავისუფლად, მეჩხრად. ვენახი რაც ქარვლათ არი, ის ჯობია (ღარხვევი).

ქართა იგივეა, რაც საჩეხი (იხ.) (სინონ. ბაკი, საჩეხი, ფარეხი). ქართა წენელით მოწნული საქონლის საზაფხულო სადგომია (მოხვა). (იხ. ქყ. ქალტა, ქართა, განმარტ. ლექს.; შდრ. შპნმ). || დიდი საჩეხი, მთაზე კოლექტივის საქონლის სამწყვდევნი. საქონელს რო ვამწყვრევთ მთაზე, შამოვრავამთ წენელით და სარებით, სარეფშია გაყრილი წენელი და საქონელს ამწყვრევენ, ქართას უძახით იმა, ოჯახში პატარას ვაკეთებთ და საჩეხს უძახით (ხვაშითი).

ქართული თოხი თოხი, რომელიც ყუასთან და პირთან თითქმის ერთნაირი ზომისაა. ქართული თოხი ზევით და ქვევით ერთნაირია, წვერები — ლინგები არ აქ მახვილი. ეს თოხი ქართლში იხმარება და მეტო ქვია ქართული (შროშა).

ქართული ღობიო ღობიოს ერთ-ერთი ჯიში. ქართულ ღობიოს წვრილი, გძელი მარცვალი აქ, წითელი ფერისაა (ხვევი).

ქართული ურემი იგივეა, რაც ხელნაურემი (იხ.). ურიცხვი ქონდა ყოლიფერი, გეემსო ქართული ურემი და მიადგა კარზე (წირქვალი). (იხ. ბ. წერ.).

ქართული ქარი ზენა, აღმოსავლეთის ქარი. ქართული ქარია და კაი ამიდი იქნება, ქვენა ქარმა ავდარი იცის (ხვევი). (იხ. კ. კახ., 42, ქართლური ქარი).

ყუდუღი || ყუდუღის ღობე ჰორიზონტალურად გადებულ ხეზე (გარაზე) სიმალღეზე მიყუდებული დაპობილი ხეების ღობე. ყუდუღია გარაზე მიყუდებული დაპობილი ხეები. აქ ხშირათ ყუდუღის ღობეებია (ხევი); ყუდუღით არის შერაგული ბოსტანი (ზარანი); ყუდუღია დაპობილი ხე, სიმალღეზე ჩაწყობილი, მიყუდებული სიგანით გადებულ ხეზე (ლიჩი). (იხ. ბ. წერ. ყუდუღის ღობე, რაფები, რაფის ღობე, ალავე. ლეჩხ. კყერო; შდრ. ბერ. და-ჰყორი, განმარტ. ლექს. ყუდილი).

ყუდურ-ი იგივეა, რაც ყუდული (იხ.). ბებია ჩამევიდა ყუდურთან და იქიდან ყვიროდა (ხიდარი).

ყუმი-ი ჩუმი, უსიტყვო; უცხვირპირო. ზოგი ქალი ყუმი, ვერაფერს გოუგეფ (ღარხევი); საერთო კრება ყოფილა ყუმი, არაფერი უთქვამთ (ბოსლევი). (იხ. ბერ., განმარტ. ლექს.).

ყუნტალ-ი აქეთ-იქით ქანაობა. სამფეხმა ყუნტალი რო არ დეიწყოს, სამი ფეხი იმიტომ აქ (ლეღვანი). (იხ. განმარტ. ლექს. ყანყალი, ყუნტალი).

ყუნტალოფ-ს აქეთ-იქით ქანაობს. ყუნტალოფს სტოლი (ღორე-შა); ქვასაყუდზე ჯდის და ყუნტალოფს (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. ყანყალებს, ყუნტალებს, ყუნტულებს).

ყუნწალ-ი ყუნწი. ბაბუსაგძალას (იხ.) აქვს ყუნწალზე 3-4 ან მეტი მარცვალი (შომახეთი).

ყუჟა ღობიო ღობიოს ჯიშია, წვრილი, მოყვითალო მარცვალი აქვს (მოხვა).

ყურაგდება ყურადღება. აუგი რო ვთქვა, შემეკამს, თავის ბოვშებზე უფრო მეტ ყურაგდებას მაძლევეს (განთიადი).

ყურე 1. სახლის კუთხე. სახლის ყურეში მაქ ბუხარი (განთიადი). (იხ. საბა. ი. იმნ. ქრესტ., დიალექტ. ინგილ. ყუყურ, განმარტ.

ლექს. მნიშვნ. 3). 2. იგივეა, რაც კობლი (იხ.). ჰადის ყურე მომეცი (შომახეთი). (შდრ. საბა, განმარტ. ლექს.).

ყურთუკი-ყურთბალიში. ყურთუკი მომიტანე, უნდა დავიძინო, თელი ღამის უძილარი ვარ (ვახანი, ლელვანი, ლაშე). (შდრ. კირ., განმარტ. ლექს.).

ყურიანი (ყურებიანი) ჰადი ყურებიანი მჰადი. ორომზე (იხ.) ვატრია-ლეთ ჰადს და კიდებებზე აჩება ხელის თითები ფიგურებით, ვაცხოფთ ყურიანი ჰადს (ბერეთისა); ყურებიანი ჰადი გარშემო თითებითა ჩანიკბული, შუაში უნდა დანებო — ხელის გული დაკრა (ბერეთისა). (შდრ. განმარტ. ლექს.). იხ. კობლიანი ჰადი.

ყურიანთ ყოფნა ფხიზლად, ყურადღებით ყოფნა. წერილში ეწერა: ამდამ მოვალთ და წაგიყვანთ, იყავი ყურიანათო (ბოსლევო; ყუროფ-ს უსმენს. დედა ქე ყუროფს ამ ამბავს (ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. გურ. მნიშვნ. 2, კლდ.).

ყურუში-ი ძვ. ფულის ერთეული, 40 კაპიკი. ყურუში ერქვა თათრის ფულს (ვახანი). (იხ. განმარტ. ლექს.).

ყურყუტა იგივეა, რაც ყლუჩუნა (იხ.). ჰალი კაი იყო, მარა ქმარი იყო ყურყუტა, ყლუჩუნა და გაცილდა ჰალი (დილიყაური).

ყურძნის შეყრა ყურძნის შეგროვება საწნახლის უკან ნაწილში (ქორეთი).

ყურკუმელოფ-ს ყურყუმელოფს, ყვინთაობს. ყურკუმელოფს ეკაცი წყალში (ხრეთი). (იხ. საბა ყურკუმელა, განმარტ. ლექს. ყურკუმელოფს, ყურყუმელოფს).

ყუყუე დაყენეფს წამოაჩოქებს; გაძარცვავს, ყველაფერს წაართმევს. გადაწყვეტილი ქონდათ პერსიას და ოსმალეთს, ყუყუე დეეყენებიათ საქართველო (ზედუბანი).

ყუყენი-ს მადიანად ჰამს. ავით ვარო და კათ ყუყენი საქმელს (პერევისა). (იხ. განმარტ. ლექს. ზ. იმერ. ყმუყენა).

ყუყუა ჩუმი, გულჩახვეული. ყუყუა კაცი რო იქნება, მოკუხუ-ლი რო შამოვა ოჯახში, არ მიყვარს (შროშა).

შ

შა ზმნისწინი შე (შა იხპარება ყოველთვის, როცა შე-ზმნისწინს ერთვის მო-). შამოსულიყო სახში (ტაბაკინი); შამოტანილი გვაქვს მოსავალი (უჩამეთი). (იხ. გურამ., ბესიკი).

შავი ბალახი ბოტ. შავბალახა. შავი ბალახი ბევრი ამოვა ერთ

ალგას (ჯალაურთა). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., მენთ., განმარტ-
ლექს., ს. მ. ტერმ. შევბალახა).

შავი მიწა აყალოთი დაგლესილი ქვევრის თავზე დაყრილი შავი-
ფხვიერი მიწა. აყალოს ზეით ეყრება შავი მიწა, რო არ დასკდეს.
საგლესი მიწა (ჩიხა); შავ მიწას მოვაყრით ჭურზე, რო აყალო
არ გახმეს (არგვეთი). (იხ. განმარტ. ლექს. შავმიწა).

შავგვრიშალი-ი შავგვრემანი. ნუცა შავგვრიშალი ქალია, კოხ-
ტაი (წვარე).

შავგულა სულ შავი საქონელი. შავგულია ჩემი ძროხა (ლორე-
შა). (შდრ. განმარტ. ლექს. შაველა).

შავპარკა ლობიო ლობიოს ერთ-ერთი ჯიში, ხვიარა, მრგვალი ჭრელი
მარცვალი აქვს თეთრ ფონზე მუქი შინდისფერი ფხაქებით. შავპარ-
კა ლობიო ჭრელია, რგვალი მარცვალი აქ, თეთრზე აქ მუქი
შინდისფერი ფხაქები (შომახეთი); შავპარკა ლობიო სიმიდზე
შედის, შავი პარკი აქ, შემოდგომაზე მოდის, შიგნივაც შავი ფხაქე-
ბი აქ (ხიდარი); შავპარკა ლობიო საპარკე ლობიოა, ლურ-
ჯი ზოლები აქ (წედა ხაქარა).

შავსხალა მსხლის ერთ-ერთი ჯიში, მოშავო ფერისა. ვახანში სხლის
სხვადასხვა ჯიშია: გულაბი, აყირო, კვირისტავა, სამარიობო, შავ-
სხალა, თაფლა... (ვახანი). (იხ. ქუ. შავი მსხალი, ალავ. ლეჩხ.
ოკრ. შავმსხალა).

შავფხა „თავთუხის ერთ-ერთი სახე, რომელიც მუქათ შეფერილ თავ-
თავს იკეთებს“ (განმარტ. ლექს.). აქ შავფხაც არი, წითელი
პურიც არი, დიკას ეძახიან (ლიჩი).

შავფხალა ბოტ. მინდვრის მხალი, — „ჩვეულებრივი ჯიჯლაყა“ (მა-
ყაშ.). შავფხალა მინდვრის ფხალია, ცოტა მოშავო ფერი აქ.
გძელი ფოთლები, შავი წერტილები აქ დაყრილი (უჩამეთი); შავ-
ფხალას მუქი მწვანე ფოთოლი აქ შავი წინწყლებით, ყვავილები
კი — თეთრი (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. შავმხალა).

შავჩოხა ნაცრისფერი მწარე სოკოა, მოწყვეტის შემდეგ შავდება.
შავჩოხა რუხევი სოკოა, რო მოწყვეტამ, გაშავდება, წარეა (პერევი);
შავჩოხა შავია, თეთრი გული აქ (შომახეთი). (იხ. მაყაშ.,
ჯაჯ. IX შავჩოხა სოკო, განმარტ. ლექს. შავჩოხა).

შავჭიპა ლობიო || შავჭიპა ძაძა. შავჭიპა ლობიო თეთრია და
კიბივით აქ ნიშანი შავი (გეზრული); ესე შავჭიპა ძაძაი არი
(ლორეშა). (იხ. მაყაშ. ძაძა).

შავხალა იგივეა, რაც შავფხალა (იხ.). შავხალა ფხალია, შავი
ფოთელი აქ, აკიბულია ძირზე სულა (წვარე). (შდრ. ვაჟა I შავ-
ხალი).

შაიბა ურმის ღერძზე ჩამოცმული რეზინის ან ლითონის მრგვალი

სახვრეტოანი ფირფიტა, რომ ღერძის თავში გაყრილმა კიკილაქმა არ დააზიანოს მორგვი. შაიბა არი რკინის ან რეზინის რგოლი, რომელიც ღერძაზე (იხ.) აქ მოძრავ ბორბალს მორგვსა და კიკილაქს (იხ.) შორის, რომ მორგვი არ გაქრას კიკილაქმა (ჩიხა); შაიბა რეზინის ან რკინის რგოლია, რომელიც უკეთდება ღერძას ხუნდში გაყრისას (ჯალაურთა). (იხ. განმარტ. ლექს. შაიბა², საყელური მნიშვნ. 3).

შაიკ-ი ტანადი, წარმოსადეგი, რჩეული. შეიკაზმებოდენ კაი შაიკი ბიჭები, დეეცემოდენ ამ საქონელს და გამოიტაცებდენ (პერევი). (იხ. განმარტ. ლექს. ტალიკი მნიშვნ. 2).

შაკ-ი 1. იგივეა, რაც შარი (იხ.). ვენახი ჩაყოლებულია შაკში, ერთ სწორ ხაზზეა განლაგებული (ლორეშა); ვინ ჩაყობა ამ შაკს? (შროშა); მაგ შაკზეა ვარინკა ბიცოლა, იმ ქვედა შაკს შენ ჩაყევი (უჩამეთი); ვენახი შაკათ გაკეთებული უნდა იყოს (ქვები).

2. ვაზის რიგთაშუა მანძილი. ვენახს პწკალებზე (იხ.) გაყოლებენ, მანძილი იქნება პწკალფეს შორის 2 მეტრი, ამას შაკ უძახიენ (დილიკაური). (იხ. დილექტ. იმერ.; შდრ. განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ.). შალამ-ი ჩირქი. გამოდიოდა შალამი ყურის ძირში, არ შეეხენ, ჭვალშიგნი ყოფილა დაზიანებული (უჩამეთი); შალამი დიოდა (მერჯევი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ. შალალი, განმარტ. ლექს. იმერ. რაქ. შალამი).

შალვარ-ი შარვალი. შალვარი დემენხა ღობეზე ძრომით (ლორეშა). (იხ. განმარტ. ლექს.).

შამეხსდები-ან შემოუსდებიან. შამეხსდებიან სტოლზე, ბათფანის ნამცხვარი უნდათ (ტაბაკინი). იხ. შამოსხედილი.

შამეეჩნება-ა შემოეხვევა, შემოეჭდობა, — შემოეჩნება. გადეხსა დულარე წყალი, გაშვლიქეს ჩულქი, შამეეეჩნია ეს კისერზე, მიშველეთო (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. შემოეჩნება).

შამეიკალთაფეფ-ს ტანისამოსის კალთებს აიკეცს. შამეიკალთაფეფა ჩოხა-ახალუხი (ჯალაურთა). (იხ. განმარტ. ლექს. შემოიკალთაფეფს). შდრ. შეაკალთაფეფს.

შამოახულაფეფ-ს იგივეა, რაც შეახულაფეფს (იხ.). როცა დეირგვება ვენახი, უნდა შამოაყარო მიწა ირგვლივ. შამოახულაფეფო (ქვაციხე).

შამოგიარე გადატ. გენაცვალე, შემოგეველე. შენ შამოგიარე, მიირთვი (მოხვა); შენ შამოგიარე, რა ლამაზი ხარ! (ზედუბანი); — შენ შამოგიარე, ოლია, რა ამბავი მოგაქ? (ლორეშა). (იხ. ბერ. შენ შემოგიარე).

შამოგრვიგლამ-ს ღობეს გრიგალს (იხ.) გაუკეთებს. გავათავე მორაგვა და შამოგრვიგლე (ბოსლევო). || დაუმთავრებელ თიხის ჭურჭელს

გრიგალის მსგავსად მიწას შემოაქნის. ძირიდანაც შამოაგრიგ-
ლე მიწა (იქვე).

შამოდგომა 1. შემოდგომა. შამოდგომის პირზე ვიცი ავანტყო-
ფობა (ლორეშა). (იხ. გურამ. შამადგომა, შამოდგომა, დიალექტ-
ქართლ. შამადგომა, ალავ. XIII შამოდექი; შდრ. მენტ.). 2.
შემოდგომაზე მოწეული ქირნახული. შევიხახე შამოდგომა
(იქვე).

-შამოდებულ-ი გადატ. მოჩქარებული. მეც შამოდებული საქმე
მაქ, მოვხილამ პურს და ჩამოვალ (სვერი). (შდრ. განმარტ. ლექს.).
შამოკორღვნილ-ი შემოსაზღვრული, ყორღანჩაყრილი. ჩვენი მამული
შამოკორღვნილი ქექონდა (ღარბხვი).

შამოკორღნი-ს იგივეა. რაც დასამნამს (იხ.). ბატონიდან იყი-
დეს და შამოკორღნეს ადგილები (ვახანი); ადგილს ჭერ შა-
მეიკაფემდენ, მერე შამეიკორღნიდენ (გეზრული); შამეი-
კორღნა იმანა თავისი ადგილი, დასამნა (წვარე). (იხ. კახ. შემო-
ყორღნა). იხ. კორღანი.

შამომესრამ-ს შემოსერავს. ტყლაპევს რო დაასხამ, რო გახმება, ნა-
პარებზე დანით შამოვმესრამთ, ეეჩიგნება ნაპირები და შიგ-
ნი გავატარეფთ ძაფს, დაკრული როა შიგნი (სანახშირე).

შამოსაქვითკრავ-ი ქვითკრავსაკეთებელი. კუხნა მაქ შამოსაქ-
ვითკრავი (განთიადი). იხ. შამოქვითკრავს, შამოქვით-
კრული.

შამოსილამ-ს იგივეა, რაც შესილამს (იხ.). კურს შამოვსი-
ლამთ, შევტაწლახეფთ, ჩამოვრეცხამთ იმას და სამჭერ რომ შევ-
სილამთ ასე, ეს არი შერეცხვა. ასევე გავიშეორეფთ სამჭერ (განთი-
ადი).

შამოსიძღება-ს სიძედ გახდება, დასიძღება. ეს ბიჭი რალაი შამო-
სიძდა, დეიწყო ლოთობაი (დილიკაური).

შამოსწრაფებელ-ი ნაადრევად, დაუშწიფებლად გამხმარი. შამოსწ-
რაფებულია სიმიდი გვალვით (საღვინე). (შდრ. განმარტ. ლექს.
მოსწრაფებული).

შამოსხედილ-ი შემომსხდარი. აქეთ-იქით ხალხი იყო შამოსხე-
დილი (გეზრული); თურმე შამოსხედილი არიან გარშამო
(ქვები).

შამოტონტორიკებულ-ი ვეებერთელა, დიდი. შამოტონტორი-
კებული იყო ი ბოვში, 9 თვის იყო და შვიდი წლის ბოვშს გავდა
(სვერი).

შამოუცდი-ს დაუცდის. შამოუცადა იმ ძმეფს, ომში რო იყ-
ვენ წასული, და დარჩა მისი ბარობით გოუთხოვარი (ხვაშითი).

შამოფოსოება საძირე ლერწზე საკვირტეს დამყნის ადგილას გამოღებული ფესვის მოჭრა. გერიელი ლერწი გამეიღფს ფესვეფს და ის უნდა შამოჭრა, შამოფოსოება ქვია იმა (ჭალაურთა). იხ. დანეკვა, დაფესოება.

შამოფოსოვდებ-ა საძირე ლერწზე საკვირტეს დამყნის ადგილას გამოღებული ფესვი მოიჭრება. წარე ლერწი დემყნება გერიელზე. გერიელი გამეიღფს ფესოეფს და ის უნდა შამოჭრა, შამოფოსოება ქვია იმა. სამჭერ შამოფოსოვდება ერთ წელიწათში (ჭალაურთა). იხ. დანეკვა, დაფესოება.

შამოფჩხილამ-ს ფრჩხილით შემოხზავს. ქუროს ფარფლას (იხ.) 'გაკეთების წინ სამი თითით შამოვფჩხილამთ (ბოსლევო).

შამოქვითკრამ-ს ქვითკირით ამოაშენებს. კუხნა უნდა შამოქვითკრო (განთიადი); ძირს რო არი ფალრიელაი (იხ.), უნდა შამოქვითკრო იაი (იქვე).

შამოქვითკრულ-ი ქვითკირით გაკეთებული. ქვეწ შამოქვითკრულია ეჩენი სახლი (შომახეთი); შამოქვითკრულს უძახით ჩვენე ქვითკირზე დადგმულს (იქვე).

შამოქურქულოფ-ს ქურქულით (იხ.) შემოდის, მოჭრის. ქურქულით გამოდიოდა სიცივეები, შამოქურქულობდა (უჩამეთი). (შდრ. განმარტ. ლექს. ქურქულებს).

შამოცახვა აბრეშუმისათვის ჩელტებზე ხის ტოტების (ცახის) შემოვლება. ჩელტებზე შამოვავლეფთ ცახს — ფოთლიან ხის ტოტეფს, რასაც შამოცახვას უძახით (ზარანი).

შამოხვერწილ-ი ხვეწნით ნათხოვი. შამოხვერწილია, მიყრდეო (გეზრული).

შამოჯარჯულ-ი ჯარჯით შემოვლებული. შამოჯარჯული იყო ყურძენი (მერჯევი). (იხ. განმარტ. ლექს. შემოჯარჯავს, შემოჯარჯვა).

შამპან-ი იგივეა, რაც ალიგოტე (იხ.). შამპანი იგივე ალიგოტეა, პატარა მტევანი აქვს, თეთრი მარცვალი, მალე მწიფდება. იხმარება შამპანიურისათვის (გორისა, მახათაური).

შანთ-ი ყურძნის ჭიშია. იგივე ციკქა (უჩამეთი); შანთი, ანუ ციკქა, არის ორნაირი მამალი შანთი და დედალი შანთი. მამალმა შანთმა მსხვილი მარცვალი იცის და ვერ იტანს ამიდის ცვალებადობას, წვიმები არ უყვარს. კარგად მოისხამს, მაგრამ წვიმების დროს მარცვალი არ შერჩება, გახმება და ჩამოცვინდება. დედალმა ნორმალური მარცვალი იცის, სისტემატიურათ იხსამს. მამალ შანთს უფრო სქელი და ფართე ფოთოლი აქვს, დედალმა უფრო სათუთი ფოთოლი იცის, თხელი (შროშა); შანთის ყურძენი იყო საკრახუნო საჭმელი. სუფთა ყურძნის წვენი უნდა ჩაგვესხა, უმალ საყო შაქრის ღვინოი (ბოსლევო). (იხ. საქ. აპუელ. 357; შდრ. განმარტ.

ლექს. იმერ. მნიშვნ. 2, ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 433, ალავე-
ლენხ.):

შანტალა ეშხიანი. შავი გოგოა, მარა შანტალაა (ზარანი). (მდრ.
განმარტ. ლექს. თუშ. შანტალი).

შანშალა მოქნილი, კობტა. რაი კაი შანშალა გოგოა (ზარანი).
შარ-ი 1. ვაზის მწკრივი, რიგი ვენახში (სინონ. პწკალი, პწკარი,
შაკი). ვენახი შარშია ჩაყოლებული (ბორითი); ყველა თავის
შარზე უნდა წამევიდეს, შარეფს დოუკვირდით.... ყველამ
თქვენი შარი დეიკავეთ. ამ ორ შარ მე მაინ წამევილეფ (წირქვა-
ლი); ორი შარისთვის ხ'ვარ ჩავალთ იქა?! (იქვე); ყურძენი
ისეა, რო, შარი-შარზე რო ჩაყვები, ბევრი ასხია და მოვლილიც
კაია (ლიჩი). (იხ. მენტ., განმარტ. ლექს. შარი² მნიშვნ. 1, წკაპი,
ჯოხ. 58 პლანი, ლექს. 70 სერელი; მდრ. კირ.). 2. რიგთაშუა
მანძილი. შარია მწკრივსა და მწკრივს შორის თავისუფალი ადგი-
ლი (ჩიხა, ქვაციხე, სვერი); შარია წკაპეფს შორის ადგილი (დი-
ლიკაური). 3. კვალი. შარია ბოსტანში ზოლი, რომელზედაც გაყო-
ლებულია ბოსტნეული (გვზრული). (იხ. განმარტ. ლექს. შარი², კვა-
ლი მნიშვნ. 2). 4. სერელი. შარებია შიგნი ყანაში (ხიდარი).

შარატანი-შარლატანი. დადის შარატანივით (სხვიტორი).

შარბათ-ი ტბილში მოხარშული კომშის ტყლაპი. შარბათი ბი-
სა და ტკილისაგან მზადდება, მოხარშამ ბიას ტკილში და ტყემლის
ტყლაპივით დაასხამ (დორეშა). (მდრ. ვისრ., განმარტ. ლექს.).

შარდაშარ შარებზე, შარების მიყოლებით, შარების (იხ.) მიხედვით.
შარდაშარ გაყვება და ვენახს აყრის გოგილდს (ქვები).

შარდონე ფრანგული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში. საქართველოში
შემოტანილია მე-19 ს. დამლევს და მე-20 საუკუნის დასაწყისში პი-
ნოსა და ალიგოტესთან ერთად, აქვს საშუალოზე უფრო ნაკლები სი-
დიდის მტევანი და ასეთივე თხელკანიანი ნაკლებხორციანი მარცვა-
ლი, საშუალოზე მცირე მოსავლიანი ჯიშია, უპირატესად გვხვდება
ზესტაფონის რაიონის სოფლებში (ფუთი, ვაჭევი, ზოვრეთი, ხაქარა).
ვაჭევის მეურნეობაში იგი იძლევა მაღალ ხარისხის მასალას შამპა-
ნურის დასამზადებლად (იხ. საქ. ამპელ. 317-322). ჩვენ რაიონშიც
გაშენდა შარდონე (ტაბაკინი).

შარშანწილ შარშანწინ. შარშანწილ კაი დარები იყო, კინკა
დრით მევიდა (ფარცხნალი).

შაქარვაშლი-ი წითელგვერდა ტბილი ვაშლია, რომელიც მწიფდება
ზაფხულში, აგვისტოს ბოლოს (მანდაეთი); შაქარვაშლი თურა-
შაულის ვაშზე ოდნავ წვრილია, გემო ტბილი აქ (ვახანი). (იხ. გან-
მარტ. ლექს. შაქარვაშლა).

შაშანდლე იგივეა, რაც საშანდლე (იხ.). ბუზრისთავს შაშანდლე მიტო ქვია, რო შანდალს დგამენ ზეთ (სვერი).

შაშკვლავ-ი ბოტ. რეპანის ერთ-ერთი სახეობა. რეპანის ფოთლებს მუქი შინდისფერი ელფერი დაჰკრავს და უფრო დილია, შაშკვლავის ფოთლები ერთფერია — მწვანე, გჳელი, უფრო მძაფრი სუნი აქვს. ჩვენ გვაქ ბოსტანში ზაფრანა, შაშკვლავი, ქინძი (ლეღვანი). (მდრ. განმარტ. ლექს. შაშკვლავი, ქავთ. შარშკვლავი).

შაშუალობა საშუალება. შაშუალობა რო მქონოდა, არ ვისწავლიდი?! (ლორეშა).

შეაბარაქიანეფ-ს შეავსებს, ბარაქას მოუმატებს. მოუმატე ცოტ-ცოტარა ყველიფერი და სტოლი შევაბარაქიანე (სვერი).

შეაბუგეფ-ს შეაგუბებს. ჩხერიმელას შევაბუგეფ (ფარცხნალი). იხ. შებუგებული.

შეაგოგილდეფ-ს ვენახს გოგირდს შეაფრქვევს. უნა შემეგოგილდებია 4-ჳელა ვენახი, ოთხჳელ უნდა მოგერწყა და დარჩებოდა ჯაი (წიფა).

შეაგომიერეფ-ს ერთად შეყრის, შეაგროვებს. დაჩხვის მერე საწნახელში შევეყრით ქაქას, შევაგროვეფთ, შგვავგომიერეფთ (ხრეთი).

შეაკალთავეფ-ს შეაგროვებს, ერთად მიყრის. ნიჩფით შევაკალთავეფთ ყურძენს, მერე ჩავყრით საქაჩველში (იხ.). ვისაც არა აქ საქაჩველი, კურში ჩაყრის და საარაყეთ ხმარობენ (მანდაეთი). (მდრ. განმარტ. ლექს. იმერ. ხევს.).

შეაკიალდეფ-ს შეანთეფს. შეაკიალდე ცეცხლი (სვერი). იხ. შეაკიზიალდეფს.

შეაკიზიალდეფ-ს შეანთებს. შევაკიზიალოთ პატარა ცეცხლი (დილიკაური). იხ. მოაკიზინეფს, ჟოკიზინება.

შეამცნევ-ს შეამჩნევს. ელმობას დიდებზე უფრო ბოვშეფს შეამცნევი (დილიკაური).

შეაპორჳიკეფ-ს მალა შეასკუბებს; შედგამს. შეუპორჳიკებეთათ ესი, რა ჩამეილდეფს (სვერი). იხ. პორჳიკი, შეპორჳიკება.

შეახაზირეფ-ს შეამზადებს, შეაკეთებს. ცეცხლი შეახაზირე (ბერეთისა); ი ჩემა ცოლიძმამ რო მიატანა თავის სახსა, დაცალა თოფი, უნდა შეახაზიროს სახში მყოფები (წიფა). (იხ. ყიფშ. ხაზირი).

შეახუხულავეფ-ს ააკოკოლავებს, კოკოლებს (იხ.) გააკეთებს. ვენახის ძირთან მიწას შევახუხულავეფთ, ვენახი უნდა დეიფაროს წკაპში (იხ.) მიწითი (პირველი სვირი). (იხ. განმარტ. ლექს. შეახოხოლავებს).

შეაჯენ-ს შესვამს. ე ქალი ცხენზე შეაჯინეს (ღარიხევი). (იხ. გან-
მარტ. ლექს. იმერ.).

შებარდებ-ა მოხმარდება. წლიდან წლამდი ნახევარი ჩარეჟა ღვინო არ
შე მ ბ ა რ დ ე ბ ა სახში (ფუთი).

შებრეტლი-ი კუხანაკლები. აჰა, თუ ერთი ჩემი მეზობლები. იტყვიან,
რო ი ჩემი შ ე ბ რ ე ტ ი ლ ი რძალის აუგი გარეთ გამიტანია (ზედუ-
ბანი).

შებრიგნი-ს მაგრად სცემს, მიბეგვავს. ისი ქე შე ე გ ბ რ ი გ ნ ე და
ახლა მაგასაც ვასწავლი კუხან-მეთქი (ტაბაკინი).

შებუგებულ-ი შეგუბებული. შე ბ უ გ ე ბ უ ლ ი ა წყალი (ტაბაკინი).
(იხ. ჯ ა ჯ. IX ბუგე, ბუგელა).

შებუქულ-ი გადატ. კარგად მოსხმული. ნიგოზი შე ბ უ ქ უ ლ ი არი
სულე და აბია ზედე ამსისხო ნიგოზი (საღვინე). შდრ. ბ უ ქ ი.

შეთანახმებ-ა || შეთანხმებ-ა შეეთანხმება. შე ე თ ა ნ ა ხ მ ე ნ და გა-
ნაწილდენ ისევე (წირქვალი); ის კა(ვი შე ე თ ა ნ ა ხ მ ა, რო წეიყვა-
ნოს თავისი ცოლი ისევე-ისევა (ლეღვანი); ვერ შე ე თ ა ნ ა ხ მ თ ი თ
(ზვარე). იხ. შე თ ა ნ ა ხ მ ე ბ ა.

შეერიდებ-ა მოერიდება. იმ ქალს თქმა შე რ ი დ ე ბ ი ა (სვერი).

შეეფახებ-ა მოეწონება, გულში შეუვა. ამათ შე ე ფ ა ხ ა თ ე ქალი
ძალიანი. თუ გინდა, ნუ ითხოვ შენეო. მე იმისთანა თვალზე შეეხე-
დე, ან ნათლიათ მევიკიდევ, ან კეთილადაო. რაღაი შე ე ფ ა ხ ა ი მ
ხალხს, ქვეც ითხოვეს (ზედუბანი).

შეეყენებ-ა შეხვდება, შეეყრება. აქედან კაზაკები მოდიან, შე ე ყ ე-
ნ ე ნ ერთმანეთს (ბოსლევნი).

შეეძიებ-ა შეეზიზღება. ყველაფერი შე გ ე ძ ი ე ბ ე ბ ა, თუ ეს
ნახე (ზარანი).

შეეწოკინებ-ა შეეპოტინება, მიწვდომას, დაუფლებას შეეცდება. ას-
წავლა, რო თავს ზეით არაფერს შე ე წ ო კ ი ნ ო ო (უჩაშეთი). (იხ.
ჯ ა ჯ. X შეწოკინება).

შეეხედულებ-ა შეეხედება. ერთ კვირეში ისე გავქრი, რო აღარ შე-
მ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ო დ ა (ხვაშითი).

შეზინტულ-ი შესიებული. ფეხი გაღებრუნდა და შე ზ ი ნ ტ უ ლ ი
აქ კოკი (მოხვა).

შეზურგულეზულ-ი ამალღებულად მიყრილი. ვენახის ძირში მიყრილ
შ ე ზ უ რ გ უ ლ ე ბ უ ლ მიწას ქვია კოკონა (ხიდარი); ნეტა საფლავეი
გამეკეთებია პატარა შე ზ უ რ გ უ ლ ე ბ უ ლ ი (ტაბაკინი). შდრ.
ზ უ რ გ ი.

შეთანახმება-შეთანხმება. შე თ ა ნ ა ხ მ ე ბ ა ვერ შეძლეს (ზვარე).

შეირცხოვლეფ-ს იწყენს. ამაზე შე ი რ ც ხ ო ვ ლ ა ამ ბოვშმა; განთა
ძრიელ ავათ (წირქვალი).

შვიცილი-ს შიცილის. რო შვიცილიდენ ოჯახის საქმეს. მატყს დაართავდენ (დილიჯაური).

შეიჭუჭულავეფ-ს შეაგროვებს, შეკრებს თავისი კალთის ქვეშ ისე, როგორც კრუხი წიწილებს. შეილებო, მე უნდა გითხრათ ჩემი თავ-გადასავალი... ადგა, შეიჭუჭულავა შეილები, როგორც რო კრუხი შეიჭუჭულავეფს თავის წიწილეფს (შომახეთი). (შდრ. განმარტ. ლექს. ჭუჭულა).

შეკეცილი-ი სართიანი ნამცხვარი, — ხაჭაპური ან ლობიოიანი პური. შეკეცილი ჩავაცხვეთ კეცეფში (მოხვა). (იხ. განმარტ. ლექს. რაჭ-მნიშენ. 2, დიალექტ. რაჭ. ბაჭული, შეკეცილი, შერთული).

შეკვალავ-ს კვალს გააკეთებს. შეკვალემდა მამაჩემი ბოსტანს (განთიადი).

შეკვირდებ-ა გაუკვირდება, გაოცდება. ნეფე და მისი ცოლი შეკვირდენ; სილოური რძალი ხარ შენეო? (პირველი ხვირი).

შეკვიწილდებ-ა შებზრილდება, შეტრილდება, შეხტება. მე ნახევარი ჭადი რავა მეყოფა?! — შეკვიწილდი (ზარანი). იხ. განმარტ. ლექს.; შდრ. ჭყ. შეკვიწილება).

შეკონი-ს ვაზს მიაკრავს სარზე რაიმე მასალით. სურო ვიცით, იმითი შეკონით ვენახს, თითონ ძირი უნდა მიაკრა ჭერა (ხევო). (შდრ. განმარტ. ლექს. შეკონავს). იხ. მიაკონავს, მოკონავს.

შეკურკუზებულ-ი თავშეყრილი. ქალები იყვენ შეკურკუზებულნი ერთხელა (სანახშირე).

შელანჭულ-ი შებოლილი, შემურული, შექვარტლული. კედელი ყოფილიყო შელანჭული (ლორეშა). (შდრ. განმარტ. ლექს. ალანძული, შელანძული).

შელახა (— შე გლახა) იხმარება მიმართვის დროს (მნიშენელობა დაკარგული აქვს). უი, შელახა, რა გაგიჭირდა! (ჩიხა); მიღიხარა შელახა? (გორიხა). (იხ. ბ. წერ.).

შემდექ შემდეგ. შემდექ მეც დავწექი (ზოვრეთი).

შემეფლანძღებ-ა უნებურად შემოეხევა, დაუზიანდება, დაუძველდება. ტანისამოსი შემეფლანძღა (ზვარე). (შდრ. განმარტ. ლექს. შემოელანძღება).

შემობრძნილ-ი გაბზარული. შემობრძნილი რაზე არი ჭური? (ლიჩი).

შემოზიგულ-ი შემოტანილი, შემოზიდული. შემოზიგულია შეშა (ჭალაურთა).

შემორჩილება- შემცირება. გადასახადების შემორჩილება რომოხთა, წელში გევიმართეთ (განთიადი). (შდრ. ვისრ. შემორჩილება). იხ. მორჩილა.

შემოქაცამ-ს ქაცვს (იხ.) შემოავლებს. უფროსმა ძმამ შემოქაცა თავისი ყანა (ზარანო).

შემპარავი უსულო ქია. შემპარავი უსულო პეტერა ქიაა, ადამიანის გაბერვა იცის უნაიროთ, ამას შემპარავ უსულოს ვეტყვით, კილამე მომკლა, ის მქონდა მე (პირველი სვირი). (იხ. ალავე. ლეჩხ. უსულო; შდრ. ბერ. უსულო).

შემუდრულ-ი შებუდებული. კრუხი შემუდრულია (ზედუბანი).

შემშენულ-ი შედრეკილი. შემშენული გვერდი აქ (უჩამეთი).

შემხოზილ-ი საქონლის, თხისა და ცხვრის ზურგის ნაწილი წელის არეში, თეძოების თავზე. შემხოზილი რო იმას წოულია, აქ რალას აქმევე ხალხს? (მახათაური); შემხოზილია საქონლის, თხის, ცხვრის ხერხემლის ქვედა ნაწილი, გვერდის წკნელები უნდა გაყვეს ერთი-ორი, კაპები მიდემს იმა (ჭალაურთა); საქონლის ხერხემლის ბოლო ნაწილია შემხოზილი (მანდაეთი). (შდრ. ბ. წერ., კ. კ. მომხოზილი, ჯაჯ. IX შემხული, ალავე. ლეჩხ. XIII შემხოზილი თეძო). || საქონლის კუდის ზევეთა ნაწილი თეძომდი (ზედა ქალოვანი). || ქათმის ზურგია შემხოზილი (ხიდარი).

შენაწყენება განაწყენება. შენაწყენება იცის თურმე ხველამ და დიდხანს გაყვება (გორიხა).

შენახილ-ი შენახული. მამას ქონდა შენახილი ფული (განთიადი)..

შენკობილ-ი შემკობილი. ამისანა შენკობილი ადგილი საჩხერის რაიონში არ იყო (მოხვა).

შენცარებულ-ი ფულუროიანი, დამპალი. დიდი ხნის მოკრილი ხეა და შენცარებულია (ვახანი).

შეპორჭიკება მალა შესკუბება, შედგმა (რისიმე). შეპორჭიკება ნუ იცი ყველაფრის (სვერი). იხ. პორჭიკი, შეპორჭიკეფს.

შერთომა შერთვა. ხუობდა (იხ.) ძიელ ცოლათ შერთომასა (ფარცხნალი).

შერიდებულ-ი მორიდებული. შერიდებულია ახლა, შენრო ხარ (მანდაეთი).

შერიდოვებულ-ი შემცივებული. ახლა უფრო შერიდოვებულ-ია საქმე (ღარიხევი).

შესარავ-ს იგივეა, რაც მოსარავს (იხ.). შენ მალე შესარავ ენახს? (ზვარე). (იხ. განმარტ. ლექს.).

შესაწევარ-ი 1. მიცვალებულის გასვენებაზე ჰირისუფლების დასაზმარებლად გადებული თანხა, — გადასახურავი. შესაწევარია გასვენებაზე დასაზმარებელი თანხა. გადასახურავს არ ვიტყვით აქ.

გადასახურავი, სახს რო დავხურამთ, ის არი (ჩიხა); მეზობელი მოგ-
ვიკვდა ექანა, 12 ათასი შამოუვიდა შესაწევარი (სხვიტორი).
(შდრ. განმარტ. ლექს.). 2. ქორწილის დროს მოკეთებებისა და მეზობ-
ლების შეწირულება ნატურით. უმალ ქორწილი იცოდენ ზორბა, თავ-
გადასაგდებიც იცოდენ და მოკეთებებიდან — შესაწევარი: ზოგო
თხას შეეწეოდა, ზოგი—ბურეკას. მეზობლებიც შესაწევართ
მოდოდენ (ბერეთისა); ქორწილი მაქ, მეწვიეო, შესაწევარი
შამომაწიეო (ბერევი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

შესილაფ-ს სილას შემოაყრის გასარეცხად (ქვევრს). ჯერ სატალახოს
(იხ.) ამოავლებენ ჭურს, მერე შესილაფენ სილითა (საბე). იხ.
სილას შეაქმევს, შემოსილამს.

შესილაფებულ-ი გაფხვიერებული და სილასავით გადაქცეული. კო-
კოლები (იხ.) შესილაფებული უნდა იყოს (გორისა).

შესტება-ა შესკდება. შემსტა სიცილი (ზოვრეთი).

შეტემეტა || შეტემუტა უთავბოლო მოლაპარაკე, ცერცეტი, მოჩერჩე-
ტო, — შატაბუტა. მაგენი შეტემეტა არიან (ზარანი); შეტე-
მუტა ლაპარაკი იცის (ტაბაკინი). (იხ. საბა შატაბუტა, შეტაბუ-
ტა, ჰყ. შეთე-მუტა, მენტ. შატაბუტა, ალავ. ლეჩხ. შეტამუტა,
ლიალექტ. ქართლ. შეთემუტა, მაის. შეტ-მუტა).

შეტპორილ-ი შეტბორებული. წყალია შეტპორილი (ხიდარი).
შეუკოჰამ-ს შეუკრავს, გაუთოკავს. ამ ბაწრით თელი ჯარი შეუკო-
ჰა (ხიდარი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. გურ. შეკოჰავს).

შეუმშვიდდება-ა დაუმშვიდდება. შემიმშვიდდა გული, რო ჩემსა
არ მოდიან ისტუმრები (ხვაშითი).

შეურაცხლობა შეურაცხყოფა. შეურაცხლობას გააკეთებენ
და ჯობია დათანახმთე (ქორეთი).

შეუსახლიკაცდება-ა სახლი[ს]კაცივით (იხ.) დაუძმობილდება. აქ ცერ-
ცვაძე მოსულიყო, რუსეთიდანაც მოსულიყვენ და ჩვენ ბაბუას
შესახლიკაცებოდენ, ერთათ ეცხოვრებიათ რამოდენიმე ხანი
და მერე დათავთავისდენ (მოხვა).

შეუქაქანეფ-ს შეუწყრება, შეუყვირებს. ჩემს მეტი არ შეუქაქა-
ნეფს ჩომას (იხ.) (ლეღვანი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

შეუჩხინკალეფ-ს შეუჩხუჩხურებს. სტუმარი რომ მოვა, თუ არაფერი
გაქ. ბუხარს მან უნდა შეუჩხინკალო (მორძგვითი).

შეუჭიჭიპალეფ-ს შეუჭერტს. შეუჭიჭიპლა აკოშკაში (ლიჩი).
იხ. ჰიჭიპალა.

შეფერობ-ს შეჭფერის. ჩაჭფორც შეჭფეროფს, ისე უნდა მეიქცე
(დარისხევი). (იხ. განმარტ. ლექს.).

შედილულ-ი დილებიანი. შედილული ახალუხი მეცვა (ქვები).-

შეყოყმდებ-ა ყოყმანს დაიწყებს, შეყოყმანდება. შეეყოყმდოთ, რო ვინ მოვიდა (ზვარე).

შეშვიდათ საშუალოდ, ზომიერად. შეშვიდათ ცხოვროფს, არც ძაან დიდარია, არც ღარიბი (ხვაშითი). „თვრალი ხარ? — შეშვიდათ ვარ“ (ვანი); ძაან სუქანი არ ხარ, შეშვიდათ ხარ. (შუქრუთი). (შდრ. ჟაჟ. IX შეშვითი, X შეშვილი).

შეჩუგულ-ი შებუღებული. შეჩუგულია ყოველი კაცი სახლფეში (ზეღუბანი).

შეცვთებ-ა შესწვდება. თუკი შეცვთა ბაწარს, მეტი არ უნდა (ტაბაკინი).

შეწუხებულ-ი გამხდარი. პირზეა შეწუხებულნი, სხვაგან არ ეტყობა არაფერი (ზეღუბანი). (შდრ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3).

შექიღვა სახელი შექიღვამს (იხ.) ზმნის მოქმედებისა. შექიღვაჲ ვაზს წვრილ სარეფს (ქიღვას) რო დოუსოფ (ქვები).

შექიღვამს ვაზს ქიგოს (ქიღვას) შეუღვამს. შეექიღვამთ ვენახს, წვრილ სარეფს (ქიღვას) დოუსოფთ (ქვები). იხ. ქიღვა.

შექოლიკდება-ა შეზარხომდება. კაათ შექოლიკდენ და მერე წევიდენ (ტაბაკინი). (იხ. ქავთ. შექოლიკება, განმარტ. ლექს. შექოლიკდება). იხ. შექორიკებული.

შექორიკებულ-ი შეზარხომებული. ილიკო შექორიკებული ქე იყო, რო მევიდა (დილიკაური); შექორიკებულია და კი ზასიათზე დამდგარა (შროშა). (იხ. ბერ. შექორიკება, ალავ. ლენხ. შეჩონჩქოლება, შექორიკება, განმარტ. ლექს. შექორიკებული).

შეხედვა შეხედულება. შეხიღვილი მყამდა, კი შეხედვის ქალი იყო (მორძგვეთი). (იხ. განმარტ. ლექს. შეხედვა, შეხედვით).

შეხელდახელდება-ა || შეუხელდახელდება-ა ხელდახელ ეცემა. შეხელდახელდენ, აღარ ზოგავდენ ერომანეთს (ზვარე); „შე ძალო, ცოცხალი ხარ შენეო?“ შეუხელდახელდა, მამა! (მანდვეთი); შეხელდახელდენ თურმე, დანა ქონოდა და მოკლა (სვერი). (იხ. ბ. წერ. ხელდახელობა).

შეხვერწილ-ი ხვეწნა. შეხვერწილი რათ უნდოდა? (ტაბაკინი).

შეხუტურება შეხუტურება. ქეთომ ხანდახან ქე იცის შეხუტურებაი, მარა რაი მერე (განთიადი):

შეხუტურდება-ა გადატ. შეხურდება, შეზარხომდება. რო დალიეს ღვინოი, კარქა შეხუტურდენ ღვინითი და დაღამებული არი, რო მევიდენ იმ მუხნარ ტყეში (ბოსლვევი). (შდრ. განმარტ. ლექს. ხუტური, მაის. ხუტური).

შეჭინჭლილებულ-ი შეთრობით წამოწითლებული, — შეჭინჭილებული. პავლე შეჭინჭლილებულია (პირველი სვირი).

შვალვა თოვლ-ქყაბი, წყლიანი, დნობადაწყებული თოვლი (სინონ. ჩუ-რი). რა შვალვაა ვერ გევიარე (ტაბაკინი); თოვლმა დნობა დეი-წყო, შვალვაა გამდგარი (შროშა). (შდრ. გუ რ ა მ. ქყობი, მ. ჯ ა ნ. ქყობ, თოვლქყობ, ყ ი ფ შ. შოლ.: შოლუა МОЧИТЬ). იხ. დ ე ი შ ვ ა-
ლ ე ბ ა.

შვამამავალ-ი || შუამამავალ-ი შლამავალი. ნავხეთ, ქალიშვილი ქალი იყო, გოუგზანეთ შვამამავალი (ბერეთისა); ახლოს ვართ აგერ ერთმანეთთან, შუამამავალი რა გვინდა? (პირველი ხვირი). (იხ. ჯ ა ჯ. XVII შუამაური).

შვანგ-ი გადატ. ვენახში დათესილი მოძალებული სიმინდი, ძაძა, რომელიც ვაზისთვის ისევე მავნებელი ზდება, როგორც შამბი. მამულს შვანგ-ი რომეერევა, კ'ალარ ვარგა. ვენახში ძაძაც რომ იქნება, სიმინდიც, ამას ქვია შვანგ-ი (ტაბაკინი). (შდრ. ბ ე რ. შამბი). შდრ. მ ო შ ა ნ გ ა ვ ს.

შველოფ-ს შველის. კიდევ ეს ექიმობა ქვე შველოფს (მანდაეთი). შვია შავი ჭია, რომელიც სიმინდის ყვავილედში ჩნდება. შვია უჩ-თება სიმინდის ქუჩუჩოში (ზოვრეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

შვიდკვირა ლობიო ლობიოს ერთ-ერთი ჭიშია, ადრე მოდის, კრელი, წვრილი და მოგრძო მარცვალი აქვს. შვიდკვირა ლობიო ჩქარა მოდის, წვრილი და კბელი მარცვალი აქ, თეთრი და ღია წითელი ფერისაა, კრომახი (იხ.) წითელია (ხვაშითი).

შვიდკოდალი-ი || შვიდკოდალა მშვილდ-კოდალი. ესროლა შვიდკოდალი (გეზრული); დეიბა ეს შვიდკოდალა და გაუდგა გზას (ხიდარი). იხ. შვიდკოპალი.

შვიდკოპალი-ი იგივეა, რაც შვიდკოდალი (იხ.). მოკუნტემდენ შვიდკოპალისთვის ჯოხს, მერე თოკვი ქონდა გამბული, გამოკიმევედენ იმ თოკვს და მოხვებოდა იმ სახს (წირქვალი).

შვილიერობა შვილები. შვილიერობა აქ არ ყოლია, 4 ქალ-ვაჟი ყამდა, ქალაქში ცხოვრობდენ (ლორეშა); ოლონდ იმას შვილიერობა ი ეყოლოს, კაბა, თუ გინდა, ორი იყოსო (იქვე). (შდრ. განმარტ. ლექს.).

შვილო შულო. სამუხველზე (იხ.) ეხვეოდა ძაფი შვილოთ და ძან ამოავლებდენ ფქვილის ფაფაში, აღარ წყდებოდა საქსოვში (ლეღვანი). (იხ. ბ. წერ.). იხ. და შვილოებული.

შვილოურობა იგივეა, რაც შვილიერობა (იხ.). შვილოურობა მისთანაეები ჩააწვინა ხუთი მიწაში, ფეხზე რაეა დგას ე უბედური! (შუქრუთი).

შიგნივიდან შიგნიდან. შიგნივიდან გაჩენილა ცეცხლი (ლორეშა). შილ-ი მაზლის ცოლი. ანიკო და ლუბა შილები არიან (ლარხი-ვი). შილები არ ყამს მაწუხებელი ჩემ გოგოსა (ბერეთისა);

შილი აქ მაზლის ცოლზე ითქმის მარტო (ჩიხა, ბაჭითი, წირქვალი, ზედუბანი, მოხვა); შილი მაზლის ცოლია, ბიძაშვილის ცოლი რძალია (დილიკაური); შილები კარქები იყვენ, არცერთი არ მყოლია გლახაი (ბოსლევი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ა. შან, განმარტ. ლექს., ქავთ., ალაგ. XIII, ნეიმ.). || შილია მაზლის ცოლიც და ქმრის ბიძაშვილის ცოლიც (დეიდაშვილისა და მამიდაშვილის ცოლზე არ იტყვიან). მაზლისა და ქმრის ბიძაშვილის ცოლი შილია, საყუთარი ბიძაშვილის ცოლი — რძალი (შომახეთი, მანდაეთი, მერჯევი); მე და ელენე შილები ვართ, ბიძაშვილებია ჩემი ქმარი და ელენეს ქმარი (ლოდარა). (შდრ. განმარტ. ლექს., ქავთ.).

შილაოფ-ს კინკლაობს. რას შილაობენ? (ქვაციხე). ქალები შილაობენ (შროშა). (შროშაში „შილი“ არ იხმარება, „შილაოფს“ — კი). (იხ. განმარტ. ლექს.). იხ. შილი.

შილაობა კინკლაობა. წამოწებოდა და დამიწებდა შილაობას (ზედა ქალოვანი). (იხ. ჭყ., განმარტ. ლექს.).

შილდაყ-ი კინკლაობა, უსიამოვნება, ჩხუბი. ეს ქალი წვეიდა და მოუვიდაყე შილდაყი (პირველი სვირი). (შდრ. დ. ჩუბ., განმარტ. ლექს. შილთახი).

შილებიანი-ი ვისაც შილები ჰყავს. მე ვირეშმაკობაი არ ვიცი, შილებიანი სახ-კარში არ ვიყავი გათხოვილი (ბერეთისა).

შილობა რძლობა. ჩვენისთანა შილობაი ბევრს არ ქონდა (დილიკაური). შდრ. შილაობა.

შიმშა საღურგლო ხის იარაღი მეტრის სიგრძისა, იხმარება სახაზავის ფუნქციით. შიმშა ლარის მაგიერი ხეა, გძელია და სახაზავის მაგივრობას ასრულებს (შომახეთი); მეტრის სიგრძის სახაზავია შიმშა (ხრეთი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

შინარწყლ-ი || შინარწყლ-ი ბოტ. შვინდანწლა. შინარწყლი ბუჩქია, იასამნის თუ შინდის მსგავსი ფოთლები აქ, იკეთებს მოცხვე წვრილ, შავ ნაყოფს, არ იტმება (ლორეშა); შინარწყლს შავი, მოცვისნაირი ნაყოფი აქ, სატკეჩეთ იხმარება (შროშა); შინარწყლი ბუჩქათ იზდება, იხმარება გოდრების და კალათების საქსოვათ (უჩაშეთი). (იხ. დ. ჩუბ., ერისთ., მაყაშ. შინდანწლა, განმარტ. ლექს. შვინდანწლა, შვინდარწლა. შინდანწლა, დიალექტ. ფშ. შვინდანწალაი, ალაგ. ლეჩხ. არწყლი).

შინაური მატყლი შინ დამზადებული მატყლი. შინაური მატყლი სახში გაკრეჭილი ცხვრის მატყლია, რომელიც, როგორც ნაბადი, ისე ითელება, გარეცხამ — ნაბადივით ხთება (სვერი); შინაურ მატყს ლებში არ ვხმაროფთ, საჩეჩელზე ვჩეჩამთ, ფთილა მატყს ვართამთ (სვერი).

შინეთ შინ. დედაშენი შინეთ არი? (ლოდორა).

შიპ-ი იგივეა, რაც ნარიმანქ (იხ. მნიშვნ. 2). შიპია პოლის და ქარების ფიცრებზე ამოღებული ღარი (ზედუბანი); შიპია პოლზე დასაგები ფიცრის ამოზნექილი და შეზნექილი ნაწილი (ტაბაკინი). (შდრ. ძიძიგ. ქრესტ.).

შიპის შალაშინი იგივეა, რაც ნარიმანი (იხ. მნიშვნ. 1) (სინონ. ქანის შკაფი). ფიცრების ერთმანეთში შესაშვებ იარაღს, — შქმუთა ქვია შიპის შალაშინი (შომახეთი), (იხ. განმარტ. ლექს. შპუნტი მნიშვნ. 1).

შლატე მწარე. პამიდორის მურაბა შლატე რო არ ყოფილიყო, შაქარი მეტი მივეცი (ტაბაკინი); ეს სხალი შლატეა ჭერეთი (ხიდარი).

შლიგიშლიგინ-ი ბალახებში სწრაფი სიარულისაგან გამოცემული ხმა. შლიგიშლიგინი მესმის, ვერავინ დავინახე (იხ. ბერ., განმარტ. ლექს. შლიგინი, ჯაჯ. IX შლაგუნი, შლიგინი, ალავ. XXI⁷ შლიგინი).

შოლტი¹ კავის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება უღელს სამატის საშუალებით (სინონ. სახიბი). რითაც კულამთან (იხ.) არი გამობძული, კავის ის ნაწილი არი შოლტი. შოლტის სიგძე დაახლოებით ორ-ნახევარი მეტრია, ე. ი. 250 სმ (ვახანი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. შოლტა მნიშვნ. 1, მენთ. შოლტკავი).

შლუ „პკუანაკლები“ (საბა), „გეიუ, უგნური“ (დ. ჩუბ.), „რეგვენი“ (განმარტ. ლექს). სულ შლუ ბიკები იყვნენ (ზედუბანი).

შმუთ-ი 1. ფანჯრისა და ლამფის პირების ამოსაღები სადურგლო ხელსაწყოა (ზარანი). (იხ. ბერ. შპუნტი, შქმუთი). 2. ქანიშკაფის (იხ.) რკინის ნაწილი, რომელიც იატაკის ფიცრეთს უღეფს ღარს (ზედა საქარა).

შობილობა შევებულება. დედაშენს შობილობაი ხვარ ოუღია? (ზედუბანი).

შოლტ-ი ლერძში გაყრილი მავთული, რომელიც მუხრუქის (ტორმუზის) ხეზეა მიმაგრებული და იცავს ურემს თავდაღმართში დაზიანებისაგან (განთიადი); შოლტია რეზბიანი ნაწილი ტორმუზისა, რომელიც გამოდის ზესადგარში მარჯვენა მხარეზე და თავდება კორბით (იხ.) (შოხვა). (იხ. ქე შიკ., ს. მ. ტერმ.; შდრ. ბესიკი).

შონა-პონა შექენა. არ უკვირდებოდა ქონების შონა-პონას, ასე ეგონა ჩემი ქმარი სუ ასე ხვეტამსო (ლორეშა).

შოოფ-ს შოულობს. ეგ რაძახა ბალახია, ვეღარ ვშოოფთ (შროშა); რასაც მოგებას შოობენ, წამლებები ყავთ (ქვედა საქარა). (იხ. განმარტ. ლექს. შოვობს).

შოულ-ი შეეული. შოული მადანაა და მეიტანე (ხრეთი).

შოუჭირვებელ-ი გულშეუტკივარი. ხალხის შოუჭირვებელი

არიან ეგენი (შომახეთი). (იხ. დ. ჩუბ., განმარტ. ლექს. შეუქირვე-ბელი).

შპალიანი ვენახი შპალზეა გაკრული (წაქვა).

შპუნთ-ი || **შქმუთ-ი** იგივეა, რაც ნარიმანი (იხ.). ფიცრის შეზნექილ ნაწილს იღეფს შპუნთი (ტაბაკინი); შპუნთი სალაშინის მსგავსი ხელსაწყოა, რომელიც იხმარება კარის ბაძვებში (იხ.) გულების ჩასასმელათ და იატაკის დაგების დროს შიპის (იხ.) ამოსაღებათ (ტაბაკინი); შიპის შალაშინი სხვანაირათ შქმუთია (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. შპუნტი მნიშვნ. 1, ს. მ. ტერმ).

შრალი ძროხა ძროხა, რომელიც არ იწველის. **შრალი ძროხები** რომელიც არი, ჩამოვრეკამთ, მაწველი იქ დარჩებიან ბალახის გულისთვინა (ზვარე).

შრანდელ-ი შარშანდელი. **შრანდელი** მოსავალი ჯობდა (ზედუბანი); **შრანდელი** ტყემალია (ქვედა ხაქარა); **შრანდელზე** წრეულ უფრო შეეწუბთი (ხვაშითი). (იხ. მ. ჯან. შრანდელი, საბა, დ. ჩუბ., ალავე. ლეჩხ. XIII).

შრანწინდელ-ი შარშანწინდელი. **შრანწინდელი** პური კიდე მაქ (ზედუბანი).

შრატ-ი ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე. ყველს რომ ამოიყვან, რაც დარჩება სითხე, ის არი შრატი (ზვარე). || ხაჭოს ნაწური. ხაჭო კიდე გეიწურება და დარჩება ნამდვილი კაი ხაჭოი, წენი **შრატია** — ხაჭოს ნაწური, შეაქმევ ღორსა (იქვე). (იხ. საბა, დ. ჩუბ. განმარტ. ლექს., დიალექტ. რაქ., თიან., მენთ.).

შრეში მიწა ფხვიერი, მშრალი მიწა. ეს ნიადაგი უნდა იყოს ფხვიერი, **შრეში მიწა** უნდა იყოს (განთიადი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

შტვირ-ი იგივეა, რაც **სტვირი** (იხ.). ლელის წისქვილს აქვს კოდი — გამოღარული ხე, რომელშიაც წყალი მოდის. კოდის ბოლო ნაწილი, ხის პატარა მილი, რომლის სიგძე დაახლოებით 10-15 სანტიმეტრი იქნება, საიდანაც გამოდის წყალი და ეცემა ბორბლის ფთებს, არი **შტვირი** (პერევი, მანდაეთი). (იხ. შარაშ. წისქვილი კოდისა, ალავე. ლეჩხ. ეთნ. ფშტვირი).

შტოლ-ი (რუს. стог) მაგიდა. გააწყვეს **შტოლი** (წაქვა, ბორითი, ზვარე).

შტოლითავ-ი თამადა. ერთი ჯავარი იყო ვინძახაი, **შტოლითავათ** ის დააყენეს (ხრეთი).

შტოლსაფარ-ი სუფრა. **შტოლსაფარი** გადააფარეს (ზვარე).

შტოფ-ი წნელით მოწნულ საფარველში ჩასმული სხვადასხვა ტევა-დობის ვიწროყელიანი და ფართომუცლიანი მინის ჭურჭელი, — ბოცა. აქა ბოცას არ უძახით, წნელით შამორაგულში ჩასმული როა შუშის

ქურჭელი, რამდენიც უნდა ჩადიოდეს შიგ, შტოფს უძახით (შო-
მახეთი).

შტურნა (რუს. струна) სიმი. ჩემ გიტარას შტურნები არ აქ (ბე-
რეთისა).

შუაბადიმი-ი ხის მრგვალი ფირფიტა, რომელიც ეხურება შუაზე ამოჭ-
რილ ორ ნახევარფეროიან ბადიმს ქვევრში ორშიმოს ჩასაყოფად,—
სარქველი. ჩასაველ ქურს სამი ბადიმი აქ, ორი ნახევარკალისებურია,
შეერთებით ერთი მრგვალი მიიღება, შუაზე ამოჭრილი აქვს ორივეს
და რგოლივით არი ჩასმული შუაბადიმი, რომელიც იხმარება
ორშიმოს (იხ.) ჩასაყოფათ (ჩიხა). იხ. შუასახადი.

შუათქალი— შუახნის ქალი. ქეთუა ბებერი არ არი, შუათქალია
(ზედუბანი).

შუახ არ იყო დამნაშავე არ იყო. როგორც მე მართალი ვიყო და
შუახ არ ვიყო, ისე იხარე შენ! (ღარიბევი).

შუახახადი-ი იგივეა, რაც შუაბადიმი (იხ.). დიდ ქურს აქ შუა-
სახადი, ბადიმზე (იხ.) შუაში ამოჭრილი. აქ სარქველი არ იხმარე-
ბა (ბაჯითი).

შუაღვინო წყალშერეული ღვინო სახარჯოდ. შუაღვინოა ნახე-
ვარი წყალი, ნახევარი შუმი (იხ.) (ხიდარი). (იხ. ბერ.; ელ., დიალექტ.
ლეჩხ.; შდრ. ქავთ.).

შუაძარი-ი იატაკისა და ქერს კოჭების დასაყრდნობი ხე (სინონ. საწე-
ლავი, საწელური). შუაძარი ქირიშების (იხ.) შუაში გადებული
ხეა (ღარიბევი).

შულავერი || შულავერა ღობიო ღობიოს ერთ-ერთი ჯიშია, არახვი-
არა, კრელი მარცვალი აქვს. შულავერს აქ გძელი მარცვალი,
წითელია, თეთრფხაქებიანი (გორისა); შულავერა ღობიო მოღ-
ვინისტროა. კრელმარცვლიანია, უბარდო, ფხა აქ, პარკ ღობიოთ არ
ვარჯ. აეოვევი) (იხ. ალვ. XXI შუაველი: შდრ. ლეჩხ. შუ
რაულა)

შუმი ღვინო ნატურალური ღვინო. შუმი ღვინო დაგალევიე
(ხიდარი). იხ. ალვ. ლეჩხ. ეთნ.; შდრ. ს. მ. ტერმ.).

შურო კლდეზე მორების ჩამოსაცურებელი ადგილი. რაღი დაძვრა
ხელიდან, დეეშვა შუროზე (მოხვა). (იხ. ბერ., განმარტ. ლექს.
მნიშვი. 2, ალვ. ლეჩხ. ეთნ.).

შულარა უხალისო, გაუცინარი, პირქუში. ირაკლი არი ასეთი შუ-
ლარა (პერევი).

შუშუტო ნახვრეტი. ქურს აყალოს დავაგნესამთ, სასულეს დავა-
ტახთ, ჯოხს დავატანთ, ამოვძროფთ ჯოხს და მერე დარჩება შუ-
შუტო (შროშა); ხეშო, ფესო ან ნაფოტი რო ჩაყვეს ქურის კეთება-
ში მიწაში, ქურაში გამოწვის დროს გამეიწვება და დარჩება შუშუ-

ტო (ბოსლევო). || დაჩუტული ადგილი. დაქცნა კანი და შუ შუ ტო-
ებათ დარჩა (ზარანი). (იხ. მენთ., განმარტ. ლექს., თუშ., ძვ. საქ.
II, განყ. V შუშუტი).

შხმარუნ-ი უშნოდ მოძრაობა. ნუ იცი შხმარუნი (ხიდარი). იხ.
აშხმარუნეფს.

შხოლა ხის სწორი, გრძელი ტოტი. შხოლა მოხვთა სახეში (დილი-
კაური); კაკალს ვებერტყამთ ჭოგრით (იხ.) ან შხოლით (არგვეთი).
(იხ. ჟაჯ. IX შხვერთი).

ჩ

ჩაკალიფეფ-ს დაწყებულ სამუშაოს დაამთავრებს, ყველაფერს მია-
ლაგ-მოლაგებს, მიინახავს. ვენახს ჩავაკალიფეფ (ლოლორა).
(შდრ. განმარტ. ლექს.). იხ. ჩოუკალიფეფს, ჩაკალიფება,
ჩაკალიფებული, ჩასაკალიფებელი.

ჩააპარტიეფ-ს შებოჰავს, დაამწყვდევს. წაგვიყვანეს ჩვენე ოთხმა კაც-
მა და ჩავვაპარტიეფს პადვალში (ხრეთი).

ჩააძანძვალეფ-ს გააჟრეოლებს. ჩამაძანძვალა ტანში (ხვა-
შითი).

ჩააწნევ-ს ჩააწნილებს. მაქიკს (იხ) დააყრი მარილსა, ჩააწნევთ
(ზვარე).

ჩაბაძოებულ-ი ჩამოძინილი, ჩამოკონკილი. კაცი ძან ჩაბაძოე-
ბული იყო, ძველი ჭინჭებით ქონდა ტანი დაფარული (პირველი
სვირი).

ჩაბუსუნდებ-ა გაჩუმდება. თქვენ რო მიდით, ჩაბუსუნდენ (ლა-
რიხევი). იხ. გაბუსუნდება.

ჩაგანძულ-ი მდიდარი. ვინც ჩაგანძული გლენია, აქ ზოგ-
ზოგეფს საბძელი (ხვერი). (იხ. ა. შან. გ. მთ. ენა განძ, განმარტ.
ლექს. განძი).

ჩადებული ყველი წათხში შენახული ყველი. ძროხა არ იწველება, მა-
რა გვაქ ჩადებული ყველი (შომახეთი).

ჩათალა იგივეა, რაც სკამბიჯი (იხ.). ჩათალა სამფეხა ხეა,
რომელზედაც გადააწვენენ ხარს და უღელს უკეთებენ ფეხზე. უღელ-
ში გაყრილია ბაწარი, რომლითაც ხარების ფეხეფს შეკრავენ (ხევი,
ლიჩი, შომახეთი). (იხ. დ. ჩუბ. ჩათალი, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

ჩათონხი-ს შემოდგომაზე ან გაზაფხულზე დახნულ მიწას გასაფხვიე-
რებლად დათონხის. პეტრემ თავის ვენახი ჩათონხა (ტაბაკინი).
ჩაიფერხნეფ-ს მკირე ხნით შეისვენებს, ჩაიმუხლებს. სულ არ ჩა-
შიფერხნებია, რაც ამიდი გამოვიდა, 160 კონა ჩალა ავკონე და

დავდგი. რა გამაჩერებდა აბალე! (ქვები). (იხ. განმარტ. ლექს. ჩაიფერხებს, ყ ა ზ ბ. დაფერხება).

ჩაკალიფება დაწყებული სამეუშაოს დამთავრება, მილაგ-მოლაგება, შენახვა. ჩაკალიფება ქვია დამთავრებას, რო იმის მეტი აღარ გექნება გასაკეთებელი (ლიჩი). იხ. ჩაკალიფეფს, ჩოუკალიფეფს, ჩაკალიფებული.

ჩაკალიფებულ-ი დამთავრებული, მილაგ-მოლაგებულ, შენახული. ყველაფერი ჩაკალიფებულ ი გვაქ და ყველას ცალია ახლა (გორისა).

ჩაკვა ხის პატარა ხელიანი ქიქა. ჩაკვა ხის პატარა ქურჭელია, რომელსაც მეჭოგეები ხმარობენ თაში მაწვნის, ნადულის ან რძის ჩასახმელათ (ხიდარი); ჩაკვაა პატარა ხის ქიქა, ხელიანი, იხმარება წყლის ამოსაღებათ (ზარანი). (იხ. ჯ ა ჯ. IX).

ჩაკიბულ-ი გადატ. დატარობული. ჩაკიბულია სიმიდი (ხიდარი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ჩაკირწულ-ი გამხმარი სიმიდის თავის დროზე აუღებლობის გამო ჩალის ღერზე დაკიდებული ტარო. ტარო კარქათ რო გახმება, ჩამეეკინწება თავდაღმა და ვამბოფთ: „ჩაკირწულია სიმიდი“ (განთიადი).

ჩაკუხულ-ი წამხდარი, გამოქმული. პრასი ჩაკუხულია; კიას რო გოუვლია პრასში, ჩაკუხულა, გამოუქრია თავი თავის ფოთლებიანა (პირველი სვირი). (შდრ. განმარტ. ლექს. წამოაკუხებს, წამოიკუხებს).

ჩალაბულ-ი ლაბის (იხ.) მქონე. ჩალაბულია ლობიოი (ტაბაკინი). ჩალამკალამ-ი იგუეა, რაც ფანჯარა (იხ.). ჩალამკალამი სარეველა ბალახია (წირქვალა). (იხ. განმარტ. ლექს.).

ჩალასტულ-ი იგივეა, რაც ლასტი¹, ლასტი ტარო (იხ.). სულ ჩალასტულია ტაროები (ღორეშა).

ჩალიკა ცაცია. ნატალია ჩალიკაა. მარცხენა ხელით აკეთეფს საკმელს (პერევი). (იხ. საბა ლაჩკვა, ჩალიკვა, დ. ნ. ჩუბ. ჩალიკვა, ბერ. ლაჩკვა, ჩალიკვა, განმარტ. ლექს. ლაჩკვა, ნ. ც. მ. ლაყოჩა. ლაჩკვა, ჩალიკვა. ტკვია; შდრ. მ. ჯან. ჩალიკი).

ჩალიკიან-ი მოხერხებული. ეს უფრო ჩალიკიანი ბიჭია. ეს უფრო საწყალია, ხათრიანი (დილიკაური).

ჩალის აკიდება ჩალის გასკვნა ყვაველედში და ხეზე დაკიდება. ოთარამ იცის ჩალის აკიდება, მარა ავთ არი. ჩალის ქუნცუროეფს (იხ.) გავსკვნით და ჩამოგვიდეთ ხეზე (ფარცხნალი).

ჩალის კლავი გამხმარი ჩალის გაცვნილი ფოთოლი. გედვედი ბალში, ფოთელი ეყარა, ჩალის კლავს უძახით. გაცვნილი ჩალის ფოთლის თითო ღერო ჩალის კლავია, 10 კონა ავბოქე (შომახეთი).

ჩალას მკობ (ან ჩამკობ) ჩალას კრის. შენ ჩალა მკევი. (ტაბაკინი); ჰიპიტა მოვტეხავთ, მერე ჩალას ჩავმკით, ავკონით გავქუბავთ (იხ.). რო გახმება, მერე დავდგავთ ზვინს (სალვინე). (იხ. ჯაჯ. X ჩამკა).

ჩალიდერო ჩალის მოკრის შემდეგ ყანაში დარჩენილი დერი. ჩალიდეროზე გედევინი ფეხი (ლორეშა); ყანაში ჩალიდეროები დარჩა (მოხვა). (იხ. განმარტ. ლექს. ჩალის დერა).

ჩალიხულ-ი 1. უთავბოლოდ ჩაყრილი, არეულ-დარეული, ჩახერგილი. მადა დიდი ჩალიხულია ყველიფერი (გეზრული). 2. საესე, უამრავი; იმდენი, რომ ტევა აღარ არის. ჩალიხულია ყანები სიმიდებითი (ხიდარი); ჩალიხულია საქონელი (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს., ქავთ. ჩალიხვა).

ჩალუკა მხდალი, მშიშარა, მოუხერხებელი. ჩალუკა კაცი არ ვიყავი (შროშა). (შდრ. კირ. ჩალუაჩუნა).

ჩალულავ-ს შეანელებს. თორნეში რო ნაკვერცხლები ანათეფს, ვალაგებთ კრამიტეფს ან კეცის ნატეხეფს, რო ცეცხლი ჩავლულათ, შევანელოთ (განთიადი). (იხ. განმარტ. ლექს. ჩალულვა).

ჩალხ-ი სალესი მოწყობილობა, — ჩარხი. ჩალხი ასეა მოწყობილი: ვადებულა ორი ხე, შუაში ქვა, რომელშიაც გაყრილია რკინის ტარი, ლესვის დროს ასხამენ ქვას წყალს, ერთი ატრიალეფს, მეორე ლესავს (მაჯითი); ჩალხი დანების ასალესი ქვაა (ტაბაკინი). (შდრ. გურამ. ჩალხა, განმარტ. ლექს. ჩალხი, ჩარხი მნიშვნ. 1, ძიძიგ. ძიებ.).

ჩალხი-მალხ-ი მოხერხებული. ჩალხი-მალხი ქე ვიყავი (მორძვევით).

ჩამაძუგებულ-ი ჩაქუქყიანებული. ჩამაძუგებულნი უნდა დამხეთე, რო მოვალ? (ხვერი).

ჩამეეკინწება-სიმიფისაგან ყუნწით (კინწით) თავქვე დაეკიდება. ჩამეეკინწა სიმიდი და ასალეზია (განთიადი).

ჩამეემშვიდობება-გამოემშვიდობება. ჩამეემშვიდობა თავის დელას (გორისა).

ჩამკვლელებულ-ი მითვისებული, მიჩვეული მიკუთვნებული. ბიკი იყო დელაზე ჩამკვლელებულნი (ხიდარი); ჩამკვლელებულნი ყოფილხარ გოგოზე (ხვერი). (იხ. ბ. წერ. ჩამკვლენებული, ქავთ. ჩამკვლელება).

ჩამოაფეშხავეფ-ს მკლე ხორცისაგან ლორს დაამზადებს. ხორცი როსუქანი არ არი, მიჩინათ (იხ.) გამევიყვანთ და ვიტყვი: ჩამოვაფეშხავეთ. (ტაბაკინი). (შდრ. განმარტ. ლექს. ფეშხვა, ფეშხო).

ჩამობლაქურდება-ბლაქით ჩამობობლდება. ნაცარქექია ჩამობლაქურდა ძირა (ვახანი).

ჩამოგვრი-ს ჩამოუყვანს. ის კაცი ჩამომგვარე ხარაგოულში (ზვარე); შვილი კვდარი ჩამომგვარეს (წაქვა). (იხ. განმარტ. ლექს.).

ჩამოზუკულ-ი გამოკუზული, ჩამოწეული. გაღვერილი (იხ.) აქ მაჯა და აქ ჩამოზუკული (ლორეშა).

ჩამოიხლოვებს-ს გზას დაიმოკლებს, შეიმცირებს. ამალამ თუ ჩა-
2ოიხლოვებს, ხვალ მოვა (მერჯევი).

ჩამოიფაქვამ-ს ჩამოიწევს. ჩამოიფარებს. რას ჩამოგიფაქვები-
ქუდი თვალეფში? (ზედუბანი). იხ. ეფაქვება.

ჩამონაგიერება შთამომავალი. გოგია ღვდლის ჩამონაგიერება
არი (ხიდარი). (იხ. განმარტ. ლექს. მონაგარი მნიშვნ. 2).

ჩამონადირება წარმომავლობა, შთამომავლობა. ჯიმში კარ დეიკარქე-
ბა, ჩამონადირებას უნდა ეძებდე (ხიდარი).

ჩამოსაკვლევია ბალახი ერთგვარი ბალახოვანი მცენარე. ჩამოსა-
კვლევია ბალახს ყვითელი კაკია (იხ.) აქ, შეკბილული ფოთელი,
უხთება რემატიზმფეს, სისივნეს. კაკლის ხეჭუქში უნდა ჩადვა,
მიაჭირო ზედე და შეიხვიო, ბუშტი გოუკეთება და გასკდება. იდენს
წპოლი (იხ.) (ბოსლევია).

ჩამოსახვეტი ადგილი ჰერსა და ჰერს (იხ.) შორისაა, სადაც საქონლის
ნაკელი გროვდება (დილიკაური). იხ. ზღვე.

ჩამოსხედილ-ი ჩამომხდარი. მე ვდგავარ ფეხზე, თქვენ ჩამოს-
ხედილი ხართ სუყველაი (წაქვა).

ჩამოყვანტრულ-ი ჩამოძინებული. თურმე ეს სტოლზეა ჩამოყვან-
ტრული (ტაბაკინი). (შდრ. განმარტ. ლექს. ჩამოყვინთვა).

ჩამოყურული-ი დაღონებული, ყურებჩამოყრილი, გაჩუმებული. ლე-
ვანტიამ რო აჯობა, ახლა ჩამოყურულია (ზედუბანი).

ჩამოწეულ-ი 1. ღარიბი. ეს ჩამოწეული ბიჭი როა, ეს უძღვია
საქმეს, თვარა ხამია ე ჰედლის ბიჭი... ჩამოწეულმა ბიჭმა,
ღარიბმა, დევების სახთან მიაყენა ე ჰედლის ბიჭი (ბერეთასა). 2. ას-
კის მიხედვით ერთმანეთს მიწეული, ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ
განსხვავებული. რა ცუდია ჩამოწეული ბოვეშები აღარ იყო
სამჭინოება მაგას ეხლა შვილი ყოლებოდა (ლოდორა). (იხ. განმარტ.
ლექს. მნიშვნ. 2).

ჩამოწინწილოფ-ს წანწკარით მოდის. — ჩამოწანწკარებს. ერთი პატა-
რა ღელე ჩამოწინწილოფს (ტაბაკინი).

ჩამოხლენწილ-ი ჩამორეცხილი, ჩამოქცეული. დლოწს (იხ.) ვეტყვიო,
ჩამოხლენწილი რო იქნება მიწაი (ხევი).

ჩამწვდუმო ლოგინი კედლიდან კედლამდე გამწვდომი ტახტი. ჩამწ-
ვდუმი ლოგინი უმაღ იცოდენ (წყალშავი). (იხ. ბ. წერ-
სიგარძის ტახტი).

ჩან-ი (რუს. чан) დიდი კასრი, როფი. დიდი ჩანები აქყე მეურ-
ნობას (პირველი სვირი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ჩანახ-ი იგივეა, რაც ბათფანი (იხ.) (სინონ. ფონხალი). ჩანახ თოკვი
ჩავაბი და ჩევეი, არიქა, ეს დაფქვი-მეთქი (ვერტყვიჭალა); ორი
ჩანახი წაბლი მოვიტანე (ლოდორა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ.
1, 2; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ი. ჯაეახ. საფ.-საზ. 89, მენთ.).
ჩანგალ-ი რკინის ოთხკუთხედად მოხრილი ღერი, რომლითაც ურმის
ღერი არის ამოკრული ზესადგარზე (ჭალაურთა). || იმავე ფორმის
რკინის ღერი, რომლითაც ამოკრულია მუხრუჭის (ტორმუზის) ხე
ზესადგარის ქვეშ (ქვაციხე). (შდრ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

ჩანდალ-ი ფეხის თრევით, უშნოდ სიარული. ნელ-ნელა დადის და
ჩლუტუნიაა (იხ.), ჩანდალი (შომახეთი). იხ. წაჩანდალდება.
ჩანებამ-ს ნებს დაკრავს. შუაში უნდა ჩანებო კადი (ბერეთისა).
ჩანჩეულ-ი დაჩეული, ჩამარხული. ის არის გულში ჩანჩეული
და უყვარს (წიფა).

ჩარანა უძლური, უღონო, უილაჯო. გლახა ჩარანა ხალხი გეგონეთ.
ვერაფერი ვერ გეიტანეთ ჩვენინდანაო (ბერევი). (შდრ. განმარტ. ლექს
ჩარანი, ს. მ. ტერმ.).

ჩარექა 1. ლიტრი. კაი ძროხა ქეყამდა, 12 ჩარექას იწველიდა
დღეშია (ქვები); რამდენი ჩარექა გამოდის რახი? (ლორეშა).
(იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1). 2. ღვინისთვის განკუთვნილი ვიწროყე-
ლიანი, განიერმუცლიანი, ნისკარტიანი, ცალყურიანი თიხის ჭურჭელი.
1 ლიტრის ტევადობისა. ჩარექა ნიკარტიანი დოქია, ერთი ლიტრა
ღვინო ჩადის (საბე, ლორეშა). (იხ. მენთ., განმარტ. ლექს. მნიშვნ.
2, დიალექტ. კახ.-ქიზ., თუშ., გუდამაყ.).

ჩარეშილ-ი იგივეა, რაც დარეშილი (იხ.). ჩარეშილია სიმიდი
(უჩამეთი).

ჩასაგავ-ს მაგრად დაკეტავს. ჩოუსაგვიათ კარები (შროშა).
(იხ. ქავთ. ჩასაგვა). იხ. ჩოუსაგამს.

ჩასაგვულ-ი მაგრად ჩაკეტილი. ყველაფერი ჩასაგვული აქო
(შროშა).

ჩასავალი სარცხელი იგივეა, რაც საქვედაო სარცხელი (იხ.).
დიდ ქურეფს, ჩასავალი სარცხელით ვრეცხავთ (პირვე-
ლი, მეორე სვირი). (იხ. ალაგ. ოკრ.).

ჩასაკალიფებელ-ი დასამთავრებელი. იმათ ჩასაკალიფებელა
აქო რთველი (გორისა).

ჩატახტულ-ი კედლების გასწვრივ ტახტჩაყოლებული. დიდი ძელური
სახლი ქეჭონდა ჩვენე, ჩატახტული იყო, ოთხი ძმა იყო და
ოთხივეს ტახტი ქონდა, ერთათ იყვენ (ქვები). (იხ. განმარტ. ლექს.).
ჩატე მიწა უნაყოფო, ქვიანი სილამიწა, რომელიც მალე შრება. ჩატე

მიწა ქვიანი ადგილია, მიწა არ არი ბევრი, მოსავალს არ იძლევა (ხვაშით); ჩატე მიწა უზეთო მიწაა, ჩქარა შრება და ქირხა-ბულს ძალას ველარ აძლემს (ვახანი); ჩატე მიწაა სილამიწა (მან-დაეთი). (იხ. ბ. წერ. მჩატე მიწა).

ჩაფარა წნელით თხლად მოწნული ნაპირებშემადლებული გობის ან კალათის მსგავსი ქურქელი ჩირის გასახმობად, ყურძნისა და სხვა ხილელის დასაწყობად, — ხახალი. დედამ მოწნა ჩაფარა და დავალაგეთ ყურძენი (ზედა საქარა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. პ. შდრ. ბერ. ჩაფარა | ე-ა, ელ. ჩაფარა | ე-ი).

ჩაფით უშვეფს წვიმას კოკისპირულად წვიმს. ახლა ველარ წახვალ, ჩაფით უშვეფს წვიმას (სვერი).

ჩაფერხნება მცირე ხნით შესვენება, ჩამუხლება, ჩაფერხება. მაგის ჩაფერხნებაი არ შეიძლება (ლოდორა). (იხ. განმარტ. ლექს. ჩაფერხება). იხ. ჩაფერხნეფს.

ჩაფესობება იგივეა, რაც დაფესობება (იხ.). გემრიელის ლერწი როა დამყნილი წარეზე, ი გემრიელს მოგპრით ფესოეფს და ესაა ჩაფესობება (ხვაშით).

ჩაფულა მრგვალტუჩიანი თიხის პატარა ჩაფი წყლისათვის, 10-12 ლიტრამდე ტევადობისა. ჩაფულა მცირე ზომის ჩაფია, 12-ლიტრიანი უკვე ჩაფია (სანახშირი); ჩაფულაში 10-12 ჩარეჟამდე ჩადის (განთიადი); რო დავლემ წყალს, ევილეფ ჩაფულას და დავდგამ იქანა (ლედვანი). || საწყლე დოქი. ჩაფულა წყლის დოქია, უნიკარტო. თუნგულაც იხმარება, მარა უფრო ჩაფულა (ჩიხა); ჩაფულა რგვალტუჩიანი დოქია, ნიკარტიანი საღვინე დოქია. სონია. ერთი ჩაფულა წყალი მამიტანე (ზვარე); გოგო წვეიდა თფილიში, იყიდა ჩაფულა და წყალს ყიდის. ღვინისას დოქს ეტყვიან, წყლისას — ჩაფულას (ქვებო). (იხ. ბ. წერ., მენთ., ბერ., განმარტ. ლექს. ჩაფულა!, ჩაფურა).

ჩაფხატ-ი ზოლიანი კრელი. შულავერა ლობიო (იხ.) ცოტა ჩაფხატი ლობიოა (პერევი). (შდრ. განმარტ. ლექს. მოხ.).

ჩაქიშპებულ-ი ჩაქინებული, გადამტერებული. იქოური კაცი იყო ჩაქიშპებული (ხიდარი). (შდრ. განმარტ. ლექს. ქიშპი).

ჩაღურშულ-ი გულდახურული, გულჩახვეული. ჩაღურშულია ე გოგოი (ზარანი).

ჩაღულულ-ი ცვრიო დაფარული. ჩაღულულია არემარე (ხიდარი).

ჩაყუეებულ-ი ჩაყუჩებული. ხმაგაკმენდილი. სადღა არი სიმღერა, სულ ჩაყუეებულია ჩვენი კუთხეი (სვერი). (შდრ. განმარტ. ლექს. ჩაყუეული).

ჩაშკა (რუს. чашка) წისქვილის ზედა ქვაში ჩადგმული თუნუქის პა-
29. ზემოაღებული ლექსიკონი

ტარა კურქელი, რომელშიაც იყრება კრიკიდან (იხ.) გადმოსული მარცვალი (ზვარე).

ჩაშოშინდება-დაშოშინდება, დაწყნარდება. მერე ჩაშოშინდება საქმე (ხვაშითი); გულო, ჩაშოშინდი (იქვე).

ჩაჩა ურემი იგივეა, რაც აჩაჩა ურემი (იხ.). ჩაჩა ურემი დადიოდენ, გოგორა ფიცარი იყო და, როგორც სარქველი, ისე იყო გამოქრილი. სოლები არ ქონდა, ჯერ შამოუქედავი იყო, მერე შამოაკრეს კინაი (ღარიხვეი).

ჩაჩანაკ-ი ლითონის რგოლი, რომელიც ბრუნავს მასში გაყრილ ლითონისვე მოქლონისებურ ღეროზე. ამ რგოლზეა გამობმული საბლად გამოყენებული ჯაჭვის კავი, რომ არ დაიგრიხოს ჯაჭვი. ჩაჩანაკი არ აქ მაგ ჯაჭვის? (ხიღარი); ჩაჩანაკია ჯაჭვში გაყრილი რკინის რგოლი, რგოლში რკინის ღერია, რომ არ დეიგრიხოს ჯაჭვი (იქვე). (იხ. ალავ. ოკრ., განმარტ. ლექს. ჩაჩანაკი 2).

ჩაჩურამ-ს შეაკავენბს, შეაგუბებს. თოვლმა ჩაჩურა წყალი, როცა ნახამს გზასა, მერე ბევრი წყალი წავა (წიფა).

ჩაჭიკნილ-ი ჩაჭრილი, ჩაღარული. თეთრ გრანიტას (იხ.) ფართო მარცვალი აქ და ჩაჭიკნილი (გეზრული).

ჩახელდახელდება-ან ხელდახელ ეცემიან. ჩახელდახელდენ ესენი (ღეღვანი).

ჩაჯუტულ-ი || ჩაუჯუტულ-ი ჩაჩხვლელი. კადი შუაში ჩაჯუტულია (ქორეთი). (იხ. განმარტ. ლექს. ჯუტი, ჯუტა).

ჩღარ-ა ჩანს. დეიდაშენი აღარსად ჩღარა (მანდაეთი); ჯემალს უყურებდი და არსად, ჩღარა (იქვე). (იხ. უთურ. ჩინს).

ჩეეკილება-ა გადაემტერება. ჩეეკიდა ერთი მასწავლებელი, არ გაახარა (შომახეთი).

ჩეთ-ი კაბიკის მერთხედი. უმაღ კაპეიკით და ჩეთობით იყო ვაქრობა (ქორეთი). (შღრ. განმარტ. ლექს. ხევს.).

ჩეიკვერება-ა შეიკვერება, დაწვება, შედედდება. გადმოადულე წაქი, კინადული ჩეიკვერება.. (ღეღვანი). იხ. კვერს გეიკეთეფს.

ჩეიღებება-ა მიიძალება. გადირია ხარი, გაგლიჯა უღელი. სა წავა? ჩეიღებება საღმე, ან წყალში იქნება, ან საძახა (უჩამეთი).

ჩეინტერესთება-ა დაინტერესდება. რაღაი სურათი ნახა, ჩეინტერესთა (ზოვრეთი).

ჩეინუკრება-ა დაილეკება; დაიწმინდება. ბევრი შაქარი ჩეინუკრება (დილიკაური); ტკბილი ჩეინუკრება (შროშა).

ჩეირთვლეფ-ს რთველს მოიწევს. როგორც ჩეირთვლებენ, ჩამოვა (განთიადი).

ჩეისუნგლება-ა გაჩუმდება, ხმას გაკმენდს. ჩეისუნგლება ისა, სიტყვას არ დაგიბრუნეფს (ღარიხვეი). იხ. სუნგალი.

ჩეიტლიხნებ-ა-ტალახით გაისვრება და გაითვლება: თუ ძველია წვრ-
მა, გეივლის საქონელი და, ფეხს, რო დაადგამს, თივაზე, ჩეიტ-
ლიხნება და გაფუჭდება თივაი (ლეღვანი).

ჩეიფახვებ-ა ჩაინგრევა; ჩაიშლები. ჩეიფახვა ე ქვევრა, თხელი
მიწა იყო და არ ივარგა (ბოსლევი). (იხ. განმარტ. ლექს. ჩაიფახ-
ვება).

ჩეიქუჩნებ-ა გაფხვიერდება. დოუხვენელ მიწას, არც ნასიმიდარს და
არც ნაპურაღს, არ დაეტოვებდით, მერე დამზადდებოდა ი მიწაი და
ჩეიქუჩნებოდა, როგორც ე ნაცარი, ისე გახთებოდა (შომა-
ხეთი).

ჩეიჩურჩხლებ-ა ჭვუფ-ჭვუფად მოგროვდება, გამრავლება. მუხის და
კვინცხის (იხ.) ტოტეფს ჩოულაგეფთ აბრეშუმს, გოუკეთეფთ ცანს
(იხ.), დაეტინრამთ უჭრებივით; შევა შიგ და ჩეიჩურჩხლება
(ღორეშა).

ჩეკ-ი პატარა კირკა-თოხი (სინონ. კეკო, კეჩო, ჩეკია). ჩეკს ერთი
თავი წვრილი აქ, წაწვეტებული, მორე — თოხის მზგავსი. მანამდინ ქვა
ირჩეოდა ჩეკით, კირკით იტეხებოდა და ჩეკით ირჩეოდა (ჭა-
ლაურთა); ჩეკს იყენებენ ბოსტნეულის სამარგლავათ (არგვეთი);
ჭიათურაში ჩეკზე ვმუშაობდი, ქვას ვარჩემდი, ჩეკით მიწას
გამოვაცლიდით, ქვას ქვე დაეტოვებდით (ლიჩი); დიდი ბელტები რო
იყო, ჩეკით უნდა დამემტვრია (დილიკაური). (შდრ. საბა,
დ. ნ. ჩუბ., მენთ., ძიძიგ. ქრესტ., განმარტ. ლექს. თოხ-წერა-
ქვი, დიალექტ. კახ.-ქიზ., ყიზლ.-მოზ., მაის. ჩეკი). იხ. გამოუ-
ჩეკს, ჩეკს.

ჩეკ-ს ჩეკით ტეხს, აცლის. იმ ხილსა ძირიდან ქონია წანაწერები; —
თამარ მეფის სახელი. მისულან თათრები უჩეკიათ და გამოუ-
ჩეკიათ. ეს წანაწერები (სხვიტორი). (შდრ. განმარტ. ლექს. ჩეკს 2).
ჩეკია-თოხი || ჩეკელა იგივეა, რაც ჩეკი (იხ.). ქალეფს უკავია პა-
ტარა ჩეკია თოხი — ჩეკელაი, დაკვრენ იმას, მერე მიათე-
სავენ და მიწა ამეიჩუნება (იხ.), მიწას მიაფხორავენ (იხ.) (ბორითი).
(იხ. განმარტ. ლექს. ჩეკია).

ჩეკო იგივეა, რაც ჩეკი (იხ.); ჩეკო პატარა კირკა-თოხია, ბოს-
ტანს ჩეკოთი ვმარგლით (ხვაშითი); ჩეკოთი ამოწმინდე ბა-
ლახები (იქვე).

ჩელტ-ი წნელის ბრტყელი, ოთხკუთხედი წნული, — ლასტი. აბრეშუ-
მი ჩელტებზე უნდა ქვეამდეს (ღორეშა). (იხ. საბა, ბეო.,
განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, ს. მ. ტერმ., დიალექტ. რაჭ.).

ჩემისით ჩემით. ჩემისით მევიფიქრე, რო მეავე კიტრიან ჭურს
შაბი მივცე, რო არ დალბეს (ვანთიადი). (იხ. განმარტ. ლექს. ჩემით
მნიშვნ. 2).

ჩემსეულა || ჩემსოულა ჩემს სახელზე. რო მოკვდა, ასე თქვა: ჩემსეულა დავადეფ ქვასაო (წიფა); ჩემსოულათ ბლუზა-შარვალი იყიდე (ზარანი).

ჩემობისად ჩემს დროს. ჩემობისად არ ყოფილა ის პატარა ბიჭი აქა (მანდაეთი). (იხ. განმარტ. ლექს. ჩემობას).

წანდილი— წყალში მოხარშული ხორბალი, რომელსაც შემდეგ თაფლით ან შაქრით შეაზავენ (ზომახეთი); მოხარშული პურის მარცვალი და შემდეგ თაფლგადასხმული არი წანდილი. ორშაფათობით წანდილს ვაკეთებ (ზედა საქარა). (იხ. საბა წანდილი, გურამ., კირ., დ. ნ. ჩუბ. კოლიო, წანდილი, ალავ. ლეჩხ. წანდილი, ჭანტილაქი, განმარტ. ლექს., მენტ.).

წანწყალი- იგივეა, რაც წანკელი (იხ.). წანკალს მეუმბება (ღარიხევი). (შდრ. ვაჟა II წუტი).

წანკელი- წუნკალი. წანკელი ნუ ხარ (მორძვეთი). || გადატ. საშინელი, ცუდი. წანკელი ამიღია (იქვე). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ. წუნკელა, მ. ჩიქ., განმარტ. ლექს. ლეჩხ. წახკი მნიშვნ. 2, ფშ. წუნკი, ქიზ. წუკია, მენტ. წუკია, ალავ. ლეჩხ. წუკანტი, კენწუხი, დიალექტ. რაქ. წანკლიანი).

წანწალა ტანწერწეტი (სინონ. წორწალა). რო შეხედემდი, წანწალა გოგო იყო და გაგებარდებოდა (ზროშა). (იხ. ქავთ. წანწყალა; შდრ. განმარტ. ლექს.).

წაოთხდებ-ა ოთხით, ფორთხვით წავა. კრაოტში ვიწეკი და მუხლებზე დავდეკი, წავოთხდი, მოვარდა ექიმი (მანდაეთი).

წარამალა წარამარა, წამლაუწუმ. ომი რო დეიწყო. პირველათ წერილი წარამალა მომდიოდა (უჩამეთი).

წარბისკანი- || წარბიკანი- აბრეშუმის ქიის მეოთხე კანში ამოსვლა. აბრეშუმის ქია კეხის კანში რო ამოვა, სამი დღე იწოლება, არ შეკამს, მერე ამოვა წარბისკანში, მიტო ქვია ასე, რო წარბეფს იკეთეფს, ლამაზდება (სანახშირე); წარბიკანში გამევიდა აბრეშუმი (ღარიხევი). (შდრ. ბერ., განმარტ. ლექს.).

წარე მწარე. წარე ლერწი ამერიკული ვაზი, საძირე. წარე ლერწს ამერიკულ სადედესაც უძახით (დილიკაური). (იხ. ქუმბ. მწარე ვენახი).

წარეკავ-ს იგივეა, რაც წაარკვევს (იხ.).

წარეკვა იგივეა. რაც წარკვევა (იხ.). ტამტზე ან ცხრილზე ლობიოს ვატრიალეთ, რო პტვერი გეცალოს, წარეკვაა ეს (ხიდარი).

წარკვევა გობზე ან ცხრილზე დაყრილი ხორბლეულის მარცვლების გაწმენდა, გარჩევა. წარკვევას უძახით, რო გობზე, რომელსაც ნაპირები დაბალი აქ, დავყრით პურის მარცვალს და დავფენთხამთ, ბრელო (ქელი) გამოდის ნაპირზე და ასე იწმინდება პურის მარცვალი (ხევი, ზედუბანი). იხ. წაარკვევს.

წარნაქ-ი უნაყოფო ნიადაგი. მოყვითალო-მოთეთრო. ჩვენთან წარ-

ნაკ მიწეთს უძახიან ქვათითა მიწეთს, ცარცნარევი მიწა რო არი, უნაყოფო (ტაბაკინი); წარნაქს უძახით, უნაყოფო ადგილი რო იქნება (განთიადი). (იხ. ლ. ბოქორ. მასალ. საქ. ეთნ. VIII, 42, კახ. 45; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ. წარნაქი, წერნაქი, მენტ. წერნაქი, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, დიალექტ. კახ.-ქიზ. წერნაგი, წერნაქი).

წაროფვა წვერების წათლა, წაწვეტება (სინონ. წამახვა, წაჩეკვა). წაროფვაა წვერების წათლა სარისათვის მიწაში ჩასასობათ (ბაჯითი); გერიელსა და წარე ლერწს წამოვკრით თანაბარი რაოდენობით, რო ჩეუკრება დანით, წეწვეტება და დეეცობა ერთმანეთზე, ამას ქვია წაროფვა (ქორეთი). (იხ. ბ. წერ. წარაფვა).

წარუმანდურა წამდაუწუმ. წარუმანდურა ბურთივით ვგორი-ალობდი (ზედუბანი).

წასანგლამ-ს გააქრობს, მოსპობს. ეგეო აქეთ გამიდენეთ ყანაშიდაო. რო წავსულიყავი, ველარავინ მნახამდა, მაგკლემდენ დანით, წამსანგლამდენ ყანაში (ხიდარი).

წაფენტხამ-ს იგივეა, რაც წაარკვევს (იხ.). გობზე აქნემ პურს; წაფენტხამ გასაწმენდათ, მერე დაფქვამ (შომახეთი).

წაქ-ი იგივეა, რაც შრატ-ი (იხ.). წაქი რო არი, იმას მოვადულეზი და ვკამდი (ლორეშა); წაქს მოვადულეფთ და ნაღულს ვაკეთეფთ (ტაბაკინი). (იხ. მ. ჯან. სელ, განმარტ. ლექს. ქვ. იმერ მნიშვნ. 1, სველი, მნიშვნ. 2, თუშ. წაქი მნიშვნ. 3; შდრ. საბა, განმარტ. ლექს. ზ.-იმერ. მნიშვნ. 2, ფშ. წაქი მნიშვნ. 3). 2. იგივეა, რაც წათხი (იხ. მნიშვნ. 1). ჰყინტ ყველს მარისს რო დავაყრით და ჯამზე დავდეფთ, წვენი გამოუვა, იმას ქვია წაქი (შომახეთი). (იხ. ბერ. წურუქა, ელ. წურუქა | ე-ი, ნი. წურუქა). 3. ნაღულის გადანაწური სითხე. ნაღულის მერე რო დარჩება, ჩვენ წაქს იმა უძახით (ლიჩი).

წაქა იგივეა, რაც წაქი (იხ. მნიშვნ. 3). ნაღულს რო გადავწურამთ, რჩება წაქა (მობვა). (იხ. ყიფშ.).

წაყანტალეზული-ი წაჩერჩეტებული. საძახა არი წაყანტალეზული, რას ნახავ (ურამეთი).

წაჩაგრავ-ს დაჩაგრავს. უკაცო ოჯახი დაბალი ოჯახია, წაჩაგრავენ (ზედა საქარა).

წაჩანდალდეზა- წაჩანჩალდება. ლავრენტი წაჩანდალდა თფილში შვილეფთან (შომახეთი).

წაჩეკვა იგივეა, რაც წაროფვა (იხ.). სარის ბოლოების წათლას წაროფვასაც უძახით და წაჩეკვასაც (ბაჯითი). (იხ. განმარტ. ლექს. ჩეკს²). შდრ. ჩეკი, ჩეკს.

წაცეტრამ-ს იგივეა, რაც ცეტრავს (იხ.). უწინ დროში რო

ქვეონდა ვენახი ჩვენე, მაღლარს უძახოდით. ის ისხვლებოდა, როგორც ახლა ადესა ყურძენს სხვლენ, — წვეროებში წაცეტრაბდით (ფარცხნალი). იხ. გაცეტრავს; შდრ. ცეტერი. წაწინოურებულ-ი წინ წასული, დაწინაურებული. ასე დაბნეული საქმე მოვანგროვე ისე, რო გოუსწარი იმას, რო იყო წაწინოურებული ხალხი (ჭალაურთა).

წაჟოლიყდება-ა წაბარბაცდება. ნაფოტებს წიკამს და წაქოლიყდა (ტაბაკინი). იხ. წააქოლიყეფს.

წახვერეფებულ-ი ჭურისთავზე დაყრილი მიწა-(ხვერებ) გასწორებული. არ ჩანს ჭურები, წახვერეფებულია (ქვედა საქარა). იხ. ხვერი, ხვერეფი.

წახვთება-ა შეხვდება. ჩემ ზომას ვერ წახვთი, პალტო მინდოდა (ხვერი).

(მ)წდალ-ი მშრალი. ამაზე წდალი ადგილია ისი (ხიდარი). (იხ. განმარტ. ლექს. წდალი).

წებარაგინება-ა წასასვლელად გაემზადება, წაბარგდება. ახლა უნდა წეებებარაგინო (ბოსლევნი).

წეთორკილება-ა უნებურად წაპყრავს [გვერდს, ფეხს]. ვალიყო წეთორკილა და დეიძახა: იმან გამლახაო (ხალიფაური); ფეხი ამიტა და წევეთორკილე (იქვე).

წენეკრება-ა წაეხმსება. ცოტა წენეკრე (შუქრუთი).

წევარი-ი მწევარი. წევრები წამამიტოვა, შეღმართი შემარბენია (ფარცხნალი). (იხ. ყიფშ. წეარი; შდრ. განმარტ. ლექს.).

წევის [რისამე] სიგრძის გამწვდომი. ერთი მოქრილი ხე იყო იმ წევის, ე. ი. შორე ნაპირზე წვდებოდა და წყალში გადიოდა (ბოსლევნი).

წევისათ გასწვრავ, სიგრძივ; [რისამე] გაწვდომით. კედლის წევისათ იყო სულ ლოგინი (ბოსლევნი).

წეითავრება-ა აყალოს შემდეგ ფხვიერი მიწა დაეყრება. წეითავრებოდა ჭური (მეორე ხვირი). იხ. სამთავრავი.

წეიმწყება-ა დაიხურება, დაიკეტება, შეიკვრება. ეკალას ფოთელი დაადევი ძირმაგარას, რო თავი არ წეიმწყოს (ტაბაკინი).

წეიმხლევ-ა წაიქცევა. წეიმხლეოდა გულწასული, თუ რამეს ეტყოდი (შროშა).

წენეკრიავეფს-ს წაეხმსება. მოდიო, მოდიო, ცოტა წენეკრიავეფოთ (ხვერი). იხ. წენეკრება.

წეიპლანება-ა დასკდება. ეპური ქვე წეიპლანა (ზედუბანი).

წეიწლაპაეფს-ს ცოტას შექამს. წეიწლაპაეფს და გეიქცევა (ზედუბანი).

წეიჭინჭლეფს-ს ცოტათი ჭინჭლობს. გოგიაც წეიჭინჭლეფს კიდო (ხიდარი).

წელკავი 1. წელის გაშეშება. (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს.). 2. ცხენის დაავადება, იწვევს წელის იმგვარ შწვავე ტკივილს, რომ სიკვდილით მთავრდება. წელკავი ცხენმა იცის. წენის ტკივილია, რო გოუვლის, ქვეც მოკლამს (პერევი, ღარბევი). (შდრ. ელ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

წელწყვეტილა ჭიქა შუაში წვრილი და მალა განიერი ჭიქა. წელწყვეტილა ჭიქები გვაქ ნაყიდი (შროშა).

წენი-ი წელი. წენი ტიოდა და სულ იწვა (შომახეთი); წენის ტკივილმა მამკლა ღარმე (ხევი). (იხ. ბერ., ძიძიგ. ქრესტ., ძიებ., შდრ. საბა).

წერეწო ბოტ. მალალწვრილფეხიანი ქოლგისებურ ფართოქუდიანი საკმელი სოკო (სინონ. მგზავრიო). წერეწო მალალი წვრილტანინი სოკოა, რომლის ქუდი ქოლგას მოგვაგონებს, ფერი აქ ურუნა ქათმისა, თავზე თავგისფერი ჰორფლი აყრია (სანახშირე); წერეწო ი ნაძვეფში იცის, მალალი კირწი აქ, წათეთროა (ზვარე); წერეწო ს მანდალი, გძელფეხიანი მიწისფერი სოკო (ჩიხა); წერეწო ს გძელი კირწი აქ, რუხია თავზე, ქვეშ თეთრი გული აქ (მანდაეთი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ჭყ., განმარტ. ლექს. წერეწო, წეროსწვივა, ერისტ. წეროს სოკო, ალაგ. ოკრ. წერესტო, წოროფსუა).

წერეწო ხალი ბოტ. მინდვრის მხალი. წერეწო ხალი მალალი იზდება (ზვარე). (იხ. განმარტ. ლექს. კახ. წერეწო მნიშვნ. 2).

წერვა წერა. ეგ კი არ არის წერვაი (სანახშირე).

წერვა-კითხვა წერა-კითხვა. წერვა-კითხვა არ ვიცი (ზვარე). **წვერალ**-ი მწვერვალი. სკანდი შორს არი, წვერალია გადმოსავლელი (შომახეთი).

წვინდაწვინა წინდაწინ. მოვალთ წვინდაწვინა (ხევი).

წვითწვითა წუნკალი, ავი, ცუდი მოლაპარაკე. წვითწვითა ქალია და არავის უყვარს (სანახშირე). (იხ. განმარტ. ლექს. წანკი მნიშვნ. 2; შდრ. იქვე წვით-წვითი).

წვრილმარცვალა სიმინდის ჭიშია, თეთრიც არის და ყვითელიც, სადა მარცვალი აქვს, წვრილი, ადრე მოდის (გეზრული).

წვრიმალა ტყე წვრილი ხეების ტყე. მერე წვრიმალა ტყეა თურმე ძან... გამოენთო ე გახელეებული დათვი ამ კაცეფს (პერევი). (იხ. განმარტ. ლექს., დიალექტ. იმერ. წვრიმალა, თიან. წვრილიანი; შდრ. საბა წვრილიანი).

წიაკოკონია წივილ-კივილი, ალიაქოთი, არევე-დარევა. ქორწილი იყო, მოხთა ჩხუბი და შეიქნა წიაკოკონია (ზარანი); გაზაფხულზე წიაკოკონია იქნება (იქვე). (იხ. ბ. წერ., ბერ. წიაკოკონია, განმარტ. ლექს. წიაკოკონია).

წია-წია! ქათმების მოსახმობი (ზედუბანი, შომახეთი). (მდრ. კირ., ალავ. ლეჩხ.).

წიბო ნეკი. წიბო ა გვერდის წყნელი (ვახანი); წიბო მქონდა გატეხილი (წიფა). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, დიალექტ. ჯავახ.; მდრ. საბა ფერცხალი).

წიგნა-წიგნა იგივეა, რაც ცხრაპატარძალა (იხ.). ფაშვის ნაოკებიან ნაწილს ჩვენე ცხრაპატარძალასაც უძახით და წიგნა-წიგნასაც (ტაბაქინი). (იხ. მენტ. წიგნარა, ბერ. წიგნობელა, განმარტ. ლექს.).

წიგნობელა იგივეა, რაც ცხრაპატარძალა (იხ.). რო დაეკალით ხფო, წიგნობელას რეცხვამ მომკლა, საშინელი გასარეცხია, თუ დაქჩა გადაუფურცლავი, შეგარცხვენს (განთიადი).

წივა გამხმარი ნაკელი. ეზოში წივა ეყარა (ვახანი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს.).

წითელი ბარდის ღობიო ხვიარა ლობიოა, წითელმარცვლიანი, სიძიდზე შედის (ხიდარი).

წითელი გრანიცა იგივეა, რაც კბილოვანა (იხ.). წითელგრანიცას კბილოვანას უძახიენ (პერევი).

წითელი გურულა იგივეა, რაც გურულა (იხ.). ლობიოს ერთ-ერთი ჯიშია, უფრო ხშირად ხმარობენ ნელლ პარკებად მოკრეფილს, წითელმარცვლიანია, უბეწვო (ზედა საქარა).

წითელი ღობიო წვრილმარცვლიანი ლობიოა, ყანაში ითესება სიძიდთან ერთად (მანდაეთი); წითელ ღობიოს ყანის ღობიოს ვეტყვით (დილიკაური).

წითელი მარია ქიამაია. წითელი მარია გაფრინდა (წიფა).

წითელპარკა ღობიოს ერთ-ერთი ჯიშია, ხვიარა. წითელპარკას წითელი ზოლი აქ და პარკიც წითელია (ზედა საქარა); წითელპარკას წითელი პარკი აქ, ბარდი აქ სიძინდზე (ხიდარი).

წითელი სადა ღობიო ღობიოს ერთ-ერთი ჯიშია, არახვიარა. წითელ სადა ღობიოს მართალ ღობიოს ვეტყვით, უბარდოა (ხიდარი).

წითელი სიმიდი იგივეა, რაც წითელი გრანიცა (იხ.). წითელი სიმიდი წვრილმარცვალაა და უფრო კარგია, მეორეა მსხვილმარცვლიანი (მანდაეთი); წითელი სიმიდი ყვითელმარცვლიანია (ზედა საქარა).

წითელძირა ბოტ. დანდური, მსუქანა. წითელძირა ხალია, ქინძი, ნიორი და ძმარი უნდა (ზვარე).

წითლით ჭრელი ღობიო თეთრი არი და წითელი ზოლები აქვს (შომახეთი).

წილად-ი ნაწილი. წილადი გამოუტანია სამმო ქონებიდან (ლო-

რეშა); ამის წილადი გაყიდე და მოახმარე (პერევი); ჯერ ჩემი სიმილი მამიტანეთ სახში, მერე თქვენი წილადი წეილეთათ (ლორეშა); 2 შვილი მყამს კვდარი, იმათი წილადი გული კვდარია (ლოლორა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2). იხ. დააწილადეფს. წილამ-ი წალამი. წადი, წილამი მობოჰე და წამეილე (ხვაშითი); წილამს რო შეკონამ კონათ, არი ჯარჯი (იხ.) (იქვე). (იხ. ბ. წერ; წალარი).

წილკერდ-ი წილკერძი, წილხვედრი. გაგაღვიძეფს შენი წილკერდი ანგელოზი (შომახეთი).

წინაძლოლ-ი || წინძლოლ-ი ვინც წინ უძღვის ხარებს, — წინამძლოლი. მეხრე. ზოგჯერ 3-4 წლის მოზრეფს. შეაბამენ სახნავათ, სანამ შეეწეოდენ, მათ წინ ადამიანი უძღვის, მას წინაძლოლი ეწოდება (ვახანი); ვენახს ხნავს კაცები წინძლოლით, ხარს უძღვის წინა, წინ უძღვია, რო არ გააფუქოს, უკან ხენელი არი (ქევაბი). (იხ. გურამ. წინამძლომელი, კინკ. წინამძღვარი).

წინაწვე-ი პირველად დაპატიეებული პატარძლის ნათესავი. ასინათი მყამდა დაპატიეებული წინაწვეათ (პერევი). (შდრ. განმარტ. ლექს. წინაწვევად).

წინაწვერ-ი || წინაწვერო იგივეა, რაც წინწანაქარი (იხ.). პირველათ გამოიხთება წინაწვერი ოტკა (წვარი); წინაწვერი პირველათ გადმოსულ ოტკას ქვია (ხევი); ერთი ბოთლი გამევიდა წინაწვერი (შომახეთი); პირველათ რო გამოდის ოტკაი, უძახით წინაწვეროს, ბოლოს რო გამოდის გლახაი, — ნაბოლარაია ისი (ვერტყვიჭალა). (იხ. კინკ. წვერის არაყი || წინწვერი || წინწვერის არაყი || წინწარაქალი, ჟღ. წვერის ქნა).

წინაწვერულო იგივეა, რაც წინწანაქარი (იხ.). პირველი გადმოსული ოტკაა წინაწვერულო (გოლათუბანი).

წინკარ-ი დერეფანი. სახლის წინ მიწიანი დერეფანი, შემოულობავი, მარა გადახურული, არი წინკარი (ხიდარი); წინკარს უძახით ბელის ან პალატის შესასვლელს. (პირველი ხვირი). (იხ. ჯაჯ. X, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1; შდრ. ალავე. ლეჩხ. XIII).

წინსაბიჯ-ი იგივეა, რაც წინსაბიჯი (იხ.). შემხვთა ერთი კაცი, უკირავს წინსაბიჯი (მერჯევი).

წინსადგამ-ი || წინადგამ-ი საწინახლის წინ, ინდურთან, ტბილის ჩასასმელად დადგმული ქურჭელი. წინსადგამში ჩადის ტკილი; სატკილე სპეციალური ქურჭელია, ხან ქვაბს დოუდგვენ წის და ისაა წინსადგამი (ქორეთი); წინსადგამი-დოუდგით საწინახელს (იქვე). (შდრ. განმარტ. ლექს. გურ.).

წინიჩხირ-ი იგივეა, რაც წინიჩხირი (იხ.). მეიტანა წინიჩხირი (შომახეთი); დევიწყეფთ ქსოვას წინიჩხირზე (ხვერი).

წინახიორ-ი წინდისჩხირი. 5 წინჩხირია, 4-ზე ქვე გააკეთებდი, მე-5-ზე ქვე ქსომდი, ამეიყვასდი თვალს (სავანე); „ოთხი ძმაკაცი სახს აშენებენ, მეხუთე გარს უვლის“. გამოცანაა ესი, წინჩხირე-ბია (მოხვა). (იხ. დიალექტ. მესხ. წინდახირი).

წინწანაქარი 1. პირველი გამოხდისას პირველად გადმოსული არაყი. დაახლოებით 1-1/2 ჩაის ჭიქამდე, მწარეა, თანაც ისე მაგარი, რომ სპირტის მაგივრად იხმარება. წინწანაქარია პირველი გამოხდის დროს პირველად გადმოსული ნახევარ ჭიქამდე ოტკა, რომელიც ძან მაგარია. მეორე გამოხდის, გადაბრუნების დროს ასე გამოსული სპიტია (დილიკაური); წინწანაქარი ისე მაგარია, რომ სპირტით იხმარება (ხიდარი). (იხ. დ. ნ. ჩუბ., ბ. წერ. წინაქარი, კინქ. წინწარაქალი, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, ს. მ. ტერმ.; შდრ. საბა, ალავე. ლეჩხ., ქავთ. წინწამონაქარა). 2. მეორედ გამოხდისას, რახის გადაბრუნებისას, სპირტამდე გადმოსული ერთ ჩაის ჭიქამდე მწარე, მაგარი არაყი, რომელიც მაგარი ჩაის ფერია და სპირტად იხმარება. მორეთ რომ გამოვხთი ოტკას. პირველად რომ გამოდის. მისთანაა, რომ ვერ ჩეიკარეფ პირში, ისაა წინწანაქარი აქ სპიტ ქარ გეტყვიან ქალები, წინწანაქარი ოტკაი გექნება და მომეცი პატარაიო (სანახშირე); ოტკის გადაბრუნების შემდეგ ერთ ჭიქამდე რომ გამოვა, არი წინწანაქარი, იმა ვხმაროფთ სპიტაო (ჭვაციხე). რახს რომ ვაბრუნეფთ, სპირტამდეა წინწანაქარი, ცოტა მოწითალოცაა ისი (შროშა).

წინწარაქანა || წინწარაქარი იგივეა, რაც წინწანაქარი (იხ.). წინწარაქანა სულ პირველად რომ გამოდის ოტკა, ისაა (ტაბაკინი); წინწარაქარს უძახით ჩვენე, წარეა, ერთი ჭიქა გამოვა, მერე გადავაბრუნეფთ რახს და იგია სპიტი (პირველი სვირი).

წიპწიპით წვეთ-წვეთად. ოტკა ხან წიპწიპით გამოდის, ხან კამარად (მახათაური). (შდრ. განმარტ. ლექს. რაჭ. წიპწიპა მნიშვნ. 1).

წირე მწირი, უნაყოფო. წირე მიწას ვეტყვით, რომელსაც სილა პოდემს (ვახანი). (იხ. დიალექტ. რაჭ.; შდრ. ვაქა II წრიოკი).

წისაბიჯი-ი დასაბჯენი ჯოხი. წისაბიჯი უპირავს ხელში (მანდაეთი).

წისქვილი გულში გაიკრამს ნელლი საფქვავე წისქვილის ქვებს შორის გაილესება. როცა სიმიდი ნელლია, ხშირათ წისქვილის ქვებს შორის გაილესება, იტყვიან: წისქვილმა გული გაიკრამ (ვახანი). წისქვილი იყრის დაფქვის დროს მარცვლების ნაწილი ცვივა ძირს. გულა (იხ.) გადავარდნილია და მარცვლები ან მარცვლის ნაწილები ვარდება ძირა, ე. ი. წისქვილი იყრის (საბე).

წით-ი ფელამუშში ამოვლებული გოზინაყის (იხ.) ნაწვეთია (ზვარი). (იხ. განმარტ. ლექს. ქართლ. მნიშვნ. 1). იხ. ნაწრეტი.

წიფ-ი წიფლის ნაყოფი, — წიწიბო. წიფი წიფელას აბია, წიფი კაია, ზეთი აქ კაი (პერევი); წიფელა ისხამს წიფს (შომახეთი).

წიფა იგივეა, რაც წიფი (იხ.). წიფა არ წიფთება იქა (ქვები). წიფელა წიწიბო (მცენარეუკ წიფელაა და მისი ნაყოფიკ). წიფლის ხის ნაყოფს წიფელას უძახით (საბე).

წიფლიო საქმელი სოკოა წითელი ფერისა. წიფლიო მყიფე წითელია, თვალში საცემი (სანახშირე); წიფლიო წითელია, გემრიელი სოკოა (ჯალაურთა). (იხ. ბ. წერ. განმარტ. ლექს., ქავთ.). წიფობელა გძელნისკარტა კრელი ჩიტია (ვახანი). (იხ. განმარტ. ლექს. წიფობელა, მწიფობელა).

წიქერა წიქარა. იყო მამა და შვილი. იმათ ყამდათ ერთი წითელი წიქერა ხარი (ზედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

წიწა გირჩა. ხუხუროა (იხ.) ნაძვის ან ფიჭვის წიწა (ზვარე).

წიწანაქარი-ი იგივეა, რაც წიწანაქარი¹ (იხ.). წიწანაქარი გადმევიდა (ფუთი).

წიწაქა || წიწაკა პილპილი. ლობიოს წიწაქა უნდა (ხევი); ვახანში „წიწაკა“ უფრო იხმარება (ვახანი). (იხ. განმარტ. ლექს. დიალექტ. ქართლ.).

წიწკნა მოუღის წიწკნას დაუწყებს. მერე მომივიდოდა წიწკნაი ისე, რომ ორ თითში თვარ გაწიკემდენ, არ დამანებებდა თავს (ბოსლევი).

წიწმარტოფ-ს ავობს, ძალიან ფიცხობს, კაპასობს. ძალიან წიწმარტოფს მძახალი. მერე მუუბრუნდა დედამთილი და უთხრა: რას წიწმარტოფ? ბრალი ჩემი, რომ მე დემეკარქა შვილი, თვარა შენი შვილი ასე იძახის: ვაი შენ და სხვა მეო (ლიჩი). (იხ. განმარტ. ლექს. წიწმარტობს).

წიწმატი ფხალია, წიწმატის მსგავსი ფოთლები აქ, ოღონდ მიწაზეა გაპარტყნილი (სანახშირე). (იხ. განმარტ. ლექს. წიწმატი, წყლის წიწმატი).

წკაპ-ი იგივეა, რაც შარი (იხ.). ნამყენის დასარგავად ვენახს ყოფენ რიგებათ, რომელზედაც გააყოლებენ ნამყენს. თითოეულ რიქს წკაპი ეწოდება (ტაბაკინი); ჟენია, შენ წკაპს დაადექი, ამ წკაპს მიყევი შენე (შროშა); ვენახი ჩამწკრივებულია წკაპშა. მე გოდუზომეყე 6-ნ წკაპი (ფუთი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1; შდრ. მენტ., ქყ.).

წკვერტი-ი ნაქრის ჩანახევი, ზორტი. წკვერტი მოახვიე მურაბას ბანკას (სვერი); კაბაში გაუყარა წკვერტი (ბორითი). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2; შდრ. მენტ., ყაზბ.).

წკლიპ-ი იგივეა, რაც წკლიპარტი (იხ.). „რო ჩამევიდე,

წკლიპს დაგარტყამ თავზე“, — უთხრა ნაცარქექიამ დევს. ღირეს უწოდა წკლიპი, ვითამ ჩემთვის პატარააო (ზედუბანი). (შდრ. ბერ. წკლიპა, მენთ. წკლირტო).

წკლიპარტ-ი იგივეა, რაც კინწალი (იხ.). წკლიპარტი რო-
კის გამონაღები პატარა შტოა: (ხიდარი); მომიტანე პაწია, წკლი-
პარტი, წვრილი ერცახე წკეპლი (ზარანი). (შდრ. ალაგ. ოკრ..
განმარტ. ლექს. წკიპარტი მნიშვნ. 2).

წკლიპურტი-ი წკიპურტი. ვისითაც წკლიპურტი მამხვებება, ჩემ-
თან მივიკარფე? (ჯალაურთა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

წკნარ-ი წყნარი. წკნარი ქალი საწყალი ნატო იყო (პირველი სვი-
რი); წკნარი იყო ე გოგო და, როგორც ციციანთელას, ისე ქონ-
და სახეი (მოხვა).

წკნელი-ი ღვლერკი. დაგრეხილი წკნელი როა, ორი ან ერთი კაი სხვი-
ლი დაგრეხილი, ის არი წკნელი (ლოდორა); წკნელს მოყენ-
ედილს უძახით (ზარანი); წკნელია, მოყენედილი, დაგრეხილი
როცაა (ხიდარი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

წკრეზე მივიდა გამართლდა. მისი სიტყვები ბევრი მივიდა წკრე-
ზე. წკრეზე მივიდაო, — ვიტყვი, როცა რო გამართლდება
(ხევი). (შდრ. მენთ., განმარტ. ლექს. წკრე).

წკურტუნ-ი კრინტი. წკურტუნი აღარ უქნიათ კრინტი არ დაუძ-
რავთ. რო დვეითხოვე, წკურტუნი აღარ უქნიათ (მერჯე-
ვი). (იხ. განმარტ. ლექს. წკლუმბი).

წლეობით წლოვანებით. მოხუცთა ი ჩემი ქალი, წლეობით ჩემ-
ზე უნცროსია (გეზრული).

წლიბიკ-ი წვალება, ჯახირი. მატყლის დართვა მეზარება, მისი წლი-
ბიკი არ შემიძლია (შომახეთი).

წლისათვალავი ჩადის კურში იმდენი ფუთი ჩადის, რამდენი დღეცაა
წელიწადში. წლისათვალავი ჩადიოდა აბაშიძის კურში,
კიბით ჩადიოდენ (ზროშა).

წლოკვნა უშნოდ ქამა. ამ სხალს დოუწყო წლოკვნაი (გეზრული).

წო 1. იგივეა, რაც წუა (იხ.). წო ტულაპზე მოსასხმელი ტყეშლია
წვენია (განთიადი); კოთი (იხ.) სქელია, იგი გადადუღებული და შეკ-
პახული წოა, წო თხელია (დილიკაური); ტყემალს რო მოვხარ-
შამთ და წვენი გამოუვა, წოა (სანახშირე). იხ. დააწოვეფს.

2. კვაწარახი წოა ტყემლის წვენი, ძიელ ნალულები, „კვაწარახი“
(იხ.) აქ არ ვიცით (ღედვანი, ღორეშა). (იხ. ულ. წოიო, ჯაჯ. IX).

წოლიარე იგივეა, რაც წოლიერი (იხ.). ქმარი მყავდა წოლია-
რეი (ღარიხევი).

წოლიერ-ი მწოლიარე. ი დედამთილი წოლიერია (შუქრუთი);
წოლიერი არი ბერიკაცი და რას დეილაპარაკეფს (ბოხლევი).

წორწალა იგივეა, რაც წანწალა (იხ.). წორწალა არ არა
თამარა, წორწალაი? (ბერეთისა). (მდრ. ჯაჯ. IX წოწოლიკა.
განმარტ. ლექს. წოწოლა მნიშვნ. 2).

წორწოლოფ-ს წონასწორობას ვერ იცავს. წორწოლოფს ე ბი-
კი, საღა უნდა წახვიდე ემის პატრონი? (ხვაშითი).

წოუბ. ლიკეფ-ს წაარტყამს. სუყველამ წოუბილიკეს თავში
(ზედუბანი).

წოულავანდეფ-ს წაუთაქებს, წაუთავაზებს. ისე ბინძურ სიტყვეფს
ამბობდა, წოულავანდე თავში. ახლა წაგილავანდეფ
შენცე (ტაბაკინი). (მდრ. გრიშ., ალავ. ლეჩხ. XIII ლავანდი,
ლავანდობს).

წოუმახავ-ს წვერს წაუთლის, წაუწვეტს. წოუმახე თავი სარეფს
(ღარიხვეი). (იხ. განმარტ. ლექს. წაუმახ[ვ]ავს). იხ. წამახეც,
წამახეული.

წოურაფამ-ს იგივეა, რაც წოუმახავს (იხ.). სარს მოვთხროთ,
თავს წოურაფამთ (რგანი). იხ. წაროფვა.

წოურეკამ-ს გაწმენდს, გაასუფთავეებს. „სიმიდს წოურეკე“ ნიშ-
ნამს: რო სიმითს აქ თეთრი ბრელო (იხ.), ნაქურჩელის გადანაფეკ-
ვენი, ქინქლი, დაყრიან ქურქელში და გაწმენდენ (წიფა). იხ. წარე-
კვა.

წოუსანათეფ-ს სიტყვას გაღუკრავს. იმან უნდა წოუსანათოს
და გააგებოს, რაშია საქმე (ჭალაურთა). მდრ. სანათი.

წოუქიმურჯნეფ-ს მუშტს გაჰკრავს, — ქიმუნჯს სცემს. შენ გოგოს ვერ
წოუქიმურჯნე? (სვერი). (იხ. განმარტ. ლექს. ქიმუნჯი, ქიმუნჯს
სცემს, ჰკრავს).

წოუქიმჩაჩეფ-ს შეანძრ-შემოანძრევს, მისცხებს. წოუქიმჩაჩა
ვალიკომ (ზედუბანი).

წოუცირიბეფ-ს ირიბულად, დახრილად დადებს. უნდა წოუცირი-
ბო ნიჩაბი, ე. ი. აღმაცერად, გვერდზე დადო, რო ტკბილი არ გად-
მევიდეს (ტაბაკინი).

წოუწუწკნის-ს უნაწილებს. „შვიდი კვირე მარხვა არი, ან მივაწეფ, ან
არაო, წამიწუწკნე პატარაო“ (საბე).

წპოლ-ი || წრბოლ-ი ჩირქი, ჩირქნარევი სითხე. დამწვარში ჩოუდ-
გა წპოლი (ხიდარი); ტანის ქავილი მაქ ღამე, წპოლი არ გამო-
ლის (ღარიხვეი); წრბოლი დიოდა ფეხიდან (ლეღვანი). (იხ. ჰყ.
განმარტ. ლექს. წპოლი, ალავ. ლეჩხ. წარალი, მენტ. წალა).

წრემუნდეღ-ი წლევეანდეღი. წრემუნდეღი მოსავალი დროზე
ვერ ევიდეთ, ბუნებამ დაქვჩაგრა ჩვენე (ზედუბანი).

წრეულ || წრეულს წლეულს. წრეულ რავა მეგონა, ასე ცარიელი
თუ დაჯებოდი (უჩამეთი); წრეულს ველარ წავალ სასწავლებ-

ლათ (ტაბაკინი). (იხ. ბ. წერ. წრეულს, წროულს, დიალექტ. რაჯ. წნეულს, იმერ. წროულს, ქართლ. წრეულ, ალავ. ლეჩხ. წინოული, წინოულს, კლდ. წროულს).

წრეუნდლობით წლეულს. წრეუნდლობით ვერ ვიძუშავე (დილიკაური). (იხ. განმარტ. ლექს. წლეულობით, ოკრ. წრეუნდლობით). წრიანტელა პატარა, წვრილი. წრიანტელა ქალი იყო და რამხელა გამხთარა (ტაბაკინი). (შდრ. ალავ. ლეჩხ. წიწკნატი. განმარტ. ლექს. წრიპა მნიშვნ. 1).

წუა 1. მოხარშული ტყემლის წვენი. მოვხარშავთ ტყემალს, ვასხავთ კალათში, გაღის წვენი, ეს არი წუა. რო გავხებოთ ცხრილზე და მოვხარშოთ და ბევრი ვადულოთ, იქნება კვაწარახი (იხ.) (ბაჭითი); ვინდა გაქამო წუაი? (შომახეთი). (იხ. კირ. კრიანტელა, განმარტ. ლექს. წუა¹, ქყ. კრიანტელი; შდრ. საბა წოწოქა, დ. ნ. ჩუბ., ქყ. წუა, მენტ. წოწოქა). 2. იგივეა, რაც კოთი (იხ.). წუას უძახით, შეთქვირებული ტყემლის წვენი რო მოიხარშება, ცხრილში გეიხებება, შეიკაზმება (ლიჩი, პერევი, ჯალაურთა). (შდრ. ნ. ჩუბ. წოწოქი). || მოხარშული მკვასე ტყემლის შეკაზმული სქელო ჩვენი. კუხე ლურჯ ტყემალს რო გავაკეთებთ, ისაა წუაი (მოხვა). წუა-წუა ინდაურების მოსახმობი. წუა-წუას ინდოულეფს უძახიან, წია-წიას — ქათმეფს (შომახეთი).

წუ-ი || წუვი-ი წვივი. წუი არი კოქახრეფს ზევით მუხლამდე (მოხვა); ცოტა ხორცი წუვიზე მეიქერი (ზედუბანი). (იხ. ქლ. წივი). წუმწუბა გადამდნარ გოგირდში ამოვლებული დაგრეხილი ბამბის ძაფი. წუმწუბა მივეცი, არ ქონია (ხრეთი). (შდრ. საბა წუმწუბა, ბ. წერ. წუმწუბა, წუმწუბი, წურწუმა. კუმკუმა, განმარტ. ლექს. წუნწუბა, ი. იმნ. ქრესტ. წუნწუბი).

წუნ-ი მდარე, ზადიანი. წუნი პარკი ცალკე არი (ლორეშა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

წუნს კრავს იწუნებს. შენ თუ წუნი არ კარი. არ შეიძლება (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. წუნს დასდებს [იხ. წუჩი]).

წუნწუბა იგივეა, რაც წუმწუბა (იხ.). წუნწუბა შამოავლე ძროხას, ძუძუებზე წყლისა აქ (ტაბაკინი). (შდრ. საბა. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. წუნწუბა).

წუნწუხ-ი საქონლის შარდი და ნაკელი, ერთმანეთში არეული. ბოსელში წუნწუხი იდგა (ქორეთი); საქონელი წუნწუხში ჩაწოლილან (ხიდარი); წუნწუხია ნეხვი და შარდი არეული (ზვარე). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ბერ.). || შარდში გადღვებილი ნაკელი ნათესების გასანოყიერებლად. წუნწუხია შარდში გადღვებილი ნაკელი. გადღვებენ შარდში ნაკელს და მოასხამენ ყანეფს (შომახეთი). || წყალში გახსნილი საქონ-

ლის ნაკელი მიწის სასუქად. ამოთხრიან ორმოს, ჩაასხამენ წყალს და ნაკელს ოურევენ და იმა ქვია წუნწუხი (ხევი, ლედვანი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2). || რამდენიმე დღით ასადულებლად დაყენებული შარდნარევი ნაკელი სასუქად გამოყენების მიზნით. წუნწუხია 3-4 დღე დაყენებული ნაკელი, რომელიც ადუღდება. წუნწუხი ქათმისაც კეთდება და საქონლისაც, იქნება დამწნილი და უზამთ ბაღეულობას (ჩიხა). იხ. აწუნწუხებულა.

წულური ქალბანი წულის ფორმის ქალამანი. წულური ქალბანი რო შემოიკერეს, ორი საათი უსვი მორე ფეხი (პირველი სვირი). წუწულ-ი ინდაურის ქუკი. ძარში ჩასვა თოთო წუწული (ზედუბანი). (იხ. ალაგ. XXIV წიპია).

წუწუნახობა სიძუნწე, ძუნწობა. სტუმარი არ მევიხსენიო და გამევიჩინო წუწუნახობა? (ზარანი). (იხ. განმარტ. ლექს. წუწურაქი, წუწურაქობა; შდრ. კირ. წუწურაქი, ალაგ. ლეჩხ. წუწუნაქი, შარაშ. წუწურაქი, მენტ. წოწორაქი, წუწურაქი, მაის. კუწუნწარახი).

წუხრ-ან წუხან. რაზე წუხრან ესენი? (შომახეთი). იხ. იწუხრეფს.

წყალმაქარა იგივეა, რაც ნარწყული (იხ.) (სინონ. ნაქაჩი, სახარჯო). ჰაქაზე წყლის დასხმით მიღებულ ღვინოს წყალმაქარაც ქვია და ნარწყულიც (წყალშავი); წყალმაქარა და სახარჯო ერთი და იგივეა (ხვერი). || საწნახელში ჩაყრილ ჰაქაზე წყლის დასხმით მიღებული ღვინო დუღილის შემდეგ. საწნახელში მყოფ ჰაქას ასხამენ წყალს, დუღილის დროს მას ეძახიან ნაქაჩს, როცა დუღილს დაამთავრებს და დეიწმინდება, გადმოსახამენ საწნახლიდან და ჩაასხამენ ქურში, უძახიან წყალმაქარას, ანუ სახარჯოს (ტაბაქინი). (იხ. განმარტ. ლექს., კლდ.).

წყალი უშიეფს უხამებს. მე კაი წყალ მოგიტანე, ამას ნუ დაღემთ, აქაური წყალი გიშიეფს (დილიკაური). (იხ. განმარტ. ლექს. უხამებს მნიშვნ. 2).

წყერიფეხა ბოტ. მწყერიფეხა. წყერიფეხა სარეველა ბალახია. სამი ტოტი აქ, სამ თაველს ამეიყრის თითებივით (შომახეთი, პერევი, უჩამეთი, ზედუბანი). (იხ. მაყაშ.).

წყეო საწყაო; წილი. დოუყევი ქედლეფს და 100 წყეოს ეიღეფი (ზარანი); ორ წყეოს ევიღებდი, რო წაბლი ყოფილიყო (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს. წყე, წყეო, მენტ. წყე; შდრ. ბ. წერ.).

წყეულ-ი გველი (სინონ. უნასი, უხამსი). წამევიდა ბერიკაცი სიზმრის ასახსნელათ, გზაში დახვთა წყეული, უნასაც (იხ.) ვეტყვით (შომახეთი); წყეული რო წივა, უშველა ამ კაცმა (ფარცხნ-ლი). (შდრ. დიალექტ. კახ.-ქიზ.).

წყვი-ს ქვივის. დღე|და|ღამე: წყვივის და ჯღავის (უჩამეთი).
წყლიპურ-ი უსაფუეროდ დამცხვარი პური. სამი წყლიპური
გამოვაცხვე (მოხვა).

წყლისა სარძევე ჯირკვლის ანთება, — მაწავართი. წყლისა ძროხის
ავადმყოფობაა, ძუძუების (ჯიქნის) დაჩირქება იცის (შომახეთი);
წყლისა ძროხის ჯიქნის ავანტყოფობაა, შეიძლება დაჩირქეთს
(ჯალაურთა). (იხ. განმარტ. ლექს.).

წყლის დოქი იგივეა, რაც თუნგულა (იხ.). წყლის დოქით
მოარბენიე წყალი (მანდაეთი).

წყობილ-ი. წყობილი აღარ უნდა გადატ. მომატება აღარ სჭირდება.
რო გავთხოვდი, მომიყვანეს ბიძაშვილის სახში. ჩემი ქმარი აზდილია
ბიძაეთთან. რო მიმიყვანეს, მახლის ცოლმა მითხრა: შენისთანა
ბოვშები მეც მყამსო, ჩემ ბოვშეფს წყობილი აღარ უნდაო
(განთიადი).

წყურალ-ი|| წყურვალ-ი ფხიზელი; ვინც მთვრალი არ არის. ის კაცი
თვრალია თუ წყურალი? (დილიყაური); წყურალი მე გლჷ-
ხა რამე ვარ, თვრალი ჩხუფს არ ვიზამ (ტაბაკინი); უტხო ხალხი მო-
დიოდენ, წყურალი ხვარ იყო, თვრალეები იყვენ (შროშა); ახლა
წყურვალი ვარ, ღვინო მამიტანეთ (ხვევი); წყურვალი ვიყუვი
ჯერე, მერე დევიწყე სმა (ხიღარი). (შდრ. განმარტ. ლექს. მწყურ-
ვალი).

წყურულ-ი წყურვილი. წყურული მოუვიდა მოსწყურდა. გული გო-
უხურდა და წყურული მოუვიდა (პირველი სვირი). (იხ.
ალაგ. ლეჩხ. XIII).

ჭ

ჭადილო იგივეა, რაც ჭადო (იხ.). ჭადილო მეეკრიფა, გეემ-
სო კალათი (ქვაციხე, კაცხი, რგანი).

ჭადიო იგივეა, რაც ჭადო (იხ.). ჭადიო ყავისფერი სოკოა,
ხმელა ვკამთ (უჩამეთი).

ჭადის ყურებო მჭადის კიდებებზე ხელის თითების ანაბეჭდი, რომელ-
საც ორომზე ცომის გუნდის გაბრტყელებისას საგანგებოდ უკეთებენ
სილამაზისათვის. ორომზე (იხ.) მოტრიალებისას ხელის თითებიო
ჭადის ნაპირეფს უკეთეფთ გრეხილს, რომელსაც ჭადის ყურეფს
უძახით (ღიჩი).

ჭადო მუქი აგურისფერი სოკოა, გატეხისას რძე გამოდის, იჭმევა
უმადაც, — მჭადა-სოკო. ჭადო ტკბილი სოკოა, იჭმება უმადაცა, წი-
თელია (ღორეშა); ჭადო მოწითალო სოკოა, უფრო აგურისფერია
(ჩიხა). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ. მჭადა, ჭყ. მჭადო, მაყაშ, ჯაჯ.

IX, განმარტ. ლექს. მკადა-სოკო, გურ. ჰადა-ჰადა, ალა ვ. ოკრ. ჰადლა, ჰეჰეჰეტა, ნიჟ. ჰადობაჲ, ს. მ. ტერმ. მკადა-სოკო).
ჰადონა იგივეა, რაც ჰადო (იხ.). ჰადონა მუქი აგურისფერი სოკოა; რო გატეხავ, რძე გამოდის, შეუწვავიც იჰმება (სანახშირე).
ჰალა ურმის ხელნებში თანაბარი დაშორებით ვერტიკალურად ჩამარებული ერთი სიმსხოსი და სიმაღლის (60-70 სმ) ხის ღერები, რომლებიც იცავენ ურემზე დაწყობილ ტვირთს გადაცვენისაგან, — ჰალი.
ზესადგარი (იხ.) მაღლიდან ამოჭრილია ოთხ-ოთხგან და შიდ მაჯის სიმსხოს 60 სმ სიმაღლის ჯოხებია ჩასობილი, რომელსაც ჰალა ქვია (ვახანი); ურემს აქ რვა ჰალა, 4 ერთ მხარეს, 4 — მეორე მხარეს (ხევი); ზესადგრეფში ჰალაები ასეა, რო ტვირთი არ გადაცინდეს, ჰალაები ექვსი აქ ურემს (გეზრული, სვერი). (იხ. ჯაჯ. IX, განმარტ. ლექს. ჰალი, ალა ვ. ლეჩხ. ეთნ. 99, სარმანა, ჰუმბ. 285, მანეები, ჰალეები, მანჭოები, სარმანები, ბაბუნ. 274; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს., დიალექტ. ყიზლ.-მოზ., კახ.-ქაზ., ჯავახ., რაჭ.).

ჰალი იგივეა, რაც ჰალა (იხ.). ჰალიებზე გაბმულია ბაწარი ან წყნელი, ტვირთმა რო არ გადიწიოს იქით და ურემი არ გაიშალოს (წყალშავი, მანდაეთი, ზოვრეთი); ჰალია ურემს აქ 6-8 (ზედა საქარა).

ჰანი-ი «ცულად დაკოდილი (ცხოველი)» (განმარტ. ლექს.). მოზვერს, რომელიც წესიერად ვერ დეიკოდა, ჰანი მოზვერს ეძახიან (ვახანი). (იხ. მენთ., განმარტ. ლექს. ჰანი?; შდრ. დ. ნ. ჩუბ., ბერ.).

ჰანგი-ი «სიმყავე, ჰმახი» (განმარტ. ლექს. ჰანგი?). ღვინოს ჰანგი მიცემია (ქორეთი). (იხ. საბა ჰანგი, დ. ჩუბ. ჰანკი, ნ. ჩუბ. ჰანგი, ჰანკი, განმარტ. ლექს. ჰანგი?; შდრ. ვისრ., შჰნმ, ბესიკი). იხ. მოიჰანგება, მოიჰვანგება, მოჰანგებული.

ჰანგა მინდერებში გავრცელებული აბეზარი სარეველა ბალახი. ჰანგა რო მოთხარო, გაიხარეფს მაინცა (წიფა); ჰანგა სარეველა ბალახია; გლერტას გავს (არგვეთი, პერევი). (იხ. საბა, დ. ჩუბ. ჰანგა-ბალახი, მაყაშ., განმარტ. ლექს. ჰანგა). || გლერტა. ჰანგასაც უძახით და გლერტა ბალახსაც (უჩამეთი); ჰანგას სხვილი ღერო აქ და არი გაპარტყნილი ყანაში (შომახეთი).

ჰანგთან-ი მომყავებული, მკახე. ღვინო ჰანგითაა (ქორეთი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ჰანგილაური-ი შავი ყურძენია, მარცვალი აქ რგვალი (მახათაური, პერევი, ზედუბანი). (იხ. ბ. წერ. ჰანგილოური, განმარტ. ლექს. ჰანგილოური, ჰანკილოური).

ჰანჭურა ჰანჭური. ახლა ჰანჭურას გემო კარ აქ (ხიდარი).

ჰაპანი-ი მსხვილი თოკი. დიდი ჰაპანი იშოვეს და დაამბეს ეს

ძროხა ბოსელში (მოხვა). (იხ. საბა, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1-შდრ. დ. ნ. ჩუბ., მენთ., დიალექტ. თუშ.).

კაროფ-ი ბალახით დაფარული ქაობიანი ადგილი. კაროფია ბალახიანი ქაობი (ქორეთი); კაროფი ადგილები კაი არაა (ზედუბანი); ერთ ღროსაო მამიშივდა ბატსაო და კაროფ მიწაში ოუწვიო, მამივარდა გელიო და გამოგლიჯა გვერდიო (ბერეთისა). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ. კანკრობი, განმარტ. ლექს. კარო?; შდრ. ყიფშ. ჭოროფა, ბერ., ძიძიგ. ძიებ. კარი, ალაფ. ლეჩხ. კარო).

კაშნიერ-ი || ქოშნიერ-ი სწორი, მართალი, სარწმუნო. ეგ სიტყვა კაშნიერი სიტყვა თქვი (ღარხევი); ქოშნიერი ქალია (ხიდარი). კაჭა თირკმელი. ერთი კაჭა არა აქ (ჭარანი); კაჭების ტყვილი აქ (ფარცხნალი). (იხ. ყიფშ., დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. გურ. იმერ. კაჭა?).

კახრაკ-ი ხრახნიანი მოსაჭერი მოწყობილობა თავდაღმართში ურმის მოძრაობის შესანელებლად ან გასაჩერებლად (უფრო გავრცელებულია რუს. ტორმუზი). ზესადგრის გასაყარს აქ კახრაკი, თავდაღმართში ურეში რო არ გეიქცეს, მერე გოუშეებენ კახრაკს და მიდის ურეში თავისუფლად (გორისა); კახრაკს აქ ტარი, ურმის გასაჩერებელი (ხრეთი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ.).

ქველ-ი 1. მკის დროს სვეში ფენა-ფენა დაწყობილი მომკილი პურის ან მოჭრილი ჩალის ხელეური. ის, რასაც მკის დროს ერთ ხელში დეიქერ, ხელაურია, ძირს როცა დააწყოფ ხელაურეფს, ქველია. ინაში 10-12 ქველი შევა (ხევი); პურს ვკივით ნამგლით, ჩალას მოვჩხბდით, რასაც დევიტევდით ხელში პურს ან ჩალას, იმას მიწაზე დავდებდით, ეს არი ქველი. მერე იმ ქველეფს შევაგროვებდით და შევკონემდით. კონაში ქველი 20 მაინც იქნებოდა. ქველი პატარაა (ბერეთისა); პურს რო მოვკვიდით. ქველებათ დავალაგებდით, მერე მოვიტანდით წინელს. ქველეფს მოუყრიდით თავს და შევკონიდით, იმა ქვია ძნა (ჭვარე); მოვჩხხამთ სიმითს, დავაწყოფთ ქველებათ (ბორითი); რო ყრია პური შოუჯანავე, რო მოვჩხხამთ ნამგლითა, ქველია (წიფა). (იხ. ჰყ. ქველი; შდრ. რუსთ. მქელი, საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. ქველი, ი. იმნ. ქრესტ. მქელეული, ს. მ. ტერმ. მქელეული, ნიჟ. ქელი). 2. ერთ მწკრივში (ღვარეულში) ჩაცელებილი პური. პურს რო ჩაცელამ. რასაც ერთი ცელი მოცელამს ყანის დასაწყისიდან ბოლომდე, სანამ შეკონიდე, ქველია (ჩხირაული); მოცელილი პური რო დაცვივა მიწაზე, ის არი ქველი (შომახეთი); ღვარეულში რაც მოიჭრება, ის პური რო დეეწყობა მიწაზე, იმას ქვია ქველი (არგვეთი);

ქველევს რო მივდევთ და ვკონით, ის ძნა არი უკვე (ჭალაურთა).
(შდრ. განმარტ. ლექს., მაის. მჭელი, დიალექტ. რაჭ. ლესურა).
იხ. აქველამს, ქველავს, ქველის.

ქველავს-ს || ქველი-ს ქველებს აგროვებს. მოცელილ პურს.—ქვე-
ლევს ქველევენ ქალები. ხო ქველიან, ე. ი. აგროვებენ.
პერე კონიან კაცები (შომახეთი). იხ. აქველამს.

ქველათ შეუკონავად. მოჩეხილი სიმიდი ქველათ წვილეს ყანიდან
(ბერეთისა).

ქენგერო წენგო. ნიგვზის გარეთა მწვანე გარსი ქენგეროა, ხრე-
ითში და ჩიხაში „ნაქს“ ეტყვიან (ჭვაციხე).

ქენჭეხი თხელი ტალახი. (იხ. განმარტ. ლექს.). იხ. აქენჭეხეღუ-
ლი.

ქენჭყ-ი იგივეა, რაც ლენჭყი (იხ.). აქ ქენჭყი მიწებიც არი
(უჩამეთი). (იხ. განმარტ. ლექს., ჯაჯ. IX).

ქენჭყიან-ი იგივეა, რაც ლენჭყიანი (იხ.). ქენჭყიანი ად-
გილია ძალიან, არაფელი ხაროფს (დორეშა). (იხ. ბ. წერ. ქენჭყერო.
განმარტ. ლექს. ქენჭყერი, ქენჭყობიანი).

ქენჭყო ქაობიანი ადგილი, — ქენჭყობი. ქენჭყი რო დგება, იმას
ქენჭყო ქეია (უჩამეთი). (იხ. ბერ. ქენჭყო, განმარტ. ლექს.
ქენჭყო, ჭყანტი. ჭყანტობი, დიალექტ. აჭარ. ჭონჭყო).

ქეობ-ი ქაობი. ქეებულეთში იცის იხვი ბევრი, ქეობებში არი
(ვახანი). (იხ. საბა, დ. ჩუბ., ჭყ., მაკალ. თუშ. 61, მენტ..
განმარტ. ლექს. ჭყანტი, ნიჟ. ჭოლო, დიალექტ. ქართლ. ჭაობი).
ქეობა ზოლი. ბორჯომელას (იხ.) რგვალი კაკალი აქ და ქეობები
(ზედა საქარა).

ჭერი-ი ბოსლის იატაკი ერთმანეთზე მიწყობილი მრგვალი ხეებისა ან
იშვითად ფიცრებისა (ასე იხმარება მთელს ზემო იმერეთში) (სინონ.
ოკრ. ბაგა). ჭერია ბოსლის იატაკი, რომელიც დაკუთხული; გო-
უთლელი ხეებისგან არი გაკეთებული (ზარანი); ჭერი კეთება ან
რგვალი ხეებისგან, ან ფიცრებისგან, რომელსაც დაფენება აქ, რო
შარდი წამოვიდეს ქვევით (ჭვაციხე); ჭერია ბოსლის იატაკი, რო-
მელიც დაგებულაა გძელული ხით (ხვერი); ჭერია ბოსლის ძელუ-
რი პოლი, რომელზედაც საქონელი სვენოფს (ზვარე). (იხ. განმარტ.
ლექს. მნიშვნ. 6, ქავთ., დიალექტ. რაჭ., ხევს.; შდრ. იქვე მთიულ..
შარაშ.).

ჭერემა ვაშლი საზამთრო ვაშლი. ჭერემა ვაშლი საზამთრო
ვაშლია, მოწითალო ფხაქები აქ (ლიჩი). (შდრ. განმარტ. ლექს. ფშ.
ჭერემა).

ჭერის კანაო იგივეა, რაც საზღვე (იხ.). ჭერის კანაოა,
წყალი რო გადის ჭერსა (იხ.) და ჭერს შორის (ჭარტალი).

პეფხო კუთხე, ყურე. ნამშრალის (იხ.) ქეფხოში ხერხი მივაყუ-
დე (წიფა); კალათია ქეფხოში მიღებული (იქვე); სახლის ყურეს.
კუთხეს ქეფხო ეთქმის, ქვეით, მაგალითათ ლელვანში, კუთხეს,
ყურეს ხმარობენ (ქვები); ქეფხოს ვეტყვით კედლის ყურეს (ვახა-
ნი); იმ ქეფხოში შაფი დავდგათ (წაქვა).

პეჰკეტი-ი|პეჰკეტი ბოტ. უცვეთელა. პეჰკეტი ჩირგოვანი მცე-
ნარეა, სურნელოვანი ყვავილები იცის, ეგერ ფხეის (იხ.) ბოლოსაა
პეჰკეტი (ვერტყვიჰალა); ეგერ რო მოჩანს, ისაა პეჰკეტი
(შროშა).

პვალი ასვია ინტერესი აქვს. მარუსას პვალი შურავის ასვია
იქა (ფუთი).

პვანგი-1. ვაზის მუხლთან, მტევნის ადგილას, უნაყოფო წამონა-
ზარდი, რომელიც ძაფივით ეხვევა სარს, — ვაზის ულვაში. ხარდანზე
დახოულია პვანგი (სანახშირე); შპალიანი ვენახი რო გვაქ.
პვანგი სინებზე შამეეხოვა (განთიადი). (იხ. საბა მასკნე, დ. ნ
ჩუბ. მასკნე, ბ. წერ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2, დიალექტ.
კახ.-ქიზ. მკეანა). 2. სიმეავე, კმახი, — პვანგი. ღვინოს პვანგი აქ
(შროშა). (იხ. განმარტ. ლექს. პანგი?). იხ. მოიქვანგება, მოქ-
ვანგული.

პვანგი-2 ბრქუალი. პვანგებით დეებოტნა სახე (ზარანი). (იხ.
ვისრ. პანგი, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

პვანგიანი-ი იგივეა, რაც პანგიანი (იხ.). პვანგიანია ღვინო
(ხვერი).

პვარპვალ-ი წყლის შხაპუნი. (იხ. ყიფშ.). შდრ. მოუქვარქვ-
ლეფს.

პვირთ-ი ტვირთი. პვირთი არსა არ მიმქონდა (ფარცხნალი, ხილა-
რი). (იხ. ბერ., ნინოშ., ელ., ჯაჯ. IX პვირთვა, განმარტ. ლექს.
პვირთი, დიალექტ. იმერ., აქარ. პვირთი). იხ. ტირთვი.

პია წურბელა. დამაყარეს ქიაი. წურბელა ქია არი. აბა რა
არის (წიფა).

პიანა ავადმყოფი, სუსტი, უღონო. პიანა ბოვში იყო დაწყვიდანვე
(უჩამეთი). (იხ. განმარტ. ლექს. პიანი მნიშვნ. 2, პიანა).

პიატა||პიატა ლამპა||პიატა ლამფა კრაქი. პიატა ლამპა ანთე
(ზვარე, ლელვანი); არ დეიმტვრევა სიბნელეში, ის აქ, პიატაი
(ხიდარი). (იხ. განმარტ. ლექს. პიატა მნიშვნ. 2, ჯაჯ. გურ. ხელისა-
ნთე, მენთ. ქელის ლამფა).

პიკარტული-ი „წვრილი პატარა ლურსმანი“ (იხ. განმარტ. ლექს.). ჩა-
სვე პიკარტული (საბე).

პიკო იგივეა, რაც პიღვა (იხ.). ვენახს პიკოები დაუსოთ
(ზედუბანი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ჰილიანი შიწა ქაობიანი ადგილია, სადაც კილი იზრდება (შომახეთი);
ჰინახული-ი ჰირნახული. ხორბლეულობა და სიმიდი, რაც საფქვევია,
ჰინახული ისაა (ღელვანი); ბელელში ჰინახულს ვინახავთ,
თავმა რო არ შექამოს (სანახშირე), მოვლა უნდა ჰინახულსა.
შენ რო საქონელი ოუშვა, ჰირნახულმა რა ქნას (წაქვა). (იხ.
ღ. ჩუბ., განმარტ. ლექს.).

ჰინრიაჲ ჰირვეული (სინონ. ჰინჰყლი). ოლისიმე ღვინოში ჰინრია-
ჲ კაცია (ტაბაკინი).

ჰინჰილა დოქის მოყვანილობის ხელიანი (ან უხელო) თიხის ან ხის,
პირზე მისაყუდებელი საღვინე ჰურჰელი 50-100 გრამამდე ტევადო-
ბისა. ჰინჰილა ღვინის დასალევი პატარა თიხის დოქია, რომელ-
საც პირზე იყუდებენ (ზარანი); ეგებო ჰინჰილას სეზონი არ
იყო, ალბათ არ იყო ზაფხული (საბე); ჰინჰილა 50-100 გრამამდე
ტევადობისაა (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. 1 დ., ლექ. 74, 3 ყ.
ჰიქილა; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ. ჰიქლა).

ჰინჰყილა წვრილი თევზი, — ჰიქყინა. ჰინჰყილა თებზი იყო და
ეს ვეყიდე (სვერი). (იხ. მენთ., განმარტ. ლექს. ჰიქყინა მნიშვნ.
1, შარაშ. ჰარფალი).

ჰინჰყელ-ი აყალმაყალის მოყვარული, ჰირვეული. ღვინოში აყალმაყა-
ლის მოყვარულზე იტყვიან ჰინჰყელიათ (ხიდარი). (იხ. ალავე.
ღეჩხ., განმარტ. ლექს. ჰინჰყელი მნიშვნ. 2, ჰინჰყელიანი; შდრ. დ.
ჩუბ.).

ჰინჰყელიანი-ი წვიმიანი. ჰინჰყელიანი ანიდი იყო და იმთონი არ
მოვიდა, რასაც ველოდით (შოხვა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).
ჰიპ-ი || ყველის ჰიპი ახლად ამოყვანილი ყველის პატარა ნაწყვეტი.
ყველის ამოყვანის დროს პატარას რო მოწყვეტენ შესაქმელად, ეძა-
ხიან ყველის ჰიპს (სვერი). (იხ. განმარტ. ლექს. ჰიპი მნიშვნ.
2, ალავე. ღეჩხ. XIII).

ჰიპალობიო ლობიოს ერთ-ერთი ჯიში, თეთრმარცვლიანია, წითელი
ჰიპი აქვს. ჰიპალობიოს ბტყელი მოგძო მარცვალი აქ, თეთრია.
ჰიპი წითელი აქ, პარკათ არი კარქი, ბევრის მოსხმა იცის (პერევი)
ჰიპწითელა ლობიო იგივეა, რაც ჰიპალობიო (იხ). ჰიპწითე-
ლა ლობიო თეთრია, წითელი ჰიპი აქვს (დილიკაური).

ჰიტ-ი || ჰუტ-ი გამოსაცხობად დაკრული მჰადის თუ პურის შუა-
ვულში ჰაერის ამოსავლელად გაკეთებული თითის ნაჩხვლელი, — სა-
სულე (სინონ. ჰუტი, ჰუტა). ჰადს ჰიტი გოუჰეთე, დაკჰუტე; აღარ
იბერება (ფარცხნალი); ჰუტია თითის ნაჩხვლელი ჰადის შუაგულ-
ზე (მანდაეთი, ლიჩი). (შდრ. საბა, ნ. ჩუბ., მენთ. ჰიტი, გან-
მარტ. ლექს. ჰიტი, ჰუტი). იხ. დაჰიტამს, დაჰუტამს.
ჰიდვა წვრილი ჰიგო, რომელიც ესობა ახლად ჩაყრილ ვაზს, — ახალ-

შენს (სინონ. ჩხირი). ქიღვა უნდა პაწია ვენახს; პიტონიკი რო არი ქიღვა უნდა (ლოდორა); ქიღვა, პიტონიკივით რო იქნება, იმას უნდა, ვენახს უნდა სარი (მანდაეთი); ქიღვა ახალგაზდა ვენახს ესობა, კეთთება ახალგაზდა მცენარიდან, ვარგოფს ერთი წელს (სანახშირე); საცა ქიღვაა დასობილი, იქ უნდა დეირგოს ვენახს (განთაიდი); წვრილი ვენახი რო იქნება, ახალშენი, წვრილ ხარდანს — ქიღვას დოუსოფთ. ქიღვა ქვია პატარა სარს (ზვარე); ქიღვა უნდა წვრილ ვენახს (ვერტყვიჭაღა); ქიღვაზე აკრული წვრილი ვენახი, თავარი — სარზე (ხიდარი). (იხ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 316, ხარდანი, ქიგო, ჩხირი, ჯოხ. 58. ქიგო, ჯაჯ. IX, დიალექტ. იმერ.; შდრ. ი. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. II, 325, ბ. წერ. ქიღვა. ქიღვა, ბერ. ქიღვა|ე-მ. განმარტ. ლექს. შდრ. ალავ. ლეჩხ. XIII ქიღვი).

ქიჭილაჟი-ი || ქიჭილაჟი-ი ურმის მორგვს გარეთ გამოსული ღერძის გახვრტილ ბოლოში გაყრილი რკინის ღერი ან ხის ჩხირი, რომ ურმის თვალი არ გამოძვრეს ღერძიდან, — ქილიზი, — ქინჭილაჟი. ქიჭილაჟი რკინის ღერია, რომელიც გაყრილია ღერძის თავში, მას გადაღვერევენ (იხ.) ისე, რო ღერძიდან არ გამოძვრეს. თვალი (გორისა); ურმის გოგორა რო არ გამოძვრეს ღერძას, ღერძის თავში გაყრილია ხის რკივი — ქიჭილაჟი (დილიკაური). (იხ. საბა, დ. ჩუბ. ქინჭილაჟი, ნ. ჩუბ. ქინჭილაჟი, მ. ჯან. ჰანჯიკ, ყიფშ. ქიჭლაჟი, ბ. წერ., კუმბ. 284, ბაბუნ. 274, ქინჭილაჟი, განმარტ. ლექს. ქინჭილაჟი, აკარ.-რაქ. კილ-მილი, კიმბურო, ალავ. ლეჩხ. XIII ქინჭრიკი). იხ. აქიჭილაჟეფს.

ქიჭინა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის გადამდები დაავადება, იწვევს კიდურების ან თქმოს ანთებითს შეშუპებას და მეტწილად სიკვდილით მთავრდება. ქიჭინა საქონლის ავამტყოფობაა, ბექს გოუსივეფს და მოკლამს (ლეღვანი); ქიჭინა უკანა თქმოს გოუსივეფს საქონელს თავის ფეხიანა და კლავს (ღარიხევი); ქიჭინა საქონლის ავამტყოფობაა, როცა გვალული წელიწადია, მაშინ ხშირათ იცის (პერევი). (იხ. ჰყ., ალავ. ლეჩხ. ეთნ. ქიჭყინა. განმარტ. ლექს. ქიჭინა | მნიშვნ. 2, დიალექტ. იმერ.; შდრ. კირ.).

ქიჭინობელა კრიჭინა. ქიჭინობელას ხმა არ გვაძინეფს (ხრეთი, ზედღუბანი). (იხ. ჰყ., განმარტ. ლექს.).

ქიჭიპალა იგივეა, რაც ქიჭიტალა (იხ.). ქიჭიპალა აქ ბევრი ამ სახს (დილიკაური). (იხ. ბერ., განმარტ. ლექს.).

ქიჭიტალა ქუქრუტანა. გავაყეთე ქიჭიტალაი და იმაში მივხერებვივართ (მერჯევი). (იხ. დ. ჩუბ. ქიჭიტანა. ქიჭრუტანა, ჟუჯრუტანა, ჯჭრუტინა, მარი T. P. VII, 83, ბერ. ქურტუმალი, ხურტუმალი, ხერტიმალი, ედ. კიტინა, ქავთ. ქიჭიტალა, ალავ.

ოკრ. კვიპეიტალა, ლეჩხ. XIII კურკუტანა, კუქუმალა, განმარტ. ლექს. კიპიტანა, კიპრიტანა, დიალექტ. იმერ. კიპიტალა, გურ. პირინაი; შღრ. საბა ჯვრიტინა, ჯურიტინა, ნ. ჩუბ. ჯვრიტინა).

კნარა ღონდღლაბის ერთ-ერთი სახეობა, თეთრი. ჩვეულებრივ ღონდღლაბთან შედარებით უფრო წვრილი მარცვალი აქვს (განთიადი). იხ. დონდღლაბი.

კლიპურტა პატარა, დაუსრულებელი, დაუვარგებელი. ხამსილაა, მარცვალი რო არ არი დასრულებული და სულ ქყლინტია, კლიპურტა (ზედა საქარა). (შღრ. ალაგ. ლეჩხ. კიკადულა, განმარტ. ლექს. რაჭ. ქყლიპარტა).

კმაჰნა მანჰეა-გრეხა (იხ. განმარტ. ლექს. კმაჰ (ვ)ნა). იხ. დეიჰმაჰნეზა, იჰმაჰნეზა.

კმახე მჰევე, ისრიმი. ვენახის მუშაობაი მიყვარდა, მარა წახთა ვენახი, კმახეა (ვახანი). (იხ. საბა მჰახი, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. მჰახე მნიშვნ. 1). || იგივეა, რაც კვანგი (იხ. მნიშვნ. 2). (იხ. ბესიკი კმახი, ყიფშ. კვახე, განმარტ. ლექს. კმახი, კმახე). იხ. დოჰკმახთეზა.

კნავი ბოტ. ცირცელი. კნავი მცენარეა, თაში იზღება (ხიღარი); კნავი ხმელას გავს, მარა წითელ ნაყოფს იბამს ხომე მერე (ლეღვანი); კნავი პატარა წითელ ნაყოფს ისხამს (პერევი). (იხ. საბა მკნავი, დ. ნ. ჩუბ. მკნავი, კნავი, მაყაშ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1). ჰოგრი-ი 1. კაკლის დასაბერტყი ჯოხი (სინონ. ხალა). ჰოგრი-ი კაკლის მოსარევი ჯოხი (მოხვა); კაკალი იბერტყება ჰოგრით (სავანე). (შღრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1). 2. გრძელი, წვრილი ჯოხი, რომელსაც პურით დატვირთულ თივის ურემს გადააკრავენ. ჰოგრს ვეტყვით ჩვენა, პურს რო მევიტანთ, გადავაკრამთ ურემს (ბერეთისა).

ჰოკი-ი საქათმეში ქათმების ჩამოსასხდომად გაღებული ლატანი. ქათმეფს ჰოკი გოუღევი (განთიადი). (იხ. ელ., ნინოშ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, დიალექტ. გურ.; შღრ. ჰყ. ჰოკი). იხ. ხარისხა.

ჰოკრი-ი იგივეა, რაც ჰოგრი (იხ.). ნიგოზს ვრეკავთ ჰოკრით (საღვინე). (იხ. ჯაჯ. X, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1). იხ. ხალა.

ჰოლოკი-ი „მოკლე კეტი სასროლად“ (განმარტ. ლექს.). ვესვრი ჰოლოკს და გავაკოტრიალეთ (ხიღარი). (იხ. საბა, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1; შღრ. დ. ჩუბ., ელ.).

ჰორონა ასაკთან შედარებით დიდი აგებულებისა. ბიჰი ჰორონაა, დაჯობნა მამას (ხვაშითი).

ჰოჰნიკოფ-ს ყოყმანობს, მერყეობს. ჰოჰნიკოფს, — წევიღეს თუ არა (ხრეთი); კაი არაფერი იყო და ამაზეც ვიჰოჰნიკე; ვიყიდო,

არ ვიყილო (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს. ჭოჭმანობს, ა ლ ა ვ. ლეჩხ. XIII ჭოჭმინი, ჭოჭმინობს; შდრ. დ. ჩ უ ბ. ჭოჭმანი).

ქოხმაკ-ი ჭანსალი. ქოხმაკათ არი ასაკის მიუხედავად ძალ-ღონით საე-
ყუა, მხნედ, ჭარმაგად არის. ქოხმაკათ არი ჩემი დედამთილი
(სავანე); მამამისი იქნებოდა 60 წლის, ქოხმაკათ იყო (დილი-
კაური). (იხ. ქ ა ვ თ., განმარტ. ლექს. ჭანმაკი).

ქოხმახ-ი || ქოხმახა იგივეა, რაც ქოხმაკი (იხ.). დათა ჭერ კიდეც
ქოხმახაა, 89 წლის კია (პირველი სვირი). (იხ. საბა ჭაშმაგი,
განმარტ. ლექს. ჭარმაგი).

ჭრელა ლამფის ნაპირზე გავლებული ხაზია (ზედუბანი). (იხ. მე ნ თ.,
განმარტ. ლექს. ჭრელი მნიშვნ. 2, ჭრელობა მნიშვნ. 2).

ჭრელი კუნტი ლობიო არახვიარა ჭრელმარცვლიანი ლობიო. ჭრე-
ლი კუნტი ლობით ბარდს არ იკეთებს (ხიდარი). (იხ. განმარტ.
ლექს. კუტი ლობიო ([იხ. ლობიო]).

ჭრეჟ-ი ვაზისა და სხვა კულტურული მცენარეების (სიმინდის, ლო-
ბიოს) სოკოვანი დაავადება, რომელიც განსაკუთრებით ვლინდება ტე-
ნიანობისა და მაღალი ტემპერატურის დროს და იწვევს ფოთლების
გახშობას, თუ შეწამლული არ არის, — ჭრაჟი. რო წამოწვიმს და მერე
სიცხეს დაჰქერს, ახთენს ყურძნის ფოთელს, ჭრეჟი დაკრამს (მახა-
თაური); თუ შოუწამლავ ვენახზე მოგვისწრო წვიმამ და უცეფ მზემ
დახედა, დაწვამს ჭრეჟი ფოთლეს, სადანაც სისოვლე ექნება
ფოთლეს, იქ გახვრიტამს (იქვე).

ჭრია მჭრელი. ჩემი ჭრია ნაჯახი მამიტანეთ (წიფა). (იხ. მ. ჭ ა ნ.
ჭრეა, დიალექტ. კახ.-ქიზ. მჭრე).

ჭრიანტელა ბოტ. წითელი ჩიჯალაყა. ჭრიანტელა მინდვრის ფხა-
ლია (ზედუბანი). (იხ. დ. ჩ უ ბ., მაყაშ., განმარტ. ლექს., კახ.,
ქართლ., იმერ. მნიშვნ. 2; შდრ. საბა, ნ. ჩ უ ბ., კირ.).

ჭრომახა ჭრელი. რავარი ჭრომახა კაბა აცვია (ქვაციხე, ზვაშითი,
განთიადი); ჭრელი ფერის ლობიო ჭრომახაა (გეზრული). (იხ.
ყ ი ფ შ. რჭელი, განმარტ. ლექს. ჭრომალა, ჭრომახი, რაჭ. ქემარო,
ქეჟელია, ქყ. ჭრომახი, ბერ. კილა-ჭულა). იხ. აჭრომახებუ-
ლი.

ქუცი-ჭუჯა! ინდაურების მოსახლობი (სანახშირე). (იხ. განმარტ.
ლექს.). იხ. ქ უ ლ ა-ქ უ ლ ა.

ჭუბრ-ი ფუტყრის კვერცხი (ზვარე). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ჭურ-ი დიდი ქვევრი (სოფლების მიხედვით სხვადასხვა ტეველობისა).
ჭური, 40 ფუთზე ზევით რო ჩავა, ქვევრა უფრო პატარაა (ჩიხა);
ჭური დიდი ქვევრი, შით ჩასავალი (ლიჩი); ჭური 50-ფუთი-
ანს ზევით (შომახეთი); ჭურში 10 ფუთზე მეტი ჩადის (წყალშა-
ვი); 20 ჩაფიანს ზეითეუნ უძახით ჭურს (ვახანი); ჭურს ვეტყვით

ჩვენე, 50-ფუთამდე რო უნდა ჩევიდეს (ქვები). (იხ. ნინოშ., ქავთ.; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს., ჯაჯ. IX).

ქურისთავ-ი ადგილი, სადაც ქვევრები (ზემოიმერულად ქვევრები და ქურები) მარხია. ქურისთავი მოთავსებულია შენობის გარეთ ან შენობაში. იმ შენობას, რომელიც ქურისთავზე დგას, ქვია მარანი. მარანში შეიძლება არც იყოს ქურისთავი, მაგრამ ინახებოდეს მეღვინეობასთან დაკავშირებული ხელსაწყო-იარაღები (ტაბაკინი). (იხ. განმარტ. ლექს., ლეჟ. 69, ქუმბ. 84).

ქურის კალათი იგივეა, რაც გიდელი (იხ.). ქურის კალათს ქურში ჩადებენ ღვინის ვადასაღებად და ამოვა წმინდა ღვინო, ჰაკა არ შეყვება და ვადაიღებენ (შუქრუთი).

ქურის საგლესი იგივეა, რაც კვექო (იხ.). ქურის საგლესი ხის უროა, რომლის ძირა ნაწილი ფართოა და ზევით ვიწროვდება და ტარს ქმნის. იხმარება ქურზე აყალო მიწის დასაგლესათ (საღვინე, სანახშირე).

ქურის სარეცხელა კიბის მსგავსი მოწყობილობა, რომელზედაც ვადებენ ქვევრს და რეცხენ სარცხლით. ქურის სარეცხელა კიბესავითაა, ქვევრას გადაადებენ ზევიდან და რეცხენ ტარიანი სარცხლით, რო ფარფლს არ მოხვთეს სარცხელი (იხ.) და არ გაუტეხოს ნაპირი (საღვინე).

ქურის სკამი ოთხფეხა სკამი, რომელიც შუაში ამოხვრეტილია და შიგ იდგმება ნეშოგაცლილი მოვიწროებული ძირი (კუნქულო) ქურის შემდეგი ნაწილის მისამატებლად. ქურის სკამში ჩავდგამთ კუნქულოს და ნოშოს მოვაცლით და მიწას მოვაქნით (პოსლევით).

ქყამურ-ი ქიჭყინი, უსიამოვნო ხმაურა. გაგიგონია აქდენი ქყამური? (სვერი). (იხ. ალავ. XXIV ქყამური; შდრ. ქავთ. ქმაგური. განმარტ. ლექს. ჭუქყუნი მნიშვნ. 1).

ქყლინტი-ი ქყინტი. ქყლინტი სიმიდი და ლობიო ბევრია (უჩამეთი), სიმიდები ქყლინტი იყო (ქვაცხე). (იხ. ყიფშ. ჭყნგტ. ა. ჩიქ. შედ. ლექს. მეგრ. ქყინტუ, ჰან. ქყინტი, შარაშ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, ჯაჯ. გურ. ქყიბი, ალავ. XXIV).

ქყლიპურტა¹ პატარა, უმწითლარი; ლაწირაკი. ვილაცა ქყლიპურტა ბოვში სერგოს არ შეადარეს?! (ტაბაკინი). (იხ. ჟღ. ქყიპარტა, განმარტ. ლექს. რაჭ. ქყლიპარტა, ქავთ. ქყვარტი).

ქყლიპურტა² ვაფუქებული, სუსტი (ითქმის ღვინოზე). არც ძმრის გემო აქვს, არც ღვინის, ქყლიპურტა არი. ისი, პირშიც ვერ გაემეივლევ (ტაბაკინი). იხ. აქყლიპურტავეფს.

ქყორ-ი ბოტ. ბაძგი. ქყორი მარადმწვანე მცენარეა, სქელი, ეკლიანი, პრიალა ფოთოლი აქვს (შროშა). (იხ. საბა, დ. ჩუბ., მაყაშ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, ქავთ.; შდრ. ქყ., ჯაჯ. IX).

კყუპალა 1. რამდენიმე ნაყოფი ერთ ყუნწზე. დეინახე, რავარი
კყუპალა თხილები აბია (მოხვა). (იხ. განმარტ. ლექს. რაჭ. კყუმა-
ლი; შდრ. კყუპალა). 2. იგივეა, რაც ტყუბლა (იხ.). კყუპალა
სოკოა, ხეზე ამოდის (ხრეთით). (იხ. განმარტ. ლექს. რაჭ. იმერ. კყუ-
პლა).

კყუტ-ი¹ საუბ. ავადყოფობა, რომელიც აიძულებს ადამიანს ბევრი
სითხე სვას, — დიაბეტი. რა კყუტი დაგემართა, რა ბევრს სვამ?
(ღარიხვეი). (იხ. საბა წყურტი, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. წყურ-
ტი, ჭყურტი¹, ჯაჯ. X კყურტა, მაის. კყურტვა).

კყუტ-ი² წვრილი. კყუტი მარცვალი აქ წელს პურს (ზედუბანი).
(იხ. კყ. კყიოტ-მატი; შდრ. განმარტ. ლექს. კყუტი, კყუტა).

კყუტია ბევრი სითხის (წყლის თუ ღვინის) მსმელი. მონადირის
შვილმა უთხრა ამ კყუტიას: აბა შენ იცი და ამ ღვინომო (ღა-
რიხვეი). (იხ. განმარტ. ლექს. კახ. კყიპურტი მნაშვნ. 3; შდრ. ბერ.,
ჯაჯ. IX ქელტი).

კყუტიან-ი იგივეა, რაც კყუტია (იხ.). ნახეს ერთი კაცი, ტკვარს
გადაფაქვებია (იხ.) ზედ, ხოდა უძახის: ხრუბი ვქნა, ხრაპი არა ხარო!
დეეწაფა ე კაცი ამას და დალია სულ. — რა კაცი ყოფილხარ შენეო?
მონადირემ უთხრა! მე კყუტიანი კაცი ვარო (ღარიხვეი).

ბ

ხაბარ-ი გონი, აზრი. დეეცა თუ არა, დეეკარქა მაშინვე ხაბარი
(წაქვა); ხაბარი არ გაქ შენე (ხვეი); ისინი ხაბარში არ არ-
იან (შომახეთი); წუთი კიდევაც გახდა, რო დაკარქა ხაბარი (ჭა-
ლაურთა) (შდრ. დიალექტ. მესხ. ხაბარი, იმერხ. ხებერი, ინგილ. ხა-
ბარ., განმარტ. ლექს., ყაზბ.).

ხადილ-ი 1. ნაშნობა. ხადილი იყო, რო დანაშნემდი, ნიშანს დო-
უტოვებდი ქალსა, თუ გინდა ხელი დეიშვენო (მახათაური); ნიშანს რო
მოუტანს საცოლესა, — ხადილი ქვია (მერჯვეი); პირველათ რო
ნახამ ქალსა და მოგეწონება, მერე ნაშნის მიტანა იციან, ამას უძახიან.
ხადილს (ჭალაურთა). (იხ. დიალექტ. რაჭ.; შდრ. რუსთ., სა-
ბა, დ. ნ. ჩუბ., შპნმ, გრიშ., განმარტ. ლექს., მაის.
ნეიმ.). იხ. დაახადილეფს, დახადილდება, იხადილ-
ლეფს, ნახადილარი, ხადილოფს. 2. ნიშნობასთან და-
კავშირებული წვეულება. ჯერ ხადილში ვიყავით, მერე ქორ-
წილში (მოხვა); ხადილზე არ იყო და მერე აღარც ქორწილზე
მიეკარა (შომახეთი); ხადილი აქ იმ გლეხსა (ქვაციხე). (იხ. გან-
მარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

ხადილობა იგივეა, რაც ხადილი² (იხ.). ხადილობაზე არა

ვყოფილვარ და ქორწილში რატო წვედილოდი! (ბერეთისა). (მდრ. კახ., განმარტ. ლექს.).

ხადილოფ-ს ნიშნობა აქვს. ყველიერის დაუწყებას ვ ხ ა დ ი ლ ო ბ (შრმახეთი). (მდრ. განმარტ. ლექს. ხადილობს).

ხაერეზ-ი ხნულში დაუხნავად დარჩენილი ადგილი, — ხარევიზი. ზოგი ხარს გოუძღვა, ზოგმა ქვე მოთოსნა ხ ა ვ რ ე ზ ე ბ ი (ჭირქვალ). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ბ. წერ., 3, დიალექტ. ქართლ. ხაერეზი, მენთ. ხარბეზი, ხარევიზი, ნაგული?, განმარტ. ლექს. ხარევიზი, მნიშვნ. 1, იქვე ნათერძი, წალარი მნიშვნ. 2, ნიჟ. ხარბეზი).

ხავსილა იგივეა, რაც ხ ა მ ს ი ლ ა (იხ.). ხ ა ვ ს ი ლ ა ა ს ი მ ი დ ი, იქა-აქ რო ექნება ძლივს გამოსული მარცვალი (წვარე); ხ ა ვ ს ი ლ ა ლორთქია, ჯერ მარცვალი არ გოუკეთებია, წამდგარია სამარცვლეთ (უჩამეთი).

ხათარიკ-ი წვალემა. იხ. ი ხ ა თ ა რ ი კ ე ფ ს .

ხაისას ღობიო ღობიოს ერთ-ერთი ჯიშია, არახვიარა. ხ ა ი ს ა ს ღ ო ბ ი ო უ ბ ა რ დ ო ა, ს ი მ ი დ ზ ე არ შედის (ჭალაურთა).

ხალ-ი მხალი. მინდვრის ხ ა ლ ი მიყვარს (წვარე); ხ ა ლ ს მოვეკე-პამო ჭიფა); მოსაკეპი ხ ა ლ ი ა დასაწნილებელი ფხალი: კანაფხალი, მიწიფხალი (ვახანი). (მდრ. საბა, 3, ყ.).

ხალა კაკლის საბერტყი ჯოხი (სინონ. ქოგრი, ხოლი). თიდან წამევი-ღე ნიგვზის მოსარეკი ხ ა ლ ა. ხ ა ლ ი თ ვ რ ე კ ა მ თ ნ ი გ ო ზ ს (ტაბა-კინი); კაკალს ვბერტყამთ ხ ა ლ ი თ (ბოსლევვი); უმალ პურს ბეგვემ-ღენ ხ ა ლ ე ბ ი თ (ლოდორა). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. ხალა¹ მნიშვნ. 1, დიალექტ. აქარ. ხაჭა, ქეშიკ. ხალხა, ქყ. ჭოკი, ხალხა, მენთ. ხალხა, ხარხა, ჯაჯ. IX ხალა).

ხალამ-ი დერგი (ზემო იმერეთში ჩვეულებრივ დერგი იხმარება, მხო-ლოდ ზესტაფონის რაიონში გვხვდება აქა-იქ „დერგის“ პარალელურად „ხალამი“, ისიც ქვემოიმერულის გავლენით). აქ „ხალამიც“ იხმა-რება და „დერგიც“ (იხ.) (ქვედა საქარა). (იხ. ბერ., 4, დიალექტ. ლეჩხ., განმარტ. ლექს.).

ხალახინ-ი (||სათარი) ხე, რომელსაც დაქანებული ადგილიდან დააცუ-რებენ და თავისით მიდის. ხ ა ლ ა ხ ი ნ ი ა, დაქანებულ ადგილიდან თავისით რო მიდის ხეები (ჩიხა). (მდრ. ბერ., ალაგ. ლეჩხ., გან-მარტ. ლექს. რაჭ., ლეჩხ.).

ხალთა 1. მაჩვი. ხ ა ლ თ ა დევიჭირეი ხაფანგში, ჭამდა სიმიდს (ვა-ხანი); ხ ა ლ თ ა შამეჩრვია სიმიდს (წვარე); თუ მოასწრეს, ხ ა ლ თ ა ს თ ა ნ მოკლევინ კურდღელსაც (ხევი); ხ ა ლ თ ა დამიჭერია მე-ცე, დადის ყანებში და ჭყლინტ სიმიდს ჭამს. კაი დიდი ღორი რო იქ-ნება, იმაზე უმწარესი წახთენა იცის ყანების (მორძვეთი). (იხ. გან-მარტ. ლექს. მნიშვნ. 4, ს. მ. ტერმ.; მდრ. დიალექტ. ჯავახ.). 2. თხის

ან ცხერის ტყავის ქურქელი, — გუდა. ხალთა ცხერის ან თხის ტყავის ქურქელია, რომელშიც სიმინდს, ლობიოს ან დაქეულს ვყარით (ქვაციხე, ტაბაკინი). (იხ. საბა, დ. ჩუბ., კირ., დიალექტ. ლექს., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, ალავ. ოკრ).

ხალინჩა ხალიჩა. ხალინჩა დოუგია (დორეშა); არის ისეთი ხალინჩა, რო დაჯდები, გაფრინდება (ტაბაკინი).

ხამბრიან-ი აზრიანი. ხამბრიანი კაცია გიორგი (შომახეთი). იხ. ხაბარი.

ხამი წყალი ბუნებრივი, ჩვეულებრივი სასმელი წყალი. ჩავალაგე პამიდორი, თავზე საკმაზები მოვალაგე, დავასხი ხამი წყალი—უძმრო, წმინდა წყალი, გოდოუდუღებელი (ტაბაკინი). (იხ. მენტ.).

ხამს 1-ი ხემსი. იხ. დაუხამსებული.

ხამს 2-ი ხავსი. რავარილაცა არი ნათქვამი: გაჭირებული კაცია ხამსს ეკიდებოდარო, ორივე წყალს მიქონდაო. ხამსი დეიკავებდა კაცსა? (ბორითი). (იხ. დიალექტ. ქართლ.; შდრ. განმარტ. ლექს.).

ხამსა წვრილი თევზი, — ქაფშია. ხამსა წვრილი თებზია (პირველი სვირი). იხ. განმარტ. ლექს. ხამსა 1).

ხამს კრამს მუშაობის თუ სიარულის გამო დალილობის შედეგად ცუდ ხასიათზე დადგება. ტკპილიკვერი უნდა გავაკეთო. ხამი რო კრას, გლახათ რო შეიქნეს ადამიანი სიარულში, მქონდეს ცოტაი (ხანახშირე). (იხ. ბერ. ხამის ცემა, შარაშ. ხამის კრაი; შდრ. განმარტ. ლექს. ხამს ჰკრავს [იხ. ხამი]).

ხამსილა 1. უმარცვლო ან ოდნავ გამოსახული, დაუსრულებელმარცვლიანი სიმინდის ტარო. ხამსილა სიმინდი ღორებისთინ არი (დორეშა); ხამსილაა, თითო-ოროლა დაუვარგებელი მარცვალა რო აქ. ხამსილა არ შეიწვება (განთიადი); ხამსილა სიმინდი ცალკე დაყარეს (ტაბაკინი). (იხ. ნიქ. ხუმპალი; შდრ. განმარტ. ლექს. ხამსა 2). 2. ქვის ხავსი. ხამსი ხეს აქ, ხამსილა — ქვას (მოხვა). (იხ. დ. ჩუბ., განმარტ. ლექს. ხვიფლი).

ხამუშ-ხამუშ დროდადრო, ხანგამოშვებით. ხამუშ-ხამუშ უნდა დეისვენო (ლიჩი); ხამუშ-ხამუშ მალებიფუს სისხს-თქო (მანდაეთი). (იხ. ქეშიკ. ხამუშ-ხამუშად, განმარტ. ლექს.; შდრ. იქვე ხანქამისად).

ხანე ხან. ხან მივდივარ, ხანე ვრჩები სახში (ხანახშირე); ხან შეშას კრის, ხან უთოხნის, ხანე ტყეში დადის (გეზრული).

ხანკალ-ი გოზინაყი. თაფლისა და ნიგვზისგან კეთდება ხანკალი (ხიდარი).

ხანსილა იგივეა, რაც ხამსილა 1 (იხ.). ხანსილა ტარო უმარცვლო ტაროა (ზედუბანი).

ხანფანგი-ი || ხანფაქი-ი ხათანგი. ხ ა ნ ფ ა ნ გ შ ი დეეჭირა კურდღელი (ზედღუბანი); ხ ა ნ ფ ა ქ ი დათვის დასაქერია (მოხვა).

ხაწუ-ი ყანწი. მერიქიფემ დამიძახა: დოქის კაცი ხარ თუ ხ ა ნ წ ი ს ო ? (ფუთი); ხ ა ნ წ ი უკავია ხელში (ზოვრეთი); ხ ა ნ წ ე ბ ი მეიტანეს (ზედა საქარა).

ხანსლავ-ს ულაზათოდ და სულმოუთქმელად ჰამს. გადახანს-ლავეს ყველაფერს (ზედღუბანი); რაც ნახა, გახანსლა (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

ხაა-ი აყირი-საგან გაკეთებული უტარო ჰურბელი სატკბილიდან ტკბილის ამოსაღებად. ხ ა პ ს ვხმაროფთ ჩვენ ღვინის ამოსაღებათ ისარნიდან (იხ.). თუ ტარი გაუკეთთა, ორშიმოა (ქვედა საქარა); ტკბილი ინდურიდან (იხ.) გამოდის და ჩადის ისარნაში, ისარნიდან ჩაფში ვასხანთ ხ ა პ ი თ (საღვინე). || ქვევრიდან რეცხვის დროს ნარეცი წყლის ამოსაღები, აყიროსაგან გაკეთებული ტარიანი ჰურბელი. ქე რო ქვევრს ამოვრეცხამთ, ხ ა პ ს ჯოხს დავადეფთ და წყალს იღებს ქვევრიდან, ღვინოს ორშიმით ვილეფთ, ისიც ხ ა პ ი დ ა ნ არი, მარა ხ ა პ ი არ ქვია (პირველი ხვირა). (იხ. გ უ რ ა მ. ხაპირი, მ. ჯ ა ნ. ხაპირ, კ ლ დ., ლ ე ე. 71, საორშიმე ხაპი, კ უ მ ბ. 85; შდრ. ს ა ბ ა, დ. ნ. ჩ უ ბ., კ ე.; მ ე ნ თ., ა ლ ა ვ. XXIV, ნ ი ნ ო შ., განმარტ. ლექს.).

ხააჰ-ს დანის წვერით გულს აცლის. კვახეფს ხ ა პ ე მ დ ე ნ ბოვშები და გოუკუჭია ხელი (საღვინე). (იხ. განმარტ. ლექს. გამოკუჭამს მნიშვნ. 2; შდრ. ქ ე შ ი კ. ხაპვა, განმარტ. ლექს. ხაპავს).

ხაპიწკინა პური, რომელსაც გამოცხობის დროს განგებ უკეთებენ თითების ანაბეჭდს შუაგულსა და კიდევებში. ჩამიჯინე ხ ა პ ი წ კ ი ნ ე ბ ი (მერჯვეი). (შდრ. ს ა ბ ა, დ. ჩ უ ბ. ხაბი-გინა, ნ. ჩ უ ბ. ხაბაძგინი). ქ პური, რომლის შიგთავსი ნიგოზია. ნიგოზი რო მქონდეს, კაი ხ ა პ ი წ კ ი ნ ე ფ ს ჩავიჯენდი (ხვერი). (იხ. ბ. წ ე რ. ხაბიზგინა, განმარტ. ლექს. ხაბიზგინა, ხაბიძგინა).

ხარი-ი მხარი. დათას ხ რ ე ბ ი აქ დიდა (ფარცხნალი); კაცს თონი უღევს ხ ა რ ზ ე (იქვე); ხ რ ი თ ვერ მოვიტან და ხარი არ მყამს (ზვარე).

ხარადოქი-ი 7-დან 12 ლიტრამდის ტევადობის დოქი. ხ ა რ ა დ ო ქ ი ნიკარტიანი დოქია, რომელშიც 10 ჩარექამდე ჩადის (ღარიხვეი, ღორეშა); ხ ა რ ა დ ო ქ ი დიდი, ნიკარტიანი დოქია, 12-ჩარექიანი (ლიჩი). (იხ. განმარტ. ლექს.).

ხარატულა 1. ტიკის ნახვრეტებში ჩასმული პატარა, მრგვალი, ამოღარული ხის საცობი, — პოლორჭიკი. რუმბისთვის კამბეჩს დაკლამდენ უმალ, მის ტყავს მოკუბრავდენ, ამოკერავდენ და ჩაასხამდენ ღვინოს შიდ. ჰიპთან უკეთებდენ ხ ა რ ა ტ უ ლ ა ს, ჩამოსასხმელს თითი ქვი-

ოდა (რგანი, ხვერი, ბოსლევი). (იხ. განმარტ. ლექს. ხარატული მნიშვნ. 2). 2. ქოთნის სარქველს მსგავსი მოხარატებული ხის ფირფიტა გო-
მაჯის მოსაქრელებლად. ხ ა რ ა ტ უ ლ ა ქოთნის სარქველს გავს, ხე-
ლის მოსაკიდებელი აქ შუაში, ხისაა და აქრელებულია, მოხარატე-
ბული, ფიგურები აქ ამოჭრილი, გომიჯას დაადებენ, რო ააქრელოს
(მანდაეთი, რგანი).

ხარაჩაფი დიდი ჩაფი. საღა შემიძლია ხ ა რ ა ჩ ა ფ ი ს ტარება!
(ლიჩი).

ხარდან-ი 3-4 წლიდან ნამყენი ვაზ-სათვის შეღებული სარი. ქიღვა,
პოწვრილო რთა, იმას ქეია, დიდი ხ ა რ დ ა ნ ი ა, ნამყენს რო
უსოფთ (აოსლევი); ხ ა რ დ ა ნ ი ა კანგოუცლელი, გოუთლელი თხმე-
ლის, რცხილის, კობიტის ან უგულო ეკლის სარი, რომელიც 2-3 წე-
ლიწათს ვარგოფს (სანახშირე); ვაზი მეოთხე წლიდან გადავა ხ ა რ -
დ ა ნ ზ ე (დილიკაური); ვენახის სარს ვეტყვით ხ ა რ დ ა ნ ს (შრო-
შა). (იხ. ი. ჯ ა ვ ა ხ. საქ. ეკ. ისტ. II, 318-319; ბ. წერ., განმარტ.
ლექს. მნიშვნ. 1, კუ მ ბ. 82, დაალექტ. ლეჩხ., იმერ.; შდრ. სა ბ ა,
დ. ნ. ჩ უ ბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

ხარდნის გამოტანა შემოდგომაზე, ფოთლის დაცვენის დროს, ვაზის-
თვის ხარდნის მოცილება. რომ ვენახში არ გაჩნდეს რაიმე ავადმყო-
ვობა ხარდნიდან (შომახეთი).

ხარდნის ღობიო ღობიოს ერთ-ერთი ჭიშია, აქვს ჰრელი, დიდი მარ-
ცვალი. ხ ა რ დ ნ ი ს ღობიო ღობიოს დიდი გრძელ პარკი აქვს, მარ-
ცვალი პარკი და უთრო დიდი, ვიდრე გურულ ღობიოს (ხვევი).

ხარითვალა || **ხარისთვალა** ვაზის ჭიშია, მკიდრო მტევანი და მოშავო-
მო, ... სახელი სასცავლ აქვს. ხ ა რ ი თ ვ ა ლ ა ს ღვინისფერი
მსხვილი მარცვალი აქ (არგვეთი, უჩამეთი); ხ ა რ ი ს თ ვ ა ლ ა ს დი-
დი, ოდნავ შავი მარცვალი აქ (გორისა). (იხ. ი. ჯ ა ვ ა ხ. საქ. ეკ. ისტ.
II, 402, 485, ხარისთვალა. განმარტ. ლექს. ხარითვალა, ხარისთვალა.
დიალექტ. ქართლ., ლე ე. 63, ხარითვალა, ჯ ო ხ. 57, ხარისთვ. ლა:
შდრ. ი. ჯ ა ვ ა ხ. საქ. ეკ. ისტ. II, 434).

ხარიკბილა ბოტ. წიწმბატურა. ხ ა რ ი კ ბ ი ლ ა ფხალია, ერთ ყუნ-
წზე ამოსულია რამდენიმე დაკბილული ფოთოლი (სანახშირე). (იხ.
მ ა ყ ა შ., განმარტ. ლექს. ქართლ., იმერ.).

ხარისა საქათმეში ქათმების ჩამოსასხდომი ლატანი (სინონ. ჰოკი).
საქათმეში ხ ა რ ი ხ ე ბ ი ა გადებული ქათმების ჩამოსაჭდომით (საღ-
ვინე). (იხ. ს. მ. ტერმ.; შდრ. სა ბ ა, დ. ნ. ჩ უ ბ., მ ე ნ თ.):

ხარისეპიანი კიბე ხის საფეხურებიანი მისაყუდებელი კიბე. აანგრიე
მერჩი (იხ.) და ხ ა რ ი ხ ე ბ ი ა ნ ი კ ი ბ ე მიადგი (მანდაეთი).

ხარისევი-ი ჭორის, ცხენის თუ ვირის კეხზე გადასაკიდებელი მოწყო-
ბილობა შემის დასაწყობად. ხ ა რ ი ხ ე ვ ი ა ერთმანეთზე სირნებით

მიმბული 2 პატარა კიბე. ორივე მხრივ კიბეებს კაპებიანი ხე აქ გამოჰრილი. კაპებზე ძირიდან დაქედებულია ფიცრები. ხარიხევეზე იწყობა შეშა. იმას გადადებენ ცხენს, ჯორს თუ ვირს კეხზე და გედვიქოჩრება (იხ.). ლვურჭით, რო არ დეიბნეს (ბოსლევვი). ხარისხიან-ი ხარისხიანი. თუკი დამუშავდა მიწა ხარიხსიანათ. მოსავალი მეტი მოვა (მახათაური).

ხარო მარცვლეულის შესანახავი ხის ჭურჭელი ან ბელლის განყოფილება. — ბელლის თვალი. ბელელი დატიხრულია თვლებათ და თითუულ ნაწილს ხარო ქეია (ღორეშა); ხაროა გძელი დატიხრული სკივრი, რომელსაც ჭირნახულის ჩასაყრელათ ვხმაროფთ (ტაპაქინი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3; შდრ. საბა, გურამ., დ. ნ. ჩუბ., მ. ჯან. ხახრაჲ, შარაშ, დიალექტ. მეწახ., თიან.).

ხარჯ-ი გარკვეული პირებისათვის განკუთვნილი სასმელ-საჭმელი. მუშა ქვეამს და მომზადილი გვაქ ხარჯი (წირქვალი); იმანაც შეიტანა ხარჯი, მეც (ზედუბანი); ხარჯი უნდა წოულო კვდრის პატრონს (ბოსლევვი); მეორე დღეს ხარჯი ჯააკეთა ამ აცმა (ქვაცხე). (იხ. ყიფშ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3; შდრ. საბა, გურამ., დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, 2, ჯაჯ. გურ. კახ., დიალექტ. გუდამაყ.).

ხატულა ჭრელი. აგერ მოსულა ჩვენი ხატულა კატაი (ზედა ხაქარა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

ხაშ-ი საფუერად შენახული პურის ცომი. დედამ ხაში მამეციო (ხვაშითი); პურის ცომის გუნდას შევინახამთ, ხაშს ვეტყვიო (იქვე). (იხ. მენთ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

ხაშმიან-ი შხამიანი, გესლიანი. ის ძლოკვია, ხაშმიანი არ არი (ვახანი). (იხ. განმარტ. ლექს. ხაშმი მნიშვნ. 3).

ხაჩხაჩ-ი რაკრაკი. სულ ხაჩხაჩით გამოდის კტიდან წყალი (ტაბაქინი). (შდრ. განმარტ. ლექს. ხაჩხაჩა).

ხაწიწ-ი ქონის გადადნობის შემდეგ დარჩენილი ნახრაკი, — ხაწიწი. ნუ ჭამ ხაწიწს, არ გაწყინოს (მოხვა). (იხ. კირ. ხიწიწი, განმარტ. ლექს. ლეჩხ. მნიშვნ. 2).

ხაჭო შრატის (წაქის) დუღების შემდეგად წარმოქმნილი მასა (სინონ. ნადული). „ნადული“ აქ არ იხმარება, შრატისაგან მზადდება ხაჭოი. ხაჭო კიდე გეიწურება და დარჩება ნამდვილი კაი ხაჭოი (ხვარე); წაქისას ხაჭოს გადაადუღეფ, იხმარება „ნადულიც“ უფრო იშვიათათ (ხვაშითი). ნადულის ნაწურია ისი, ხაჭოს მერე რო რჩება (იქვე). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ყიფშ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, დიალექტ. ლეჩხ.; შდრ. დიალექტ. რაქ. ხაჭვა, განმარტ. ლექს. რაქ. მნიშვნ. 2).

ხახბილო იგივეა, რაც ხახვილო (იხ.). ხახბილო სოკოა; პატარა კუკურია, ლურჯათ ამწვა (ჩიხა).

ხახვილო მომწვანო-მოცისფროქუდიანი გულთეთრა საკმელი სოკო, მწიფდება იენისში. ხახვილო თეთრია, თავზე წამწვანოა (ხვაში-თი); ხახვილო მტრედის გავს, ივანობისთვეში მწიფდება (სვე-რი). (იხ. კ. ყ., განმარტ. ლექს.).

ხბოშუბლა მინდვრის ხალია (ზედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს.).

ხე საწნახელი. ყურძენი მოუვა ერთი პაწია ხეი (განთიადი); მეი-ტანეს ეს ხე ისევე, დადევს მარანში (წირქვალი); რო გაგვირეცხა გიემი კური, ასე თქვა: მე ჩავალ ხეშიო (მეორე სვირი). (იხ. ალაგ. XXIV ხაპი, დიალექტ. ლეჩხ. ხორგო; შდრ. ბერ.).

ხებერო უხეში, გაშეშებული, მსხვილი. ხებერო ულაში აქ ირაკ-ლის (პერევი);

ხედრობა მხრდველობა. ბურათ იხედებოდა და მერე სულ დეეკარქა ხედრობა თვალბზე (ჩიხა); ბიძია მიხეილ, თვალში ხედრობა არ მაქ და ოა ექნა? (ხიღარი). (იხ. განმარტ. ლექს. ხედვა მნიშვნ. 3).

ხელ-ი თავისებური გემო და სუნი, რომელსაც კურქელი აძლევს მას-ში მოთავსებულ წყალს თუ ღვინოს. ამ ღვინოს კურის ხელი მის-ცემია (ტაბაკინი). (იხ. ბერ., ელ., განმარტ. ლექს. ხელი³).

ხელადა ერთ ლიტრამდე ტევადობის საღვინე ნისკარტიანი თიხის დო-ქი. საძახა ხელადა იყო და ველარ ნავზე (ტაბაკინი); ხელადა პაწია ნიკარტიანი დოქია, ერთ ჩარექამდე ჩადის (დორეშა). (შდრ. საბა, მენთ. ჯელადა, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, დიალექტ. კახ.-ქიზ., ჯაჯ. IX ხელედანი).

ხელავ-ს აკეთებს. არც მიხელაა და ვერც დევიქადი, ყაბალახი არ მიხელია (ზედუბანი). იხ. გადახელავს, გამოხელავს, მოხელავს.

ხელაოფ-ს თევზს იჭერს ხელით. ქვაში, ქვეშ, შეეყოფითთ ხელს და ვხელაოზდით (შომახეთი); წამოდი, ვიხელაოთ (ზარანი); ახლა ის ბიჭები მიდიოდნენ,—წყალში ვიხელავეთო — და ამ დროს მაშინა მოვიდა (ლიჩი). (იხ. ბ. წერ. ხელობა, განმარტ. ლექს.).

ხელაურ-ი მომკილი პური, რაც მკის დროს ერთ ხელში მოთავსდე-ბა,—ხელეური. ხელაურიოა მოჭრილი პური, რასაც მკის დროს ერთ ხელში დაიჭერ (ხევი); ხელაურიოა სამკლით მოჭრილი პური, ხელში რო იჭერ, ხელში რაც დეგეტევა. ვაკეცი ვინც იყო, ორთითზე იკეთებდენ ხის სათითეფეს, რო ბევრი დატეოდა. ორი კაცი მიდიოდა ერთათ და, როგორც ბრძოლა, ისეთი იყო. ვისაც ცოტა დეეტეოდა. იტყოდა: გავმინჯოთ შენი ხელაურიო. შემკვრელი იმასა სხვა ნოდემდა, რაც ჩევიდოდა წენელში — 3-5 ხელაური — იყო ძნა

(ვახანი). (იხ. დ. ნ. ჩუბ. ხელეული, ბ. წერ. ხელოური, მენტო. კელეური, მ. ჯან. ჯელევი, მაქავე. 283, ალავ. ლეჩხ. ეთნ., ს. მ. ტერმ. ხელეური. დიალექტ. გუდამაყ. კელაური, ინგილ. ჯელეყლი, კახ.-ქიზ. ხელეური ჯელეური, მოხ. კელეური; განმარტ. ლექს; შდრ. ბაბუნ. 274, ხელეური. შარაშ. ხელოური, ხელეური).

ხელაქმარი || **ხელაქნარი** - ხელსაქმე. ქალის საქმე იყო ხელაქმარი და ოჯახობა (შროშა); ხელაქმარს აკეთებენ ქალები, ჩეჩენენ, ქსოვენ (სადვინე) ხელაქმარს აკეთებდენ: წინდა ესოდენ, შალს ართემდენ, აბრეშუნი მოყავდათ ხომე. ვინც სახში ვიყაით, ბოსტანსაც ის აკეთებდა (წაქვა); ქალს უნა უყვარდეს ხელაქნარი (შონახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. ხელსაქნარი, ი. იმნ. ქრესტ. ხელსაქმარი).

ხელაქმოფ-ს საქმიანობს, ხელსაქმობს. იქ სუყველა ხელაქმოფს (ქორეთი); ეფროსია ხელაქმოფს (შონახეთი).

ხელაღეფ საეგებით, მთლიანად. ი ბიცოლას ჩემი დაი სულ ხელაღეფ გეეზარდა, მარტო იმას, მამხმარე არ ყოლოდა. (იიდარი). (იხ. განმარტ. ლექს. ხელაღებით მნიშვნ. 2).

ხელბრუდი - ხელმრუდი, ქურდი. ესენი ხელბრუდი არ არიან, არაფელს მოქპარევენ (ქორეთი).

ხელგობ-ი პატარა გობი, რომელიც იხმარება ჭყინტი ლობიოსა და მხალეულის მოსაყებად, ქათმისა და ჭიქა-საინის გასარეცხად (სინონ. ხელთეფში, ხელფინა). ხელგობი მორჩილა გობია, რომელზედაც უხალს, პარკ ლობიოს ვეკამთ (ღარიხევი); ხელგობი გამამიტანე ქათმის გასარეცხათ (გეზრული); ხელგობზე ჭიქა-საინს ვრეცხამთ (ზედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს.; შდრ. ნიჟ.).

ხელდატუტული - გადატ. ხელდაკრეფილი, ხელგაუნძრეველი, უმოქმედო. ამდენი ხალხი ქე არი ხელდატუტული და ეზო არ დოუხეტიათ (აოხლევნი); ხელდატუტული სტუმარი ქე ქეყავდა ჩვენე (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს. ხელდატუტული).

ხელვა მარცვლეული კულტურების მოსავლის მოწევა. შემოდგომის მოსავლის აღებას უძახით ხელვას (გეზრული); სიმინდი რო მოვა და გავარჩემთ, ხელვაა, მერე რთველია. წაბლი რო წიფეა, ხელვაც მაშინ არი და ვერ ვშოულოფთ წაბლისთვინ დროს (იქვე). (შდრ. ბ. წერ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1, ყაზბ. დახელება).

ხელვანი - (რისამე ან ვისამე) ხელა, ოდენა, ტოლი. სახლის ხელვანი იყო იმათი ტოლბაში (ხიდარი); ე ბიჭები სახლის ხელვანები არიან (იქვე). (იხ. ჟღ., განმარტ. ლექს. ხელა 1).

ხელთეფში - იგივეა, რაც ხელგობი (იხ.). დიდი გობია, პატარა — ხელთეფში, „ხელგობი“ არ ვიცით აქა (ხვაშითი, მორძვეთი, რვანი). (იხ. განმარტ. ლექს.).

ხელიანი - ქურჭლისაგან მიცემული ცუდის გემოს მქონე (ღვინო). გო-

ურეცხავი ქურისაგან ხელიანი აღინო (ვანი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ხელი იქცეოს იგივეა, რაც ხელისბრუნება (იხ.). მიცვალებულს რო გავასვენებთ, კუბოს ერთ რამეს დავადებთ თავზე და მერე დამარხვისას ამევიღებთ და წამევიღებთ, ხელისბრუნება ქვია ამას ან იტყვიან: ვიქციეთ ხელი (შომახეთი). (შდრ. ალაგ. ლეჩხ. XIII ხელის ქცევა).

ხელისბრუნება საფლაგში ჩაშვების წინ კუბოდან რაიმე ნივთის ამოღება. ხო იციან ხელისბრუნება კვტარზე, სპეცოვკა ამეილო კაპიტომ (შომახეთი). (შდრ. შარაშ. ხელის გამობრუნება).

ხელის საპარცხალი ნები. ხელის საბარცხალია, თითებსა და მაჯას შორის რაც არის (შომახეთი).

ხელისწერა ხელმოწერა, წერა. არაფელი ხელისწერა არ ვიცი (ფარცხნალი).

ხელი ხელაში ვიტანა ხელიდან ხელში გადასცა. ხელი ხელაში ვიტანეს წყლიდამა: ამან მე მამაწოდა, მე — სხვას და ასე ხელიდან ხელში გადავიდა (ვახანი).

ხელკალათი მკილოგრამამდე ტევადობის ხელიანი კალათი. ეს ხელკალათი გაამსეთ და წამეიღეთ (წირქვალი); ყურძენი იკრიფება ხელკალათით (ლორეშა). (იხ. ბერ., განმარტ. ლექს.).

ხელმანსცემი ხელსაყრელი, მოსავლიანი. ხელმამცემი არ არი რენი ადგილები (წვარე).

ხელნა || ხელნა ურემო დაბალ ადგილებში სახმარი დიდი ურემი. იგი უღელს უკავშირდება ერთმანეთთან შეერთებული ხელნების თავით. თავტაბაკის საშუალებით და, აჩაჩა ურმისაგან განსხვავებით, არ საჭიროებს ფრჩხილასა და სამატს. ხელნა მითო ქვია, რო, ხარეფს რო ღვედგმის, ძირს არ დაჩოჩიალოფს, ზესადგარი ძალალი აქ (წედა ხაქარა); ხელნას მაგარი გოგორები აქ, ექვსვერშოკიანი, რო გეებმება ხარი, ფარდი (იხ.) დეედგმება ზედე (პირველი ხვირი); ხელნას 5 არშინი აქ სიგძეი, 16 ვერშოკი — სიგანე, 10 ქალა (იხ.), აქ მადლიდან 4 გასაყარა (იხ.) და მისი ლამფები (იქვე); ჩვენ უძახით ხელნასა, საქართველოში რო დიდი ურემია. იმერულ ურენს უძახიან აჩაჩა ურემს (იხ.) საიმერეთოში (ქვეპო); ურემი არის ორგვარი: აჩაჩა და ხელნა ურემი (შროშა); ხელნა ურემს არც სამატი (იხ.) ჰირდება, არც მარხილები (იხ.) (მანდაეთი). (იხ. ოკრ. ხელა ურემი, ჯაჯ. IX ხელა; შდრ. დ. ნ. ჩუბ., დიალექტ. გულამაყ., ს. მ. ტერმ. ხელნა, განმარტ. ლექს.). || იგივეა, რაც ზესადგარი (იხ.). ხელნა არი ორი გძელი ხე, რომელზედაც ეყრდნობა ურემი (ხევი). (იხ. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს., ჯაჯ. IX ხელა).

ხელნაბრუნებათ უკუღმართად, ქურდობით. და ბოლოს გაცა განკარ-

კულება: ხელნაბრუნებათ ვისაც გაქთ მითვისებული ბეჭედი, დაბოუნეთო (ქორეთი).

ხელნაქცევ-ი დასაფლავების წინ კუბოდან ამოღებული რაიმე ნივთი. ხო იციან ხელის ბრუნება კვტარზე, სპეცოვკა ამეილო კაპიტომ, ხელნაქცევი უნდა იყოს ოჯახშიო (შომახეთი). (შდრ. ალაგ. ლეჩხ. XIII ხელისქცევა). იხ. ხელისბრუნება.

ხელნისთავ-ი ერთმანეთთან შეერთებული ხელნის წინა ბოლოები, რომლებშიც დამაგრებულია უღელი თავტაბიკის საშუალებით. ხელნისთავი შეიძლება იყოს მთლიანი ან შედგებოდეს ორი ნაწილისაგან — ზედა და ქვედა ყბისაგან (დილიკაური); ხელნისთავში ეყრება უღელი (ხანახშირე). (იხ. კუმბ. 285).

ხელოვნობით ხელობით. თებზს ხოპეფ (იხ.) გოუგებდი და ზოგს ხელოვნობით დევიქერდი, ხელით დევიქერდი (მახათაური).

ხელსაბიჯ-ი ხელში დასაქერი და სიარულის დროს დასაყრდნობი ჯობი. ხელსაბიჯი დემეკარქა (ხიღარი). (იხ. განმარტ. ლექს. ხელსაბიჯგი).

ხელსაკიდ-ი სახურგე ყურიანი კალათი. ხელსაკიდი ვათხოვე და არ მოუტანია (ზედა საქარა). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ხელუხლის-ი ხელუხლებელი. რძე იქვე დგას ხელუხლისი (ტაბაკინი).

ხელფინა იგივეა, რაც ხელგობი (იხ.). ხელფინას ვიტყვი. ხის გობია, იმაზე დაყრიან და დაარკვევენ (იხ.) პურს (ხევი); შეკაზმევენ ხელფინაზე პრასს ან ფხალს. ხელფინა პატარა ხის გობია, დიდს უძახიენ გობს (მახათაური); ხელფინა პატარა გობია, რაზედაც კეპავენ ფხალს, რეცხავენ საინეფს (ლოლორა). (შდრ. ბ. წერ., განმარტ. ლექს.).

ხელყალთაბანდა არაფრის გამკეთებული; თაღლითი. ეს კაცი ხელყალთაბანდაა, რო არ დეიქეფს საქმეს და ჭამა-სმას მიყოფს ხელა (ჯალაურთა). (შდრ. განმარტ. ლექს. ყალთაბანდი).

ხელშეზეულათ ხელმოკლედ, ხელვიწროდ. კაპიტო ხელშეზეულათ ცხოვრობდა (რგანი); ხელშეზეულათ ვიყავით, სურსათიც არ იყო და ტანისამოსიც (ხვაშითი).

ხეპავ-ს კებჩა და მერე შეუქმელად აგდებს. კიტრს ხეპავს (განთიადი; რო გიხეპია ეს სხალი, ვერ შექამე ბოლომდი? (იქვე)). იხ. ნახეპი.

ხეპეჟო იგივეა, რაც ხეპეჟო¹ (იხ.). გადმოაფრქვია ის მეშოკი და ხეპეჟო მორიალდა (ტაბაკინი); ჩაასხა ნიგვზის ხეპეჟოში მზის პირი ნაბანი (ხიღარი). || კვერცხის ნაჭუჭი. კრუხს კვერცხების ხეპეჟოები დოუტეხია (ტაბაკინი). 2. იგივეა, რაც ხეპეჟო² (იხ.). ეს ლოკოკინას ხეპეჟოა (ხიღარი).

ხეპეკოიანი-ნი ნაქუქიანი. ნიგოზი ხეპეკოიანა ბათმანში ჩადის 12 კილო (უჩამეთი).

ხეპკო 1. ნაქუქი. ნიგეზის ხეპკოები გადაყარე (ღარიხვევი): ხეპკო მოაცილე ნიგოზს (ღორეშა); ერთმა წეილო ხეპკო (ხვამითი). (იხ. ბერ., განმარტ. ლექს. იმერ. მნიშვნ. 1). 2. ნიყარა. ლოკოკინას ხეპკო ნავბე (ქორეთი).

ხერგი-ი ერთად მიყრილი მოჭრილი ან თავისთავად წაქცეული ხეები. ხერგი ყრია, ისეა წაქცეული ხეები, ვერ გეივლი (ვახანი). (იხ. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1; შდრ. საბა, მენთ., ალავე. ოკრ.).

ხერგილი 1. იგივეა, რაც სხტე (იხ.). გზიპირზე მივდივარ, ხერგილი არი, — ერთათ არი ხეები, პატარა ბუჩქები (შომახეთი). (იხ. განმარტ. ლექს. ხერგული). 2. გზის გადამლობი ხეები, ფიჩხები, ჭირკები, ერთად მიყრილი. გადასასვლელი გზას დაკეტვას ხეებით ხერგილი ეწოდება (ტაბაკინი). || ერთად მიყრილი ხეები, ფიჩხები. დთვი ხერგილეს დაყრის კაცსა (იქვე). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

ხერეგო სხალი მაგარი, სხვილი სხალია (პერევი); ხერეგო სხალი დიდი საზამთრო სხალია (ჩიხა). (შდრ. ალავე. ოკრ., განმარტ. ლექს. ხერეგო).

ხესუროვანდა ბოტ. ხებალახა. ხესუროვანდა ბალახია, აქვს მოგრძო ფოთოლი, რომელსაც იისფერი გადაჰკრავს, იისფერი ყვავილი აქვს და წითელი ნაყოფი, ხმარობენ სურავანდისათვის. მოადულებენ წყალღვინოში და ჩაიგუბებენ პირში და გადმოაქცევენ, დაწოლის დროს იმის ორთქლს იორთქლებენ (ლიჩი). (იხ. მაყაშ.).

ხეტერა ხეპრე, მოუხერხებელი, მოჩერჩეტო. რა ხეტერა კაცი! (ლეღვანი). (იხ. ბერ., განმარტ. ლექს. იმერ. ხეტერი; შდრ. იქვე, რაჭ. ხეშტო).

ხეშეში წყალი ხისტი, ხამი წყალი. აქ ხეშეში წყალია (ლოლორა). (იხ. ს. მ. ტერმ.; შდრ. განმარტ. ლექს. ხეშეში).

ხეცი-ი || ხეცვი-ი მხეცი. ეს კაცი კი არა, ეგ არი ხეცი (ხიდარი); ნამდვილი ხეცვები ხართ (სანახშირე); ხეცვათ ღამინახა (განთიადი).

ხეპეპო იგივეა, რაც ხეპუქი (იხ.). ხეპეპო გადაყარე (ზედუბანი, სანახშირე).

ხეპეპო¹ იგივეა, რაც ხეპკო¹ (იხ.). კაკალს აქ ხეპეპო (ბოსლევო). 2. იგივეა, რაც ხეპკო² (იხ.). ლოკოკინას ხეპეპოები ყრია ეზოში (ღორეშა).

ხეპეპურ-ი || ხეპეპურა მსხალი ხეპეპურა მსხალი მსხლის ჯიშია, აქვს სქელკანიანი, გრძელი, წყლანის ნაყოფი (ვახანი, პერევი).

(იხ. ელ. კახ., განმარტ. ლექს., ჰყ. ხიჭიჭური მსხალი, დიალექტ. აქარ., ალავ. ლეჩხ. ეთნ.).

ხეპო ნაჭუჭი (სინონ. ხეპეპო, ხეპკო, ხეპუჭი, ხეპეპო, ხეპეპო). დაღნა კაცი, კაკლის ხეპოში ჩეეტეოდა (უჩაშეთი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ. ხეპბი, ხეპუჭი, ჰყ., ელ. ლენკეპო, შარამ. ლენკეპო, ლონკოპო, ალავ. ლეჩხ. ლანკეპო, XXIV ხეპი, ხეპეპი. ბერ. ხეპკო, ხეპბი, ხეპუჭი, ს. მ. ტერმ. ხეპბი).

ხეპუჭი-ი იგივეა, რაც ხეპკო (იხ.). მაგარი ხეპუჭია, ვერკტებში (ვახანი); ხეპუჭშია გ-ვაკეთეფ იადენ შიქამაიას. შენს ჭარს ეყოსო (წაჭვა). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ. კვერცხის ქერქი. ბერ., განმარტ. ლექს.).

ხეხილ-ი ხილი. თქვენ ამ ბაზში მეიპარამთ ხეხილსაო (ხილარი). (იხ. დიალექტ. იმერ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2).

ხვავი-ი სიმინდის ტარობის გროვა. კაცეთს დააჯენენ ხვავეფში საყარაულოთ (ტაბაკინი). (იხ. ყიფშ. ხვეე, ხვე, მ. ჭან. ხოვ. განმარტ. ლექს., ს. მ. ტერმ.; შდრ. საბა).

ხვავი-ი² ვაზის ძირში შემოყრილი მიწის თავწვეტიანი გროვა. ჩვენ ვრგავთ ვენახს ერთიმეორეზე ერთი ვერშოკით დაშორებით, მერე დეყურება თავზე მიწა, რომელსაც ხვავს ვეძახით (ქვედა საქარა). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ხვარაგიანი-ი ხორაგეულით მდიდარი, ბარაქიანი. ხვარაგიანი ადგილაა ზესტაფონი (შომახეთი).

ხვარბალ-ი ლობიოს დავარგებული მარცვალი, რომლის პარკიდან გამოღება შეიძლება. დღესე მოკეპილ ლობიოს ვაკეთეფთ და ხვარბალსაც ურევ შიდა (ქვები); მარცვალს რო გეიკეთეფს ლობიო და მისი გამოღება შეიძლება, მერე ქვია ხვარბალი (ზარანი); ხვარბალი ლობიო მოვკრიფე (ხვერი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., მენთ., განმარტ. ლექს.). 2. ხორბალი. ხვარბალი 10 ფუთი მქონდა მოტანილი (ღარიხვეი). (იხ. გურამ., საბა ხვარბალი. ხუარბალი, განმარტ. ლექს.).

ხვარბლამ-ს პარკიდან ლობიოს მარცვალ-მარცვალ იღებს, — მარცვლავს. ლობიოს ხვარბლამს მისთვის, რო გააკეთოს ნედლი ლობიო (ხვერი).

ხვართქლა სარეველა ბალახია, ყველაფერს ეხვევა, პატარა ფოთლები აქვს, იზრდება ლობიოს ბარდივით (ჭალაურთა).

ხვარტი-ი ძლიერი სიცხე, პაპანაქება. რა ხვარტი არი! დახვარტამს (იხ.) ნაყოფს (ხვეი); დღეს ხვარტია (ზედუბანი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. ხვატი; შდრ. იქვე ხვარტი).

ხვერ-ი ქვევრის თავზე დაგლესილი აყალოს შემდეგ დასაყრელი ფხვიერი მიწა. ზევიდან დავაყრით ჰურს ფხვიერ მიწას, ესაა ხვე-

რები (ქვედა საქარა); ქოვრას ვახურამთ ბალიშს, მერე იმას მიწას ჩავგანისავთ, აყალო მიწას, მერე მშრალ მიწას — ხვერს (მოხვა). ხვერწილ-ი ხვეწნა. ხვერწილი აღარ უნდა საქქვს (დილიკაური); მამაჩემს არ დაჰვირდება ხვერწილი, ისე წამოვა (ხვაშითი) (იხ. ალაფ. XXIV).

ხვეტა დაგვა. სახლის ხვეტა დაიწყო (ლეღვანი).

ხვიმერა იგივეა, რაც ხვიმირა (იხ.). ხვიმერა სამსეა სიმი-ლით (პირველი ხვირი).

ხვიმირა დასაფქვავეი მარცვლეულის ჩასაყრელი ოთხკუთხა წაკვეთი-ლი პირამიდისებური (70-100 კილოგრამამდე ტევადობის) ხის ჭურჭე-ლი, რომელიც ვიწრო ბოლოთი (ყელით) მარცვალს აწვდის კრიჰას (იხ.). ხვიმირაა წისქვილში დასაფქვავეი მარცვლეულის ჩასაყრე-ლი. ხვიმირაში 70-100 კილოგრამი ჩადის (ვახანი); ხვიმი-რას ქვედა ნაწილი ვიწროა და ეწოდება ხვიმირას ყელი (იქვე). (იხ. საბა კვიმირი, დ. ნ. ჩუბ. ხვიმირა, ხუმირა, მენტ. კვიმი-რი, ალაფ. ლეჩხ. ეთნ. 103, განმარტ. ლექს., ძიძიგ. ძიებ., დია-ლექტ. იმერ., ქართლ., კუმბ. 284, ნიჟ. ხვიმირი; შდრ. ი. იმნ. ქრესტ. კვირი, ალაფ. ოკრ. ხვიმირა).

ხვინტრიც-ი ხუნტრუცი. ხვინტრიცი მეზარება (ზეღუბანი).

ხვინჯკარო მიწა ხრეძიანი მიწა, ხვინჯიანი. ხვინჯკარო მიწაზე კარქათ ივარგა ბოსტანმა, წირე მიწა კარ არა, მარა პატარა კენჭები ურევი (ტაბაყინი). (იხ. საბა, ხვინჯა, განმარტ. ლექს. ხვინჯი. ხვინჯა, ხვინჯიანი, ხვინჯკა).

ხვინჯირ-ი ხურჯინი. წეილო რძღვენი და ჩაალავა ხვინჯირში (ზეღუბანი); ხვინჯირზე გადაპიკიდე და გამოატანე (წირქვალი). (იხ. განმარტ. ლექს. იმერ. ხვიჯინი, დიალექტ. თუმ. ხუნჯირი).

ხვირ-ი იგივეა, რაც ძარი (იხ.). ხვირი წენელისაგან მოწნული. გძელი, ურძის სოფის ძარია, მარა აქ ხვირს უძახით (ჩიხა); წრე-ულს არ ვარგიყო სიმილი, ერთ ხვირს ვერ გაამსებდა (იქვე); ძარს ხვირს უძახით ჩვენე, მეურმე კაცს ხვირი უნდა ქონდეს და მოიტანს სამითსაც. ძარი რო თხოვო, ვერ გეიგეფს: რა არი ძარიო? (მახათაური); ერთი ხვირი მოეწანი და 18 გოდორი (სავანე). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს. ხვირი¹; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ალაფ. ლეჩხ. ხვირა, ოკრ. ხვირი, ძიძიგ. ძიებ.).

ხვირიფ-ი კვნიტი. ექანა ხვირიფი მარილი მაქ (ბოსღვევი). (იხ. ბ. წერ.; შდრ. განმარტ. ლექს. ხვირიში).

ხიბალუკ-ი ძმრიანი. ხიბალუკს ძმრიან საქმელს ვეძახით (პერე-ვი). (შდრ. საბა ხიბალიკი, ბერ., განმარტ. ლექს. ხიბალუკი).

ხიბარუკ-ი სასაცილო. იმისთანა ხიბარუკი სიტყვა იცოდა ჩემა

ქამბითილმა, რო კაცი მოკვდებოდა სიცილითი (წირქვალი). (შდრ. გან-
პარტ. ლექს. რაქ. ხიბალუკი).

ხიდარა 1. საწნახლის ორი სვეტი, რომელიც გაყრილია მალლა უღელ-
ში და ქვევით საწელურში (იხ.) (სანახშირე). (შდრ. ალავ. ოკრ.). 2.
გადატ. გაუნათლებელი, გაუგებარი, უციცი. ამათი ძველი გურიიდან
წამოსულა, ყოფილიყვენ ცოტა ველური ხალხი, ხიდარა ხალხი,
გაუგებარი (ხიდარი); უფროსი შვილი ხიდარა არი (იქვე).

ხიდურა წელის ტკივილი. კაცსა წენში ხიდურა ქონდა გაჩენილი,
ჰაინც უძახოდენ: სამუშაოთ წამოდიო (ზედუბანი).

ხივ-ა ხივის. წისქვილი ხივა წისქვილი ხმაურობს საფქვავის მიუწო-
ლებლობის გამო ქვების ერთმანეთთან შეხების შედეგად, — ხივის. სი-
მიდი გამოლევია და ხივა წისქვილი (ვახანი); აღარ აქ საფ-
ქვავი და ხივა წისქვილი (წიფა); 9 მთას იქით წისქვილი ქქო-
ნიათ, ხივა და არ მაძინეფსო (იქვე). (შდრ. განმარტ. ლექს. ხივის).

ხივილ-ი || წისქვილის ხივილი წისქვილის ხმაური საფქვავის მიუწო-
ლებლობის გამო ქვების ერთმანეთთან შეხების შედეგად. სიმიდი თუ
არ მიეცი და ისე მუშაოფს, ამას ქვია წისქვილის ხივილი
(ქვაცხე). (შდრ. განმარტ. ლექს.). იხ. ახივლეფს.

ხიზ-ი სასროლი ბადის ცაზე გამობმული თოკი, — ხეზი. ხიზია
სასროლი ბადის ცაზე გამობმული თოკი, რომელიც მაგრდება მეზა-
დურის მაჯაზე (შროშა). || ნამყენსა და ნამყენს შორის ადგილის განა-
წილების თვალსაზრისით სისწორის დასაცავად ნაკვეთში გამობმული
თოკი არის ხიზი (ტაბაკინი). (იხ. ბ. წერ. ხიზი², განმარტ. ლექს.
ხიზა; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. ხინი, დიალექტ.
კახ.-ქიზ., მენთ., ბერ. ხიზა).

ხიზან-ი ოჯახის წევრები, სახლეულობა (სინონ. ჯალაბი). ჩემთან რო
დოვლათი არ იყოს, რამ უნდა გვარჩინოს, 11 სული ხიზანი ვართ
(წაქვა); ამდონი ხიზანი თავზე მახვევია (წირქვალი); რამტელი
ხიზანია? (ქვები); მე ჩემი ხიზანი მყოფნის, რვა ხიზანი
ვართ (ზვარე). (იხ. განმარტ. ლექს., მთიულ., ზ. იმერ. მნიშვნ. 4, დია-
ლექტ. ჯავახ.; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., დიალექტ. გუდამაყ.).

ხიზნიან-ი ოჯახიანი, ჯალაბიანი. ხიზნიანი ვიყავი, სიმიდის ყიდ-
ვაა შენ გოუძღვებდი მაშინა? (შომახეთი); ხიზნიანი სახლია
(საბე).

ხითარ-ი იგეგვა, რაც ხითერი (იხ.). ხითარს აქ საშუალო
ზომის მოვარდისფერო მარცვალი, ისხამს ბევრ ტევანს (ჩიხა). (შდრ.
ალავ. ლექს.).

ხითერ-ი იმერეთში გავრცელებული ვაზის ჯიშია, საშუალო სიმსხოს
მარცვალი აქვს, შავი მოვარდისფრო ან თეთრი ფერისა. ხითერს
მოვარდისფრო მარცვალი აქ (არგვეთი); ხითერი შავმარცვლიანია

(ბაჭითი); ხ ი თ ე რ ი ყურძნის ჭიშია, გემრიელი თეთრი მარცვალი აქ (მახათაური); ხ ი თ ე რ ი არი აქა? (ჩიხა). ხ ი თ ე რ ი ცოტა არი ჩვენ სოფელში (გორისა). (შდრ. ბ. წერ., განმარტ. ლექს.).

ხილაბანდი-თავსაფარი. ხილაბანდი მიტკლის თავსაფარია (ლოლორა); სოველი ხილაბანდით მაქ თავი გაკრული (წიფა); თავი მტკივა, წადი, ხილაბანდი მამიტანე, თავი შევიხვიო (მანდაეთი). (იხ. განმარტ. ლექს. ხილაბანდი; შდრ. საბა, განმარტ. ლექს. ხლა²).

ხიმანი-ფანდი, შარი. (იხ. ქყ., განმარტ. ლექს;). იხ. უ ხ ი მ ა ნ კ ლ ე ფ ს, ხ ი მ ა ნ ო ფ ს.

ხიმანის თავი შარის, ეშმაკობის შესაძლებლობა. ხ ი მ ა ნ ი ს თ ა ვ ი სადა აქ მაგას! (ბოხლევთი). (იხ. ქყ., განმარტ. ლექს. ხიმანი).

ხიმანოფ-ს ეშმაკობს. რაღაცას ხიმანობენ, აბა რა ასუსტეფთ ასე? წამალს სვამენ თურმე (გეზრული).

ხიმე 1. დაპობილი ძელი (სინონ. რაფი). ხ ი მ ე ა დაპობილი ხე (ჭალაურთა); ვენახის ხიმეს მოქყიდი-მეთქი (პერევი); იმ ერისთავს ქონდა ხიმით შამორაგული 200 ქცევა ეზო (წყალშავი). 2. დაპობილი ძელების (ხიმის) ღობე. ხ ი მ ე ა მუხისა და წაბლის დაპობილი ხეები, ორ მარგილს შორის ცირიბულათ (იხ.) ჩაწყობილი, ზევიდან სარეფს აქ გვერგვი (იხ.) (შომახეთი); ხ ი მ ე რ ო მოვარღვეთ, გრიალებდა თორნეი (ხვანე); დეიწყო რიხინ-რიხინი ტყვიამ ხიმეზე (ხრეთი). (იხ. ბ. წერ., განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1).

ხიმეს (ხიმის) ღობე იგივეა, რაც ხიმე² (იხ.). ორ სარს შორის ნაოთხალათ გაჭრილი ნაპობია მოწყობილი; სარეფს, რო არ დეინგრეს, გვერგვი აქ გაკეთებული, ესაა ხიმის ღობე (ხვაშითი); ხიმის ღობეა მარგილეთში ირიბად ჩაწყობილი გაპობილი ხე. მარგილებზე უკეთდება გვერგვი. დოუგრეხელათ უნდა გააკეთო გვერგვი, ბორბალასი ან იელის (ჭალაურთა); დავაპობდით წიფელას კაათ თხლათ და ორ სარს შორის წავაწყობდით ერთმანეთზე, ვაკეთებდით ხიმეს ღობეს (რგანი).

ხიმინის ღობე იგივეა, რაც ხიმეს ღობე (იხ.). წყვილ-წყვილად ჩასობილ სარეფში ჩავაწყოფთ პირდაპირ დაპობილ ან გათლილ ხეებს, თავზე გვერგვს გოუკეთეფთ, ამას ქვია ხიმინის ღობე (განთიადი).

ხინგალი იგივეა, რაც ხირგალი (იხ.). ხ ი ნ გ ა ლ ი ი ნახება პალვალში (ხვაშითი).

ხინკალი-ი „ნამუსრევი, ნამცეცი“ (იხ. განმარტ. ლექს. ხინკალი² მნიშვნ. 2). იხ. ა ხ ი ნ კ ლ ი ა ე ვ ე ფ ს.

ხინტილი-ი ხუნტრუცი. (იხ. განმარტ. ლექს. ხუნტრუცი მნიშვნ. 2). იხ. ა ხ ი ნ ტ ი ლ დ ე ბ ა.

ხინუგ-ი || ხირუგ-ი ქირურგი. ხ ი ნ უ გ ი მევიყვანეთ (უჩამეთი); ერ-
თი ბიჭი ხ ი რ უ გ ი ყამს (იქვე).

ხინჩ-ი ნაკლი, ზალი, ხინჯი. დიდი ხ ი ნ ჩ ი აქ ამ ბოეშს,
კოკლია (საბე). იხ. ა ხ ი ნ ჩ ე ფ ს, დ ა ა ხ ი ნ ჩ ე ფ ს, ი ხ ი ნ-
ჩ ე ფ ს.

ხინჩიან-ი ზალიანი, ხინჯის მქონე. კეთილობიდან არსად მოგვდემს
ხ ი ნ ჩ ი ა ნ ი (საბე). იხ. ხ ი ნ ჩ ი.

ხინწალ-ი მსხვილი ხრეში, — ხეინჭკა. დოუნგრეველი რო იყოს,
ხ ი ნ წ ა ლ ი არ გამოყოფა მაშინ (პერევი).

ხინჭიპ-ი ქვის ნატეხი, წვრილი ქვა. სტოლს შოუღვევი ხ ი ნ ჭ ი პ ი
(უჩამეთი).

ხიოჟ-ი გამხდარი, მკლე. ახლა ერთი ხ ი ო ჯ ი ქალი მყამს, მარა ნუ-
რაფერი აღამიანი ნუ მუუღღება, მისთანა მარჯვე არი (მანდაეთი);
როგორც პატარა ბოეში, ისე იყო ხ ი ო ჯ ი (ლორეშა). (იხ. ბ ე რ..
განმარტ. ლექს., ჯ ა ჯ. X).

ხიოჟა იგივეა, რაც ხ ი ო ჯ ი (იხ.). ხ ი ო ჯ ა ს კ'არ ასუქეფს ძეი
(ზვარე).

ხირაგა თედოს ზედა თავისა და წელის ტკივილი. ხ ი რ ა გ ა ს ეჭყვიან
წენის ტკივილს, თედოს თავს რო დაკრუნჩხავს. ერთხელ ხ ი რ ა გ ა-
ს ა ვ ი თ დამემართა, შეიძლება სამა თვემაც გეიაროს, არ მეტკინოს
(ქორეთი). (შდრ. განმარტ. ლექს. ხირაგი, ა ლ ა ვ. ლეჩხ. ოკრ. ხი-
რაგა).

ხირგალ-ი ბარგი-ბარხანა; ხაბაქხუბაკი. ხ ი რ გ ა ლ ი ძირა სახში მაქ
(ქვაცხე); ხ ი რ გ ა ლ ი ა კასრულეზი, ბოთლები, კალათები, ჭურჭე-
ლი, რაცხაები (შუქრუთი); ოჯახურ ხ ი რ გ ა ლ ს ვინახამთ ჭიევით
(სვერი); ხ ი რ გ ა ლ ი აქ მარტო. ხ ი რ გ ა ლ ი ა ბარგი, ჭურჭელი,
ლოგინი (იქვე). (შდრ. ბ ე რ. ხრიგი, შ ა რ ა შ. ხრენგი, ქ ა ვ თ.
ხრიგალი).

ხირხ-ი იგივეა, რაც ხ ი რ ხ ი მ ა ლ ი (იხ.). მარტარებელი ხ ი რ ხ შ ი
დევტაკა და გოუტეხა ხ ი რ ხ ი ს ძვალი (დილიკაური). (იხ. ქ ა ვ თ.
ხირხი, მ ე ნ თ. ხირხიმელა, ნ ი ე. ხირხალი).

ხირხალ-ი 1. კაპებიანი ძელი. ხ ი რ ხ ა ლ ი კაპებიანი ხეა, რომელ-
ზედაც კიდებენ ორშიმოს, სარცხელს, ორხელს (მანდაეთი). (შდრ. ს ა-
ბ ა, ჯირჯალი, დ. ნ. ჩ უ ბ., ყ ი ფ შ. ხერხალი, ხირხალი, მ. ჯ ა ნ.
წერჯალ, განმარტ. ლექს., ნ ი ე., ს. მ. ტერმ. ხირხალი). 2. კაპებიან
ჯოხზე ასხმული ყურძნის მტევნები. ტოტებიან ჯოხს ნახევენ და, რამ-
დენი ტოტი აქ, იმდენ ტევანს ჩამოკიდებენ და ამას ჯოხიან-ყურძნი-
ნა ეთქმის ხ ი რ ხ ა ლ ი (ჩიხა). (შდრ. განმარტ. ლექს., ლ ე ე. 73).
3. პილპილის ასხმულა. პილპილი რო ავაცვათ, იმას ხ ი რ ხ ა ლ ს
უძახით. წაბლი რო მოვა თაში და ააცემენ, ის ჩურჩხელაა (პირველი

ხვარი). (იხ. განმარტ. ლექს. ხირხალა მნიშვნ. 2, შარაშ. ხაშარი მნიშვნ. 2).

ხირხალა 1. ტოტებიანი საზვინე სარი. ხირხალა მინდა ზვინისთვინ (ხრეთით); ჩერგილი ლობიოს ზვინია, რომელიც იდგმება ხირხალაზე (იქვე). (შდრ. ალაფ. ოკრ., ლეჩხ., განმარტ. ლექს.). 2. ასხმულა- აცმული რაც იქნება, ყველაფერი ხირხალაა (ფუთი); ხირხალაა ჩილი ან წაბლი აცმული (შოხვა); სუნუს მიცა ამხელა ხირხალა (განთიადი). (იხ. განმარტ. ლექს. ხირხალა მნიშვნ. 2).

ხირხიმალ-ი ხერხემალი (სინონ. ხირხი). ხირხიმალი მაქ გატეხილი (ღორეშა); ხირხიმალის მალეები მტკივა (შომახეთი). (იხ. მენტ., განმარტ. ლექს., დიალექტ. კახ.-ქიზ. ხირხიმელა, ნიჟ. ხირხალი, მაის. ხერხემი).

ხის ბარი მთლიანი ხისგან გამოთლილი ჭურის მოსახდელი პირგრძელი ბარი (სინონ. ბარულა, ძელბარი). მათხოვე ხის ბარი ჭურის მოსახთელათ (ზედა საქარა); ხის ბარით მოვხით ჭურსა (ბაჯით).

ხის გობი იგივეა, რაც ონჯარო² (იხ.). ხის გობია, რომელშიც გადის საოტყე ქვაბის მილი (ვანი).

ხიფსელა უღობადი ხეა, კილვას (იხ.) აკეთებენ მისგან (შომახეთი): ხიფსელა არის ანწლას მარცვლის მსგავსი ნაყოფიანი ხე (ხილარი).

ხიშათ თავისუფლად. სილა მიწა უფრო ხიშათ გამოდის, თავისუფლათ, სახენელს არ მეედება (წყალშავი). (შდრ. განმარტ. ლექს. ხიში).

ხიჯავ-ი ხუმრობით კიდაობა, ბლლაძენი (სინონ. ქირცავი). (იხ. ქავთ.). იხ. წამეეხიციავება, ხიციათა.

ხიციათ-ს ხუმრობს, ხუმრობით კიდაობს. მივიღვართ და თან ვხიციათ (წარანი). იხ. ხიციავი.

ხიწინა ლობიოს პარკის ბეწვი, — ფხა-კყინტ ლობიოს ხიწინა აჯ (ხილარი).

ხიწინ-ს ღრღნის, ხრავს. დოუყარეთ წინ და ხიწინონ ძვლები (ჭალაურთა). (შდრ. ბ. წერ. ხიწნა, განმარტ. ლექს. ხიწინის).

ხიხვი-ი მკადის ან პურის ნამტერევები. ჭადის ხიხვი გადუყარე ქათმეფს (ზედუბანი). (იხ. ქავთ. ხიყვი; შდრ. განმარტ. ლექს.).

ხლებულ-ი მხლებელი. ეს ჩემი ხლებული ქე დავგიოვრა (ბაჯით). (იხ. განმარტ. ლექს.).

ხმალა თახის ჭურჭლისთვის მიწის საზელად გამოყენებული ხის ხმალი. ხმალას პატარა, წვრილი ტარი აქ, ხმალზე უფრო ფართო და ჩაზნექილია. ორი საათის განმავლობაში თირიან (იხ.) აყალო მიწას ფეხით ვზილამთ, მერე დევიწყეფთ ხმალით ზელვას. ხმალას

ამოზნექილი მხრიდან ურტყამთ ტალახს ერთი საათის განმავლობაში (ბოსლევო). (იხ. ბ. წერ., მენთ. კმალა, განმარტ. ლექს. მნიშვნ. 3). ხმალდახმალობა ხმალდახმალ შებმა, — ომი. შენს სამეფოს ხმალდახმალობა ელის და გეიმარჯვებთო (შომახეთი).

ხმარულოფ-ს ხმარობს. ეს ხალათი გძელია და ვერ ვხმარულოფ (ტაბაკინი); გუგულა ჩემ გობს ხმარულოფს (დილიკაური).

ხმას მოარწყევს გაავრცელებს. თელ საპკოში მოურწყევია ხმა: წყერეფს ზდისაო (ტაბაკინი).

ხმელადობა უნალექო, მშრალი ამინდები. თფილმა აერმა გარეკა თოვლი, ხმელადობამ წეიარა (ფარცხნალი). (იხ. განმარტ. ლექს., ქავთ. ხმელარობა).

ხმელი გული იგივეა, რაც ხმელი სისხლი (იხ.). ხმელი გული რო გოუელის საქონელს, ენას ჩოუგდეფს, თუ მოუსწარო, წაავლე ენაზე ხელი და ამოწიე, მორჩება (პერევი); ხმელი გული რო ექნება საქონელს, ყური თვარ გოუქერი, ენას მოტაცეფს, კლამს (ხევი).

ხმელი სისხლი საქონლის დაავადება. საქონლის ხერხემლის ავამტყოფობაა ხმელი სისხლი (ზედუზანი); ხმელი სისხლი საქონელს წენს (იხ.) მოწყვიტამს (მოხვა). (იხ. დიალექტ. იმერ. ურჩხი). იხ. სისხლი, ხმელი გული.

ხშიად-ი საფუერისა და მარილის გარეშე მაგარი ცომისაგან კეცზე დამცხვარი პურია (შროშა); პურის მაგარ ცომს მოვზილამთ წყლით, საფუერისა და მარილის გარეშე და დეაცხოფთ კეცებზე, ესაა ხშიადი (დილიკაური). (იხ. საბაკშიადი, დ. ნ. ჩუბ., დიალექტ. მთიულ. ხშიანდი, განმარტ. მნიშვნ. 1; შდრ. მენთ., უთურ. კშიადი). ხანბარ-ი იგივეა, რაც ხანბარი (იხ.). ხანბარში არ იყვენ და კვტარი მიაყენეს კარებზედაო (მერჯევი).

ხნევანი-ი ხნიერი. ნინა ხნევანი ქალია (ბერეთისა); ზოგი ხნევანიც იყო იქა (პირველი ხვირი); ჩემი მაზლი ხნევანი არ იყო, ომში დეიკარქა (ზედა საქარა). (იხ. განმარტ. ლექს. ხნე მნიშვნ. 1, ქავთ. ხნე).

ხნემოვლილი-ი ხნიერი (სინონ. ხნევანი). ხნემოვლილი ქალია, მარა გამომადგებო, — იფქრა ამ კაცმა (ზევარე).

ხოდედა ჰოდა. ი გოგოი დამიმქერივდა, ხოდედა, არ მოუხედნია აქეთ (ქვები); არ გოუშეფე მე იმა სახში, ხოდედა, გავცემ პასუხს (ზევარე).

ხოკ-ი ლორის დაავადება. ხოკი ლორის ავამტყოფობაა, იცის პირის ლებინება (უჩამეთი); ხოკი ლორს ვაბერამს, კბილეფს აკრაქუნეფს (მოხვა); ხოკი ლორს წენს მოწყვეტს, საკმელს არ ქამს, ყელში ახროტინეფს (შომახეთი); ხოკი ლორს უკან ნაწილს ტაცეფს (ხოვ-

რეთი). || თხისა და ცხერის ავადმყოფობაა. ხოკი უჩრებათ გლიდან; ყბები ჩამოუსივდება (პერევი). (იხ. საბა ხოკა, დ. ჩუბ. ხოკი. ხოკირა, ნ. ჩუბ. ხოკო, ხოკინება, განმარტ. ლექს. ხოკი², დიალექტ. იმერ. ხოკი (ა), ქავთ.; შდრ. ბ. წერ.).

ხოკი² გოგრის (კვახის) ქერქი. კვახის გულს რო შექამ, რჩება ხოკი (უჩამეთი). (შდრ. დ. ნ. ჩუბ. ხოკი, ხოკერი).

ხოკი³ ძვლოვანი ფარი, — ხობოკვერა. ხოკს უძახით კუს ძვლოვან ნაწილს (შროშა). (იხ. განმარტ. ლექს. ხოკი¹, დიალექტ. იმერ. მხიშენ. ბ.).

ხოკერა კვახი სქელკანიანი გოგრა. ხოკერა კვახი ხმელკანიანი ტპილი კვახია (უჩამეთი). (იხ. მენთ. ხოკერა გოგრა, ბერ. ხობოკა, ხობოკურა, ალავ. ლეჩხ. ხოკერა, განმარტ. ლექს. ხოკერა მნიშვნ. 3, ჯაჯ. IX ხეკერა კვახი, ხოკორა კვახი, ნიჟ. ხაპერაჲ; შდრ. დ. ნ. ჩუბ. ხოკი, ხოკერი, ჯაჯ. X ხოკო, ნიჟ. ხოკერი, უთურ. ხოკერ ო ს. მ. ტერმ.).

ხოლი-ი (|| ჭოგრი) კაკლის მოსაბერტყი ჯოხი. ხოლით კაკალს ვბერტყამთ (ზედუბანი). (იხ. ბერ., განმარტ. ლექს. რაჟ. ხოლი¹). იხ. ხალა.

ხოლიხოფ-ს ირევა. რავა ხოლიხობენ ხალხი (მორძგვეთი). (შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს. ხოლიხი).

ხოლმანდ-ი ხომალდი (იხმარება შედარებისას სიდიდის გამოსახატავად). მამაჩემი უშველებელი ხოლმანდივით კაცი იყო (წირქვალი); არ მაქ ხოლმანდივით ფეხები? (ტაბაკინი); ამის ცოლი ხოლმანდივით ქალია (სვერი).

ხომე 1. ხოლმე. მევიდეს ხომე აქა და გეთიოს ღამეი (ხიდარი); მოვტკები ხომე სიცილით, ლაპარაკს რო დეიწყევს (იქვე). (იხ. დიალექტ. ქართლ., კახ-ქიზ., განმარტ. ლექს.). 2. ხომ. ციალაც წევიდა ხომე? (ხიდარი).

ხოჩა 1. ოდნავ გულამოღებული გრძელი ფიცარი. ხოჩა გძელი ფიცარია, რომელსაც ნაპირები ამოწეული აქ. ზედ ვხელავთ (იხ.) პურს, ან ჩილს ვაფენთ (განთიადი); ხოჩები ქონდათ საკმლის მისატანათ, პურს დადებდენ, შეკამადს დააწყობდენ (ლეღვანი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 1. დიალექტ. თიან.; შდრ. იქვე ინგილი.). 2. ხის მომცრო, დაბალნაპირებიათი თეფში. პატარა ფიცარა იყო ბლუღივითა, ხოჩას ეტყოდენ (ვახანი). (იხ. საბა ტაბაკი, სიფლი, ხონჩა, დ. ნ. ჩუბ. სეფილა, ტაბაკი, ხონი, ხონჩა; შდრ. განმარტ. ლექს. ტაბაკი მნიშვნ. 1). 3. დაბალი, ოთხფეხიანი ხის სუფრა, — ტაბლა. გამეიტანეს ხოჩა, ჩაფი ლეინო, დედალი, მისი ხაქაპურები და ყოლიფერი აწყვია ზედ (ხიდარი). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ.

ტაბლა, განმარტ. ლექს. ტაბაკი მნიშვნ. 2, ტაბლა მნიშვნ. 2, დიალექტ. ლეჩხ. ტაბაკი, რაჭ. ხონჩა, ხონჩუკა).

ხოპ-ი თევზის დასაქერად სპეციალურად მოწნული პირფართო და ეიწრობოლოიანი გოდორი. ჩადებენ მდინარეში, სწრაფი დინების ადგილას, და მასში ჩასული თევზი უკან ველარ ამოდის. ხოპი პირფართო და ძირვიწრო გოდორია, რომელიც იმგვარადაა მოწნული, რო თებზე თავისუფლათ ჩადის და უკან ველარ ბრუნდება. ჩავდგამთ ხოპს წყალში, მდინარე რო მიდის, მოწინააღმდეგე მიმართულებით, ყველა თებზეა უნდა გეიაროს იქა და ასე ვიკვირავთ (ჩხირაული); მდინარეზე წვევიდოდი ხომე, ხოპეფ გოუგებდი და ვიქერდი თებზე (მახათაური). (ძღრ. საბა, განმარტ. ლექს. კულმოზვერა, იქვე კოკოზა, ალაფ. ლეჩხ. ხოპე).

ხოპამ-ს გოგრას წმენდს, გულს აცლის. თურმე კვახეფს ხოპემ დენ ბოვშები და გოუკუქია ხელი (სავანე).

ხორა 1. საენად დაწყობილი შეშა. შეშას საენათ რო დადგევენ, უძახით ხორას (ჯალაურთა); თვარ შეგეძლოს, ბებერო, ხორა დგიო (ანდაზა) (ლიჩი). (შღრ. განმარტ. ლექს. ხორა¹). 2. გროვა. ხორათ დაყარა სამიდის ტაროები (გეზრული).

ხორცის ლობიო ლობიოს ერთ-ერთი ჯიში, აქვს დიდი, ბრტყელი პარკი. ხორცის ლობიო ყვითელია, როგორც სანთელი, ბეწვი არა აქ, მალე იხარშება, პარკი გძელი აქ, გვიანობამდი არ იღეფს გულს (განთიადი); ხორცის ლობიოს ხორციშიდაც ხმარობენ, ყვითელია, პარკი აქვს პრტყელი (ზედა საქარა).

ხორცსათალ-ი გადატ. კეთილი; მშვიდი. ქეთო ისეთი ხორცსათალი ქალია, მოსვლაზე უარს არ გვეტყვის (განთიადი).

ხორხა იგივეა, რაც სატოკავი (იხ.). ხორხა ზესადგრის გასქელებული ნაწილია ან ზესადგარში ქვევიდან ამოკრული ხის ნაქერი, რომლითაც ღერძს ეყრდნობა ზესადგარი (ქვაციხე).

ხოხია ლობიო || ხოხიას ლობიო იგივეა, რაც შვიდკვირა ლობიო (იხ.). ხოხია ლობიოს გძელი წვრილი მარცვალი აქ, კრელია, წითელზე აქ მოთეთრო-მოყვითალო ზოლები, ფხა აქ, ამოსალეათაც იხმარება და კირკაეთათაც (შუქრუთი); ხოხიას ლობიო შვიდკვირა ლობიოა, წვრილი მარცვალი აქ წითელზე თეთრით (მანდაეთი).

ხოხრავ-ს მიწას წმენდს ბალახისგან. კორდს ხოსრემ და მამაჩემი, ჰუუვარდა იულონ კიკნაძე: — ეგ ადგილი ჩვენია, ნუ ხოსრამ მაკასაო (ზარანი).

ხოტრავ-ი ავადმყოფობა, რომელიც იწვევს თმის ცვენასა და თმინი ადგილის გაშაშვლებას თავზე ან სახეზე. ხოტრავი ქონდა ამკაცს და მოვარჩინე. ხოტრავის წამალია: ქორჩიოტა (იხ.) და

ნიორი უნდა მოლესო სოხანეზე (იხ.), ღვინის ძმარი უნდა დაასხა და ისთრე მოლესო. ჭინჭრის ძირი უნდა გარეცხო, დაჩეჩქო და მოხარშო წყალში. ჭინჭრის ძირი მეტი უნდა, წყალი — ცოტა. დილას რო წეისვამ სოხანეზე მოლესილ ქორჩიოტას და ნიორს, საღამომდი გექნება, საღამოს მორეცხამ ამ ჭინჭრის ნახარშით და ხელახლა წოუსვამ ბოტრავის წამალს (განთიადი). (იხ. ჭყ., ბ. წერ. ხოტრა მნიშვნ. 2, ჟღ., განმარტ. ლექს. გურ. ხრიკი², ქავთ. ხოსრავი). შღრ. ხოსრავს.

ხოშაკაქალა წვრილი, გაყინული თოვლი, — ხორხოშელა. ხოშაკაქალა ისეა, როგორც რომ სიმიდის ნაღერლი (ფარცხნალი). (იხ. განმარტ. ლექს. გურ. იმერ. მნიშვნ. 2, ქავთ.).

ხოშორ-ი „წვრილისა და სხვილის საშუალი“ (საბა), მომსხო. ხოშორი მარილი დააყარე ხორცს (ტაბაკინი). (იხ. დ. ნ. ჩუბ., განმარტ. ლექს.). იხ. ამოხოშრამს, ეხოშრება.

ხოჩიჩი-ი თხელი ფიცარი, რომელზედაც აკვანში ჩაწვენამდე დააყარვენ ახალშობილს, — ხოჭიჭი (პარალელურად ხოჭიჭიცი იხმარება). ხოჩიჩზე დააყარედენ პატარა ბოვშს, მერე აკვანში გადიყვანდენ, პატარა რო იყო, ხოჩიჩზე წელი გოუსწორდებოდა (განთიადი); გათალეს ყავარი, ლერწამი გოუყეთეს და გადააყრეს ბოვში ხოჩიჩზე (ლორეშა). (იხ. საბა, გურამ. ხოჭიჭი, დ. ნ. ჩუბ., მენთ., კირ. ხოჭიჭი. განმარტ. ლექს. ხოჭიჭი მნიშვნ. 1. ალაგ. ოკრ.; შღრ. ნიჟ. ხოჩიჩი).

ხოწი-ი ხისტარიანი და რკინისდანიანი ხელსაწყოა, რომელიც იხმარება ურმის გოგორის ხუნდში ღერძის გასაყარის გამოსაჭრელათ (ტაბაკინი); კობზეფს რო აკეთებენ, კობზის გულის ამოსაღები იარაღია ხოწი, პტყელი არი და მოხრილი, რო გოუსევას ხეს და გული ამოიღოს (ვერტყვიჭალა). (იხ. ბერ., ჭყ., განმარტ. ლექს. ხეწი, ხოწი, მნიშვნ. 1. უთურ. ხოწი, დიალექტ. რაჭ. მნიშვნ. გ; შღრ. ბ. წერ., დიალექტ. ქართლ.).

ხოჭეჭი-ი იაივია, რაც ხოჩიჩი (იხ.). თურმე ხოჭეჭზე დამაყრეს და წამიყვანეს და გამზარდა ბიძამ მღვიმევეში (მოხვა). (იხ. კირ. ხოჭიჭი).

ხოჭოჭინა ნიუარა. ხოჭოჭინადან გამოსულია ლოქორია (იხ.) (ტაბაკინი). (იხ. ჭყ., განმარტ. ლექს. ხოჭიჭი მნიშვნ. 2).

ხოხნა ვენახის მეორედ გათოხნა. მარგლაი სიმითს უნდა, ვენახის მორე თოხნი იყო ხოხნა (მეორე სვირი). (იხ. ჭუმბ. 83; შღრ. ჭყ., განმარტ. ლექს.).

ხოხნი-ს ვენახს მეორედ თოხნის. ვენახს თავის ალოზე (იხ.) ფესოეფს დავაჭრიდით, ვაქიმობდით წამლით, მოვხარდნავდით, მერე გაეთოხნი-

დით პირადს, მორეთ გ ა ვ ხ ო ხ ნ ი დ ი თ (მეორე სვირი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ხოხბის-საკენკელა ბოტ. კაების საკენკელა. ხ ო ხ ბ ი ს-ს ა კ ე ნ კ ე ლ ა ბალახია, აქვს წვრილი თეთრი მარცვლები, ხმარობენ შარდის შეკავების საწინააღმდეგოთ (უჩამეთი). (იხ. მ ა ყ ა შ.).

ხოხბის-საწეწკველა ბოტ. იგივეა, რაც ხ ო ხ ბ ი ს-ს ა კ ე ნ კ ე ლ ა (იხ.). ხ ო ხ ბ ი ს-ს ა წ ე წ კ ვ ე ლ ა ბალახია, წამლათ ხმარობენ (ზედუბანი). ხოხოპ-ი ხოხოპი. ხ ო ხ ო პ ი ქათამზე მორჩილა გარეული ფრინველია (ფარცხნალი).

ხოხუზ-ი კაციმკვლელი. მიუყენეს შპიონეთს ხ ო ხ უ ზ ე ბ ი, იარაღი მიცეს კაი. თ'ვარ მოკლემდი შპიონა, მერე ის უნა მეეკლათ. თვითონ ხ ო ხ უ ზ ი (ლიჩი). (შდრ. ბ ე რ., განმარტ. ლექს. ხუნხუზი). ხოჯოჯ-ი იგივეა, რაც ხ ო ჩ ი ჩ ი, ხ ო ჭ ე ჭ ი (იხ.). ხ ო ჯ ო ჯ ი ფიცარია სიგძით 60 სმ-მდე, სიგანით 30-35 სმ, რომელზედაც აკვანში ჩაწვენამდე აწვენენ ბავშვს. მე ხ ო ჯ ო ჯ ი თ წამიყვანეს გასაზღელათ (ჭალაურთა).

ხრაპი || ხრუპი ყელში სასმლის ერთგზის, ერთ მოსმაზე ჩაშვება, ყლუპი. ერთი კაცი ტკვარს გადაფაქვებია (იხ.) ზედ და იძახის: ხ რ ა პ ი ვ ქ ნ ა, ხ რ უ პ ი არა ხარ. ხ რ უ პ ი ვ ქ ნ ა, ხ რ ა პ ი არა ხარო (ღარხევი). (იხ. ს ა ბ ა, განმარტ. ლექს. ხლაპი, ხლაპი-ხლუპი; შდრ. დ. ნ. ჩ უ ბ. ხლაპი, ხლაპი-ხლუპი, ბ ე რ.). იხ. ე ხ რ ა პ ე ბ ა.

ხრეწილ-ი ნიაღვრებისაგან ჩამორეცხილი ადგილი კლდეზე (სინონ. დღოწი). ციკაბო კლეა ხ რ ე წ ი ლ ე ბ ი, ჩამორეცხილი, ჩამოხვეტილია სულე (ზედა ჭალოვანი). (იხ. დიალექტ. მოხ. კაჭი).

ხრიკა იგივეა, რაც ხ ა პ ი (იხ.), მხოლოდ დიდი. ტკბილს თალარიდან. (იხ.) ვიღებთ ხ რ ი კ ა თ ი (პირველი სვირი); დილა ხაპია ხ რ ი კ ა, 4-5 გააფსეფს სარწყავ ჩაფს (მეორე სვირი). (იხ. ჭ ყ. ხრიკი. მენთ. მნიშვნ. 2, განმარტ. ლექს. ხრიკა² მნიშვნ. 1, ყ ლ., დიალექტ. ლეჩხ.).

ხრილ-ი „ჩურჩხელაზე და ტკბილისკვერზე თეთრად მოღებული შაქარი“ (განმარტ. ლექს. ხრილი² მნიშვნ. 3). შაქრის ხ რ ი ლ ი გამოიღო ჩემა ტკბილიკვერმა. მზის სხივს გამოყამს შაქარი და გარედან თეთრაუ დეფრქვევა სილის მზგამსათ, ღერლილას მზგამსათ არი (ჩიხა); გოზინაყმა და ტკბილიკვერმა ხ რ ი ლ ი გეიკეთა (შომახეთი); ხ რ ი ლ ი დააყარა ახლავე ტკბილიკვერს (ჩქვე). || ცოცხის მარცვლების ნაფიფქი. ცოცხმა ხ რ ი ლ ი ს დაცვენა იცას (ბოსღევი). (შდრ. ბ. წ ე რ., შ ა რ ა შ., ა ლ ა ვ. ლეჩხ. XIII, მენთ. კრილი, ს. მ. ტერმ.).

ხრიოჟ-ი ხრაოკი. ხ რ ი ო ჟ ი ადგილებია, უვარგისი, კლიანი (ვახანი). ხრომ-ი ფულურო. ხ რ ო მ ი ფულურაა, გამოხრომილი რო ექნება ხეს, გამოღრუნტული (მოხვა). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ხროსტი კაცი ბუმბერაზი; ახმახი. ეს მორჩილი იყო და ახლა დიდი ხროსტი კაციაო, — იფიქრა (ზვარე). (შდრ. საბა ხროხი, განმარტ. ლექს.).

ხრუჭნი-ს მიწას აღრმავებს. ნუ ხრუჭნი მიწას, მეტი სიღრმე ორმოს აღარ კირდება (ხიღარი). იხ. ამოხრუჭნული.

ხსეულ-ი ხსეული. აღარ მეგონა, თუ რამე ხსეული მქონდა (უჩამეთი, ღარიხვევი).

ხსნელ-ი გამხსნელი. რიგი ხსნის, რიგი სკვნის. ხსნელმა აჯობა სკვნელს (შროშა).

ხტულ-ი მიწის ნაკვეთზე გატარებულ კვლებს შორის ფართობი მარცვლეულის დასათესად. ყანაში წავლენ დასათესათ, გაატარებენ კვლევს 3-3 მეტრის დაშორებით და ამ კვლევს შუა თესავენ. კვლევშუა ადგილს ხტული ეწოდება (ვახანი); რო ვხნამთ ჩვენე, 4-5 მეტრამდე ვტოვეფთ ნახნავსა და ნახნავს შორის დაუხვნელს, ის ხტულია (ქვები); ორი კაცი ხნამს, ერთი დაბლა, მეორე — ზემოთ. შუაზე გახნავენ კავით, ერთაც ხნავს და მეორეც, მათ შორის თავისუფალი ადგილია. ამით გამოყოფილი დასათესავი ადგილი ხტულია (წიფა). (იხ. ბერ., ალავ. ოკრ., დიალექტ. ლეჩხ. ნიხა; შდრ. განმარტ. ლექს. იმერ.). იხ. ხტულამს.

ხტულამ-ს მიწის ნაკვეთზე კვლების გავლებით გამოჰყოფს დასათესავად ფართობს, — ხტულს. ყახეფში რო ხარს გევიბამთ, ერთ კვალს გადაეფხაჭამ, მეორეს, ე. ი. დავხტულამ, მერე იხტულს მოვთესამთ (ბორითი); ხენის დროს ხტულავენ მიწას (წიფა). (იხ. დიალექტ. ლეჩხ. დანიხვა). იხ. ხტული.

ხუა ბოტ. მცენარის სოკო, რომელიც აავადებს სიმინდს, — გუდაფშუტა. ხუა სიმინდის სოკოა, სიმითში გამეყრევა და ტაროს ქარ მოიტანს, დარჩება უტაროთ (ქორეთი); ხუა სიმინდის ავანტყოფობაა, ტაროს ადგილზე არი შავი, თბის მზგავსი მტვერი (ხვერი); ხუა სოკოა, ქუჩუჩოზე უჩთება სიმითს (ხვაშითი). || ხუაი პურის მავნებელია (პერევი). (იხ. ქყ. ხუ).

ხუზარა ციმბირის წყლული. ხუზარაა, საქონელს ტანში რო გაუჩთება ჩირქოვანი ადგილები. ხუზარიანი საქონლის ხორცი რო შექამო, მამნებელია. ბევრ საქონელს წყვეტტა, ახლა აცრაა (პირველი ხვირი); ხუზარა საქონლის ავანტყოფობაა, ან გაუსავედება თავპირი, ან წენში ეტაკება (პერევი). (იხ. განმარტ. ლექს.). იხ. იხუზრება.

ხულა¹ 1. სასიმინდის გედა სართული, სადაც ჩამოდის და ინახება სასიმინდის საცეხვეში მოფშენილი სიმინდი. სასიმინდის ზედა სართულში საბეგვია, ქვედა გაპოლილი ხულაა, სადაც ინახება გამხმარი სიმინდის მარცვალი (ჭალაურთა); მაღლა სართულში იცეხვება სიმინდი

და ძირს ჩამოდის, ხულაში (ზედუბანი); სასიმიდეს ძირს ხულა აქ, სიმიდს რო დაცეხვევენ, ჩადის ქვეშ (აერევი). (იხ. კუ მბ. 287; შდრ. საბა, დ. ნ. ჩუბ., ყლ., დიალექტ. გურ., აპარ., ჯაჯ. IX, განმარტ. ლექს. ხულა¹ მნიშვნ. 1, დიალექტ. რაჭ. ხულუკა). 2. წისქვილის შენობა. წისქვილისთვის უნდა დადგა ხულა, ხულას ქვეშ გავაკეთეთ ბორბლევს (ზოვრეთი, ვანი). (იხ. ჯაჯ. IX).

ხულა² ხურმა. ხულა ჭერ კიდევ მოუკრეფელი გვაქ (წირქვალი); ხულმა || ხუმლა || ხურმა ხურმა. ეს ხულძის ხეა (ქვები); ხულა მოსაკრეფია (ვახანი, ფარცხნალი); ხურმლა კაია ზამთარში (ლოლორა). (იხ. საბა, დ. ნ. ჩუბ. ხულმა, ქავთ. ხუმლა; შდრ. დიალექტ. აპარ. ხუმბრა).

ხუნდ-ი იგივეა, რაც მურგვი (იხ.). ხუნდია ურმის თელის შუა მორი, რომელზედაც დამაგრებულია სოლები. ხუნდში გაყრილია რკინის ღერძი, რომელიც აკავშირებს ორ გოგორას (ჩიხა); ხუნდია ხის მორი, რომელსაც შამოსხმული აქ სოლი, რვიდან თორმეტამდე (ჭალაურთა). (იხ. ბ. წერ. მნიშვნ. 1, განმარტ. ლექს. ხუნდი¹ მნიშვნ. 3; შდრ. დ. ნ. ჩუბ., ყიფშ., გურამ. ჭუნდი, ალაგ. ლეჩხ. ხუნთი, დიალექტ. გურ.). 2. წისქვილის ბორბლის ხის ნაწილი, რომელშიაც ჩადის ყელა (იხ.) და გარშემო დაგებული აქვს ფრთები. წისქვილის ბორბალს აქ ხუნდი, რომელშიაც ჩადის ყელა. ხუნდს აქ ფრთები, რომ მათ მოხვთეს წყალი და ამოძრაოს ბორბალი (გორისა) (შდრ. ბ. წერ.).

ხუნწკალი-ი ყურძნის კურკა, თესლი, — წიბწა. ყურძნის მარცვლევში თესლი რთა, ხუნწკალი ქვია (ხრეთი); ხუნწკალი რო არ გაყვეს, ოქროცოცხას უყეთებენ საწნახელს (ტაბაყინი). (იხ. საბა, განმარტ. ლექს. ხუნწკალი, შარაშ. ხუნწუნწკალი).

ხუოფ-ს უარობს, უარს ამბობს. ხემწიფე მოკვტა, დააყენეს შვილი მის ადგილზე, იხუა. ვერ გავჩერდები მამიჩემის ადგილზეო (ფარცხნალი); უთხარი, შეიძლება მაგანაც იხუოს (ჭალაურთა); დედაი ძან ხუობდა, მამას აღარ უხუებია, დათანხმდა (შომახეთი); აღარ მამეკარა, რო ვხუობდი (ლორეშა). (შდრ. ყლ. ხუობა, ნინოშ., განმარტ. ლექს.).

ხურალ-ი მხურვალე. ფეჩი ხურალია (ხვაშითი). (შდრ. განმარტ. ლექს.).

ხურგა ბუჩქი. თხილის ხურგები დათხარეს (უჩამეთი). (იხ. ბერ. ხურგი, ალაგ. ლეჩხ. ხვილე).

ხურდულ-ი იგივეა, რაც ხურდუმი (იხ.). იხ. ახურდულავეფს.

ხურდუმ-ი 1. იგივეა, რაც ქუბი (იხ.). ჭერ სიმიდი მოიტეხება. მერე ჩალა მოიჭრება, კონები კეთდება, ჭერ გაშრება, დახურდუმდება.

ხ უ რ დ უ მ ს უ ძახიან, 4-5 კონა რო არი ერთმანეთზე წვეროებით მიწყობილი გასაშრობათ (სავანე). 2. გროვა; ხ უ რ დ უ მ ა თ არი ქვე-ბი დადგმული (ხიდარი); ხ უ რ დ უ მ ი ა ორი-სამი ან მეტი გოდო-რი ტარო, ერთათ თავმოყრილი. ხ უ რ დ უ მ ე ფ ს ეზიდებიან სა-ზურგე გოდრებით (ხიდარი). (იხ. ა ლ ა ვ. ლეჩხ. ხორდომი; შდრ. ბ. წ ე რ.).

ხუროა ხუმრობა. ხელი მამაფარა თვალეზე, დამიწყო ხ უ რ ო ბ ა (წიფა).

ხუხტარა || ხუშტარა სადურგლო შალაშინი ხის გასასწორებლად, — ქუშტარა. ხ უ ს ტ ა რ ა ხის გძელი 50-60 სმ სიგძის ხელსაწყოა, შუაში ჩასმული აქ რკინის პირი და იხმარება ყოველგვარი ზედაპირის გასასწორებლათ (ტაბაკინი); ხ უ შ ტ ა რ ა გოუშალაშინებელ ფიცარს ასწორეფს (მანდაეთი). (იხ. კ ი რ. ხუშტარა, ბ ე რ. ხვიშტარა | ე-მ, განმარტ. ლექს., ე ლ. ხუშტარა, ა ლ ა ვ. ოკრ. ხუშტარა ბეჩო, ძ ი-ო ი გ. ძიებ. ხუშტარა).

ხუხურ-ი კუკური. ნიყვის ხუხური გოუშლელი ნიყვია (ჩიხა). შდრ. ხ უ ხ უ რ ო.

ხუხურა ჭიჭლაყას მტევნებად შეკრული ყვავილები, — ყვავილედი. ჭიჭლაყაი დაბერებული არი, მარტო ხ უ ხ უ რ ა ი ა დამარცვლული (ლეღვანი). იხ. ხ უ ხ უ რ ო.

ხუხურო 1. ნიგვზის, წაბლის, თხილის, მურყნისა და მისთანათა ყვა-ვილედი. ხ უ ხ უ რ ო კაკლის, წაბლის ყვავილია, მუხლუხოს მზგავსი რაა (ლეღვანი); ეგე თხილის ხ უ ხ უ რ ო ე ბ ი ა (უჩამეთი); ხ უ ხ უ-რო აქ თხმელას (გეზრული); ხ უ ხ უ რ ო ნიგვზის ხის ყვავილია. თხმელისაც, ხ უ ხ უ რ ო ითქმის ფიკვის, ნაძვის ყვავილზეც (ტაბა-კინი). (იხ. ს ა ბ ა, დ. ნ. ჩ უ ბ. მკადა, ა ლ ა ვ. ლეჩხ. XIII ბაწარა; შდრ. ბ ე რ., განმარტ. ლექს. იმერ.). 2. იგივეა, რაც ხ უ ა (იხ.). ხ უ ხ უ რ ო სიმიდის ტაროზე სოკოსავეთ არი, შავი ფქვილია ხ უ ხ უ რ ო ი ა ნ ი სიმიდი მეტმა წვიმებმა იცის (ჩხირაული).

ხფო ხზო. ხ ფ ო შეიძლება დეკეული იყოს, შეიძლება მოზვერი (შო-მახეთი). (იხ. დიალექტ. თუშ. კმოფ, ლეჩხ. ხფო, იმერ. ხფო, ხზო, ხზო, მოხ. ხბებში).

ხვენა გახელება, გაბრაზება; ღრქენა. ხ ქ ე ნ ა ი არ უნდა დოუწყონ ერთმანეთს (ლორეშა). (შდრ. ქ ა ვ თ. ხვენა, უხვენს). იხ. მ ო უ ხ-ქ ე ნ ს.

ჴ

ჴა იგივეა, რაც უ რ მ ე უ ლ ი (იხ.). ჴა იღმება სიგძეზე, ახლა არ ვიცით, მამაჩემი დგემდა (ქვები); ჴა 3-4 მეტრის სიმაღლეზე დეიდ-გმებოდა (ზვარე); შეკონილენ 5-5 ძნას. ძნებისაგან დადგამდენ ჴას.

100-120-მდე ძნა იყო ჯაში (ვახანი); ძნებისაგან იღგმება ჯა (ხე-
ვი); სიმინდისა ზეინია. პურის — ჯა (წიფა). (შღრ. ა ლ ა ვ. ოკრ.).
ჯაბანი-ი გამძლე. ჯაბანია პრასი, თუ ძიელ ყივნა არ იქნა, არ გა-
ფუქტება (წაქვა). (შღრ. რ უ ს თ., გ უ რ ა მ., ს ა ბ ა, ბ ე ს ი კ ი,
ქ. ცხ., დ. ნ. ჩ უ ბ., განმარტ. ლექს.).

ჯაბარყულ-ი || ჯაბარყურ-ი ქვაბის ან კალათის სახელური, ყური.
პატარა გოდორივით კალათია და ზედ აქ გვერდზე ხელის მოსაქიდ-
ბელი, — ჯ ა ბ ა რ ყ უ ლ ი (ჯალაურთა); ჯ ა ბ ა რ ყ უ ლ ი ა საოტყე
ქვაბის ხელის მოსაქიდბელი (იქვე); ქვაბის ჯ ა ბ ა რ ყ უ რ ზ ე წა-
ვლო ხელი (პერევი). (იხ. ბ ე რ. ჯაბარყული, ჰ ყ. კაბარყული).

ჯაბარხანა დასახერხი შემის გასადები მოწყობილობა. დავნერხით ქვე
მინ ე შეშა, ჯ ა ბ ა რ ხ ა ნ ა შამეიტანე. ჯ ა ბ ა რ ხ ა ნ ა ასეა გა-
კეთებული: ორი ხე გადაჯვარდინებულია, ქვეიდან კიდევ ხით არის
გამაგრებული, შუაზე დაადებენ გასახერხავ შემას (ჯალაურთა). (შღრ.
დ. ჩ უ ბ., მ ე ნ თ., გ უ რ ა მ. ჯაბახანი, განმარტ. ლექს. ჯაბახანა).

ჯაგ-ი ეკლიანი ჩირგვი. (იხ. ს ა ბ ა, გ უ რ ა მ. განმარტ. ლექს.
ს. მ. ტერმ., დიალექტ. ქართლ., კახ.-ქიზ.).

ჯაგანი-ი კაპიან ჯოხზე ერთმანეთის მიყოლებით დაკიდებული ყურძნის
მტევნები (სინონ. ხირხალი). ჯ ა გ ა ნ ი ა ხირხალზე (იხ.) თანმიყო-
ლებით დაკიდებული ყურძნის მტევნები (მაჯითი); იმათმა ჯ ა გ ნ ე-
ბ ი აკრეს (ლოდორა). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 2; შღრ. ს ა ბ ა,
დ. ნ. ჩ უ ბ., მ ე ნ თ., დიალექტ. ქართლ., ჯ ო ხ. 67). || ერთად
შეკრული აკიდოები. ვაზიანა რო მოჭრი, 2-3 ტევანი რო აქ, ის არი
აკიდო, ბევრს რო შეაგროვეფ, — ჯ ა გ ა ნ ი (მოხვა). (იხ. ა ლ ა ვ.
ლექს.).

ჯაგლაგ იხ. ა ჯ ა გ ლ ა გ ე ფ ს. (იხ. ს ა ბ ა ჯაგლაგი, განმარტ. ლექს.
მნიშვნ. 2, ს. მ. ტერმ.).

ჯადამ-ს ჯაღოს უკეთებს, აჯაღობს; წამლავს. დედინაცვალი ჯ ა-
დ ა მ ს გერს (მოხვა).

ჯავარი-ი ხეზე გამოყვანილი ლამაზი სახეები. ნაჯახით ჯ ა ვ ა რ ი აქ
ამოყვანილი (ზედუბანი). (იხ. განმარტ. ლექს. მნიშვნ. 5, გ რ ი შ.:
შღრ. ვისრ., რ უ ს თ., ს ა ბ ა, დ. ნ. ჩ უ ბ., შ ა რ ა შ. ჯავარიანი,
თ უ შ. ძვ. საქ. 11, განყ. V, ქ ი ნ ქ., მ ა ი ს. ჯავარი).
ჯალაბ-ი ოჯახი; ოჯახის წევრი. (იხ. რ უ ს თ., ს ა ბ ა, ბ ე ს ი კ ი, გან-
მარტ. ლექს. მნიშვნ. 1, დიალექტ. თიან., ფშ., ხევს. ჯალაფნი, გუდა-
მაყ., ყ ა ზ ბ. ჯალაბობა, უ თ უ რ. ჯალაობა; შღრ. ვისრ., შ ა-
რ ა შ.).

ჯალახვეტო ძირს ჩამოყრილი ფოთლები, — ნეშო. რო ჩამონგროვდე-
ნაგებობას, სადაც ოსტატი აკეთებს კერამიკულ ნაწარმს, ეწოდება ქარხანა, ხოლო, სადაც გამოწვეას ახდენს, — ქურა. ქურის ქარხანა საჭურეს და ქურის ბინასაც ეძახიან, ხოლო ქურჭლის გამოსაწვევ ქურას მეჭურჭლეები უპირატესად საწვავს უწოდებენ. ქურა ქარხნის ტერიტორიაზევე შენდება.

ჭურჭელი ზამთრობითაც კეთდება, რადგანაც მისი ცეცხლზე გამრობა ადვილად ხერხდება. ქურების, ქვევრების, თორნე-თალარის. აგურ-კრამიტის კეთებას კი იწყებენ გაზაფხულიდან, „ყივნარობა რო აღარ იქნება, მიწა რო აღარ გეიყივნება“.

ქვევრ-ჭურების, თორნე-თალარის ქარხანა დაცულ უნდა იქნეს ნიავისა და ქარისაგან, ე. ი. ყუდრე ნაშვრალი უნდა იყოს, რომ აყალომ არ იფიცოს.

აღრე ქურისა და ჭურჭლის ქარხანა ან ქვითკირისა იყო, ან ჩელტისაგან კეთდებოდა. დაასობდენ 2-2¹/₂ მეტრის სიმაღლის სარება ერთმანეთის მიყოლებით ქარხნისათვის განკუთვნილი ფართობის ირგვლივ და რაგავდენ წნელით სარების სიმაღლეზე, შემდეგ შელესავდნენ თიხით — ალიზით, ხურავდნენ კრამიტით, უტოვებდნენ კარებსა

¹ ხრეთში მოიპოვება ასეთი მტრედისფერი აყალო, რომელსაც თირს არ ურევენ და, როგორც ამბობენ, უკეთესია, ვიდრე მოწითალო აყალო.

და პატარა სარკმლებს — სასინათლოებს. ახლა იყენებენ უპირატესად სახლის ქვედა სართულს—პალატს || ქვითყირს, ზაფხულობით პალატის თუ სხვა ნამშრალის დერეფნებსაც.

კრამიტის ქარხანა სიმინდის დასარჩევ ფარდულს || პათორმას მოგვაგონებს. გადახურულია მეტწილად კრამიტით, სამი მხრიდან მორაგულია ჩელტით, წინაპირი ღია აქვს, ამიტომ მას ზოგჯერ ნაღისაც უწოდებენ.

ქარხანაში მოწყობილია საკრამიტე მიწის საზელი და კრამიტის საკრელი დაზგა, ახლად გამოქრილი კრამიტის გასაშრობი თაროები—ფიტენები (ხრეითი, ბაჯითი) || რადები (რუს. рѣд) (პერევი) || რეინკა || რეიკა (ხვაშითი, შროშა).

ქარხნის წინა ეზოს, სადაც საკრამიტე მოკრილ მიწას ყრიან და ფიტენებზე შეშრობის შემდეგ კრამიტს აწყობენ, კალოს ეძახიან. აგურის კრის დროს კალოზეა დადგმული საანგურე დაზგა, ქარხანაში კი გამხმარი აგური ეწყობა.

გაშრობის შემდეგ კერამიკულ ნაკეთობას ჩადგამენ ქურაში. ზემო იმერეთში სამი სახის ქურა გამოიყენება. ერთი სახის ქურა კეთდება ქვევრ-ჭურებისათვის, მეორე სახისა — წითელი ქურკლისა და აგურ-კრამიტისათვის, მესამე სახის ქურა კი — მოინგლისებული ქურკლისათვის.

პირველი სახის ქურას მიწის ზედაპირზე აშენებენ ცალფა აგურისა და ალიზისაგან. იგი სამკედლოვანი, თაღოვანი ნაგებობაა, აქვს შვეულისებური გვერდები, ზურგი, ღია წინაპირი, ანუ კარი, და თაღისებური ზედა ნაწილი — ცა. ზოგიერთ ქურას მიწიდან ცამდე გარედან სიმაგრისათვის ორფერდად, ე. ი. გვერდებში, ამოშენებული აქვს ქვითა და ალიზით კედლები, რომლებსაც საბეჭდავი ეწოდება¹. ქურის ცა დახურულია კრამიტით. ცა რომ არ ჩამოინგრეს, ქურა გამაგრებულია ბოძვებით, რომლებიც გადაქოჩვილია, ე. ი. გადაკრულია რკინის მსხვილი მავთულით ან მასზე ჩამოცმული ბოლოებგახვრეტილი ოთხკუთხედად გათლილი ხით — უღლით. უკანა კედელზე — ზურგში ყოველი სახის ქურას აქვს სამი ხვრელი (ერთი მალლა, ცასთან, ორი, უფრო პატარა, აქეთ-იქით, ნაპირებში) პაერის მოძრაობისათვის და კერამიკული ნაკეთობის გამოწვის შესამოწმებლად. მათ უწოდებენ თვალს (ბოსლევი) || გასახინჯ თვალს || სამთვალიეროს || სათვალეს (ხრეითი, ბაჯითი) || სათვალთვალოს || სამთვარიოს (შროშა).

პატარა თვლებს კიჭილაქებს || კუქნეებს ეძახიან². როცა ქურას გაკვირთავენ გამოსაწვავი ნაკეთობით, წინაპირს აგულავენ || არაგვა-

¹ იხ. ლ. ბოკორიშვილი, დასახ. შრ., გვ. 30.

² იქვე, გვ. 31.

ვენ აგურით და, სადაც მოიხდენს, იქ დაატანებენ ცეცხლის შესანათებ თვალს, ქურის სიდიდის მიხედვით ერთს, ორს ან ზეტს.

წითელი ქურკლისა და აგურ-კრამიტის ქურაც გარეგნულად ქურის ქურის მსგავსი ნაგებობაა, ოღონდ, ქურის ქურისაგან განსხვავებით, ამ ქურის შიგნით ორ წყებად არის გადაყვანილი აგურ-კრამიტისა და ქურკლის დასაწყობად აგურისაგან ნაშენი რკალისებური, ზედაპირგადავაკებული თაღები (ხრეთი) || ბოგირები (შროშა, ბაჭითი), რომელთაც კრამიტ-აგურის ქურაში ამაგრებს ქურის კედლებზე მიყრდნობილი ფეხები.

ქურის წინაპირი თაღებამდე აგურითაა ამოყვანილი, მხოლოდ შეშის მისაწოდებლად დატოვებული აქვს ქურკლის ქურას 1, ხოლო კრამიტ-აგურისას 2-3 თვალი, ანუ სათვალე || სამთვალეირო || სამთვარიო. ზედა ნაწილი ქურისა ღიაა ბოგირებზე || თაღებზე აგურ-კრამიტისა და ქურკლის შესაწყობად. ქურის ქვედა ნაწილს ცეცხლის შესანათებს უწოდებენ, ზედა ნაწილს — ქურკლის ან კრამიტ-ანგურის შესაწყობს.

ქურკლის ქურების სიდიდეს საპნობით ანგარიშობენ. საპანეში ჩადის 20 მსხვილი ჭურჭელი (მაგალითად, ჩაფი), ხოლო — 40 წვრილი ჭურჭელი, როგორცაა: თუნგულა, დოქი, ქოთანი და სხვა.

მოიხდისებული ჭურჭლის ქურა ქურისა და კრამიტ-აგურის ქურისაგან დიდად განსხვავდება. იგი ცალფა აგურისა და ტალახისაგან აშენებული თონის მსგავსი ნაგებობაა, რომელიც ცამდე მიწაშია ჩამული. მხოლოდ ერთი, ქვევით მიმაგრებული მხარე აქვს მიწის ზევით. ქურას ორ ნაწილად ჰყოფს აგურისა და ალიზისაგან გაკეთებული კალო. ქვედა, ცეცხლის დასანთებ ნაწილს უწოდებენ ქვექურას, ქურკლის დასაწყობ ნაწილს კი — ზემო ქურას¹.

მიწის ზედა მხრიდან ქვექურას დატანებული აქვს ცეცხლის დასანთები კარი, ანუ თვალი, ზემოქურას — ქურკლის შესაწყობი, ანუ შესაპრომი კარი, რომელსაც საწვავის თვალსაც ეძახიან. კალოს შუაშია ცეცხლის ამოხასვლელი თვალი. კალოდან ცამდე ქურის კედლებში დატანებულია კვამლის გასასვლელი მილები — დუთქაშები და რამდენიმე მწკრივად, წრიულად პატარა, ოთხკუთხედის ფორმის ღრუები — სასოლეები, რომლებშიაც მაგრდება ქურკლის დასაწყობი თიხის ფირფიტები — სოლები სოლისვე ან კრამიტის ატოცით². სოლები განლაგებულია იმგვარად, რომ ჰაერმა თანაბრად დაუაროს ჩადგმულ ჭურჭელს და ქურაში შესულ მექურტლესაც ქურკლის დალაგების დროს შეეძლოს თავისუფლად მიბრუნ-მობრუნება.

1 იხ. ლ. ბოჭორიშვილი, დასახ. შრ. გვ. 33.

2 იქვე.

კრიალა შენადნობს, რომელსაც ხმარობენ ჭურჭლის მოჭიკვისათვის, ეწოდება ინგლისი, ხოლო ინგლისით დაფარულ ჭურჭელს — მოინგლისებულად. მოინგლისებისათვის ხმარობენ ტყვიის, კალის, ბროლის ქიქის, ცეცხლგამძლე თიხისა და თეთრი კაჟის შენარევს.

ტყვიისა და კაჟის დასაწვავად გამოყენებულია პატარა, ვიწრო, მოგრძო აგურ-ტალახის ნაგებობა წამლის ქურა, რომელიც შედგება საცეცხურისა და საწვავისაგან თავ-თავისი კარით.

დამწვარი ტყვია-კალისა და ბროლის ქიქის, ცეცხლგამძლე თიხისა და თეთრი კაჟის შენარევს ფქვავენ წამლის წისქვილში: მიწაში ჩასმულ ოთხ ბომზე — ფეხებზე გადებულია ფიცრები, რომლებზედაც წრიულად სამ მხარეს ამოშენებულია აგურის კედელი და მასზე დაყრდნობილია ნახევრად რკალისებური ხე — ქულბაქი. წისქვილის ქვები (მოძრავი საზედაო და უძრავი საქვედაო) ხელსაფქვავეი ქვებისოდენაა. შუაში ჩვეულებრივი წისქვილის ქვების მსგავსად არის ხვრეტი, რომელსაც თვალს ეძახიან. საქვედაო ქვაში ამოდის ქვევით ფიცარზე დამაგრებული ხის ღერძი, რომელშიც ჩასმულია რკინის ღერი — ყელა, მასზე ჩამოცმულია რკინის ფირფიტა. საზედაო ქვაში ჩამჭდარია ხელის მოსაკიდებელი ხის ტარმუჭი. ყელას აწვევ-დაწვევით მოძრაობს საზედაო ქვა და იფქვება წამალი, ზედვე ასხამენ წყალს და ხსნარი ჩადის კედლითა და ქულბაქით შემოზღუდული მხრიდან ქვეშ შედგმულ ვედროში¹. ამგვარად დამზადებული კრიალა შენადნობით — ინგლისით ახდენენ ჭურჭლის მოინგლისებას, ე. ი. აკეთებენ მოინგლისებულ ანუ ინგლისის ჭურჭელს.

მეჩვევრეობა-მეჭურეობა

ზემოიმერელი მეჩვევრეები, იგივე მეჭურეები, აკეთებენ ჭურებს. ქვევრებს, ქოცოებს, ხატკბილეს || თაღარს || თაყარს || ისარნას || ხარნას და თონეს.

ზემო იმერეთში დიდ ქვევრს ჭურს ეძახიან. პატარას — ქვევრას. ამას მოწმობს ეს ლექსიცი:

„ქვევრები ყველა დამემტვრა.
არ მქონია დიდი ჭურა,
თქვენმა აქ მოსვლამ იხაროს,
თუ დამიგდოთ კარქათ უური!“ (ხრეთი).

ტყვეალობის მიხედვით ზუსტად დადგენალი ზღვარი არ არსებობს ჭურისა და ქვევრის გასარჩევად. მაგალითად, ზოგან შიანჩიათ, რომ „50 ფუთიანს ზევით არის ჭური, ქვევით — ქვევრა“ (შროშა); „ჭურს

¹ იხ. ლ. ბოქორიშვილი. დასახ. შრ. გვ. 34.

ეტყვიან, 40 ფუთზე ზევით რო წავა, ქვევრა უფრო პატარაა“ (ჩინა); „ოც ფუთამდე რო ჩადის, ქვევრა ქვია, დიდს — ჭური“ (სალვინე); „ქვევრა ქვია, ხუთი ფუთიდან 10 ფუთამდე თუ ჩადის, დიდი ჭურია“ (წყალშავი, ქვები).

ს ა ბ ა ს თ ა ნ ჭურია საზოგადოდ ყურძნის წვენის — ტკბილის ჩასახმელი: „ხოლო ესე ჭური, საცავი ტყბილისა, განიყოფებიან, რამეთუ დიდთა ეწოდებიან ქვევრი და მისსა შემდეგსა — ყვიბარი და მისსა უმცროსსა — ქოცო, — არამედ ყოველივე ჭური არს“ C.

საბაზე დაყრდნობით განმარტავენ ჭურს დ. და ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ც: „ჭური საკუთრად ეწოდების ღვინის ჩასახმელსა, რომელ არიან: ქვევრი, ქოცო, ხალანი, დერგი, ლაგვინი, ლაგვინარი და თხიერიცა“...

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ჭური და ქვევრი ერთი და იგივეა. ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ს სწორად აქვს განმარტებული, რომ ქვევრი არის პატარა ჭური, ხოლო ჭური — დიდი ქვევრი. თუ ქვევრი საქვედაო სარცხლით ირეცხება, ჭურია, ხოლო, თუ შიგ ჩაუსვლელად, საზედაო სარცხლით შეიძლება მისი გარეცხვა, ქვევრაა.

ოკრიბაში ქვევრას არ ხმარობენ, 20 ფუთამდე ტევადობის ქვევრს იქ ყუბარს უწოდებენ (შდრ. ს ა ბ ა ყვიბარი). სულ პატარა ქვევრი ქოცო ანუ ღვინის დერგია¹ (შროშა), იგი დაახლოებით 5 ფუთამდე ტევადობისაა.

მეჭურეები აკეთებენ აგრეთვე საწნახლიდან გამოსული ტკბილის ჩასახმელად ფართოპირიან, ვიწროძირიან შუაზე გადაჭრილი ქვევრის ფორმის თხის ჭურჭელს, რომელსაც სხვადასხვა სოფელში უწოდებენ თალარს || თაყარს || ისარნას || სარნას || სატკბილეს. მაგალითად, ჩინაში (საჩხერის რაიონი) თალარს ეძახიან ამავე ფორმის ჭურჭელს, რომელიც შაბაამნის ხსნარის ჩასახმელად იხმარება, თუ ტკბილისათვის გამოიყენებენ, მას სატკბილე ჰქვია.

მეჭურეები აკეთებენ თონესაც თონის გასაკეთებლად თირსა და აყალოს რწყვით ურევენ. რწყავენ კალათებით ან ვედროებით. ჭერ მიწას გააარქულეზენ — გაანაწილებენ ქვევრების თუ ჭურების მიხედვით, შემდეგ აყალოს ალბობენ ან სპეციალურ ჭურჭელში, ან ორმოში, რომელსაც წინასწარ აყალოთივე ამოლესავენ: „არ გაუშვეფს აყალოი წყალსა“. მერე ამ დამბალ მიწას ლაფათქით ამოყრიან საზელზე, სადაც აყალოს ამოყრამდე თირის კოლბოხებს დაცენცავენ — გააფხვიერებენ, მერე წყალს დაასხურებენ და შეურევენ აყალოში.

საზელი ოთხ ბოძვზე ფიცრებდალაგებული ტახტისმაგვარი მო-

¹ იხ. ლ. ბოკორიშვილი. დასახ. შრ., გვ. 54.

წყობილობაა, რომელიც სამი მხრივ ფიცრებითვე არის შემორაგული, წინიდან ღიაა. დამბალ ტალახზე შედგება მექუტრე და ჯერ ფეხის ქუსლით ზელს — დაქუსლამს, მერე ხის ხმლის — ხმალას საშუალებით, რასაც დახმალვა ეწოდება. შემდეგ მიწას გვერდს უბრუნებს და კვლავ დაქუსლამს და დახმალავს. ზელის დროს თუ ხმალას მიწა მოედება, გაფხეკენ ხის პატარა ჩოგნით — ჩოტით, რომელსაც ასველებენ წყლიან ქურჭელში — სანარცხში, მიწა რომ არ მიეწებოს.

დაზელის დამთავრებას მექუტრე ატყობს იმით, რომ ამ დროს მიწა არის ერთმანეთში შეწებებული, როგორც ამბობენ, შეცმული. დაზელილ მიწას ნიჩფით დაქრიან და ინახავენ გრილ ადგილას — საქურეში ან პალატში, ქურებშიც კი. მიწა რომ არ გახმეს, დაფუთიან, დაბამბულებს დააფარებენ. გახმობის შემთხვევაში მიწას ხელახლა დაალობენ, გადაქუსლავენ და გადახმალავენ.

მოზელილი მიწა თუ თხელი იქნა, არ ივარგებს. დეიჩანთება; ჩეიფახვება, ე. ი. ჩაწვება, ჩაიკეცება.

ასევე მოზელის დროს ნოშო, ფესო ან ნაფოტი რომ ჩაჰყვეს მიწას ქურაში, ესენი გამოიწეება, კერამიკულ ნაქეთობაზე კი დარჩება ნახვრეტი — შუშუტო.

ქვევრ-ქურების, ისარნა-თონეების კრის პროცესში ხმარობენ მორგვს, დანა-ჩხირს, ვასაწმენდ. ვასასწორებელ, გვამის ვასაკეთებელ || საგვამავ გონგს ბანდს, სანარცხსა და ჩოტს.

ქვევრებისა და ქურების კრას იწყებენ კუნჭულოდან — ძროდან და ამ მიზნით იყენებენ მორგვს. მორგვი არის ქურჭლის საქრელად და ქვევრების ძროს ვასაკეთებლად საჭირო ხელსაწყო (პიანინოს სკამის მსგავსი), შედგება თვით მორგვისაგან, ხის ლერძისა და სამი ფეხისაგან. მორგვი ან მორგვისთავი არის წრიული ფორმის ფიცარი, რომელიც თავისი ვიწრო ბოლოს, ე. წ. კინჭულას ნაჩვრეტის, საშუალებით ჩამოკმულია თითისტრის ფორმის ლერძზე და ტრიალებს მასზე.

მორგვზე დადებულ და ხელით დაწებებულ ცილინდრისებურ თიხის გუნდას ჯერ თითებით ნახევრამდე გულს ჩაულრმავებენ — ამოსთითავენ, მერე მორგვის ტრიალის პროცესში მას ხელით შემოავლებენ და შემოაწებებენ მრგვლად დაგრძელებულ დასვარსვალიტებულ გუნდას — ფთილას და ერთ ტკაველამდე სიმაღლესა და მასთან ერთად განს უმატებენ. ამ გაგრძელებული გუნდის (ფთილის) შემოვლებით ქურჭლის ზრდას შენების პროცესში უწოდებენ მოქნას || შემოქნას. კუნჭულოს ნაპირები რომ ერთნაირი სიმაღლის იყოს, ჯოხს შემოაცურებენ, ანუ არშიას შემოავლებენ, შემდეგ ხელის ცერს შემოუსვავენ — საცერეს გაუკეთებენ¹ და ფიცარზე დადებენ. მოქნის შემდეგ

¹ იხ. ლ. ბოკორიშვილი, დასახ. შრ., გვ. 53.

კერ სველი ბანდით — ჩვრით და შემდეგ გონგით შემოალამაზებენ და დანა-ჩხირით შემოაჭრიან გარედან დაკოზებულ მიწას.

გონგი ხელში დასაკაეებელი ფიჭვის ყავრის ნაჭერია, რომელიც დანიშნულების მიხედვით არის საფხეკი ანუ გასასწორებელი, საწმენდი ანუ შამოსასმელი, გვამის გასაკეთებელი ანუ საგვამავი || გამოსაგვამავი || მოგვამული და ასაჭრელბელი.

დანიშნულების შესაბამისად გონგების მოყვანილობაც სხვადასხვაგვარია: საფხეკი ანუ გასასწორებელი გონგი ნახევარმთვარესა ჰგავს. ზევიდან რკალისმაგვარი, ქვევიდან სწორი ფიცრის ნაჭერია. გამოსაგვამი გონგი ქვევიდან შეზნეკილი, გარედან გამოზნეკილი ფიცრის ნაჭერია. ასაჭრელბელ გონგს კი რომბისებური მოყვანილობა აქვს და დაკბილული ნაპირები.

დანა-ჩხირი ხის დანაა, რომელიც იხმარება კინკილების ძირიდან ზედმეტი თიხის, კურებისა და ქვევრების ძირის (კუნჭულოს), საღვინე კურჭლის პირის შემოსაჭრელად და შიგნით და გარეთ გასალესად.

სანარცხი წყლიანი კურჭელია, რომელსაც ხმარობენ ხელის, გონგის თუ სხვა ხელსაწყოების დასასველებლად, კურჭლის კრის დროს მიწა რომ არ მიეწებოთ.

კუნჭულოს ძირიდან მრგვლად, გრიგალის მსგავსად შამოაქნიან მიწას — შამოაგრიგლავენ, ფიცარზე დადებენ და შიგნი-გარეთ მოფოთლავენ || მონოშავენ ბამბიკალას ან თხმელის ნოშოთი, „რო არ გახმეს და მოქნის დროს იყოს ბილი“. რომ შესრება, ე. ი. შედგება. კუნჭულოს მოაცილიან ნოშოს და ჩადგამენ ჭურის სკამში, რომელსაც აქვს ოთხ ფეხზე დაყრდნობილი, შუაში მრგვლად ამოჭრილი თავი. ამ ამონაქერში ჩადებენ კუნჭულოს და კვლავ მოაქნიან მიწას ერთ ტკიველზე („მეტს არ მეთიფენს“) და ისევ-ისევ მონოშავენ.

რაც უფრო დიდია კური, კუნჭულოც დიდი ექნება და ამიტომ მეტი მოქნა სჭირდება. კურის სკამზე მთავრდება კუნჭულოს გაკეთება. შემდეგ მას განკუთვნილ ადგილას დადებენ, დააბინავებენ — დააკუნტებენ¹, რომ არ წაიქცეს, ძირს შემოუწყობენ კრამიტის ნატეხებს. რომელთაც ბიძგებს, მუნჯეფს უწოდებენ, ხოლო მუნჯების შეყენებას — დამუნჯებას². დამუნჯებულ კუნჭულოს გვამს — მუცელს გაუკეთებენ — გამოგვამავენ. დაახლოებით ორი მოქნით გაკეთდება ქვევრის გვამი, ხოლო კური იგვამება 4 ან მეტი მოქნით, სიდიდის შესაბამისად. ყოველი მოქნის შემდეგ შიგნიდან ხელით გამოლესავენ. მოფოთლავენ და, რომ შედგება, იწყებენ შექდეგი ნაწილის გაკეთებას. გამოგვამის შემდეგ კეთდება დაქანებული მხრები — ბეჭები, ანუ

¹ იხ. ლ. ბოკორიშვილი, დასახ. შრ., გვ. 53.

² იქვე

გვამსა და კისერს ორჯერ უკველი შორის ნაწილი. ბეჭების გაკეთებას უწოდებენ მობეჭვას¹. მობეჭვის შემდეგ ისე მოქნიან მიწას, რომ თანდათან მოაფიწროებენ და გააკეთებენ უკველი კისერს, ეს არის შეხველა ორჯერ მოკისვრა. ბოლოს დაიწყებენ თავის მობმას—გაუკეთებენ ფარფლს—ძაბრივით გადაშლილ გაბრტყელებულ წრიულ ნაპირს. თავის მობმის წინ შამოფრჩხილავენ—ფრჩხილით შამოხაზავენ და შემდეგ თითოთი შემოჭრიან მიწას. ფთილას შემოაქნიან, თავმობმულ ქურს გასასწორებელი გონგით გაასწორებენ. თუ სურთ, მოსაქრელებელი გონგით დააქრელებენ და ბოლოს სველი ბანდით გაგვრიტნიან, — გაასუფთავენ, გაალამაზებენ.

ქურებისა და ქვევრების მსგავსად კეთდება ისარნა-თონეებიც.

ქურებისა და ქვევრების გახმობას მოფრჩხილვით ამოწმებენ: თუ ფრჩხილის გამოსმა არ დააჩნდება, მაშინ გამხმარია და შემდეგ ქურაში ჩააწყობენ, რასაც ქურაში ჩადგმას უწოდებენ. ქურების ასაწვეად იყენებენ თოკს ან თელის ხრალისაგან დაწნულ ქაპანს, რომელსაც აასხამენ ქაპანის ხელებს — პატარა ქაპანებს. მათ ჩააკიდებენ ხელს და ფრთხილად შედგამენ ქურაში.

ქვევრებს აწყობენ გვამითაც და ფარფლით ჩამოხობილსაც. ასეთ შემთხვევაში ქვევრები რომ არ დაიხუთოს და არ დასკდეს, ქვევრებს აგურებს შეუყენებენ, მერე ქურის წინაპირს აგურით ამორაგავენ. დაუტოვებენ შეშის შესაწყობ ორ თუ სამ თვალს ქურის სიდიდის მიხედვით, ხოლო ზურგში მყოფ უკანა თვლებს დახურავენ და დაწყებენ გამოწვას. ქურები რომ არ დატყდეს, ისინი ნელა უნდა გათბეს, ამიტომ ქურის გარეთ დაანთებენ ნელ ცეცხლს, რომელსაც სათბობ ცეცხლს უწოდებენ, მეორე დღეს უფრო წინ წასწვევენ ამ ცეცხლს. ორივე თვალის ორჯერ (თუ სამი თვალი აქვს, სამივე თვალის ორჯერ) წინ დაანთებენ—დააოკარებენ ან დაასამკარებენ². კვამლიანი. ე. წ. ხნოლია ცეცხლით (შრომა) ქვევრები გახმება, მერე შეუნთებენ მაგარ დიდ ცეცხლს და გააპრიაქებენ, ე. ი. ძლიერ გაახურებენ ქურას. გაპრიაქებულ ქურაში გამოიწვევა ქვევრ-ქურები 3-4 საათში. 2 დღის შემდეგ ქურა განელდება და პირს აუხსნიან, ე. ი. ჩამოუნგრევენ და გამოალაგებენ ქვევრა-ქურებს.

მეკრამიტობა და მიაგურეობა

მაისიდან საკრამიტე ქარხანას დაგვიან და მოზიდავენ საკრამიტე მიწას, რომელსაც ყრიან კალოზე, მიწის საზელთან ახლოს. მიწის საზელის ნაწილებია: ხის გრძელი ყუთი — გეჭა, სადაც ალბობენ კრა-

¹ იხ. ლ. ბოკორიშვილი, დასახ. შრ., გვ. 53.

² იქვე, გვ. 56.

მიტისათვის საჭირო მიწას¹. გეჯის წინ დგას გამოგულული ხე — კო-
ლი, რომელსაც წინა პირი არა აქვს. კოდშია მიწის საზელი მათინა. ის
შედგება ფრთებისაგან. ღერძის თავზე დაცმულია ხის უღელი, უღელ-
სა და ღერძს შორის არის რკინის ფირფიტა — შაიბა, რომ ღერძმა
ტრიალის დროს არ გაცვითოს უღელი. უღელმა რომ არ იმოძრაოს.
ღერძში გაყრილია რკინის ღერი — ჭიჭილაჭი. უღლის თავში გამობ-
მულია კანათით დაახლოებით ერთი მეტრის სიგრძის ხის ჯოხი — ვალი-
უკა (ხრებით) || ვალიუნკა (ხვაშითი) || ვალიოკვა (ბაჯითი) (რუს.
валёк), რომელსაც ბოლოები შამოჭდობილი — ამოდარული აქვს და
მასზე გამობმულია ბაწარი, რომელიც ცხენის ხამუტს (ხრებით) || ხა-
მუტს (ბაჯითი) გამოებმის. ხამუტი (მარტულელი) ხისაა, მისი ვიწრო
ბოლოსკენ დამაგრებულია თასმებით ბალიში — ნაბადზე შემოხვეული
ტყავი, რომ ცხენს კისერი არ ეტკინოს. ხამუტს ცხენის კისერზე მო-
ხარგებად აქვს მოსაკლებ-მოსამატებელი რკინის ხელსაწყო — ხა-
კაცა.

ცხენი კოდის გარშემო ტრიალებს, აბრუნებს რკინის ღერძს, რის
გამოც ფრთები ბრუნავს და ზელს მიწას, რომელსაც მეტალახე ყრის
კოდში ლაფათქით. კოდს უკან, ზურგში, გამოჭრილი აქვს ხერელი —
სათვალე, საიდანაც დაზელილი მიწა ჩადის კოდის უკან მდგარ პატარა
გეჯაში. დაზელილი მიწა მიაქვთ კრამიტის საჭრელ დაზგასთან, რომე-
ლიც წარმოადგენს პალოებზე — ფეხებზე დამაგრებულ დაქანებულ
ფიცარს, რომლის მაღალი მხარე მეკრამიტეს სწვდება წელამდე. დაზ-
გაზე მოთავსებულია კრამიტისათვის რკინის ჩარჩო — ყალიბი (ბაჯი-
თი) || კალაპოტი (ხრებითი, ხვაშითი, პერევი), რომელშიაც საკრამიტე
მიწის გუნდა ბრტყელდება და ეძლევა კრამიტისათვის საჭირო სიდიდე
და მოხაზულობა. ჩარჩოს წინა ვიწრო ნაწილს უწოდებენ კალაპოტის
ცხვირს.

დაზგის ერთ თავში არის სანარცხი. ხოლო მეორე თავში — ხის
ყუთი იმ თიხის მშრალი ფხვნილით, რისგანაც კრამიტს ამზადებენ.
მას სილას ეძახიან. დაზგაზე, კალაპოტის ქვეშ, დაყრილ ამ სილას
ჰქვია საფენალი. საფენალში ამოვლებენ წყალში დასველებულ კალა-
პოტს. კალაპოტზე მოთავსებულ საკრამიტე მიწის გუნდას ჯერ ხელით
გაასწორებენ, მერე სანარცხში დასველებულ ლადას გადაუსვამენ და
წმენდენ. ლადა არის მრგვალი, ზევით უფრო მსხვილი, ქვევით უფრო
წვრილი, სუფთად გათლილი ხის ჯოხი (დომის საზელი სუთის მსგავსი),
რომლითაც კალაპოტში ასწორებენ მიწას, აძლევენ მას კალაპოტის
სისქეს, ზედმეტ მიწას კი კალაპოტს ზევით ჰრიან და აკეთებენ რგოლს

¹ ზოგიერთ სოფელში, მაგალითად, ხვაშითში, მიწას ალბობენ ორმოში, რომელსაც ოთხივე მხრივ ფიცრებით ამორაგავენ, რომ სხვა მიწა არ შეერიოს.

ცხვირიდან იმ ზომაზე დაშორებით, რაც საჭიროა სათანადო სახის კრამიტისათვის. ამის შემდეგ სველი ხელით შეალამაზებენ და გამოხე-
ლილ — გამზადებულ კრამიტის ფირფიტას გადაიტანენ ხის ხუნდზე
(პერევი, ხრეითი || გობზე (ხვაშით) || ბოყვე (შროშა) || ხონჩაზე
(ბაჯით), რომელიც საკრამიტე ფირფიტას აძლევს კრამიტისათვის სა-
ჭირო შეზნექილობას, ე. ი. ფორმას.

ხუნდის წინა ვიწრო ნაწილს, რომელსაც მიადგამენ დაზგაზე კრა-
მიტის ფირფიტას გამოსადებად, ეწოდება ცხვირი (ხრეითი) || კოტა
(ბაჯით), ხოლო დაზგის იმ ნაწილს, სადაც გაკეთებულია კოტის მი-
სადგმელად კოტის ზომის კრილი, — საკოტე (ბაჯით).

ხუნდზე კრამიტს წყლით გადალესავენ, ტარს ხელს მოჰკიდებენ
და გადააჩოჩებენ ფიტვებზე || რეიკებზე || რადებზე, სადაც გააჩე-
რებენ მანამ, სანამ თავს არ დეიკავფხს, ე. ი. არ შეხმება, მერე ზედა
ფიტონაზე ფართო ბოლოთი დააყუდებენ სიმაღლეზე ერთმანეთის მი-
ყოლებით, გახმობის შემდეგ გადმოიღებენ და ჩოუდგამენ ქურახს.
ქურაში ეწყობა ოთხი ყრა სიმაღლეზე (ხრეითი), ზოგან ხუთი წყობა
ცერზე (ხვაშით).

კრამიტი რომ არ დასკდეს, ცეცხლს ანთებენ ნელ-ნელა შეჩვევით.
8 საათის განმავლობაში ანთებენ დაბალ ცეცხლს (ხრეითი) || ფუტურა
ცეცხლს, ე. ი. ფუტურო შეშის ცეცხლს (ბაჯით), რომ კრამიტს ალი
არ მოხვდეს და არ დაიბზაროს, არ დასკდეს. პირველი შენთებისას
წინაპირიდან ზურგში მარტო კვამლი გადის, შემდეგ — კვამლიანი
ალი — ბურაყი (ხრეითი). ფუტურო ცეცხლი უნდა ენთოს ერთი დღე-
ღამის განმავლობაში, ასევე უნდა ენთოს მაგარი ცეცხლიც.

სათვალედან || სამთვალეიროდან || გახასინჯი თვალედან რომ გახე-
დავენ, თუ კრამიტი შავია, გამოწვა აკლია და კიდევ შეუთებენ
ცეცხლს. როდესაც ზურგში მყოფი კრამიტი გაწითლდება, უკანა სათ-
ვალეებს დაკეტავენ და ცეცხლს წინა თაღებისაკენ || ბოგირებისკენ
დააბრუნებენ.

ორ დღე-ღამეში გამოიწვება კრამიტი, შემდეგ გამოუნელებენ
ცეცხლს, პირს გამოურღვევენ. გაცივებულ კრამიტს გამოიღებენ და
დააწყობენ ქარხნის ეზოში. კრამიტის ვიწრო თავს ცხვირს უწოდებ-
ენ, ფართოს — ბოლოს, კუთხეებს — ლინგებს. ყველა სახის კრა-
მიტს უკეთებენ რგოლს, რომ ერთმანეთი დაიჭირონ და არ დაცურ-
დნენ.

ხვაშითელი და ხრეითელი მეკრამიტეების ცნობით, იჭრება შემ-
დეგი სახის კრამიტები: მასალა კრამიტი, მუშა კრამიტი და ზღუდის
(ხრეითი. ხვაშითი) || ომუზის (ბაჯითი) კრამიტი.

მასალა კრამიტი არის ორნაირი: შუარგოლა¹ || დიდტუჩა (ხრეითი) || გრძელყელა კრამიტი და ვახვრეტილი კრამიტი, რომელსაც ნახვრეტი უყეთდება რგოლთან ლურსმნის დასაქვედებლად.

მასალა კრამიტს უწოდებენ საბოლოო კრამიტსაც², რადგანაც სახლისა და ყველა სამეურნეო ნაგებობის გადახურვას ბოლოებიდან იწყებენ და ბოლოების გადასახურავად მხოლოდ მასალა კრამიტს ხმარობენ³.

მუშა კრამიტით იხურება ბოლოების შემდეგ სახლის თუ სხვა სამეურნეო ნაგებობის სახურავი, ამიტომ მას სახურავ ანუ გადასახურავ კრამიტსაც⁴ უწოდებენ.

ზღუდის || ომუზის კრამიტით, რომელიც სიდიდით მუშა კრამიტზე ერთნახევარჯერ მეტია, იხურება სათავე და ზღუდეები || ომუზი. ლ. ბ ო კ ო რ ი შ ვ ი ლ ი ასახელებს კიდევ კაპიან კრამიტს (სახელწოდება მიღებულია იქიდან, რომ ვიწრო ბოლოზე კაპი აქვს გაკეთებული), რომელიც შუარგოლა კრამიტის მაგივრობას ეწვევა⁵.

აგურის მოსაქრელად საჭიროა შემდეგი ხელსაწყოები: ანგურის საკრელი დაზგა, რომელიც მაგიდას წარმოადგენს, კალაპოტი (უჯრებიანი ყუთის მსგავსია და არის ერთაგურიანი, ორ-და მეტ-აგურიანი. ზოგჯერ ექვსაგურიანიცაა), ანგურის ლაღა (კრამიტის ლალისაგან არ სხვაობს), სანარცხი და სილიანი ყუთი.

წინასწარ ორმოში დამბალ და შეანგურის მიერ მოზელები მიწის საზელზე ზელავენ, რამდენჯერმე გადააბრუნებენ, დაზგაზე საფენალს მოაყრიან, შემდეგ დადებენ საფენალში ამოვლებულ კალაპოტს და მის უჯრებს — თვლებს ავსებენ თიხით, ტენიან მაგრად, მერე სველ ლაღას გადაუსვამენ და შეასწორებენ, შემდეგ ფრთხილად გადააბრუნებენ კალოზე. აგური რომ თავს დეიკავეფს, გვერდს უბრუნებენ. ფეხზე აყენებენ და კარგად გაშრობის შემდეგ ერთმანეთზე იმგვარად დააწყობენ, რომ ჰაერმა იმოძრაოს, ამას დაქუბვას უწოდებენ. დაქუბვის შემდეგ ქურაში აგურს კრამიტისმაგვარად, ცერად შეაწყობენ და იმგვარადვე გამოწვავენ.

¹ ეს სახელწოდება წარმოდგება იქიდან, რომ მუშა კრამიტისაგან განსხვავებით მას რგოლი აქვს შუაში, ცხვირიდან დაახლოებით 15 სმ დაშორებით (მუშა კრამიტს აქვს 6 სმ დაშორებით).

² ლ. ბ ო კ ო რ ი შ ვ ი ლ ი ს ცნობით, საბოლოო კრამიტს უწოდებენ ვახვრეტულ კრამიტს. იხ. დასახ. შრ., გვ. 59-60.

³ სახლის ბოლოებში, ლარტყის ნაპირებიდან ცოტა წინ წამოწეულად ძირს ზურგით — გულამა ბოლოებისკენ ცხვირით აწყობენ შუარგოლა კრამიტებს. ზევიდან კი აფარებენ ცხვირით სახლის სიღრმისაკენ ზურგით ზევით, ე. ი. წაღმა, მასზე მოკლე ვახვრეტულ კრამიტს, რომელსაც ამაგრებენ ლარტყაზე ლურსმნით.

⁴ ლ. ბ ო კ ო რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრ., გვ. 59.

⁵ ი ქ ე ვ, გვ. 60.

ზემო იმერეთში ამზადებენ შეუღებავ, ე. წ. წითელ ჭურჭელს და მონღლისეიულ ანუ მოქიულ ჭურჭელს. ყოველგვარ გამომწვარ ჭურჭელს თიხას უწოდებენ. „თიხები გააკეთე და შოქვყიდეო, — მეტყობდე ქალები“ (ხევი). „უმალ თიხებს ვაკეთებდი“ (ფროთა).

მოიხგლისებულ ჭურჭელს აკეთებენ უპირატესად წვრილს — მცირე ტევადობისას — ჩარეჟამდე, წითელ ჭურჭელს კი — ძახვილს, დაახლოებით 24 ლიტრამდე ტევადობისას, ე. ი. ფუთხახვერიაამდე.

წითელი ჭურჭელი კეთდება საწყლდე და საღვინე. საწყლე ჭურჭელია: ჩაფი, ჩაფულა, თუნგულა, ჩარეჟა, ნიტრა, სურა.

საღვინე ჭურჭელია: ხარადოქი || ხარა, დოქი, ხელადა.

ორივე სახის ჭურჭელი გამობერილგვამიან, მხრებდაქანებულ, მაღალყელიან, ყურიახ, უფეხო ჭურჭლად ითვლება. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ყველა სახის საწყლე ჭურჭელი მრგვალიპირიანი ანუ შრგვალთავიანია, ხოლო საღვინე ჭურჭლის ყურისკეხ დადაბლებულ პირს აქვს ნისკარტი, რომელსაც ნიკარტს ან ნიკტს ეძახიან. განსხვავებას ქიხის ისიც, რომ საწყლე ჭურჭელს აქვს ძაბრაკით გადაშლილი, გაბრტყელებული პირი — ფარფლი, ხოლო საღვინე ჭურჭლის პირს აქვს დადარული ნაპირი, რომელსაც ბწკალს || ბრწკალს უწოდებენ.

პირგანიერი, ფარფლიანი, უპირატესად უყურო, უბეჭო ჭურჭელია: დერგი, პატარა დერგი—ქილუნა¹, სხვადასხვა დანიშნულების ქოთნები — სარძევე, ყველის ამოსაყვანი, საფუვრის || ყველიდედოს || პურიცომის, სახარხოვე, სალობიოვე, სატკბილე. სატკბილე ტკბილის ამოსაღები ქოთანია დაბალი და ფართო ყელით, ყელზე ოდნავ ფართო გვაძითა და განიერი პირით².

სარძევე და ყველის ამოსაყვანი ქოთანი დიდი ზომისაა, საშეკამანდე ქოთანი — საშუალო ზომისა, 2-3 ჩარეჟამდე ტევადობისა. ხევი ასეთ ქოთანს ხელქოთანას უწოდებენ, ხოლო ჩარეჟიანს ან ჩარეჟიანზე პატარას ზემო იმერეთის მეტწილ სოფლებში კვაწიას ეძახიან.

ზოგჯერ დერგებსა და ქოთნებს თავსახურავსაც უყეებენ. ეძახიან მას სარქველს, განსაკუთრებით იმ სოფლებში, სადაც ამ სახელწოდებით არ გვხვდება ჭურებისა და ქვევრების თავსახურავი.

წითელ ჭურჭელს ეკუთვნის აგრეთვე ჭამი, ხელთიფში || ხელგობი, ორშიმო, ორხელი, საარაყე ქვაბისთავი, კეცები.

¹ ლ. ბოქორიშვილი, დასახ. შრ., გვ. 35

² იქვე, გვ. 38.

მოინგლისებულ ქურქელს, წითელი ქურქლისაგან განსხვავებით, უპირატესად აკეთებენ ფეხიანს და მცირე ტევადობისას — ჩარექამდე. დიდი ტევადობის ინგლისის ქურქლის გაკეთებას ერიდებიან, რადგან გამოწვის დროს დიდი ქურქლის სოლებზე განლაგება ხელს უშლის ქურაიი ცეცხლის თანაბარ განაწილებას და ყველა ქურქელი ერთნაირად კარგი გამომწვარი არ გამოდის.

ინგლისის ქურქელს განეკუთვნება პატარა თუნგულა ანუ საწყლე ჩარექა, პატარა დოქი, ხელადა, სურა, ღვინის სასმისი ჭინჭილა, მარანი, სამნიტრიანი, კაცისა და ცხოველის გამოსახულების ქურქლები. საინი, თეფში || ხელგობი.

მარანი ცალ-ცალკე გაკეთებული და შემდეგ შეერთებული რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: ბრტყელ რგოლზე, რომელსაც უწოდებენ ფეხს, აღმართულია რამდენიმე სვეტა, რომლებზედაც დაყრდნობილ გულდრუ მილზე სარქველებით ქურება გაწყობილი და, ირმის ან ვერძის თავის გამოსახულებით, ღვინის შესასმელი მილი, ქურების თავზე საწნახელია, ზოგჯერ ტალავერიც.

სამტარიანი შედგება ერთმანეთზე თავებით გადაბმული სამი ქინჯილასაგან, რომელთაც ზევიდან ადგას ყურიანი ქინჯილა.

სხვადასხვა სახის საწყლე თუ საღვინე ქურქელი ერთმანეთისაგან მხოლოდ მოცულობით ანუ ტევადობით განსხვავდება.

ჩაფი შეიძლება იყოს 12-16-18-ლიტრიანი, არის 20-ლიტრიანიც, რომელიც უპირატესად ღვინისთვის გამოიყენება ადგილზე, მარანში, ამიტომ მას სამარნე ჩაფს ეძახიან.

საღვინე ჩაფი 16-ლიტრიანიც არის. მას მეტწილად ღვინის საწყაოდ ნმარობენ, ამიტომ საწყაო ჩაფს || ფუთიანს უწოდებენ.

ჩაფულას ტევადობა 7-8-10 ლიტრია. 8 ლიტრის ან 8 ჩარექის ტევადობის ჩაფი ნახევარჩაფიანი ანუ ნახევარფუთიანია.

თუნგულა 3-5-7-ლიტრიანია, ხოლო ჩარექა ერთლიტრიანი საწყლე ქურქელია.

სურა, რომელიც უპირატესად უყურო კეთდება, ყელვიწრო და ყელმაღალი, ბურთივით მრგვალგვამიანი, 3-4 ლიტრის ტევადობისა.

საღვინე ხარა-დოქი 6-8-10 ლიტრიანია, ხელადაში 1-2 ლიტრი ჩადის, ხოლო ნიტრაში — 1 ჩარექა.

დერგი 1-დან 4 ფუთამდე ტევადობისა კეთდება, ხოლო 8-12 ლიტრიან დერგს უწოდებენ ქილუნას¹.

თალარი კეთდება 2-დან 7 ფუთამდე ტევადობისა.

ორხელს, რომელიც იხმარება ქვევრიდან ლექის ან ნარექის წყლის ამოსაღებად, უკეთდება სამი ნახვრეტი, ერთი ძირს და 2 ზევით ერთმანეთის მოპირდაპირე ნაპირებში.

ყველა სახის ქურჭლის ძირს ძროს უწოდებენ, გამობერილ მუცელს — გვამს, საწყლე და საღვინე ქურჭლის ყელის ძირს — მორჩილა ყელს. ყელის || კისრის შემდეგ არის პირი ანუ თავი. საწყლე ქურჭლის ძაბრივით გადაშლილ პირს ჰქვია ფარფლი, საღვინე ქურჭლის პირის დაღარულ ნაპირს — ბწყალი || ბრწყალი, საღვინე ქურჭლის ნისკარტს — ნიკარტი || ნიკტი.

სახელურს ეძახიან ყურს, ყურის გაბრტყელებული ბოლოები, რომლებითაც ისინი გვამზე და ყელზე არიან მიბმული, ფთვებია.

აყალო მიწის სიფიცხის მიხედვით მექურჭლე საზღვრავს, რა რაოდენობის თირი უნდა შეურიოს მას. კალათებით ან ვედროებით აწყულ დაცენცილ მიწას ყრიან საზელზე, რომელიც ქურისთვის გამოყენებული საზელის მსგავსია, ალბობენ წყლით, შემდეგ კარგად დაშვალ მიწას დაქუსლავენ და დახმალავენ, დაჭრიან მიწას ნიჩბით, ქვედა გვერდს მოუქცევენ ზევით, ზედას — ქვევით. კარგად დაზელილ მიწას გრილ ადგილას ინახავენ ან მაშინვე იწყებენ ქურჭლის კეთებას.

ქვევრისა და ქურებისათვის საჭირო სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღის (მორგვი, გონგები, დანა-ჩხირი, სანარცხი, ბანდი) გარდა ქურჭლის კეთების პროცესში გამოყენებულია აგრეთვე სანიკარტე ჩხირი. ბასრი და კობაჩური.

სანიკარტე ჩხირი არის თითისტრის მოყვანილობის ჩხირი და გამოყენებულია საღვინე ქურჭლის ნისკარტის გასაკეთებლად.

ბასრი არის პატარა დანა-ჩხირი (დანა), რომელიც იხმარება ქურჭლის გვამისა და ყელის თავის შემოსაჭრელ-შემოსაწმენდად.

კობაჩური მოღუნული მრგვალთავიანი ჯოხია, რომელიც იხმარება პირვიწრო ქურჭლის გვამის გასამაგრებლად ყურის ქვედა ბოლოს (ფთის) მიკერის დროს.

ქურჭლის გაკეთებას ძროდან იწყებენ. მრგვალ, ოდნავ გაბრტყელებულ ნაცარმოყრილ გუნდას, რომლიდანაც ძროს აკეთებენ, ძირის გუნდას უწოდებენ. დებენ მას მორგვის ცენტრში და მორგვის ტრიალის პროცესში გულს ჩაულრმავებენ, შემდეგ თითებით კედლებს აუმალლებენ — ამოსთითავენ და საწმენდი გონგით გაწმენდენ. ამას ძროს ამოყვანას ეძახიან.

ძროს ამოყვანის შემდეგ იწყება გამოგვამვა: დაასორსალებენ (ხევი), დაასვარსვალიტებენ || დააკვალკვალიტებენ (შროშა) გუნდას, როგორც ხევში ამბობენ, ყინულის ლოლუებივით დააგრძელებენ და ამ მრგვლად დაგრძელებულ გუნდას — ფთილას მორგვის ტრიალის პროცესში შამოაქნიან (ბოსლევი, შროშა) || შამოაქსოვენ (ხევი) ძროს, ე. ი. შემოაველებენ და ამოამალლებენ, გამოგვამავენ. ფთილებს იმგვარად შემოქნიან, რომ შუამღე ქურჭელი განიერდება, მერე კი იწყებენ

პოვეწროებას. მოკლე-მოკლე ფთილების მოქნის გზით ჯერ ამოიყვანენ მორხილა ყელს, შემდეგ ყელს. გვამისა და ყელის დამთავრების შემდეგ თავს შემოკრიბან და შემოწმენდენ ბასრით.

საფხეკი გონგით გაფხეკენ გვამსა და ყელს გარედან, დანა-ჩხირით კვამსა და ყელს შიგნი-გარეთ გალესენ, ხოლო საწმენდი გონგით გაწმენდენ.

ყელის გაკეთების შემდეგ ჭურჭელს უკეთებენ ყურს, ერთ ფთას ყელზე მიამაგრებენ, მეორეს კი გვამზე კობაჩურის საშუალებით.

ფარფლისა და ბწყალის გასაკეთებლად იყენებენ სველ ბანდს, რომელსაც შორგვის მოძრაობის პროცესში ჭურჭლის პირზე შემოათარებენ. ნაპირს ან გააბრტყელებენ და ძაბრივით გადაშლიან, თუ ფარფლია საჭირო, ან დადარავენ, როცა ბწყალია საჭირო. ბწყალის გაკეთებამდე პატარა დანა-ჩხირით საღვინედ განკუთვნილი ჭურჭლის პირს ნახევარ ნაწილს ირიბად მოსკრიბან, შეასწორებენ, სველი ხელით გაათხელებენ და პირს დანა-ჩხირით შიგნი-გარეთ გალესავენ.

ბწყალის შემდეგ აკეთებენ ნიკარტს სანიკარტე ჩხირის გამოყენებით.

მოინგლისებულ ჭურჭელსაც შორგვზე აკეთებენ ერთჯერად ერთი გუნდისაგან, ცხოველისა და კაცის სახის გამოსახულების ჭურჭელს კი — ყალიბებში ანუ დარჯაყებში.

გოხვით გამოგვაძული ჯამის გუნდის პირის გასწორებას სისწორეში გამოიყვანას უწოდებენ, ხოლო ძირის გაკეთებას — ძროს ამოყვანას.

წითელი ჭურჭლის ოსტატები წყლის მიღებასაც აკეთებენ. ტაროს მსგავსად მოყვანილ, ერთი მხრივ ფართო, მეორე მხრივ ვიწრო, მილისათვის საჭირო დიამეტრის ხის ჯოხებზე, რომელთაც კალაპოტს უწოდებენ, შემოაკრავენ დახელილ ფთილას, ვიწრო ბოლოსკენ უკეთებენ რგოლს, რომელიც საჭიროა მიღების ერთმანეთთან შესაერთებლად, შემდეგ კალაპოტს გამოაძრობენ, მილებს ახმობენ და გამოწვავენ.

ჭურჭლის გაშრობას ხედებიან ფერით: გამხმარ ჭურჭელს სისველე აღარ ექნება, ღია ფერისა ხდება, რასაც პირის მოთეთრებას უწოდებენ. ჭურჭელს როცა პირი მოუთეთრდება, გადააბრუნებენ და ერთმანეთთან ყურებით მიაწყობენ — ყურებით დააყუდევენ.

წითელ ჭურჭელს გაშრობის შემდეგ აჭრელებენ წინასწარ დაფქული მოყვითალო მიწით — წარნაქით ან შავი ქვით, ზოგჯერ ორივეს შენაერთით.

წარნაქით მოხატვას რომ უძველესი ტრადიცია აქვს, ამას მოწმობს ს ა ბ ა ც, რომელიც მიუთითებს: წარნაქს სახლის ნაწილების მოსახატავადაც იყენებდნენო.

მოსაქიქი ჭურჭლის აჭრელებას პირველი ანუ უბრალო გამოწვის

შემდეგ იწყებენ, რისთვისაც იყენებენ სპილენძის ჟანგს ანუ ხენჯს. თოქალს (ლ. ბოქარი.) || თოქონს, რომელსაც წამლის წისკვილში ფქვავენ და წყალში ხსნიან. თოქალის || თოქონის ხსნარით აკრელების შემდეგ ახდენენ მოინგლისებას შავი, თეთრი, წითელი და მწვანე საღებავებით.

შავი ფერის საღებავი მზადდება ტყვიის, ბროლის ჰიქის, ცეცხლგამძლე თიხისა და უმალლესი ხარისხის მარგანეცისაგან (95%-იანი პეროქსიტი).

თეთრი საღებავისათვის გამოიყენება ტყვია, კალა, ბროლის ჰიქა და კაეი. თუ კალას არ შეურევენ, მიიღებენ მოწითალო ფერის საღებავს.

მწვანე საღებავისათვის კი ტყვიას, კალას, ბროლის ჰიქასა და კაეში (თაგვმარილი — ბოქარი.) მცირე რაოდენობით ურევენ თოქონს.

სათანადო ფერისათვის საჭირო საღებავებს წისკვილში ფქვავენ, წყალში ხსნიან და თალარში ათავსებენ. სქელ სითხეში ღებავენ ჭურჭელს და ამის შემდეგ გამოწვავენ.

საწვავში ჯერ ჩადგამენ ოდნავ მიწვინით წითელ ჭურჭელს დიდი ზომისას, ე. წ. თავნ ჭურჭელს — ჩაფებს, დერგებს... შემდეგ წვრილ ჭურჭელს (თუნგულა, დოქი, ქოთან...), დაწვინით ჭურჭლის ჩადგამის პარალელურად ამოაშენებენ, ამორაგვავენ საწვავის წინაპირს, უკანა კედელში სამთვაროებს დაკეტავენ, კვამლის ცეცხლს მიუფუფლებენ, ერთი დღე-ღამის შემდეგ მაგარ ცეცხლს დაუნთბენ. წინა კუნძულის გამოწვის შემდეგ სამთვარიოებს ჩამოხსნიან, რომ ალმა უკან გაიწიოს. გამოწვის დამთავრებას ატყობენ იმით, რომ ჭურჭელი წითლდება და ცეცხლის ალი თეთრდება. ჭურას განელების შემდეგ პირს გაუხსნიან და ჭურჭელს გამოალაგებენ.

მოინგლისებული ჭურჭლის პირველ გამოწვას წითლად გამოწვას უწოდებენ, მეორედ გამოწვას კი — ფერში გამოწვას ანუ ინგლისურად გამოწვას.

პირველი გამოწვის დროს ჭურჭელი სოღებზე ერთმანეთზე მიწყობით ლაგდება, მეორე გამოწვის დროს — ფეხზე დგომით, ჯამები კი თიხის სამფეხებში — ბორჯყებში ჩაიდგება (ბორჯყში 2-3 თავსდება), ე. ი. იბორჯყება და ისე გამოიწვება. პირველად კვამლში გამოწვას ახდენენ, მეორედ უკვამლოდ — დიდი ცეცხლით.

გასაყიდი ჭურჭლები მიაქვთ წნელის დიდი გოდრებით — ჯინებით. ჭურჭელი შეიძლება გაიყიდოს ფულზე, შეიძლება წყეთით, ე. ი. ჭურჭელში აღებულ იქნეს იმდენი მარცვლეული, რაც შიგ ჩაეტევა. ხათავით ანუ საღვამით გაყიდვა გულისხმობს გამყიდველისაგან მყიდველისათვის ერთი ჩაფის თუ დერგის გარდა წვრილი ჭურჭლის — თუნგულას თუ დოქის დამატებას.

ზემო იმერეთის ზოპონიშიკა

- ამხაისი სოფ. შროშის (ზესტ. რ.) უბანი (ცხოვრობენ გველესიანები, მაჩიტძეები და ყანჩაველები).
- არგვეთი სოფ. (საჩხ. რ.).
- არგვეთა სოფ. (ზესტ. რ.).
- ატოცი სოფ. (ქარელის რ.).
- ახალსოფელი სოფ. (ხარაგ. რ.).
- აჭაშეთი სოფ. (ზესტ. რ.).
- ბაბი სოფ. (ხარაგ. რ.).
- ბაზალეთი სოფ. (ხარაგ. რ.).
- ბახიოთი სოფ. (საჩხ. რ.).
- ბაჭითი სოფ. (საჩხ. რ.). სიტყვა ბაჭითი არის თათრული, ნიშნავს გმირს. ან ა ბ ი ქ ი, ხომ ვახსოვთ, იყო გმირი ქალი, აქედანაა ბაჭითი — საგმირო ადგილი (მთქმ. ბაჭითელი ლუკა თევდ. ტყემალაძე 77 წ.).
- ბელაგორი ადგილის სახელია. ბელაგორი იმიტო ქვია, რო იქ არი თეთრი გორები. დიდი გორაები ტყტება იქა (მთქმ. ზოვრეთელი სევერიონ კონსტანტინეს ძე აბულაძე, 73 წ.).
- ბეთათუბანი სოფ. (ხარაგ. რ.).
- ბერეთისა სოფ. (კიათ. რ.). ბერეთისა დეერქვა, რადგანაც ბერების თა იყო (მთქმ. ბერეთისელი ლენტორ გიორგის ძე ტაბატაძე, 85 წ.).
- ბელღევი სოფ. (ზესტ. რ.).
- ბილა სოფ. (კიათ. რ.).
- ბორი სოფ. (ხარაგ. რ.).
- ბორვეთი სოფ. (საჩხ. რ.).
- ბორითი სოფ. (ხარაგ. რ.).
- ბუინევი სოფ. (ხარაგ. რ.).
- ბრავალძა სოფ. (ონის რ.).
- განთიადი სოფ. (ზესტ. რ.).
- გამოლმა ბოსღევი (სოფ. (ზესტ. რ.).
- გალმა ბოსღევი სოფ. (ზესტ. რ.).
- გეზრული სოფ. (კიათ. რ.).
- გელსამანია სოფ. (ხარაგ. რ.).
- გოგოლაძეები სოფ. (საჩხ. რ.).
- გოლათუბანი სოფ. (ხარაგ. რ.). გოლას შთამომავალთა უბანია აქა (მთქმ. ქეებიდან ნესტორ კუოიძე, 60 წ.).
- გორაძირი სოფ. (საჩხ. რ.).
- გორისა სოფ. (საჩხ. რ.).
- გორიჭვარი სოფ. (საჩხ. რ.).
- გრიგალათი სოფ. (ხარაგ. რ.). გრიგალათი მდინარე რიკოთულას (|| ხედნურის წყლის) გალმა-გამოლმა არი (წაქვა. ხევი).

გულათუბანი სოფ. (ხარაგ. რ.).
 გუნდაეთი სოფ. (ქიათ. რ.).
 დავაეთი სოფ. (სახხ. რ.). ამ სოფელს შეუერთდა პერევი.
 დათუნაშვილების დას I. (ქიათ. რ.).
 დარკვეთ-ი სოფ. (ქიათ. რ.).
 დარუა სოფ. (სახხ. რ.).
 დეიხი სოფ. (ხარაგ. რ.).
 დიდვაკე სოფ. (ხარაგ. რ.).
 დიდი კაცხი სოფ. (ქიათ. რ.).
 დიდი შოლითი სოფ. (ხარაგ. რ.).
 დიდი სახელარი სოფ. (ხარაგ. რ.).
 დიდწიფელა სოფ. (ზესტ. რ.).
 დრბო სოფ. (სახხ. რ.).
 დუნთა სოფ. (სახხ. რ.).
 დურევი სოფ. (სახხ. რ.).
 ეთო სოფ. (სახხ. რ.).
 ერეთა სოფ. (ხარაგ. რ.).
 ეწერი სოფ. (ქიათ. რ.).
 ეხვევი სოფ. (სახხ. რ.).
 ვაკევისა სოფ. ხუაშითის (ქიათ. რ.) ერთ-ერთი უბანი
 ვაკისა სოფ. (სახხ. რ.).
 ვანი სოფ. (ქიათ. და ხარაგ. რ.).
 ვარძია სოფ. (ხარაგ. რ.).
 ვაშლევი სოფ. (ხარაგ. რ.).
 ვაჭევი სოფ. (ქიათ. რ.).
 ვახანი სოფ. (ხარაგ. რ.).
 ვერტუვილა სოფ. (ხარაგ. რ.). აქ ჩამოდის მდ. ძირულა. ძირულა ყოფს ვერ-
 ტუვილა და ვერტუვიქალას. გამოღმა ვერტუვიქალა, გაღმა—ვერტუვილა
 ვერტუვიქალა სოფ. (ხარაგ. რ.). ვერტუვიქალა დაცემული ქალა არი.
 ზარანი სოფ. (ხარაგ. რ.).
 ზედა დილიკაური სოფ. (ზესტ. რ.).
 ზედა ითხვისი სოფ. (ქიათ. რ.).
 ზედა იღემი სოფ. (ზესტ. რ.).
 ზედა ლიხი სოფ. (სახხ. რ.).
 ზედანახოფლარი სოფ. (ხარაგ. რ.).
 ზედა ორდული (სოფ. (სახხ. რ.).
 ზედა საქარა სოფ. (ზესტ. რ.).
 ზედა შროშა სოფ. შროშის (ზესტ. რ.) ერთ-ერთი უბანი.
 ზედა წმანი სოფ. (სახხ. რ.).
 ზედა ქალოვანი სოფ. (ქიათ. რ.).
 ზედუბანი სოფ. (ქიათ. და ხარაგ. რ.).
 ზეკადა სოფ. ღორეშის (ხარაგ. რ.) ერთ-ერთი უბანი.
 ზესტაფონი ქალაქი. ზესტაფონში იყო ფონი. „ზედა ფონზე გადიო“, — უტყვამთ და
 დარქვეს ზესტაფონი (მთქმ. ზოვრეთელი სევერიან კონსტანტინეს ძე
 აბულაძე, 73 წ.).

ზვარი სოფ. შროშის (ზესტ. რ.) ერთ-ერთი უბანი. ამ ზვარში ნიქაბერიძეები ვართ. აქ ცხოვრობდა აბაშიძე ივანე. ის აბაშიძე უძახთა ამ ადგილს ზვარს, აქ იყო ეენახები, მალარები... ეს მერე სახემწიფო მამული (ყო და უყიდა ჩვენ წინაპარს (მთქმ. შროშელი შალვა ზიკიას ძე მიქაბერიძე, 62 წ.).

ზვარე სოფ. (ხარაგ. რ.) ზვარეში 180 კომლია, ჩრდილში — 220, სულ 431 კომლია ნუნისის ჩათვლით. ზვარემდე არი ნუნისის წყალი. ზვარეში წერეთელ-ყოფილიყო, ზვარე ქონოდა. წერეთელზე უმაღ აქ ყოფილა კორძაია. მერე წერეთელი დასიძებია კორძაიას (მთქმ. ქვებიდან ნესტორ კუციძე, 62 წ.).

ზიბზიბაძეების უბანი სოფ. სანახშირეში (ზესტ. რ.).

ზოდი სოფ. (კიათ. რ.).

ზოვრეთი სოფ. (ზესტ. რ.).

თაბაგრები სოფ. (კიათ. რ.).

თედელეთი სოფ. სამხრეთ ოსეთში.

თვალუეთი სოფ. (კიათ. რ.).

თირი სოფ. (სახხ რ.).

თხვიხი სოფ. (კიათ. რ.).

თმაწმინდა სოფ. (სახხ. რ.). იმაწმინ და სოფელია საჩხერის ვადალმა: კალიდან გამოატანეს ქალი იმაწმინდაში (მთქმ. პერევიდან მიხეილ სპირიდონის ძე ბაქაძე, 48 წ.).

თრტავაზა სოფ. (სახხ. რ.).

თხლარი სოფ. (ხარაგ. რ.).

თქვირი სოფ. (სახხ. რ.).

თალაური სოფ. (კიათ. რ.).

თალვათა სოფ. (სახხ. რ.).

თამანაძეები სოფ. (სახხ. რ.).

თაცხ-სალიეთი სოფ. (კიათ. რ.).

თვალთი სოფ. (ზესტ. რ.). კი ბარები ყავდა თურმე ერთ კაცს და ხნავდა. გარონი კვალი აქა, დარქვეს კვალთი (მთქმ. ზოვრეთელი სევერიან კონსტანტინეს ძე აბულაძე, 73 წ.).

თვეხრევი სოფ. (ხარაგ. რ.).

თიციხი სოფ. (ხარაგ. რ.).

თიციხის იგორეთი სოფ. (ხარაგ. რ.).

თორიზაული ადგილის სახელია, ჩხირაულის (იხ.) გალმა.

თორტოხი სოფ. წაქვას (ხარაგ რ.) ერთ-ერთი უბანი (გელაშვილები არიან იქა).

თოტახევი ბორჯომის სამძღვარზეა. ჩვენი საქონელი სულ სამბორჯომში ბალახოფს (ვახანი).

თტიხი სოფ. ლორეშის (ხარაგ. რ.) ერთ-ერთი უბანი, სადაც მეტწილად ორქონიკიძეები ცხოვრობენ.

თუდარო სოფელია, ამჟამად რაქვას ეკუთვნის (პერევი).

თაშე სოფ. (ხარაგ. რ.).

თახუნდარა სოფ. (ხარაგ. რ.).

თღესევი ადგილის სახელია ოსეთში: ეავე წყალია აქა (პერევი).

თღვანის სოფ. (ხარაგ. რ.). თღვანის საზღვარი: დასავლეთით სხლითი, საღანძილე, ჩრდილოეთით—ჩხერიმელა, სამხრეთით—მთები და სამოვრები, აღმოსავლეთით—მარლისი (მთქმ. თღვანელი გიორგი ამბაკოს ძე მალრაძე, 64 წ.).

თოფდეთი სოფ. სეგრის (კიათ. რ.) ერთ-ერთი უბანი, სადაც ცუცქირიძეები სახლობენ.

თინდაეთი სოფ. (კიათ. რ.).

მარიამწყარო სოფ. ღორეშის (ხარაგ. რ.) ერთ-ერთი უბანი, რომელსაც წყაროს სახელი ქვია.

მარტოთუბანი სოფ. (ზესტ. რ.).

მაქათუბანი სოფ. (ხარაგ. რ.).

მაქიწეთი სოფ. სევრის (კიათ. რ.) ერთ-ერთი უბანი.

მაღალლოური სოფ. საბეს (ხარაგ. რ.) ერთ-ერთი უბანი. „ეს არის საბეი, გაღმა სერა მაღალლოური“.

მაქარაშვილები სოფ. (საჩხ. რ.).

მაქარულა სოფ. შროშის (ზესტ. რ.) ერთ-ერთი უბანი. „ეს მაქარულაა, აქ პატარა მდინარე მაქარულა ჩამოდის, კალის უბანიც ქვია“ (შროშა).

მახათაური სოფ. (საჩხ. რ.). აქა მახათამე ყოფილა გლეხი, ის ქვე გადამწებულა მარა მის ნაშვირზე დეერქვა მახათაური (მთქმ. მახათაურელი ივანე კვამლაძე, 70 წ.).

მელუშეთი სოფ. (კიათ. რ.).

მეორე სვირი სოფ. (ზესტ. რ.).

მერვეი სოფ. (კიათ. რ.).

მერჭევი სოფ. (საჩხ. რ.).

მიწათელი სოფ. სანახშირის (ზესტ. რ.) ერთ-ერთი უბანი. მიწათელი შიშ არის წითელი მიწა, რომელსაც ბაღებსა და სვეტებში ხმარობენ. ცხოვრობენ მაღლაკლიძეები, შევილაძე — 1, კომაძე — 1, ბოგვერაძე — 1.

მიხელიძეების დას. (კიათ. რ.).

მოღინახე || მოღინახის ციხე (საჩხ. რ.).

მოლითი სოფ. (ხარაგ. რ.).

მორძვეთი სოფ. (კიათ. რ.).

მოძვი სოფ. (საჩხ. რ.).

მოხვა სოფ. (საჩხ. რ.). ჩვენ არც იმერეთი ვართ, არც რაქა. შუაში ვართ. უმფრო რაქის ხარეზე ვართ, ვიდრე იმერეთის. ონში თა გვაქ გადასასვლელი, ვერ გადავდივართ, საჩხერიდან მოგვაქ ყველიფერი (მთქმ. მოხველი სიმონ ბიჭიას ძე კვიციანი, 65 წ.).

მღიმევი სოფ. (კიათ. რ.).

ნაბადური სოფ. (ხარაგ. რ.).

ნაბედლარი სოფ. სანახშირის (ზესტ. რ.) ერთ-ერთი უბანი. ცხოვრობენ მაღლაკლიძეები, კაბუციანი, შევლიძე, ნებიერიძე, ზიბზიბაძე, გურგენაშვილი.

ნადაბური სოფ. (ხარაგ. რ.).

ნავარძეთი სოფ. (კიათ. რ.).

ნებოძირი სოფ. (ხარაგ. რ.).

ნიგეზარა სოფ. (საჩხ. რ.).

ნიგოზეთი სოფ. (კიათ. რ.).

ნუნისი სოფ. (ხარაგ. რ.). ნუნისი იყო მუნისი, მუნის აბანოებია იქა (მთქმ. ქვებიდან ნესტორ ჭყოიძე, 60 წ.).

ორთაშენი სოფ. (საჩხ. რ.).

ორღული სოფ. (საჩხ. რ.).

ოხიაური სოფ. (ხაშურის რ.).

პატარა გოლისი სოფ. (ხარაგ. რ.).

პატარა ვარძია სოფ. (ხარაგ. რ.).

პატარა მარელიხი სოფ. (ხარაგ. რ.).

პატარა სახვლარი სოფ. (ხარაგ. რ.).

პატარა ხარაგოული სოფ. (ხარაგ. რ.). პატარა ხარაგოულიდან ზეარეში ჩასახლებულ.

ლია მ კომლი. პ ა რ ა რ ა ხ ა რ ა გ ო უ ლ შ ი არაღიენ ცხოვრობს ამჟამად
(მთქმ. ზვარედან გიორგი ხიხაძე, 65 წ.).

პერევი სოფ. (საჩხ. რ.).

პერევისა სოფ. (ქიათ. რ.).

პირველი ხვირი სოფ. (ზესტ. რ.).

რგანი სოფ. (ქიათ. რ.).

რიკოთის პერევალი რიკოთის ვადასასვლელი.

რკვია სოფ. (ზესტ. რ.).

როდინოული სოფ. (ზესტ. რ.).

რცხილათი სოფ. (ქიათ. რ.).

ხაბაშიო წითიდან დაწყებული მარელისამდე მიდიოდა. მარელისი სამძღვარი
(მთქმ. ლელენელი პინესი ყარამანის ძე მალრაძე, 79 წ.).

საბე სოფ. (ხარაგ. რ.).

სამორჯომო ბორჯომის ხეობა. ვახანს გარდა ხეობაში მიცხოვრია, სამორჯომში,
- ბორჯომის ხეობაში (მთქმ. ვახანელი სერგო იაკობის ძე ღონღაძე, 74 წ.).

სავანე სოფ. (საჩხ. რ.).

ხაირზე სოფ. (საჩხ. რ.).

საკანაფურა სოფ. (საჩხ. რ.).

საკოხია სოფ. (საჩხ. რ.).

საკურწე სოფ. (ქიათ. რ.).

სანახშირე სოფ. (ზესტ. რ.). ძველ დროს აქ ბევრი წაბლის ხეები ყოფილა და
წვამდენ ნახშირით, ამიტომ დვერქვა ს ა ნ ა ხ შ ი რ ე (მთქმ. სანახშირელი
გაბრიელ კონსტანტინეს ძე გაჩეჩილაძე, 51 წ.).

სარგვეში სოფ. (ხარაგ. რ.).

სარეკი სოფ. (საჩხ. რ.). სარეკს ორი კუთხიდან მდინარე ჩამოუღის, ჭრუქულა და
ყვირილა. ამ მდინარეების კალაპოტი ისეთი ღრმა იყო, არაფერ ნადირს გასვლა არ
შეეძლო იმ მდინარეებს იქით. რო წამოვიდოდენ სანადროთ მაშინდელი
უფროსები, წამოიყვანდენ ხალხს და მოყვებოდნენ ღობურათ მოღებდენ ნა-
დირს და ჩარეკდენ სარეკში, ამოხოცდენ შიდ ამ ნადირს, ამიტომ დვერქვა
ს ა რ ე კ ი (მთქმ. ბაჯითელი ლუკა თევდორეს ძე ტყემალაძე 77 წ.).

სარქველეთუზანი სოფ. (ქიათ. რ.).

საქარა სოფ. (ზესტ. და საჩხ. რ.).

საქარიქელი სოფ. (ხარაგ. რ.).

საქასრია სოფ. (ხარაგ. რ.).

ხალანძილე სოფ. (ხარაგ. რ.).

ხალვინე სოფ. (ზესტ. რ.).

საჩხერე დაბა. ჩვენ ხვალაბუნეფში, სადაც დავაგდებოდა ყვირილა, უგებდენ ჩხერს
და დვერქვა საჩხერე (მთქმ. ბაჯითელი ლუკა თევდორეს ძე ტყემალაძე, 77 წ.).

საწაბლე სოფ. შროშის (ზესტ. რ.) უბანი. ცხოვრობენ კოპაძეები, მელაძეები,
ტალახაძეები, ჩუბინიძეები.

საწუშაი სოფ. შროშის (ზესტ. რ.) უბანი. ცხოვრობენ თაბაგრები, შიჭაბერიძეები.

საჭვარე სოფ. ღორეშის (ხარაგ. რ.) უბანი. პატარა სასაფლაოა იქა და ჭვრები რომ
არის, ამიტომ ჭვია ს ა ჭ ვ ა რ ე (მთქმ. ღორეშელი ტატიანა მუხუხრაძე, 53 წ.).

სერი სოფ. მოხვას (საჩხ. რ.) უბანი. პეტრიაშვილები არიან იქა ასული ძირიდან
(მთქმ. მოხვადან სიმონ ბიჭიას ძე კვიციანი, 65 წ.).

სერბაიხი სოფ. (ხარაგ. რ.).

სვერი სოფ. (ქიათ. რ.).

სვეტმალაი სოფ. (ზესტ. რ.).

სისვაძეები სოფ. (საჩხ. რ.).

სკანდო სოფ. (თერჯ. რ.).

სკინდორი სოფ. (ჭიათ. რ.).

სპეთი სოფ. (საჩხ. რ.).

სპირიდონის გზა სოფ. ვახანშია (ხარაგ. რ.). სპირიდონი იყო ერთი, იმან გააკეთა
და მისი სახელი ქვია (მთქმ. ვახანელი ოსინა ივანეს ძე ღონღაძე, 87 წ.).

სხვტორი სოფ. (საჩხ. რ.).

სხლითი სოფ. (ხარაგ. რ.).

ტაბაყინი სოფ. (ზესტ. რ.).

უბისა სოფ. (ხარაგ. რ.).

უზუნთა სოფ. (საჩხ. რ.).

ულევი სოფ. (ზესტ. რ.).

ურუნა სოფ. (საჩხ. რ.).

უხახელო სოფ. (საჩხ. რ.).

უჩაშეთი სოფ. (ხარაგ. რ.). მღებარეობს მდინარე ჩხერიმელასა და ყარნებას შუა.

ფარცხნალი სოფ. (ხარაგ. რ.).

ფონა სოფ. (ხარაგ. რ.).

ფორცხონიკო ადგილის სახელია ზედუბანში (ჭიათ. რ.).

ფუთი სოფ. (ზესტ. რ.). ფუთი მამყემიანი სოფელია, მარა ფუთი ტალახი ღე-
გელესება ფეხზე და ღვერქვა ფუთი (მთქმ. ფუთიდან კაკო სამსონის ძე ვარ-
დოსანიძე, 36 წ.).

ქვაციხე სოფ. (ჭიათ. რ.).

ქვები სოფ. (ხარაგ. რ.). ამ ქვედა კუთხიდან მოსულა სამი კაცი. ტალახი შეხვდენიათ;

ქვა ყოფილა გალაგებული. 2 გამევიდა, ერთი ველარ გამევიდა. „ქვებზე გვიარ-
რეო“,—ლოუძახეს. მერე დასხდენ, „რა დავარქვათო?“—„ქვები ნახებთ იქ პირ-
ველათო“ და ქვები ღოუძახეს (მთქმ. ქვებიდან ნესტორ ჭყილიძე, 62 წ.).

ქვედა ბერეთისა სოფ. (ჭიათ. რ.).

ქვედა გეზრული სოფ. (ჭიათ. რ.).

ქვედა დილიკაური სოფ. (ზესტ. რ.).

ქვედა ზოდი სოფ. (ჭიათ. რ.).

ქვედა იღეში სოფ. (ზესტ. რ.).

ქვედა ლიჩი სოფ. (საჩხ. რ.).

ქვედა ორღული სოფ. (საჩხ. რ.).

ქვედა ხაჯანო სოფ. (საჩხ. რ.).

ქვედა ხვერი სოფ. (ჭიათ. რ.).

ქვედა უსახელო სოფ. (ჭიათ. რ.).

ქვედა ღორეშა სოფ. (ხარაგ. რ.).

ქვედა წმანი სოფ. (საჩხ. რ.).

ქვედა ქალოვანი სოფ. (ჭიათ. რ.).

ქვემოხევი სოფ. (საჩხ. რ.).

ქორეთი სოფ. (საჩხ. რ.). ქორეთს სამხრეთით საზღვრავს ჭალაურთა, ჩრდილოე-
თით—ყვირილას წყალი, დასავლეთით—თხვისი და დარკვეთი, აღმოსავლე-
თით—საირხე და ქორილა. ქორეთში 403 კომლია. ქორეთზე ორი გადმოცემაა:
ქარი იცის და ამიტომ ქვია ქარეთი—ქორეთი; მორე: ქორი იცის. წა-
მოვა, სერი მოდემს, გამოუვლის ჩვენ სერს, გვივლის აბღუშელიშვილებისა-
კენ ბეინეუში და წეიყვანს ქათმეფს. 20-ს გავზდი ქათმეფს. 15-ს ის ქამს
(მთქმ. ქორეთელი პარმენ იასონის ძე გოგატიშვილი. 67 წ.).

ქროლი სოფ. (ხარაგ. რ.).

ლარსხვევი სოფ. (ხარაგ. რ.).

ღვერკი სოფ. (ხარაგ. რ.).

ღვითორი სოფ. (ქიათ. რ.).

ღოდორა სოფ. (საჩხ. რ.).

ღონა სოფ. (საჩხ. რ.).

ღორეშა სოფ. (ხარაგ. რ.). როცა მევიდენ ეს ხალხი, დევსახლენ. თა იყო ეს მიდამოები და გარეული ღორები იყვენ და დაარქვეს ღორეშა. ღორეშა შედგება ორი უბნისაგან, დაახლოებით 500-მდე კომლია, ორ უბნად იყოფა მდინარე კვადლორათი. მარჯვენა ნაპირზე პირველი უბანია, მარცხენაზე — მეორე. კტისძირში ცხოვრობენ ორჯონიკიძეები. ქვეითი არი მთის პირას, საკმაოდ მოცილებული უბანია. საჭვარე შედარებით დაბლობია, ცენტრია რუხუთი (მთქმ. ღორეშელი ონისიძე მუხურაძე, 94 წ.).

ღორმანოული სოფ. შროშის (ზესტ. რ.). ერთ-ერთი უბანი. ცხოვრობენ ექსეულიძეები, ლომიძეები.

ღუღუშეძეი სოფ. (ხარაგ. რ.).

შალაური სოფ. (საჩხ. რ.). ცხოვრობენ ყიფშიძეები, ბლიაძეები.

შერგილაშვილების უბანი სოფ. სანახშირეში (ზესტ. რ.).

შერთული მდ. ძირულისა და ჩხერიმელას შეერთების ადგილი ძირულაში. ძირულას ძველად ერქვა შერთული, რადგან ორი მდინარე ერთოდა ერთმანეთს (მთქმ. განთიადიდან გალინა კონსტანტინეს ასული ჩუბინიძე, 58 წ.).

შევილაძეების დას. (გებრული, ქიათ. რ.).

შიმშილაძეი სოფ. (ზესტ. რ.).

შომახეთი სოფ. (საჩხ. რ.).

შორაპანი სოფ. (ზესტ. რ.).

შროშა სოფ. (ზესტ. რ.). შროშასა და განთიადს ყოფს მდინარე ძირულა. შროშაში 512 კომლია. შროშის უბნებია: ჭალის უბანი, ჴვრის უბანი, ჴედაშროშა. ღორმანოული, აშხაისი, ხაწაბლე, საწუმში (მთქმ. შროშელი შალვა ბიქიას ძე მიქაბერიძე, 62 წ.).

შუქრუთი სოფ. (ქიათ. რ.).

შქმერი სოფ. რაქაში.

შხივანა სოფ. რაქაში.

ჩაღხეთი სოფ. (ხარაგ. რ.).

ჩდილი სოფ. (ხარაგ. რ.). ჩდილი არი მომწყდოული ჩდილში, ჩერო არი და ჩდილი წესიერათ ქეია. ჩდილი იყოფა ორ უბნად: კოშკის უბანი და გოგნაძეების უბანი (მთქმ. ჴვარედან ლარევეტი შიოს ძე გოგნაძე, 73 წ.).

ჩიხა სოფ. (საჩხ. რ.). ჩიხაში 500 კომლამდეა.

ჩონთო სოფ. (საჩხ. რ.).

ჩხირაული სოფ. (ქიათ. რ.).

ცეცქი სოფ. სვერის (ქიათ. რ.) უბანი, სადაც ცუცქირიძეები სახლობენ.

ციციური სოფ. (ხარაგ. რ.).

ციხისძირი სოფ. (ხარაგ. რ.).

ცხამი სოფ. (საჩხ. რ.).

ცხენთარო სოფ. (ზესტ. რ.).

ცხომარეთი სოფ. (საჩხ. რ.).

ცხრაწეარო სოფ. (ზესტ. რ.).

ცხრუკვეთი სოფ. (ქიათ. რ.).

ძირულა სოფ. (ზესტ. რ.).

ძლოურდანიეთი სოფ. (ზესტ. რ.).

ძოლი (||ზოლი) სოფ. (კიათ. რ.).

წაქვა სოფ. (ხარაგ. რ.).

წევა სოფ. (ზესტ. რ.).

წითელსოფელი სოფ. (საჩხ. რ.).

წითელხევი სოფ. (ხარაგ. რ.).

წინსოფელი სოფ. (კიათ. რ.).

წიფა სოფ. (ხარაგ. რ.).

წიფლავაკე სოფ. (ზესტ. რ.).

წონა თის გადაღმა სოფელია ოსეთში (მთქმ. მარო სამსონის ასული შუკაკიძე. 68 წ.).

წუნწულაური სოფ. კიცხის (ხარაგ. რ.) უბანი.

წყალაფორეთი სოფ. (ხარაგ. რ.).

წყალტუშო წყალტუბო.

წყლიპირის უბანი სოფ. სანახშირეში (ზესტ. რ.).

ქალა სოფ. (საჩხ. რ.).

ქალატყე სოფ. (საჩხ. რ.).

ქალვანი სოფ. (საჩხ. რ.).

ქალისუბანი სოფ. შროშაში (ზესტ. რ.).

ქარტალი სოფ. (ხარაგ. რ.).

ქილოვანი სოფ. (კიათ. რ.).

ქორვალა სოფ. (საჩხ. რ.).

ქურის წყაროს უბანი სოფ. სანახშირეში (ზესტ. რ.).

ქურხალი სოფ. (საჩხ. რ.).

ხალიფაური სოფ. (კიათ. რ.).

ხახიეთი სოფ. სამხრეთ ოსეთში.

ხევი სოფ. (ხარაგ. რ.). 80-მდე კომლი იყო ხევში. 20-ზე მეტი წვევიდა სართიქალანა და ზოგი ახლა კახეთშია (მთქმ. წაქვადან იოსებ დავითის ძე გელაშვილი. 100 წ.). სურამის უღელტეხილი ყოფს ხევს სურამისაგან, ქოჩოკას უძახიან. აქედან ხაშურამდე 25 კმ-ია, უღელტეხილამდე—17 (მთქმ. ხევიდან პლატონ ეფრემის ძე კობაძე, 53 წ.).

ხევიჭვარი სოფ. (ხარაგ. რ.). „ხევიჭვარში იყო სახტარი“.

ხევისჭვარი სოფ. (საჩხ. რ.).

ხეშალალი სოფ. (ხარაგ. რ.).

ხეფინიხევი სოფ. (ხარაგ. რ.).

ხვანი სოფ. (საჩხ. რ.).

ხვაშითი სოფ. (კიათ. რ.).

ხიდარი სოფ. (ხარაგ. რ.).

ხონი სოფ. (ხარაგ. რ.).

ხორითი სოფ. (ხარაგ. რ.).

ხრეთი სოფ. (კიათ. რ.).

ხუნევი სოფ. (ხარაგ. რ.).

ჩალაბეთი სოფ. სამხრეთ ოსეთში

ჩალაურთა სოფ. (საჩხ. რ.).

ჩვარი სოფ. (საჩხ. რ.).

ჩოყოეთი სოფ. (კიათ. რ.).

ჭრია სოფ. (საჩხ. რ.).

მდინარეები

ბორიმელა მდინარეა. „რო მოდიდდება, უბედური წყალია, ვაძი გულა უერთ-
ლება“ (ხიდარი); „იპარებოდა წყალი და მოდიოდა ხიდრიდან, გამეიპარა იმ ხიდრის
და ვარძიას კუთხეებიდან და გამევიდა ბორით კუთხეში. ბორი ვაკე ადგილია და
იქ მიიფანტ-მეიფანტა. ვერ გეიგეს, სა წვეილა. როგორც მელა, ისე გეიპარა ბორიში
და აქედან დაარქვეს ბორიმელა“ (ფუთი);
ბუჭა ერთვის ძუსას და ორივეს ერთათ უწოდებენ ჩილიბურას (საქა-
რა); ქვედა საქარაში მოდის მდინარე ბუჭა (ქვედა საქარა); ბუჭა აქეთ ხრე-
თიდან მოდის (ვანა).

გეზრულა ჩაუდის გეზრულს (გეზრული).

დარყულა დარყის (იხ.). კანტორა რო არი, იქანა რო წყალი ჩამოდის, ისაა დარ-
ყულა. გაზაფხულზე აღიდება იცის (პერევი).

დუშალა „ჩოუდის უფრო ქვედა რა ზედა ბერეთისა“ (წყალშავი); „დუშალა
თავათ სოფელშია და მდინარე რკვიანი ერთობა დუშალას სოფლის ბო-
ლოზე“ (ბერეთისა); „დუშალა უერთდება ძირულას. აგერ რო დუშ-
ლის ხილია, ხალხმა გააკეთა“ (ბორითი).

